

პავლე ჩაბელიშვილი

სამრეწველო
წარმოების
ეკონომიკა და
მეწარმეობა.

თბილისი
2000

65.9(2) 301

338.45

ჩ 125

ფუძღვნი საყვარელ დედას –
მარიამ კონსტანტინეს ასულ ჯოხაძეს

გათვალისწინებულია ეკონომიკური სპეციალობის კვალიფიციური კადრების მომზადებისათვის. განხილულია საბაზრო ეკონომიკის პირობებში საწარმოს ფუნქციონირების ისეთი საკითხები, როგორცაა საწარმოს რესურსები და მათი გამოყენების ეფექტიანობა, სამეცნიერო ტექნიკური პროგრესი და პროდუქციის ხარისხი, წარმოების ორგანიზაციული ფორმები, მეწარმეობა, მისი სახეები და ფორმები, საწარმოო მარკეტინგი, საგადასახადო სისტემა და წარმოების გაკოტრება და სხვ..

თავი XV – დაწერილია დოც. ლალი ჩაგელიშვილის მიერ. თავი XVI – დოც. კობა ჩაგელიშვილის მიერ.

გათვალისწინებულია ივ. ჯავახიშვილის სახელობის ეკონომიკური პროფილის კათედრების ინსტიტუტების სტუდენტების, საწარმოს ხელმძღვანელებისა და სპეციალისტებისათვის.

დაწერილია ეკონომიკური პროფილის კათედრების სასწავლო პროგრამების შესაბამისად.

რედაქტორი პროფ. დ. ძნელაძე

რეცენზენტები: დოც. პავლე გარუჩაია
დოც. ზაზა ავალიშვილი

ISBN 99928-821-5-8

წინასიტყვაობა	
განყოფილება I	
სამრეწველო წარმოების ეკონომიკა	
საბაზრო ეკონომიკის პირობებში.....	9
თავი I. ეკონომიკური სისტემები და მეწარმეობა	9
1.1 ეკონომიკური სისტემები და მათი ტიპები	9
1.2 სახელმწიფოს როლი შერეულ საბაზრო ეკონომიკაში	16
თავი II. მეწარმეობა როგორც სოციალურ-ეკონომიკური სისტემა	21
2.1 მეწარმეობის არსი, მისი მიზნები და ამოცანები	21
2.3 მეწარმეობის ფორმები	29
2.3.1 სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება	30
2.3.2 კომანდითური საზოგადოება	36
2.3.3 მუშლულული პასუხისმგებლობის საზოგადოება	32
2.3.4 სააქციო საზოგადოება	32
2.3.5 კოოპერატივი	38
2.4 მსხვილ მანუფაქტურულ მეწარმეობა	41
2.5 მცირე და საშუალო მეწარმეობა	47
2.6 მეწარმეობის სახეები	50
2.7 სამეწარმეო ოპერაცია	56
თავი III. სამრეწველო საწარმო საბაზრო ეკონომიკაში	68
3.1 სამრეწველო საწარმო	68
3.2 საწარმოს სამეწარმეო უფლებები და მოვალეობანი და სახელმწიფოს ფუნქციები	71
3.3 საწარმოთა კლასიფიკაცია	74
3.4 საწარმოს ფირმის საწარმოო სტრუქტურა	77
3.5 სამუშაო ადგილი	81
თავი IV. საქონელი, სასაქონლო მეურნეობა და სამეურნეო წრებრუნვა	84
4.1. ბაზრები და მათი სახეები	84
4.2. მოთხოვნილება და საქონელი	97
4.3. მოთხოვნილება და მიწოდება	100
თავი V წარმოება და წარმოების ფაქტორები	107
5.1 წარმოება, წარმოების ფაქტორები, ფუნქციები და მაჩვენებლები	107
5.2 წარმოების დანახარჯი	116
5.3 ტექნიკა და ტექნოლოგია წარმოების პროცესში	125
5.4 წარმოება და მოხმარება	128
5.5 წარმოება და ეკოლოგია	131
განყოფილება II	
საწარმოს რესურსები	135
თავი VI საწარმოს ძირითადი ფონდები	135

6.1 ძირითადი ფონდების ეკონომიკური არსი, კლასიფიკაცია და სტრუქტურა	135
6.2 ძირითადი ფონდების შეფასება და აღრიცხვა	140
6.3 ძირითადი ფონდების ცვეთა და ამორტიზაცია	143
6.4 ძირითადი საწარმოო ფონდების გამოყენების მაჩვენებლები	152
6.5 საწარმოს სიმძლავრე	156
6.6 ძირითადი ფონდების გამოყენების ეფექტიანობის მაჩვენებლის გზები	159
თავი VII. საწარმოო საბრუნავი საშუალებები	165
7.1 საბრუნავი საშუალებების ეკონომიკური არსი, კლასიფიკაცია და სტრუქტურა	165
7.2 საბრუნავი საშუალებების წარბუნვის ციკლი	169
7.3 საბრუნავი საშუალებების გამოყენების ეფექტიანობის შეფასება	172
7.4 საბრუნავი საშუალებების დაფინანსების წყაროები	175
7.5 საბრუნავი საშუალებების მართვის გავლენა	177
საწარმოს მუშაობის საბოლოო მაჩვენებლებზე	177
თავი VIII სამრეწველო საწარმოს ფინანსური მუდრეობა	182
8.1 საწარმოს ფინანსების არსი და ფუნქციები	182
8.2 საწარმოს ფინანსური რესურსები	184
8.3 პროდუქციის რეალიზაციიდან (მომსახურებიდან) მიღებული ამონაგები	186
8.4 ფინანსები და გადასახადები	189
8.5 მოგება და მისი განაწილება	191
8.6 წარმოების დანახარჯები	193
8.7 ფინანსების დაგეგმვა	197
თავი IX ინვესტიციები სამრეწველო საწარმოში	203
9.1 ინვესტიციები და მათი როლი ძირითადი ფონდების კელაქარმოებაში	203
9.2 კაპიტალური მშენებლობა: სტრუქტურა, ორგანიზაცია	205
9.3 ახალი მშენებლობის პროექტირება	207
9.3.1 ქსელური გრაფიკის კრიტიკული გზა	215
9.4 კაპიტალური დაბანდების ეკონომიკური ეფექტიანობა	216
9.5 ინოვაციური ლიზინგი	219
თავი X. კადრები, შრომის მწარმოებლურობა და შრომის ანაზღაურება	221
10.1 საწარმოს შრომითი რესურსები	221
10.2 შრომის მწარმოებლურობა	228
10.3 შრომის მოტივიზაცია	231
10.4 შრომის ანაზღაურება	234
თავი XI სპეციალიზაცია და კოოპერირება მრეწველობაში	243
11.1 წარმოების სპეციალიზაციის არსი და ფორმები	243
11.2 სპეციალიზაციის ფორმები და მისი ეფექტიანობა	248

11.3 წარმოების სპეციალიზაციის დონის მაჩვენებლები.....	251
11.4 წარმოების კოოპერირება, მისი ფორმები და მაჩვენებლები	253
თავი XII წარმოების კონცენტრაცია და კომბინირება	258
12.1. წარმოების კონცენტრაციის არსი და სახეები	248
12.2 კონცენტრაციის გაელენა წარმოების ტექნიკურ-ეკონომიურ მაჩვენებლებზე	260
12.3 კომბინირების არსი, ფორმები და მაჩვენებლები	267
12.4 კომბინირების ეკონომიური ეფექტიანობა	270
განყოფილება IV	
სამრეწველო საწარმოს მართვა და დაგეგმვა	272
თავი XIII/სამრეწველო საწარმოს მართვა	272
13.1. საწარმოს მართვის არსი და მისი ბუნება	272
13.2. საწარმოს მართვის მეთოდები	276
13.3. საწარმოს მართვის ფუნქციები	278
13.4. საწარმოს მართვის სტრუქტურა და მართვის ორგანოთა ფუნქციები	282
13.5. საწარმოს მართვის ორგანოთა ფუნქციები	285
თავი XIV. საწარმოს სამეურნეო საქმიანობის დაგეგმვა	291
14.1. დაგეგმვის ფუნქციები და ამოცანები	291
14.2. დაგეგმვის მეთოდოლოგია, სტრუქტურა და დაგეგმვის ტექნოლოგია	293
14.3. საწარმოს პროგრამა	296
14.4. ტექნიკურ, საწარმო-საფინანსო გეგმა	299
14.5. ოპერატიული-საწარმოო დაგეგმვა	303
14.6. ბიზნეს გეგმა	304
14.7. პროექტების დასაბუთების საერთაშორისო პრაქტიკა	310
14.8. ინდიკატორული დაგეგმვა	313
თავი XV. საწარმოს მართვის ინფორმაციული უზრუნველყოფა	315
15.1 ინფორმაციის როლი წარმოების მართვაში	315
15.2 ინფორმაციის სახეები	317
15.3 ინფორმაციის შეგროვება და დამუშავება	320
თავი XVI მარკეტინგი სამრეწველო საწარმოში	327
16.1 დაგეგმვა მარკეტინგის მართვის სისტემაში	327
16.2 საწარმოს მარკეტინგული სამსახურის ორგანიზაცია და სტრუქტურა	331
16.3 მარკეტინგის სამსახური და მათი ფუნქციები საწარმოში	342
16.4. კონტროლი მარკეტინგში	355
16.5. უკუკავშირები მარკეტინგის საქმიანობაში	358
განყოფილება V	
მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი და პროდუქციის ხარისხი	366
თავი XVII. მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი	366
17.1. მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის არსი და	

მისი როლი წარმოების ეფექტიანობის ამაღლებაში	366
17.2. მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ძირითადი მიმართულებები	375
17.3. მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ეფექტიანობა	379
17.4. ახალი ტექნიკის შეფარდებითი ეკონომიკური ეფექტიანობის ვარიანტების განსაზღვრა	380
თავი XVIII. პროდუქციის ხარისხი და მისი ეკონომიკური მნიშვნელობა...	404
18.1 სამრეწველო პროდუქციის ხარისხი და მისი მაჩვენებლები	404
18.2 პროდუქციის ხარისხის ამაღლების ეკონომიკური ეფექტიანობა და მისი განსაზღვრის მეთოდები	413
18.3 ტექნიკური კონტროლის ორგანიზაცია	424
18.4 პროდუქციის ხარისხის მართვა	430
თავი XIX. წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობა და მისი გაზომვის მეთოდები	448
19.1. ეკონომიკური ეფექტიანობის არსი და მისი ფორმები	448
19.2. წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობის კრიტერიუმი და მაჩვენებელთა სისტემა	453
19.3. საწარმოს სამეურნეო-ფინანსური საქმიანობის შეფასების შეფარდებითი მაჩვენებლები	459
თავი XX. საწარმოს საგადასახადო სისტემა	465
20.1. გადასახადის არსი და საგადასახადო სისტემა	465
20.2. გადასახადის პრინციპები	466
20.3. გადასახადის ნახეები	468
20.4. გადასახადის რეგულირების თავისებურებანი	480
20.5. ინვესტიციის პროცესის სტიმულირების საგადასახადო მექანიზმი	484
თავი XXI. საწარმოს გაკოტრება	487
21.1. საწარმოს გაკოტრება და მისი მიზეზები	487
21.2. როგორ ავიცილოთ თავიდან გაკოტრება?	494
21.3. გაკოტრების დასაწყისი და მისი კონტროლი	498
21.4. გარდაქმნა, სანაცია და ლიკვიდაცია	503
21.5. საწარმოთა გაკოტრების სოციალურ-ეკონომიკური შედეგი	507
თავი XXII. სამეურნეო ანგარიში, არენდა, ლიზინგი, წარმოების რესტრუქტურისა	511
22.1. სამეურნეო ანგარიში	
22.2. არენდა და ლიზინგი, როგორც საბაზრო	530
ეკონომიკის ელემენტები	530
ლიტერატურა:	543
პაულე ჩაგელიძევილი	551
სამრეწველო წარმოების	551
ეკონომიკა და მეწარმეობა	551

წინასიტყვაობა

საზოგადოების სოციალური და ეკონომიკური განვითარების საფუძველად მატერიალური წარმოება, რომლის ძირითადი რგოლია სამრეწველო საწარმო, აქ იწარმოება საზოგადოებისათვის საჭირო პროდუქცია, წყდება რესურსების რაციონალური გამოყენების საკითხები, მაღალმწარმოებლური ტექნიკისა და ტექნოლოგიის გამოყენება, წარმოების დანახარჯების ფორმირება და მისი მინიმუმადე შემცირების ღონისძიებები, პროდუქციის რეალიზაცია. სამრეწველო საწარმოში დასაქმებულია მაღალკვალიფიციური კადრები, მუშავდება და ინერგება მეცნიერულ-ტექნიკური მიღწევები, იქმნება და იწარმოება ახალი პროდუქცია, მუშავდება ბიზნეს გეგმები, გამოიყენება მარკეტინგი და თანამედროვე მენეჯმენტი. საწარმოში იქმნება ქვეყნის ბიუჯეტის ძირითადი ნაწილი.

მატერიალური წარმოების განვითარების გარეშე შეუძლებელია ქვეყნის ეკონომიკური აღმაშენებლობა და მოსახლეობის სოციალურ - კულტურული პირობების გაუმჯობესება.

ყველა ზემოთ აღნიშნული მოთხოვნს ღრმა ეკონომიკურ ცოდნას. საბაზრო ეკონომიკის მკაცრ მოთხოვნებს გაუძლებს ის, ვინც უფრო გონიერად და კომპეტენტურად შეაფასებს ბაზრის მოთხოვნებს, ქმნის და აწარმოებს მაღალხარისხოვან კონკურენტუნარიან პროდუქციას, უზრუნველყოფს შემოსავლებს.

წინამდებარე სასწავლებელს - „საწარმოს ეკონომიკა და მეწარმეობა“-ს მიზანს წარმოადგენს ყველა ზემოთ აღნიშნული საკითხების შესწავლაში მკითხველთათვის დახმარების გაწევა.

ტერმინი „ეკონომიკა“ ბერძნული წარმომდგომია. იგი ორი ბერძნული სიტყვისაგან შედგება „მეურნეობა“ და „კანონი“. „ეკონომიკა“ თანამედროვე განმარტებით „საშინაო მეურნეობის გაძლიერების ხელოვნებას“ ნიშნავს. მას ორი სხვადასხვა მნიშვნელობა აქვს:

პირველი, ეკონომიკა სიცოცხლის უზრუნველყოფის მიზნით ადამიანის მიერ გამოყენებული ყოველგვარი საშუალებების, საგნების, ნივთების მატერიალური და სულიერი სამყაროს სუბსტანციების ერთობლიობაა.

მეორე, ეკონომიკა ეს არის მეცნიერება შეზღუდული რესურსების რაციონალური გამოყენების შესახებ ადამიანთა და საზოგადოების სასიცოცხლო მოთხოვნილების დაკმაყოფილების მიზნით. აქედან გამომდინარე უნდა განვასხვაოთ ტერმინი „ეკონომიკა“ და „ეკონომიკის“:

„ეკონომიკის“ ეს არის ეკონომიკური მეცნიერება, უფრო ზუსტად ეკონომიკური თეორია, ხოლო „ეკონომიკა“ ნიშნავს მეურნეობის, მისი ნატურალური ფორმის გაძლიერების ხელოვნებას.

ეკონომიკური მეცნიერება სწავლობს ადამიანთა ქცევას და ურჩევს მათ, როგორ მოიქცენ იმ პირობებში, როცა საჭიროა ეწინააღმდეგეთ დაუპირისპიროთ

მიზანი და მისი მიღწევის შეზღუდული რესურსები, ამ რესურსების გამოყენების სხვადასხვა ვარიანტების შემთხვევაში.

სხვაგვარად, რომ ვთქვათ ეს არის მეცნიერება, რომელიც სწავლობს, საქონლის, მომსახურების, წარმოების, გასაღების, გაცვლისა და მონმარებასთან დაკავშირებულ საქმიანობას.

ეკონომიკური მეცნიერება, იძლევა პასუხს სამ ურთიერთ დაკავშირებულ საკითხზე: რა უნდა ვაწარმოოთ და რა რაოდენობით? როგორ უნდა ვაწარმოოთ? და ვისთვის ვაწარმოოთ?

ეკონომიკური პროცესებისა და მოვლენების შესწავლის დონის მიხედვით განასხვავებენ მიკროეკონომიკს და მაკროეკონომიკას.

მაკროეკონომიკა ეკონომიკას განიხილავს როგორც ერთ მთლიან სისტემას, სწავლობს ერთობლივ მოთხოვნასა და მიწოდებას, ეროვნულ შემოსავალს, მაკროეკონომიკურ პროდუქტს, ეკონომიკურ ზრდას, ინფლიაციას, უმუშევრობას და სხვა. დარგობრივ კრილში იგი იხილავს სასაღხო მეურნეობის დარგებს, მრეწველობას, სოფლის მეურნეობას, ტრანსპორტს, კავშირგაბმულობას, ვაჭრობას და სხვა.

მიკროეკონომიკა იხილავს ცალკეული სტრუქტურებისა და ელემენტების ქცევას, როგორცაა წარმოების დარგები და საწარმოები, სასაქონლო და ფინანსური ბაზრები, ბანკები, სხვადასხვა ფირმები, საოჯახო მეურნეობა და სხვა. ასევე ზოგად თეორიულ და მეთოდოლოგიურ საკითხებს - ეკონომიკურ თეორიას, მომხმარებელთა ქცევას ბაზარზე და ფასწარმოქმნას, მონოპოლისტურ თეორიას, გარემოს დაცვისა და საერთაშორისო ვაჭრობის პრობლემებს.

ამასთანავე მაკროეკონომიკასა და მიკროეკონომიკას შორის მკაცრად დადგენილი საზღვრები არ არსებობს. ეკონომიკის ზოგიერთი თემა შედის ორივე დისციპლინაში.

„საწარმოს ეკონომიკა და მეწარმეობა“ საბაზრო ეკონომიკის ცალკე დამოუკიდებელი მეცნიერული დისციპლინაა. მიკროეკონომიკისა და ფირმის ეკონომიკის დისციპლინებისაგან განსხვავებით მისი შესწავლის ობიექტია სამრეწველო საწარმო და მასთან დაკავშირებული ეკონომიკური პროცესები. იგი განიხილავს საწარმოს ეკონომიკის ისეთ ტრადიციულ საკითხებს, როგორცაა სამრეწველო საწარმო, როგორც ეკონომიკის საფუძველი, წარმოება და დანახარჯები, საწარმოს რესურსები, საწარმოს ორგანიზაციული ფორმები, საწარმოს მართვისა და დაგეგმვის, მეცნიერულ - ტექნიკური პროგრესისა და პროდუქციის ხარისხის საკითხები. საბაზრო ეკონომიკის დამკვიდრებამ და მეწარმეობის განვითარებამ დააყენა საკითხი ეკონომიკის დისციპლინაში ისეთი საკითხების შეტანის აუცილებლობისა, როგორცაა: მეწარმეობა, მისი ფორმები, საწარმოს ინფორმაციული სისტემა, საწარმოო მარკეტინგი, საგადასახადო სისტემა და საწარმოს გაკოტრება.

სამრეწველო წარმოების ეკონომიკა
საბაზრო ეკონომიკის პირობებში.

თავი I. ეკონომიკური სისტემები და მეწარმეობა

1.1 ეკონომიკური სისტემები და მათი ტიპები

ეკონომიკური სისტემა არის მოსახლეობის მოთხოვნილების დაკმაყოფილების მიზნით საზოგადოების განკარგულებაში არსებული რესურსების განაწილების წესი. სხვაგვარად რომ ვთქვათ იგი იმ ძირითად განმსაზღვრელ წესების ერთობლიობაა, რომელსაც საზოგადოება იყენებს რესურსების განაწილებისათვის, თავის მოქალაქეთა მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად. კაცობრიობა თავისი განვითარების პერიოდში სხვადასხვა ეკონომიკურ სისტემას იყენებდა, უფრო მეტიც თითოეულ ქვეყანას რესურსების განაწილების თავისი მეთოდი გააჩნია. მიუხედავად მათი კონკრეტული თავისებურებებისა ყველა სისტემას საფუძვლად უდევს რესურსების გამოყენების, წარმოებული საქონლისა და მომსახურების ნომენკლატურის, საზოგადოების წევრთა შორის მათი განაწილების წესი და თვით მწარმოებლის ტიპი. ზემოთ აღნიშნულის მიხედვით არჩევენ ეკონომიკური სისტემის სამ ტიპს: კაპიტალიზმს, სოციალიზმს და კომუნისმს. მათ შორის განსხვავების გამოვლენის ყველაზე უკეთესი ხერხია მათი ინდივიდთა შედარება თავისუფლების ხარისხით, წარმოების ფაქტორების გამოყენების უფლებისა და საკუთარი ინტერესების რეალიზაციის მიხედვით.

კაპიტალიზმი ეს არის ეკონომიკური სისტემა, სადაც ინდივიდი უზრუნველყოფილია თავისუფლების უმაღლესი ხარისხით. კაპიტალიზმის ფილოსოფიური საფუძვლები შემუშავებულ იქნა მე-18 საუკუნეში. მისი მამამთავარი იყო ადამ სმიტი, რომელმაც წამოაყენა წმინდა კაპიტალიზმის თეორია. იდეალური კაპიტალიზმის პირობებში რესურსების წარმოებისა და გადაადგილების საკითხებს მთლიანად წყვეტს საკუთრების კერძო მფლობელი, ხოლო ბაზარი წარმოგვიდგება, როგორც თვითმარეგული-

რებელი მექანიზმი, რომელიც დამოუკიდებლად ყოველგვარი გარედან ზემოქმედებისა და ჩარევის გარეშე განსაზღვრავს საზოგადოებისათვის საჭირო საქონლის რაოდენობას, ნომენკლატურას და მის ფასს.

წმინდა კაპიტალიზმი იდეალური ეკონომიკური მოდელია, რომელშიც რესურსების განაწილება ხდება წმინდა საბაზრო მექანიზმით. როგორც ცხოვრებამ დაგვანახა საზოგადოების საერთო ინტერესების დასაცავად რესურსების წარმოებისა და განაწილების, ფასებისა და ხელუფასის რეგულირების მიზნით საჭირო ხდება სახელმწიფოს ჩარევა. ამიტომ საზოგადოების განვითარების პრაქტიკაში წმინდა კაპიტალიზმი როგორც ასეთი პრაქტიკაში არ გვხვდება. პრაქტიკამ დაგვანახა, რომ ყველაზე მისაღები ეკონომიკური სისტემა, რომელიც შეესაბამება საზოგადოების მოთხოვნილების თანამედროვე დონეს ეს არის შერეული კაპიტალიზმი.

შერეული კაპიტალიზმი - ეს არის ისეთი ეკონომიკური სისტემა, რომელშიც განსაზღვრული ხარისხით სახელმწიფო არეგულირებს თავისუფალ ბაზარს. შერეული კაპიტალიზმის პირობებში კერძო მესაკუთრეს შესაძლებლობა აქვს დამოუკიდებლად განსაზღვროს ვინ, რა, რამდენი და ვისთვის აწარმოოს ქვეყანაში. პირადი ინტერესების დაცვისათვის მუდმივი ზრუნვა ეკონომიკური აღმავლობის ძირითადი პრინციპია, რომელსაც საზოგადოებისათვის დიდი სარგებელი მოაქვს. ასეთი ეკონომიკური სისტემა გამოიყენება აშშ, კანადაში, იაპონიასა და გერმანიაში. ასეთ ეკონომიკურ სისტემას უწოდებენ თავისუფალ საბაზრო ეკონომიკას, რომელიც დაფუძნებულია თავისუფალ ბაზარზე.

თავისუფალი ბაზარი არის ისეთი ეკონომიკური სისტემა სადაც საქონლის წარმოების ნომენკლატურას და ფასებს განსაზღვრავს ადამიანების სურვილი, თუ რაზე დახარჯოს თავისუფალი ფული.

ამჟამად ყველა განვითარებულ ქვეყანაში გამოიყენებულია შერეული ეკონომიკის სხვადასხვა მოდელი, რომელშიც რეაღიშებულია ამ ქვეყნის ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური თავისებურებანი. ამ ქვეყნის ეროვნული ინტერესი, საგარეო ეკონომიკური ურთიერთობა, საწარმოო ძალთა განვითარება, ბუნებრივი რესურსები და მომავალი ამოცანები. შერეული ეკონომიკის მოდელებიდან აღსანიშნავია:

ამერიკული მოდელი - რომელიც ორიენტირებულია საზოგადოების მასობრივ, ეკონომიკური კეთილდღეობის ამაღლებისაკენ. მთელი მოსახლეობის პირად წარმატებაზე, მეწარმეთა საქმიანობის „წახალისებაზე“

და მოსახლეობის აქტიური ნაწილის გამდიდრებისაკენ.

იაპონურ მოდელში წინა პლანზეა დაყენებული ეროვნული ინტერესები. იაპონიის მოსახლეობას რესურსების სიმცირე აიძულებს ეძიოს რესურსების გამოყენების ეკონომიკური ეფექტიანობის გზები, შეამციროს პროდუქციის წარმოების დანახარჯები მსოფლიოს მოწინავე კაპიტალისტური ქვეყნების ბაზრების დასაპყრობად, რასაც იგი ხშირად აღწევს ტექნიკური პროგრესის გზით შრომის მწარმოებლურობის ამაღლებით. იაპონიის ფირმებმა მიაღწიეს ეროვნული პროდუქციის უმაღლეს პრესტიჟს თავისი ქვეყნის მოსახლეობაში. იაპონელი მოქალაქე აფასებს ეროვნულ საქონელს, ენდობა მის ხარისხს, იგი არასდროს იყიდის თავის ქვეყანაში იმპორტულ საქონელს.

შვედური მოდელი - უფრო სოციალური ხასიათისაა. სხვა მოდელებისაგან განსხვავებით იგი მიმართულია ქონებრივი დიფერენციაციის წინააღმდეგ და იცავს ნაკლებად უზრუნველყოფილ ფენებს, რასაც იგი ახორციელებს სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკით.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მსგავსი მოდელი შემუშავებული იქნა გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, რომლის იდეოლოგიები იყვნენ ლუდვიგ ერხარდი და ალფრედ მიულერ-არმაკი. სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკა დღესაც ითვლება ყველაზე რეალურ ეკონომიკურ სისტემად.

საბაზრო ეკონომიკა ისეთი ეკონომიკური სისტემაა, რომლის მიზნის რეალიზაცია ხდება, თავისუფალი ბაზრის საშუალებით მინიმალური სახელმწიფოს ჩარევის პირობებში. ეს იმას ნიშნავს, რომ თქვენ შეგიძლიათ აწარმოოთ ნებისმიერი საქონელი, დაადოთ მას სასურველი ფასი და მიყიდოთ ნებისმიერ მყიდველს, რომელიც მოგცემთ თქვენს მიერ დაწესებულ ფასს და პირიქით, როგორც მომხმარებელი თქვენ შეგიძლიათ იყიდოთ ყველაფერი, რაც გსურთ, იმ გამყიდველისგან, რომელსაც თქვენ შეირჩევთ.

თავისუფალი ბაზრის მთავარი წამმართველი ფიგურები არიან ფირმის ხელმძღვანელები და კერძო მეწარმენი. ისინი აელტენენ მოსახლეობის დაუკმაყოფილებელ საჭიროებას და ახდენენ რესურსების მობილიზებას მათი დაკმაყოფილებისათვის. ამდენად ბიზნესი ძირითადი რგოლია საბაზრო ეკონომიკაში.

სოციალიზმი ეკონომიკური სისტემის ძირითადი ტიპია ასევე სოციალიზმი. მას შუალედი ადგილი უკავია კაპიტალიზმსა და კომუ-

ნიჰმს შორის თავისი ეკონომიკური თავისუფლების ხარისხით. სოციალისტურ საზოგადოებაში რესურსები ძირითადად სახელმწიფოს ხელშია. იგი ცენტრალიზებულად გეგმიურად ანაწილებს მათ დარგების მიხედვით. დარგის შიგნით რესურსების განაწილება ხდება დარგის ხელმძღვანელობის მიერ. სახელმწიფოს საწარმოთა შემოსავლებზე დაწესებული აქვს საკმაოდ დიდი გადასახადი ვინაიდან იგი მთელ რიგ დარგებს უპირატესად კი კულტურას, მედიცინას, განათლებას, სპორტს და ა.შ. თვითონვე აფინანსებს.

სოციალიზმისათვის დამახასიათებელია რესურსების გამოყენების საკმაოდ დაბალი დონე, ვინაიდან დაქირავებული მოქალაქე დანტერესებული არაა რესურსების გამოყენების გაუმჯობესებაში, იგი რესურსების ეკონომიისათვის არაფერს ღებულობს, ხოლო მისი გადახარჯვისათვისაც არაფერს კარგავს. რესურსების გამოყენებისადმი დაუნტერესებულობამ სოციალისტური ქვეყნები მიიყვანა ეკონომიკურ დაქვეითებამდე. სოციალისტური ქვეყნებისათვის დამახასიათებელია რესურსების არაეკონომიური ხარჯვა, მისი გაჩანაგება, ამიტომ იგი მომავალ საზოგადოებას უსწრაფესად უმცირებს რესურსებს და კატასტროფის წინაშე აყენებს ქვეყნის მომავალს.

სოციალისტურ სისტემას გააჩნია თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეები. დადებითად შეიძლება ჩაითვალოს ის, რომ იგი მიმართულია ქონებრივი უთანასწორობისა და მოსახლეობის უღარიბესი ფენების ცხოვრების დონის ამაღლებისაკენ. ამავე დროს მას საფუძვლად უდევს მშრომელთა ექსპლუატაციის წინააღმდეგ ბრძოლა.

სოციალიზმი, როგორც ეკონომიკური სისტემა ემყარება კოლექტივიზმის პრინციპს. აქ გამორიცხულია საზოგადოების ისეთი ძირითადი მამოძრავებელი ბერკეტები, როგორიცაა თავისუფალი კონკურენცია და რესურსებზე კერძო საკუთრება, რომელთა გარეშე შეუძლებელია ეკონომიკური წინსვლა. სწორედ ამ ფაქტორთა უგულვებელყოფამ 70 წლის შემდეგ გამოიწვია სოციალისტური სისტემის დაშლა და ამ სისტემაში გაერთიანებულ ქვეყნების საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის აუცილებლობა.

კომუნისში ისეთი ეკონომიკური სისტემაა, სადაც არ არის კერძო საკუთრება. სახელმწიფოს ხელშია მთელი რესურსები და განაგებს მას. კომუნისტურ სისტემაში ინდივიდი შეზღუდულია ეკონომიკური თავისუფლებით. წარმოების საშუალებები საზოგადოების საკუთრებაა,

ზოლო რესურსების განაწილება ხდება ცენტრალიზებულად სახელმწიფოს მიერ. სხვაგვარად მას უწოდებენ გეგმიურ ეკონომიკას. წარმოება და მონხარება მთლიანად ცენტრალიზებულად დაგეგმილი და რეგლამენტირებულია, უგულებელყოფილია ინდივიდის თავისუფალი ეკონომიური საქმიანობა. კომუნიზმის ფუძემდებლები მარქსი და ენგელსი ოცნებობდნენ შეექმნათ უკლასო კომუნისტური საზოგადოება, რომელიც 90-იან წლებში კრახით დამთავრდა.

კომუნიზმში კერძო საკუთრებას ეკუთვნის მხოლოდ პირადი ნივთები. წარმოების ყველა ეკონომიკური ფაქტორი სახელმწიფოს კონტროლის ქვეშ იმყოფება.

კომუნიზმის დადებითი მხარეა ის, რომ იგი ცდილობს მიადწიოს მდიდრებსა და ღარიბებს შორის განსხვავების ლიკვიდაციას, უმუშევრობას, ფულის კურსის გამტკიცებას, ფასების სტაბილიზაციას. სამაგიეროდ უგულებელყოფილია ისეთი ეკონომიკური ფაქტორები, როგორცაა ინდივიდთა ეკონომიკური თავისუფლება, კერძო საკუთრება, ახალი პროდუქციის შემუშავებისა და წარმოების ეფექტიანობის ამაღლების სტიმულირება. მიუხედავად კომუნისტური პრინციპისა „თითოეულისაგან მისი შრომის უნარის მიხედვით, თითოეულს მისი შრომის მიხედვით“ ოთხმოციან წლებში დაიწყო სახელმწიფოთა ცენტრალიზებული მართვისა და დაგეგმვის სისტემის შესუსტება და ინდივიდთა ინიციატივის წახალისება. ეს ტენდენცია განსაკუთრებით შეინიშნებოდა დასავლეთ ევროპის ქვეყნებში.

ყოფილმა სოციალისტურმა ქვეყნებმა ოთხმოციან წლებში სცადეს გაეტარებინათ საწარმოთა კოლექტივების მატერიალური სტიმულირების სისტემა, რომელიც დემოკრატიის ნიშნებს შეიცავდა, მაგრამ როგორც შემდგომ დაეინახეთ მას ეკონომიკის აღმავლობისათვის რაიმე სიკეთე არ მოუტანია, ვინაიდან ისინი ატარებდნენ კოსმეტიკურ ხასიათს. ეკონომიკის წინსვლის სადავეები კვლავ სახელმწიფოს ხელში რჩებოდა.

საწარმოო ძალთა განვითარებისათვის საჭირო გახდა ახალი წარმოებით ურთიერთობანი. ახალ, უფრო პროგრესულ ფორმაციაზე ე.წ. კაპიტალისტურ წყობაზე გადასულა. სოციალისტური სისტემა თანდათან იშლებოდა, საბჭოთა ეკონომიკური სისტემისაგან თავისუფალი ქვეყნები შეუდგნენ საბაზრო ეკონომიკის შექმნას. ეს ქვეყნები ამჟამად იმყოფებიან საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ პერიოდში, რომელიც

მტკივნეული აღმოჩნდა ამ ქვეყნებისათვის.

გარდამავალ პერიოდში თავი იჩინა ეკონომიკის მკვეთრმა დაცემამ, ინფლაციამ და უმუშევრობამ, რამაც სასოწარკვეთილებაში ჩააგდო ამ ქვეყნების მოსახლეობა. 1991 წელს დაიშალა 70 წლიანი მსოფლიოს ისტორიაში პირველი სოციალისტური სახელმწიფო - საბჭოთა კავშირი.

შედარებით უმტკივნეულოდ ჩაიარა ამ პროცესმა დასავლეთ ევროპის ქვეყნებში: აღმოსავლეთ გერმანიაში, პოლონეთში, ჩეხოსლოვაკიაში, რუმინეთში და ბულგარეთში.

ჩინეთის მთავრობა ცდილობს შეინარჩუნოს კომუნისტური წყობა, დაიცვას იგი პოლიტიკური რეფორმისაგან, ამავე დროს მცირე ეკონომიკური რეფორმების გზით თანდათან დაუახლოვდეს საბაზრო ეკონომიკას. ჩინეთის მსხვილი მეწარმენი უკმაყოფილონი არიან გატარებული უმნიშვნელო რეფორმებით, რომელიც ხელ-ფეხს უბორკავს მათ სამეწარმეო საქმიანობის გაფართოებას, ამიტომ მათი უმრავლესობა იბუღებულა დასტოვოს თავისი ქვეყანა და წავიდეს ემიგრაციაში, კერძოდ კანადასა და სხვა ქვეყნებში. .

სოციალური საბაზრო ეკონომიკა, როგორც რეალური ეკონომიკური სისტემა

თავისუფალ საბაზრო ეკონომიკას გააჩნია თავისი ნაკლოვანებანი. მისთვის დამახასიათებელია არასტაბილურობა და არასოციალურობა, რამაც შეიძლება გამოიწვიოს უაღრესად არასასურველი შედეგები, როგორცაა ეკონომიკური კრიზისები, შემოსავლის უსამართლო განაწილების შედეგად, საზოგადოების მკვეთრი დაყოფა მდიდრებად და ღარიბებად. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ცნობილი მეცნიერები და პოლიტიკური მოღვაწეები (ლუდვიგ ერხარდი, ვალტერ იოკენი და ალფრედ მიულერ-არმაკი) შეეცადნენ გერმანიაში შემოეღოთ ლიბერალური და ამავე დროს სოციალურად ორიენტირებული ეკონომიკური სისტემა, რომელშიც სახელმწიფოს უკავია აქტიური როლი ეკონომიკის რეგულირებაში, მისი მიზანია უზრუნველყოს:

- კონკურენციული ბრძოლა ეფექტიანობის პრინციპის პირობებში;
- ეფექტიანი კონკურენციის შედეგების კორექტირება სოციალური კომპენსაციის პირობებში;

– სამეურნეო საქმიანობის ფორმირება და რეგულირება.

სოციალური საბაზრო ეკონომიკა მოიცავს, როგორც წმინდა ეკონომიკურ ასევე სოციალურ და სახელმწიფო რეგულირების ელემენტებს. უფრო სწორი იქნება თუ მას უწოდებთ შერეულ ეკონომიკურ სისტემას.

გერმანელ მეცნიერს მიულერ-არმაკს მიაჩნია, რომ მაღალი პროდუქტიულობისათვის კონკურენტული ბრძოლის შედეგების კორექტირება უნდა მოვახდინოთ სოციალურ-პოლიტიკური ღონისძიებებით, რათა ბაზარზე თავის უფლების პრინციპი შევაჯეროთ სოციალური კომპენსაციის პრინციპით. გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის კონსტიტუციის თანახმად გერმანია წარმოადგენს სოციალურ სახელმწიფოს.

სოციალური პოლიტიკის ამოცანაა დანერგოს ცხოვრებაში ისეთი სოციალური პრინციპები, როგორცაა: სამართლიანობა, უსაფრთხოება და მშვიდობა, თავისუფლებისა და კეთილდღეობის საფუძველზე.

სოციალური სამართლიანობა მოითხოვს ქვეყანაში არსებული და წარმოებული სიმდიდრე უნდა ნაწილდებოდეს საზოგადოების ყველა წევრზე.

სოციალური დაცვა აერთიანებს ყველა ღონისძიებებს, რომელიც იცავს ქვეყნის მოსახლეობას სიცოცხლის ისეთი რისკისაგან, როგორცაა აუადმყოფობა, უბედური შემთხვევა, მოხუცობა, უმუშევრობა.

განაწილების პოლიტიკის ამოცანაა გაათანაბროს პირველადი შემოსავლების განაწილების არათანაბრობა და კომპენსაცია გაუკეთოს ბაზრის სიმკაცრეს. ეს პოლიტიკა განიხილება, როგორც სოციალური საბაზრო ეკონომიკის ძირითადი მომენტი და მოიცავს სოციალურ დახმარებას. სახელმწიფო შემწეობა არენდირებული საცხოვრებელი ბინის გადასახადში. მრავალშვილიან ოჯახების გადასახადების კომპენსაციას, მოსწავლეთა სტიპენდიებით უზრუნველყოფას და სხვა.

შრომის დაცვის პოლიტიკის სფეროში შედის სამუშაო დროის ხანგრძლივობის რეგლამენტაცია, საწარმოო ტრამევატიზმის პროფილაქტიკა, ახალგაზრდობის შრომის დაცვა, მშრომელთა ფართო მონაწილეობა წარმოების მართვაში.

შრომის ბაზრის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკამ უნდა უზრუნველყოს დასაქმებისა და სამუშაო ადგილების შექმნა, არასრული სამუშაო დღით მომუშავეთა დახმარება, პროფესიული კონსულტაციების

ჩატარება, დახმარება სამუშაოს მოძებნაში და სხვა.

სამეურნეო საქმიანობის რეგულირება. ეფექტიანობის სოციალური პრინციპი მოგვცემს შედეგს იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფო რეგლამენტირების წესით ჩაერევა ეკონომიკურ პროცესებში, საბაზრო პროცესის არასასურველი შედეგების თავიდან აცილების მიზნით. სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის ძირითადი პრინციპია თავისუფლება და კონკურენცია განავითაროს იმდენად, რამდენადაც შესაძლებელი და აუცილებელია რეგულირება და ჩარევა.

ეკონომიკური პოლიტიკის სფერო სამ ნაწილად იყოფა: რეგლამენტირების, პროცესების მართვისა და სტრუქტურულ პოლიტიკად. რეგლამენტირების პოლიტიკას მიეკუთვნება სამართლებრივი წესრიგი (მაგალითად საკუთრების შესახებ, კონკურენციის უფლება და მართვაში მონაწილეობის უფლება). ფულადი და საკრედიტო მიმოქცევის სისტემა, შრომის ბაზრის რეგულირება, სოციალური დაზღვევა და სხვა. მაგალითად, გერმანიაში ფედერალური ბანკი არ ემორჩილება ფედერალურ ხელისუფლებას, პრინციპულად იკრძალება საწარმოს საქმიანობა, რომელიც მიმართულია კონკურენციის შეზღუდვისაკენ, საზღვარგარეთთან ეკონომიკური კავშირები საჭიროებს მთავრობის განსაკუთრებულ ნებართვას. ფულზე მოთხოვნილების გამოცოცხლების მიზნით მთავრობის მიერ შემცირებულია პროცენტი საბანკო კრედიტზე. აკრძალულია ზოგიერთი ფირმების გაერთიანება ბაზარზე მონოპოლიის მოპოვების მიზნით და პირიქით, მიესაღმება ისეთი ფირმების ეკონომიკურ გაერთიანებას, რომელთაც შეუძლიათ გააძლიერონ კონკურენტუნარიანობა მსოფლიო ბაზარზე.

სტრუქტურული პოლიტიკის ამოცანაა სახალხო მეურნეობრივი სტრუქტურის ცვლილება. სახელმწიფო აძლევს ცალკეულ დარგებს სუბსიდიებს და დოტაციებს შიგა კონკურენციისაგან დასაცავად.

1.2 სახელმწიფოს როლი შერეულ საბაზრო ეკონომიკაში

კაპიტალიზმის წარმატებით განვითარებას ხელს უწყობს ეკონომიკური ძალები, მაგრამ მეორეს მხრივ თუ ისინი მოქმედებენ უკონტროლოდ მათ შეუძლიათ სერიოზული სიძნელეები შეუქმნან ადამიანთა ცალკეულ ჯგუფებსა და მოსახლეობას. ამ პრობლემათა გადაწყვეტა

მოითხოვს სახელმწიფო ჩარევას, რაც შესაძლებელია მოხდეს სამი ძირითადი ფორმით: შეზღუდვებისა და წესების შემოღება, მოსახლეობისათვის საზოგადოებრივი სიკეთის გამოყოფა და გადასახადებზე შეღავათები; კონკურენციის ხელისშეწყობა; ეკონომიკის სტაბილიზაციის უზრუნველყოფა.

! კანონებისა და ნორმატივების დაწესება. კაპიტალისტურ საზოგადოებაში ბაზარი არ აძლევს მეწარმეს განუსაზღვრელ მოქმედების თავისუფლებას. მაგალითად, როგორც მომხმარებელი მას არ შეუძლია იყიდოს ზოგიერთი მედიკამენტი ექიმის რეცეპტის გარეშე, ნარკოტიკებით ვაჭრობა, ალკოჰოლური სასმელები შეუძლიათ იყიდონ განსაზღვრული ასაკის მოქალაქეებს. „წმინდა“ კაპიტალიზმის პირობებშიც კი არსებობს საკუთრების უფლების შეზღუდვა. მაგალითად, ყველას არ შეუძლია იყიდოს ცეცხლსასროლი იარაღი, ააშენოს ფაბრიკა საცხოვრებელ კვარტალში.

! ზოგიერთი კანონები ზღუდავენ საწარმოთა საქმიანობას, მიწის გამოყენებასა და საწარმოს განთავსებას, ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების წესებისა და ეკოლოგიის დაცვას, მუშაკის სამუშაოზე მიღებისას რასობრივ დისკრიმინაციას, კონკურენტთა შეთანხმებას მაღალი ფასების დასაცავად. ზოგიერთი წესები და შეზღუდვები ეხება ცალკეულ დარგებსა და საქმიანობას. მაგალითად: ექიმებსა და დალაქებს ჰქონდეთ სპეციალური მოშადატა. გარდა ამისა კომპანიები და ფირმები ვალდებული არიან თავისი მოგების ნაწილი გაუყონ სახელმწიფოს.

მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა. მეწარმე თავისი სურვილით არ დააფინანსებს იმ ხარჯებს, რაც საჭიროა საზოგადოებისათვის თავდაცვის, განათლების, კულტურის, საქენსიო უზრუნველყოფის, სასწრაფო დახმარების, პოლიციის, სახანძრო და სხვა სამსახურებზე. გარდა ამისა უმუშევარი მოქალაქენი, ბავშვები და მოზუცები საჭიროებენ მუდმივ დახმარებას. ამიტომ სახელმწიფომ იძულების წესით უნდა ამოიღოს აღნიშნული თანხები მეწარმეთა შემოსავლებიდან და გადაანაწილოს იგი საზოგადოების სოციალურად დაუცველ მოქალაქეებსა და სამსახურებზე.

კონკურენციის ხელის შეწყობა. ! კონკურენცია ხელს უწყობს ეკონომიკის აღმავლობას, ამიტომ სახელმწიფო აწესებს კანონებსა და ნორმატივებს კონკურენციის განვითარების ხელშეწყობად. სახელმწიფოს კანონები და ნორმატივები ზღუდავენ ფირმების მეტისმეტ გამსხვილებას,

რათა მათ არ მოახდინონ ფასებზე ზეგავლენა და ამით არ დაარღვიონ თავისებური ბაზრის ფუნქციონური სისტემა. ხშირად ადგილი აქვს რამდენიმე ფირმის გაერთიანებას ერთ დარგში — ე.წ. ოლიგოპოლიას, რომელიც კანონით აკრძალული არაა, მაგრამ მათ ეკრძალებათ ერთმანეთთან შეთანხმება მონოპოლიური ფასების დაწესებაში.

სახელმწიფო ატარებს ღონისძიებებს რომელიმე დარგში ან ბაზარზე მონოპოლიების შექმნისათვის. მონოპოლიები — არის კომპანია, რომელიც სრულიად აკონტროლებს საქონლის წარმოებასა და მასზე ფასებს და უფლებას არ აძლევს სხვა ფირმებს აწარმოოს იგი. ზოგიერთი მონოპოლიები დაშვებულია კანონით, მაგრამ სახელმწიფო მკაცრად აკონტროლებს მათ საქმიანობას. აშშ ამჟამად მონოპოლიები აკრძალულია ფედერალური მთავრობის მიერ. ზოგჯერ ოლიგოპოლისტებისაგან ბაზრის დასაცავად სახელმწიფო მათი მაღალფასიანი პროდუქციის ნაცვლად საზღვარგარეთ იძენს იაფფასიან შემცვლელებს და აწვდის შიგა მომხმარებლებს. მაგალითად, ძვირად ღირებულ სპილენძის მავთულის ნაცვლად ოპტიკო-ბოჭკოვანი კაბელის შემოტანა კავშირგაბმულობისათვის:

ზოგიერთი საზღვარგარეთის ქვეყნები ამჯობინებენ ჭინდეთ რამდენიმე მსხვილი კომპანია, რომლებიც წარმატებით უწევენ კონკურენციას მსოფლიო ბაზარს და წარმატება მოაქვს ეროვნული ეკონომიკისათვის.

ეკონომიკის სტაბილიზაცია. : ქვეყნის ეკონომიკური საქმიანობა ცვალებადია, იგი ხშირად ფართოვდება ან მცირდება, ისეთი ფაქტორების გავლენით როგორცაა ახალი ტექნოლოგია, ინვესტიციის სტრუქტურის ცვლილება, მომხმარებლის გემოვნების ცვლილება, მსოფლიო მოვლენები და ეკონომიკური ძალების მოქმედება, 1954 წლიდან მსოფლიოს ეკონომისტების მიერ აღრიცხულია 31 ეკონომიკური ციკლი, რომელიც ახასიათებდა ამერიკის ეკონომიკის აღმავლობას და დაცემას. ჩვეულებრივ აღმავლობის პერიოდი შეადგენდა სამ წელს, ხოლო დაცემის 1 წელს. ეკონომიკური დაცემის პერიოდში სახელმწიფო იძულებულია შეამციროს წარმოების პროცესი და დაითხოვოს მუშები, რაც საბოლოოდ იწვევს უმუშევრობას და საქონლის გასაღების შემცირებას. /სახელმწიფო ეკონომიკის სტაბილიზაციის მიზნით იყენებს საგადასახადო პოლიტიკას, რომლის მიზანია სახელმწიფოს შემოსავალ-გასაკელების ცვლილება ეკონომიკური ზრდის სტიმულირებისათვის. ფულადსაკრედიტო სისტემა გამოიყენება ფულად სახსრების მასის მიმოქცევის კონტროლისათვის. აშშ მთელი სახელმწიფო შემოსავლების 60%-ზე მეტი შედის ფედერა-

ლური მთავრობისაგან, 40% კი შტატებისა და ადგილობრივი ორგანოების მიერ. სამაგიეროდ ფედერალური მთავრობა თავისი შემოსავლების უმეტეს ნაწილს გადასცემს შტატების მთავრობასა და ადგილობრივ ორგანოებს და მხოლოდ 54% იტოვებს თავის განკარგულებაში. გადასახადების საერთო თანხა შეადგენს მთლიანად ეროვნული პროდუქტის 30%. მათ შორის ერთ მესამედს შეადგენს პირადი სამშემოსავლო გადასახადი, 27% სოციალური დაზღვევის ანარიცხები, მესამე ადგილზეა (16,4%) აქციზის გადასახადები, კორპორაციის მოგებიდან გადასახადები შეადგენს 8%.

სახელმწიფოს მოქმედება რესურსების განაწილებაზე. სახელმწიფო სტრუქტურები იძენენ და აწარმოებენ მრავალ საქონელს და ეწევიან მომსახურებას, როგორცაა თავდაცვა, განათლება, გზები, პარკები, ემსახურებიან ფირმებს და საოჯახო მეურნეობას. თავდაცვის ხარჯებს უშუალოდ სახელმწიფო ფარვს, ხოლო ტრანსპორტისა და მგზავრობის გადასახადებს მოსახლეობა. სახელმწიფო სტრუქტურები, ისე, როგორც კერძო ფირმები თვითონ წყვეტენ, თუ რა უნდა აწარმოონ და რა უნდა გაყიდონ. მრავალ ქვეყანაში სახელმწიფოს საკუთრებაშია ტელეკომპანიები, ელექტროენერჯის განაწილება. ამერიკის ზოგიერთ შტატში, მხოლოდ სახელმწიფო მალაზიებს აქვთ უფლება ივაჭრონ ალკოჰოლიანი სასმელებით. ზოგიერთ ქვეყანაში სახელმწიფოს აქვს თამბაქოს ნაწარმით ვაჭრობის მონოპოლია.

ხარჯებისა და გადასახადების, როგორც ეკონომიური ბერკეტების გამოყენების მეშვეობით სახელმწიფო ასრულებს წამყვან როლს ქვეყნის რესურსების განაწილებაში.

სახელმწიფო სამართლებრივი სისტემით და რეგულირებით ცვლის ზოგიერთი ფირმის შემოსავალს და გადაცემს მას სხვას. სახელმწიფო საგადასახადო სისტემით ირიბად მოქმედებს რესურსების განაწილებაზე, ფასებზე და მათი წარმოების მასშტაბებზე. მაგალითად, როცა სახელმწიფო გადასახადით ბეგრავს სიგარეტს, ამით იგი მთლიანად ამცირებს სიგარეტის წარმოებას. როცა იგი საქონელზე აძლევს სუფსიდიებს, მაგალითად რძეზე, ამით იგი ადიდებს ამ საქონლის წარმოებას. |

მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით არაკომერციული ორგანიზაციების მიერ მიღებული მოგება არ შეიძლება განაწილებული იქნას მის წევრებს შორის, არამედ იგი უნდა წარიმართოს მისი ძირითადი საქმიანობისათვის. მაგალითად, სკოლა, რომელიც თავის შენობას აძლევს ბანკს იჯარით, მიღებულ შემოსავალს ახმარს არა დამატებით მოხმარებაზე, არამედ

სკოლის შენობის რემონტსა და სასწავლო პროცესის სრულყოფისათვის.

1 საქართველოში სახელმწიფო საწარმოთა ბაზაზე შეიქმნა არენდული საწარმოები, რომლებიც გადადიან არენდატორის საკუთრებაში არენდული ხელშეკრულების გასვლის შემდეგ. არენდა გამოსყიდვით პრივატიზების პროცესის წინა პირობაა. არენდის წესით გამოსყიდული ქონება ნაწილდება კოლექტივის წევრებზე. ამ შემთხვევაში იქმნება კოლექტიური საწარმო, რომლის ყველა წევრი საერთო ქონების მონაწილეა. ქონების განაწილება ხდება საწარმოს წევრთა სტაჟისა და ხელფასის მიხედვით. საქართველოში არენდის წესით საწარმოთა გამოსყიდვა მოხდა 1988–1991 წლებში. ასეთ საწარმოთა რიცხვს მიეკუთვნება მსუბუქი და კვების მრეწველობის საწარმოები.

საწარმოებს შეუძლიათ ნებაყოფლობით ხელშეკრულების საფუძველზე გაერთიანდნენ კონცერნებში, კონსორციუმებში, კორპორაციებში, სინდიკატებში, სამეურნეო ასოციაციებში და სხვა ინტეგრაციულ სტრუქტურებში, სამეწარმეო ასოციაციებსა და კავშირებში.

თავი II. მეწარმეობა როგორც სოციალურ-ეკონომიკური სისტემა

2.1 მეწარმეობის არსი, მისი მიზნები და ამოცანები

ვიდრე განვიხილავდეთ მეწარმეობის ცნებას და მეწარმეთა საქმიანობას საჭიროა განვსაზღვროთ მეწარმეთა მოქმედების სფეროები.

ქვეყნის ერთობლივი ეროვნული პროდუქტი იქმნება სახელმწიფო და კერძო სექტორში. საბაზრო ეკონომიკის პირობებში წამყვანი ადგილი უკავია კერძო სექტორს. აშშ-ში 1985 წლისათვის ერთობლივი ეროვნული პროდუქტის 88% წარმოებული იყო კერძო სექტორში, სახელმწიფო სექტორზე კი მოდიოდა 12%.

რიგ შემთხვევებში სახელმწიფო თავისი საქმიანობის სფეროებს უთმობს მეწარმეებს. მეწარმები თავის მხრივ ცდილობენ ეს ფუნქციები თეთონ აიღონ თავის ხელში, რომლებიც ადრე ტრადიციულად ეკუთვნოდა სახელმწიფო ხელისუფლებას. აშშ-ში კერძო ფირმები განაგებენ საჯარო ბიბლიოთეკებს, სამხედრო აეროდრომებს. სიეტლში (ვაშინგტონის შტატში) კერძო ფირმებმა იკისრა ქალაქის ნაგავის უტილიზაცია და მათი გადამუშავება. ტეხასის შტატში კერძო პირებს გადაეცა საპყრობილებები, ღენვერში (კოლორადოს შტატი) 21% სახელმწიფო სატრანსპორტო გადაზიდვებს აწარმოებს კომერციული ფირმები, ხოლო „მაკდონალდ“-ი თავისი ბურგერებით ამარაგებს 400 სამხედრო ბაზას და სხვ. სახელმწიფო დარწმუნებულია, რომ კომერციული ფირმები თავისი მაღალეფექტიანობის გამო უკეთეს მომსახურებას გაუწევენ ეკონომიკის ამ სფეროებს, ვიდრე სახელმწიფო. აღნიშნული ერთჯერ კიდევ მიგვითითებს მეწარმეობის უპირატესობაზე ეკონომიკის სფეროში სახელმწიფო სექტორთან შედარებით.

მსოფლიოს მეცნიერ ეკონომისტების უმეტესი ნაწილი წარმოების ფაქტორებად დღემდე თვლიდნენ მხოლოდ მიწას, შრომას და კაპიტალს. საქმე ისაა, რომ აღნიშნული ფაქტორები მოქმედებდნენ ყველა საზოგადოებრივ ფორმაციაში და ეკონომიკურ სისტემებში, მაგრამ წარმოების შედეგი ამ სისტემებში და ფორმაციებში მკვეთრად განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან. მატერიალური დოვლათის წარმოება ყოველთვის არაა დამოკიდებული მარტო ამ ფაქტორებზე. პრაქტიკამ დაგვანახა, რომ ზოგჯერ ის ქვეყნები უფრო მეტ დოვლათს ქმნიან, ვისაც ეს ფაქტორები

მაქსიმალურად შეზღუდული აქვთ, ვიდრე ის ქვეყნები, რომელთათვის ეს ფაქტორები შეუზღუდავია, მატერიალური დოვლათის წარმოება დამოკიდებულია არა მარტო წარმოების ფაქტორებზე, არამედ ამ ფაქტორთა გონივრულ გამოყენებაზე, იმ ადამიანთა უნარზე, გამჭრიახობასა და ინიციატივაზე, რომლებიც ეწევიან სამეწარმეო საქმიანობას. ამიტომ საწარმოო ფაქტორთა რიცხვს გარდა მიწის, კაპიტალისა და შრომისა უნდა მივაკუთვნოთ ასევე ადამიანთა მეწარმეობის უნარი.

ბიზნესი, კომერცია და მეწარმეობა საბაზრო ეკონომიკასთან დაკავშირებული ერთმანეთისაგან განსხვავებული ტერმინებია.

ბიზნესი ინგლისური სიტყვაა და ნიშნავს საქმეს, დასაქმებას, შემოქმედებას. როგორც პროფესორი დ. ძნელაძე განმარტავს „ბიზნესი პირდაპირი გაგებით საქმეს ნიშნავს და ამ თვალსაზრისით შეიძლება ვიხმაროთ ეკონომიკური მოღვაწეობის ყველა სფეროში, იქნება ეს წარმოება, ვაჭრობა, საფინანსო სისტემა, თუ სხვა“. ბიზნესმენი პრაქტიკულად შეიძლება იყოს, როგორც მეწარმე, ისე ვაჭრობის ან მომსახურების სფეროს მუშაკი, ფინანსისტი, ბროკერი და სხვა.

მეწარმეობა კი შესაძლებელია მატერიალური წარმოების სფეროში და იგი სამეურნეო საქმიანობას გულისხმობს. მეწარმე ქმნის მატერიალურ დოვლათს. იგი ეწევა საწარმოო საქმიანობას.

კომერცია დაკავშირებულია ვაჭრობის სფეროსთან. კომერსანტს უწოდებენ ვაჭრობის, გასაღებისა და მომარაგების სფეროს მუშაკებს. კომერციის მუშაკი შუამავალია მეწარმესა და მომხმარებელს შორის. იგი ძირითადად ვაჭრობის სფეროთია დაკავებული.

ბიზნესი აერთიანებს ეკონომიკური საქმიანობის მრავალ სფეროს, მასში იგულისხმება სხვადასხვა ორგანიზაციულ-სამართლებრივი სტატუსის მქონე ფირმები. მათი საერთო ნიშანია წარმოების საშუალებებზე საკუთრება. საკუთრების ფორმის მიხედვით ბიზნესის სტრუქტურები სამ კატეგორიად იყოფა: ერთპიროვნული კომპანიები, პარტნიორული ფირმები და კორპორაციები. ერთპიროვნულ კომპანიას ერთი მფლობელი ჰყავს, პარტნიორულ ფირმებსა და კორპორაციებს კი რამდენიმე. მათი საკუთრება კოლექტიურია და მოგების განაწილებაც რამოდენიმე მესაკუთრეზე ხდება. ამჟამად ბიზნესი თავის მასშტაბების მიხედვით ორ კატეგორიად იყოფა: 1. მსხვილი ბიზნესი და 2. მცირე ბიზნესი. მსხვილ ბიზნესში გაერთიანებული არიან მსხვილი კორპორაციები. მათი უმრავლესობა წარმოადგენენ სააქციო საზოგადოების ტიპის გაერთიან-

ნებებს. მცირე ბიზნესი უფრო გაერცელებული ფორმაა. უკანასკნელ წლებში მათი მასშტაბები სწრაფად განვითარდა და რამდენჯერმე აღემატება მსხვილ ბიზნესს. მსხვილ განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებში მცირე ბიზნესი შენატანები მთელი ეკონომიკის შემოსავლების 60-65%-ს შეადგენს.

მეცნიერ ეკონომისტები დიდი ხნის განმავლობაში გვერდს უვლიდნენ მეწარმეობას, როგორც (აღამიანის ამ აქტიურ შემოქმედებით საქმიანობის) წარმოების მნიშვნელოვან ფაქტორს, განსაკუთრებით კი საბჭოთა საზოგადოებათმცოდნეები. უფრო მეტიც კერძო მეწარმეობა, კომერცია ითვლებოდა სამარცხვინო და კანონით აკრძალულ საქმიანობად. სიტყვა მეწარმეობა ს.ოჟეგოვის რუსული ენის განმარტებით ლექსიკონშიც კი არ იყო შეტანილი.

საზღვარგარეთის მეცნიერ-ეკონომისტთა შორის პირველად ამერიკელმა სპეციალისტებმა რობერტ ხიზრიჩმა და მაიკლ პიტერსმა გამოიქვეყნეს წიგნების სერია „მეწარმეობის“ სახელწოდებით. მათი განმარტებით „მეწარმეობა“ არის რაიმე ახლის შექმნის პროცესი, რასაც გააჩნია ღირებულება, ხოლო „მეწარმე“ არის ადამიანი, რომელიც ხარჯავს მასზე მთელ ძალებს, თავის თავზე იღებს მთელ რისკს, სამაგიეროდ ღებულობს ჯილდოდ ფულსა და მიღწეულ კმაყოფილებას.

მეწარმეობის ცნებას კლასიკური ეკონომიკური თეორიების ავტორთა შრომებში მეთერამეტე საუკუნიდან ვხვდებით. ადამ სმიტის განმარტებით მეწარმე ნიშნავს მესაკუთრეს, რომელიც კომერციული იდეის საფუძველზე მოგების მიზნით ეწევა ეკონომიკურ რისკს, დაპოუცილებლად აწყობს წარმოებას და თვითონვე განაგებს მიღებულ შედეგებს. ი. შუპერტს მიაჩნია, რომ მეწარმე, მეურნის თავისებური სოციალურ-ფსიქოლოგიური ტიპია, რომლისთვისაც მთავარია გააანალიზოს და გამოიყენოს საბაზრო ურთიერთობის მრავალფეროვნების შესაძლებლობანი კომერციულ იდეათა ხორცშესასხმელად. მეწარმეს უნდა ახასიათებდეს სამი ძირითადი თვისება: ორგანიზატორული, შემოქმედებითი და სარესურსო (კაპიტალის, შრომითი, მატერიალური და ინფორმაციული მობილიზაციის უნარი). თანამედროვე გაგებით მეწარმე ეს არის, ახალი საქმის დამწყები, ორგანიზატორი, ინიციატორი და მებრძოლი, გამჭრიახი, აქტიური, რისკიანი და უნარიანი, რომელსაც შესწევს უნარი დასძლიოს გარემოს წინააღმდეგობანი თავის საქმეში.

მეწარმე ამ სიტყვის ზუსტი განმარტებით არის საქმიანი ადამიანი, რომელიც გამოირჩევა ბაზარზე თავისი ძიების ხასიათით. მეწარმეობა ეს არის საწარმოს პერსონალის ორგანიზება სამეურნეო აქტივობის ახალი შესაძლებლობის გამოვლინებისათვის, ახალი ბაზრის ათვისების, ახალი საქონლის წარმოებაზე გადასვლისა და მომსახურებისათვის.

აუცილებელი არაა, რომ მეწარმე თვითონ მუშაობდეს საწარმოს ყველა პრობლემის გადაწყვეტაზე. ცალკეული ამოცანების გადაწყვეტა შეიძლება დელეგირებული იქნას სხვა პირზე. მეწარმე უნდა იყოს საწარმოს მუშაკთა შემოქმედებითი საქმიანობის, ფხიანობისა და ახალი იდეების წყარო.

მეურნე, მეწარმე არაა, ეს არის ცუდი მუშაკი, რომელსაც უღიმღამოდ და უშედეგოდ გააყავს სამსახურში რეგლამენტირებული საათები. მეწარმე ექებს და პოულობს წარმოების განვითარებისა და ეფექტიანობის ამაღლების ხარისხის გაუმჯობესებისა და მოგების ზრდის გზებს, მიუხედავად იმისი იგი შესაკუთრეა თუ დაქირავებული მუშაკი ამ წარმოებაში.

ბიზნესი ყოველთვის დაკავშირებულია გარკვეულ რისკთან. შესაკუთრე რისკს სწევს თავისი კაპიტალით. დაქირავებული მუშაკი — კარიერით და ხელფასით. მეწარმე — თავისი შემოსავლით მის მიერ გაწეული შრომისა და კაპიტალის საფასურით. მისი მუშაობის ხარისხი განისაზღვრება მიღებული შემოსავალით დახარჯულ კაპიტალზე. ამრიგად მეწარმეობა — სამეურნეო საქმიანობაა, რომელიც მიმართულია შემოსავლის მიღებაზე და მის განვითარებაზე.

უნდა განვასხვაოთ ერთმანეთისაგან მეწარმეობა მენეჯმენტისაგან, ხოლო მეწარმე მმართველისაგან. მეწარმე დამოუკიდებლად მოქმედებს თავისი რისკითა და შიშით, თავისი პასუხისმგებლობით (მათ შორის ქონებით). მენეჯერი შეიძლება იყოს დაქირავებული მუშაკი, რომელიც სელმძღვანელობს საწარმოს წინაშე მეწარმის მიერ დასახული ამოცანის რეალიზაციას. მას ნაკლები ქონებრივი პასუხისმგებლობა ეკისრება ვიდრე წარმოების სელმძღვანელ — მეწარმეს.

მეწარმე ყოველთვის კაპიტალის მფლობელი არ არის, მაგრამ იგი ყოველთვის მენეჯერია.

მეწარმეს ყველა ზემოთ ჩამოთვლილი თვისებების გარდა მოეთხოვება ნდობა, ღირსება, პატიოსნება, პირობის დაცვა. როგორც იტყვიან მეწარმე „სიტყვის კაცი“ უნდა იყოს, თუნდაც ერთჯერ მიცემული „სიტყვის

გატეხა" დაბლა სცემს მის ნდობას, ამცირებს რეპუტაციას და მეწარმეთა შორის იმსახურებს არა სანდო პარტნიორის სახელს, რაც მეწარმის გაკოტრებას ნიშნავს.

ფირმა რომელიც ჯეროვან ყურადღებას არ უთმობს მეწარმეობას, მოუქნელი მართვის გამო, კარგავს ბაზარზე პოზიციას.

-სამეწარმეო საქმიანობის დაწყება საპასუხისმგებლო საქმეა. იგი დაკავშირებულია გარკვეულ ეკონომიკურ რისკთან, ამიტომ მეწარმეობის დაწყებამდე მეწარმემ კარგად უნდა გაიაზროს, თუ რა უნდა აწარმოოს; რით შეავსებს ბაზარს, არის თუ არა ამ საქონლის გასაღების პერსპექტივა? ან რა საქმიანობას შესთავაზებს იგი ბაზარს? ერთი სიტყვით წინასწარ უნდა განესაზღვროთ იდეა, რა გვსურს. კარგად მოფიქრებული იდეა საქმის ნახევარს ნიშნავს, ვინაიდან მასზედ არის დამოკიდებული ბიზნესში წარმატება. იდეის შერჩევა მოითხოვს ბაზარზე მოთხოვნილების შესწავლას, რაც შესაძლებელია ინფორმაციის მიღება-დამუშავების, პირადი დაკვირვებისა და ინტუიციის მეშვეობით.

ნაჩქარეად, დაუფიქრებლად და მოუმზადებლად ბიზნესის დაწყება ხშირად მარცხით მთავრდება. სწორედ ამის გამო ევროპისა და აშშ ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებში ყოველწლიურად ათასობით წერილი და საშუალო საწარმოები კონკურენციის ზეგავლენით იხურებიან და მათ ნაცვლად ახალი საწარმოები და ფირმები აღმოცენდებიან.

მეწარმეობის საქმიანობის გასაცნობად საჭიროა ვიცოდეთ თუ როგორია მისი გარემო პირობები. როგორც ცნობილია ბიზნესში ჩაბმულია მთელი საზოგადოება. საკუთრების მფლობელი და არა მფლობელი, ცალკეული ფიზიკური პირები და კოლექტივები ითვლებიან მეწარმეებად, რომლებიც თავის ეკონომიკურ საქმიანობას ეწევიან მოგების მიღების მიზნით. მათი საქმიანობა სასარგებლო უნდა იყოს, როგორც მათთვის ასევე მთელი საზოგადოებისათვის.

(მეწარმეობის მამულები, მასში დასაქმებულთა რაოდენობის მიხედვით და წარმოებული პროდუქციის ან მომსახურებას რაოდენობით შეზღუდული არაა. მეწარმეობისათვის საჭიროა წარმოების საშუალებები, რომლებიც ერთ შემთხვევაში შეიძლება იყოს მეწარმის საკუთრება ან დაქირავებული არენდის წესით. მეწარმე ასევე შეიძლება იყოს დაქირავებულიც, შრომის იარაღის ფლობის გარეშე. ამ შემთხვევაში იგი დებს ხელშეკრულებას მესაკუთრესთან მის საწარმოში სამეურნეო საქმიანობის გაძღოლის შესახებ.)

მეწარმეობა ჩვენს ქვეყანაში ახალი საქმეა. იგი სათანადოდ მომზადებულ კადრებს მოითხოვს. საჭირო ხდება მეურნეობის გაძლიერების ახალი მეთოდების, ქცევის წესებისა და ურთიერთობის ფორმების ათვისება. განსაკუთრებით ყურადღება უნდა მოვაქციოთ ძველი პატიოსნების, ღირსების, ნდობისა და რეპუტაციის აღდგენას. ამ თვისებათა გარეშე მეწარმე ვერ დაიმკვიდრებს სათანადო ადგილს საბაზრო ეკონომიკაში.

სამეწარმეო საქმიანობა რეგულირდება სათანადო კანონმდებლობით. სახელმწიფო ქმნის სამეწარმეო საქმიანობის იურიდიულ ბაზას და იცავს მას. მეწარმეობის სამართლებრივი უზრუნველყოფა სახელმწიფოს ერთ-ერთი მთავარი ფუნქციათაგანია საბაზრო ეკონომიკაში. სახელმწიფო ადგენს მეწარმეობის სამართლებრივ ფორმებს, განსაზღვრავს სამეურნეო საქმიანობის ნორმებს. მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით მეწარმე დამოუკიდებელია ორგანიზაციულად. იგი არავის არ ემორჩილება და არაინ ერევა მის საქმიანობაში. მისი საქმიანობა შემოიფარგლება სახელმწიფო კანონმდებლობით.

მეწარმეობის ყოველი ფორმა განისაზღვრება იურიდიული სტატუსის მიხედვით. იურიდიული პირის უფლებრივი სტატუსის მქონე საწარმო თავისი ვალდებულებით კლიენტებთან პასუხს აგებს თავისი ქონებით — ბალანსის აქტივებით. არა იურიდიული პირის მქონე სტატუსის საწარმო პასუხს აგებს არა მარტო საკუთარი ქონებით, არამედ იმ ქონებითაც, რომელიც სამეურნეო ურთიერთობის მონაწილე საწარმოთა მფლობელობაშია.

სამეწარმეო საქმიანობაში ყველა იურიდიულ-სამართლებრივი სტატუსის საწარმო თანაბარი უფლებით სარგებლობენ საკუთრებითი ურთიერთობის, მიმოქცევისა და რესურსების მოხმარების სფეროში. გამოჩენის აწესებს სახელმწიფო ზოგიერთი პროდუქციის წარმოებისა და რესურსების მოხმარების მიმართ: მაგალითად იარაღისა და ნარკოტიკების წარმოება და გასაღება, ასევე შეზღუდვები ჯანმრთელობისა და ეკოლოგიური თვალსაზრისით.

სამეწარმეო საქმიანობისათვის საჭიროა ლიცენზია, რომელიც უზრუნველყოფს საზოგადოებას ხარისხიანი პროდუქციისა და ჯანმრთელობისათვის სასარგებლო პროდუქციით და ბოლოს მეწარმეობისათვის აუცილებელია სამეურნეო სამართალი, რომელიც მოიცავს როგორც სამოქალაქო, ისე სისხლის სამართლის ნორმებს და აწესრიგებს ქვეყანაში

სამეურნეო საქმიანობის საფუძვლებს. სამეწარმეო საქმიანობის სამართალი სამეურნეო სამართლის უმნიშვნელოვანესი ნაწილია. იგი განსაზღვრავს ცალკეულ მეწარმეთა და სამეწარმეო საზოგადოებათა მოქმედების საფუძვლებს.

2.3 მეწარმეობის ფორმები

ნებისმიერი სამეწარმეო საქმიანობა შესაძლებელია საწარმოს განსაზღვრული ორგანიზაციული ფორმის ჩარჩოებში. მეწარმის მიერ საწარმოს ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის შერჩევა სხვადასხვა ფაქტორზეა დამოკიდებული. ასეთ ფაქტორთა რიცხვს მიეკუთვნება: საქმიანობის სფერო; ფულადი სახსრების რაოდენობა; საწარმოს ამა თუ იმ ფორმის ღირსება; ბაზრის მდგომარეობა.

მეწარმეობის ფორმა არის იმ ნორმების სისტემა, რომელიც განსაზღვრავს ერთის მხრივ პარტნიორთა შინაგან დამოკიდებულებას და მეორეს მხრივ ამ საწარმოს დამოკიდებულებას სხვა საწარმოებთან და სახელმწიფოსთან. მეწარმეობის სხვადასხვა ფორმებია საკუთრების მიხედვით: ინდივიდუალური, კოლექტიური და სახელმწიფო საწარმოები. თავისი მასშტაბებისა და მოცულობის მიხედვით: მცირე, საშუალო და მსხვილმასშტაბიანი საწარმოები.

საქართველოს რესპუბლიკის კანონი მეწარმეთა შესახებ ითვალისწინებს მეწარმეობის შემდეგ ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმებს: ინდივიდუალური საწარმო, სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება (სპს), კომანდიტური საზოგადოება (კს), შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შპს), სააქციო საზოგადოება (სს) და კოლპერატივი.

როგორც ცნობილია სახელმწიფოს განმგებლობაში დატოვებული რიგი სტრატეგიული დანიშნულების საწარმოები. ასეთ საწარმოებს მიეკუთვნება სახელმწიფო საწარმოები. ასეთი საწარმოები შეიძლება შექმნილი იქნან ასევე ადგილობრივი ორგანოების მიერ (სახაზინო საწარმო). სახელმწიფოს ან მმართველობის ადგილობრივი ორგანოების გადაწყვეტილებით შესაძლებელია სახაზინო საწარმოს გარდაქმნა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებად. საწარმო რომელშიდაც 50 წევრზე მეტია, უნდა შეიქმნას მხოლოდ სააქციო საზოგადოება.

საწარმოს რეგისტრაცია აუცილებელია სამეწარმეო რეესტრში, რის შედეგადაც იგი ითვლება უფლება მოვალეობათა სუბიექტად.

ზემოთ ჩამოთვლილი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმებიდან ინდივიდუალური მეწარმე ითვლება ფიზიკურ პირად, ხოლო დანარჩენი კი იურიდიულ პირებად. ინდივიდუალური მეწარმის კაპიტალი არ გამოიყოფა ცალკე მისი ქონებისაგან. რისკი ვრცელდება მთლიანად მის ქონებაზე. ინდივიდუალურ მეწარმეებს ბიზნესში უმნიშვნელო ადგილი უკავიათ.

ყოველი საწარმოს დაფუძნებისათვის აუცილებელია საწარმოს დამფუძნებელი საერთო კრების გადაწყვეტილება და წესდება, რომელიც რეგისტრირებული უნდა იყოს სახალხო სასამართლოში, საგადასახადო და საფინანსო ორგანოებში და დამოწმებული ნოტარიუსის მიერ. წესდებას ამტკიცებს საწარმოს ხელმძღვანელი. თუ საწარმო მიეკუთვნება კავშირს ან ფონდს, მაშინ მას უნდა ერთვოდეს პარტნიორთა გვარები, საწარმოს დაფუძნებისათვის შეტანილი წილი და თითოეულის ხედრი წილი საწესდებო კაპიტალში.

2.3.1 სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება

სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება (სპს) არის ისეთი მეწარმეობის ორგანიზაციული ფორმა, რომელიც აერთიანებს რამოდენიმე ფიზიკურ პირს, როგორც პარტნიორებს და ეწევიან არაერთჯერად დამოუკიდებელ მეწარმეობას. თითოეული პარტნიორი პასუხს აგებს სოლიდარული საზოგადოების ვალდებულებებისათვის კრედიტორების წინაშე, როგორც მოვალეები უშუალოდ, პირდაპირ, მთელ ვალდებულებებზე, შეუზღუდავად მთელი თავისი ქონებით. ამავე დროს პარტნიორები შეიძლება იყვნენ მხოლოდ ფიზიკური პირები.

სპს უმაღლესი მართვის ორგანოა პარტნიორთა კრება. კრების გადაწყვეტილებით სპს ხელმძღვანელობს ერთერთი პარტნიორი. საზოგადოების ლიკვიდაცია შეიძლება ვადის გასვლის შემდეგ პარტნიორთა ან სასამართლოს გადაწყვეტილებით.

პარტნიორს შეუძლია გაასხვისოს თავისი წილი კაპიტალი, თუ ყველა დანარჩენი პარტნიორი წინასწარ განაცხადებს თანხმობას. წილი კაპიტალის დათმობისას ხელშეკრულება მოწმდება სანოტარო წესით, თანდართული პარტნიორთა თანხმობის საბუთით.

საზოგადოებიდან პარტნიორის გარიცხვის შემთხვევაში მისი წილი დაემატება საზოგადოების სხვა წევრებს, გარიცხული პარტნიორი თავისუფლდება საზოგადოების ვალებისაგან და უხდიან იმ თანხას, რასაც იგი მიიღებდა საზოგადოების ლიკვიდაციის შემთხვევაში. საზოგადოების ღირებულება უნდა შეფასდეს იმ დღისათვის, როცა საზოგადოებიდან გასვლა ძალაში შედის. უმემკვიდრეოდ დარჩენილი პარტნიორის ქონება გადანაწილება საზოგადოების სხვა დანარჩენ პარტნიორებზე, ხოლო თუ მას დარჩა მემკვიდრეები მათ მიეკუთვნება მემკვიდრის წილი.

2.3.2 კომანდიტური საზოგადოება

საზოგადოება, რომელშიც რამდენიმე პირი ერთობლივად, ერთიანი საფირმო სახელწოდებით ეწევა არაერთჯერად, დამოუკიდებელ მეწარმეობას, არის კომანდიტური საზოგადოება. თუ ერთი ან რამდენიმე პარტნიორის პასუხისმგებლობა საზოგადოების კრედიტორების წინაშე განსაზღვრული საგარანტიო თანხის გადახდით შემოიფარგლება (კომანდიტები), ხოლო სხვა პარტნიორების პასუხისმგებლობა შეზღუდული არ არის (პერსონალურად პასუხისმგებელი პარტნიორები-კომპლემენტარები).

კომანდიტური საზოგადოების მიმართ გამოიყენება სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების შესაბამისი წესები. კომანდიტები არ მონაწილეობენ საზოგადოების მართვაში. მათ არ შეუძლიათ გამოვიდნენ პერსონალურად პასუხისმგებელი პარტნიორების ქმედების წინააღმდეგ. კომანდიტი ზარალის მოზიარეა მხოლოდ თავის წილი კაპიტალით და ჯერ კიდევ გადაუხდელი შესატანის ოდენობით. კომანდიტის წილი მოგება დაერიცხება მის წილ კაპიტალს, ვიდრე ეს უკანასკნელი არ მიაღწევს შესატანის დათქმულ ოდენობას. კომანდიტი პასუხს აგებს კრედიტორების წინაშე სამეწარმეო რეესტრში მითითებული თანხის ოდენობით, თუ ეს თანხა უკვე შეტანილია.

კომანდიტის წილი შეიძლება გასხვიდეს ან გადაეცეს მემკვიდრეობით სხვა პარტნიორების თანხმობის გარეშე. წილის დათმობისათვის საჭიროა სანოტარო წესით დამოწმებული ხელშეკრულება.

2.3.3 შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შპს), რომელიც მთელი თავისი ქონებით პასუხს აგებს კრედიტორების წინაშე, ხოლო მისი პარტნიორი პასუხისმგებელია საწესდებო კაპიტალში მისი წილის ოდენობით, მისი დაფუძნება შეუძლია ერთ პირსაც. საწესდებო კაპიტალი უნდა შეადგენდეს ორი ათას ლარზე მეტს. შპს პარტნიორს შეუძლია მისი წილის გასხივება ან დათმობა რაც ფორმდება სანოტარო წესით დამოწმებული სათანადო ხელშეკრულებით. წილის გასხვივება შეიძლება განისაზღვროს საზოგადოების წესდებით და პარტნიორთა კრების გადაწყვეტილებით. შპს-ს მართავენ დირექტორები. შპს-ს მართვის უმაღლესი ორგანოა პარტნიორთა კრება, რომელიც მოწვეული უნდა იქნას წელიწადში ერთჯერ მაინც. პარტნიორთა კრება განსაზღვრავს სამეურნეო პოლიტიკის ძირითად პრინციპებს; წილთა შექმნის, გასხვივებისა და ლიკვიდაციის საკითხებს; ფილიალების შექმნისა და ლიკვიდაციის; წარმოების სამეურნეო საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის; ინვესტიციის; სესხებისა და კრედიტების აღების; მოგების განაწილების; დირექტორების დანიშნისა და გამოწვევის; მათთან ხელშეკრულების დადების. შეწყვეტის; წლიური ანგარიშების დამტკიცების და სხვა საკითხებს. შპს წესდებაში შეიძლება გათვალისწინებული იქნას სამეთვალყურეო საბჭოს შექმნა. ამ შემთხვევაში სამეთვალყურეო საბჭო მოქმედებს სააქციო საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოსთვის შემუშავებული წესებით.

შპს-ს პარტნიორებს უფლება აქვთ გაინაწილონ წლიური გაუნაწილებელი მოგება ნაშთის ჩათვლით და ზარალის გამოკლებით. აღნიშნული წესი გათვალისწინებული უნდა იყოს წესდებაში ან საჭიროა პარტნიორთა გადაწყვეტილება. წლიური მოგების ნაშთი პარტნიორთა შორის ნაწილდება მათი წილის პროპორციულად.

2.3.4 სააქციო საზოგადოება

სააქციო საზოგადოება იქმნება იმ საწარმოში სადაც 50 კაცზე მეტი მუშაობს. იგი ძირითადად იქმნება საშუალო და მსხვილ საწარმოებში. პრივატიზაციის შედეგად 1997 წლის ბოლოსათვის ასეთი ობიექტების 70% სახელმწიფოს ხელში დარჩა, როგორც ჩანს საშუალო

და მსხვილი საწარმოები ქართველი ბიზნესმენისათვის ნაკლებად მიმ-
ზიდველია. სააქციო საზოგადოებათა ჩამოყალიბებამ ხელი შეუწყო
საზოგადოების ფენებად დაყოფას. აქციონერების დროს საწარმოთა
ხელმძღვანელების დიდმა ნაწილმა ჩალის ფასად ხელში ჩაიგდო
საწარმოთა ქონება. სახელმწიფო ქონების განსახელმწიფოების პროცესში
ვაუნერების გამოყენებამ კიდევ უფრო გააღატაკა საწარმოში დასაქმებულ
მუშა-მოსამსახურეთა დიდი ნაწილი. მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფომ
მიიღო კანონი საწარმოთა ქონების საწარმოო კოლექტივის წევრებზე
მიყიდვის შესახებ. აღნიშნული კანონი საწარმოთა ხელმძღვანელების
მიერ უგულველყოფილი იქნა. უფრო ხშირად მათ მოტყუებით ან
ძალის გამოყენებით ხელში ჩაიგდეს საწარმოთა ქონება, რის შედეგად
არა, თუ არ ააშუშავეს წარმოება, არამედ პირიქით ხელოვნურად
გააჩერეს, დაითხოვეს მუშახელი და თითქმის უფასოდ შეძენილი ქონება
გააჩანაგეს. საწარმოს კოლექტივის ნებართვის გარეშე გაასხვიეს,
გააქირავეს და გაყიდეს. რის შედეგადაც უმუშევართა არმიას შეემატა
ათასობით ადამიანი. ქონების მართვის სამინისტროს მონაცემებით
პრივატიზებულ საწარმოთა 40-45% უმოქმედოა.

სააქციო საზოგადოება არის საზოგადოება, რომელსაც აქვს აქციებად
დაყოფილი საწესდებო კაპიტალი. შეზღუდული პასუხისმგებლობის
საზოგადოებასა და სააქციო საზოგადოება შორის განსხვავება ის
არის, რომ პირველ შემთხვევაში ადამიანები ერთიანდებიან ერთობლივ
სამუშაოსათვის, ხოლო მეორე შემთხვევაში ერთიანდება უპირველეს
ყოელისა კაპიტალი მისი ერთობლივი გამოყენებისათვის. ორივე
შემთხვევაში საზოგადოების წევრები პასუხს აგებენ სამეურნეო შედე-
გებისათვის თავისი შენატანების ფარგლებში.

სს იქმნება იურიდიულ და ფიზიკურ პირთა ნებაყოფლობითი გაერ-
თიანებით, რომლებიც აერთიანებენ თავის კაპიტალს და მიზნად ისახავენ
მრავების მიღებას საზოგადოების მათი პროდუქციით დაკმაყოფილების
გზით.

სს არის იურიდიული პირი, კრედიტორების წინაშე პასუხს აგებს
თავისი ქონებით, აქვს საკუთარი ქონება, რომელიც მთლიანად გამო-
ყოფილია ცალკეული აქციონერის ქონებისაგან. აქვს სააქციო კაპიტალი,
რომელიც დაყოფილია აქციებად.

სს აქვს რიგი უპირატესობანი: დამატებითი აქციების გამთშვებით
შეუძლია მიიღოს დამატებითი ინვესტიციები; მეწარმეობის რისკის

შემცირება მოქმედებს შეუზღუდავი ვადით, თუ სხვა რამ არაა განსაზღვრული წესდებით. საკუთრების წილის გადაცემა ხდება აქციების გაყიდვით. ახალი წევრების მიღება განისაზღვრება წესდებით.

სს მართვის ფუნქციას ასრულებს გამგეობა, რომელიც ირჩევს ღირეკტორს, მის მოადგილეს, მთ. ბუღალტერს და სხვა.

სს საწესდებო კაპიტალი შედგება აქციონერების შენატანი თანხისაგან. საწესდებო კაპიტალის ოდენობა განისაზღვრება დამფუძნებელთა მიერ საქმის დაწყებისა და სხვა საჭიროებისათვის ფულადი სახსრების ოდენობით. საზოგადოება პასუხს აგებს კრედიტორების წინაშე, არა მარტო საწესდებო კაპიტალით, არამედ მთელი ქონებით. სს განსაზღვრული აქვს საწესდებო კაპიტალის ზღვარი. საზოგადოების წევრის შენატანი შეიძლება იყოს ფულადი სახსრები, ასევე შენობები, ნაგებობები, მოწყობილობები და სხვა მატერიალური ფასეულობანი, გამოგონების, პატენტების, მიწითა და წყლით სარგებლობის უფლების ჩათვლით. ქონების ღირებულება განისაზღვრება საზოგადოების წევრთა საეროო კრების მიერ.

საზოგადოება ასევე ქმნის სარეზერვო ფონდს, რომელიც უნდა შეადგენდეს საწესდებო ფონდის 15%. სარეზერვო ფონდი ყალიბდება ყოველწლიურად მოგებიდან ანარიცხების ხარჯზე.

სს ქონება შეიძლება იყოს საწესდებო ფონდის ტოლი ან მასზე მეტი. თუ საზოგადოებამ მიიღო ზარალი რომელმაც გამოიწვია ქონების შემცირება მაშინ მომავალ წელს საზოგადოებამ მოგების ნაწილი უნდა გამოიყენოს საწესდებო ფონდსა და ქონებას შორის სხვაობის შესავსებად.

საწესდებო კაპიტალი იქმნება აქციებზე სახალხო ხელის მოწერით ან დამფუძნებლებს შორის აქციების განაწილებით. პირველ შემთხვევაში იქმნება ღია სს, ხოლო მეორე შემთხვევაში დახურული სს. ღია სს-ში აქციები შეიძლება გადავიდეს ხელიდან ხელში ერთი მფლობელიდან მეორეზე სხვა აქციონერთა თანხმობის გარეშე. დახურულ სს-ში აქციების გადაცემა სხვა პირზე ხდება, მხოლოდ საზოგადოების სხვა წევრთა თანხმობით.

საქართველოში სს შექმნის დროს საწარმოლო კოლექტივებს უპირატესობა მიეცათ ქონების გამოსყიდვაში. ქონების ნაწილის შესყიდვა მოხდა ვაუჩერების სახით. საწარმოლო კოლექტივებს მიეცათ გამოსასყიდი ქონების 20%-ის დათმობა. დანარჩენი ქონების 30% უნდა გამოესყიდათ ერთი წლის განმავლობაში.

საწარმოს გამოსასყიდი ქონების ღირებულებას მოქმედი მეთოდის საფუძველზე ადგენდა თვით საწარმო, ქონების ნარჩენი ღირებულების მიხედვით. ქონების აფასება ხდებოდა პირველადი ღირებულებით, ცვეთის გათვალისწინებით, ინფლაციის შესაბამის კოეფიციენტის გამოყენებით, რომელიც ქონების აფასების დროს შეადგენდა 300-ს.

საწარმოს გამოსასყიდი ქონების საერთო თანხას აკლდებოდა კოლექტივის წევრებზე უფასო და შეღავათიანი აქციების ღირებულება, რომელიც კოლექტივის თითოეულ წევრზე შეადგენდა 23 უფასო და 11 შეღავათიან აქციას თითოეული აქციის ღირებულება შეადგენდა 1,46 აშშ დოლარს.

1997 წლის 30 მაისს ძალაში შევიდა კანონი სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ. საწარმოთა სააქციო საზოგადოებად გარდაქმნა მოხდა პრივატიზების პროცესის მეშვეობით. საწარმოთა ქონების უმეტესი ნაწილი შეისყიდა ერთმა ან რამდენიმე წევრმა, უპირატესად კი კოლექტივის ყოფილმა ხელმძღვანელებმა. ასეთ საწარმოებში ქონების მხოლოდ 5%-მდე ეკუთვნის კოლექტივის წევრებს, ხოლო 25% ერთ ან რამდენიმე ხელმძღვანელს. მსხვილ საწარმოებში საწარმოთა კოლექტივებმა შესძლეს აქციების საკონტროლო პაკეტის 51% შესყიდვა, ხოლო დანარჩენი სახელმწიფოს ხელში დარჩა.

საშუალო და მსხვილი საწარმოების გარდაქმნა სააქციო საზოგადოებად მეტად ძნელად მიმდინარეობს. 1997 წლის პირველი ნახევრის მდგომარეობით ამ სახის ქონების 70% გაუყიდავი დარჩა. საქართველოში ამ პერიოდისათვის სააქციო საზოგადოებად უნდა გარდაქმნილიყო 1277 ობიექტი, ფაქტიურად გარდაქმნილი იქნა 1072. აქედან მრეწველობაში 208 საწარმოდან სს გარდაიქმნა 201. პრივატიზების პროცესში მონაწილეობა მიიღეს უცხოურმა ინვესტორებმა, მაგალითად: „ჯორჯიან გლას უნდ მინერალ ვოთერ კომპანიმ“ შეიძინა ბორჯომის მინის ტარის აქციები. საინვესტიციო კომპანიამ „ჯი აი-ვი“ განათავსა თავისი კაპიტალი ნაეთობპროდუქტების, საამშენებლო, კვების მრეწველობის და ტურიზმის ობიექტებში ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში, „მარტინ ბაუერმა“ კაპიტალი განათავსა ჩაის მრეწველობაში. მათ შეიძინეს საბარათო აუქციონებზე გამოტანილი აქციების 20 პროცენტი. უცხოელთა სრული წილი საშუალო და მსხვილი საწარმოების შესყიდვაში დაახლოებით ოთხი პროცენტია, რაც გაცილებით ნაკლებია უნგრეთის, ესტონეთის, ჩეხეთის და ზოგიერთი პოსტსაბჭოთა სივრცის ქვეყნების მარჩენებლებზე.

აქციები. აქცია ფასიანი ქაღალდია, რომელიც მოწმობს, რომ მისმა მფლობელმა შეიტანა სააქციო საზოგადოების კაპიტალში გარკვეული ფულის თანხა, რისთვისაც მას აღნიშნულ საზოგადოებიდან ეკუთვნის ყოველწლიური შემოსავალი — მოგებიდან დივიდენდი. აქციები სხვადასხვა სახისაა, მათ შორის ძირითადია: სახელობითი, წარმდგენის აქცია, უბრალო და პრივილიგებული.

სახელობითი აქცია — მიმაგრებულია გარკვეულ აქციონერზე საზოგადოების წიგნში ჩაწერის საშუალებით. სახელობითი აქციის გადაცემისას მისი გადაცემა ფორმდება ჩანაწერის წიგნში.

წარმდგენის აქცია — იგი ეკუთვნის ფულის მაგვარად მის ფაქტიურ მფლობელს და მიმაგრებული არ არის რომელიმე კონკრეტულ პიროვნებაზე. მისი გადაცემა ნიშნავს მისი მფლობელის ავტომატურ შეცვლას.

უბრალო აქცია — საშუალებას იძლევა მივიღოთ შემოსავალი სს საქმიანობის შედეგების მიხედვით. ასევე მონაწილეობის მიღებას სს მართვაში და უფლება აქვს ხმა მისცეს აქციონერთა საერთო კრებაზე.

პრივილიგებული აქცია — იგი განსხვავდება უბრალო აქციებისაგან წინასწარ განსაზღვრული შემოსავლის თანხით სს მუშაობის შედეგებისაგან დამოუკიდებლად და საზოგადოების ლიკვიდაციის დროს დასაბრუნებელი თანხის გადახდის პირველრიგითობით. ამ აქციების უარყოფითია ის, რომ იგი არ იძლევა უფლებას საზოგადოების საერთო კრებაზე ხმის მიცემისათვის.

ჩვეულებრივად აქციებს აქვს შემდეგი რეკვიზიტები:

სააქციო საზოგადოებისა და ფასიანი ქაღალდის დასახელება;

აქციის სახე, მისი ნომერი და გამოშვების თარიღი;

ნომინალური ღირებულება, მფლობელის სახელი (სახელობითი აქციისათვის);

გამოშვებული აქციის რაოდენობა;

დივიდენდის გაცემის ვადა და ასევე ზოგიერთი სხვა სახის ინფორმაცია.

ზოგჯერ აქციის ნაცვლად აქციონერს აძლევენ სერთიფიკატს, რომელიც წარმოადგენს ფასიან ქაღალდს მისი მფლობელის აქციების მთელ რაოდენობაზე. სერთიფიკატი შეიცავს აქციის ყველა საჭირო რეკვიზიტს.

სააქციო საზოგადოების მართვა.

სააქციო საზოგადოების მართვის სტრუქტურა შეიძლება იყოს სამსაფეხურიანი ან ორსაფეხურიანი. სამსაფეხურიანი მართვის სტრუქტურა შემდეგი სქემით ხორციელდება: აქციონერთა კრება, სამეთვალყურეო საბჭო, გამგეობა (დირექცია). ორსაფეხურიანი მართვის სტრუქტურა შესდგება საზოგადოების საერთო კრებისა და გამგეობისაგან (აღმასრულებელი დირექცია).

აქციონერთა საერთო კრება - ტარდება წლიური ბალანსის შედგენიდან ორი თვის ვადაში, რომელიც ინიციატს წლიურ შედეგებს. რიგგარეშე საერთო კრება ტარდება აქციონერთა მოთხოვნით. საერთო კრებას ხელმძღვანელობს მეთვალყურეთა საბჭოს თავმჯდომარე, მისი არყოფნისას მოადგილე. საერთო კრება გადაწყვეტილებას უნარიანია, თუ მას ესწრება საწესდებო კაპიტალის მფლობელთა სულ ცოტა ნახევარი. მნიშვნელოვან გადაწყვეტილების მისაღებად საჭიროა ხმათა რაოდენობა. საერთო კრების ფუნქციაში შედის შემდეგი გადაწყვეტილებების მიღება:

საზოგადოების წესდების შეცვლა, საწესდებო კაპიტალის დამტკიცება, საფირმო სახელწოდება, საზოგადოების საქმიანობის საგანი, საზოგადოების ლიკვიდაცია, აქციების ბირჟაზე გაყიდვა, სხვა საზოგადოებასთან შერწყმა, მოგების გამოყენება, მეთვალყურეთა საბჭოს შემადგენლობის არჩევა, აუდიტორის არჩევა და სხვა.

მეთვალყურეთა საბჭო აწარმოებს გამგეობის (დირექციის) საქმიანობის კონტროლს, ზოგიერთ ქვეყანაში იგი ასრულებს საერთო კრების ფუნქციების ნაწილს. მეთვალყურეთა საბჭოს წევრი არ შეიძლება იყოს ამავე დროს (დირექციის) გამგეობის წევრი. მეთვალყურეთა საბჭოს შეიძლება დაევალოს გამგეობის წევრთა დანიშვნისა და განთავისუფლების ფუნქცია.

მეთვალყურეთა საბჭოსა და საერთოდ სს მართვის სტრუქტურა და ფუნქციები განსხვავებულია ქვეყნების მიხედვით. საქართველოში იგი განსაზღვრულია მეწარმეთა შესახებ კანონით, რომელიც ითვალისწინებს მართვის შემდეგ სტრუქტურას: საერთო კრება - მეთვალყურეთა საბჭო - დირექტორი. სამეთვალყურეო საბჭო შედგება სულ ცოტა სამი წევრისაგან, ირჩევა ოთხი წლის ვადით. დირექტორი არ შეიძლება იყოს მეთვალყურეთა საბჭოს წევრი. სამეთვალყურეო საბჭო ატარებს

სხლომებს კვარტალში ერთჯერ. მეთვალყურეთა საბჭოს ფუნქციებში შედის: კაპიტალდაბანდებათა და ქონების შექმნა და გასხვისება, ფილიალების შექმნა და ლიკვიდაცია, წლიური გეგმების, მოგების, ინვესტიციისა და სხვა გეგმების შედგენა-დამტკიცება, სესხებისა და კრედიტებით უზრუნველყოფა და სხვა.

საფინანსო და სამეურნეო საქმიანობის გარედან შემოწმება ხდება ქვეყნის საფინანსო ორგანოების, აუდიტორული სამსახურებისა და საგადასახადო ინსპექციის მიერ, საჭიროების შემთხვევაში მათი კომპეტენციის ფარგლებში სხვა საკონტროლო ორგანოების მიერ. საზოგადოების დირექციის შიგა კონტროლი სწარმოებს სარევიზიო კომისიის მიერ. სარევიზიო კომისია აწარმოებს კონტროლს გამგეობის მოთხოვნით.

აღმასრულებელ დირექციას ხელმძღვანელობს დირექტორი. იგი ხელმძღვანელობს და რეალიზაცია უკეთებს მეთვალყურეთა საბჭოს გადაწყვეტილებებს, დამოუკიდებლად წყვეტს საზოგადოების ოპერატიული მართვის საკითხებს, პასუხს აგებს საზოგადოების განკარგულებაში არსებული რესურსების ეფექტიანად გამოყენებისა და საზოგადოების სამეურნეო-საფინანსო შედეგებზე. დირექტორი საზოგადოებას წარმოადგენს სახელმწიფო ორგანოებში. თუ დირექტორი ვერ ასრულებს თავის ვალდებულებას და ზიანს აყენებს საზოგადოებას იგი ვალდებულია აანაზღაუროს საზოგადოებისათვის მიყენებული ზარალი.

სხვა ქვეყნებისაგან განსხვავებით საქართველოს კანონმდებლობით „მეწარმეობის შესახებ“ გათვალისწინებულია მეწარმეობის ისეთი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა როგორცაა კოოპერატივი. თუმცა მან პრაქტიკული გავრცელება ვერ ნახა ჩვენი ქვეყნის ბიზნესში.

2.3.5 კოოპერატივი

კოოპერატივი არის მის წევრთა შრომით საქმიანობაზე დაფუძნებული მეურნეობის განვითარებისა და შემოსავლის გადიდების მიზნით შექმნილი საზოგადოება, ცდომლის ამოცანაა წევრთა ინტერესების დაკმაყოფილება და იგი შიშარტული არ არის უპირატესად მოგების მიღებაზე. კოოპერატივებს მიეკუთვნება: სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის მომპოვებელი, მწარმოებელი და გამსაღებელი, მასობრივი მოხმარების საქონლის საბითუმო და საცალო სავაჭრო კოოპერატივები, მატერიალურ-ტექნიკური რესურსების შექმნა-წარმოება და მათი ერთობლივი გამოყენების კოოპე-

რატივები. მისი წევრები პასუხს აგებენ კრედიტორების წინაშე მხოლოდ თავისი ქონებით, კოოპერატივს ხელშეწყობის თაემჯდომარე, რომელსაც ირჩევს გამგეობა. კოოპერატივის ქონება იქმნება წევრთა მიერ შეტანილ პაის საფუძველზე. კოოპერატივის მართვის უმაღლესი ორგანოა საერთო კრება. საერთო კრება ამტკიცებს წლიურ ბალანსს, განაგებს მოგებას, ამტკიცებს სამეთვალყურეო საბჭოს ანგარიშს. საერთო კრება ტარდება პირველი 6 თვის განმავლობაში. თუ კოოპერატივის წევრთა რაოდენობა 500-ზე მეტია საერთო კრების ნაცვლად მოიწვევა წარმომადგენელთა კრება – რამდენიმე წევრზე ერთი წარმომადგენელი: კოოპერატივს აქვს სამეთვალყურეო საბჭო 3-15 წევრის რაოდენობით. იგი კონტროლს უწევს გამგეობის მუშაობას.

მეოცე საუკუნის ბოლოს შეინიშნება კოლექტივიზმის ტენდენცია მცირე ბიზნესში, ერთობლივი მეწარმეობის სხვადასხვა ფორმების შექმნა, როგორც რუსეთში ასევე დამოუკიდებელ ქვეყნების კავშირში. 1993 წლიდან დაიწყო მრავალი მცირე საწარმოთა, ბირჟების, ფერმერულ მეურნეობათა ინტენსიური შერწყმა ამხანაგობებში, ასოციაციებში, პოლდინგებში, კონცერნებში და სხვ., ვინაიდან საბაზრო კონკურენციას ვერ უმკლავდება მცირე საწარმოები. ცხოვრების პრაქტიკამ გვიჩვენა, რომ უმეტესი დამწყები ბიზნესმენი თავისუფალ საბაზრო ურთიერთობებში ამკლავებს დილექტანტიზმს, რის შედეგადაც ყოველი 1000 დამწყები ბიზნესმენიდან საშუალოდ 200 ინახავს თავის კაპიტალს და ღებულობს შემოსავალს. კოლექტიურ გაერთიანებებში რამდენადმე მცირდება რისკი, ფართოვდება მეწარმეთა მსოფლმხედველობა, ხდება რესურსების კონცენტრაცია, იზრდება მოგების მიღების შესაძლებლობა, დაწყებული საქმის გასაგრძელებლად.

მეწარმეობა, როგორც წესი დაფუძნებულია მუშაობის ახალ ფორმებსა და მეთოდებზე, რაც მეწარმეს ეხმარება რათა დაიკავოს მყარი პოზიცია საქონლის წარმოებაში და ბაზარზე.

წერილ მეწარმეთა კოლექტიურ გაერთიანებებთან შერწყმის მისწრაფება თანამედროვე ეკონომიკის ობიექტური მოთხოვნაა. კოლექტიური საწარმოები თავისი წარმოების მასშტაბებითა და რაოდენობით მნიშვნელოვნად აღემატება ინდივიდუალურ საწარმოებს. ამავე დროს ისინი ავსებენ ბაზრის ცარიელ სეგმენტებს და სტიმულ აძლევენ პარტნიორ-გიგანტებს. დადგენილია, რომ წერილ ფირმებში მუშაკების სამუშაო დროის ხანგრძლივობა შეადგენს 55-65 საათს კვირაში, ხოლო მსხვილი ფირმების დაქირავებული მუშაკების 45 საათს.

როგორც რუსეთში, ასევე ყოფილ სოციალისტურ ქვეყნების ეკონომიკაში მეწარმეობის ყველაზე გავრცელებულ ფორმად მიღებულია „საწარმო“, როგორც ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ფორმა. მაშინ როცა კაპიტალისტურ ქვეყნების ეკონომიკურ ტერმინოლოგიაში მის ნაცვლად უფრო მეტად იყენებენ ფირმებს. ფირმა ეს არის სამეურნეო ორგანიზაცია, კომპანია ან ცალკე მეწარმე, რომელიც სარგებლობს იურიდიული პირის უფლებით, ეწევა სამეურნეო საქმიანობას შემოსავლისა და მოგების მიღების მიზნით. თავისი შინაარსით ფირმა უფრო ფართოა იგი შეიძლება იყოს როგორც წარმოების ისე მომსახურების სფეროში, საშუაშელო, სადაზღვევო და სხვა.

ფირმის სახელწოდებაში იგულისხმება მცირე და მსხვილი საწარმოები ფართო პროფილის ორგანიზაციები. „საწარმოს“ ტერმინის შინაარსით ახლოს დგანან კონკრეტული ტერმინები „კომპანია“ და „კორპორაცია“.

კომპანია – სხვადასხვა პროფილის საწარმოა, რომელიც დაფუძნებულია დამფუძნებელთა წილობრივი მონაწილეობით. ყველაზე მეტად კომპანიები ეწევიან სამეწარმეო, კომერციულ და სამრეწველო საქმიანობას.

კორპორაცია – ეს არის ოფიციალურად რეგისტრირებული, იურიდიული პირი, გაერთიანება, საწარმო, ორგანიზაცია, ფიზიკური პირი, რომელთაც საკუთრების უფლება განაწილებული აქვთ ერთმანეთში. კორპორაციები, როგორც ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა საკმაოდ გავრცელებულია ამერიკის ეკონომიკაში, უფრო გავრცელებულია კორპორაციის ისეთი სახეობა, როგორიცაა დია სააქციო საზოგადოება. კორპორაციული ფორმა ხელსაყრელია აქციონერებისა და თვით საწარმოებისათვის, იგი საკმაოდ დინამურია, საშუალებას იძლევა მიიღოს შეღავათები დაბეგვრაში, ამავე დროს ზღუდავს აქციონერთა პასუხისმგებლობას. საბაზრო ეკონომიკაში გარდა მეწარმეობის ზემოთ აღნიშნული ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმებისა მოქმედებს სახელმწიფო და მუნიციპალური საწარმო. მუნიციპალური საწარმო ეპორჩილება არა სახელმწიფოს, არამედ მუნიციპალურ მართვის ორგანოებს, მათი ქონება არის განუყოფელი და ეკუთვნის მუნიციპალურ ორგანოებს.

კაპიტალისტურ ეკონომიკაში არ არის პირდაპირი ანალოგი ჩვენი სახელმწიფო საწარმოებისა. იქ მოქმედებენ უაღრესად შეზღუდული რაოდენობის (2%) საბიუჯეტო, დარგობრივი საწარმოები, რომლებიც შედიან სახელმწიფო ადმინისტრაციული მართვის ორგანოების დაქვემდებარებაში. ასეთი საწარმოები ფინანსირდებიან სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯზე და არ იხდიან ბეგარას.

საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში სახელმწიფოს ხელშია ბევრი სააქციო საზოგადოება. სააქციო კაპიტალის საკონტროლო პაკეტი მსხვილ საწარმოებში ჯერ კიდევ სახელმწიფოს ხელშია. ძირითადად ესენია საზოგადოებრივი კორპორაციები და შერეული სააქციო საზოგადოება.

საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში სახელმწიფო საწარმოთა სექტორს ეროვნული საერთო პროდუქციის 25% უკავია.

სახელმწიფო და სამეწარმეო სტრუქტურების გარდა არსებობს არა კომერციული, არამომგებიანი საწარმოები და ორგანიზაციები. ესენი არიან არამომგებიანი კორპორაციები, კავშირები და ფონდები, საქველმოქმედო ფონდები, რომლებიც ფინანსირდებიან მათი წევრების, კომერციული სტრუქტურებისა და საონსორების მიერ. არა კომერციული სტრუქტურები შეიძლება იყვნენ დამოუკიდებელნი. ისინი ქმნიან შემოსავლებს იმ ოდენობით, რაც საჭიროა მათი მიზნების განხორციელებისათვის. ასეთ ორგანიზაციებს შეუძლიათ გასწიონ კომერციული საქმიანობა, მაგრამ მთელ თავის შემოსავალს მიმართავენ არა კომერციული მიზნისათვის.

2.4 მსხვილ მასშტაბიანი მეწარმეობა

ბმეამად ფართო გაერცელება პოვა ეკონომიკური საქმიანობის ისეთმა ფორმებმა, როგორიც არის კონცერნები, კონსორციუმები, კარტელები, სინდიკატები, ტრესტები, პოლდიგური კომპანიები.

ასოციაციები იქმნება ხელშეკრულების საფუძველზე სამეწარმეო საქმიანობის კოორდინაციის, საერთო ინტერესების დაცვის მიზნით. მათი მონაწილეთა ძირითადი მიზანი არ არის მოგების მიღება. ამიტომ ასოციაციები (კავშირები) არ არიან კომერციული ორგანიზაციები.


საწარმოს ასოცირებულ ორგანიზაციულ-სამეურნეო ფორმად ითვლება კონცერნი, კონსორციუმი, ტრესტი, სინდიკატი, კარტელი, სამეურნეო ასოციაციები. ასოციაციის შექმნას საფუძველად უდევს მისი წევრების ნებაყოფლობითი გაერთიანება. ამავე დროს ისინი ინარჩუნებენ იურიდიულ დამოუკიდებლობას, უფლება აქვთ თავისი სურვილით გამოვიდნენ კავშირიდან. ამასთან ერთად ვალდებული არიან დაიცვან დადებული ხელშეკრულების მიხედვით პარტნიორთა წინაშე ვალდებულებანი.

ასოციაციური სტრუქტურების შექმნის მიზანია ძვირადღირებული

საინვესტიციო პროექტების ერთობლივი განხორციელება, განვითარების საერთო პოლიტიკის შემუშავება, ასოციაციის წევრთა ინტერესების დაცვა საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოებისაგან, კადრების მომზადება, კონფერენციების, გამოფენებისა და კონკურსების მოწყობა.

ასოციაციის მონაწილეთა სურვილით სამეურნეო ასოციაციას შეუძლია მათი ინტერესების დაცვა სახელმწიფო, ადგილობრივი, სამინისტროების და სხვა ორგანიზაციებისა და დაწესებულებათა წინაშე.

ასოციაციის ტიპური სტრუქტურა ნაჩვენებია სქემა 2.1



სქემა 2.1 ასოციაციის მართვის ტიპური სტრუქტურა

ასოციაციის ქონება ერთობლივია მისი წევრებისათვის. ასოციაციის შესაქმნელად კმნიან დამფუძნებელ კომისიას, რომელიც განიხილავს მის წევრთა განაცხადებს, ადგენს წესდების პროექტსა და დამფუძნებელ ხელშეკრულებას. ასეთი გაერთიანების წესდება მტკიცდება მისი დამფუძნებლების მიერ.

განვიხილოთ კაპიტალისტური ქვეყნების ეკონომიკაში გავრცელებული ასოციაციების ორგანიზაციული სტრუქტურები.

【კონცერნი - მსხვილი მონოპოლისტური ტიპის საწარმოთა გაერთიანებაა, რომელთაც შეუძლიათ განახორციელონ მსხვილმასშტაბიანი წარმოება, კომბინირებისა და კოოპერირების საფუძველზე. კონცერნის შექმნით ჩვენში ბევრმა ლიკვიდირებულმა საბინისტრომ ნახა თავისი თავშესაფარი.

ეს ორგანიზაციულ-სამართლებრივი სტრუქტურა თავისი კაპიტალის კონცენტრაციის მასშტაბებით, საწარმოო სიმძლავრეებით, წარმოების დივერსიფიკაციის ფართო შესაძლებლობის მეშვეობით საბაზრო კონიუნქტურის მერყეობის მიმართ გარკვეული მდგრადობით ხასიათდებიან. შეუძლიათ რესურსების გადანაწილება იმ სფეროში, რომლებიც მაღალი ეფექტიანობით ხასიათდებიან.

მართვის ცენტრალიზებული სისტემისაგან ნაბოძები ადმინისტრირების ჩვევის გამო კონცერნები ჩვენს ქვეყანაში ხასიათდებიან დაბალი მობილურობით, საბაზრო ეკონომიკისადმი შეუხამებლობით.

სახელმწიფო ქონების პრიატიზებამ, ფასების განთავისუფლებამ, ცენტრალიზებული მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების ლიკვიდაციამ საწარმოები ჩააყენა მძიმე სიტუაციაში. ანტიმონოპოლიური ღონისძიებანი ასევე ართულებს სამეურნეო სიტუაციებს.

კონცერნების შექმნა განვითარებულ საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში განპირობებული იყო კაპიტალის კონცენტრაციით. კონცერნების მნიშვნელოვან დამახასიათებელ ნიშანს წარმოადგენს მასში შემავალი ფირმების საკუთრების ერთიანობა. კონცერნში შემავალი ფირმები და ორგანიზაციები ურთიერთდამოკიდებულნი არიან არა მარტო ხელშეკრულებით, არამედ ეკონომიკური ურთიერთობითაც.

განსაკუთრებულ როლს ასრულებს სააქციო საზოგადოებათა განვითარებაში ჰოლდინგური კომპანიები, რომლებიც კონცერნში შემავალი ყველა საწარმოთა საკონტროლო პაკეტის მფლობელები არიან. საბჭოთა ეკონომიკაში ჰოლდინგური კომპანიის ანალოგი იყო საწარმოო გაერთიან-

ნების სათაო საწარმო. ჰოლდინგი ახდენს კონცერნში შემავალ საწარმოთა ეკონომიკურ საკითხების კოორდინირებას. ზემოქმედებას ახდენს მათ გადაწყვეტილების მიღებაზე. გარდას ამისა, იგი ახორციელებს სამეწარმეო საქმიანობის რიგ ფუნქციებს. აუცილებლობის შემთხვევაში საერთო სარგებლობის მიზნით ჰოლდინგს შეუძლია ფინანსური რესურსების გადანაწილება კონცერნის საწარმოთა შორის.

გიგანტურ ჰოლდინგებს შეუძლიათ ფინანსური კონტროლი გაუწიონ ასობით სააქციო საზოგადოებას, მათ შორის მსხვილ კონცერნებსა და ბანკებს. მათი საკუთარი კაპიტალი და აქტივები ხშირად რამდენადმე ნაკლებია, ვიდრე მათში შემავალი „ქალიშვილი“ ფირმების საერთო რაოდენობისა.

ზოგიერთი კომპანიები იქმნება სახელმწიფო კაპიტალის დიდი წილის მონაწილეობით, რაც საშუალებას აძლევს სახელმწიფოს გააკონტროლოს და რეგულირება გაუწიოს ქვეყნის მნიშვნელოვანი დარგების განვითარებას.

სსრ კავშირის დაშლის შემდეგ რუსეთში ჰოლდინგური კომპანიები იქმნებოდა ძირითადად არა მოგების მიღების, არამედ წინანდელი საწარმოო კავშირების შენარჩუნების მიზნით, რის გარეშეც შეუძლებელი იქნებოდა ქვეყნის ეკონომიკის რიგი დარგების ფუნქციონირება. კომპანიაში შემავალი საზოგადოებები ურიცხვადნენ თავისი მოგების ნაწილს კომპანიას, სამაგიეროდ ისინი მისგან ღებულობდნენ ნედლეულსა და მასალებს, სათბობსა და ელექტრო ენერჯიას, წარმოების საშუალებებსა და პროდუქციის გასაღების შესაძლებლობას, რაზედაც გაფორმებული აქვთ შესაბამისი ხელშეკრულებები. ჰოლდინგების ბანკები ქალიშვილ საწარმოებს ეხმარებიან შეღავათიანი კრედიტით, ხელს უწყობენ საწარმოებს ტექნიკურ გადაიარაღებაში.

ჰოლდინგური კომპანია „ოასმ-ჰოლდინგ“ 1992-1996 წლებში აერთიანებდა 167 საწარმოს, მათ შორის დამოუკიდებელი ქვეყნების კავშირის ათეულობით მსხვილ საავტომობილო, სატრაქტორო და მანქანათმშენებელ ქარხნებს.

ასეთი ჰოლდინგური კომპანიები, სარგებლობენ სახელმწიფო ორგანოთა უფლებით. მათ შეპადგენლობაში შექმნილია საინვესტიციო ავტობანკი მრავალმილიონიანი ბრუნვით, კომერციული ცენტრი, რომელიც წყვეტს მასში შემავალ ორგანიზაციების მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის საკითხებს ყოფილ საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე; სასაქონლო

ფონდების ბირჟა; აუდიტორული ფირმა; საფინანსო-ანგარიშგებითი კლირინგული ცენტრი და სხვა.

1992 წლის კრიზისი დროს როცა წარმოების ტემპი ყოფილ სსრკ ქვეყნებში დაეცა 20-30%-ით. აღნიშნულმა პოლდინგმა შესძლო შეენარჩუნებინა წარმოების მოცულობა 94% დონეზე 1991 წელთან შედარებით, რაც მეტყველებს ამ კომპანიის მაღალ ეფექტიანობაზე.

შედარებით ნაკლებად გავრცელებულია ასოციაციის ისეთი ფორმა როგორცაა კონსორციუმი.

კონსორციუმი ეს არის დროებითი ნებაყოფლობითი გაერთიანება, საწარმო ორგანიზაცია, შექმნილი კონკრეტული ამოცანებისა და მსხვილი საინვესტიციო, სამეცნიერო-ტექნიკური, სოციალური პრობლემების გადასაწყვეტად. კონსორციუმში შეუძლიათ გაერთიენდნენ, როგორც მსხვილი ისე წვრილი საწარმოები, რომელთაც სურთ მონაწილეობა მიიღონ პროექტების ან სხვა სამეწარმეო ჩანაფიქრებში, მაგრამ არ შეუძლიათ დამოუკიდებლად განახორციელონ ეს პროექტები. კონსორციუმი არის ეფექტიანი ორგანიზაციულ-სტრუქტურული ფორმა კადრების, საწარმოო სიმძლავრეების, მატერიალური და ფინანსური რესურსების დროებითი ინტეგრაციისათვის. კონსორციუმი იძენება ხელშეკრულების საფუძველზე. საწარმო ერთდროულად შეიძლება იყოს რამოდენიმე კონსორციუმის წევრი.

კარტელი საწარმოთა სახელშეკრულებო ნებაყოფლობითი გაერთიანებაა, რომლის საფუძველია ქვოტირება წარმოების მოცულობის, რეალიზაციის ფასების, გაყიდვის პირობების, ბაზრის განსაზღვრა ხელშეკრულებით და სხვა.

სინდიკატი საწარმოთა ხელშეკრულებითი გაერთიანებაა. სინდიკატის წევრთა შეთანხმება ცენტრალიზებულ მომარაგებისა და პროდუქციის გასაღებაში. სინდიკატის შექმნა თავიდან უხსნის მის წევრებს ნელეულის შექმნასა და პროდუქციის გასაღებაში არსებულ პრობლემებს. სინდიკატს ყავს ღირექცია, რომელიც ღებულობს შეკვეთებს პროდუქციაზე და ანაწილებს მის წევრებს შორის დაწესებული ქვოტების მიხედვით. სინდიკატის წევრთა კომერციული დამოუკიდებლობა ამ შემთხვევაში მთლიანადაა შეზღუდული, ხოლო საწარმოო ნაწილობრივ. იურიდიულად კი ისინი დამოუკიდებელნი არიან. სინდიკატის წევრები შეიძლება იყვნენ არა მარტო საწარმოები, არამედ გაერთიანებები, კონცერნები, ტრესტები.

ტრესტი საწარმოთა გაერთიანების ფორმაა, რომლის დროსაც სრულიად კარგავენ იურიდიულ, კომერციულ და საწარმოო დამოუკიდებლობას და ემორჩილებიან ერთიან სამმართველოს. ტრესტის კლასიკური განსაზღვრა რამდენადაც განსხვავებულია ჩვენს ქვეყანაში მოქმედ ტრესტებისაგან. მაგალითად, სამშენებლო ტრესტებისაგან.

ოფთორული კომპანია იქმნება სპეციალურად საზღვარგარეთ სამუშაოდ. როცა ქვეყნებში იგი იქმნება მოგების მიღების მიზნით, სახელმწიფო მათ აძლევს გარკვეულ შეღავათებს.

კორპორაციები თავის ქონებასა და ფასიანი ქაღალდების მართვის უფლებას გადასცემენ სხვა ფირმებს, ორგანიზაციებს. ორგანიზაციებს, რომლებიც ღებულობენ ასეთი ფირმების ქონებას ეწოდებათ ტრანს-კომპანია. გარდა კომპანიებისაგან მართვის მინდობილობით მიღებული ფონდებისა, ტრანს-კომპანიებს შეიძლება ჰქონდეთ საკუთარი ქონება.

მსხვილ და მცირე მეწარმეობის შერწყმის მიზნით ზოგჯერ იქმნება შერეული, გიბრიდული ორგანიზაციული ფორმები. უფრო ხშირად საწარმოო-საქონელმწარმოებელი ან უბრალოდ მსხვილი ფირმა (ფრანჩაიზერი) სდებს ხელშეკრულებას შედარებით მცირე ფირმასთან (ფრანჩაიზი), რომელიც ღებულობს ვალდებულებას გაყიდოს ფრანჩაიზერის საქონელი ან მოემსახურის მას. ფირმის ასეთ საქმიანობას ეწოდება ფრანჩაიზინგი. ამ დროს მსხვილი ფირმა სთავაზობს პირობას მცირე ფირმას ხელშეკრულების საფუძველზე.

ზოგჯერ მსხვილი ფირმები ქმნიან ფილიალებს, ქალიშვილ საწარმოებს. ასეთი ფილიალები სარგებლობენ ფორმალურ იურიდიულ დამოუკიდებლობით. აქეთ მტკიცე ფინანსური და საწარმოო-ტექნიკური კავშირი ძირითად „დედა“ ფირმებთან.

ტრანს-კორპორაციები უმსხვილესი გაერთიანებებია, რომელთაც აქეთ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში ფილიალებისა და განყოფილებების ფართო ქსელი. ასეთი კორპორაციები კაპიტალის შემადგენლობით შეიძლება იყვნენ ეროვნული და მრავალეროვნული. ასეთი ტრანსნაციონალური კომპანიები მოქმედებენ საავტომობილო, ქიმიურ მრეწველობაში, ელექტრონიკის მწარმოებელი ფირმები.

ეროვნული და ტრანსეროვნული კორპორაციები (ტეკ) თავის მოქმედებას ხშირად იწყებენ ცალკე მეწარმის ინიციატივით, რომლებიც საკუთარი ან ნასესხები კაპიტალით ინტენსიურად ანვითარებენ თავის საქმიანობას, ხელში იგდებენ წარმოების მსხვილ სფეროებს, ვაჭრობას,

ფინანსებს, ახშობენ თავის კონკურენტებს, ყიდულობენ მათ საწარმოებს, საეაჭრო სახლებს, საბანკო კაპიტალის წილს და ასე ამრიგად ქმნიან კორპორაციებს. ამის მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ იტალიური კონცერნი „ფერრუცი“, მისი შემადგენელი იყო ოჯახური ფერმები, რომელმაც დაიწყო სოფლის მეურნეობის პროდუქტებით ვაჭრობა, შემდეგ მოაწყო სამშენებლო მასალების წარმოება. 15 წლის შემდეგ იგი უკვე გავიდა საერთაშორისო ბაზარზე, ეწეოდა სასაქონლო საწყობების მშენებლობას, ყიდულობდა საზღვაო გემებს ამერიკასა და ევროპას შორის საქონლის გადასატანად, შეისყიდა დიდი მიწის ნაკვეთები ბრაზილიასა და არგენტინაში. კონცერნმა ააშენა მსხვილი საამშენებლო და ქიმიური მასალების ქარხნები, მედიკამენტებისა და ელექტროენერჯის გამომშუშავებელი საწარმოები. გარდა წარმოების სფეროსა მან ხელში ჩაიგდო დაზღვევის სფერო. სამეცნიერო-კვლევითი და საპროექტო - საკონსტრუქტორო სამუშაოები.

ანალოგიური გზა განელო სამხრეთ კორეის ფირმა „დეუ“-მ, რომელმაც თავის საქმიანობა დაიწყო 4000 დოლარით 1967 წელს, 1992 წელს მისი კაპიტალი 19 მლრდ. დოლარამდე გაიზარდა და გადაიქცა ტრანს ეროვნულ კონცერნად. კომპანია „დეუ“-ს დამაარსებელი იყო კიმ უ დჯუნგ. მისი მიღწევა შედეგი იყო მისი ოცნების. იგი აღნიშნავდა „ოცნება ეს არის მამოძრავებელი ძალა, რომელიც ცვლის ცხოვრებას, გარდაქმნის მსოფლიოს, ჩემი ყველაზე დიდი ოცნებაა, რომ კიმ უ დჯუნას სახელი დარჩეს ადამიანების მეხსიერებაში როგორც საპატივემყო ბიზნესმენის... არა მდიდრის, არამედ ადამიანის, რომელსაც წარმატება და ბედნიერება მოაქვს სხვა ადამიანებისათვის“.

საქართველოში ჯერ-ჯერობით მსგავსმა საერთაშორისო ორგანიზაციებმა განვითარება ვერ ჰპოვა, მაგრამ ტრანს კავკასიის ნავთობის კონცერნისა და სხვა სატრანსპორტო დერეფნის მშენებლობასთან ერთად მომავალში აუცილებელი გახდება ასეთი სახის კონცერნების შექმნა.

2.5 მცირე და საშუალო მეწარმეობა

მცირე ბიზნესი იქმნება ინდივიდუალურ, ოჯახურ და მცირე მეწარმეთა საფუძველზე, იგი არ მოითხოვს მსხვილ პირველდაწყებით კაპიტალს. მცირე ბიზნესს შეუძლია კონკურენტია გაუწიოს მსხვილ ფირმებს. მცირე და საშუალო ბიზნესს გააჩნია რიგი უპირატესობა მსხვილ მასშტაბიან ბიზნესთან შედარებით:

– მოქნილობა, ადაპტაციის უნარიანობა, ოპერატიული რეაგირება ბაზრის მოთხოვნილებაზე;

– მობილურობა, მისწრაფება ახალი ტექნიკის და გამოგონებათა დანერგვის საქმეში;

– რესურსების ეკონომიკური გამოყენება, ზედნაღები დახარჯების ეკონომია, საბრუნავი კაპიტალის ბრუნვალობის ზრდა.

აღნიშნული უპირატესობა საშუალებას აძლევს მცირე ბიზნესს: სწრაფად შეავსოს ბაზრის ცარიელი სეგმენტები, დააჩქაროს სამეცნიერო-ტექნიკური მიღწევების დანერგვა, დააჩქაროს ქვეყნის ეკონომიკისა და მოსახლეობის მოთხოვნილების დაკმაყოფილება სამრეწველო, საამშენებლო და სხვა სახის მომსახურებაზე, აამაღლოს პროდუქციის ხარისხი და გააფართოს წარმოებული პროდუქციის ნომენკლატურა, მოაწიოს პროდუქციის წარმოება მცირე პარტიებად.

საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლასთან დაკავშირებით მსხვილმა მრავალნომენკლატურაიანმა წარმოებებმა, მეორე ხარისხოვანი საწარმოო ოპერაციები, სხვადასხვა სახის მომსახურება გადასცა მცირე და საშუალო ფირმებს, რომლებმაც ეიწრო სპეციალიზაციის წყალობით მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს თავის ბიზნესში.

მოხდა ეგრეთწოდებული მსხვილი მონოპოლიების და საშუალო და მცირე ფირმების სიმბიოზი ბაზრის მერყევი მოთხოვნილების დაკმაყოფილების მიზნით. შრომის ასეთმა დანაწილებამ საშუალება მისცა, როგორც მცირე წარმოების ბიზნესს, ასევე მონოპოლიებს აემაღლებინათ მათი რენტაბელობა. იაპონიაში 70%-მდე მცირე ბიზნესის საწარმოები კოოპერირებული არიან მონოპოლიებთან, აშშ – 30-40%.

მსხვილი ბიზნესის მცირე ბიზნესთან კოოპერირება ქმნის მდგრად ბაზარს, იცავს მოულოდნელი კონკურენციისაგან, უზრუნველყოფს ფირმის შიგნით სპეციალიზაციას. მეორეს მხრივ მცირე საწარმო დაქვემდებარებულია საშუალო მიმცემზე – მსხვილ ფირმაზე, რომელიც უკარნახებს მას რა აწარმოოს, რა რაოდენობით, რომელ დღეს და რომელი საათისთვის მიაწოდოს პროდუქცია და რა ფასებში...)

განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობა შეიქმნა მცირე ბიზნესისათვის ნედლეულის მიწოდების საქმეში, და ასევე სხვა რესურსებში, რამდენადაც ნედლეულის მიწოდება მცირე ბიზნესისათვის საჭირო შეზღუდული ოდენობის მცირე პარტიებად მომწოდებლებისათვის არახელსაყრელია. ყველა ეს სიძნელე წინააღმდეგობას უქმნის მცირე ბიზნესის ეფექტიანობის ამაღლებას..

ომის შემდგომ იაპონიაში, სადაც დანგრეულ ეკონომიკამ დაიწყო აღმოცენება მილიონობით მცირე ფირმები, სულ მოკლე ხანში გახდნენ თავიანთი პარტნიორების აქციების მფლობელები. 1950 წელს იაპონიაში გამოშვებული მთელი აქციების 70% ეკუთვნოდა ფიზიკურ პირებს, მაგრამ წარმოებისა და კაპიტალის კონცენტრაციამ იაპონია მიიყვანა იქამდე, რომ უკვე 1993 წელს ფიზიკური პირები განაგებდნენ ქვეყნის მთელი აქციების 30%. დივიდენდის წილი კორპორაციის წმინდა მოგებაში შედგენდა 10%, ხოლო ეროვნულ შემოსავალში 2,6%, აქციების დიდი ნაწილი გადავიდა იურიდიული პირების ხელში. აქციების მაღალი კონცენტრაცია ხდება იურიდიული პირების ხელში და არაეითარი მონაცემები არ არის იმისა, რომ მსოფლიოში ეს პროცესი შენეულდება. მაშასადამე, შეიძლება დავასკვნათ, რომ მცირე-ნამცეცა ინდივიდუალური, კერძო ბიზნესის აყვავების ხანა მთავრდება. შემდგომში იგი გადაიქცევა არა ძირითად, არამედ დამხმარე მეწარმეობად.

საქართველოში ეს პროცესი თავის საწყის ფაზაშია, ჯერ კიდევ არ შექმნილა პირობები კაპიტალის კონცენტრაციისა და მსხვილი ბიზნესის შექმნისათვის. მცირე ბიზნესი ძირითადად ვაჭრობის სფეროშია განვითარებული. მრეწველობის სფეროში მეწარმეობა ჯერ კიდევ არ განვითარებულა. მოქმედი საკანონმდებლო აქტები, ხელს უშლის მეწარმეობის განვითარებას, მაღალი გადასახადები, კრედიტის დეფიციტი, ენერგეტიკული კრიზისი, ბაზრის გაჯერება უცხოური საქონლით, ეკონომიკის ყველა სფეროში მაფიის გაბატონებამ აღმოცენებისთანავე ჩააქრო მცირე ბიზნესის საწარმოო სფერო. ამის ნათელ მაგალითს იძლევა რუსეთიც, სადაც 1993 წელს 624 ათასი მცირე საწარმოდან წარმოების სფეროში, მხოლოდ მცირე რაოდენობა შემორჩა მათი რაოდენობა შეადგენდა მხოლოდ 1%-ს, მრეწველობისა და მშენებლობის პროდუქციაში.

ბიზნესის სტრუქტურა იყოფა ორად: მცირე და მსხვილმასშტაბიანი ბიზნესი. ეს დაყოფა დამოკიდებულია ქვეყნის ეკონომიკაზე. მაგალითად, რუსეთში 1996 წლამდე მცირე საწარმოებს მიეკუთვნებოდნენ საწარმოები რომელთა რიცხოვნობა შეადგენდა 100 კაცს, სოფლის მეურნეობაში 60 კაცამდე, ვაჭრობასა და საყოფაცხოვრებო მომსახურებაში 30 კაცამდე, სხვა დარგებში 50 კაცამდე.

იაპონიაში ეს დაყოფა ორი მაჩვენებლით ხდება: პერსონალის რიცხოვნობით და დაბანდებული კაპიტალის მოცულობით. აქ ძირითადად


საწარმოთა დაყოფა ხდება ორ ჯგუფად: მცირე და საშუალოდ. საწარმოო სფეროში მცირე საწარმოთა რიცხვს მიეკუთვნება 50 კაცის რიცხოვნობის საწარმოები, ვაჭრობაში და მომსახურების სფეროში 5 კაცამდე პერსონალითა. საშუალო ბიზნესს მიეკუთვნება მრეწველობაში, ტრანსპორტსა და მშენებლობაში 660 ათასი დოლარისა და 300 კაცი პერსონალით, საბითუმო ვაჭრობაში 200 ათასი დოლარისა და 100 კაცი პერსონალით, ვაჭრობაში და მომსახურების სფეროში 50 კაცამდე და 66 ათასი დოლარის კაპიტალით.

აშშ-ში მეწარმეობის სამი ტიპი მოქმედებს: ერთპიროვნული (საწარმოო, რომელიც ემყარება მეპატრონის პირად საკუთრებას), პარტნიორობა და კორპორაცია. 1982 წლისათვის სახელმწიფო საკუთრება შეადგენდა 12%-ს, კერძო სექტორი 88%-ს, ერთპიროვნული ფირმების რაოდენობა შეადგენდა – 12052-ს, პარტნიორების – 1514 და კორპორაციების 2926.

2.6 მეწარმეობის სახეები

მეწარმეობის საქმიანობის შინაარსისა და მისი აღწარმოების პროცესის ძირითად სტადიებთან კავშირის მიხედვით განასხვავებენ მეწარმეობის შემდეგ სახეებს: კომერციული, ფინანსური, სადაზღვევო და საშუაშაფლო.

საწარმო მეწარმეობის საფუძველია ნებისმიერი მიმართულების წარმოება: მატერიალური, ინტელექტუალური, შემოქმედებითი. ამასთან მეწარმე იყენებს ფაქტორის სახით საკუთარ ან შეძენილ შრომის იარაღებსა და შრომის საგნებს, აწყობს პროდუქციის წარმოებას, ინფორმაციას, მომსახურებას, სულიერ ფასეულობებს მათი შემდგომი გაყიდვის მიზნით. საწარმოო მეწარმეობა წარმოადგენს ყველაზე აუცილებელ და ყველაზე რთულ ბიზნესს. მას ისე სწრაფად არ მოაქვს მოგება, როგორც ბიზნესის სხვა სახეებს, ამიტომაც ბიზნესმენები ბიზნესის ამ სახეს ნაკლებად ეტანებიან. ამ სახის ბიზნესს ეკუთვნის: მატერიალური ფასეულობის წარმოება, მშენებლობა, ტრანსპორტი, საყოფაცხოვრებო მომსახურება, ინფორმაციის წარმოება და სხვა. საწარმოო მეწარმეობის საფუძველია წარმოების ორგანიზაცია.



სქემა 2.2 საწარმოო მეწარმეობის სქემა.

საწარმოო მეწარმეობისათვის მეწარმე იძენს საწარმოო ფაქტორებს — მასალებს და ნახევარფაბრიკატებს (RM), ელ. ენერჯიას და სხვა. საბრუნავ საშუალებებს ამ რესურსების შესაქურთისაგან.

მეწარმეობისათვის ასევე აუცილებელია ძირითადი საშუალებები (P) — შენობა, მანქანები, მოწყობილობები, ხელსაწყოები, რომელიც ან მეწარმის საკუთრებაა ან იღებს არენდით. არენდის აღების დროს იგი იხდის არენდის ღირს (Mp), რომელიც დამოკიდებულია მოხმარებული ძირითადი საშუალებების რაოდენობაზე და მის ფასზე. მეწარმის მიერ გამოყენებულ ძირითად საშუალებებს აქვთ მოხმარების ხანგრძლივი პერიოდი, თავის ღირებულებას ისინი თანდათან გადაიტანენ წარმოებულ პროდუქციის დანახარჯებში, მისი გაცვეთილი ნაწილის ღირებულების შესაბამისად, ამიტომ დანახარჯები Mp შეესაბამება ცვეთის კომპენსაციას მისი მომსახურების მთელ პერიოდში. Mw — კი, პროდუქციის წარმოებაზე დახარჯულ შრომის ანაზღაურებას ხელფასის სახით, როგორც დაქირავებული პერსონალის, ასევე თვით მეწარმის.

გარდა ამისა მეწარმე გაიღებს ხარჯებს პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციისათვის საჭირო ინფორმაციაზე, შენახვაზე, ტრანსპორტირებაზე და სხვა.

საწარმოო მეწარმეობის საბოლოო პროცესია საქონლის გამოშვება G, რომელიც იყიდება საბოლოო მომხმარებელზე. რეალიზაციიდან მიღებული ამონაგები Mg დამოკიდებულია გაყიდვების რაოდენობასა და გასაყიდ ფასზე. მეწარმის ამოცანაა პროდუქციის წარმოების დანახარჯების დაფარვა რეალიზაციიდან მიღებული ამონაგებით და გარკვეული მოგების მიღება.

საწარმოო ბიზნესი მრავალ მუდმივად ცვლადი ღირებულების ფაქტორს მოითხოვს, მრავალი ცვლადი პირობების ზემოქმედება ართულებს ბიზნესის სწორად წარმართავს მეწარმის ამოცანის რეალიზაციისათვის. გარდა ამისა აღნიშნული სახის ბიზნესი მოითხოვს მაღალ კვალიფიკაციას, რის გამოც საწარმოო ბიზნესი ხშირად არ არის მომგებიანი. ამიტომ ამ სფეროში დასაქმებული ბიზნესმენები ეძებენ უფრო მარტივ და მომგებიან ბიზნესს. ამასთან ერთად სახელმწიფოსათვის აუცილებელია საწარმოო ბიზნესის განვითარება.

კომერციულ მეწარმეობაში ბიზნესმენი როგორც კომერსანტი, ვაჭარი გამოდის შუამავლის როლში მწარმოებელსა და მომხმარებელს შორის, იგი მჭიდროდ უკავშირდება მწარმოებელს, იძენს მისგან საქონელს და ყიდის მომხმარებელზე. თავის მხრივ ასაღებს, რა მწარმეობლის საქონელს იგი სტიმულს აძლევს მას აწარმოოს ბაზრისათვის საჭირო რაოდენობის საქონელი.

კომერცია ვიწრო გაგებით ეს არის ვაჭრობა, ხოლო კომერსანტი ვაჭრობის მუშაკი. ცენტრალიზებულ სახელმწიფოს მართვაში კომერცია ითვლებოდა ჩრდილოვან ეკონომიკად, ხოლო კომერსანტი ადამიანი, რომელიც სპეკულაციის გზით არა შრომითი შემოსავლის ხარჯზე იღებდა მოგებას.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში კი კომერცია გულისხმობს არა მარტო ვაჭრობას, არამედ მეწარმეობის სხვა ფორმებსაც.

კომერციული მეწარმეობა უფრო მარტივია, ვიდრე საწარმოო მეწარმეობა. მასზე მოქმედი ფაქტორები შეზღუდულია, ამიტომ რისკი ნაკლებია, ხოლო შემოსავალი უფრო სტაბილური. ამის გამო მრავალი მეწარმე ცდილობს ჩაებას უფრო მეტად კომერციულ საქმიანობაში.

კომერსანტი ყიდულობს მწარმოებელ მეწარმოსაგან საქონელს და ყიდის მას დამატებითი გადამუშავებისა და ცვლილების გამო. რა თქმა უნდა კომერციასაც აქვთ თავისი დამატებითი ოპერაციები, მომხმარებლის მოძებნა, საქონლის ტრანსპორტირება, შენახვა,

მომხმარებლისათვის გადაცემის გაფორმება, საგარანტიო მომსახურება, კომერციისათვის დაქირაებულ მუშაკთა ხელფასი, სავაჭრო ფართის ქირა, გადასახადები, რეკლამა და სხვა, მაგრამ ეს ფაქტორები უმნიშვნელოა და ნაკლებად სარისკო, ვიდრე საწარმოო ბიზნესზე მოქმედი ფაქტორები.

კომერსანტი ცდილობს, რაც შეიძლება მეტი მოგება მიიღოს ყიდვა-გაყიდვის პროცესში. იგი მწარმოებლისაგან ყიდულობს საქონელს საბითუმო ფასში და ყიდის საბაზრო ფასში. ფასთა სხვაობა შეადგენს კომერსანტის შემოსავალს. ამ სახის სპეკულაცია, თუ იგი არ არღვევს გაყიდვის დადგენილ წესსა და სხვა ნორმებს არ წარმოადგენს შესაბამის ორგანოთა განსჯის საგანს.

ფინანსური მეწარმეობა, ეს არის მეწარმეობის განსაკუთრებული სახე, რომელშიდაც ყიდვა-გაყიდვის საგანს წარმოადგენს ფული, საზღვარგარეთის ვალუტა და ფასიანი ქაღალდები. მეწარმის მოგება იქმნება ფინანსური რესურსების უფრო მეტ ფასში გაყიდვით, ვიდრე მან იგი შეიძინა.

საკრედიტო მეწარმეობა იძლევა კრედიტს სახელშეკრულებო ვადაში. სესხად გაცემულ კრედიტზე გარკვეული დეპოზიტური პროცენტის გადახდით. სესხის აძლები მეწარმე აძლევს მყიდველს კრედიტს პროცენტით, რომელიც აღმატება დეპოზიტის პროცენტს. სხვაობა დეპოზიტის პროცენტსა და კრედიტის პროცენტს შორის შეადგენს კრედიტორის მოგებას.

სადაზღვეო მეწარმეობა მდგომარეობს იმაში, რომ მეწარმე აძლევს დამზღვევს გარანტიას, მისი ქონების, ფასეულობათა და სიცოცხლის გაუთვალისწინებელი ზარალის შემთხვევაში გასცეს გარკვეული კომპენსაცია.

მეწარმეობის ასეთი საქმიანობა შეიძლება მივაკუთვნოთ საფინანსო-საკრედიტო მეწარმეობის სახესხვაობას- იმდენად რამდენადაც მეწარმე დებულობს სადაზღვეო საწევროს და უბრუნებს მას მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში - სადაზღვეო შემთხვევის დადგომის დროს. სხვაობა სადაზღვეო შენატანებსა და მეწარმის მიერ სადაზღვეო შემთხვევაში გაცემულ თანხას შორის შეადგენს მეწარმის შემოსავალს.

უფრო მეტად გავრცელებულია სადაზღვეო მეწარმეობის ისეთი ფორმები, როგორცაა ქონების დაზღვევა, სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაზღვევა, რისკისა და პასუხისმგებლობის დაზღვევა. სოციალურ დაზღვევას არა აქვს პირდაპირი კავშირი ბიზნესთან. ბიზნესი დაკავშირებულია, მხოლოდ ნებაყოფლობით დაზღვევასთან, რომლის ბაზარზე იყიდება მომსახურება - სადაზღვეო დაცვა.


მეწარმე (დამზღვევი) როგორც სადაზღვევო მომსახურების გამყიდველი შუამავლის მეშვეობით ან უშუალოდ სთავაზობს მყიდველს (დასაზღვევს) სადაზღვევო მომსახურებას. სამეწარმეო საქონელი – სადაზღვევო მომსახურება – იყიდება სადაზღვევო შენატანით, რომლის სანაცვლოდ დასაზღვევი ღებულობს მოწმობას დაზღვევის ხელშეკრულების სახით (სადაზღვევო პოლისი). სადაზღვევო პოლისი იძლევა კომპენსაციის მიღების გარანტიას ზარალის შემთხვევაში. დაზღვეულთა უმრავლესობას არ ექნებათ პრეტენზია მოითხოვონ შეტანილი დასაზღვევი თანხა, ეინაიდან მათ არ მიუღიათ ამ პერიოდში ზარალი, ამიტომ მათ მიერ შეტანილი სადაზღვევო თანხა უშუალოდ გადადის დამზღვევი მეწარმის ხელში მოგების სახით და მისი ნაწილით კი ანაზღაურდება იმ დაზღვეულთა ზარალი, რომელთაც განიცადეს დანაკარგი. ამდენად მეწარმე ცდილობს მინიმალურად შეამციროს დაზღვეულთა ზარალის კომპენსაციისათვის გაცემული თანხა.

შუამავლობა მეწარმეობის ერთერთი სახეა. იგი მჭიდროდ უკავშირდება მეწარმეობის ისეთ სახეებს, როგორიცაა საწარმოო, სავაჭრო-კომერციული, საფინანსო-საკრედიტო და სადაზღვევო სფეროები. განსხვავება ის არის, რომ შუამავალი არ აწარმოებს და არ ვაჭრობს საქონლით, ფასიანი ქალაქებით, არ იძლევა ფულად კრედიტს, არამედ, მხოლოდ ეწევა შუამავალ მომსახურებას – მწარმოებელს ან საქონლის გამყიდველსა და მყიდველებს შორის.

იგი აკავშირებს მწარმოებელს, გამყიდველსა და მყიდველს, ეხმარება მათ გარიგებაში.

შუამავალს მუდმივი კავშირი აქვს მწარმოებელთან, საქონლის მფლობელთან და მომსახურების სფეროსთან, ღებულობს ინფორმაციას საქონლის რაოდენობისა და რეალიზაციის შესახებ, რაც ესაჭიროება მყიდველს.

(იხ. სქემა 1.3)



სქემა 2.3 საშუამავლო მეწარმეობა

ანაზღაურდება Mf ოდენობით, მაგრამ ვინაიდან გამყიდველი დაინტერესებულია საქონლის გაყიდვით, ჩვეულებრივად ასეთი საზღაური არ ანაზღაურდება. ინფორმაცია შუამავლის მიერ გადაეცემა მყიდველს საქონლის გაყიდვის შესაძლებლობის შესახებ. ასეთი ინფორმაციისათვის მყიდველს შეუძლია მოითხოვოს საზღაური შუამავლისაგან Mf, მაგრამ მყიდველი დაინტერესებულია შეიძინოს საქონელი, ამიტომ იგი არ ითხოვს ამ ინფორმაციისათვის საზღაურს. ამრიგად, იკვრება წრე გამყიდველსა და მყიდველს შორის, რაც საკმარისია მათ შორის ყიდვა-გაყიდვის გარიგების გასაფორმებლად.

იმ შემთხვევაში როცა ასეთი გარიგება დაიდება, შუამავალი უფლებამოსილია მოითხოვოს ფულადი ანაზღაურება Mq, როგორც მყიდველის, ისე გამყიდველისაგან, ვინაიდან მათ ორივეს გაუწია მომსახურება, ერთს საქონლის გასაღებაში, ხოლო მეორეს მის შეძენაში, ამავე დროს Mq საზღაური მეტია ვიდრე Mf-ზე, რომელიც შუამავალმა გადაიხადა ინფორმაციისათვის. ამრიგად, ამ სახის მეწარმეობის არსი იმაში მდგომარეობს, რომ შუამავალი ღებულობს და ყიდის ინფორმაციას ორივე დაინტერესებულ პირს. ეს კი თავისებური ინფორმაციული მომსახურეობაა.

შუამავალი ბიზნესმენი იღებს თავისი მოგების წილს იმისათვის, რომ მან მოძებნა და დააკავშირა ერთმანეთისაგან საჭირო აღაძმინები, გამოდის გარიგების კორდინატორის როლში, თუმცა მისი როლი მეორეხარისხოვანია. შუამავლის რისკი საკმაოდ დიდია: შეხვდა რა მყიდველი და გამყიდველი ერთმანეთს მათთვის უკვე საჭირო აღარაა შუამავალი. ნებისმიერ მომენტში მათ შეუძლიათ თქვან უარი შუამავლისათვის ინფორმაციის ანაზღაურებაზე, თუ იგი დაფიქსირებული არაა შესაბამისი ხელშეკრულებით ან კონტრაქტით.


ბიზნესის პრაქტიკაში შუამავალი აუცილებელი ფიგურაა. იგი აჩქარებს საქონელ ბრუნვის პროცესს. შუამავლის როლში გვევლინებიან ბროკერები, მაკლერები, სავაჭრო აგენტები.

ყველა ზემოთ ჩამოთვლილი სამეწარმეო საქმიანობის სახეები ერთმანეთთან მჭიდრო კავშირში არიან. საწარმოო მეწარმეობას აგრძელებს ვაჭრობა. თავისი საქმიანობისთვის ორივენი საჭიროებენ საფინანსო მეწარმეობას. ზოგჯერ ერთმანეთში ერთდროულად შერწყმულია მეწარმე, ვაჭარი და ფინანსისტი. სადაზღვეო მეწარმეობა კი შეიძლება მივაკუთვნოთ წარმოებასა და მომსახურებას. მეწარმეობის აღნიშნული სახეების შერწყმით წარმოიშობა ბიზნესის კომბინირებული, კომპლექსური სახეები.

2.7 სამეწარმეო ოპერაცია

სამეწარმეო შემოქმედების ერთიანობა, რომელიც მიმდინარეობს თანმიმდევრობით ან პარალელურად, მთელი პერიოდის განმავლობაში კონკრეტული სახსრების დაბანდებიდან მოგების მიღებამდე, როგორც ბიზნესის ციკლის დამთავრებამდე ეწოდება ბიზნეს-ოპერაცია ან ბიზნეს-გარიგება. გარიგება ეს არის წერილობითი ან ზეპირი შეთანხმება, ხელშეკრულება მეურნეობის სუბიექტებს ან ფიზიკურ პირთა შორის, მოქმედებაზე მოგების მიღების მიზნით.

მეწარმეობის მთელი პროცესის დაყოფა გარიგების ცალკეულ ოპერაციებად საჭიროა ბიზნესმენისათვის თავისი მოქმედების პროგრამის შესადგენად, საქმის დაწყებისა და დამთავრების მომენტების დასადგენად, რესურსების გასაანგარიშებლად და მოსალოდნელი შედეგების გასაანგარიშებლად.



სქემა 2.4 ბიზნეს-ოპერაციის ელემენტების შესრულების თანმიმდევრობის სქემა

ბიზნესმენს შეუძლია ერთდროულად წარმართოს რამოდენიმე ბიზნეს-ოპერაცია, რომლებიც სხვადასხვა სტადიაზე იმყოფებიან. ერთდროულად შესრულებულ ოპერაციათა რაოდენობა დამოკიდებულია მეწარმის უნარზე და მისი რესურსების რაოდენობაზე.

ბიზნეს ოპერაციაში შემავალი ელემენტების შესრულების თანმიმდევრობის სქემა შეიძლება შემდეგნაირად წარმოვიდგინოთ: იდეა, ჩანაფიქრის ფორმირება, დაგეგმვა, კონტრაქტის დადება, რესურსებით უზრუნველყოფა, პროდუქციის წარმოება და რეალიზაცია.

იდეა. ამ ეტაპზე ხდება ბიზნესის ოპერაციის საერთო მიმართულების მოფიქრება.

ჩანაფიქრის ფორმირება. ამ დროს ხდება მიზნისა და ბიზნეს ოპერაციის შინაარსის ჩამოყალიბება, პროდუქციის წარმოებისა, სამუშაოს შესრულების ვადები და ჩაფიქრებული ოპერაციიდან მისაღები მოგება, განიხილება არსებული რესურსების ფარგლებში შესაძლებელი ვარიანტები და მიიღება გადაწყვეტილება ოპერაციის შესრულების შესახებ.

ოპერაციის დაგეგმვა. დაწერილებით განიხილება ოპერაციის ჩატარების მეთოდები. ხდება დასმული ამოცანებისა და მეწარმეობის ფაქტორთა შედარება. შეირჩევა უფრო რაციონალური გზა და მინიმალური დანახარჯების შესაძლებლობა, დგება ცალკეული ოპერაციების შესრულების ვადები და მისი თანმიმდევრობა, სამუშაოების დაწყებისა და დამთავრების ვადები. უფრო მსხვილი ოპერაციების შესასრულებლად დგება ბიზნეს გეგმები და პროექტები.

კონტრაქტის დადება. კონტრაქტები განსაზღვრავენ ბიზნეს-ოპერაციაში მონაწილეთა ხელშეკრულებით ურთიერთობის იურიდიულ დასაბუთებას.

ხელშეკრულებები იღება პოტენციურ მყიდველებს, რესურსების მომწოდებლებს, არენდის გამცემსა და კრედიტორებთან. შრომითი კონტრაქტები იღება დაქირავებულ მუშაკებთან. დადებული კონტრაქტების საფუძველზე მეწარმეს შეუძლია გააკეთოს გაანგარიშებები და შეადგინოს საგეგმო მონაცემები ხელშეკრულებაში გათვალისწინებულ პირობების მიხედვით, რის შედეგადაც კეთდება ბიზნეს-გეგმის მარვენებელთა კორექტირება – დაზუსტება. ყველა ხელშეკრულება არ ფორმდება წინასწარ, ზოგჯერ მის ფიქსირებისათვის შესაძლებელია დამატებით პირობებზე შედგეს შეთანხმების ოქმი.

რესურსებით უზრუნველყოფა, ეს არის ბიზნეს-ოპერაციის საწყისი ეტაპი. ამ ეტაპზე ხდება მასალების, მოწყობილობების, საქონლის შექმნა, ინფორმაციის მოპოვება (საბრუნავი საშუალებების ფორმირება), მუშაკთა დაქირავება, ფინანსური რესურსების მოძებნა. ერთი სიტყვით იქმნება ყველა პირობები ბიზნეს-ოპერაციის დაწყებისათვის. საწყისში საჭირო არ არის რესურსების დიდი რაოდენობით შექმნა, მუშაობის პროცესში თანდათან ხდება საჭირო რესურსების შევსება.

პროდუქციის მიღება. იგი ბიზნეს ოპერაციის ძირითადი და დასკვნითი ელემენტია. ამ სტადიაზე მოქმედებაში მოდის მეწარმის ყველა ფაქტორი. საწარმოო მეწარმეობაში საბოლოო პროდუქტია საქონელი და მომსახურება, რომელიც შემდეგ მიეყიდება მომხმარებელს. საეჭრო ბიზნესში მეწარმე იძენს საქონელს, ინახავს და ამზადებს მას რეალიზაციისათვის. ფინანსურ ბიზნესში მეწარმე ამ ეტაპზე იძენს ფულად სახსრებს, ამზადებს საჭირო დოკუმენტაციას მისი კლიენტისათვის მისაყიდად. საშუამავლო ბიზნესში მეწარმე აგროვებს ორივე მხრიდან ინფორმაციას. სადაზღვევო ბიზნესში ღვინდება სადაზღვევო სუბიექტი, იწყებენ მოქმედებას სადაზღვევო აგენტები. ერთი სიტყვით ამ სტადიაზე ბიზნესის ყველა სახეობაში ხდება პროდუქტის, მომსახურების ფულადი და ინფორმაციული რესურსების დამზადება, შექმნა, მოძიება და მომზადება მათი შემდგომი რეალიზაციის მიზნით.

პროდუქციის რეალიზაცია. ბიზნეს-ოპერაციის საფინიშო ეტაპზე მეწარმეობის ოპერაციის საბოლოო პროდუქტი გადაეცემა მომხმარებელს, რისთვისაც მეწარმე ღებულობს ფულს დანახარჯების დაფარვისა და მოგების მისაღებად. ზოგჯერ პროდუქციის რეალიზაცია არ ემთხვევა ფულის მიღებას, ზოგჯერ დამზადებული პროდუქტია რჩება გაუსაღებელიც. მეწარმის საბოლოო მიზანს კი შეადგენს გაწეული დანახარჯების დაფარვა და დაგეგმილი მოგების მიღება. ამიტომ მეწარმე ცდილობს უფრო მეტად პროდუქტი გასცეს წინასწარი ანაზღაურებით.

როგორც ზემოთ აღნიშნულიდან ჩანს, ბიზნეს-ოპერაციაში მთავარი განმსაზღვრელია ფაქტორები, მეწარმის სახსრები. იმისათვის, რომ ვაწარმოოთ ბიზნეს-ოპერაცია საჭიროა შემდეგი ფაქტორები: ფინანსური რესურსები, სამუშაო ძალა, მატერიალური რესურსები, საბრუნავი საშუალებები, ძირითადი საშუალებანი, ინფორმაციული რესურსები, სხვადასხვა მომსახურება, კრედიტი.

შრომითი რესურსები. ისინი მეწარმეობის ერთერთი ძირითადი ფაქტორთაგანია, რომელიც აუცილებელია ბიზნეს-ოპერაციის დასაწყებად. ჩვეულებრივად შრომითი რესურსების ორი წყაროა ბიზნესში: პირველი მეწარმის შრომა და დაქირავებულ მუშაკთა შრომა. ინდივიდუალურ მეწარმეობაში ძირითადად მეწარმის პირადი შრომა გამოიყენება, ზოგჯერ კოლექტიურიც, ხოლო სხვა შემთხვევაში დროებით ან მუდმივად დაქირავებული მუშაკები.

მეწარმე ქირაობს სამუშაო ძალას L - დაქირავებულ მუშაკებს, რომელთაც უხდის ხელფასს Mw . მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად მეწარმე იხდის ასევე სამუშაო ძალის კვლავწარმოებისათვის საენსიო, სადაზღვეო და სხვა ფონდებს. საქართველოს შემთხვევაში სოციალურ უზრუნველყოფისა და სამედიცინო დაზღვევის, დასაქმებისა და სამედიცინო დახმარების აუცილებელ გადასახადებს.

ეინაიდან ხელფასი გადაიხდება ყოველთვიურად, ფულადი სახსრები საჭიროა ბიზნეს ოპერაციის დასაწყისიდან მის დამთავრებამდე ხელფასის გადასახდელად.

ხელფასისათვის საჭირო ფულადი სახსრების რეგულირება ბიზნეს-ოპერაციის პერიოდში შესაძლებელია საჭიროების მიხედვით მუშახელის დაქირავება-დათხოვნით და ასევე ხელფასის ოდენობის რეგულირებით, მაგრამ ასეთი რეგულირება მნიშვნელოვან გაელენას არ ახდენს ხელფასის ოდენობაზე.

მეწარმეობის მნიშვნელოვანი ფაქტორია მატერიალური რესურსები, საბრუნავი საშუალებანი, რომლებიც დიდი რაოდენობით იხარჯება ბიზნეს-ოპერაციის მთელ პერიოდში, მასალების, ნედლეულის, ენერჯის, ტარის, სათბობის და მზა პროდუქციის სახით.

მეწარმე იძენს მატერიალურ რესურსებს (RM) მისი მფლობელისაგან ფულადი სახსრებით (MZm). ზოგჯერ მატერიალური რესურსების შეძენა ხდება ნატურგაცვლით - ბარტერის წესით. კომერციული სავაჭრო მეწარმეობის შემთხვევაში შეძენილ მატერიალურ რესურსებს წარმოადგენს მზა პროდუქტები, საქონელი.


მეწარმეობის მნიშვნელოვანი ფაქტორია ასევე ძირითადი საშუალებები (P), შენობები, ნაგებობები, მანქანები, მოწყობილობები, გამოთვლითი ტექნიკა, ორგტექნიკა და სხვა. მეწარმე მას იძენს ფულადი სახსრებით ან ღებულობს არენდით (Mp). ძირითადი საშუალებები სისტემატურად მონაწილეობს ბიზნესის ოპერაციაში. დანახარჯები ძირითად საშუალებებზე წარმოების პროცესში დაირიცხება ამორტიზაციის

სახით კონკრეტულ ოპერაციებზე, როცა ძირითადი საშუალებანი საჭიროა კონკრეტული ოპერაციისათვის, მაშინ ძირითად ფონდებს სესხულობენ არენდით მისი შემდგომი გამოსყიდვის უფლებით – ლიზინგი.

ძირითად საშუალებას მეწარმე იძენს ოპერაციის დაწყებამდე ჩანაფიქრის სტადიაზე, ამიტომ ფულადი სახსრები საჭიროა წინასწარ, ხოლო შედეგებს იგი იძლევა ოპერაციის დამთავრების შემდეგ.

ბიზნეს-ოპერაციისათვის ასევე საჭიროა ინფორმაციული რესურსები (i), ანგარიშების მონაცემები, ლოკუმენტაციის, პროექტების, ნახაზების და სხვა სახით. ინფორმაციაზე დანახარჯი შეადგენს M_i -ს. ინფორმაცია საჭიროა ბიზნეს-ოპერაციის დასაწყისში, მისი მოპოვება ზოგჯერ ხდება მეწარმის ან დაქირავებული მუშაკების მიერ. ზოგჯერ მეწარმე მას იძენს ფულადი სახსრებით.

გარდა ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტორებისა ბიზნეს-ოპერაციისათვის საჭიროა მომსახურება, სხვადასხვა სამუშაოები (S). მომსახურების შეძენა ხდება სახელმწიფოს ან ცალკეულ მეწარმეთაგან ფულად სახსრებზე. ჩვეულებრივად ეს არის კაემირგაბმულობის, ტრანსპორტის, ვაჭრობის, რეკლამის სააგენტოს, ასევე ინტელექტუალური მომსახურების სახით, როგორცაა იურიდიული, აუდიტორული, დაცვის და სხვა კონსულტაციური მომსახურება.



2.5 სამეწარმეო საქმიანობის სქემა

საფინანსო დანახარჯების ერთ-ერთი სახეა საფინანსო ხარჯები სახელმწიფო გადასახადების სახით. ამ დანახარჯებს არაერთი შედეგი არ მოაქვს მეწარმისათვის, მაგრამ იგი სოციალურად აუცილებელია საზოგადოებისათვის (M_i). გადასახადებს მეწარმე იხდის, როგორც სახელმწიფო, ისე ადგილობრივ ბიუჯეტში. ასეთ გადასახადების რიცხვს ეკუთვნის აქციზი, დამატებული ღირებულების გადასახადი, მოგების, ქონების, გზების, ეკოლოგიის და სხვა. სამეწარმეო საქმიანობის რესურსებით უზრუნველყოფა მოტანილია სქემა 2.5-ში.

გარდა ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტორებისა, მეწარმე იყენებს ასევე საკუთარ რესურსებს, შრომას, მასალებს, ძირითად ფონდებს, ფულად სახსრებს. ამ სახის რესურსებს უწოდებენ შინაგან დანახარჯებს (M_{in}).

ბიზნესის დაწყებისათვის უმეტეს შემთხვევაში საჭიროა სასტარტო კაპიტალი. რისთვისაც იყენებენ ბანკის კრედიტს. მეწარმე ღებულობს კრედიტს M_1 - ოდენობით და აბრუნებს მას M_2 -ს ოდენობით, რაც აღემატება M'_1 -ს ΔM სიდიდით, და შეადგენს კრედიტის პროცენტს. ($\Delta M = M_2 - M'_1$)

ბიზნეს-ოპერაციის მთლიანი ფულადი დანახარჯი შეადგენს:

$$Me = Mw + Mzm + Mp + Mi + Ms + Min + DM.$$

ბიზნეს-ოპერაციის შედეგად მეწარმე ღებულობს რეალიზაციის ამონაგებს Mq -ს ოდენობით, რაც აღემატება Me -ს მოგების თანხით R :

$$R = Mq - Me.$$

მეწარმის მიერ მიღებული საერთო მოგება R ჯერ კიდევ არაა მისი საკუთრება. აქედან იგი უხდის გადასახადებს და ბეგარას ფინანსურ ორგანოებს M_1 -ს ოდენობით. მეწარმის მიერ მიღებული წმინდა მოგება იქნება

$$Ro = Mq - Me - M_1 = R - Mi$$

წმინდა მოგების შეფარდება ფულადი დანახარჯების ჯამთან შეადგენს სამეწარმეო ოპერაციის რენტაბელობას

$$Re = \frac{Ro}{Me}$$

მეწარმეობის საქმიანობის შედეგი ფასდება რენტაბელობის მაჩვენებლით. ნორმალურ პირობებში ბიზნეს-ოპერაციის რენტაბელობა არ უნდა იყოს 0,2-ზე ან 20%-ზე ნაკლები. ჩვეულებრივ რენტაბელობის დონე დამოკიდებულია კონკრეტულ საბაზრო პირობებზე, მეწარმის უნარზე და მის წარმატებაზე.

მეწარმეობის მოქმედების სფეროები

ქვეყნის ეკონომიკა თავისი ფუნქციის მიხედვით შეიძლება დაკვეთოთ ორ ძირითად სფეროდ: საწარმოო სფერო და მომსახურების სფერო, ისინი განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, თავისი საქმიანობის შინაარსით. საწარმოო სფერო აწარმოებს სხვადასხვა პროდუქციას. მათ მიეკუთვნება მომპოვებელი და გადამამუშავებელი მრეწველობა, მშენებლობა და სოფლის მეურნეობა, ხოლო მომსახურების სფეროში შედის საცალო და საბითუმო ვაჭრობა, ფინანსები და დაზღვევა, ტრანსპორტი, კავშირგაბმულობა, კომუნალური და სხვა სახის მომსახურება.

ეკონომიკის ეს ორი სფერო ერთი მთლიანი ეკონომიკის ცალკეული ნაწილებია და დამოკიდებული არიან ერთმანეთისაგან. მწარმოებელისათვის აუცილებელია მომსახურე ფირმები, რათა შეიძინონ და გაყიდონ თავისი საქონელი, ხოლო მომსახურე ფირმებისათვის საჭიროა სიცოცხლისათვის აუცილებელი საქონლის წარმოება. მაგალითად: ფეხსაცმლის ფაბრიკა ვერ იარსებებდა ფეხსაცმლის გამყიდველი მაღაზიების გარეშე და პირიქით, რესტორანი ან კაფე ვერ იარსებებდა, რომ არ იყოს ხორცისა და ღვინის საწარმოები.

ამ ორ სფეროს შორის მკაცრად განსაზღვრული ზღვარი არ არსებობს, ზოგჯერ საწარმოო სფერო შერწყმულია მომსახურების სფეროს და მათი გამოყოფა შეუძლებელია. ფირმა, რომელიც აწარმოებს საქონელს და თვითონ ყიდის, ერთდროულად ასრულებს როგორც საწარმოო, ისე მომსახურების ფუნქციას.

მომსახურებისა და წარმოების სფეროთა სტრუქტურა ქვეყნის ეკონომიკაში ცვალებადია. ადამიანის ეკონომიკურ, კულტურულ და ესთეტიკურ მოთხოვნების ზრდასთან ერთად იზრდება მომსახურების სფეროსადმი მოთხოვნილება. ეს უკანასკნელი კი საწარმოო სფეროსაგან მოითხოვს ახალი სახეობის საქონლის წარმოებას, წარმოების მასშტაბების გაფართოებას. თუ ეროვნული წარმოება ამ მოთხოვნილებას ვერ

აკმაყოფილებს, მაშინ ის მოითხოვს ამ საქონლის ექსპორტს, რითაც მომსახურეობის სფეროს მოცულობა იზრდება, მაგრამ წარმოების სფერო უცვლელი რჩება ან იცელება მცირე მასშტაბით. ამდენად, მომსახურების სფერო უკუგაეღვნას ახდენს წარმოების სფეროზე. იგი სტიმულს აძლევს და უკარნახებს ბაზრის მეშვეობით, თუ რა უნდა აწარმოოს მეწარმემ და რამდენი.

რაც უფრო დიდია მომსახურების სფეროს ხვედრითი წილი ქვეყნის ეკონომიკაში, მით უფრო მაღალია მოსახლეობის ეკონომიკური და სოციალური განვითარების დონე.

სახელმწიფო გარკვეულ როლს თამაშობს ამ ორ სფეროს შორის წონასწორობის დასაცავად. თუ ეროვნული მეწარმეობის სფერო ვერ აკმაყოფილებს საზოგადოების მომსახურების სფეროს მოთხოვნილებას, მაშინ იგი თვითონ ზრდის სახელმწიფო სექტორებში ამ სახის საქონლის წარმოებას ან დებულობს ზომებს მისი ექსპორტის გზით შესავესებად.

მაგალითისათვის 1940 წელს აშშ მომუშავეთა ნახევარი დასაქმებული იყო მომსახურეობის სექტორში. 1988-1990 წლებში კიდევ უფრო გაიზარდა ამ სფეროში დასაქმებულთა რიცხვი. დამატებით დასაქმებული იქნა 19 მლნ. ადამიანი, სამაგიეროდ საწარმოო სფეროში დასაქმებულთა რიცხვი შემცირდა 21-დან 19 მლნ. ადამიანი.

ცხრილი 2.1.

აშშ. კერძო სექტორში დასაქმებულთა სტრუქტურა %-ით (მეურნეობისა).

Nr		1985წ. %-ში	1990წ. %-ში
1	მომპოვებელი მრეწველობა	3,6	1,0
2	გადამამუშავებელი მრეწველობა	22,8	21,0
3	მშენებლობა	5,3	6,0
4	ტრანსპორტი და კომუნალური მეურნეობა	10,7	6,0
5	ვაჭრობა	18,7	28
6	ფინანსები და დაზღვევა	18,0	7,0
7	სხვა მომსახურება	20,9	31,0
	სულ	100	100

საცალო და საბითუმო ვაჭრობა

მომსახურების ამ სფეროს წამყვანი ადგილი უკავია მოწინავე კაპიტალისტურ ქვეყნებში დასაქმებულთა რიცხოვნებისა და გაყიდვების მოცულობით. ამ სფეროში დაკავებული არიან წვრილი ოჯახური ფირმები, ჯიხურების, მცირე სუვენირების მაღაზიების, კაფეების საკონდიტროების სახით. მათვე მიეკუთვნება „ოპტოვიკები“ და ბროკერები — შუამავლები მწარმოებლებსა და საცალო მევაჭრებს შორის.

უკანასკნელი წლების განმავლობაში ასეთი მცირე ფირმები ნელ-ნელა იღვენება და იხურება მსხვილი უნივერსალური თვითმომსახურების მაღაზიები კონკურენციის შედეგად.

ფინანსები და დაზღვევა

ფინანსებსა და დაზღვევას მნიშვნელოვანი ადგილი უკავია კაპიტალისტური ქვეყნების ეკონომიკაში. მათ მიეკუთვნება: სადაზღვევო კომპანიები და ბანკები. დამოუკიდებელი სადაზღვევო აგენტები, უძრავი ქონების გამყიდველი ბროკერები და გარკვეული რეგიონების მომსახურე მცირე ბანკები. ჩვენი ქვეყნის ეკონომიკაში აღნიშნული სახის მომსახურების დარგები, ჯერ კიდევ ჩამოყალიბების სტადიაშია. კომერციულმა ბანკებმა საწყისში ფართო ასპარეზი მიიღეს, მაგრამ დღეისათვის, ფინანსური მდგომარეობის გამო, მათი რიცხვი საგრძნობლად შემცირდა. ამჟამად მიმდინარეობს მათი გაერთიანების პროცესი. რაც შეეხება სადაზღვევო კომპანიებს, ისინი ამჟამად ჩამოყალიბების პროცესშია, რასაც ხელს უწყობს შესაბამისი საერთაშორისო სადაზღვევო კომპანიები.

ტრანსპორტი და კომუნალური მომსახურება

კაპიტალისტურ ქვეყნებში მომსახურების ეს სფერო უპირატესად მსხვილი კორპორაციების ხელშია, ვინაიდან ისინი მოითხოვენ დიდ კაპიტალდაბანდებებს, რაც წერილ მეწარმეთათვის ხელმიუწვდომელია.

საქართველოში საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პროცესში სერიოზული შეცდომები იქნა დაშვებული, როცა ორგანიზაციულად კარგად მოწესრიგებული სატრანსპორტო სამსახური, რომელსაც გააჩნდა მსგავსი ტექნიკური ბაზა, დაიშალა და სიმბოლურ ფასებში კერძო პირებს

მიეყიდა. ამით მოიშალა ქვეყნის მოსახლეობის ტრანსპორტით უზრუნველყოფა. კერძო პირთა ხელში არსებული ტრანსპორტი უმეტესად ტექნიკურად გაუმართავე ეწეოდა მგზავრთა გადაყვანას, რასაც თან სდევდა ზშირი ავარიები და უბედური შემთხვევები. ამჟამად მიმდინარეობს მუშაობა, რათა შეიქმნას ერთიანი ტექნიკური ავტოპარკები, შეივსოს ისინი თანამედროვე სატრანსპორტო საშუალებებით და გაერთიანდნენ ერთიან სატრანსპორტო სისტემაში.

„სხვადასხვა“ მომსახურება

„სხვადასხვა“ მომსახურების სფერო საკმაოდ გავრცელებულია. მასში შედიან ისეთი მრავალსახეობის ფირმები, როგორცა სილამაზის სალონები, სარემონტო სახელოსნოები, ფოტო და სამკერვალო სახელოსნოები, კერძო სკოლები და კოლეჯები, ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებები, სასტუმროები, დასასვენებელი სახლები, პარკები, თეატრები და სხვა.

მომსახურების ეს სფერო ძირითადად შრომატევადია და ეკუთვნის კერძო მეწარმეებს, არ მოითხოვს დიდ კაპიტალდაბანდებას შრომის საშუალებების შესაძენად. 1993 წლიდან ჩვენი ქვეყნის ქალაქებსა და დაბებში დაიწყო მომსახურების ამ სფეროს განვითარება. ისინი გამოირჩევიან ესთეტიკურად მაღალი გემოვნებით გაფორმებული სალონებისა და ფირმების სახით, რამაც ერთის მხრივ შეცვალა ქალაქებისა და ქუჩების არქიტექტურული და ესთეტიკური იერსახე.

საწარმოო სექტორი

ჩვენი ქვეყნის საწარმოო სექტორი გამოირჩევა თავისი სტრუქტურული თავისებურებით, რაც განპირობებულია საქართველოში უკანასკნელ წლებში მიმდინარე პოლიტიკური და ეკონომიური მოვლენებით. სამოქალაქო ომმა და ქვეყნის ხელისუფლების ცვლამ გამოიწვია საწარმოო სექტორის, კერძოდ მრეწველობის, როგორც ორგანიზაციული, ასევე ტექნიკური თვალსაზრისით სრული ნგრევა.

საწარმოთა უმრავლესობა გაჩერებულია ნედლეულისა და მასალების უქონლობის გამო. საბჭოთა კავშირის ნგრევამ მთლიანად მოშალა საწარმოთა მომარაგება გასაღების სისტემა, რომელიც ძირითადად

ორიენტირებული იყო ცენტრალიზებულ მომარაგება გასაღების სისტემაზე. წლების განმავლობაში გაჩერებული საწარმოები გაიძარცვა და დაინგრა. დღეს მის აღდგენას და ტექნიკურ გადაიარაღებას დიდი კაპიტალური დაბანდება სჭირდება, რის გამოც დღემდე არ გამოიძებნა მათი ამოქმედებისათვის არც უცხო ინვესტიციები და არც ქვეყნის შიგა კაპიტალდაბანდებები. საწარმოთა დიდი რაოდენობა ჯერ კიდევ პრივატიზებული არაა, მათი საკონტროლო პაკეტი სახელმწიფოს ეკუთვნის. ქვეყნის მრეწველობის წამყვანი დარგები: კვებისა და მსუბუქი მრეწველობა, მანქანათმშენებლობა მძიმე კრიზისს განიცდიან. ამჟამად ამ დარგების კოორდინაციის მიზნით შეიქმნა მრეწველობის სამინისტრო, ამოქმედდა სასურსათო მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ზოგიერთი საწარმო. მრეწველობის დარგთა ამოქმედებას სერიოზულ პრობლემას უქმნის სათბობ-ენერგეტიკული კომპლექსის კრიზისიც-ენერჯის უქონლობისა და ზოგჯერ გადახდის უუნარობის გამო მოქმედი საწარმოები ხშირად გაჩერებულია.

იმ საწარმოთა პროდუქციის გასაღება, რომლებიც მცირე სიმძლავრით მაინც მოქმედებს, საზღვარგარეთიდან იმპორტირებული საქონლის კონკურენციის გამო ფერხდება. ამას ემატება საგადასახადო სისტემის მოუწესრიგებლობა და ფინანსური კრიზი. ქვეყანაში მოქმედი საწარმოთა მნიშვნელოვანი ნაწილი უკვე გაკოტრების სიაშია მოხედრილი.

სერიოზული შეცდომები იქნა დაშვებული ქვეყნის მრეწველობის პრივატიზაციის საქმეში. ისეთი მსხვილი სტრატეგიული დანიშნულების საწარმოები, რომლებიც საზღვარგარეთის ქვეყნებშიც კი დღემდე სახელმწიფოს ხელშია, დაექვემდებარა პრივატიზაციას, რის გამოც ისინი საბოლოოდ განადგურდნენ. ამით სახელმწიფომ დაკარგა საწარმოო სფეროსა და ბაზრის რეგულირების ფუნქცია. მაგალითად, ევროპისა და ამერიკის კონტინენტის ბევრ ქვეყანაში თამბაქოსა და ალკოჰოლიანი სასმელების წარმოება და რეალიზაცია სახელმწიფოს ხელშია..

მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო სექტორის სამრეწველო საწარმოები დაბალი რენტაბელობით ხასიათდებიან, ისინი წარმოადგენენ ეკონომიკის მძლავრ ძალას. მაგალითად აშშ მომუშავე მოქალაქეთა 15% დასაქმებული არიან სახელმწიფო სექტორში, (გარდა სამხედრო მრეწველობისა). ფედერალური და შტატების მთავრობები ყოველწლიურად 1,5 ტრილიონ დოლარს აგროვებენ. ისინი ფლობენ აშშ-ის მიწის 40%, 3,9 მილიარდ დოლარის მოწყობილობებსა და ნაგებობებს. მათ შორის

მსოფლიოს უმსხვილეს ადმინისტრაციულ ნაგებობებს – პენტაგონს, რომელშიც დასაქმებულია 29 ათასი თანამშრომელი.

სახელმწიფო ანაწილებს ფინანსების უდიდეს რაოდენობას, აფინანსებს სოციალურ პროგრამებს, 40 მლნ. ადამიანი მონაწილეობს სოციალური დაზღვევის პროგრამაში, 11 მლნ. ღებულობს დახმარებას ბავშვიან ოჯახებზე, 10 მლნ. ადამიანი ღებულობს სასურსათო ტალღებს, გარდა ამისა სახელმწიფო აშენებს გზებს, ხიდებს, დამბებს, კანალიზაციის სისტემებს, აგროვებს ნავაგს, უზრუნველყოფს მოსახლეობის საფოსტო მომსახურებას, ებრძვის დანაშაულს, უზრუნველყოფს ქვეყნის თავდაცვას, კრეფს გადასახადებს, განაგებს რესურსების უმეტეს ნაწილს.

წარმოების სექტორი მოიცავს მომპოვებელ და გადამამუშავებელ მრეწველობას, მშენებლობას და სოფლის მეურნეობას.

ჩვენი ქვეყნის ეკონომიკაში წამყვანი ადგილი უკავია გადამამუშავებელ მრეწველობას, კერძოდ კვების, მსუბუქ მრეწველობას და მანქანათმშენებლობას. კვების მრეწველობა 1988 წელს აწარმოებდა მთლიანი ეროვნული პროდუქტის 42%-ს, მსუბუქი მრეწველობა 20%-დე, მანქანათმშენებლობა 10-12%. დანარჩენს კი სოფლის მეურნეობა და სხვა დარგები.


ჩვენი ქვეყნის მრეწველობის პროდუქციას შეუძლია მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავოს სნგ-სა და საზღვარგარეთის ქვეყნების ბაზრებზე, ქართული მარგანეცი, ჩაი, ღვინო, კონიაკი და შამპანური, ბორჯომის წყალი, მანქანათმშენებლობის, ქიმიური და მეტალურგიის პროდუქციის მნიშვნელოვანი ნაწილი ტრადიციულად საექსპორტო პროდუქციად ითვლებოდა და მსოფლიო ბაზარზე მოწონებით სარგებლობდა.

თავი III. სამრეწველო საწარმო საბაზრო ეკონომიკაში

3.1 სამრეწველო საწარმო

სამრეწველო საწარმო ქვეყნის ეკონომიკის ძირითადი რგოლია, რომლის საფუძველია პროფესიონალურად ორგანიზებული შრომითი კოლექტივი, რომელსაც თავის განკარგულებაში არსებული რესურსებით შეუძლია აწარმოოს (შეასრულოს სამუშაო, გაუწიოს მომსახურება) მომხმარებლისათვის საჭირო შესაბამისი დანიშნულების, პროფილისა და ასორტიმენტის პროდუქცია. იურიდიული თვალსაზრისით საწარმო არის დამოუკიდებელი სამეურნეო სუბიექტი, რომელიც შექმნილია მოქმედი კანონმდებლობით ბაზაზე პროდუქციის წარმოების, მოსახლეობის მომსახურების და მოგების მიღების მიზნით. სამრეწველო საწარმოს მიეკუთვნება ქარხნები, ფაბრიკები, კომბინატები, შახტები, კარიერები, პორტები, გზები, ბაზები და სხვა საწარმოო დანიშნულების სამეურნეო ორგანიზაციები.

სამრეწველო საწარმოს გააჩნია შიგა და გარე გარემო. საწარმოს შიგა გარემო შედგება სამი ძირითადი ელემენტისაგან: წარმოების საშუალებები, სამუშაო ძალა და კაპიტალი. საწარმოო პროცესი არის ამ სამი ელემენტის შეერთება, რომლის შედეგია პროდუქცია. (ნახ. 3.1).




ნახ. 3.1 სამრეწველო საწარმო

საწარმოს გარე გარემო ეს არის რესურსების მომწოდებელი, პროდუქციის მომხმარებელი და ასევე სახელმწიფო ორგანოები და მოსახლეობა. (ნახ. 3.2).

თანამედროვე საბაზრო ეკონომიკაში ყოველ წარმოებას გააჩნია თავისი კონკრეტული ამოცანა, მიუხედავად მათი განსხვავებისა მათ გააჩნიათ ყველასათვის საერთო ამოცანები. ესენია:

- მესაკუთრისათვის მოგების მიღება;
- საწარმოს პროდუქციით მოსახლეობის უზრუნველყოფა;
- საწარმოს მუშაკთა უზრუნველყოფა ხელფასით, შრომის ნორმალური პირობებით და პროფესიული ზრდით;
- ადგილობრივი მოსახლეობის სამუშაო ადგილებით უზრუნველყოფა;
- გარემოს, მიწის, საჰაერო და წყლის ბასეინების დაცვა;
- არ დაუშვას წარმოების მოცულობის მკვეთრი შემცირება, წუნდებული პროდუქციის გამოშვება, რენტაბელობის დაცემა.

საწარმოს ამოცანის განსაზღვრა მიუხედავად მისი სტატუსისა დამოკიდებულია მის მფლობელზე. საწარმოს მიერ მიღებული შემოსავალი უნდა უზრუნველყოფდეს, როგორც მისი მფლობელის, ასევე საწარმოო კოლექტივის სოციალურ და ეკონომიკურ ინტერესებს.



ნახ. 3.2 სამრეწველო საწარმოს გარე გარემო

სამრეწველო საწარმო მისი საკუთრების ფორმისაგან დამოუკიდებლად მუშაობს სრულ სამეურნეო ანგარიშზე, თვითდაფინანსებისა და თვითანაზღაურების პრინციპით, დებს ხელშეკრულებებს მომწოდებლებსა და პროდუქციის მომხმარებლებთან.

სამრეწველო საწარმოს ძირითადი ფუნქციებია:

- საწარმოს და პირადი მოხმარების პროდუქციის დამზადება;
- პროდუქციის მიწოდება და გაყიდვა მომხმარებელზე;
- პროდუქციის გაყიდვის შემდგომი მომსახურება;
- წარმოების მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა;
- საწარმოს პერსონალის შრომის ორგანიზაცია და მართვა;
- წარმოების მოცულობის ზრდა და საწარმოს ყოველმხრივი

განვითარება;

- მეწარმეობის განვითარება;
- გადასახადების გადახდა;
- მოქმედი სტანდარტების, ნორმატივების, სახელმწიფო კანონების დაცვა.
- ბუნების გარემო პირობების დაცვა.

აღნიშნული ფუნქციები იცვლება წარმოების მოცულობის, სპეციალიზაციისა და კოოპერირების დონის, სოციალური ინფრასტრუქტურის და საკუთრების ფორმის ცვლილების შესაბამისად.

საწარმო პასუხს აგებს სახელმწიფო საფინანსო ორგანოების წინაშე, დროულად იხდის გადასახადებს, თავის შემოსავლით ფარავს დანაკარგებსა და ზარალს. რეალიზაციიდან მიღებული ამონაგებიდან იძენს რესურსებს, ანაზღაურებს შრომის ხარჯებს, ჩწარმოება მუდმივად ზრუნავს პროდუქციის ხარისხის ამაღლების და მისი ღირებულების შესამცირებლად, რათა შეინარჩუნოს გასაღების ბაზარი. მომხმარებელი მუდმივად ეძებს მაღალი ხარისხისა და დაბალი ღირებულების საქონელს. საწარმოს პერსონალი სწავლობს გასაღების ბაზარს, ღებულობს ზომებს სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის დანერგვის გზით პროდუქციის ხარისხისა და რენტაბელობის ამაღლებისათვის. ამრიგად, საწარმო ამავე დროს მონაწილეობს ქვეყნის ეკონომიკისა და პოლიტიკის საკითხების გადაწყვეტაში.

3.2 საწარმოს სამეწარმეო უფლებები და მოვალეობანი, სახელმწიფოს ფუნქციები

სახელმწიფო ყოველმხრივ უწყობს ხელს სამეწარმეო საქმიანობის განვითარებას, ვინაიდან მეწარმის მიზნებისა და ამოცანების განხორციელება ქვეყნის ეკონომიკის აღმავლობის საფუძველია. მეწარმეობის საქმიანობის შედეგები უშუალო გამოხატულებას პოვენენ სახელმწიფო ბიუჯეტის ფორმირებაში. რაც უფრო მაღალია ქვეყნის მეწარმეთა შემოსავალი, მით მეტია ბიუჯეტის შემოსავლები და საბოლოო ჯამში მოსახლეობის ეკონომიკური და სოციალური უზრუნველყოფა. მეწარმეობის ეფექტიანობის ამაღლება შეუძლებელია სახელმწიფოს მიერ ბიზნესისადმი დახმარების გარეშე.

ბიზნესის განვითარებისა და მისი ხელშეწყობის საქმეში სახელმწიფოს ფუნქციებია: ბიზნესის იურიდიული უზრუნველყოფა, საკანონმდებლო ბაზის შექმნა და მისი რეალური ფუნქციონირება, სწორი საგადასახადო პოლიტიკის შემუშავება, ბიზნესის დაცვა გარე კონკურენციისაგან, მეწარმეთა ქონების დაცვა, მოკლე და გრძელვადიანი სესხებით უზრუნველყოფა სწორი ფულად-საკრედიტო პოლიტიკის გატარებით, და ბოლოს, მეწარმეთა შიგა საქმიანობაში ჩაურევლობა და ინფლაციისაგან დაცვა.

ზოგიერთი ეკონომისტის აზრით სახელმწიფოს ფუნქციები არასწორადაა გაგებულნი. ვერ დავეთანხმებით მათ მოსაზრებას თითქოს სახელმწიფო იყოს მხოლოდ „ღამის დარაჯი და გადასახადის ამკრეფი“. სახელმწიფოს მართვის მრავალსაფეხურიანი სტრუქტურა და მართვის მრავალრიცხოვან ორგანოთა ფუნქციების ძირითადი მიზანი (დაწყებული მინისტრთა კაბინეტიდან და დამთავრებული სამინისტროების, კორპორაციებისა და ადგილობრივი მართვის ორგანოებით) უნდა იყოს მეწარმეთა ხელისშეწყობა.

მართვის მეცნიერული მიდგომა მოითხოვს უფლებებისა და მოვალეობათა სწორ შეთანწყობას. ზოგჯერ სახელმწიფო მეწარმისაგან ბევრად მეტს მოითხოვს, მეტს ავალებს, ვიდრე თვითონ გაიღებს მისდამი. სახელმწიფო ყოველთვის სასწორზე უნდა დებდეს მეწარმისათვის გაწეულ დახმარებასა და მეწარმისაგან მოთხოვნათა პაკეტს.

სახელმწიფო ახორციელებს მკაცრ კონტროლს მეწარმის საქმიანობაზე. ასეთ კონტროლის ფუნქციებს მიეკუთვნება:

- კონტროლი შემოსავლებზე და გადასახადების გადახდაზე;
- კონტროლი პროდუქციის დანიშნულებაზე და მის ტექნიკურ დონეზე;

– წარმოების ტექნიკური პირობებისა და სტანდარტების დაცვაზე კონტროლი;

– წარმოების სანიტარულ მდგომარეობაზე კონტროლი;

– დაქირავებული პერსონალის სამართლებრივ დაცვაზე კონტროლი.

საერთო შეფასებით, საწარმო სრული პასუხისმგებელია მისი საქმიანობის ყველა სფეროზე, კერძოდ: სახელმწიფოს ინტერესებისა და მოქალაქეთა უფლებების დაცვაზე, კანონებისა და გარემოს დაცვაზე, მოქალაქეთა და სახელმწიფოს ქონების აქციების დაცვაზე, წარმოების ეფექტიანობის ამაღლებაზე.

მეწარმეობისადმი კონტროლის კანონი ყველა ქვეყანაში საკმაოდ მკაცრია. დემოკრატია ბერს ესმის, როგორც ყველაფრის უფლება. ამ საკითხში სამართლიანად აღნიშნავს ამერიკელი მენეჯმენტის მკვლევარი ი. ხოტინი – „დასავლეთს დემოკრატია ესმის, როგორც ძლიერ მკაცრი და დაუნდობელი კანონები, რომლებსაც არ შეიძლება გვერდი აუარო ან დაარღვიო“.

საწარმოს საქმიანობამ ხელი არ უნდა შეუშალოს სხვა საწარმოს, დაწესებულების მუშაობას, არ უნდა გააუარესოს მოქალაქეთა ცხოვრების პირობები. ამავე დროს არც სახელმწიფო და არც რომელიმე ზემდგომი ორგანო პასუხს არ აგებს საწარმოს ვალდებულებებზე და სამეურნეო საქმიანობის შედეგებზე, ისე როგორც საწარმო პასუხს არ აგებს სახელმწიფოს ან მის სხვა ორგანოთა ვალდებულებებზე.

სამეურნეო პრაქტიკაში ხშირია შემთხვევები, როცა სახელმწიფოს მართვისა და კონტროლის ორგანოთა წარმომადგენლები იყენებენ რა საწარმოსადმი სახელმწიფოს კონტროლის ფუნქციებს, აჭარბებენ თავის უფლებამოსილების ფარგლებს, ატარებენ ხშირ და ხანგრძლივ შემოწმებებსა და რევიზიებს იმ საკითხებზე, რაც მათ კომპეტენციაში არ შედის, რითაც ხელს უშლიან საწარმოს ნორმალურ მუშაობას. მაკონტროლებელ ორგანოთა ფუნქცია არ არის საწარმოს ხელმძღვანელობის სამეურნეო-ფინანსურ მუშაობაში დარღვევებისა და დანაშაულის ფიქსირება და მათი დასჯა, არამედ კონტროლს თან უნდა სდევდეს დარღვევების პროფილაქტიკის და საწარმოს მუშაკთა დახმარება, რათა შემდგომში ადგილი არ ჰქონდეს დარღვევათა და ნაკლოვანებათა განმეორებას.

ჩვენ ქვეყანაში მაკონტროლებელ ორგანოთა რიცხვს მიეკუთვნება მეწარმეთა მიმართ პირველ რიგში საგადასახადო ინსპექცია, მისი

ფუნქციას მეწარმეთაგან ქვეყნის ბიუჯეტში გადასახადების გადახდის კონტროლი. გარდა ამისა გეგმიურ-დოკუმენტურ შემოწმებას 2 წელიწადში ერთჯერ ატარებს საგადასახადო ინსპექციასთან ერთად კონტროლის დეპარტამენტის სამსახურები. ერთჯერადი მიზნობრივი შემოწმების ჩატარების უფლება აქვთ ასევე პროკურატურის ორგანოებს.

შემოწმების შედეგების ანალიზი გვიჩვენებს, რომ მეწარმეთა მიერ მოქმედი საგადასახადო ან სხვა ფინანსურ საქმიანობაში დარღვევები უმეტესად გამოწვეულია მოქმედი კანონმდებლობის უცოდინარობის გამო და არა წინასწარ განზრახული ქმედებით. საქმე იმაშია, რომ ჩვენი ქვეყნის საკანონმდებლო აქტები ხელახლად იქმნება. მათი რაოდენობა იმდენად დიდია, რომ მეწარმე ვერც კი ასწრებს მის გაცნობას. თუ მხედველობაში მივიღებთ იმასაც, რომ ეს კანონები ხშირად იცვლება და მათი მიღების ან ცვლილების შესახებ ინფორმაცია მეწარმემდე ვერ აღწევს ან დაგვიანებით სვდება მეწარმის ხელში, მაშინ ცხადი იქნება, თუ რა უხერხულ მდგომარეობაში ვარდება მეწარმე. თუ გაეითვალისწინებთ იმასაც, რომ ხშირად ეს კანონები გადმოთარგმნილია უცხო ქვეყნების კანონმდებლობიდან და იმდენად გაუგებარია, რომ მისი ახსნა მის ავტორებსაც კი არ შეუძლიათ, მაშინ ისმება კითხვა რატომ უნდა დაეადანამაულოთ მეწარმე?.

პრაქტიკაში გვხვდება ისეთი შემთხვევები, როცა საგადასახადო კანონებში დადგენილი იყო გადასახადის ისეთი ტარიფები, რომელთა გადახდა მალალ რენტაბელურ საწარმოებსაც კი გააკოტრებდა და სინამდვილეში ასეც მოხდა. ბევრი საწარმო დღეს გააკოტრებულია იმის გამო, რომ ბიუჯეტში გადასახდელები ბევრად აღემატებოდა წარმოებული ოპროდუქციის სარეალიზაციო ფასს. რა თქმა უნდა ასეთ პირობებში მეწარმეობის განვითარებაზე მსჯელობაც კი არ შეიძლება.

საწარმოს ადმინისტრაცია ვალდებულია შეუქმნას დაქირავებულ პერსონალს შრომის ნორმალური პირობები, ამიტომ საწარმოს სოციალურ-ეკონომიკური საქმიანობის საკითხები უნდა წყდებოდეს შრომითი კოლექტივის მონაწილეობით.

საწარმოს ხელმძღვანელობას ორმხრივი პასუხისმგებლობა აკისრია: ერთი დაქირავებული პერსონალის, აქციონერების წინაშე და მეორეს მხრივ სახელმწიფოს წინაშე.

შრომითი კოლექტივის (დაქირავებული პერსონალის და აქციონერების) წინაშე ადმინისტრაციის პასუხისმგებლობა ფორმდება შრომითი ხელშეკრულების სახით, რომელშიც აღნიშნულია:

- საწარმოსა და მისი ქვედანაყოფების შრომისა და დასვენების რეჟიმი;
- მუშაობის ცვლიანობა და ცვლის ხანგრძლივობა;
- შევსების ხანგრძლივობა და ანაზღაურების წესი;
- დაქირავებული პერსონალის შრომისა და შრომის ანაზღაურების პირობები;
- შრომის ანაზღაურების ფორმები, სისტემები და სხვა სოციალურ-ეკონომიკური საკითხები.

3.3 საწარმოთა კლასიფიკაცია

სამრეწველო საწარმო მრეწველობის ძირეული დამოუკიდებელი სტრუქტურული რგოლია. თავისთავად მრეწველობა ქვეყნის ეკონომიკის წამყვანი დარგია, რომელიც აერთიანებს რამოდენიმე კომპლექსურ ქვედარგს.

სამრეწველო საწარმო ქვეყნის ეკონომიკის სტრუქტურაში მეოთხე საფეხურზე დგას. ეკონომიკა → მრეწველობა → დარგი → სამრეწველო საწარმო (ფორმა). ქვეყნის ეკონომიკის სტრუქტურის ფორმირებას საფუძვლად უდევს შრომის საზოგადოებრივი დანაწილება. კ. მარქსი შრომის საზოგადოებრივი დანაწილების სამ ფორმას გამოყოფს: ზოგადი, კერძო და ერთეულადი. შრომის საერთო დანაწილების ფორმებია: მრეწველობა, სოფლის მეურნეობა, მშენებლობა, ტრანსპორტი, კავშირგაბმულობა და სხვა. შრომის დანაწილების კერძო ფორმაა: ცალკეული დარგების, ქვედარგებისა და საწარმოთა შორის. ერთეულადი - საწარმოს შიგნით.

მრეწველობის დაყოფა დარგებად და ქვედარგებად შრომის დანაწილების კერძო ფორმაა. მრეწველობის დარგი ეს არის ერთგვაროვან საწარმოთა ერთობლიობა, რომლებიც ხასიათდებიან პროდუქციის ეკონომიკური დანიშნულების, მოხმარებული ნედლეულისა და მასალების, წარმოების ტექნოლოგიის, ტექნიკური ბაზისა და კადრების პროფესიული შემადგენლობის ერთგვაროვნებით.

შრომის შემდგომი დანაწილების შედეგად მრეწველობის დარგები იყოფა კომპლექსურ დარგებად და ქვედარგებად. კომპლექსურ დარგებში შედის რამოდენიმე ქვედარგი. კომპლექსურ დარგთა რიცხვს

მიეკუთვნებაიან: მანქანათმშენებლობა და ლითონდამუშავება, მეტალურ-
გიული, ქიმიური, ნავთობის. მსუბუქი, კეების და სხვა დარგები.

მრეწველობის დარგები ასევე შეიძლება დაეყოს ორ სპეციალიზებულ ჯგუფად: მომპოვებელ და გადაამუშავებელ მრეწველობად. მომპოვებელი მრეწველობის დარგებს მიეკუთვნებიან სათბობის მოპოვება, მინერალური ნედლეულის, ხეტივის და სხვა. გადამამუშავებელ საწარმოთა რიცხვს მიეკუთვნებიან ის საწარმოები რომლებიც გადაამუშავებენ მინერალურ და სასოფლო სამეურნეო ნედლეულს. ასეთებია კეების მრეწველობის, მსუბუქი მრეწველობის, სამშენებლო მასალებისა და კონსტრუქციების, ნავთობის და სხვა საწარმოები.

საწარმოთა კლასიფიკაციის საფუძველია საგნობრივი და დარგობრივი სპეციალიზაცია, წარმოების სტრუქტურა, წარმოების ორგანიზაციის ფორმები და წარმოების მოცულობა. წარმოების საგნობრივი სპეციალიზაცია ემყარება წარმოებული პროდუქციის თავისებურებას. მაგალითად, წარმოების საშუალებების წარმოება და მოხმარების საგნების წარმოება. წარმოების საშუალებების წარმოება თავის მხრივ ორ ჯგუფად იყოფა: შრომის საგნებისა და შრომის იარაღების წარმოება. შრომის საგნების მწარმოებელი დარგი მიეკუთვნება მომპოვებელი მრეწველობის დარგს, რომელიც ამუშავებს სოფლის მეურნეობის ან წიაღისეულს მინერალურ და ორგანულ ნედლეულს და აწვდის გადაამამუშავებელ მრეწველობის საწარმოებს.

შრომის იარაღების წარმოებას მიეკუთვნება იმ დარგების საწარმოები, რომლებიც მანქანა-მოწყობილობებით, ტექნიკური აღჭურვილობით ამარაგებენ მრეწველობის ყველა დარგს. ეს საწარმოები უზრუნველყოფენ ტექნიკური პროგრესის მიღწევების დაწერგვას ქვეყნის ეკონომიკაში. მათ მიეკუთვნებათ მანქანათმშენებლობის, ლითონდამუშავების, ხელსაწყოთმშენებლობის, ელექტრო-ტექნიკური და სხვა დარგების საწარმოები.

მოხმარების საგნების მწარმოებელ დარგებს ძირითადად მიეკუთვნებიან კეებისა და მსუბუქი მრეწველობის დარგები. ეს დარგები კომპლექსურ დარგთა რიცხვს მიეკუთვნებიან და შორიკავენ ქვედარგებს. კეების მრეწველობის დარგი აერთიანებს საკონსერვო, ღვინის, ჩაის, პურის, კონიაკის, სპირტის, შამპანურის, უალკოჰოლო სასმელებისა და მინერალური წყლების, ეთერზეთებისა და სხვა საწარმოებს.

მსუბუქი მრეწველობის დარგის საწარმოებს მიეკუთვნებიან: ფეხსაცმლის, ტრიკოტაჟის, ტანსაცმლის, ტყავსაგალანტერიო და სხვა საწარ-

მოები. მოხმარების საგნების მწარმოებელ საწარმოთა რიცხვს მიეკუთვნებიან ასევე ნაწილობრივ მანქანათმშენებლობის, ელექტროტექნიკური, ხისდამამუშავებელი, საყოფაცხოვრებო და კომუნალური მეურნეობის საწარმოები, ვინაიდან ეს საწარმოები წარმოებენ საშუალებებთან ერთად აწარმოებენ ფართო მოხმარების საგნებსაც.

წარმოების ორგანიზაციის ფორმების მიხედვით საწარმოები შეიძლება მივაკუთვნოთ დარგთა შორის სტრუქტურებს. ასეთი საწარმოებია ვიწრო სპეციალიზებული, მრავალპროფილიანი და კომბინირებული საწარმოები.

ვიწრო სპეციალიზაციის საწარმოები აწარმოებენ შეზღუდული ნომენკლატურის ერთსახეობის პროდუქციას მასიურ ან მსხვილსერიულ პარტიებად, მაგალითად საავტომობილო მშენებელი ქარხნები, ჩარხმშენებელი, საკონსერვო, ჩაის და სხვა.

მრავალპროფილიანია საწარმოები, რომლებიც ამზადებენ ფართო ასორტიმენტის სხვადასხვა დანიშნულების პროდუქციას. ასეთი საწარმოები შეიძლება ერთდროულად ამზადებდნენ სხვადასხვა დანიშნულების პროდუქციას. მაგალითად კომპიუტერებს, მაცივრებს, ავტომობილებს, ბავშვების სათამაშოებს, საბავშვო ეტლებს და სხვა.

კონკურენციის გაძლიერების შედეგად მრავალი ვიწრო სპეციალიზებული საწარმო, ეკონომიკურად ძლიერდება და გამოდის წინანდელ სპეციალიზებულ სტრუქტურიდან, მკვეთრად აფართოებს პროდუქციის ასორტიმენტს, მომსახურების სფეროს და ეუფლება გასაღების ახალ ბაზრებს.

ზშირად ასეთი საწარმოები მთლიანად კარგავენ თავის წინანდელ დარგობრივ პროფილს და გადაიქცევიან დარგთაშორის დივერსიფიცირებულ საწარმოებად. ერთდროულად მათ შეუძლიათ აწარმოონ სხვადასხვა დანიშნულების სამრეწველო პროდუქცია, შეასრულონ სამშენებლო, სატრანსპორტო და კომერციული სამუშაოები. ამავე დროს კაპიტალის გადადინება ერთი დარგიდან მეორეში მიმდინარეობს ერთი ფირმის ჩარჩოში.

წარმოების დივერსიფიკაცია საბაზრო ეკონომიკის თანმდევი პროცესია. იგი განსაკუთრებით გაძლიერდა XX საუკუნის ბოლოს. სპეციალიზირებულმა საწარმოებმა დროის მოკლე მონაკვეთში განიცადეს ტრანსფორმირება ახალ კატეგორიაში – ფირმებში, რომლებიც აერთიანებენ სხვადასხვა სახის სამწარმოო საწარმოო და კომერციულ საქმიანობას. ამ შემთხვევაში საწარმოთა დაჯგუფება დარგების მიხედვით კარგავენ თავის აზრს, ვინაიდან ისინი ჯგუფებიან მხოლოდ პროდუქციის სახეობის მიხედვით.

საწარმოთა კომბინირება გულისხმობს ერთ საწარმოო კომპლექსში სხვადასხვა დარგის საწარმოთა გაერთიანებას ნედლეულის და ნარჩენების კომპლექსური გამოყენებით, სხვადასხვა ნომენკლატურის პროდუქციისა და თანმდევი პროდუქტების დამზადებას. ასეთ საწარმოებს ეწოდება კომბინატი.

კომბინატისათვის დამახასიათებელი ნიშნებია: ტერიტორიული ერთიანობა, ერთმანეთთან დაკავშირებული კომუნიკაციები, ერთიანი ენერგო და თბოსისტემა, ნარჩენების კომპლექსური გამოყენება, ერთიანი დამხმარე წარმოება, მართვისა და მომსახურების საერთო აპარატი. კომბინატის ტექნიკურ-ეკონომიკური ერთიანობა და მართვის საერთო აპარატი უზრუნველყოფს კომბინატის მაღალ ეფექტიანობას. კომბინირების სამი ფორმაა ცნობილი: 1. როცა ხდება ნედლეულის დამუშავების სტადიების შერწყმა. მაგალითად მეტალურგიულ კომბინატში რკინის მჟღნის ამოღება, გამდიდრება, თუჯის, ფოლადისა და ნაგლინის წარმოება. 2. ნარჩენების კომპლექსური გამოყენება. ქიმიური და ფერადი მეტალურგიის შერწყმით ერთ კომბინატში. ფერადი მეტალურგიის ნარჩენებისაგან მიიღება გოგირდი. 3. ნედლეულის, მასალების, ენერგიისა და ნარჩენების კომპლექსური გამოყენება.

3.4 საწარმოს (ფირმის) საწარმოო სტრუქტურა

საწარმოს (ფირმის) მართვის თვალსაზრისით სტრუქტურა ორი სახით წარმოგვიდგება: მართვის ადმინისტრაციული სტრუქტურა და ტექნოლოგიური თვალსაზრისით საწარმოო სტრუქტურა.

საწარმოო სტრუქტურის ჩამოყალიბება დამოკიდებულია საწარმოს მიერ წარმოებული პროდუქციის დამზადების ტექნოლოგიურ თავისებურებაზე და პროდუქციის ნომენკლატურაზე. საქციალიზებულ საწარმოებში, რომლებიც ამზადებენ შეზღუდული ნომენკლატურის პროდუქციას, საწარმოო სტრუქტურა უფრო მარტივია. და პირიქით, ის საწარმოები, რომლებიც აწარმოებენ სხვადასხვა სახის პროდუქციას მათი საწარმოო სტრუქტურა უფრო რთულია. ასეთ საწარმოთა ტიპს ეკუთვნიან კომბინირებული საწარმოები. აქ საქმე გვაქვს ერთმანეთისაგან განსხვავებულ ტექნოლოგიების გამოყენებასთან. შესაბამისად რთულია საწარმოო პროცესები, განსხვავებულია კადრების კვალიფიკაცია, საწარმოს ტექნო-

ლოგიური მოწყობილობანი. საწარმო სტრუქტურის საფუძველზე ყალიბდება საწარმოს მართვის ორგანიზაციული სტრუქტურა.

რაც უფრო მარტივია პროდუქციის წარმოების ტექნოლოგია, მით უფრო მარტივია საწარმოო სტრუქტურაც. მაგალითად, კვებისა და მსუბუქი მრეწველობის პროდუქცია: პური, ღვინო, კონსერვები, ფეხსაცმელი, ტანსაცმელი არ მოითხოვს წარმოების სტრუქტურის დანაწევრებას, მათი დამზადების ტექნოლოგიური პროცესი ერთ საამქროშია გაერთიანებული. მაგალითად, კონსერვების, ღვინის, ჩაის, ფეხსაცმლის საამქროები. ასეთი პროდუქციის წარმოების სტრუქტურა შედგება: ქარხნის (ფაბრიკის) ადმინისტრაციისაგან, ძირითადი ტექნოლოგიური საამქროს, დამხმარე სამსახურებისაგან (საწყობები, მექანიკური საამქრო, ტარის საამქრო და სხვა) და ფუნქციონალურ განყოფილებებისაგან (ლაბორატორია და სხვა). ასეთ სპეციალიზებულ საწარმოებში ადმინისტრაციის სამსახურიც ასევე გამარტივებულია და შედგება: დირექტორის, მოადგილის (მთ. ინჟინრის ან ტექნოლოგის), საგეგმო-ეკონომიკური, ბუღალტერიისა და მომარაგება-გასაღების განყოფილებებისაგან.

უფრო რთული პროდუქცია, როგორცაა მანქანათმშენებლობის, მისი დამზადების ტექნოლოგიიდან გამომდინარე მოითხოვს რამოდენიმე საამქროებსა და სამსახურებს. მაგალითად, ჩარხების წარმოების ტექნოლოგია სამ სტადიად იყოფა: მოსამზადებელი, მექანიკური დამუშავების და ამწყობი საამქროები. გარდა ამისა იგი მოითხოვს საკმაოდ რთული სტრუქტურის დამხმარე საამქროებსა და სამსახურებს. მთლიანად ჩარხების წარმოებას 15-ზე მეტი ტექნოლოგიური საამქრო ემსახურება. მის სტრუქტურაში შედის ასევე საპროექტო-საკონსტრუქტურო ინსტიტუტი, სხვადასხვა ლაბორატორიებით, ბიუროებითა და საცდელი წარმოებით. შესაბამისად; რთულია მისი მართვის ადმინისტრაციული სტრუქტურაც.

საწარმოს საწარმო სტრუქტურა ეს არის მისი შინაგანი რგოლების შემადგენლობა და მათი ურთიერთშეფარდება, რომლებიც ქმნიან ერთ მთლიან სამეურნეო ორგანიზმს. წარმოების სტრუქტურაში წამყვანი ადგილი უკავია ძირითად ტექნოლოგიურ საამქროებს, სადაც უშუალოდ ხდება ნედლეულის, მასალების გადამამუშავება მზა პროდუქციის მიღებამდე. იგი მოიცავს წარმოების ციკლს. წარმოების ციკლის ხანგრძლივობა დამოკიდებულია პროდუქციის სახეობაზე, იგი მერყეობს რამოდენიმე საათიდან 100-120 დღემდე. მაგალითად, კვების ზოგიერთი პროდუქტის

წარმოება 4-8 საათს გრძელდება, გემთმშენებლობაში იგი 100-150 დღემდე გრძელდება.

წარმოების სტრუქტურა ასევე დამოკიდებულია პროდუქციის წარმოების მოცულობაზე, მცირე წარმოებებს არ შეუძლიათ დაამზადონ რბული პროდუქცია – ავტომობილები, ტრაქტორები, ჩარხები, ქიმიური სასუქები, რკინიგზის ტრანსპორტი და სხვა. ისინი იწარმოებიან მხოლოდ მსხვილ საწარმოებში. ამ პროდუქციის წარმოების ტექნოლოგია ვერ უტევს მცირე და საშუალო სიდიდის საწარმოს მასშტაბებში. ამ საწარმოთა სისტემაში იქმნება ბუნებრივი მონოპოლიები, რომლის ღროსაც თვით პროდუქციის წარმოების სპეციფიკა და წარმოების ორგანიზაცია წარმოშობს მონოპოლისტს.

ტექნოლოგიური პროცესების სირთულეს განსაზღვრავს:

– შრომის საგნებზე ზემოქმედების მრავალსახეობა პროდუქციის დამზადებისათვის;

– ტექნოლოგიური ოპერაციების რაოდენობა პროდუქციის წარმოების პროცესში;

– ტექნოლოგიური ოპერაციების შესრულების სიზუსტის დონე.

მაგალითად, საშუალო სიმძლავრის სატვირთო მანქანის დამზადებისათვის საჭიროა საშუალოდ 20 ათასი ოპერაცია, რომელთა უმეტესობაში დეტალების დამზადების ტექნოლოგია მოითხოვს მილიმეტრის მეასედი ნაწილის სიზუსტეს. ტექნოლოგიური ოპერაციების მრავალსახეობა და მათი შესრულების სიზუსტე მოითხოვს ხარისხისადმი (საიმედობისა და ხანგამძლეობისადმი) განსაკუთრებულ ყურადღებას.

დამხმარე საამქროების ამოცანაა ხელი შეუწყოს ძირითადი საამქროების ნორმალურ მუშაობას. მაგალითად, მანქანათმშენებლობაში ასეთ საამქროთა რიცხვს ეკუთვნის ინსტრუმენტული, სამჭედლო, საგამომჭრელო, ტარის დამამზადებელი და სხვა ნამზადებით ძირითადი წარმოების უზრუნველყოფისათვის საჭირო საამქროები და საწარმოო უბნები.

მომსახურე საამქროთა რიცხვს მიეკუთვნება ისეთი საამქროები და სამსახურები, რომლებიც ძირითად საამქროებს უზრუნველყოფენ ენერგო რესურსებით: ორთქლით, ელექტრო ენერგიით, წყლით, ძველქვილი ჰაერით, გაზით, სიცივიტ, მოწყობილობის რემონტით და სხვა. ასეთი საამქროებია: ძველქვილი, ელექტრო, საქვაბე, საკომპრესორო, სატრანსპორტო, სასაწყობო და სხვა.

პირითადი წარმოების საამქროების ფორმირება დამოკიდებულია წარმოების პროფილზე, მასშტაბებზე, პროდუქციის კონკრეტულ სახეებზე და წარმოების ტექნოლოგიურ თავისებურებებზე. ამასთან ერთად მხედველობაში მიიღება პროდუქციის დროული გამოშვება, რიტმულობა, წარმოების დანახარჯების შემცირება, პროდუქციის ხარისხის, ბაზრის მოთხოვნის შესაბამისად წარმოების დროული გარდაქმნა. აღნიშნული ამოცანების გადაწყვეტა შესაძლებელია წარმოების სტრუქტურის სრულყოფით. გამოყენებული უნდა იქნას წარმოების საზოგადოებრივი ორგანიზაციის საყოველთაოდ აღიარებული ეფექტიანი ფორმები სპეციალიზაცია, კოოპერირება, წარმოების შიგნით საწარმოო პროცესების პროპორციულობის შეხამება, ოპერაციათა თანმიმდევრობის დაცვა.

წარმოების ორგანიზაციის საკითხში მიღებულია წარმოების შიგა და გარე სპეციალიზაცია.

სპეციალიზაციის ფორმები: საგნობრივი, დეტალობრივი, ტექნოლოგიური, ტერიტორიული.

საგნობრივი სპეციალიზაცია ეს არის კონკრეტული სახეობის პროდუქციის წარმოების ან ტექნოლოგიური პროცესების განთავსება ცალკეულ საამქროებში. მაგალითად ჩარხმშენებლობაში მოსამზადებელი, მექანიკური დამუშავების და ამწყობი საამქროები. საკონდიტრო წარმოებაში კარამელის, ბისკვიტების, შოკოლადის საამქროები. ამ საამქროებისა და ტექნოლოგიური პროცესების უზრუნველყოფისათვის იქმნება ერთიანი საინჟინრო-ტექნიკური, მატერიალურ-ტექნიკური და პროდუქციის გასაღების სამსახურები.

დეტალობრივი სპეციალიზაცია ეს არის ცალკეული დეტალებისა და კვანძების დამზადების განთავსება სპეციალიზებულ საამქროებში. ორგანიზაციის ეს ფორმა ძირითადად გამოიყენება რთული წარმოების პირობებში/ მაგალითად, მანქანათმშენებლობაში, საავტომობილო ქარხნებში – სიჩქარის კოლოფების, ძრავების, კაბინების საამქროები. ამ საამქროებში დამზადებული დეტალები და კვანძები გადაეცემა ამწყობ საამქროს საბოლოო პროდუქციის დასამზადებლად.

ტექნოლოგიური სპეციალიზაცია ეს არის საამქროებს შორის ოპერაციების მიხედვით შრომის დანაწილება, რომლის დროს თითოეულ საამქროში გამოიყენება ოპერაციების შესაბამისი განსხვავებული ტექნოლოგიური პროცესები. მაგალითად, საფეიქრო კომბინატში სართავ საამქ-

როში რთავენ ძაფს, რომლისგანაც საქსოვ საამქროში ქსოვენ ქსოვილს. ტექნოლოგიური სპეციალიზაცია ფართოდ გამოიყენება მრეწველობის თითქმის ყველა დარგში.

3.5 სამუშაო ადგილი

სამუშაო ადგილი არის საწარმოო ფართის განსაზღვრული ზონა, რომელზედაც განთავსებულია შრომის საგნები და შრომის იარაღები მუშის მიერ კონკრეტული სამუშაო ოპერაციის შესასრულებლად. სამუშაო ადგილის მოწყობა და მისი აღჭურვა განისაზღვრება ტექნიკური და ერგონომიული ნორმატივებით. მისი ამოცანაა უზრუნველყოს ნორმალური პირობები მუშისათვის კონკრეტული სამუშაოს შესასრულებლად.

საწარმოო პროცესის თავისებურებებისა და შესრულებული სამუშაოს ხასიათის მიხედვით სამუშაო ადგილი იყოფა სახეებად: მარტივი, მრავალდაზვიანი, კოლექტიური, სტაციონალური, მოძრავი და სივრცობრივი.

მარტივია — სამუშაო ადგილი, როცა ერთი მუშა ემსახურება ერთ დაზვას.

მრავალდაზვოვანია — როცა ერთი მუშა ერთდროულად ემსახურება რამოდენიმე აგრეგატს. ასეთი სამუშაო ადგილები ფართოდაა გაერცელებული მანქანათმშენებლობაში და საფეიქრო მრეწველობაში.

კოლექტიური სამუშაო ადგილი — როცა ერთ აგრეგატს ემსახურება არა ერთი, არამედ რამოდენიმე მუშაკი, ასეთი სამუშაო ადგილები ხშირად გამოიყენება მანქანათმშენებლობაში, კვების მრეწველობაში, საზღვაო და საჰაერო ტრანსპორტზე და სხვა. მაგალითად, მეტალურგიულ კომბინატში ერთ მსხვილ საგლინავ დგანს ემსახურება 100-ზე მეტი მუშა.

სტაციონალურ სამუშაო ადგილს — არა აქვს მასზე განპიროვნებული სამუშაო ადგილი (ტერიტორია). სამუშაო ადგილი აქ ემთხვევა შრომის საგნების განლაგების ადგილს. მაგალითად, საბურღი მანქანა დადგმულია ბურღვის ადგილზე და ახდენს ბურღვას. ზოგჯერ სამუშაო ადგილი გადაადგილდება ერთდროულად შრომის საგნებთან ერთად. მაგალითად, ავტომობილები, მატარებლები და სხვა.

სივრცობრივი სამუშაო ადგილი — დაკავშირებული არაა ეკონომიკის განსაზღვრულ დარგთან ან შრომის საშუალებებთან, არამედ

განისაზღვრება სამუშაოს ხასიათით. მაგალითად, გეოლოგიური დაზვერვა, ცხოველების ძოვება და სხვა. მუშაკს ამ შემთხვევაში არ აქვს ფიქსირებული სამუშაო ადგილი, მუდმივად გამოცხადების ადგილი და მოქმედების განსაზღვრული ტერიტორიული სივრცე.

რაგი საქციალისტებისა და ხელმძღვანელებისათვის სამუშაო ადგილი არაა ზუსტად რეგლამენტირებული. ეს ერთგვარი თავისუფალი სამუშაო ადგილია.

სამუშაოს შესრულების დროს ისინი მუდმივად მოძრაობენ საწარმოს ტერიტორიასა და შენობებში.

საწარმოს პერსონალის რიცხოვნება და მისი პროფესიული შემადგენლობა განისაზღვრება სამუშაო ადგილების რაოდენობით და ხასიათით. იგი უნდა იყოს იმდენი, რამდენი სამუშაო ადგილიც არის განსაზღვრული ტექნოლოგიისა და წარმოების ორგანიზაციის მიხედვით.

სამუშაო ადგილების ზრდა იწვევს წარმოების დანახარჯების ზრდას, შემცირება კი პირიქით არღვევს საწარმოს რიტმს, აუარესებს ხარისხს, რაც უარყოფითად მოქმედებს საწარმოს ეკონომიკურ მაჩვენებლებზე. სამუშაო ადგილების აღრიცხვა და ნორმირება ხდება ფაქტიური მომსახურების ზონის შრომატევადობის და სამუშაო ადგილების გამოყენების ცვლიანობის მაჩვენებელთა მიხედვით.

ხელმძღვანელ მუშაკთა, საქციალისტთა და მომსახურეთა სამუშაო ადგილების რაოდენობა განისაზღვრება საშტატო ერთეულების მიხედვით, ხოლო მომსახურე პერსონალთა რაოდენობა — მომსახურების ნორმებიდან გამომდინარე.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში მაქსიმალურად ხდება საშტატო ერთეულებისა და სამუშაო ადგილების შემცირება და შემჭიდროება. ფართოდ გამოიყენება პროფესიათა და თანამდებობათა შეთავსება ზოგჯერ ანაზღაურების გარეშეც. ადგილი აქვს დაუსაბუთებლად დაქირავებული პერსონალის ფიზიკურ და გონებრივ დატვირთვას. უმუშევრობისა და ეკონომიკური გაჭირვების გამო მუშაკები იძულებულნი არიან დათანხმდნენ ნებისმიერ სამუშაოზე. უხეშად ირღვევა შრომითი კანონმდებლობის კოდექსი. საწარმოებში თითქმის არ არსებობს შრომითი ხელშეკრულება მართვის აპარატსა და შრომით კოლექტივს შორის. უგულველყოფილია პროფკავშირის როლი საწარმოს ორგანიზაციასა და მართვაში. შრომითი კოლექტივი თითქმის არ მონაწილეობს წარმოების მართვაში. ამრიგად, საწარმოს მუშაკები სოციალურად სრულიად დაუცავი არიან.

ზედმეტი და დაბალეფექტური სამუშაო ადგილის გამოვლინების მიზნით სისტემატურად უნდა ტარდებოდეს სამუშაო ადგილების აღრიცხვა და ატესტაცია. მოძველებული სამუშაო ადგილების მოდერნიზაცია და მათი ახლით შეცვლა უზრუნველყოფს შრომის ნაყოფიერების ზრდას, შრომის პირობების გაუმჯობესებას და პროდუქციის ხარისხის ამაღლებას.

შრომის პროცესის მიმდინარეობაზე ღიდ გავლენას ახდენს საწარმოო გარემო, იგი ზეგავლენას ახდენს არა მარტო შედეგებზე, არამედ ადამიანის ჯანმრთელობაზეც.

ამიტომ სპეციალისტები სწავლობენ ადამიანთა ფუნქციონურ შესაძლებლობას, მათი ოპტიმალური სამუშაო გარემოს შექმნის მიზნით, რომლის დროსაც შეიძლება მიღწეულ იქნას შრომის მაღალი მწარმოებლურობა და პროდუქციის ხარისხი.

სამუშაო ადგილი პირველადი რგოლია, რომლის საფუძველზე აიგება მოელი საწარმოს სტრუქტურა, განისაზღვრება მისი მასშტაბი. სამუშაო ადგილთფ ურთიერთკავშირი ქმნის ბრიგადას, მუშათა ჯგუფს, რგოლს. ბრიგადებისაგან იქმნება განყოფილებები, სექტორები, საამქროები და შემდეგ კი მთლიანად საწარმო.

დეტალებისა და კვანძების დამუშაების ტექნოლოგიური ერთგვაროვნება და ტერიტორიული სიახლოვე ქმნის ბრიგადებისა და საამქროების შექმნის მეტ შესაძლებლობას, რომელსაც საფუძველად უდევს კოლექტიურ შრომას, ყალიბდება ცალკეული შრომითი კოლექტივები, რომელთაც ერთი საერთო საწარმოო მიზანი და ამოცანა აქვთ. მათი შრომის შედეგებზე დამოკიდებულა ამ კოლექტივის მატერიალური კეთილდღეობა. ამდენად თითოეულ შრომით კოლექტივს უნდა გააჩნდეს თავისი სამეურნეო დამოუკიდებლობა — სამეურნეო ანგარიში. სამეურნეო ანგარიშიანი შრომითი კოლექტივების დამოუკიდებლობა კონკრეტული სამეურნეო ამოცანის შესრულებასა და მათი შემოსავლის განაწილებაში ქმნის შრომისადმი ინტერესს, სტიმულს აძლევს შრომას მაღალი შედეგების მისაღწევად.

თავი IV. საქონელი, სასაქონლო მეურნეობა და სამეურნეო წრებრუნვა.

4.1. ბაზრები და მათი სახეები.

საბაზრო ურთიერთობას ადგილი აქვს ყველგან, სადაც მოთხოვნა და მიწოდება უპირისპირდება ერთმანეთს. ამას შეიძლება ადგილი ქონდეს ბაზრის მოედანზე, აუქციონზე, ტელეფონის მეშვეობით ან მომსახურების ბიუროში.

ბაზარს ზოგჯერ არ გააჩნია ერთი განსაკუთრებული ადგილი, პირობითად ხშირად ვიყენებთ მსოფლიო ბაზარს, ნავთობის ბაზარს, ნელელულის და სავალუტო ბაზარს და ა.შ. ბაზარზე მყარდება მიწოდებასა და მოთხოვნას შორის წონასწორობა, ასეთი ეკონომიკური პროცესის შედეგია ფასი.

ბაზარზე გამყიდველი ცდილობს გაყიდოს თავისი საქონელი და მიიღოს მაქსიმალურად შესაძლებელი მოგება. ბაზარზე ერთი და იგივე საქონელს ყიდის რამდენიმე გამყიდველი, რომელთაც აქვთ ერთი და იგივე მიზანი გაყიდონ თავიანთი საქონელი მაქსიმალურ ფასში. ამიტომ ადგილი აქვს მათ შორის კონკურენციას. ამავე დროს მყიდველი ცდილობს იყიდოს საქონელი მინიმალურ ფასში. მყიდველისა და გამყიდველის ინტერესები ბაზარზე ურთიერთ დაპირისპირებულია. მათი ინტერესების გაწონასწორება ხდება მიწოდებისა და მოთხოვნების ურთიერთ დაკავშირებით.

ფასის მეშვეობით ხდება მოთხოვნასა და მიწოდებას შორის დაპირისპირების გაწონასწორება. ამრიგად, ბაზარი ეს არის ეკონომიკური პროცესი, რომელსაც მიწოდებისა და მოთხოვნის საშუალებით მივყავართ ფასის წარმოქმნამდე.

ზოგადად „ბაზრის“ ტერმინის ქვეშ იგულისხმება ბაზრების მრავალი ტიპები და სახეები, რომლებიც ერთმანეთისაგან განსხვავდებიან სხვადასხვა ნიშნით. მიუხედავად მათი სახესხვაობისა ისინი შეიძლება დავაჯგუფოთ მათი ორგანიზაციის, ფუნქციებისა და სიერცობრივ გავრცელების მიხედვით. ორგანიზაციული ნიშნებით ანუ კონკურენციის შეზღუდვის ხარისხით შეიძლება დავყოთ ოთხ ძირითად ჯგუფად:

- სრულყოფილი კონკურენციის ბაზარი;
- მონოპოლისტური კონკურენციის ბაზარი;

- ოლიგოპოლიური ბაზარი;
- წმინდა მონოპოლისტური ბაზარი.

სიერცობრივი ნიშნის მიხედვით ბაზრები შეიძლება დაყვით ადგილობრივი, რეგიონული, ეროვნული და საერთაშორისო ანუ „მსოფლიო ბაზარი“.

ფუნქციონალური ნიშნით ან ეკონომიური დანიშნულებით ბაზრები იყოფა ოთხ ძირითად ჯგუფად:

- სასაქონლო და მომსახურების ბაზარი;
- წარმოების ფაქტორთა ბაზარი;
- ფინანსების ბაზარი;
- ინფორმაციული ბაზარი.

გარდა ამისა ბაზრები შეიძლება დაყვით გაყიდვების ხასიათის მიხედვით: საბითუმო, საცალო, ფიუნჩრესული; რეგულირების მიხედვით: რეგულირებადი და არარეგულირებადი; გაყერების ღონის მიხედვით: გაწონასწორებული და დეფიციტური; კანონმდებლობის ნორმებისადმი შესაბამისობის მიხედვით: ლეგარული და „შავი“ ბაზარი.

კონკურენციის შეზღუდულობის ანუ მონოპოლიზების ხარისხით ბაზრები შეიძლება დაყვით: წმინდა მონოპოლიური, მონოპოლისტური კონკურენციისა და ოლიგოპოლური.

წმინდა კონკურენციის პირობებში (სრულყოფილი კონკურენციის) მოქმედებს წერილი ფირმების დიდი რაოდენობა, რომლებიც აწარმოებენ სტანდარტულ პროდუქტს, ამავე დროს არ არის შეზღუდვა ფირმების მიერ სასურველი ნებისმიერი პროდუქტის წარმოებისათვის. პირიქით წმინდა მონოპოლია გეტაეაზობს მხოლოდ ერთ ფირმას, როგორც გამყიდველს, რომელიც გეტაეაზობს ერთი სახის პროდუქტს და არსებობს სხვადასხვა ბარიერები მის დასაცავად და სხვა ფირმის პროდუქტების ბაზარზე შესაღწევად.

მონოპოლური კონკურენცია ხასიათდება შედარებით მსხვილი ფირმების დიდი რაოდენობით, რომლებიც აწარმოებენ სხვადასხვა პროდუქტს (ფებსაცემელი, ტანსაცემელი) და შედარებით თავისუფლად შეიძლება ამ დარგში შესვლა. ოლიგოპოლია გამოირჩევა მსხვილი გამყიდველების მცირე რაოდენობით, რომლებსაც შესაძლებლობა აქვთ ზემოქმედება მოახდინონ საქონლის ფასებზე მიწოდების მოცულობაზე. აღნიშნული კლასიფიკაცია ეფუნდება გამყიდველს. მაგრამ, როგორც ვიცით ბაზარზე მოქმედებს ორი სუბიექტი – გამყიდველი და მყიდველი. რაც

შეხება მყიდველების რაოდენობას და მათ ქცევას აქ შეიძლება გამოვყოთ მონოპსონია (ერთი მყიდველის მონოპოლია), როცა ბაზარზე ერთი მყიდველია და მრავალი გამყიდველი (რაც იშვიათია) და ოლიგომონია (მყიდველთა მონოპოლია) - რამდენიმე მსხვილი მყიდველი, რომელთაც შესაძლებლობა აქვთ თავისი პირობები უკარნახონ ბაზარს და კონკურენტული ბაზარი, რომელზედაც წარმოდგენილია მრავალი გამყიდველი.

უფრო ხშირად კონკურენტულობის მოხედვით ბაზარი ორ სახესხვაობად წარმოგვიდგება - თავისუფალი კონკურენციის ბაზარი და არასრულყოფილი კონკურენციის ბაზარი, რომელიც თავის მხრივ იყოფა მონოპოლურ, ოლიგოპოლიურ და მონოპოლიური კონკურენციის ბაზრებად.

თავისუფალი კონკურენციის ბაზარი. უმაღლესი კონკურენტულობა ახასიათებს იმ ბაზარს, სადაც გამორიცხულია ბაზრის მონაწილეთა შესაძლებლობა გავლენა მოახდინონ საბაზრო პროცესზე, რეალიზაციის პირობებზე და ფასებზე. ასეთ ბაზარს უწოდებენ თავისუფალ ან წმონდა კონკურენტულს. თავისუფალი კონკურენციის ბაზრის რეჟიმი ხასიათდება შემდეგი ნიშნებით:

- გამყიდველები და მყიდველები იმდენად ბევრია, რომ არცერთ მათგანს არ შეუძლია ზემოქმედება მოახდინოს არც ფასებზე და არც გაყიდვის მოცულობაზე;

- ყველა გამყიდველი მყიდველს თავაზობს ერთი და იგივე საქონელს ან მომსახურებას ე.წ. სტანდარტულ საქონელს. ამ დროს კონკურენცია ემყარება არა ხარისხს არამედ საქონლის ფასებს. მყიდველისათვის სულ ერთია ვისგან შეიძენს საქონელს, მთავარია მისი ფასი;

- ყველა გამყიდველი და მყიდველი ფლობს ბაზრის სრულ ინფორმაციას (ფასებზე, საქონელზე, მიწოდებასა და მოთხოვნაზე);

- მყიდველებსა და გამყიდველებს შეუძლიათ ბაზარზე თავისუფლად შესვლა და საქონლის შექმნა ყოველგვარი კანონმდებლობითი, ფინანსური და ტექნიკური ბარიერების გარეშე;

- ყველა მატერიალური, ფინანსური და სხვა რესურსები აბსოლუტურად მობილურია. მონაწილეებს შეუძლიათ თავისუფლად დააბანდონ საჭირო კაპიტალი.

ამრიგად, თავისუფალი კონკურენციის ბაზრებზე ფასები დამოკიდებული არაა ცალკეული სუბიექტის მოქმედებაზე და სურვილზე, იგი წესდება მიწოდებისა და მოთხოვნის მეშვეობით, თავისთავად ბაზრის

„უხილავი ხელით“. თავისუფალი კონკურენციის ბაზარზე ყველა მონაწილე თანაბარ უფლებიან მდგომარეობაში იმყოფება, არცერთ მის მონაწილეს არ შეუძლია გავლენა მოახდინოს თანაბარზომიერ ფასებზე. ხოლო გამყიდველს და მის უკან მდგომ მწარმოებელს შეუძლიათ გაიუმჯობესონ თავიანთი მდგომარეობა პროდუქციის წარმოებაზე გაწეული დანახარჯების შემცირებით ან მისი ხარისხის სრულყოფით. მწარმოებელი, წარმოების დანახარჯების შემცირებით ამცირებს ფასს, რითაც ინარჩუნებს მოგებას, ფასების შემცირებით ზრდის გაყიდვის მოცულობას მანამდე, სანამ ასეთივე საქონლის სხვა გამყიდველიც არ შეამცირებს მის ფასს. ამრიგად, სრულყოფილი კონკურენციის ბაზარზე ერთდროულად იგებს, როგორც მწარმოებელი ისე მყიდველი, რომელიც იძენს საქონელს უფრო დაბალ ფასებში. ამრიგად, ასეთ ბაზარზე ხდება საზოგადოებრივი რესურსების გადანაწილება უფრო ეფექტიანად მომუშავის სასარგებლოდ. ამაში მდგომარეობს თავისუფალი ბაზრის პრინციპული ღირსება.

პრაქტიკაში იდეალური თავისუფალი ბაზარი თითქმის არ გვხვდება. იგი უფრო თეორიულ მოდელს წააგავს. ვინაიდან ძნელია წარმოიდგინო ბაზარი, სადაც ხელმისაწვდომია ბაზრის კონიუქტურაზე სრული ინფორმაცია.

მაღალკონკურენტთან ბაზარს ასევე ახასიათებს სუსტი მხარეები: ერთგვაროვანი საქონლის მრავალრიცხოვანი გამყიდველი ფლობს მცირე ოდენობის კაპიტალს, ამდენად აქ შეუძლებელია კაპიტალის კონცენტრაცია, რომლის გარეშე შეუძლებელია მსხვილი წარმოების შექმნა, სამეცნიერო ტექნიკური პროგრამების ათვისება, მასშტაბური პროექტების განხორციელება.

ნაწილობრივი ან მთლიანად მონოპოლიზებული ბაზრები.

მონოპოლური კონკურენციის ბაზრებზე ცალკეულ მწარმოებელს ან მათ გაერთიანებას შეუძლიათ ზემოქმედება მოახდინონ ფასებზე, მას ახასიათებს საქონლის ნაირსახეობა, შედარებით დიდი რაოდენობის გამყიდველი ბაზარს თავაზობს გასაყიდად რთულ არაერთგვაროვან პროდუქციას. თითოეული გამყიდველი ბაზარზე თავს გრძნობს დამოუკიდებლად, ყურადღებას არ აქცევს სხვა ფირმების რეაქციას. ასეთი დარგის მაგალითია ზედა ტანსაცმელი და ფეხსაცმელი, წიგნის გამოცემა და ტურინზმი. მონოპოლიური კონკურენციის პირობებში კონკურენციის ბერკეტი ხდება არა მარტო ფასები, არამედ ერთი და იგივე პროდუქტის

განსხვავებული ხარისხი. მაგალითად: ტანსაცმელი ერთმანეთისაგან განსხვავდება სტილით, ქსოვილით, შესრულების ხარისხით, კრედიტით, გაყიდვით, შეფუთვით და სხვადასხვა შედეგებით. ამრიგად ასეთ ბაზარზე უპირატესად ბატონობს არა მარტო ფასების ფაქტორი, არამედ ფასების გარეშე ფაქტორებიც.

ოლიგოპოლური ბაზარი. ასეთი ბაზარი წარმოდგენილია რამოდენიმე მსხვილი საქონლის გაყიდვის მასშტაბით. ოლიგოპოლიის მთავარი დამახასიათებელი ნიშანია მცირე მოცულობის ბაზარზე გაბატონებულ გამყიდველთა შეზღუდული რაოდენობა. ჩვეულებრივ მათი რაოდენობა მერყეობს სამიდან—ათამდე.

აშშ ოთხი მსხვილი კორპორაცია უშვებს სარეცხი საშუალებების 80%, სიგარეტს 90%, საკერავ მანქანებს 70%. ოლიგოპოლური ნიშნები აღინიშნება სააეცომობილო მშენებლობაში, ფარმაცევტულ, ელექტრონულ, ქიმიურ მრეწველობაში. ოლიგოპოლური კომპანიები მოიცავენ გარდა მსხვილი მწარმოებელი ფირმებისა, მცირე ზომის სპეციალიზებულ ფირმებსაც. ოლიგოპოლურ ბაზარზე შეიძლება წარმოდგენილ იქნან, როგორც ერთგვაროვანი, მაგალითად ფოლადი, ნახშირი, ალუმინი, ასევე დიფერენცირებული პროდუქტები (ავტომობილები, სარეცხი საშუალებანი, ელექტრო-საყოფაცხოვრებო ხელსაწყოები).

მონოპოლისტურ გამყიდველებს, ფირმებში უკავიათ მნიშვნელოვანი მდგომარეობა, მათ წილად მოდის გაყიდვების მნიშვნელოვანი რაოდენობა. ეს, ერთის მხრივ, ერთ ფირმას აძლევს საშუალებას ბაზარზე გაელენა მოახდინოს სხვა მონაწილეებზე, მაგრამ მეორეს მხრივ, ვინაიდან დანარჩენ მონაწილეებზე მოდის გაყიდვების მთავარი ნაწილი, იგი ომყოფება დანარჩენი ოლიგოპოლიების გავლენის ქვეშ, რაც აიძულებს მას ანგარიში გაუწიოს მათ გავლენას. ამიტომ ფასების კარნახი ოლიგოპოლიის დროს რამდენადმე შეზღუდულია.

თუ სრულყოფილი კონკურენციის დროს ფასების ცვლილება დამოკიდებულია მოთხოვნა-მოწოდების თანაფარდობაზე და იგი ხშირად იცვლება, ოლიგოპოლური ბაზრის შემთხვევაში ეს ცვლილება შედარებით სტაბილურია. იგი იცვლება მხოლოდ განსაზღვრული დროის მონაკვეთში და მნიშვნელოვნად. იგი ხშირად ატარებს „ფასებში ლიდერის“ პოლიტიკას, რაც ნიშნავს ფასების ღია კონკურენციაზე უარის თქმას, როცა

ოლიგოპოლიაში შემავალი ფირმები ორიენტირდებიან ლიდერი ფირმის ფასებზე.

განსაკუთრებული მომენტია ოლიგოპოლიურ დარგში ახალი ფირმის შესვლაზე მოქმედი ფირმის ბარიერები. ჯერ ერთი, ასეთ ბაზარზე შესაღწევად ფირმა უნდა იყოს საკმარის ეკონომიურად ძლიერი, უნდა უშვებდეს მნიშვნელოვანი რაოდენობის საქონელს, ქონდეს დანახარჯების შემცირების შესაძლებლობა. ამისათვის კი ფირმას უნდა ქონდეს დიდი პირველსაწყისი კაპიტალი. გარდა ამისა ბარიერად გვევლინება პატენტი, სტრატეგიულ ნედლეულზე კონტროლი, და ბოლოს, რეკლამაზე უზარმაზარი დანახარჯები.

ოლიგოპოლიისათვის დამახასიათებელია ერთგვაროვანი პროდუქციის მწარმოებელი მცირე ფირმების გაერთიანება, რაც ამცირებს ფირმათა რაოდენობას, მაგრამ ფირმათა მცირე რაოდენობა იძლევა ფასებზე საიდუმლო შეთანხმების შესაძლებლობას და ბაზრის დაყოფას. მაგრამ ასეთ შეთანხმებას ეწინააღმდეგება ერთი და იგივე საქონელზე დანახარჯებისა და მოთხოვნილების განსხვავებული დონე, რაც უფრო მეტი ფირმა დარგში მით უფრო ძვილია შეთქმულებაში შესვლა. შეთქმულებას ეწინააღმდეგება საქმიანი აქტივობის დატემა, რომლის დროსაც თითოეული ფირმა ცდილობს „თავისკენ გადაქაროს საბანი“. გარდა ამისა სახელმწიფო ახორციელებს ასეთ ფირმებზე კონტროლს, ნებისმიერ დროს მას შეუძლია დაარღვიოს ეს კავშირი.

როცა ოლიგოპოლიაში მონაწილე ფირმათა რიცხვი მცირდება ორამდე, იქმნება ე.წ. დუოპოლია. ამ დროს იზრდება ამ ფირმების ბაზრის წილი, ამიტომ მათი კონტროლი ბაზარზე (გაყიდვებზე და ფასებზე) ნახევრად შეზღუდულია.

დუოპოლია თავისი ნიშნებით ახლოსაა სრულ მონოპოლიასთან. აბსოლუტური ან წმინდა ბაზარი („ერთადერთი გამყიდველი“) პოლარულად საწინაარმდეგოა სრულყოფილ კონკურენციასთან შედარებით.

აბსოლუტური კონკურენცია ხასიათდება შემდეგი ნიშნებით:

ა) საქონელს ბაზარზე ყიდის ერთი გამყიდველი, დარგი ერთი ფირმის სახითაა წარმოდგენილი;

ბ) საქონელი უნიკალურია, არა აქვს შემცვლელი, რაც იმას ნიშნავს, რომ მყიდველმა ან უნდა იყიდოს ეს საქონელი ან შეეღიოს ამ საქონლის მოხმარებას;

გ) გამყიდველი ვაჭრობს მხოლოდ თავისი საქონლით;

დ) გამყიდველი ფასს კარნახობს ბაზარს;

ე) დარგში შესვლა ბლოკირებულია.

ასეთი ბაზარი იდეალურია და პრაქტიკაში თითქმის არ გვხვდება, მაგრამ ხშირია მისი მსგავსი, მასთან მიახლოებული ბაზრების ფუნქციონირება. აბსოლუტური მონოპოლია ზღუდავს კონკურენციას. წმინდა მონოპოლისტურს არა ჰყავს კონკურენტი. მის ბაზარზე შესვლა შეზღუდულია.

დარგში შესვლას ზღუდავს შემდეგი გარემოებანი:

1) დიდია მსხვილი წარმოების ეფექტის მასშტაბი, დაბალია დანახარჯები. გარდა ამისა თანამედროვე ტექნოლოგია იმდენად რთული და კაპიტალტევადია, რომ მცირე მასშტაბის ეფექტიანი წარმოება შესაძლებელია.

2) სახელმწიფო დარგში შესვლისათვის მოითხოვს პატენტსა და ლიცენზიას.

3) მნიშვნელოვანი ნედლეულის საკუთრება, მაგალითად, „ალუმინუმ კომპანი ოფ ამერიკა“-ს წლების განმავლობაში ეკავა მონოპოლისტური მდგომარეობა იმის გამო, რომ ის ფლობდა ბოქსიტების წარმოებაზე სრულ კონტროლს.

4) არაკეთილსინდისიერი კონკურენცია გამოიხატება ბანკის ზეგავლენით, კონკურენტებისათვის ბანკის მიერ კრედიტის გაუცემლობა.

პრაქტიკაში წმინდა მონოპოლიასთან დგას ბუნებრივი მონოპოლია, რომელიც მოქმედებს იმ სფეროში, სადაც კონკურენცია შეუძლებელია ან გამწვანებულია, ვინაიდან პროდუქტი შეიძლება წარმოებული იქნას მხოლოდ ერთი ფირმის მიერ. ასეთ ბუნებრივ მონოპოლიას ეკუთვნის საზოგადოებრივი და კომუნალური მომსახურების ზოგიერთი დარგი, გაზის, ელექტრო-ენერჯის, თბოენერჯის, წყლით მომარაგების, ტელე-ხედა, ტრანსპორტის საშუალებების მომსახურება და სხვა.

რეგულირებადი და არარეგულირებადი ბაზარი.

არჩევენ პირდაპირ ბაზარს, როცა საქონელი მიეყიდება უშუალოდ მომხმარებელს და ირიბი, როცა საქონელი მომხმარებელს მიეყიდება შუამავლის მეშვეობით. უფრო გავრცელებულია გაყიდვის მეორე მეთოდი, როცა გაყიდვა ხდება რამოდენიმე შუამავლის მეშვეობით (I ხელი, II ხელი, და ასე შემდეგ).

მწარმოებელს საშუალება არა აქვს უშუალო კავშირი დაამყაროს მომხმარებელთან, ამიტომ იგი ამ ფუნქციას გადასცემს სავაჭრო შუამავალს, რომელიც ლებულობს ინფორმაციას ბაზარზე, ეცნობა მწარმოებელს და ამყარებს კავშირს მათ შორის. ამრიგად, იქმნება ერთგვარი ჯაჭვი „მწარმოებელი – სავაჭრო შუამავალი – მომხმარებელი“.

არარეგულირებადი ბაზარი. პრაქტიკაში გვხვდება სამი ტიპის ბაზარი: რეგულირებადი, არარეგულირებადი და ცენტრალიზებულად სამართავი. არარეგულირებადი ბაზარი „წმინდა“ სახით მოქმედება საქონლის გაცვლის წარმოქმნის ადრეულ სტადიაზე, ე.წ. „ტალკურკა“.

არარეგულირებადი ბაზრის საწინაარმდეგოა ცენტრალიზებულად რეგულირებადი ბაზარი, რომელშიც ყველა ურთიერთობა იმყოფება სახელმწიფოს ზედამხედველობის ქვეშ. აქ ყველა კითხვა „რა ვაწარმოო“, „როგორ ვაწარმოო“, „ვისთვის ვაწარმოო“ წყდება სახელმწიფოს მიერ.

რეგულირებადი ბაზარი. საბაზრო რეგულირება წესდება სახელმწიფოს მიერ კანონმდებელ და აღმასრულებელ ხელისუფლების ორგანოთა მეშვეობით ბაზრის მონაწილეების ქცევისა და გაყიდვის პირობებზე, საბოლოო ან ეიწრო შეზღუდვების სახით. სახელმწიფო იყენებს ანტიმონოპოლიურ ღონისძიებებს.

რეგულირებადი ბაზარი თავისთავად ეწინააღმდეგება მის შინაარსს, ვინაიდან ბაზარი თავისთავად გულისხმობს თვითრეგულირებას, საბაზრო მექანიზმის თავისუფალი მოქმედების საფუძველზე, უპირველეს ყოვლისა კონკურენციით, მოთხოვნა მიწოდებით, ფასებით. ამავე დროს საბაზრო რეგულირება არ გამორიცხავს სახელმწიფოს ჩარევას, სადაც იგი მიზანშეწონილია. პრობლემა მდგომარეობს ოპტიმალურ შეთანწყობაში საბაზრო მექანიზმსა და რეგულირებას შორის.

ზონალური ბაზრების კლასიფიკაციის განსაზღვრული ნიშნებია მისი განთავსების ადგილი და საბაზრო სივრცის გავრცობის მასშტაბი. ჩვეულებრივ, რაც უფრო მეტია ბაზრის მოქმედების ზონა, მით მეტია მისი პროცესების მასშტაბურობა. ყველაზე მსხვილ ბაზრად ითვლება მსოფლიო ბაზარი, რომელიც მოიცავს საერთაშორისო გაცვლას. „მსოფლიო ბაზრის“ ტერმინის ქვეშ იგულისხმება ნებისმიერი საქონელგაცვლის პროცესი ქვეყნებს შორის, რომელიც დაკავშირებულია მრავალი საქონლის, მომსახურების ყიდვა – გაყიდვასთან. ჩვეულებრივ სასაქონლო ბაზარი ითვლება მსოფლიო ბაზრად, თუ მას ახასიათებს შემდეგი

ნიშნები: ა) მონაწილეობს მრავალი ქვეყნის ბაზარზე; ბ) გარიგებით მსხვილ მასშტაბიანობა; დ) სავაჭრო ოპერაციების ანგარიშსწორება თავისუფლად კონვერტირებადი ვალუტით.

შიგა ბაზრები. ბაზრების ერთობლიობაა, რომლებიც მოქმედებენ ქვეყნის საზღვრებს შიგნით. ისინი ქმნიან ეროვნული ეკონომიკის მოქმედების სფეროს, მოქმედებენ ეროვნული ეკონომიკისათვის დადგენილი კანონების, წესების, ნორმების მიხედვით.

მსოფლიო და შიგა ბაზრებს შორის გამოიყოფა რეგიონული ბაზრები, როგორც დამოუკიდებელი სტრუქტურული წარმონაქმნები, მათ გააჩნიათ თავისი განსაზღვრული მასშტაბები, მოქმედებენ რეგულარულად. მკვეთრად გამოხატული რეგიონული ნიშნებით მისი მოქმედების ზონა განსაზღვრული ტერიტორიაა. რეგიონული ბაზრის ტერმინი არ უნდა დაეუკავშიროთ აღმინისტრაციულ – ტერიტორიულ დაყოფას.

ბაზრების დაყოფა ვაჭრობის მეთოდებისა და სახეობათა მიხედვით.

ბაზრები განსხვავდება არა მარტო გამყიდველების რაოდენობისა და გასაყიდი საქონლის სახეების მიხედვით, არამედ საქონლის მწარმოებლიდან გამყიდველზე და გამყიდველიდან მომხმარებელზე გადაცემის მეთოდის, ერთეული გაყიდვების რაოდენობის, საქონლის ღირებულების გადახდის წესით და აგრეთვე საბაზრო პროცესების ლეგალიზაციის ხარისხით.

უშუალო გაყიდვის ბაზარი – ეს არის ბაზარი, რომელშიც გამყიდველი ყიდულობს საქონელს და ყიდის ნაღდ ანგარიშზე მყიდველის ფულით. ამ მეთოდს იყენებენ მაღაზიებში, მარკეტებში, ფარდულებში და სასაქონლო ბაზარზე.

უშუალო ანგარიშსწორების ბაზარი – როცა მყიდველი იძენს საქონელს და იხდის უნაღდო ანგარიშსწორებით – გადარიცხვით. ამ შემთხვევაში მყიდველის დავალებით ბანკი მისი ანგარიშიდან ხსნის ფულს და გადააქვს გამყიდველის ანგარიშზე. ამ დროს ერთდროულად ხდება ფულის გადარიცხვა და საქონლის მიღება. თუ გამყიდველი არ ენდობა მყიდველს, მაშინ იგი თხოულობს წინასწარ გადახდას, იგი არ იძლევა საქონელს, ვიდრე ფული არ ჩაირიცხება მის ანგარიშზე. ზოგჯერ უნდო მყიდველი არ რიცხავს ფულს, ვიდრე არ მიიღებს

საქონელს. ზოგჯერ საქონელს გასცემს გამყიდველი მისი ანაზღაურების საგარანტიო წერილითაც.

საქონლის გაყიდვა კრედიტით – ფართოდ გაერცელებულია საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში. ამ შემთხვევაში მყიდველი იძენს საქონელს წინასწარ, ფასს უხდის უფრო გვიან ნაწილობრივ ან მთლიანად დათქმულ ვადაში.

საქონლის გაყიდვა გირაოდ მყიდველის ქონების სანაცვლოდ. მყიდველი თავის ქონებას დებს გირაოდ გამყიდველთან და შემდეგ იგი გამოისყიდის საქონლის ღირებულების გადახდის შემდეგ.

საქონელგაცვლითი გაყიდვა. გამყიდველი ყიდის თავის საქონელს და მყიდველისაგან სანაცვლოდ ღებულობს მისთვის საჭირო სხვა საქონელს. ასეთ გაყიდვას ეწოდება ბარტერი.

გაყიდვების მოცულობის მიხედვით ბაზარი შეიძლება იყოს საცალო და საბითუმო.

საბითუმო ვაჭრობის ბაზარი. ეს არის საქონლის გაყიდვა დიდ პარტიებად, უშუალოდ მწარმოებლისაგან, სავაჭრო ბაზრებიდან, ბირჟებიდან, ბაზრობებზე. ეს სასარგებლოა, ვინაიდან ამ დროს ფასი დაბალია, შესაძლებელია სავაჭრო ობიექტებზე შეიქმნას გარკვეული ბაზარი.

საცალო ვაჭრობის ბაზარი წარმოადგენს ერთეული პროდუქციის ყიდვა-გაყიდვას საცალო ფასებით. ჩვეულებრივ საქონელს საცალოდ ყიდიან მაღაზიებში, სავაჭრო პალატებში, ხელზე, ბაზრებზე და სხვა.

ბაზრების სახეები ობიექტების მიხედვით.

თანამედროვე სუპერმარკეტში შეიძლება შეიძინო სხვადასხვა საქონელი, ამიტომ იგი შეიძლება ჩაითვალოს ბაზრების ბაზრად, რომელიც აერთიანებს რამოდენიმე სხვადასხვა ბაზარს სექციების სახით, ამავე დროს მათი გაერთიანება ერთ შენობაში სრულიად არ მოითხოვს მათ შორის ტიხრების გაკეთებას.

საერთოდ ბაზრები შეიძლება დავეყოთ შემდეგნაირად:

სამომხმარებლო საქონლისა და მომსახურების ბაზრები:

- სასურსათო საქონლის ბაზარი;
- არასასურსათო საქონლის ბაზარი;
- მომსახურების ბაზარი.

წარმოების ფაქტორთა ბაზრები:

- სამუშაო ძალის ბაზარი;
- წარმოების საშუალებების ბაზარი;
- ნედლეულის ბაზარი;

უძრავი ქონების ბაზარი:

- საცხოვრებლების ბაზარი;
- მიწის ბაზარი.

ფინანსური ბაზარი:

- საფონდო ბაზარი;
- ფულის ბაზარი;
- ფიუნქრული ბაზარი ან სასწრაფო კონტრაქტების ბაზარი.

საინფორმაციო ბაზარი:

- სულიერ - ინტელექტუალური პროდუქციის ბაზარი.

სამომხმარებლო საქონლის ბაზარზე ხდება მომსახურების საქონლის ყიდვა-გაყიდვა მწარმოებელსა და საოჯახო მეურნეობას შორის. ზოგჯერ ასეთ ბაზარზე მომხმარებლის სახით გამოდის საწარმო, ფირმა, სახელმწიფო ორგანიზაციები. სამომხმარებლო საქონლის ბაზარი ორ გგუფად იყოფა: სასურსათო საქონლის ბაზარი და სამრეწველო პროდუქციის ბაზარი.

სასურსათო საქონლის ბაზარი თავის მხრივ იყოფა: ხორცის, რძის, პურის, თევზის, ღვინის, ჩაის, კონსერვის და სხვა.

სამრეწველო პროდუქციის სამომხმარებლო ბაზარში შედის სახალხო მოხმარების საქონლის ფართო გგუფი, მათ შორის ტანსაცმელი, ფეხსაცმელი, გალანტერია, პარფიუმერია, ავეჯი, კულტსაქონელი, წიგნები, სამშენებლო მასალები, სატრანსპორტო საშუალებანი და სხვა.

მომსახურების ბაზარი. (საყოფაცხოვრებო, კომუნალური, ინფორმაციული) მოიცავს ფასიან მომსახურებას: (სამრეცხაო, ქიმიური, სადალაქოები, აბანოები, სატრანსპორტო მომსახურება, და სხვა) კომუნალური მომსახურება, მომარაგება, თბო და ენერგო მომარაგება და სხვა.

უძრავი ქონების ბაზარი. ეს არის საცხოვრებელი ბინების და მიწების ბაზარი. ბინების ბაზარი საბაზრო ეკონომიკისათვის დამახასიათებელი ნიშანია. საბჭოთა ეკონომიკის დროს უძრავი ქონების მფლობელი იყო სახელმწიფო. არსებობდა მხოლოდ გაცვლის ბაზარი საკუთარი ბინებისათვის. დღეისათვის უძრავი ქონების ბაზარი აერთიანებს არა

მართო საცხოვრებელ ბინებს, არამედ ასევე საწარმოო დანიშნულების შენობა ნაგებობებს.

წარმოების ფაქტორთა ბაზარი. წარმოების ფაქტორთა ბაზარზე ხდება წარმოების ფაქტორთა ყიდვა-გაყიდვა, როგორცაა პირველადი ფაქტორები – მიწა, კაპიტალი, შრომა და შესაზღუდი ფაქტორები – ნახევარფაბრიკატები. ფაქტორების სუბიექტები არიან მწარმოებლები. აქ განსაზღვრულ როლს თამაშობს სახელმწიფო. მიწა, როგორც საქონელი იყოფა სასოფლო სამეურნეო სავარგულებად, სახნავი, კომუნიაკაციების გასაყვანი ზონა, სასარგებლო წიაღისეულის ზონა, სამშენებლო მოედნები საცხოვრებლისათვის, დასასვენებელი ზონა და სხვა. თითოეულ მათგანს აქვს თავისი ბაზარი, ფასი, თავისი ფასწარმოქმნის მექანიზმი. წარმოების საშუალებათა ბაზარს შეგვიძლია ვუწოდოთ ფიზიკური კაპიტალი. იგი ფართო ბაზარია, რომელშიც იყიდება შენობები, ნაგებობანი, მანქანები და ტექნოლოგიური მოწყობილობები, ხელსაწყოები, აპარატები, ნედლეულის ბაზარი, მასალების, ნახევარფაბრიკატების, ენერჯის რომლის საშუალებითაც იწარმოება ამა თუ იმ სახის პროდუქცია.

საშუალო ძალის ბაზარი – ეს არის ადამიანის თავისუფალი შრომის შესაძლებლობის გაყიდვა და დაქირავება. ასეთ ბაზარს ეწოდება შრომისა და სამუშაო ადგილების ბაზარი. ადამიანი ბაზარზე სამუშაო ძალას ყიდის საბაზრო ფასით, რაც ფორმდება ყიდვა-გაყიდვის აქტივობა – კონტრაქტის სახით დაქირავებულსა და დაქირავებულს შორის.

ამავე დროს ნებისმიერი საწარმოს კადრების განყოფილება, რომელიც სამუშაოზე ღებულობს სამუშაო ძალას წარმოგვიდგება როგორც მცირე შრომის ბაზარი.

ინოვაციის ბაზარი. ეს არის სპეციალური ბაზარი, რომელშიც ყიდვა – გაყიდვის საგანს წარმოადგენს ტექნიკური სიახლე „ნოუ-ჰაუ“. ეს არის რაციონალიზატორული წინადადება, გამოგონება, პატენტი, ტექნოლოგიური, ტექნიკური და სოციალური სიახლენი. ინოვაცია განსაკუთრებული საქონელია, როგორც თავისი შინაარსით, ისე საკუთრების ხასიათით. ინოვაციის ბაზრის მნიშვნელოვანი ნიშანია პატენტებისა და ლიცენზიების ბაზარი.

საფინანსო ბაზარი. ეს არის ფულის, ვალუტის, აქციების, ობლიგაციების და სხვა ფასიანი ქაღალდების ბაზარი. ასეთი ტიპის ბაზარზე ერთი ფული და ფულადი სახსრები იყიდება სხვაზე. ერთის

მხრივ „დღევანდელი“ ფული იყიდება და ყიდულობენ „ზვალინდელ“ დღეზე ან კრედიტზე, ამდენად იქმნება სასესხო კაპიტალის ბაზარი ანუ ფულადი ბაზარი. მეორეს მხრივ ერთი ქვეყნის კაპიტალი გადაიცემა მეორე ქვეყნის ნაცვლად. ეს არის ვალუტის ბაზარი, და ბოლოს, ფასიანი ქაღალდები – აქციების, ობლიგაციების, ვექსილების, ვაუჩერების და ლატარეის ბილეთების სახით. ისინი იყიდება და შეიძინება ფულზე.

ფინანსური ბაზრის აგენტად გვევლინება ბანკები, საფონდო ბირჟები, სავალუტო ბირჟები, ფასიანი ქაღალდებისა და ვალუტის გადამცვლელი პუნქტები და ფასიანი ქაღალდების ბირჟები.

ფასიანი ქაღალდების ბაზარი. ეს არის ფასიანი ქაღალდების ყიდვა-გაყიდვის ფორმა. იგი იყოფა პირველად და მეორად ბაზრებად. პირველად ბაზარზე ხდება ახალი გამოშვების ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობა. მეორად ბაზარზე ხდება ფასიანი ქაღალდების გაყიდვა. პირველადი ბაზრის ობიექტები არიან ინვესტორები, მოსახლეობის ფირმები, ემიტენტები (გამყიდველები) შემნახველები სახელმწიფოს სახით. მეორადი ბაზრის დამატებითი სუბიექტები არიან ფირმების დილერები და ბროკერები. ასეთი ბაზრის ორგანიზაციულ სტრუქტურას წარმოადგენს საფონდო ბანკი.

სასესხო კაპიტალის ბაზარი – კრედიტის მყიდველთა (ფირმები, მოსახლეობა, სახელმწიფო) და გამყიდველთა (ბანკები) ბაზარია. ამავე დროს გამყიდველის როლში გამოდიან მოსახლეობა, ფირმები, სახელმწიფოს თავისუფალი სახსრები ბანკის მეშვეობით.

ფულის ბაზარი. ეს არის ფინანსური დაწესებულებების მოკლევადიანი სესხების ყიდვა-გაყიდვის ბაზარი. ამ ბაზრის ძირითადი ელემენტებია ფულის მიწოდება და მოთხოვნილება. ამ ბაზრის სუბიექტები არიან, ერთი მხრივ, გამყიდველის სახით ცენტრალური ბანკი და მეორეს მხრივ მყიდველის სახით საწარმო, მოქალაქეები. მოსახლეობა და საწარმო მუდმივად საჭიროებს ფულს. მოსახლეობას ის სჭირდება მოხმარების საგნების შესაძენად, ხოლო საწარმოებს – წარმოების გასაფართოებლად, საწარმოს ფაქტორების შესაძენად. ფულის მოთხოვნა დამოკიდებულია ფასების დონეზე. რაც მაღალია ფასები მით მეტია ფულის მოთხოვნა და პირიქით. ფულზე რეალური მოთხოვნა – ეს არის ფულის მასა გათვლილი მყიდველობით უნარის გათვალისწინებით. ფულზე მოთხოვნა განისაზღვრება საქონლის შემენახე დანახარჯებით. თავის მხრივ დანახარჯები დამოკიდებულია შემოსავალზე: რაც მეტია შემოსავალი,

მით მეტია დანახარჯების დონე. რეალური შემოსავლების ზრდა იწვევს ფულზე მოთხოვნის ზრდას და პირიქით.

ფულადი ბაზრის მეორე ელემენტია ფულის შეთავაზება ფულის ბაზარზე. ეკონომიკაში ფულის შეთავაზება განისაზღვრება შესაბამისი საქონლის მარაგით. ბრუნვაში არსებული ფულის რაოდენობა რეგულირდება სახელმწიფოს მიერ. სახელმწიფო ფლობს ფულის გამოშვების მონოპოლიას. ფულის შეთავაზება სახელმწიფო პოლიტიკის ისეთივე ინსტრუმენტია დაბეგერისა და სახელმწიფო შესყიდვის დონე.

სახელმწიფო თავის ფუნქციას გადასცემს ცენტრალურ ბანკს. ფულის მასის რეგულირება ფულის პოლიტიკის ობიექტია.

სასწრაფო კონტრაქტების და ფიუჩერსული ბაზარი. ფიუჩერსულმა ბაზრებმა განვითარება დაიწყეს მე-XIX საუკუნის 70-იანი წლების ბოლოს და 80-იანი წლების დასაწყისში. საწყისში განვითარება კპოვა სოფლის მეურნეობის პროდუქციის ფიუჩერსულმა ბაზრებმა, როცა გამყიდველები ღებენ გარიგებას მომავალ საქონელზე. იმ იმედით, რომ შემოდგომაზე ისინი მეტ მოგებას მიიღებენ.

საინფორმაციო ბაზარი. ასეთ ბაზარზე ყიდვა-გაყიდვის საგანია ინფორმაცია, რომლის მნიშვნელობა საზოგადოებრივ ცხოვრებაში და წარმოებაში მნიშვნელოვნად გაიზარდა უკანასკნელ ათწლეულში.

სულიერი და ინტელექტუური პროდუქტის ბაზრის ობიექტია კულტურული ფასეულობა, ინფორმაცია, ხელოვნების ნაწარმოები და სხვა. ინტელექტუალური ბაზრის პროდუქტს მიეკუთვნება კულტურის მომსახურება, განათლება, ჯანმრთელობის დაცვა, ასევე ნებისმიერი ინფორმაციული პროდუქტი.

4.2. მოთხოვნილება და საქონელი.

ყოველ ადამიანს აქვს თავისი მოთხოვნილება. იგი უნდა იკვებებოდეს, იცვამდეს, აწყობდეს საცხოვრებელს და სხვა. გარდა ამისა მას სურს მოგზაურობა, წიგნის კითხვა, გართობა და ა.შ. მაღალგანვითარებულ ქვეყნებში წიგნის კითხვა და მოგზაურობა პირველადი რიგის სასიცოცხლო მოთხოვნილებას მიეკუთვნება, დანარჩენი კი მეორე რიგის მოთხოვნილებას.

მოთხოვნილება ეწოდება ადამიანის ყველა ფიზიკური და სულიერი გარბობის საჭიროებას, რომლის დაკმაყოფილება ხდება საქონლის

მეშვეობით. მოთხოვნილება საქონელზე ეკონომიკის მამოძრავებელი ძალაა. ტექნიკის, მოდისა და რეკლამის განვითარების შედეგად იზრდება საქონელზე მოთხოვნილება. ადამიანის მოთხოვნილებას მიეკუთვნება ასევე ადამიანის მისწრაფება სიყვარულისადმი, უსაფრთხოებისა და პატივისცემისადმი. ეს მოთხოვნილებები არ განიხილებიან ეკონომიკურ თეორიაში, ვინაიდან მათი დაკმაყოფილება შეუძლებელია საქონლითა და მომსახურებით. მოთხოვნილებას უწოდებენ კონკრეტულ სურვილების ჯამს, რომელთაც აქვთ მყიდველობის უნარი.

დაკმაყოფილების ვადის მიხედვით არჩევენ საარსებო საშუალებების მოთხოვნილებას და შერჩევით მოთხოვნილებას.

საარსებო საშუალებებზე მოთხოვნილება. ეს არის ადამიანის მოთხოვნილება მისი არსებობის უზრუნველყოფისათვის ადამიანი აყენებს მოთხოვნას კვებაზე, ტანსაცმელზე, ბინაზე.

შერჩევითი მოთხოვნილება. შერჩევითი მოთხოვნა დამოკიდებულია ბუნებრივ და სოციალურ გარემოცვაზე, მაგალითად წიგნები, მოგზაურობა, მოღურის ტანსაცმელი.

დაკმაყოფილების მიხედვით მოთხოვნილება იყოფა: ინდივიდუალურ და კოლექტიურ მოთხოვნილებად.

ინდივიდუალური მოთხოვნილება წარმოიშეება კერძო პირის გადაწყვეტილებით და მოიცავს ყველა მოთხოვნილებას, რომელიც ადამიანს შეუძლია თვითონ დაიკმაყოფილოს. მაგალითად, მაცივრის, ავტომობილის შეძენა, ექიმის მიერ გასინჯვა.

კოლექტიური მოთხოვნილება. მოთხოვნილებას, რომელიც შეიძლება დაკმაყოფილდეს ჯგუფურად ან მთელი ხალხის მიერ ეწოდება კოლექტიური მოთხოვნილება. მაგალითად, სკოლის, უნივერსიტეტების მშენებლობა, უსაფრთხოების უზრუნველყოფა სამართალდამცავი ორგანოების მიერ, სოციალური უზრუნველყოფა და სხვა.

როცა მომხმარებელი გადაწყვეტს შეიძინოს ბაზარზე აუცილებელი საქონელი, ამ შემთხვევას უწოდებენ მოთხოვნას.

რეკლამა დიდ როლს თამაშობს მოთხოვნაში. რეკლამის ფუნქციებია: – შეატყობინოს მომხმარებელს საქონლის ფასის, ხარისხის, საქონლის გამოყენების შესაძლებლობა, ახალ პროდუქციის და სხვათა შესახებ;

– განასხვავოს პროდუქცია კონკურენტული პროდუქციისაგან, ხაზი გაუსვას მის უპირატესობას, რათა უზრუნველყოს საქონლის რელიზაცია და გაზარდოს მოგება. ამ შემთხვევაში ზოგჯერ ადგილი აქვს მომხ-

მარებელზე ზეწოლას, შეიძინოს არა საჭირო საქონელი, რითაც სტიმულირდება სამომხმარებლო რჩევა (სიგარეტის მოწვევა, არასწორი კვება).

მომხმარებელთა დაცვა. მომხმარებელთა დაცვისათვის გამოიყენება შემდეგი ღონისძიებანი:

მომხმარებელმა უნდა მიიღოს აქტუალური, ნეიტრალური ინფორმაცია პროდუქციის ფასზე, გაყიდვის ადგილზე საქონელზე კონტროლის დაწესებით.

სამართლებრივ ღონისძიებათა საშუალებით ხდება მომხმარებელთა უფლების დაცვა, კანონი კონკურენციის შეზღუდვის აკრძალვის შესახებ, კანონი სასურსათო პროდუქტებისა და პირველადი მოთხოვნილების საგნების შესახებ, კანონი მედიკამენტების შესახებ და სხვა.

საქონლის სახეები და საქონლის მიწოდება. საქონელი არის მოთხოვნილების დაკმაყოფილების საშუალება. თავისუფალი საქონელია მზის შუქი, ქარი, წვიმა, ისინი ბუნებაში საკმაო რაოდენობით მოიპოვებიან და არ არიან ეკონომიკური საქმიანობის საგანი. ეკონომიკური საქონელი ცოტაა, მათ შორის სარგებელი და მათი წარმოება მოითხოვს დანახარჯებს, ბაზარზე მათ აქვთ ფასი, რადგანაც მათზე არსებობს მოთხოვნა. მაგალითად, მზის შუქი დღისით საკმარისია, ამიტომ მისი მიწოდება შეიძლება გამოვიყენოთ უფასოთ.

საქონელი იყოფა შემდეგ სახეებად: ნივთიერი საქონელი და მომსახურება, სახმარი და საიუველერიო საქონელი; ურთიერთშემცვლელი და დამატებითი საქონელი.

ნივთიერი საქონელი და მომსახურება. საქონელს შეიძლება აქონდეს ნივთიერი მატერიალური ბუნება, მაგალითად, კვების პროდუქტები, ნელლეული, მანქანები. საქონელს შეიძლება ასევე აქონდეს არამატერიალური ბუნება, მაგალითად, ტვირთის გადატანა, დალაქის მომსახურება და სხვა. მომსახურება ნივთიერი საქონლისაგან იმით განსხვავდება, რომ მისი წარმოება და მოხმარება ერთდროულად ხდება. არ შეიძლება მათი შენახვა და დაგროვება.

სამომხმარებლო და საინვესტიციო საქონელი. გამოყენების მიზნით საქონელი იყოფა სამომხმარებლო (ტანსაცმელი, საცხოვრებელი) და საწარმოო საქონლად (ქვანახშირი, ნავთობი). საქონლის მიკუთვნება ამ სახეებზე ხდება იმის მიხედვით, თუ ვინ ყიდულობს ამ საქონელს. მაგალითად, მსუბუქი ავტომობილი საწარმოო დანიშნულების საქონელია.

თუ მას ყიდულობს ფირმა, მაგრამ სამომხმარებლოა, თუ მას ყიდულობს ფიზიკური პირი პირადი გამოყენებისათვის. ასევე შეიძლება ითქვას ელექტროენერგიაზე. საინვესტიციო საქონელი გამოიყენება სხვა საქონლის წარმოებისათვის.

გარდა ამისა საქონელი შეიძლება იყოს მოკლევადიანი და გრძელვადიანი გამოყენების. მაგალითად, ქვანახშირი და ხორბალი გრძელვადიანი გამოყენებისაა, რადგანაც იგი შეიძლება შევინახოთ, მაგრამ ეკონომიკური თვალსაზრისით ისინი მოკლევადიანი გამოყენების არიან, რადგანაც გამოყენების პროცესში სწრაფად ქრებიან. სტატისტიკური თვალსაზრისით საქონელი გრძელვადიანი გამოყენებისაა, თუ იგი ერთ წელზე მეტი დროის პერიოდით გამოიყენება და მისი ღირებულება არ აღემატება 150 ლარს.


შემცველელი და დამატებითი საქონელი. საქონელი, რომელიც ერთმანეთს ცვლის და თავისი ფუნქციით მსგავსი არიან ეწოდებათ შემცველელი საქონელი. ურთიერთდამატებულნი საქონელი შეიძლება გამოვიყენოთ ერთდროულად.

საქონლის მიწოდება ეს არის საქონლის რაოდენობა, რომელიც შეუძლია მწარმოებელმა მიაწოდოს მყიდველს და რომელიც შეუძლია მყიდველს გაასაღოს ბაზარზე. ნაცვლად შეთავაზებისა ზოგიერთი ავტორი იყენებს საქონლის მიწოდებას. ჩვენი აზრით საქონლის მიწოდება თავისი შინაარსით სულ სხვა დატვირთვის მატარებელია, იგი მიუთითებს საქონლის მყიდველისადმი გადაცემის ვალდებულებას, დაგეგმვის პროცესზე. შეთავაზება კი – მყიდველის უფლებას აირჩიოს მწარმოებლის მიერ ბაზარზე გამოტანილი საქონელი. ამ შემთხვევაში როგორც მწარმოებელი, ასევე მომხმარებელი თავისუფალია თავის მოქმედებაში, ხოლო მიწოდების დროს შეთავაზება და არჩევანი შეზღუდულია.

4.3. მოთხოვნილება და მიწოდება.

„მოთხოვნა – განმაზოგადოებელი ტერმინია, იგი ახასიათებს ფაქტიური და პოტენციური მყიდველის ქცევას. მოთხოვნა – მიწოდების პროცესზე მრავალი ფაქტორი მოქმედებს, მათ შორის აღსანიშნავია მიწოდების მოცულობა. საქონლის მიწოდება ეს არის საქონლის რაოდენობა, რომელიც შეუძლია მწარმოებელმა მიაწოდოს მყიდველს და რომელიც შეუძლია მყიდველს გაასაღოს ბაზარზე. ნაცვლად შეთავაზებისა ზოგიერთი ავტორი იყენებს საქონლის მიწოდებას. ჩვენი აზრით საქონლის მიწოდება თავისი შინაარსით სულ სხვა დატვირთვის მატარებელია, იგი მიუთითებს საქონლის მყიდველისადმი გადაცემის ვალდებულებას, დაგეგმვის პროცესზე. შეთავაზება კი – მყიდველის უფლებას აირჩიოს მწარმოებლის მიერ ბაზარზე გამოტანილი საქონელი. ამ შემთხვევაში როგორც მწარმოებელი, ასევე მომხმარებელი თავისუფალია თავის მოქმედებაში, ხოლო მიწოდების დროს შეთავაზება და არჩევანი შეზღუდულია.“

დენობა, რომელიც სურს შეიძინოს მყიდველმა განსაზღვრულ პერიოდში. მოთხოვნის მოცულობა დამოკიდებულია ამ საქონლის ფასზე, სხვა საქონლის ფასზე, ასევე მყიდველის შემოსავალზე და გემოვნებაზე. შეძენის სურვილი ნიშნავს იმას, რომ მყიდველს ნამდვილად ექნებოდა სურვილი და შესაძლებლობა შეეძინა საჭირო რაოდენობის საქონელი, თუ იგი იქნებოდა ბაზარზე. მოთხოვნის მოცულობა განისაზღვრება მყიდველებისა და გამყიდველებისაგან ერთობლივად. ფასები გადამწყვეტ როლს თამაშობენ „მოთხოვნა – მოწოდების“ პროცესში. გამოცდილება გვიჩვენებს, რომ საქონელზე მოთხოვნა იზრდება, როცა ფასები მცირდება და პირიქით, მოთხოვნა მცირდება, როცა საქონელზე ფასები იზრდება. (ნახ. 4.1.) ეს აიხსნება ორი ძირითადი მიზეზით. პირველი: რაც უფრო მცირეა ფასები, მით მეტია ადამიანთა რიცხვი, რომელთაც სურთ ეს საქონელი შეიძინონ. მეორე, რაც მცირეა ფასი, მით მეტია მომხმარებელთა მისწრაფება საქონლის შეძენაზე. დიაგრამა 4.1. გვიჩვენებს, რომ როცა ფასი 1-ის ტოლია მოთხოვნა უდრის თორმეტს, როცა ფასი იზრდება 5 ლარამდე მოთხოვნა ეცემა ნულამდე.



ნახ. 4.1. მოთხოვნის მოცულობა


მოთხოვნის მოცულობა მაქსიმალურია, როცა ეს საქონელი უფასოა. მოთხოვნის მრუდი ხასიათდება შემცირების ტენდენციით, როცა საქონლის მოთხოვნაზე სხვა ფაქტორები უცვლელია.

მიწოდების მოცულობა საქონელზე – ეს არის საქონლის რაოდენობა, რომელიც გამყიდველს სურს გაყიდოს გარკვეული დროის პერიოდში. მიწოდების მოცულობა დამოკიდებულია საქონლის ფასზე და სხვა ფაქტორებზე, განსაკუთრებით წარმოებაში მოხმარებული რესურსების ფასებზე და წარმოების ტექნოლოგიაზე. „გაყიდვის სურვილი“ აქ ნიშნავს, რომ გამყიდველს ნამდვილად სურს და შესაძლებლობა აქვს მიაწოდოს ბაზარს საჭირო რაოდენობის საქონელი მყიდველთა საკმაო რაოდენობის შემთხვევაში.

უნდა გავარჩიოთ ერთმანეთისაგან მოთხოვნილების მოცულობა და ნაყიდობის მოცულობა. მაგალითად, თუ ჯინსის ფასი იქნება 100 ლარი, მაშინ მიწოდების მოცულობა იქნებოდა დიდი, ვინაიდან ჯინსის დამზადებაზე მწარმოებელი დახარჯავდა 100 ლარზე გაცილებით ნაკლებს და მოგვბაც მეტი იქნებოდა, მაგრამ ვინაიდან 100 ლარად ჯინსის მყიდველი იქნებოდა გაცილებით ნაკლები, ფაქტიურად გაყიდვის მოცულობა იქნებოდა გაცილებით ნაკლები, ვიდრე გამყიდველის მიერ მიწოდებული. მიწოდების მოცულობა განისაზღვრება გამყიდველის ქცევით, მაშინ როცა გაყიდვის მოცულობას განსაზღვრავენ გამყიდველები ერთად.

მაღალი ფასები სტიმულს აძლევს მწარმოებელს გაზარდოს საქონლის წარმოების მოცულობა, გამყიდველი ცდილობს შეაყოს ბაზარი არა მარტო ადგილობრივი საქონლით, არამედ ექსპორტითაც. ფასების შემცირების შემთხვევაში მწარმოებელი ამცირებს წარმოებას, თუ მას საშუალება არა აქვს შეამციროს საქონლის წარმოებაზე გაწეული დანახარჯები. ფასების შემცირების გარკვეულ დონემდე მწარმოებელი არ ამცირებს საქონლის წარმოებას დახარჯული რესურსების შემცირების ხარჯზე. მაგრამ როდესაც დანახარჯების შემცირების რესურსები ამოიწურება, მაშინ იგი იძულებულია შეამციროს მოცულობა, ან სრულიად შეწყვიტოს წარმოება.


როგორც ვხედავთ მოთხოვნილება და მიწოდება დამოკიდებულია ფასების დონეზე. ფასები გამოდის ბაზარზე საქონლის მიწოდებისა და მოთხოვნილების მოცულობის ფუნქციის როლში. მიუხედავად ფასებისა და მოთხოვნა-მიწოდების პერყეობისა შეიძლება დავადგინოთ წონასწორობის ფასი, რომლის დროს მოთხოვნა და მიწოდება იქნება მაქსიმალურ დონეზე.



ნახ. 4.2 მიწოდების მოცულობა მლნ. ლარი თვეში

როგორც ვხედავთ, მოთხოვნილება და მიწოდება დამოკიდებულია ფასების დონეზე. ფასები გამოდის ბაზარზე საქონლის მიწოდებისა და მოთხოვნილების მოცულობის ფუნქციის როლში. მიუხედავად ფასებისა და მოთხოვნა - მიწოდების პერყეობისა შეიძლება დავადგინოთ წონასწორობის ფასი. რომლის დროს მოთხოვნა და მიწოდება იქნება მაქსიმალურ დონეზე. წონასწორობის ფასი - ეს ისეთი ფასია, რომლის დროს მოთხოვნის მოცულობა ტოლია მიწოდების მოცულობისა და ეს მოცულობა შესაბამისად წარმოადგენს წონასწორობის მოცულობას.

ნახ. 4.3. ნაჩვენებია, რომ 3 ლარი 1კგ-ზე, ეს არის წონასწორობის ფასი, ხოლო 6000 ცალი თვეში ეს არის წონასწორობის მოცულობა.




ნახ. 4.3. მოთხოვნა, მიწოდება და წონასწორობა

წონასწორობის ფასზე ნებისმიერი ფასის პირობებში ადგილი აქვს ჭარბ მიწოდებას ან ზედმეტობას. ნახ. 4.3. აერთიანებს მოთხოვნისა (ნახ. 4.1.) და მიწოდების (ნახ. 4.2.) გრაფიკებს. ნახ. 4.3. -ზე წერტილი გვიჩვენებს იმას, რომ 3 ლარის ფასის პირობებში 1კგ-ზე, მოთხოვნა ტოლია მიწოდების მოცულობის. წერტილი გვიჩვენებს, რომ 3 ლარის ფასის პირობებში წონასწორობის მოცულობა უდრის 6000 ცალს.

ბაზარზე მოთხოვნა და მიწოდება მუდმივ მოძრაობაშია, ამ მოძრაობის მიმართულებაა წონასწორობისაკენ. დაბალი ფასების დროს ბაზარი ცდილობს ასწიოს ფასი წონასწორობის დონემდე, ხოლო მაღალი ფასების პირობებში ეს მოძრაობა დაღმავალია მანამდე ფასი არ დაიწევა წონასწორობის დონეზე.

იმისათვის, რომ განვიხილოთ ეს პროცესი დაეუშვათ, რომ საწყისი ფასი ძეხვზე 2 ლარია 1კგ-ზე. ამ ფასის დროს ძეხვზე იქნება ჭარბი მოთხოვნა. (მოთხოვნის მოცულობა აჭარბებს მიწოდების მოცულობას). 2 ლარის ფასის პირობებში მოთხოვნა შეადგენს 6000 ცალს. ამ პირობებში მყიდველს არ შეუძლია შეიძინოს ძეხვი ბაზარზე მისი დეფიციტის გამო. გამყიდველმა იცის, რომ მას შეუძლია გაყიდოს მეტი რაოდენობის ძეხვი უფრო მეტ ფასში. ამიტომ ფასი იზრდება მანამ, სანამ არსებობს ჭარბი მოთხოვნა ე.ი. ვიდრე ფასი დაეცემა 3 ლარზე დაბლა.



ნახ. 4.4. მოთხოვნა, მიწოდება და ფასები

დავუშვათ, რომ ფასი მეტია წონასწორობის ფასზე, ავიღოთ 4 ლარი 1კგ-ზე. ამ შემთხვევაში ადგილი აქვს ჭარბ შეთავაზებას (ჩ მონაკვეთი ნახ. 4.4.), რაც შეადგენს 6000 კგ-ს. გამყიდველებს უნდათ გაყიდონ 16000 კგ, გამყიდველები იძულებულნი არიან გაყიდონ დაბალ ფასში, რომ გაასაღონ ჭარბი პროდუქცია, ამის გამო ფასები ეცემა 3 ლარამდე – წონასწორობის ფასამდე. როცა ფასი გაუტოლდება 3 ლარს გამყიდველს აღარ სურს შეცვალოს ფასი, ვინაიდან იგი ყიდის იმდენს, რამდენიც უნდათ, ხოლო მყიდველი ყიდულობს იმდენს რამდენიც მას სურს.

ბაზარზე ნაყიდობის მოცულობა ყოველთვის ტოლია გაყიდული საქონლის მოცულობისა, ვინაიდან ყიდვა-გაყიდვა არის ერთდროული აქტი. ეს არ ნიშნავს, რომ ამ შემთხვევაში ბაზარი წონასწორობის მდგომარეობაშია. სინამდვილეში მყიდველს სურს შეიძინოს მეტი საქონელი, ვიდრე იგი იძენს ყოველდღიურად. ე.ი. მოთხოვნილება აღემატება ნაყიდობის მოცულობას. ბაზარი წონასწორობის მდგომარეობაშია მხოლოდ მაშინ, როცა მოთხოვნილების მოცულობა ემთხვევა მიწოდების მოცულობას.

მოთხოვნა-მიწოდების ზემოთ მოტანილ კანონზომიერებებს ადგილი აქვს იმ შემთხვევაში, როცა მოთხოვნისა და მიწოდების მოცულობაზე მოქმედი სხვა ფაქტორები უცვლელია. ფაქტობრივად ბაზარზე ერთი და იგივე ფასის დროს ადგილი აქვს მოთხოვნა-მიწოდების მოცულობის

ცვლილებას, აღნიშნული გამოწვეულია სხვადასხვა ფაქტორთა მოქმედების გამო. ამ ფაქტორთა რიცხვს მიეკუთვნება:

- ურთიერთ დაკავშირებული საქონლის ფასი;
- მომხმარებელთა შემოსავალი;
- მომხმარებელთა გემოვნება;
- მომავალში მოსალოდნელი ფასები.

მოთხოვნილების მოცულობა ნებისმიერი კონკრეტული პროდუქციის ფასებზე განიცდის ალტერნატიული პროდუქციისაგან გარეგან ზემოქმედებას, მაგალითად, ღორის ხორცზე და ქათამზე მოთხოვნილება მოქმედებს თევზის მოთხოვნილების მოცულობაზე. ქათმის ხორცზე ფასების ზრდა აიძულებს მომხმარებელს მეტად იკვებოს თევზით და ნაკლებად ქათმის ხორცით. ურთიერთშემცვლელია საქონელი, თუ ერთი საქონლის ფასის ზრდა იწვევს მეორე საქონლის მოთხოვნილების ზრდას.

თავი V. წარმოება და წარმოების ფაქტორები

5.1 წარმოება, წარმოების ფაქტორები, ფუნქციები და მაჩვენებლები

ეკონომიკურ მეცნიერებაში დღემდე არ არსებობს ერთიანი აზრი "წარმოების" ტერმინის განმარტებაში. წარმოების ტრადიციული განმარტება გულისხმობს ნებისმიერი ეკონომიკური პროდუქტის შექმნის პროცესს, ადამიანის შრომის გამოყენების საშუალებით მისთვის საჭირო რესურსების გარდაქმნით. აღნიშნული განმარტება საკმაოდ ზღუდავს „წარმოების“ ტერმინის შინაარსს. „წარმოება“ თავისი შინაარსით უფრო ფართო მცნებაა. იგი ამჟღავნებს გულისხმობს მომსახურების, სამუშაოს, ინფორმაციის, სულიერი ფასეულობის წარმოებას. პრაქტიკაში მატერიალური წარმოების სფეროსთან შედარებით არანაკლები მნიშვნელობა აქვს არა მატერიალურ სფეროს – მეცნიერებას, კულტურას, მომსახურებას, ჯანმრთელობას და ა.შ. სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის თანამედროვე ტემპების, მოწინავე-პროგრესული ტექნოლოგიების შემუშავებისა და დანერგვის, ჯანმრთელობის დაცვის პირობებში სულ უფრო მეტი ეკონომიკური ეფექტი მოაქვს ქვეყნის ეკონომიკისა და საზოგადოების განვითარებისათვის. ამიტომ არა მატერიალური წარმოების უგულველყოფა სწარმოებულ პროდუქტის სახეების მიხედვით წარმოება შეიძლება დაეყოს მატერიალურ, საინფორმაციო და მომსახურების პროდუქციის წარმოებად.

წარმოების სტრუქტურის სახესხვაობას წარმოადგენს დარგობრივი სტრუქტურა, რაც ხასიათდება ცალკეული დარგების ხვედრითი წილით წარმოების საერთო მოცულობაში. ჩვეულებრივად დარგის ხვედრითი წილი განისაზღვრება სამ მაჩვენებელში: პროდუქციის მოცულობით, ძირითადი საწარმოო ფონდების მოცულობით და მომუშავეთა რაოდენობით. ქვეყანა, სადაც წამყვანი ადგილი უკავია სამრეწველო ინდუსტრიას უწოდებენ ინდუსტრიულ ქვეყანას, ხოლო იქ სადაც სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია სჭარბობს ეწოდება აგრარული ქვეყანა.

ტერიტორიული სტრუქტურა ახასიათებს ადგიულ ტერიტორიებზე მოქმედ დარგების ურთიერთშეფარებას, რაც დამოკიდებულია ადგილობრივ რესურსებზე, სამუშაო ძალის, სოციალურ ინფრასტრუქტურაზე, სხვა რეგიონებთან ეკონომიკურ კავშირებზე და სხვა.

მსხვილმასშტაბიანი წარმოება პროდუქციის წარმოების მოცულობის მაჩვენებელია. იგი ხასიათდება წარმოების მოცულობის შედარებით დიდი მასშტაბებით და პირიქით მცირემასშტაბიანი წარმოება ხასიათდება წარმოების მცირე მოცულობით.

წარმოება ასევე შეიძლება იყოს „მასობრივი“, „სერიული“ და „ინდივიდუალური“.

მასობრივი წარმოება ხასიათდება წარმოების უწყვეტი ციკლით, ხშირად ერთგვაროვანი პროდუქციის წარმოებით დროის დიდ მონაკვეთში. მასობრივი წარმოება ემყარება სტაბილურ ბაზარს, მუდმივ მომხმარებელს და წარმოების რიტმულობას. რესურსებით უზრუნველყოფის გარანტიის პირობებში.

სერიული წარმოება ეს არის პროდუქციის წარმოება ცალკეული სერიებად, ჯგუფებად. ზოგჯერ იგი შეიძლება იწარმოებოდეს მსხვილ პარტიებად ასეული და ათასობით ნაწარმის მოცულობით. სერიული წარმოება შემოიფარგლება მასზე დაბალი მოთხოვნილებით, რაც არ იძლევა საშუალებას გადავიდეს უფრო მსხვილ სერიების მიხედვით წარმოებაზე – მასობრივ წარმოებაზე. სერიული წარმოება მოთხოვნილების ზრდის პირობებში იქცევა მასიურ წარმოებად.

ინდივიდუალური წარმოება დაკავშირებულია ერთეული პროდუქციის, უნიკალური და პირველი საცდელი ნიმუშების დამზადებასთან, იგი ხშირად გულისხმობს სამეცნიერო საკვლევე სამუშაოების შედეგებით მიღებული ახალი პროდუქციის დამზადებასა და გამოცდას, შემდგომში მისი უფრო მსხვილ პარტიებად დასამზადებლად. ამდენად ინდივიდუალური წარმოება წარმოების მასშტაბების მიხედვით პირველი საფეხურია. ინდივიდუალური წარმოების ათვისების შემდეგ იწყება სერიულ წარმოებაზე გადასვლა და წარმოების მასშტაბის შემდგომი გაფართოების დროს ხდება მასიური წარმოების ორგანიზაცია.

წარმოების ორგანიზაციის მეთოდების მიხედვით გვხვდება სპეციალიზებული და კომბინირებული წარმოება.

წარმოების სპეციალიზაცია წარმოების ორგანიზაციის მაღალი ფორმაა, რომლის დროსაც წარმოების მასშტაბების ზრდის შედეგად დამოუკიდებელ საწარმოებად გამოიყოფიან ტექნოლოგიურად ერთგვაროვანი ან ერთი სახის პროდუქციის დამზადების საწარმოები და იქმნება სპეციალიზებული წარმოება. მისი პროდუქციის ნომენკლატურა შეზღუდული და ტექნოლოგიურად ერთგვაროვანია. ხასიათდება წარმოების

ავტომატიზაციის, პროდუქციის ხარისხის, კადრების კვალიფიკაციისა და რენტაბელობის მაღალი დონით. სპეციალიზებული საწარმოები ქმნიან კოოპერირებულ საწარმოთა ქსელს. ისინი კოპერირების წესით ერთობლივად ამზადებენ საბოლოო პროდუქტს და არიან მტკიცე საწარმოო-ტექნოლოგიურ და ეკონომიკურ კავშირში, ამავე დროს ისინი ინარჩუნებენ სრულ იურიდიულ დამოუკიდებლობას.

საწარმოთა მასშტაბების ზრდას მიყვევართ წარმოების კონცენტრაციამდე. წარმოების კონცენტრაცია შეიძლება განხორციელდეს ორი გზით, პირველი წარმოების აბსოლუტური ზრდა ერთი წარმოების მასშტაბით და მეორე, სხვადასხვა წარმოების მექანიკური შეერთებით.

კომბინირების დროს ერთი წარმოების პირობებში გაერთიანებულია სხვადასხვა პროდუქციის წარმოება ერთმანეთისაგან განსხვავებული ტექნოლოგიის გამოყენებით. ხდება წარმოების ვერტიკალური ინტეგრაცია, ერთიანდება ნედლეულისა და მასალების, ნახევარფაბრიკატების დამუშავების, აწყობისა და პროდუქციის გამოშვების ოპერაციები.

კონცენტრაციას მიყვევართ მსხვილ საწარმოო კომბინატების შექმნამდე. მომიჯნავე საწარმოების ბაზაზე იქმნება მსხვილი წარმოება ერთ ადგილზე, რითაც მცირდება გადაზიდვის ხარჯები. მეორეს მხრივ იგი ხასიათდება რიგი უარყოფითი ნიშნებით, დაბალია პროდუქციის ხარისხი, კადრების კვალიფიკაცია, მექანიზაციისა და ავტომატიზაციის დონე და ბოლოს წარმოების ეფექტიანობა.

X წარმოების ფაქტორები და ფუნქციები

წარმოების შედეგს განსაზღვრავს წარმოების ფაქტორები და მათი გამოყენება. წარმოების ფაქტორები წარმოების მაპოძრავებელი ძალებისა და საწარმოო პოტენციალის შემადგენელი ნაწილებია. ტრადიციულად მეცნიერ ეკონომისტები ასახელებენ სამ ძირითად ფაქტორს: „მიწა“, „კაპიტალი“ და „შრომა“. მაგრამ ზოგიერთი ავტორი ასევე საწარმოს ფაქტორად მიიჩნევს ბუნებრივ ფაქტორს. ეს არის ბუნებრივი რესურსები: ჰაერი, მზე, წყალი. ესენი არიან ამოსავალი ნედლეული, რომლებიც სათანადო გადამუშავების შემდეგ იქცევიან წარმოების საშუალებად.

შრომა“ როგორც წარმოების ფაქტორი სხვა ფაქტორებთან შეერთებით უზრუნველყოფს საწარმოო პროცესის განხორციელებას და ბოლოს წარმოების შედეგის მიღებას. „შრომის“ ფაქტორი წარმოებაში

გულისხმობს არა მარტო წარმოებაში ფიზიკური და გონებრივი შრომის მონაწილეობას არამედ მის ხარისხს, ეფექტიანობას და მოსახლეობის შრომის უნარიანობას.

კაპიტალი“ როგორც ფაქტორი წარმოებაში სხვადასხვა ფორმით მონაწილეობს. ფიზიკური და მასში განივთებული ფულადი კაპიტალი წარმოგვიდგება ძირითადი და საბრუნავი ფონდების სახით. ზოგიერთი ავტორი საბრუნავ ფონდებს გამოყოფს კაპიტალისაგან და გინიხილავს ცალკე ფაქტორად „გასაღების“ სახით.

წარმოების მნიშვნელოვანი ფაქტორია ასევე სამეწარმეო აქტივობა, რომელიც გავლენას ახდენს საწარმოო საქმიანობის შედეგებზე, თუმცა ამ ფაქტორის საწარმოო საქმიანობაზე გავლენის ეფექტიანობის რაოდენობრივი გავლენა ძნელი შესაფასებელია. ამ ფაქტორის გავლენის გამოყოფა დანარჩენი სამი ფაქტორისაგან ძნელი ხდება. იგი მოქმედებს ფაქტორებთან ერთობლიობაში და მისი შედეგი უფრო ვლინდება ხარისხობრივ მაჩვენებლებში, ვიდრე რაოდენობრივში. ამდენად მისი შეფასება უფრო შესაძლებელია ექსპერტული შეფასების მეთოდის გამოყენებით, ვიდრე რაოდენობრივი გავლენის გაანგარიშებით.

წარმოების შედეგებზე მოქმედ ფაქტორთა საერთო რიცხვს შეიძლება ასევე მივაკუთვნოთ წარმოების სამეცნიერო-ტექნიკური დონე. ეს ფაქტორი განმაზოგადოებელი ხასიათისაა და გვიჩვენებს წარმოების ტექნიკურ და ტექნოლოგიური სრულყოფის დონეს. წარმოების სამეცნიერო-ტექნიკური დონე იწვევს შრომისა და კაპიტალის ფაქტორების უკუგების ამაღლებას. ამავე დროს იგი მოქმედებს როგორც დამოუკიდებელი ფაქტორი, ვინაიდან იგი ხელს უწყობს პროდუქციის ხარისხის დონის ამაღლებას, რაც საბოლოოდ საშუალებას იძლევა გაიზარდოს პროდუქციაზე მოსახლეობის მოთხოვნა, გაყიდვის მოცულობა და რეალიზებული პროდუქციის ღირებულება.

წარმოების ფაქტორთა ურთიერთ დამოკიდებულებით შეიძლება განვსაზღვროთ წარმოების ფუნქცია მათემატიკური მოდელირების მეთოდის გამოყენებით.

ფაქტორული მოდელის გამოყენებით წარმოების მოცულობა, როგორც წარმოების ფუნქცია შეიძლება გამოვხატოთ შემდეგი ფორმულით:

$$Q=Q(L, K, M, T...),$$

სადაც: L, K, M, T – წარმოების ფაქტორებია: შრომა, კაპიტალი, მასალები, ტექნიკური დონე და სხვა.

ეს ფორმულა შეიძლება გამოყენებული იქნას ასევე მაკროეკონომიკურ დონეზე. წარმოების ინტეგრალური ფაქტორების მნიშვნელობის განსაზღვრისათვის მთლიანად ქვეყნის ეკონომიკაში.

წარმოების მაკროეკონომიკური და მიკრო ეკონომიკური მაჩვენებლები

წარმოება, როგორც ეკონომიკური კატეგორია მიეკუთვნება, როგორც მაკროეკონომიკას ისე მიკროეკონომიკას. თუწარმოება განიხილება მიკროეკონომიკის თვალსაზრისით, როგორც საწარმოთა მიერ პროდუქციის გამოშვება, მიკროეკონომიკა მას განიხილავს, როგორც ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტის წარმოებას.

მთლიანად ქვეყნის დონეზე ეროვნული მასშტაბით საწარმო-ეკონომიკური საქმიანობის ყველაზე მნიშვნელოვან მაჩვენებლად ითვლება მთლიანი ეროვნული პროდუქტი. იგი წარმოადგენს პროდუქციის, საქონლის, გაწეული მომსახურების მოცულობას, რომელიც წარმოებულია საწარმოო ფაქტორთა გამოყენებით მთელ ქვეყანაში წლის განმავლობაში საბაზრო ფასებში.

მთლიან ეროვნულ პროდუქტში (მ.ე.პ.) შედის მხოლოდ საბოლოო პროდუქტი. ვინაიდან წარმოების ზოგიერთი პროდუქტი გამოიყენება სხვა წარმოების მიერ საბოლოო შუა პროდუქციის წარმოებისათვის. მაგალითად, მანქანის ძრავები, რომელსაც აწარმოებს ძრავების ქარხანა გამოიყენება ავტომობილმშენებელი ქარხნის მიერ ავტომანქანის წარმოებისათვის. ამ შემთხვევაში საბოლოო პროდუქტია ავტომანქანა, ხოლო ძრავა შუალედური პროდუქტი, რომელიც მეპ-ს გაანგარიშების დროს მხედველობაში არ მიიღება. ამიტომ, რომ განმეორება ადგილი არ ჰქონდეს იგი ცალკე არ აღირიცხება მეპ-ს გაანგარიშებაში.

მეპ-ში შედის დამატებული ღირებულება, რომელიც დაერიცხება საბოლოო პროდუქტს. დამატებული ღირებულება იანგარიშება, როგორც სხვაობა საბოლოო პროდუქტზე დარიცხული დამატებული ღირებულებისა და დამზადებაზე გამოყენებული ნედლეულის, მასალების, ენერჯიის და სხვა დარიცხული დამატებულ ღირებულებას შორის.

მეპ-ი არ არის ზუსტი ვინაიდან, იგი არ მოიცავს საშინაო მეურნეობისა და ჩრდილოვანი ეკონომიკის პროდუქციასა და სამუშაოებს,

ასევე გართულებულია მისი აღრიცხვა დროის მიხედვით. აღნიშნულის გამო მექ ნაკლებად შესაღარიანია სხვადასხვა ქვეყნების მიხედვით.

მექ გაანგარიშებაში შედის მხოლოდ ის პროდუქცია, რომელიც შექმნილია ქვეყანაში ან ქვეყნის გარეთ, ამ ქვეყნის ფაქტორთა გამოყენებით. მასში არ შედის პროდუქცია რომელიც შექმნილია ქვეყნის შიგნით სხვა ქვეყნის ფაქტორთა გამოყენებით. თუ პროდუქცია შექმნილია ერთობლივად სხვადასხვა ქვეყნის ფაქტორთა მონაწილეობით, მაშინ მექ-ში ჩაირთვება მხოლოდ ის ნაწილი, რომელიც ქვეყნის შიგა ფაქტორთა გამოყენებით იქნა წარმოებული.

ეკონომიკურ გაანგარიშებაში ხშირად იყენებენ მთლიან შიგა პროდუქტს.

მთლიანი შიგა პროდუქტი ეს არის ქვეყნის შიგნით წარმოებული პროდუქციის ღირებულება, იმისდა მიუხედავად თუ ვისი ფაქტორებია გამოყენებული მისი წარმოებისათვის. მშპ არ შედის ქვეყნის გარეთ წარმოებული პროდუქციის ღირებულება. მშპ-სა და მექ-ს შორის არ არის დიდი განსხვავება.

გარდა მხოლოდ აღნიშნული მაჩვენებლებისა გამოიყენება „მთლიანი ეროვნული შემოსავალი“ (მ.ე.შ.). იგი იანგარიშება, როგორც სხვაობა მთლიან შიგა პროდუქტსა და წარმოების საშუალებების ამორტიზაციას შორის.

ეკონომიკურ ლიტერატურაში მთლიანი ეროვნული პროდუქტი იანგარიშება სამი მეთოდით:

- 1) საწარმოო მეთოდი ან დამატებული ღირებულების მეთოდი;
- 2) შემოსავლების მიხედვით გაანგარიშება;
- 3) ხარჯების მიხედვით ან საბოლოო გამოყენებით გაანგარიშება.

მსოფლიო პრაქტიკაში დამატებული ღირებულების მეთოდი თავისი გაანგარიშების სირთულის გამო ნაკლებად გამოიყენება. უფრო მეტად გამოიყენება ერთობლივი შემოსავლების ჯამი ან წარმოების მიერ საქონელზე და მომსახურებაზე გაწეული დანახარჯების ჯამი. ეკონომიკაში დანახარჯები რესურსებზე და შემოსავლები ერთმანეთის ტოლია.

შემოსავლები შეიძლება დაეყოს სამ ძირითად სუბიექტად: სახელმწიფოს (მთავრობის, ბიუჯეტის), საწარმოს (ფირმებისა და მეწარმეების) და საშინაო მეურნეობის. ვინაიდან შემოსავლების განაწილება ამ სუბიექტების მიხედვით და ერთობლივი შემოსავლის გაანგარიშება ამ სამი შემადგენლის მიხედვით საკმაოდ რთულია, ამიტომ მთლიანი ეროვნული შემოსავლების გაანგარიშება წარმოებს შემდეგი ელემენტებით:

ხელფასი — როგორც შრომის რესურსების გადასახადი შეადგენს შემოსავლის მნიშვნელოვან ნაწილს, რომელიც გაიცემა სახელმწიფოს, მეწარმეებისა და საწარმოთა მიერ.

მოგება — სახელმწიფოს შემოსავალია მოგებიდან ანარიცხების სახით, რომელსაც იხდის საწარმო, ფირმა, კორპორაცია, აქციონერები აქციებზე დივიდენდის სახით და საწარმოს განკარგულებაში დარჩენილი გაუნაწილებელი მოგება.

რენტის შემოსავალი (რენტა) — მიწის წარმოებაში ჩართვის, ქონების, კაპიტალის შესაკუთრეთა მიერ გამოყენებისათვის გადაიხდება.

პროცენტები — კრედიტის გამოყენებისათვის (იხდის საწარმო, ფირმა, მეწარმე).

შემოსავლები — წვრილი მეწარმეების, საკუთარი წარმოებათა, კოპერატივებისა და ამხანაგობებისაგან.

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული წარმოება შეიძლება დაეხასიათოთ, როგორც მაკროეკონომიკური ისე მიკროეკონომიკური მაჩვენებლებით. ცალკეული წარმოების მასშტაბით საწარმოს გააჩნია თავისი ეკონომიკური მაჩვენებლები. მათ მიეკუთვნება: წარმოების მოცულობა, დანახარჯები, მოგება.

წარმოების მოცულობა როგორც მიკროეკონომიკური მაჩვენებელი საბაზრო მაჩვენებელია, მის საფუძველზე განისაზღვრება წარმოებისა და რეალიზაციის დანარჩენი მაჩვენებლები.

საწარმოო პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის მოცულობა განსაზღვრულია საწარმოო პროგრამაში. საწარმოო პროგრამა წარმოების მოქმედი პროგრამაა წლის განმავლობაში. იგი იყოფა კვარტალების, თვეებისა და დღეების მიხედვით. საწარმო პროგრამას ცენტრალური ადგილი უკავია საწარმოს დაგეგმვაში. იგი ამოსავალი წერტილია საწარმოს ყველა მაჩვენებლების განსაზღვრისათვის. მასში ასახულია რესურსების მოთხოვნა, დანახარჯები, შემოსავლები და შემოსავლების განაწილება. მის საფუძველზე დგება საწარმოს ტექნიკური განვითარების გეგმა, განისაზღვრება ინვესტიციები, ფინანსური გეგმა, დანახარჯებისა და შემოსავლების მოსალოდნელი ოდენობა.

საწარმოო პროგრამაში შედის ორი რიგის მაჩვენებლები: პროდუქციის წარმოება და რეალიზაცია, პროდუქციის წარმოების მოცულობა ანისაზღვრა ნატურალურ და ფულად მაჩვენებლებში. ნატურალური მაჩვენებლები თავის მხრივ იყოფა: პროდუქციის მთლიანი მოცულობა (ტონებში,

კვ-ში, დკლიტ. ცალებში), პროდუქციის წარმოება ნომენკლატურისა და ხარისხის მიხედვით.

პროდუქციის წარმოება ფულად ერთეულებში იანგარიშება წარმოების საბითუმო ფასებში (აქციზისა და დამატებული ღირებულების გარეშე). პროდუქციის რეალიზაცია ასევე იანგარიშება, როგორც ნატურალურ ისე ფულად-ფორმაში. როგორც პროდუქციის წარმოება, ისე მისი რეალიზაცია წარმოებაში აღირიცხება სხვადასხვა ფასებში: საბითუმო ფასი, წარმოების გასაცემი ფასი, თავისუფალი საბაზრო ფასი, სახელშეკრულებო ფასი, ბარტერის ფასი.

წარმოების საბითუმო ფასი განისაზღვრება პროდუქციის დანახარჯებისა და ნორმატული მოგების ჯამით. პროდუქციის ფაქტიური საბითუმო ფასის განსაზღვრისათვის თავისუფალ საბაზრო ფასს (რომლითაც გაყიდულია ესა თუ ის საქონელი) უნდა გამოვაკლოთ დამატებული ღირებულება და აქციზის თანხა (თუ საქონელი იბეგრება აქციზით). საბითუმო ფასი ფართოდ გამოიყენება წარმოების დაგეგმვისა და აღრიცხვის დროს.

საბითუმო ფასი - არის ფასების ქვედა ზღვარი, რომლის შემცირება იწვევს წარმოების მოგების შემცირებას. მისი შემცირება წარმოებისათვის თვითღირებულების დონეზე ქმნის წარმოების გაკოტრების საშიშროებას, თუ არ არსებობს რეზერვები თვითღირებულების შესამცირებლად.

წარმოების გასაცემი ფასი - ეს ის ფასია, რომელიც მიიღება საბითუმო ფასზე აქციზური გადასახადის დამატებით. აქციზური საქონლისათვის წარმოების ფაქტობრივ გასაცემ ფასს ანგარიშობენ თავისუფალი საბაზრო ფასიდან დამატებული ღირებულების გადასახადის გამოკლებით. არა აქციზურ საქონლისათვის წარმოების გასაცემი ფასი ემთხვევა წარმოების საბითუმო ფასს.

საბაზრო ფასი, → დამატებული ღირებულება, → აქციზი, →
→ საბითუმო ფასი → მოგება → თვითღირებულება.

თავისუფალი-საბაზრო ფასი - წესდება ბაზარზე მიერ მწარმოებელსა და მომხმარებელს შორის კონკურენციის შედეგად. იგი მრავალ ფაქტორზეა დამოკიდებული. მწარმოებელი ცდილობს, რაც შეიძლება მეტ ფასში გაყიდოს თავისი საქონელი, ხოლო მყიდველი ცდილობს, რაც შეიძლება დაბალ ფასში იყიდოს მისთვის საჭირო საქონელი.

წარმოების მოგება დამოკიდებულია საბაზრო ფასზე. მისი ქვედა ზღვარია თვითღირებულებისა და დამატებული ღირებულების ჯამი.

სახელშეკრულებო ფასი – იგი განისაზღვრება საქონლის მწარმოებელსა და მყიდველს შორის ურთიერთშეთანხმებით, მათ შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე. სახელშეკრულებო ფასს აქვს თავისი განსაზღვრელი პირობები და იღება გარკვეული დროის პერიოდით.

ბარტერის ფასი ბარტერი საქონლის ნატურგაცვლად და ფართოდ გამოიყენება საბაზრო ეკონომიკაში. ბარტერის ფასი ეს ის ფასია, როდესაც ერთი საქონლის მწარმოებელი აწესებს მის პროდუქციაზე მომხმარებლის მიერ შემოთავაზებულ პროდუქციაზე გასაცვლელად. ბარტერის პირობა არის ის, რომ მწარმოებელს სჭირდება მისი პროდუქციის მაგივრად მომხმარებლის მიერ შემოთავაზებული პროდუქცია, ამიტომ იგი აწარმოებს უნაღლო-ნატურით ანგარიშსწორებას. ბარტერულ გაცვლას მყიდველი და გამყიდველი აწარმოებენ უფრო ხშირად იმ შემთხვევაში, როცა უნაღლო ან ნაღდი ფულადი ანგარიშსწორება შეუძლებელია.

პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის მოცულობა ფულად ფორმაში განისაზღვრება შემდეგ მაჩვენებლებში: მთლიანი პროდუქცია, სასაქონლო პროდუქცია, რეალიზებული პროდუქციის მოცულობა.

მთლიანი პროდუქცია – არის წარმოების მიერ საწარმოო ფაქტორთა გამოყენებით დროის მონაკვეთში (წელი, კვარტალი, თვე) დამზადებული პროდუქცია, შესრულებული სამუშაოები, როგორც წარმოების შიგნით, ისე მის გარეთ, მიუხედავად იმისა, თუ რა დანიშნულება აქვს შესრულებულ სამუშაოს, საკუთარი მოხმარებისათვის თუ ბაზარზე გასაყიდად.

მთლიან პროდუქციაში შედის მზა პროდუქცია, რომელიც დამზადებულია საანგარიშო პერიოდში, ნახევარ ფაბრიკატებისა და ნამზადების ნაშთების სხვაობის ღირებულება საანგარიშო პერიოდის საწყისსა და ბოლოს შორის, საკუთარი ძალებით შესრულებული მოწყობილობის კაპიტალური რემონტის ღირებულება, დამზადებული ტარის ღირებულება და გასაყიდად დამზადებული ნახევარფაბრიკატებისა და ნამზადების ღირებულება.

სასაქონლო პროდუქცია – სასაქონლო პროდუქცია არის გასაყიდად დამზადებული საქონელი მასში შედის საანგარიშო პერიოდში

დამზადებული პროდუქცია, რომელსაც ემატება ან აკლდება მზა პროდუქციის ნაშთების სხვაობა საანგარიშო პერიოდის საწყისსა და ბოლოს შორის, გასაყიდი ნახევარფაბრიკატებისა და დამზადების ღირებულება საანგარიშო პერიოდის საწყისსა და ბოლოს შორის სხვაობის გათვალისწინებით და ასევე გასაყიდად დამზადებული ტარის ღირებულება.

რეალიზებული პროდუქციის მოცულობას თანამედროვე საბაზრო ტერმინოლოგიით უწოდებენ გაყიდვების მოცულობას. იგი გვიჩვენებს საწარმოო პროცესში დახარჯული რესურსების უკუგებას და მთლიანად დამოკიდებულია ბაზარზე. წარმოების თვალსაზრისით ამ მაჩვენებლის მოცულობა დამოკიდებულია წარმოების მარკეტინგული სამსახურის მუშაობაზე და იგი ასრულებს წარმოების მასტიმულირებელ როლს, რაც მეტია პროდუქციაზე მოთხოვნილება და მისი რეალიზაციის მოცულობა მით მეტია წარმოების მისწრაფება აწარმოოს მეტი და მაღალხარისხოვანი პროდუქცია. თავის მხრივ, წარმოება მოქმედებს რეალიზებული პროდუქციის მოცულობაზე. წარმოების რითმიული მუშაობა და პროდუქციის მაღალი ხარისხი უზრუნველყოფს ბაზრის სეგმენტის გაფართოებას, კონკურენციისადმი სტაბილურობას და გაყიდვების მოცულობის ზრდას.

რეალიზებული პროდუქციის მოცულობის ზრდა წარმოების საბოლოო მიზანია, ვინაიდან იგი განაპირობებს წარმოების შემოსავალსა და მის ეფექტიანობას.

5.2 წარმოების დანახარჯი

წარმოების ძირითადი ფუნქციაა მინიმალური დანახარჯების პირობებში მეტი და მაღალხარისხოვანი პროდუქციის წარმოება. საბაზრო ეკონომიკის პირობებში წარმოების წინაშე დგება პრობლემა როგორ ვაწარმოოთ ნებისმიერი განსაზღვრული პროდუქციის მოცულობა მინიმალურად დასაშვები დახარჯებით? ამ პრობლემის გადაწყვეტა საკმაოდ რთულია და მოიცავს მრავალ ალტერნატიულ გზებსა და საშუალებებს.

წარმოების აღრიცხვა ანგარიშგების თანამედროვე პირობებში დანახარჯების სწორი აღრიცხვა და მათი გაანგარიშება განაპირობებს, ბიუჯეტთან ურთიერთობას, საშუალებას გვაძლევს დროული და სწორი

ანალიზი გაუკეთოდ წარმოების სამეურნეო-ფინანსური საქმიანობის შედეგებს, რათა უზრუნველყოთ მისი ეფექტიანობის ამაღლება.

თანამედროვე წარმოების ეფექტიანობის მართვა დამოკიდებულია ინფორმაციის სისწორესა და დროულად მიღებაზე. ინფორმაციის დამუშავების მოძველებული სისტემა საშუალებას არ იძლევა დროულად მივიღოთ იგი. თანამედროვე ბულალტრული ანგარიშგება წარმოების ხელმძღვანელობას მიეწოდება ერთი ან ორი თვის დაგვიანებით, როცა იგი უკვე გამოუსადეგარია. ვინაიდან საწარმოო პროცესი უკვე დიდი ხანია დამთავრებულია და მასზე ზემოქმედება დაგვიანებულია. ფაქტურად ამ პირობებში წარმოების ოპერატიული რეგულირება გამოირიცხებულია, ასეთ პირობებში შეუძლებელია წარმოების ეფექტიანობის ამაღლებაზე მსჯელობა. ამიტომ საჭიროა პირველ რიგში მოხდეს წარმოების აღრიცხვისა და ანგარიშგების ძირეული რეფორმა, დაზუსტდეს და შემცირდეს მაჩვენებელთა და სტატისტიკურ-ანგარიშგებითი ცნობების წარმოებებიდან მოთხოვნა, დაჩქარდეს აღრიცხვა ანგარიშგებაში მართვის ავტომატური სისტემის გამოყენება. აღრიცხვის ავტომატიზაციის გარეშე შეუძლებელია თანამედროვე წარმოების მართვა.

სანამდე განვიხილავდეთ საწარმოო ფაქტორთა გამოყენების მეთოდებს და მათი ურთიერთგაყენების ალტერნატივებს საჭიროა ავხსნათ დანახარჯების არსი, სტრუქტურა კლასიფიკაცია და ზოგიერთ ტერმინის განმარტება.

წარმოების „დანახარჯები“ ეს არის წარმოების ფაქტორთა მოხმარებული ნაწილის ღირებულება, რომელიც საჭიროა გარკვეული ნომენკლატურისა და მოცულობის პროდუქტის წარმოებისათვის.

დანახარჯები დროისა და დანიშნულების მიხედვით შეიძლება ორ ჯგუფად დავყოთ: კაპიტალური და შიმღინარე დანახარჯები. კაპიტალური დანახარჯები ერთდროული დანახარჯებია და დანიშნულია წარმოების საშუალებების შესაძენად, შენობების, ნაგებობების, მანქანა-დანადგარების, მიწის, ასევე წარმოების რეკონსტრუქციის, ტექნიკური გადაიარაღების, ახალი ტექნოლოგიებისა და ახალი პროდუქციის ათვისების დანახარჯების ასანაზღაურებლად. კაპიტალური დანახარჯები ანაზღაურდება საწარმოს წმინდა შემოსავლებიდან — მოგებიდან.

განსხვავებით კაპიტალური დანახარჯებისა, მიმდინარე დანახარჯები აისახება პროდუქციის თვითღირებულებაში. ეკონომიკურ ლიტერატურაში „თვითღირებულების“ ტერმინი გამოიყენებოდა საბჭოთა საწარმოებში.

საბაზრო ეკონომიკაში მას შეესატყვისება წარმოების დანახარჯები, მაგრამ მათ შორის არსებობს განსხვავება. თვითღირებულება წარმოების დანახარჯების ერთი ნაწილია. მესაკუთრისათვის წარმოებული საქონლის დანახარჯები განისაზღვრება საკუთარი კაპიტალით, ხოლო საქონლის ფაქტიური ღირებულება განისაზღვრება ერთობლივი შრომითი დანახარჯებით. სოციალიზმის პირობებში კაპიტალსა და წარმოების საზოგადოებრივ დანახარჯებს შორის არსებითი განსხვავება არ იყო.

თვითღირებულება წარმოების დანახარჯების სინთეტიკური მაჩვენებელია იგი ასახავს გაწეულ პროდუქციის წარმოებაზე ცოცხალი და განივებული შრომის დანახარჯებს. იგი გამოხატავს ტექნიკის, წარმოების ორგანიზაციის, მატერიალური რესურსებისა და ცოცხალი შრომის გამოყენების ღონეს. იგი ამავე დროს საბაზისო მაჩვენებელია ბიუჯეტთან ურთიერთობის, მოგების, ფასების, წარმოების დანახარჯებისა და შემოსავლების გაანგარიშებისათვის.

თვითღირებულების გამიჯვნას წარმოების დანახარჯებისაგან დიდი მნიშვნელობა ენიჭება, ვინაიდან წარმოების მთლიანი დანახარჯები იყოფა ორ ჯგუფად. დანახარჯები, რომლებიც მიეკუთვნებიან პროდუქციის თვითღირებულებას და დანახარჯები, რომლებიც ანაზღაურდებიან წარმოების (მესაკუთრის) განკარგულებაში დარჩენილი მოგებიდან.

დანახარჯების არა სწორად განაწილება იწვევს ბიუჯეტის და ბიუჯეტგარეშე გადასახდელების შემცირებას ან გადიდებას, რაც ისევბა მოქმედი კანონმდებლობით.

ზოგადი განმარტებით თვითღირებულება პროდუქციის წარმოებაზე და მის რეალიზაციაზე გაწეული დანახარჯებია ფულად გამოხატულებაში. თვითღირებულება მოიცავს ცოცხალი და განივებული შრომის დანახარჯების, უფრო კონკრეტულად მატერიალური, შრომითი და ფულადი დანახარჯების ჯამს.

მიუხედავად დანახარჯების სახესხვაობისა, ისინი შეიძლება დავეყოთ ძირითად და ზედნადებ ხარჯებად. ძირითადი ხარჯები დაკავშირებულია ტექნოლოგიურ პროცესთან, ხოლო ზედნადები ხარჯები – წარმოების მართვისა და მომსახურების ხარჯებთან. ძირითად ხარჯებს მიეკუთვნება ძირითადი და დამხმარე ნედლეულისა და მასალებზე დანახარჯები, სათბობზე და ელექტრო ენერგიაზე, ხელფასზე და მოწყობილობის შენახვისა და ქსაღუატაციის ხარჯები. ზედნადებ ხარჯებს მიეკუთვნება საამქროს ხარჯები, საერთო საწარმოო ხარჯები, პროდუქციის რეალიზაციასთან დაკავშირებული ხარჯები.

დანახარჯების ცალკეულ პროდუქციის თვითღირებულებაზე მიკუთვნების მეთოდის მიხედვით დანახარჯები შეიძლება იყოს პირდაპირი და ირიბი. პირდაპირი ხარჯები, მიეკუთვნება ამა თუ იმ კონკრეტული პროდუქციის თვითღირებულების დანახარჯებს, მაგალითად, საწარმოო მუშების ხელფასი, ნედლეულის და მასალების, ნაყიდი ნახევარფაბრიკატების, დანახარჯები. ირიბი ხარჯები დაკავშირებულია საამქროს, უბნის ან საწარმოს საწარმოო-სამეურნეო საქმიანობასთან, რომლებიც შეუძლებელია ან ძნელია მიეკუთვნოთ კონკრეტული სახეობის პროდუქციის თვითღირებულებას - მოწყობილობის შენახვისა და ექსპლუატაციის ხარჯები, საამქროს, საერთო საწარმო და წარმოების გარეშე ხარჯები. ეს ხარჯები პროდუქციის კონკრეტულ სახეობაზე ნაწილდება საწარმოს მუშების ძირითადი ხელფასის პროპორციულად, ხოლო წარმოების გარეშე ხარჯები საწარმოო თვითღირებულების პროპორციულად.

დანახარჯების ერთგვაროვნების მიხედვით დანახარჯები შეიძლება დავეყოთ ერთეულად და კომპლექსურ ხარჯებად. კომპლექსური ხარჯები შედგება რამდენიმე ეკონომიკური ელემენტებისაგან. ასეთია საამქროს, საერთო საწარმოო ხარჯები და წარმოების გარეშე ხარჯები. ისინი შედგებიან მატერიალური, შრომითი და ფულადი ხარჯებისაგან.

წარმოების მოცულობისაგან დამოკიდებულებით ხარჯები იყოფიან პროპორციულ და არაპროპორციულ ხარჯებად ან მუდმივ და პირობით მუდმივ ხარჯებად, ცვლად და პირობით ცვლად ხარჯებად.

წარმოების მოცულობის ზრდით ძირითადი ნედლეულის, ძირითადი მუშების ხელფასის, და მასალების დანახარჯები პირდაპირ პროპორციულად იზრდება, ხოლო პროდუქციის ერთეულზე უცვლელი რჩება, ამავე დროს ეს ხარჯები არის ცვლადი და პროპორციული. საამქრო, საწარმოო, წარმოების გარეშე ხარჯები პროდუქციის მოცულობის ზრდით არ იცვლება ან უმნიშვნელოდ იზრდება ამიტომ მათ უწოდებენ პირობით მუდმივ ხარჯებს.

წარმოების პრაქტიკაში დანახარჯების ანალიზისათვის საჭიროა დანახარჯების დაჯგუფება პროდუქციის ცალკეული სახეების მიხედვით ანუ როგორც მას უწოდებენ კალკულაციის მუხლების მიხედვით და მეორე მეთოდით დანახარჯების დაჯგუფება წარმოების პროდუქციის მთლიან მოცულობაზე გაწეული დანახარჯების მიხედვით.

განვიხილოთ კალკულაციის მუხლების მიხედვით დანახარჯების კლასიფიკაცია:

1. ნედლეული და მასალები;
2. შექმნილი მაკომპლექტებელი ნაკეთობანი და ნახევარფაბრიკატები;
3. გამოყენებული ნარჩენები (აკლდება);
4. სათბობი და ენერჯია ტექნოლოგიური მიზნებისათვის;
5. ძირითადი წარმოების ძირითადი მუშების ძირითადი ხელფასი;
6. დამატებითი ხელფასი;
7. სოციალური დაზღვევის ანარიცხები;
8. ინსტრუმენტების ცვეთის ღირებულება;
9. მოწყობილობის ექსპლუატაციისა და შენახვის ხარჯები;
10. საამქროს ხარჯები;
11. საერთო-საქარხნო ხარჯები;
12. პირდაპირი გადასახადები;
13. წარმოების გარეშე ხარჯები.

1-დან 12-ის ჩათვლით შეადგენს საწარმოს თვითღირებულებას, 13-ის ჩათვლით კი მთლიანი თვითღირებულებაა. განვიხილოთ თითოეული მათგანი ცალ-ცალკე:

მუხლი - „ნედლეული და მასალები“ - შეიცავს უშუალოდ გამოყენებულ დანახარჯებს ძირითადი პროდუქციის დამზადებისათვის, ნორმალური ტექნოლოგიური პროცესისათვის;

მუხლი - „შექმნილი და მაკომპლექტებელი ნაკეთობანი და ნახევარფაბრიკატები საწარმოო ხასიათის მომსახურებანი“ - შედის იმ ნაკეთობებსა და ნახევარფაბრიკატებზე დანახარჯები, რომლებიც აუცილებელია პროდუქციის კომპლექტაციისათვის; აგრეთვე საწარმოო ხასიათის მომსახურებაზე დანახარჯები, რომლებსაც მიმწოდებელი ორგანიზაცია უწევს მომხმარებელ საწარმოს.

მუხლი - „გამოყენებული ნარჩენები“ - მოიცავს მასალებისა და ნახევარფაბრიკატების ღირებულებას, რომლებიც წარმოიქმნენ მათი დამუშავების პროცესში და გამოყენებულ იქნენ იგივე წარმოებაში ან გადაეცა სხვა წარმოებას ღირებულების ანაზღაურებით.

მუხლი - „სათბობი და ენერჯია ტექნოლოგიური მიზნებისათვის“ - მოიცავს მოწოდებულ ენერჯიასა და საწვავზე, აგრეთვე გამოუმუშავებულ ენერჯიაზე გაწეულ დანახარჯებს რომლებიც გამოყენებულია ტექნოლოგიურ პროცესებზე.

მუხლი - „ძირითადი წარმოების ძირითადი მუშების ხელფასი“ - მოიცავს შესრულებული სამუშაოების შესაბამისად გაცემულ ძირითადი მუშების ძირითად ხელფასს.

მუხლში - „დამატებითი ხელფასი“ - შედის რიგით და დამატებით შეებულეებზე, აგრეთვე გამოუყენებელ შეებულეებსა და სხვა არასამუშაო დროში გაცემულ ხელფასზე გაწეულ დანახარჯებს.

მუხლი - „სოციალურ დაზღვევაზე ანარიცხები“ - არის დადგენილი ნორმატივის მიხედვით ანარიცხები წარმოების ძირითადი მუშების ძირითადი და დამხმარე ხელფასიდან, მატერიალური წახალისების ფონდისა და დახმარების თანხის ჩათვლით.

მუხლში - „ინსტრუმენტების ცვეთის ანაზღაურება და სხვა სპეციალური ხარჯები“ - შედის ინსტრუმენტებსა და მათ რემონტზე გაწეული ხარჯები. სპეციალურს მიეკუთვნება დანახარჯები, რომელიც გაწეულია საკონსტრუქტორო ბიუროების, ლაბორატორიების, გამოსაცდელი სადგურების შენახვაზე.

მუხლი - „მოწყობილობის ექსპლოატაციისა და შენახვის ხარჯები“ - მოიცავს ხარჯებს, გაწეულს ტექნოლოგიური, ამწესატრანსპორტო მოწყობილობების, ინსტრუმენტების, სამუშაო ადგილების ექსპლოატაციისა და შენახვისათვის.

მუხლში - „საამქროს ხარჯები“ - მოიცავს საამქროსა და სამმართველო აპარატის ხელფასს, საამქროს შენობებზე, ინვენტარის ექსპლოატაციაზე, რემონტზე, უსაფრთხოების ტექნიკასა და რაციონალიზაციაზე გაწეული ხარჯებს.

მუხლი - „საერთო საქარხნო ხარჯები“ - ადმინისტრაციულ მართვაზე გაწეული ხარჯებია.

მუხლში - „პირდაპირი გადასახადები“ - შედის ანარიცხები დასაქმების ფონდში, სამედიცინო დაზღვევის გადასახადი, სამეწარმეო გადასახადი, წყლის, ბუნებრივი რესურსების და საავტომობილო გზების გადასახადი. მათი საერთო რაოდენობა ხელფასის მიმართ შეადგენს 8-12%-მდე.

პროდუქციის წარმოებაზე გაწეული დანახარჯები კალკულაციის მიხედვით საჭიროა კონკრეტული სახეობის პროდუქციის თვითღირებულების გაანგარიშებისათვის, ასევე წარმოების რეზერვების გამოსავლინებლად და ცალკეული პროდუქციის რენტაბელობის დასადგენად.

წარმოების მთლიანი დანახარჯების გაანგარიშებისა და ანალიზისათვის, დანახარჯების სტრუქტურის დასადგენად საჭიროა დანახარჯების დაჯგუფება ეკონომიკური ელემენტების მიხედვით.

დანახარჯები ეკონომიკური ელემენტების მიხედვით ჯგუფდება შემდეგნაირად:

1. ნედლეული და ძირითადი მასალები;
2. შექმნილი ნაკეთობანი, ნახევარფაბრიკატები;
3. დამხმარე მასალები;
4. სათბობი გარედან;
5. ენერგია გარედან;
6. ხელფასი;
7. სოც. დაზღვევის ანარიცხები;
8. ძირითადი ფონდების ამორტიზაცია;
9. პირდაპირი გადასახადები;
10. სხვა დანახარჯები.

ელემენტი – „ნედლეული და ძირითადი მასალები“ – მოიცავს: ძირითადი პროდუქციის დამზადებისათვის საჭირო ნედლეულის, მასალების შექმნასა და მომწოდებელი ორგანიზაციიდან საწარმოს საწყობამდე ტრანსპორტით მომსახურებაზე გაწეულ ხარჯებს.

ელემენტი – „შექმნილი ნაკეთობანი და ნახევარფაბრიკატები, საწარმოო ხასიათის მომსახურებანი“ – შეიცავს ნაკეთობებისა და ნახევარფაბრიკატების (რომლებსაც დამატებითი დამუშავება ან მონტაჟი ესაჭიროებათ, შექმნასა და მომწოდებელი ორგანიზაციიდან მოცემული საწარმოს საწყობამდე), ტრანსპორტირებაზე გაწეულ ხარჯებს.

ელემენტში – „დამხმარე მასალები“ – შედის დამხმარე მასალების ღირებულება, რომელიც არ მონაწილეობს პროდუქციის ორგანული სტრუქტურის ჩამოყალიბებაში, აგრეთვე მანქანა-მოწყობილობებისათვის შექმნილი სათადარიგო ნაწილების ღირებულება.

ელემენტში – „სათბობი გარედან მიღებული“ – შედის მომწოდებელი ორგანიზაციიდან შექმნილი და გარედან შემოზიდული ყველა სახის საწვავი, რომელიც საჭიროა ტექნოლოგიური მიზნებისათვის, შენობების გათბობისათვის, ტრანსპორტისათვის.

ელემენტში – „ენერგია გარედან მიღებული“ – შედის ყველა სახის ენერგიაზე (ელექტრო და თბური ენერგია) გაწეული დანახარჯები,

როგორც სამეურნეო, ისე ტექნოლოგიური მიზნებისათვის, როგორცაა: ელექტრული შედუღება, ლითონის ელექტრო-ქიმიური დამუშავება და ასევე შენობა-ნაგებობებისა და ტერიტორიის განათებაზე დახარჯული ენერჯის ღირებულება.

ელემენტში - „ძირითადი და დამატებითი ხელფასი“ - შედის საწარმოო პერსონალის შრომის ანაზღაურებაზე გაწეული დანახარჯები.

ელემენტში - „სოციალური დაზღვევის ანარიცხები“ - შედის დადგენილი ნორმატივის მიხედვით ძირითადი და დამატებითი ხელფასის საერთო თანხის მიმართ დანარცხს.

ელემენტში - „ძირითადი ფონდების ამორტიზაცია“ - შედის ამორტიზაციის ანარიცხების ჯამი, რომელიც ძირითადი ფონდების თავდაპირველი ან აღდგენითი ღირებულებიდან იანგარიშება, დადგენილი ამორტიზაციის ნორმის მიხედვით.

ელემენტი - „პირდაპირი გადასახადები“ - მოიცავს არა საბიუჯეტო ფონდებში მთავრობის მიერ დადგენილი ნორმატივით საეკონომიკურ გადასახადებს. მათ მიეკუთვნება:

1. დასაქმების ფონდი ხელფასის 1 % ოდენობით;

2. სამედიცინო დახმარების საეკონომიკურ გადასახადი 3% ხელფასიდან;

3. ბუნებრივი რესურსების სარგებლობის გადასახადი;

4. საავტომობილო გზების სარგებლობის გადასახადი;

5. წყლის რესურსების გადასახადი;

6. სამეწარმეო საქმიანობის გადასახადი;

ყველა აღნიშნული გადასახადები შედის თვითღირებულებაში და გადაიხდება ყოველთვიურად.

თვითღირებულების სტრუქტურა დამოკიდებულია პროდუქციის სახეობაზე. მანქანათმშენებელ და ლითონ-დამამუშავებელი მრეწველობის პროდუქციის წარმოების მატერიალურ დანახარჯებზე მოდის 60-65%, ხელფასზე 15-20%, დანარჩენი ხარჯები 5-20%, კვებისა და მსუბუქ მრეწველობაში მატერიალურ დანახარჯების ხვედრიწილი თვითღირებულებაში შეადგენს 75-80%, შრომის ანაზღაურების ხარჯები 8-12%. დანარჩენი ხარჯები 5-8%. იმისდა მიხედვით, თუ როგორია პროდუქციის თვითღირებულების სტრუქტურა მრეწველობის დარგებს ყოფენ მასალატევად, შრომატევად და ენერგოტევად დარგებად. მასალატევად დარგებს მიეკუთვნება ის დარგები, რომელთა პროდუქციის სტრუქ-

ტურაში მატერიალურ დანახარჯებს მეტი ხვედრიწილი უკავიათ. ასეთებია კვებისა და მსუბუქი მრეწველობის დარგები. შრომატევად დარგებს მიეკუთვნება ისეთი დარგები, სადაც უპირატესი ადგილი უკავია დანახარჯების სტრუქტურაში შრომით დანახარჯებს, ასეთია მანქანათმშენებლობა და ლითონდამუშავება, მძიმე და სამთამადრო მრეწველობა. ამ დარგებში დანახარჯების სტრუქტურაში ხელფასის ხვედრიწილი საშუალოდ შეადგენს 30-50%-მდე. ენერგოტევად დარგებში უპირატესი ადგილი უკავია სათბობისა და ელ. ენერგიის დანახარჯებს. მაგალითად, თბოენერგეტიკაში, ჭიმური მრეწველობის ზოგიერთ დარგში და სხვა. მრეწველობის ზოგიერთი დარგი ერთდროულად მიეკუთვნება, როგორც შრომატევად, ასევე მასალატევად დარგებს. მაგალითად, მანქანათმშენებლობა, მეტალურგიული და სათბობ-ენერგეტიკული მრეწველობა.

საწარმოო პროცესში გვხვდება საწარმოო ფაქტორთა შეერთების რამოდენიმე ვარიანტი. მაგალითად, ფირმას შეუძლია გამოიყენოს მეტი რაოდენობით შრომითი რესურსები, მარტივი და ძველი მოწყობილობების გამოყენებით ავტომობილების დასამზადებლად ან ნაკლები მუშახელის გამოყენებით და ძვირად ღირებული, მაღალი სირთულის კომპიუტერებით. იმისათვის, რომ ფირმამ მიიღოს მაღალი მოგება უნდა აირჩიოს ის ვარიანტი, რომლის დროს ავტომობილის თვითღირებულება იქნება მინიმალური პროდუქციის ნებისმიერი რაოდენობის დროს. განვიხილოთ, როგორ აღწევენ ამას ფირმები.

ნებისმიერი ფირმა იწყებს რა საქონლის წარმოებას უნდა იყოს კარგად ინფორმირებული თავისი პროდუქციის წარმოების ალტერნატიური მეთოდების შესახებ, მაშინაც კი როცა ეს პროდუქცია სრულიად მარტივია. მაგალითად, თუ იგი ყიდის ბაყაღეის საქონელს, უნდა იცოდეს რა ფართი უნდა გამოყოს სალაროს დახლისათვის, გამოფენისათვის, რამდენი თარო დასჭირდება გაციებით, რამდენი გაცივების გარეშე, რა სიხშირით უნდა შეიძინოს მწვანილი, ხილი, გამოიყენოს თუ არა რთული აპარატები საქონლის ფასების მარკირებისათვის, ხელით დააწეროს შეფუთულ საქონელს ფასები თუ აპარატის მეშვეობით და ა. შ.

ყველა ფირმა ცდილობს იყოს ეფექტიანი მწარმოებელი, ამისათვის ფირმამ უნდა გამოიყენოს წარმოების ორგანიზაციის ისეთი მეთოდები, რომელიც იქნება უფრო ეფექტიანი, როგორც ტექნოლოგიური, ისე ეკონომიკური თვალსაზრისით.

წარმოების მეთოდი ტექნოლოგიურად ეფექტიანად ითვლება თუ წარმოებული პროდუქციის მოცულობა მაქსიმალურად შესაძლებელია, რესურსების განსაზღვრული მოცულობის პირობებში.

5.3 ტექნიკა და ტექნოლოგია წარმოების პროცესში

წარმოების ერთ-ერთი განმსაზღვრელი ფაქტორია შრომა. ადამიანები წარმოების პროცესში ქმნიან ახალი პროდუქციის პროექტებს, მოდულებს და შემდეგ კი პროდუქციას. პროდუქციის წარმოებას ყოველთვის წინ უძღვის პროექტირება, კონსტრუირება და გამოცდა, მაგრამ ყველა აღნიშნული შეუძლებელია მეცნიერების გარეშე. ზემოთ თქმულიდან გამომდინარე მსხვილმასშტაბიანი წარმოება შეუძლებელია მეცნიერული კვლევის გარეშე.

როდესაც წარმოებას ვახასიათებთ ყურადღება უნდა მივაქციოთ არა მარტო პროდუქციის სახეობას და მის მოცულობას, არამედ ასევე წარმოების ტექნიკურ საშუალებებსა და ტექნოლოგიურ მეთოდებს, რომელზედაც დამოკიდებულია პროდუქციის ხარისხი, წარმოების დანახარჯები და შრომის მწარმოებლობა.

ტექნიკა და ტექნოლოგიური საშუალებები ეკონომიკაში — ეს არის წარმოებაში გამოყენებული მანქანები, მოწყობილობები, ხელსაწყოები, ინსტრუმენტები, რომელიც ხასიათებიან შემდეგი ტექნიკური მახასიათებლებით: წონა, გაბარიტები, სიჩქარე, წარმადობა, სათბობისა და ელექტრო ენერჯიის ხარჯი. ტექნოლოგიური საშუალებები ძირითადი ფონდების მნიშვნელოვანი ნაწილია და მიეკუთვნება წარმოების განმსაზღვრელ ფაქტორთა რიცხვს.

წარმოების ტექნოლოგია — ეს არის მზა პროდუქციის დამზადების პროცესში ნედლეულისა და მასალების დამუშავების მეთოდები. ტექნოლოგიურ პროცესებში გამოიყენება სხვადასხვა მეთოდები: მექანიკური, თერმული, ქიმიური, ელექტროქიმიური, შედულება, აწყობა. თანამედროვე ტექნოლოგიურ პროცესებში ფართოდ გამოიყენება კომპიუტერული ტექნიკა. 80-იან წლებიდან ფართოდ გამოიყენება ტერმინი „ახალი ტექნოლოგია“. მისი გული საში ელემენტისაგან შედგება: კომპიუტერები, კომუნიკაციები, ორგანიზაცია, როგორც (მართვის ელემენტი). თუ აღნიშნულს შევადარებთ ადამიანის ორგანიზმს კომპიუტერი ტვინია, კომუნიკაციები ნერვიული სისტემა, კონტროლი მოძრაობის ორგანოები.

ამ სისტემების ურთიერთქმედება უზრუნველყოფს სამრეწველო საწარმოს სიცოცხლის უნარიანობას. თანამედროვე მანქანები უზრუნველყოფენ ადამიანის მონაწილეობის გარეშე შეასრულონ რთული საწარმოო ოპერაციები. ადამიანი თანდათან გამოდის საწარმოო პროცესიდან და იღებს საწარმოო პროცესების მსვლელობაზე კონტროლის ფუნქციას (მონტაჟი, მართვა, მართვის პულტებთან მორიგეობა). ჩვენს დროში სამრეწველო საწარმოს ყველაზე პრესტიჟული სპეციალობებია: კონსტრუქტორები, გამმართველები, ტექნოლოგები და პროგრამისტები.

ტექნიკა და ტექნოლოგია მჭიდრო კავშირშია და ურთიერთ-განპირობებულია. ახალი ტექნოლოგია მოითხოვს ახალ მანქანადანადგარებს.


ახალი ტექნოლოგიის საფუძველია აღმოჩენები და გამოგონებები. ხშირად ახალი გამოგონებები, იდეები ძნელად იკვლევს გზას წარმოებაში. ასე მაგალითად: ქსეროქსის გამოგონებელს ჩესტერ კარლტონს დასჭირდა ნ წელზე მეტი, რომ დაეინტერესებინა კომპანია მისი წარმოებისათვის. მისი გამოშვება კი მხოლოდ 20 წლის შემდეგ დაიწყო. ტელეფაქსი გამოიგონეს 30 წელზე მეტი ხნის წინათ, მაგრამ იგი მასიურად გაერცელდა მხოლოდ 90-იან წლებში.

ყოველ ტექნიკურ სიახლისათვის დამახასიათებელია თავისი სასიცოცხლო ციკლი, დაწყებული იდეიდან დამთავრებული მისი წარმოებიდან გამოდევნამდე.

ვიდრე იდეა რეალობად იქცეოდეს მან უნდა გაიაროს გრძელი გზა. იდეა პირველყოვლისა გადის სამეცნიერო კვლევას, მისი ლაბორატორიული და ექსპერიმენტული შემოწმების მიზნით. ტექნიკური იდეა გადადის ახალი ტექნიკის ნიმუშის დაპროექტებაში და მისი ელემენტების კონსტრუირებაში. მუშავდება ტექნოლოგია, კონსტრუქციის საცდელი ნიმუში და ტექნოლოგია. ყველა ზემოთ აღნიშნული სამუშაოები ცნობილია სამეცნიერო-საკვლევ და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოების სახელწოდებით. შემდეგი სტადია ეს არის წარმოება დაწყებული ექსპერიმენტულ საცდელი წარმოებიდან, სერიულ და მასიურ წარმოებით დამთავრებული.

ახალი იდეა წარმოებიდან აძევებს მოძველებულს. ახალი პროდუქცია დროთა განმავლობაში ძველდება, მცირდება მისი წარმოების მოცულობა და ბოლოს საერთოდ წყდება. ძველი იდეის სასიცოცხლო ციკლი წყდება, ხოლო ახალი იწყება.

ამრიგად, ყოველი ახალი ტექნიკა გაივლის შემდეგ სტადიებს: „იდეა – მეცნიერული კვლევა – პროექტირება – ტექნიკური ათვისება – წარმოება – გამოყენება – დაძველება – გამოძევება“. საბოლოო ჯამში ერთი პროდუქცია ცვლის მეორეს და ეს პროცესი დროში უწყვეტია და ეწოდება პროდუქციის სასიცოცხლო ციკლი.



ნახ. 11 ტექნიკური სიახლის სიცოცხლის ციკლი.

პირველი (I) აღნიშნავს პროდუქციის ინოვაციას მის შემუშავებას და ბაზრისთვის მოწოდებას. მეორე (II) საწარმოო პროცესის ინოვაცია, მისი სრულყოფა და ბაზარზე მიწოდების მოცულობის ზრდა. მესამე (III) ბაზრის გაჯერება, პროდუქციის მორალურად მოძველება და მისი გამოშვების შემცირება. პუნქტირით ნაჩვენებია ახალი პროდუქციის დაბადება და ძველის შეცვლა.

თანამედროვე საბაზრო ეკონომიკის პირობებში, სადაც კონკურენცია ბაზრის და უფლებისათვის ბრძოლაში უმაღლეს რანგშია აყვანილი განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება პროდუქციის ხარისხს. პროდუქციის მაღალი ხარისხის უზრუნველყოფა და მისი შესაბამისობის მიღწევა ხარისხის სტანდარტებისა და მომხმარებლის მოთხოვნილებებისადმი დიდათაა დამოკიდებული ტექნიკურ-ტექნოლოგიურ პროგრესზე.

ის მწარმოებელი, რომელიც სათანადოდ ვერ აფასებს სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის მნიშვნელობას, პატივს არ სცემს ტექნიკისა და ტექნოლოგიის პროგრესს ადვილად შეიძლება დაკარგოს თავისი მომხმარებელი და ბაზარი. თუ ეკონომიკაში არ არის კონკურენცია მწარმოებელთა შორის. ნებისმიერი პროდუქტი ნახულობს გასაღებას და თითქმის დეფიციტურია. ამ შემთხვევაში ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიისადმი ინტერესი ეცემა და მართლაც რა საჭიროა ხარისხის ამაღლებისათვის ბრძოლა, დამატებითი დანახარჯები, როცა ბაზარზე ადვილად იყიდება ნებისმიერი ხარისხის პროდუქცია.

თანამედროვე წარმოება ახალ მოთხოვნებს უყენებს სამუშაო ძალას. განათლება, მაღალი პროფესიონალიზმი და კომპეტენტურობა იქცევა სტრატეგიულად მნიშვნელოვან ფაქტორად მწარმოებელთა შორის კონკურენტულ ბრძოლაში.

როცა ვეხებით სამეცნიერო-ტექნიკურ პროგრესს საჭიროა დავინახოთ მისი თანმდევი პრობლემებიც. ხარისხისათვის ბრძოლა მოითხოვს დიდ კაპიტალდაბანდებას—სამეცნიერო, საპროექტო, საკონსტრუქტორო, ტექნოლოგიურ ორგანიზაციებისათვის, საცდელი წარმოებისა და საგამოცდო ცენტრებისათვის. მაგრამ რაც მთავარია იგი ზოგჯერ უარყოფითად მოქმედებს გარემო პირობებზე. ამიტომ საჭიროა მნიშვნელოვანი კაპიტალდაბანდებები ბუნების ეკოლოგიური წონასწორობის აღსადგენად.

5.4 წარმოება და მოხმარება

როგორც ცნობილია წარმოება და მოხმარება ურთიერთ განპირობებული კატეგორიებია. მოხმარება სტიმულა აძლევს წარმოებას, მეორეს მხრივ, ქმნის რა ახალი სახეობის გაუმჯობესებულ პროდუქციას, აუმჯობესებს ადამიანის კულტურას და გემოვნებას.

წარმოების მოცულობა და მისი ნომენკლატურა დამოკიდებულია ბუნებრივ რესურსებზე და წარმოების შესაძლებლობაზე, მატერიალურ და შრომის რესურსებზე, საწარმოო სიმძლავრეზე, რომელთა რაოდენობა განსაზღვრული არიან. ხოლო ადამიანის მოთხოვნილება მუდმივად მზარდია. ბუნებრივი რესურსები, განსაკუთრებით კი განუმეორებადი რესურსების მარაგი სწრაფი ტემპით მცირდება, ხოლო მისი მარაგის აღდგენას მილიონობით წელი სჭირდება. ამიტომ რაც უფრო მეტი დრო გადის, მით უფრო მწვავედ დგება რესურსების პრობლემა. გარდა

ამისა რესურსების მოპოვება და ტრანსპორტირება სულ უფრო ძვირად ღირებულია. აქ ღებება საკითხი თუ როგორ დაეხმარება წარმოებისა და მოხმარების მოცულობა.

საჭიროა გავიხსენიოთ ერთი არსებული ჭეშმარიტება „არ შეიძლება მოვიხმაროთ მეტი, ვიდრე ვაწარმოებთ“. ქვეყნის მოსახლეობის მოთხოვნილება განისაზღვრება მის შიგნით წარმოებული პროდუქციის მოცულობით და ნომენკლატურით. რა თქმა უნდა არის შესაძლებლობა იმპორტული საქონლის შემოტანით მისი შევსების, მაგრამ ამისათვის უნდა გადავიხადოთ, რომ გადავიხადოთ საჭიროა ვაწარმოოთ მეტი და გავიტანოთ საზღვარგარეთ გასაყიდად. ე. ი. კვლავ ღებება წარმოების მოცულობის ზრდის მოთხოვნილება, რაც შეზღუდულია.

ასე, რომ მოსახლეობის მოთხოვნის მთავარი რეგულიატორია წარმოება. თუ გვინდა მეტი მოვიხმაროთ უნდა ვაწარმოოთ უფრო მეტი. როცა წარმოება მცირდება, შესაბამისად მცირდება მოხმარებაც. მეტი რესურსებისა და იმპორტის ზრდით პროდუქციის მოცულობის ზრდა ღრობითი ღონისძიებაა. გადამწყვეტი როლი ეკუთვნის ისევ წარმოებას.

ზოგიერთი ეკონომისტის აზრით საქონლის მოხმარება დამოკიდებულია მხოლოდ ფასებზე და მოსახლეობის შემოსავლებზე. რაც მეტია შემოსავლები და ხელფასები და დაბალია ფასები მით მეტია საქონლის მოხმარება. რა თქმა უნდა თუ ერთ ადამიანს აქვს დიდი შემოსავალი შეიძენს მეტ საქონელს, მაგრამ ვინაიდან საქონლის რაოდენობა განსაზღვრულია სხვა ადამიანები შეიძენენ ნაკლებს. საქონლის საერთო მოხმარება რჩება უცვლელი. შეიძლება დაისვას კითხვა, რატომ არ შეიძლება ამა თუ იმ გასაყიდი საქონლის მოცულობა ბაზარზე გავზარდოთ იმპორტის ხარჯზე? რა თქმა უნდა შეიძლება, მაგრამ ამისათვის აუცილებელია გავზარდოთ სხვა საქონლის წარმოება, რათა შესაბამისად გაიზარდოს მისი ექსპორტი, რომ დაბალანსდეს საგარეო ვაჭრობაში შემოსავლები და გასავლები, რომლის გარეშეც სახელმწიფოს არ შეუძლია არსებობა. ასე რომ მოხმარების გასაღები მაინც წარმოებაში ღებება.

თავისუფალ გაჯერებულ ბაზარზე საბაზრო ფასები აწონასწორებენ საქონელზე და მომსახურებაზე მოთხოვნასა და მოწოდებას, რის მეშვეობითაც მწარმოებელი და მომხმარებლები თანაბარ დამოკიდებულებაში არიან. თუ რომელიმე მწარმოებელი ვერ დააკმაყოფილებს მომხმარებელს, მაშინ იგი მიმართავს სხვა მწარმოებელს.

კონკურენციის პირობებში მომხმარებელი უკარნახებს თავის პირობებს მწარმოებელს. სახელმწიფო შემომუშავეებს სპეციალურ საკანონმდებლო აქტებს მომხმარებელთა დასაცავად, ასევე იქმნება მომხმარებელთა დაცვის საზოგადოებები, რომლებიც იცავენ მომხმარებლებს და ლებულობენ ღონისძიებებს არაკეთილსინდისიერ მწარმოებლისადმი.

თავის მხრივ მწარმოებლები ქმნიან მონოპოლისტურ გაერთიანებებს, იპყრობენ გასაღების ბაზარს, ახდენენ მომხმარებელზე ზეგავლენას, ხშირად არაკეთილსინდისიერი რეკლამის გამოყენებით, მაგრამ ეინაიდან საბაზრო ეკონომიკაში ბაზარი საკმაოდ გაჯერებულია საქონლით, მწარმოებელთა ზეგავლენა და მათ მიერ მომხმარებლის უფლებების შეზღუდვა საკმაოდ შეზღუდულია.

მწარმოებლისა და მომხმარებლის ურთიერთ დამოკიდებულება საერთოდ დამყარებულია ურთიერთ თანამშრომლობაზე. მწარმოებელი ცდილობს დააკმაყოფილოს მომხმარებლის მოთხოვნილება, რისთვისაც მომხმარებელი უხდის მას ფულს. ე. ი. მყარდება ურთიერთ სარგებლიანობის პრინციპი.

თანამედროვე ბიზნესის დამახასიათებელი ნიშნებია:

— პროდუქციის ხარისხობრივი პარამეტრების მრავალგვაროვნება, რომელიც ორიენტირებულია ინდივიდუალურ მყიდველის უშუალო მონაწილეობაზე მათ შექმნაში. ასე მაგალითად: იაპონელი მომხმარებელი მანქანის შესაძენად მიმართავს „ტოიოტას“ ან „ნისანის“ მაღაზიას, მაღაზიის კონსულტანტის მეშვეობით კომპიუტერზე „აწყობს“ თავის მომავალ მანქანას, ძრავით, საჯდომების ტიპით, ფერით და სხვა. შეკვეთას აგზავნის ქარხანაში, საიდანაც 1-2 კვირის შემდეგ ლებულობს მის მანქანას;

— ბაზრის მოთხოვნაზე სწრაფი რეაქცია;

— გამყიდველსა და მყიდველს შორის მჭიდრო კავშირი და მათ შორის მაღალი ინფორმაციული კონტაქტი;

— მოქნილი ფასწარმოქმნა;

— მასიური, უნიფიცირებული პროდუქციის ფართო ნომენკლატურის შეთავაზება.

ბაზარი გველინება, როგორც მწარმოებლისა და მომხმარებლის დამაკავშირებელი რგოლი. წარმოება შეთავაზებას, ხოლო მოხმარებას მოთხოვნილება. მათი ურთიერთ მოქმედებით დგინდება წარმოების (გაყიდვების) მოცულობა და ფასების ღონე.

5.5 წარმოება და ეკოლოგია

აღამიანის საწარმოო საქმიანობა გარკვეული ზომით ბუნების წინააღმდეგაა მიმართული. საწარმოო საქმიანობის შედეგად დღეისათვის ეკოლოგია ერთ-ერთ მწვავე პრობლემად გადაიქცა მსოფლიოში.

ბუნებისადმი მხეცური დამოკიდებულებით აღამიანმა დაარღვია ბიოსფეროს წონასწორობა. მრისხანე შედეგებით გვიანლოვდება ბუნებრივი რესურსების შემცირება, ჰაერის, წყლის, მიწის დაჭუჭყიანება, შეუძლებელი ხდება ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტების წარმოება, ირღვევა ატმოსფეროს ოზონური ფენა.

დღეს მსოფლიოს კაცობრიობა აღიარებს ბუნების დაცვის აუცილებლობას, რომ ეკოლოგიის გლობალური პრობლემების გადაჭრა შესაძლებელია მხოლოდ განვითარების პრობლემებისადმი პრინციპულად ახალი მიდგომით. აღამიანებისა და მთავრობების მიერ საყოველთაოდ აღიარებულია, რომ ჩვენს საერთო პლანეტაზე სიცოცხლის გადასარჩენად აუცილებელია ერთიანი სტრატეგიის შემუშავება. ეკოლოგიას და ეკონომიკას, რომელთაც ერთიანი ბერძნული წარმოშობის ფუძე აქვთ, ერთი საერთო მიზნები აქვთ და ისინი არ უნდა იყვნენ მოწინააღმდეგე-კონკურენტები.

იმისათვის, რომ აღუადგინოთ ბუნების წონასწორობა, საჭიროა რამდენჯერმე შევამციროთ ბიოსფეროს დატვირთვა. ამისათვის არსებობს ორი გზა: შევამციროთ მოსახლეობის რიცხოვნება ან აღამიანის მიერ პროდუქტების მოხმარება, რაც შეუძლებელია.

ცნობილია, რომ რესურსების მოხმარება ყოველ 20 წელიწადში ორმაგდება, ხოლო ბუნებრივი რესურსების უდიდესი ნაწილი განუმეორებადია და მათ აღდგენას მილიონობით წლები სჭირდება (გაზი, ნავთობი, ქვანახშირი, წიაღისეული მინერალები და ლითონები). ბუნების რესურსებისადმი ასეთი მიდგომით მოსალოდნელია მსოფლიო კატასტროფა, რასაც ზოგიერთი მეცნიერი გარდაუვალ აუცილებლობად თვლის. ისმება კითხვა არსებობს თუ არა გამოსავალი?

მსოფლიო მეცნიერებმა ამის საპასუხოდ შეიმუშავეს „მდგრადი განვითარების“ მოდელი, რომლის განხორციელებაც შეუძლებელია მხოლოდ სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის მეშვეობით. მარტო ტექნოლოგიური ან მარტო მთავრობის გადაწყვეტილებები საკმარისი არაა. „მდგრადი განვითარების“ მოდელს უნდა მიეცეს ფართო დატვირთვა.

კერძოდ, გარდა მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესისა და მთავრობათა გადაწყვეტილებებისა იგი უნდა მოიცავდეს ადამიანის შემოქმედების ყველა სფეროს. ადამიანის გადარჩენის სტრატეგიას უნდა ქონდეს ორი შემადგენელი: პირველი, ტექნიკური და ტექნილოგიური გადაიარაღება ბიოსფეროს დატვირთვის შესამცირებლად. მაგრამ უნარჩუნო, ენერგოდამზოვი, ბიო და სხვა პროგრესული ტექნოლოგიის დანერგვა საკმარისი არაა კრიზისის დასაძლევად. პლანეტაზე სიცოცხლის გადარჩენის სტრატეგია ეხება ადამიანის საქმიანობის ყველა მხარეს — ეკონომიკას, პოლიტიკას, კულტურას, ზნეობას, ქვეყანათშორის ურთიერთობას. ამიტომ მეორე შემადგენელი ეს არის ადამიანის შეგნებაში შესაბამისი ზნეობის განმტკიცება ე. ი. ადამიანის ქცევის ნორმებისა და პრინციპების განმტკიცება, მისი პასუხისმგებლობის ამაღლება პლანეტისა და ჩვენი საერთო ბედისათვის.

განვიხილოთ დაწვრილებით მდგრადი განვითარების სტრატეგიის ეკონომიკური მხარე. ამჟამად განვითარების ერთერთი პრობლემაა — მდიდარი ქვეყნების საგანგებოდ მაღალი მოხმარების დონე. კერძოდ, ამ ქვეყნებში ცხოვრობენ მსოფლიოს მოსახლეობის მეოთხედი და მოიხმარება მნიშვნელოვანი ბუნებრივი რესურსების სამი მეოთხედი. ეკოლოგიური კრიზისი შეიძლება შევარბილოთ რესურსების გადანაწილებით, მაგრამ ეს არ შეამცირებს მოხმარების დონეს.

ეკონომიკურ და ეკოლოგიურ ინტერესებს შორის კომპლიქტი მრავალწახნაგოვანია და შეიძლება დაძლეული იყოს მეწარმეთა, სახელმწიფოსა და საზოგადოების ერთობლივი ძალისხმევით.

ხანგრძლივი მდგრადი განვითარება რეალურია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეკონომიკური განვითარება უზრუნველყოფილ იქნება არა ბუნებრივი რესურსების სულ უფრო მეტი ოდენობით ხარჯვით, რაც ადრე თუ გვიან დამთავრდება, არამედ მათი ეფექტიანი გამოყენებით.

ერთი სიტყვით საჭიროა კაცობრიობამ უარი თქვას ექსტენსიურ განვითარებაზე და გადავიდეს ინტენსიურ განვითარებაზე. თუ რა ზიანი მოაქვს ექსტენსიურ განვითარებას შეიძლება მოვიტანოთ ზოგიერთი მაგალითი საქართველოს ეკონომიკიდან. როგორც გამოკვლევები გვიჩვენებს ჩვენი ქვეყნის კვების მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში გამოუყენებულა 2500 ათასი ტონა მეორადი ნედლეული, რომლისაგანაც შეიძლება დამზადდეს იმდენი ცხოველთა საკვები ცილები, რომლებიც მთლიანად მოხსნის მეცხოველეობისათვის საჭირო ცილოვანი საკვების

დეფიციტს და ყოველწლიურად უზრუნველყოფს საქართველოს მოსახლეობისათვის საჭირო რაოდენობის ხორცის წარმოებას.

დღეისათვის სოფლის მეურნეობის პროდუქტების გადამუშავების შედეგად ადამიანისათვის სასარგებლო პროდუქტების გამოსავლიანობა შეადგენს 60-65%. მაგალითად ყურძნის გადამუშავების დროს ნარჩენების რაოდენობა შეადგენს 62 პროცენტს. უნარჩენო ტექნოლოგიის გამოყენების შედეგად ჭაჭისაგან მიღებული პროდუქტების ღირებულება ორჯერ აღემატება ყურძნიდან მიღებული ღვინის ღირებულებას. ჭაჭისაგან მიიღება ისეთი ძვირფასი დეფიციტური პროდუქტები, როგორცაა ცხოველური ცილები, ამინომჟავები, საღებავები, ფერმენტები, ტანინი, ულკოპოლო სასმელები, სპირტი და სხვა. საკონსერვო წარმოებაში ნედლეულიდან ძირითადი პროდუქტების გამოსავლიანობა 70% არ აღემატება. ნარჩენებისაგან შესაძლებელია მივიღოთ, პექტინი, საკვები ცილები, ფქვილი საკონდიტრო წარმოებისათვის, ყელატინი და სხვა.

მანქანათმშენებლობაში და მეტალურგიაში რკინის მადნიდან საბოლოო პროდუქტის გამოსავლიანობა არ აღემატება 30% დანარჩენი 70% შეადგენს დანაკარგს, მადნიდან ლითონის მიღებისა და ამ უკანასკნელის მანქანათმშენებლობაში გამოყენების შედეგად. მანქანათმშენებლობაში მოქმედი ტექნოლოგიის გამოყენებით ლითონი მექანიკური დამუშავების პროცესში ბურბუშალის სახით ვკარგავთ 40-42%. უახლოესი ფუნქციონირება ტექნოლოგიის გამოყენებით კი ლითონის ბურბუშალისაგან შეიძლება მივიღოთ დეტალები და კონსტრუქციები, რომლებიც უფრო მტკიცე და ზუსტნი არიან არ საჭიროებენ ზედაპირის მექანიკურ დამუშავებას და მინიმუმამდე ამცირებენ ლითონის დანაკარგებს!

მეცნიერები კაცობრიობის კატასტროფის ერთ ერთ მიზეზად ენერგორესურსებს ასახელებენ. მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი ამ პრობლემის გადასაწყვეტად ენერჯის არატრადიციული რესურსების გამოყენებას გთავაზობს. მომავალში ეკოლოგიურად უვნებელი ენერჯის წყაროების გამოყენება ნაცვლად ეკოლოგიურად მავნე ენერჯის წყაროების გამოყენებისა საგრძობლად შეამცირებს ბუნების დატვირთვას. ქარის, მზის, ჰიდროენერჯის და ბიომასის, ვულკანური ამოფრქვევის, ატომური ენერჯის და სხვა უახლესი ტექნოლოგიების გამოყენება თავიდან ააცილებს კაცობრიობას ენერჯის კრიზისისა და ბუნების ეკოლოგიური კატასტროფისაგან.

მაგალითისათვის, თუ მსოფლიოს უდაბნოს ფართობის 2% დაეფარავთ ფოტოელემენტებით იმდენ ენერგიას მივიღებთ, რამდენსაც ამჟამად ვღებულობთ წიაღისეული სათბობისაგან. საჭიროა აუღდგენელი რესურსების სფეროში ერთიანი პოლიტიკის შემუშავება. დასაველეთის ქვეყნების მიერ თანამედროვე ხარჯვის პირობებში ყველა ლითონების მარაგი ალუმინის, რკინის, ქრომის გარდა 50 წლის შემდეგ მსოფლიოში ნოლის ტოლი იქნება. ცალკეული ლითონების ხარჯვა ამოღებული უნდა იქნას ბრუნვიდან, ხოლო დანარჩენი გამოყენებული უნდა იქნას დახშული ტექნოლოგიური ციკლით. ფართოდ უნდა იქნას გამოყენებული ძვირფასი ლითონების შემცველები. ასევე უარი უნდა ეთქვას პირველადი რესურსების გამოყენებაზე, ორიენტაცია უნდა გააკეთოს მეორადი რესურსების გამოყენებაზე და უნარჩუნო ტექნოლოგიაზე.

საჭირო იქნება გამოვიყენოთ დემოგრაფიული ფაქტორი, რიგ ქვეყნებში საჭიროა დაწესდეს დემოგრაფიული რეგლამენტაცია. რიგ რაიონებსა და ქვეყნებში უფრო მეტად გამოვიყენოთ აღდგენადი ნედლეული, მასალები, მომავალში რიგ მდიდარ ქვეყნებში, გონივრული იქნება აღუდგენადი რესურსების შეზღუდვა.

იმისათვის, რომ პირველ რიგში შემცირდეს და შემდგომში უზრუნველყოფილ იქნას მდგრადი ეკონომიკური განვითარება საჭიროა ხანგრძლივი მიზანდასახული ძალისხმევა სახელმწიფოსა და სახელმწიფოთაშორისო დონეზე. სხვა გამოსავალი კაცობრიობას არა აქვს.

განყოფილება II საწარმოს რესურსები

თავი VI საწარმოს ძირითადი ფონდები

6.1 ძირითადი ფონდების ეკონომიკური არსი კლასიფიკაცია და სტრუქტურა

მატერიალური წარმოების სფეროში მოქმედი წარმოების საშუალებათა ღირებულებით გამოხატულებას წარმოების ფონდები ეწოდება. დანიშნულების მიხედვით ძირითადი ფონდები იყოფა სამრეწველო და არასამრეწველო ფონდებად.

საწარმოო ფონდები (კაპიტალი) ფუნქციონირებენ მატერიალური წარმოების სფეროში და ფუნქციონირების ხასიათის მიხედვით, იყოფიან ძირითად და საბრუნავ ფონდებად.

ძირითადი ფონდები (ძირითადი კაპიტალი) ნატურალური ფორმით წარმოადგენენ შრომის იმ საშუალებებს, რომლებიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში მონაწილეობენ წარმოების პროცესში, ცვეთის შესაბამისად ნაწილ-ნაწილ გადააქვთ თავიანთი ღირებულება დამზადებული პროდუქციის ღირებულებაში რომელთა ღირებულება აღემატება 150 ლარს და წარმოების პროცესში მონაწილეობენ ორ წელზე მეტი ხნის განმავლობაში.

საბრუნავი ფონდები (საბრუნავი კაპიტალი) იმ შრომის საგნების ღირებულებითი გამოხატულებაა, რომლებიც წარმოებაში ერთი საწარმოო ციკლის განმავლობაში მთლიანად გამოიყენებიან და თავიანთი ღირებულება მთლიანად გადააქვთ დამზადებულ პროდუქციის დანახარჯებში. საბრუნავი ფონდები გვევლინება საწარმოო მარაგის, ნედლეულის, ძირითადი და დამხმარე მასალების, საწვავისა და შრომის სხვა საგნების, დაუმთავრებელი წარმოებისა და მომავალი პერიოდის ხარჯების სახით.

ძირითადი და საბრუნავი ფონდების ჯამი შეადგენს საწარმოს საწესდებო კაპიტალს.

• საბაზრო ეკონომიკის პირობებში წარმოების ძირითადი და საბრუნავი ფონდების ნაცვლად ვიყენებთ მულტივი და ცვლადი კაპიტალის ტერმინებს.

არასაწარმოო ფონდები არ წარმოადგენენ წარმოების საშუალებებს, ისინი უშუალოდ არ მონაწილეობენ პროდუქციის შექმნაში. მათ მიაკუთვნებენ: საწარმოს, ფირმის დაქვემდებარებაში შემავალ სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებს, საპროექტო და საკონსტრუქტორო ორგანიზაციებს, საცხოვრებელ სახლებს, პოლიკლინიკებსა და ამბულატორიებს, საბავშვო ბალებს, ბაგებს, კლუბებს, სანატორიუმებს, დასასვენებელ სახლებს და სხვა.

ძირითადი ფონდების შემადგენლობაში არ შედის და საბრუნავ საშუალებებს მიეკუთვნება:

ა) მოწყობილობანი და მანქანები, რომლებიც ითვლებიან მზა პროდუქციად და ირიცხებიან საწარმოს, მომარაგებელი და გამსაღებელი ორგანიზაციების საწყობებში;

ბ) მანქანები და მოწყობილობები, რომლებიც მონტაჟის პროცესშია, ან ექვემდებარება მონტაჟს, არის გზაში ან ირიცხება კაპიტალური მშენებლობის ბალანსზე.

ძირითადი ფონდების რაოდენობრივი და ხარისხობრივი ზრდა სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის ტემპების ზრდის აუცილებელი პირობაა. სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის ტემპებზე გაელენას ახდენს აგრეთვე ძირითადი ფონდების სტრუქტურული შემადგენლობა, ძირითადი და დამხმარე მოწყობილობის თანაფარდობა და სხვა მნიშვნელოვანი ფაქტორები.

წარმოების პროცესში ძირითადი ფონდები სხვადასხვა ფუნქციას ასრულებენ. მათი დანიშნულებისა და ფუნქციების მიხედვით ძირითადი ფონდების ტიპური კლასიფიკაცია შემდეგია სახით წარმოგვიდგება:

I. შენობები: საწარმოო და ადმინისტრაციულ-სამეურნეო დანიშნულებისა და მატერიალური ფასეულობის შესანახად. ამ ობიექტების ღირებულებაში გარდა საამშენებლო ნაწილის ღირებულებისა შედის გათბობის, განათების, წყალმომარაგებისა და ვენტილაციის სისტემების ღირებულება;

II. ნაგებობანი: საინჟინრო-სამშენებლო ობიექტები, რომელთა დანიშნულებაა წარმოების პროცესის ნორმალური მსვლელობისათვის აუცილებელი პირობების შექმნა და არ არის დაკავშირებული შრომის

საგნის შეცვლასთან (შახტები, ჭაბურღილები, საკვამლე მიღები, ბუნკერები, ესტაკადები, ხილები, რკინისგზის ხაზები, საავტომობილო გზები, გამწმენდი ნაგებობები და სხვ.);

III. გადაცემაში მოწყობილობები რომელთა საშუალებით წარმოებას მიეწოდება ელექტრო, თბო და მექანიკური ენერჯია მანქანა-ძრავებიდან მუშა მანქანებზე (გარდა ნავთობისა და გაზის მაგისტრალებისა.

IV. მანქანები და მოწყობილობები: მათ შორის:

ა) ძალოვანი მანქანები და მოწყობილობები: მანქანა-გენერატორები და მანქანა-ძრავები (ტურბინები, ელექტროძრავები, ელექტროგენერატორები, შიდაწვის ძრავები, ტრაქტორები, ძალოვანი ტრანსფორმატორები, ორთქლის ძრავები და სხვ.);

ბ) მუშა-მანქანები და ტექნოლოგიური მოწყობილობები, რომლებიც განკუთვნილია წარმოების პროცესში შრომის საგანზე მექანიკური, თერმული და ქიმიური ზემოქმედებისათვის (ლითონმჭრელი, ხის დამამუშავებელი, სამჭედლო-საწნეხი, სამსხმელო-ელექტრო შესადუღებელი მოწყობილობა, თერმული ღუმელები, ელექტროლიტური აბაზანები, კონვეიერები, ტრანსპორტიორები, ამწე-სატრანსპორტო მანქანები და სხვ.);

გ) საზომ-მარეგულირებელი ხელსაწყოები და ლაბორატორიული მოწყობილობები: ხელსაწყოები საწარმოო პროცესის როგორც ხელით, ისე ავტომატური რეგულირებისათვის (სისქის საზომი, დიამეტრის, ფართობის, წონის, წნევის, დენის ძალის და სხვა), ავტომატური მართვის პულტები, სადისპენჯერო კონტროლის მოწყობილობა და სიგნალიზაცია სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიის ხელსაწყოები და აპარატები და სხვ.;

დ) გამოთვლითი ტექნიკა, რომელიც განკუთვნილია მოცემული ალგორითმით მათემატიკური ამოცანების გადაწყვეტის პროცესის ავტომატიზაციის დასაჩქარებლად. ელექტრონული გამოთვლელი, მმართველი და ანალიტიკური მანქანები, ციფრულ-გამომთვლელი მანქანები და მოწყობილობები, კომპიუტერები;

ე) სხვა მანქანები და მოწყობილობები: ავტომატური სატილეფონო სადგურები, სახანძრო მანქანები და სხვა; სხვა

V. სატრანსპორტო საშუალებები: სარკინიგზო, წყლისა და საავტომობილო მოძრავი შემადგენლობანი – თბომაქლები. ელექტრო-

მავლები, ვაგონები, კატერები, ბარები, ავტომობილები, ტრაქტორები, ავტო და ელექტროკარები, ურიკები, აგრეთვე მაგისტრალური მილსადენები;

VI. ინსტრუმენტი: შრომის მექანიზებული და არამექანიზებული იარაღები, მჭრელი, დარტყმითი, წნევითი მოწყობილობები მასალების დასამუშავებლად;

VII. საწარმოო ინვენტარი და ხელსაწყოები: საგნები, რომელთა დანიშნულებაა საწარმოო პროცესის შემსუბუქება;

VIII. სამეურნეო ინვენტარი: აღმინისტრაციის სამეურნეო საქმიანობის ინვენტარი (საწერი მანქანები, გასამრავლებელი და საანგარიშო მანქანები, სახანძრო ინვენტარი და სხვა);

IX. სხვადასხვა ძირითადი ფონდები: ბიბლიოთეკის ფონდები, მუზეუმის ფასეულობანი და სხვა ობიექტები, რომლებიც არ შედიან წინა ჯგუფში.

აღრიცხვის გასამარტივებლად ძირითად ფონდებში არ შეაქვთ და საბრუნავ ფონდებს მიაკუთვნებენ შრომის შემდეგ საშუალებებს:

ა) სწრაფცვლადი საგნები, რომლებიც წარმოების პროცესში მონაწილეობენ მათი ღირებულების მიუხედავად, არა უმეტეს ერთი წლისა; ბ) საგნები, რომელთა ღირებულება 150 ლარზე ნაკლებია საბაზრო ფასებით (მათი გამოყენების ვადის მიუხედავად); გ) წარმოების ლაბორატორიისათვის შეძენილი ხელსაწყოები, ავტომატიზაციის საშუალებები, დ) სპეციალური ინსტრუმენტები და მოწყობილობები გარკვეული საგნებისა და ინდივიდუალური შეკვეთების დასამზადებლად მათი ღირებულების მიუხედავად, ე) სპეცტანსაკმელო და ფეხსაკმელო ღირებულებისა და ცვეთის ვადის მიუხედავად.

ძირითადი ფონდების ზემოთ ჩამოთვლილი ცხრა ჯგუფის გარდა, სახალხო აღრიცხვა აგრეთვე მუშა და პროდუქტიული საქონელი, მრავალწლიანი ნარგავები, მიწების გაუმჯობესებაზე გამოყოფილი კაპიტალდაბანდებანი და სხვა ძირითადი ფონდები.

ძირითადი ფონდების სამრეწველო სტრუქტურაზე მოქმედებს მისი დარგობრივი სტრუქტურის ცვლილება, მაგალითად, ელექტროენერგეტიკის განვითარების შედარებით მაღალი ტემპი იწვევს ძირითადი ფონდების ზრდას.. ეს უკანასკნელი კი იწვევს გადამცემი მოწყობილობების ხვედრითი

წილის ზრდას, რასაც ანალოგიური ცვლილებები მოჰყვება მრეწველობის სხვა დარგების განვითარებაში.

მანქანებისა და მოწყობილობების ხვედრითი წილის ზრდა და შენობების წილის შემცირება სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის ობიექტური მოვლენაა.

ძირითადი ფონდების სახეობით სტრუქტურაზე გავლენას ახდენს დარგობრივი სტრუქტურის ცვლილება. მრეწველობის განვითარების ტემპებთან შედარებით ელექტროენერგეტიკის განვითარების მაღალი ტემპი და შესაბამისად, მისი ძირითადი ფონდების მოცულობის ზრდა იწვევს გადამცემი მოწყობილობის ხვედრითი წილის ზრდას მრეწველობაში.

მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის პერიოდში მუშა მანქანებისა და მოწყობილობების ხვედრითი წილის ზრდა ძირითადი ფონდების საერთო ღირებულებაში და შესაბამისად, შენობა-ნაგებობათა ხვედრითი წილის შემცირება მანქანური წარმოების განვითარების ობიექტური უცილებლობაა. ამ პროცესის დაჩქარების ძირითადი მიმართულებაა კომპლექსური აბტომატიზაცია და მექანიზაცია, რომლის შედეგადაც მცირდება ერთეულ პროდუქციაზე საწარმოო ფართის მოთხოვნა. მანქანათმშენებლობის საწარმოო პროცესების ავტომატიზაციისა და მექანიზაციის აუცილებელი პირობაა მოწყობილობის სიმძლავრის ზრდა, მანქანების გაბარიტებისა და წონის შემცირება, სპეციალიზაციისა და კოოპერირების განვითარება; მოქმედი და მშენებარე შენობების მოცულობათა და ფართის უკეთ გამოყენება, შენობა-ნაგებობათა მშენებლობის ღირებულების შემცირება.

საქართველოში ძირითადი ფონდების სტრუქტურისა და მისი გამოყენების ძირითადი მაჩვენებლები მოტანილია ცხრილში 6.1.

საქართველოს მანქანათმშენებლობის დარგების ძირითადი ფონდების
სამრეწველო სტრუქტურა

მანქანათმშენებლობის დარგები	შენობები	ნაგებობა და გაღმევი მოწყობილობები	ძალის მანქანები და მოწყობილობები	მუშა მანქანა და მოწყობილობა	საზომ-საკონტროლო ხელსაწყოები და სატრანსპორტო საშუალებები	სხვა ძირითადი ფონდები
მძივე მანქანათმშენებლობა	34,8	11,4	4,2	43	1,5/1,8	3,3
ელექტროტექნიკური მრეწველობა	42,6	9,2	4,0	35,9	4,9/0,6	2,8
რადიოტექნიკური მრეწველობა	42,1	5,1	4,2	33,2	10/2,4	3,0
გემთმშენებლობა	35,5	33,7	3,8	20,6	0,6/4,4	1,4
საშუალოდ ქარხნების ჯგუფების მიხედვით	39,9	14,2	4,1	34,5	3,0/1,9	2,4

6.2 ძირითადი ფონდების შეფასება და აღრიცხვა

წარმოების პროცესში ძირითადი ფონდები გვევლინება ნატურალური და ფულადი ფორმით. შრომის საშუალების აღრიცხვა ნატურალური მაჩვენებლებით აუცილებელია ფონდების ტექნიკური შედგენილობისა და დარგის საწარმოო სიმძლავრის განსაზღვრისათვის, მოწყობილობის ბალანსის შედგენისა და მისი ტექნიკური სრულყოფის დაგეგმვისათვის.

ძირითადი ფონდების შეფასება წარმოებს თავდაპირველი ღირებულებით, აღდგენითი ღირებულებით და თავდაპირველი ან აღდგენითი ღირებულებით ცვეთის გათვალისწინებით. ძირითადი ფონდების თავდაპირველი ღირებულებით შეფასებისას ითვალისწინებენ ფაქტობრივ დანახარჯებს, რომელიც საჭიროა ძირითადი ფონდების შექმნის ან შეძენის მომენტში (მათი ტრანსპორტირებისა და მონტაჟის ჩათვლით). ამ დანახარჯების ანგარიში წარმოებს იმ წლის ფასებში, როდესაც ისინი შეიქმნა ან შეებნენ იქნა. ძირითადი ფონდები პირვანდელი ღირებულებით

იანგარიშება ბუღალტრულ ბალანსში მათი ექსპლოატაციაში შეყვანის მომენტიდან.

საზოგადოებრივი შრომის მწარმოებლურობის განუზრეულ ამაღლებას მოსდევს ძირითადი ფონდების აღდგენაზე მოქმედი ელემენტების ფასების ცვლილება, რაც არ იძლევა საშუალებას ძირითადი ფონდების გამოყენების ღირებულებისა და ეფექტიანობის განსაზღვრისათვის გვექონდეს თანხედენილი მონაცემები, სწორედ ამიტომ აუცილებელია ძირითადი ფონდების პერიოდული გადაფასება.

ცხრილი 6.2

საქართველოს მრეწველობის ძირითადი ფონდების სტრუქტურა

	1989წ.	1996წ.	2000წ.	2005წ.
სულ მრეწველობა:	100	100	100	100
მ.შ. შიშვე მრეწველობა				
სათბობენერგეტიკული კომპლექსი				
ელექტროენერგეტიკა	23,2	24,1	19,1	16,0
სათბობის მრეწველობა	4,2	3,1	3,8	4,5
სამთო-შეტალურგიული მრეწველობა	10,4	9,7	10,8	10,3
მანქანათმშენებლობის კომპლექსი	17,3	7,9	9,2	10,0
ქიმიური და ნავთობ-ქიმიური მრეწველობა	10,6	5,8	7,4	8,3
ხეტიკა და ხის დამამუშავებელი მრეწველობა	2,8	0,8	1,4	2,4
სამშენებლო მასალების მრეწველობა	6,2	2,3	2,6	4,5
მსუბუქი მრეწველობა	6,7	2,2	2,7	4,2
კვების მრეწველობა	15,8	35,7	35,2	31,4
მრეწველობის სხვა დარგები	2,8	8,4	7,8	8,4

საზოგადოებრივი შრომის მწარმოებლურობის განუზრეულ ამაღლებას იწვევს ძირითადი ფონდების აღდგენაზე მოქმედი ფასების ცვლილება, რაც არ იძლევა საშუალებას ძირითადი ფონდების გამოყენების ღირებულებისა და ეფექტიანობის განსაზღვრისათვის შესადარი მონაცემები. სწორედ ამიტომ აუცილებელია ძირითადი ფონდების პერიოდული გადაფასება.

) ძირითადი ფონდების აღდგენითი ღირებულებით შეფასებისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს ძირითადი ფონდების კვლავწარმოების ღირე-

❖ ცხრილი შედგენილია საქართველოს ინფორმაციისა და სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემების გამოყენებით.

ბულება ახალ პირობებში მისი გადაფასების მომენტისათვის. გადაფასება წარმოებს პერიოდულად დაახლოებით 10-15 წელიწადში ერთჯერ. 1960-1997 წლებში 4-ჯერ მოხდა ძირითადი ფონდების გადაფასება, 1963, 1972, 1981 და 1997 წლებში. ძირითადი ფონდების უკანასკნელი გადაფასება მოხდა 1997 წლის 1 ივლისის მდგომარეობით.

მოწყობილობის აღდგენითი ღირებულება Φ იანგარიშებოდა/მათი მაჩვენებლების შედარებით გადაფასების მომენტში წარმოებული მოწყობილობის საქსპლოატაციო მახასიათებლებთან შემდეგი ფორმულით:

$$\Phi = \Phi \cdot \frac{B}{B_0} \cdot \frac{N_y}{N_y} \cdot \frac{S}{S_0}$$

სადაც; B მწარმოებლურობაა ძველი და ახალი ტექნიკის;
 N_y - სიმძლავრე;

γ - საწვავის ხვედრითი ხარჯი, S- ექსპლუატაციის ხარჯები;
 ა და ძ აღნიშნავენ ახალ და მოძველებულ მოწყობილობას.

როგორც თავდაპირველი, ასევე აღდგენითი ღირებულების მიხედვით შეფასება წარმოებს ძირითადი ფონდების ცვეთის გათვალისწინებით - ნარჩენი ღირებულებით Φ_6 , იგი განსაზღვრავს ძირითადი ფონდების იმ ღირებულებას, რომელიც ფაქტიურად გააჩნია მოწყობილობას განხილული მომენტისათვის და იანგარიშება ფორმულით:

$$\Phi_6 = \Phi_3 - \Phi_3 \cdot A_n \cdot T / 100,$$

სადაც, Φ_3 არის თავდაპირველი ან აღდგენითი ღირებულება (ლარებში);

A_n - ამორტიზაციის ნორმა რენოვაციაზე წელიწადში (%);

T - ძირითადი ფონდების ფაქტიური სამსახურის დრო (წელი).

ძირითადი ფონდების შეფასებისას მისი ნარჩენი ღირებულება განისაზღვრება, ფაქტიური ცვეთის გათვალისწინებით ახალი ან აღდგენითი ღირებულებით.

განასხვავებენ ძირითადი ფონდების ღირებულებას წლის დასაწყისისათვის (1 იანვრისათვის) და საშუალო წლიურს.

ნარჩენი ღირებულება - ეს არის ძირითადი ფონდების ღირებულება ცვეთის გამოკლებით, რომლის თანხა იანგარიშება ძირითადი ფონდების სამსახურის მთელ პერიოდში ამორტიზაციის ანარიცხების სიდიდით.

ძირითადი ფონდების საშუალო წლიური ღირებულება - წლის დასაწყისში ძირითადი ფონდების პირველად ღირებულებას (საბალანსო)

დამატებული ექსპლუატაციაში შესული საშუალო წლიური ღირებულება და გამოკლებული ექსპლუატაციიდან გამოსული ძირითადი ფონდების საშუალო წლიური ღირებულება.

$$\Phi_{\text{სა}} = \Phi_{\text{კლ}} + \frac{\Phi_{\text{ნა}} \cdot n}{12} - \frac{\Phi_{\text{ლ}} \cdot n}{12}$$

სადაც: $\Phi_{\text{სა}}$ - ძირითადი ფონდების საშუალო წლიური ღირებულება;

$\Phi_{\text{კლ}}$ - ძირითადი ფონდების პირველადი (საბალანსო) ღირებულებაა წლის დასაწყისში;

$\Phi_{\text{ნა}}$ - ექსპლუატაციაში შესული ძირითადი ფონდების ღირებულება;

$\Phi_{\text{ლ}}$ - ექსპლუატაციიდან გამოსული (ლიკვიდებული) ძირითადი ფონდების ღირებულება ლარებში;

n - ექსპლუატაციის შესვლის ან გამოსვლის დროიდან წლის ბოლომდე დარჩენილ თვეთა რიცხვი.

მაგალითი: 54 ათასი ლარის ღირებულების ჩარხი შევიდა ექსპლუატაციაში 1 ოქტომბერს. ამავე დროს 1 ოქტომბერს ჩამოიწერა და წარმოებიდან მოიხსნა 3,6 ათასი ლარის ღირებულების ჩარხი, ძირითადი ფონდების ღირებულება წლის დასაწყისში შეადგენდა 185,6 ათას ლარს.

ძირითადი ფონდების საშუალო წლიური ღირებულება იქნება:

$$\Phi_{\text{სა}} = 185,6 + \frac{54 \cdot 3}{12} - \frac{3,6 \cdot 3}{12} = 198,2 \text{ ათას ლარს.}$$

6.3 ძირითადი ფონდების ცვეთა და ამორტიზაცია

ფიზიკური ცვეთის დროს ძირითადი ფონდები კარგავენ თავის სახმარ ღირებულებას შრომის პროცესისა და ბუნების ძალების ზემოქმედებით, ასევე მათი გამოყენებლობით უარესდება ტექნიკურ-ეკონომიკური და სოციალური მახასიათებლები.

ფიზიკურ ცვეთას აჩქარებს ძირითადი ფონდების დატვირთვის ინტენსივობა, მათი გამოყენების გარემო, აგრესიული ნივთიერებები, წნევები, ტემპერატურა და პროფილაქტიკური მომსახურების დაბალი ხარისხი. ცვეთა ასევე დამოკიდებულია ძირითადი ფონდების ხარისხზე, ცვეთისადმი გამძლეობაზე, სიმტკიცეზე. ამორტიზირებული ძირითადი ფონდები

ამცირებენ წარმოებული მზა პროდუქციის ხარისხს. აღიღებენ რემონტზე დანახარჯებს, ხშირია მოცდენები და დაბალია მათზე მომუშავე პერსონალის შრომის მწარმოებლურობა.

პრაქტიკაში ზოგჯერ იმდენად ღიღია მოძველებულ მანქანა-მოწყობილობათა რემონტზე დანახარჯები, რომ უფრო ეფექტიანია რემონტის ნაცვლად ახალი ტექნიკის შეძენა. საბაზრო ეკონომიკა მწვავედ აყენებს წარმოების ტექნიკური გადაიარაღებისა და ახალი ტექნოლოგიის დანერგვის საკითხს, რომელიც კმნის კონკურენტუნარიან პროდუქციის წარმოებისათვის უკეთეს პირობებს, რაც წარმოების მოცულობისა და ეფექტიანობის ამაღლების გარანტიას.

მორალური ცვეთა — მორალური ცვეთა დამოკიდებულია არაა ძირითადი ფონდების დატვირთვაზე და ბუნებრივ ზემოქმედებაზე. ამ დროს ძირითადი ფონდები, რომლებიც ფიზიკურად ვარგისი არიან მათი გამოყენება არაეფექტიანია.

მორალური ცვეთა ორი სახისაა. პირველი როცა ფიზიკური მდგომარეობის მიუხედავად ახალ პირობებში მათი დამზადება უფრო იაფია. სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის შედეგად, მცირდება ასეთი მანქანების დამზადების დროის დანახარჯები და აქედან გამომდინარე მათი ღირებულება.

პირველი სახის მორალური ცვეთა დამოკიდებული არაა მოწყობილობის მუშაობის დროის ხანგრძლივობაზე, ფიზიკური დატვირთვის ხარისხზე, არამედ დამოკიდებულია სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის ტემპებზე, რომელიც ახალი მანქანების მწარმოებელ დარგებში შრომის მწარმოებლურობის ზრდა იწვევს პროდუქციის დამზადების ღირებულების შემცირებას.

პირველი სახის მორალური ცვეთის დროს ძირითადი ფონდების სახმარი ღირებულება არ იცვლება. ახალი მანქანები ძველის ანალოგიურია. არ არის არავითარი კონსტრუქციული ცვლილებები. მანქანების ტექნიკური მახასიათებლები უცვლელია, იცვლება მხოლოდ ძირითადი ფონდების ღირებულება.

მეორე სახის მორალური ცვეთა ეს არის მოქმედებაში მყოფი ძირითადი ფონდების სამსახურის ვადის შემცირება და წარმოებიდან მოხსნა არა იმის გამო, რომ მათი წარმადობა და სიმძლავრე შემცირდა, არამედ იმის გამო, რომ ძველი მანქანების გამოყენება ახალთან შედარებით

იწვევს წარმოების დიდ დანასარჯებს. ამიტომ საჭირო ხდება ძველი მანქანების ახლით შეცვლა.

ფიზიკური ცვეთა - განისაზღვრება ძირითადი ფონდების საშა-
ხურის ვალით:

$$I_{\text{ფი}} = \frac{T_{\text{ფაქ}}}{T_{\text{ნორ}}} \times 100\%,$$

სადაც $T_{\text{ფაქ}}$ - ფაქტობრივი საშახურის ვადაა (წლებში);

$T_{\text{ნორ}}$ - ნორმატიული საშახურის ვადაა (წლებში).

უფრო ზუსტად ცვეთას განსაზღვრავენ ფაქტობრივი ტექნიკური მდგომარეობით, რასაც ხშირად ექსპერტული შეფასებით აღგენენ.

ძირველი სახის მორალური ცვეთა განისაზღვრება საბალანსო ღირებულებასა და აღდგენით ღირებულებას შორის სხვაობის შეფარდებით საბალანსო ღირებულებასთან გამრავლებული 100-ზე:

$$I_{\text{მ(ა)}} = \frac{\Phi_{\text{გ}} - \Phi_{\text{აღ}}}{\Phi_{\text{გ}}} \times 100\%,$$

სადაც: $\Phi_{\text{გ}}$ - საბალანსო ღირებულებაა (ლარებში);

$\Phi_{\text{აღ}}$ - აღდგენითი ღირებულებაა (ლარებში).

მეორე სახის მორალური ცვეთა უფრო მეტად განისაზღვრება მოწყობილობის მწარმოებლურობის შეფარდების მეშვეობით:

$$I_{\text{ს(ი2)}} = \frac{\Pi_2 - \Pi_1}{\Pi_2} \times 100\%,$$

სადაც: Π_1 - მოქმედი ძირითადი ფონდების მწარმოებლობა;

Π_2 - ახალი ძირითადი ფონდების მწარმოებლურობაა.

ასეთი მეთოდით მეორე სახის მორალური ცვეთის უარყოფითია ის, რომ იგი არ ითვალისწინებს ახალი მოწყობილობის გამოყენებით ნედლეულის, მასალებისა და სამუშაო ძალის ეკონომიას. ამიტომ უმჯობესია გამოვიყენოთ შემდეგი ფორმულა:

$$I_{\text{ს(ი2)}} = \frac{I_{\text{G2}} - I_{\text{G1}}}{I_{\text{G2}}} \times 100\%,$$

სადაც: $I_{G,1}$ - მოქმედი ძირითადი ფონდების გამოყენებით დამზადებული პროდუქციის დანახარჯებია (ლარ.);

$I_{G,2}$ - ახალი ძირითადი ფონდების გამოყენებით დამზადებული პროდუქციის დანახარჯებია (ლარ.).

ამორტიზაცია ნიშნავს ცვეთის ფულად ანაზღაურებას ძირითადი ფონდების ამორტიზებული ნაწილის აღდგენის მიზნით. ამორტიზაციის პროცესში ძირითადი ფონდები თავისი სამსახურის პერიოდში გაცვეთილი ნაწილის ღირებულებას გადაიტანენ დამზადებულ პროდუქციაზე, რომელიც შემდგომ გამოიყენება მოხმარებული ძირითადი ფონდების აღდგენისათვის.

მზა პროდუქციის ღირებულებაში გადატანილი ძირითადი ფონდების ღირებულების ნაწილი ტოვებს წარმოების სფეროს და გადადის მიმოქცევის სფეროში.

პროდუქციის რეალიზაციის შედეგად ფულადი თანხის ნაწილი, რომელიც შეესაბამება ამორტიზაციის წილს, გროვდება წარმოებაში ამორტიზაციის ფონდის სახით. მანამდე სანამ ძირითადი ფონდები მთლიანად არ გადაიტანენ თავის ღირებულებას პროდუქციაზე, დგება მომენტი როდესაც ძირითადი ფონდის ღირებულება გაუტოლდება ნულს, ხოლო ამორტიზაციის დაგროვილი თანხა გაუთანაბრდება გაცვეთილი ძირითადი ფონდის თავდაპირველ ღირებულებას.

ამორტიზაციის თანხა გამოიყენება ახალი მანქანების შესაძენად, ძველის ნაცვლად, წარმოების რეკონსტრუქციისა და გადაიარაღებისათვის, კაპიტალური რემონტისათვის და სხვა. რაც მეტია ძირითადი ფონდების თავდაპირველ ღირებულება, მით მეტია ამორტიზაციის დაგროვილი თანხა. ამორტიზაცია თანხის ბრუნვა დამოკიდებულია ძირითადი ფონდების მომსახურების ვადაზე. (შენობა ნაგებობათა სამსახურის ვადა 30-50 წელია, ხოლო მანქანა დანადგარების 3-5 წლიდან 8-10 წლამდე. საშუალოდ ამორტიზაციის ხვედრი წილი პროდუქციის თვითღირებულებაში შეადგენს მანქანათმშენებლობაში 25%, კვების მრეწველობაში - 5%, მსუბუქ მრეწველობაში 3,5%.>

საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლასთან დაკავშირებით საქართველოს მრეწველობის ძირითადი ფონდები საჭიროებს თითქმის 60%-ით განახლებას. მოწყობილობის უმეტესი ნაწილი მორალურად და ფიზიკურად ამორტიზირებულია, ხოლო შენობა ნაგებობანი მოითხოვს მთლიანად რეკონსტრუქციას და აღდგენას. თუ ამასაც დაუმატებთ საბაზრო მოთ-

ზონებს საწარმოთა პროფილის შეცვლისა და გამოშვებული პროდუქციის ნომენკლატურის განახლების მხრივ, უნდა ვივარაუდოთ, რომ მრეწველობის შემდგომი ფუნქციონირებისათვის საჭიროა მნიშვნელოვანი კაპიტალდაბანდება. ასეთი ოდენობის კაპიტალდაბანდების გამლები მწარმეები ჩვენი ქვეყნის შიგნით თითქმის არ გეყვანან, ამიტომ საჭიროა უცხოური ინვესტიციების დაბანდება და მათთვის შესაბამისი პირობების შექმნა. თუმცა მეორეს მხრივ უცხოური ინვესტიციების დაბანდება დაკავშირებულია მომავალში ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის დაკაბალეხასთან. ამ პირობებში კაპიტალის დიდი ნაწილი, რომელიც ჩვენი ქვეყნის რესურსების გამოყენებით შეიქმნა გარეთ გაედინება.

პრაქტიკაში ამორტიზაციის აღრიცხვა ხდება ამორტიზაციის ანარიცხების სახით, ანუ ამორტიზაციის ფულადი გამოხატულებით. ამორტიზაციის ანარიცხები შედის პროდუქციის დანახარჯებში და განისაზღვრება ამორტიზაციის ნორმით თავდაპირველი ღირებულებიდან მისი სამსახურის ვადის გათვალისწინებით. >

ამორტიზაციის ნორმა გაიანგარიშება ფორმულით:

$$H = \frac{\Phi_{\text{კ(ბ)}} - \Phi_{\text{ლკ}}}{\Phi_{\text{კ(ბ)}} \times T_{\text{გ}}} \times 100\%, \quad \downarrow$$

სადაც H - ამორტიზაციის წლიური ნორმაა (%);

$\Phi_{\text{კ(ბ)}}$ - ძირითადი ფონდების თავდაპირველი (საბალანსო) ღირებულება (ლარ-ში);

$\Phi_{\text{ლკ}}$ - სალიკვიდო ღირებულება;

$T_{\text{გ}}$ - ექსპლუატაციის ვადა (წლები).

ამორტიზაციის ნორმა ეს არის ძირითადი ფონდების დაფარვის წლიური პროცენტი. ამორტიზაციის ნორმა გამრავლებული ძირითადი ფონდების თავდაპირველ ღირებულებაზე, გაყოფილი 100-ზე გეძლევეს ამორტიზაციის წლიურ თანხას.

$$A_{\text{გ}} = \frac{H_{\text{გ}} \times \Phi_{\text{კ(ბ)}}}{100}$$

ამორტიზაციის ნორმები შეიძლება იყოს გაზრდილი ან შემცირებული წარმოების ტექნიკური თავისებურებების, მოწყობილობის მუშაობის რეჟიმი

და ცვლიანობის, დატვირთვის ხარისხისა და შესრულებული სამუშაოს ფიზიკური მოცულობის, შინაგანი გარემო პირობების, გეოლოგიური და გეოგრაფიული მდებარეობის მიხედვით.

თუ ამორტიზაციის ნორმა სეზონური საწარმოების მოწყობილობისათვის დადგენილია 3 ცვლიანი რეჟიმის პირობებში, მაშინ 2 ცვლიანი რეჟიმით მუშაობის დროს ამორტიზაციის კოეფიციენტი შესაბამისად უნდა შემცირდეს და პირიქით, თუ მუშაობის რეჟიმი გათვალისწინებულია 2 ცვლად და ფაქტობრივად მოწყობილობა მუშაობს სამ ცვლად, მაშინ ამორტიზაციის კოეფიციენტი შესაბამისად უნდა გაიზარდოს.

ამორტიზაციის კოეფიციენტი ეკონომიკურად დასაბუთებული უნდა იყოს და შეესაბამებოდეს მოწყობილობის ფაქტიურ ღირებულებას და ტექნიკურ მდგომარეობას.

წარმოებას შეუძლია გამოიყენოს დაჩქარებული ამორტიზაციის მეთოდი იმ შემთხვევაში, თუ ეს პროდუქტია ცვლის გაცვეთილ და მორალურად მოძველებულ ტექნიკას.

ფიზიკური ცვეთის დროს ამორტიზაციის დარიცხვა ხდება თანაბრად ძირითადი ფონდის საშსახურის მთელი პერიოდის განმავლობაში. საბაზრო ეკონომიკა, ბაზარზე კონკურენცია მოითხოვს წარმოებისაგან მაღალი ხარისხის პროდუქტის, რაც დაკავშირებულია ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიის დანერგვასთან. აღნიშნული პროცესი აჩქარებს მორალურ ცვეთას, ამიტომ საჭირო ხდება წარმოებისათვის საწყისში უფრო მეტი სახსრები ამორტიზებული ტექნიკის შესაცვლელად. ამისათვის იყენებენ დაჩქარებულ ამორტიზაციას, პირველ სამ წელში გამოიყენება ამორტიზაციის მაღალი ნორმები, რაც საშუალებას იძლევა თვითღირებულებაზე გადავიტანოთ თავდაპირველი ღირებულების 2/3. დანარჩენი ამორტიზაციის თანხა დაირიცხება თანაბრად ამორტიზაციის ნორმებით საამორტიზაციო პერიოდში.

ამჟამად ფართოდ გამოიყენება არათანაბარი ამორტიზაცია, რომლის დროსაც ახალი მოწყობილობის ღირებულება მთლიანად გადიტანება წარმოების დანახარებებში ექსპლუატაციის პირველ წლებში. მაგალითად პირველ წელს - 50%, მეორე წელს - 30%, მესამე წელს - 20%. აღნიშნული საშუალებას აძლევს წარმოებას სწრაფად გამოიხვედოს გაღებული ხარჯები და წარმართოს იგი მოწყობილობის პარკის განახლებისათვის.

სამრეწველო საწარმოები თავისი სურვილისამებრ იყენებენ ამორტიზაციის ანარიცხებს, წარმოების გაფართოების, ტექნიკისა და მეცნიერების განვითარების ან ტექნიკური გადაიარაღების მიზნებისათვის.

ამორტიზაციის დაჩქარებული მეთოდი არ გამოიყენება შემდეგი სახის მანქანებზე, მოწყობილობებზე და ხატრანსპორტო საშუალებებზე:

- მანქანები, მოწყობილობები და სატრანსპორტო საშუალებები, რომელთა სამსახურის ნორმატიული ვადა შეადგენს 3 წლამდე;

- თვითმფრინავებების პარკისათვის, რომელთა სამსახურის ნორმატიული ვადა განისაზღვრება თვითმფრინავებისა და მუქულმფრენების მუშაობის საათებით;

- საავტომობილო ტრანსპორტის მოძრავი შემადგენლობა, რომელზედაც ამორტიზაცია დაირიცხება ნორმებით %-ში მანქანის ღირებულებიდან 1000კმ ფაქტიურ გარბენაზე.

მცირე საწარმოებისათვის წესდება ამორტიზაციის დარიცხვის შეღავათიანი პირობები, მათ შეუძლიათ ექსპლუატაციის პირველ წელს დაარიცხონ ამორტიზაციის 50% თავდაპირველი (საბალანსო) ღირებულებიდან. მცირე წარმოებებს უფლება აქვთ გამოიყენონ დაჩქარებული ამორტიზაციის მეთოდი. ამავე დროს იმ შემთხვევაში, თუ მცირე საწარმო ერთ წლამდე შეწყვეტს მოქმედებას მაშინ დარიცხული ამორტიზაცია აღდგენილი უნდა იქნას საწარმოს საბალანსო მოგების გადიდების ხარჯზე.

თვითღირებულებაზე გადატანილი ძირითადი ფონდების ამორტიზაციის თანხა, სალიკვიდო ღირებულების გაუთვალისწინებლად შეიძლება გაეინგარიშოთ შემდეგი ფორმულით:

$$\Phi_{აღ} = H_{3} \times \frac{\Phi_{3(ბ)}}{100\%},$$

სადაც $\Phi_{აღ}$ - ღირებულების გადატანილი ნაწილია (ლარი);

H - ამორტიზაციის ნორმა (%-ში);

$\Phi_{3(ბ)}$ - ძირითადი ფონდების თავდაპირველი ღირებულება (ლარი).

ამორტიზაციის ანარიცხების თანაბარზომიერი დარიცხვა მანქანის სამსახურის მთელ პერიოდში მარტივი და ადვილად გასაგებია. იგი გვიჩვენებს, რომ მანქანის სამსახურის დამთავრების შემდეგ მისი სალიკვიდო ღირებულება ტოლია ნულის. (ჩვეულებრივად მისი

წარმოებიდან მოხსნის დროს იგი იშლება და ვარგისი ნაწილები — ელ. ძრავა, რელექტორი და სხვა კვლავ გამოიყენება. უფრო ხშირად მისი სალიკვილო ღირებულება ლითონის ჯართის ღირებულების ტოლია). მაგრამ ამავე დროს თანადარი დარიცხვის მეთოდს გააჩნია თავისი ნაკლოვანებანიც — ფონდები მისი სამსახურის პერიოდში თანაბრად არ არიან დატვირთული, ხშირია მოცდენები, მანქანის დაზიანება. ამიტომ წარმოებაში მოწყობილობა ცვთება არა თანაბრად. ამდენად მისი ღირებულებაც უნდა დარიცხული იქნას ამორტიზაციის ფონდში არათანაბრად. ამ მეთოდს ერთი უარყოფითი მხარეც აქვს იგი არ ითვალისწინებს მორალურ ცვეთას. წარმოებაში პრაქტიკულად არ ხდება მორალური ცვეთის აღრიცხვა, რომელსაც იწვევს დაბალი ღირებულების უფრო სრულყოფილი მანქანების გამოშვება. წარმოება ახალი სრულყოფილი ტექნიკის გამოყენების გამო იძულებულია საამორტიზაციო პერიოდის დამთავრებამდე მოხსნას მოქმედი მანქანები. ამ შემთხვევაში ამორტიზაციის ნარჩენი ანუ აუნაზღაურებელი თანხა იანგარიშება ფორმულით:

$$H = (\Phi_6 - P_6) - \Phi_6$$

სადაც: H — ძირითადი ფონდების აუნაზღაურებელი ამორტიზაციის თანხა (ლარ);

Φ_6 — ნარჩენი ღირებულება (ლარ.);

P_6 — ძირითადი ფონდების წარმოებიდან მოხსნასთან დაკავშირებული ხარჯები (ლარ);

Φ_6 — ძირითადი ფონდების სალიკვილო ღირებულება (ლარ).

დროზე ადრე წარმოებიდან მოხსნილი ძირითადი ფონდების ლიკვიდაციით გამოწვეული ზარალი მოქმედებს წარმოების სამეურნეო ფინანსურ შედეგებზე. /

პრაქტიკაში ძირითადი ფონდების აღრიცხვას აწარმოებენ სპეციალურ ოპერატიული აღრიცხვის ჟურნალში, სადაც მოცემულია ძირითადი ფონდების თავდაპირველი ღირებულება, ამორტიზაციის თანხა და ნარჩენი ღირებულება. ნარჩენ ღირებულებას ყოველწლიურად აკლდება ამორტიზაციის თანხა და ამორტიზაციის ვადის გასვლის შემდეგ იგი უტოლდება ნულს. ამორტიზირებულ ძირითად ფონდებს, რომლებიც შემდგომ კვლავ იმყოფებიან ექსპლუატაციაში ამორტიზაციის თანხა აღარ დაერიცხებათ.

ძირითადი ფონდების ცვეთის აღრიცხვა

ძირითადი ფონდების დასახელება	საბალანსო ღირებულება (ათ.ლარ.)	ამორტიზაციის ანარიცხების წლიური ნორმა, %	ამორტიზაციის წლიური თანხა (ათ. ლარ.)	ნარჩენი ღირებულება (ათ. ლარ.)
მოწყობილობა	50	12	6	44
შენობები	200	5	10	190
ტრანსპორტი	5	20	1	4
სულ	255		17	238

ძირითადი ფონდების კვლავწარმოების ორი ფორმაა: მარტივი და გაფართოებული. მარტივი კვლავწარმოება ეს არის მოძველებული შრომის საშუალებების ახლით შეცვლა და კაპიტალური რემონტი. გაფართოებული კვლავწარმოება – ახალი მშენებლობა, მოქმედი წარმოების გაფართოება, მათი რეკონსტრუქცია, ტექნიკური გადაიარაღება და მოწყობილობის მოდერნიზაცია.

ახალი წარმოების მშენებლობა უნდა უპასუხებდეს თანამედროვე მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევებს, ქვეყნის ტერიტორიაზე საწარმოო ძალთა სწორ გადაადგილებას. საბაზრო ეკონომიკის პირობებში, როცა საწარმოთა დიდი ნაწილი წყვეტს პროდუქციის გამოშვებას, უპირატესობა უნდა მიეცეს მოქმედი წარმოების ტექნიკურ რეკონსტრუქციას და გადაიარაღებას. რეკონსტრუქციის დროს გამოიყენება ძველი შენობა ნაგებობანი და მთელი კაპიტალური დაბანდება მიმართულია ფონდების აქტიური ნაწილის სრულყოფაზე. მანქანა მოწყობილობაზე მიმართული დანახარჯები უზრუნველყოფს ახალი და გაუმჯობესებული პროდუქციის წარმოებას, შრომის მწარმოებლურობისა და მოგების გადიდებას.

ძირითადი ფონდების გაფართოებულ კვლავწარმოებას მიეკუთვნება ასევე მოწყობილობის მოდერნიზაცია, რომლიც გულისხმობს სრულად ან ნაწილობრივ მორალურად მოძველებული მოწყობილობის განახლებას და მისი ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების ამაღლებას ანალოგიური უფრო სრულყოფილი კონსტრუქციის მოწყობილობის დონემდე.

6.4 ძირითადი საწარმოო ფონდების გამოყენების მაჩვენებლები

პროდუქციის წარმოების ზრდა, თვითღირებულების შემცირება და მოგების ზრდა დამოკიდებულია წარმოების განკარგულებაში არსებული ძირითადი ფონდების გამოყენების ღონეზე.

ძირითადი ფონდების გამოყენების განმაზოგადოებელი მაჩვენებლებია:

ინტენსიური, ექსტენსიური და ინტეგრალური მაჩვენებლები.
ინტენსიური გამოყენების მაჩვენებელი გვიჩვენებს სიმძლავრის გამოყენების ღონეს (მის მწარმოებლურობას პროდუქციის რაოდენობის მიხედვით დროის ერთეულში). გამოყენების ექსტენსიური მაჩვენებელი გვიჩვენებს ძირითადი ფონდების გამოყენებას დროის მიხედვით. ინტეგრალური მაჩვენებელი ასახავს ინტენსიური და ექსტენსიური მაჩვენებლების ერთობლიობას. ექსტენსიურ მაჩვენებლებს მიეკუთვნება: ექსტენსიური გამოყენების კოეფიციენტი, მოწყობილობის მუშაობის ცვლიანობის კოეფიციენტი, მოწყობილობის დატვირთვის კოეფიციენტი, ცვლიანობის მუშაობის რეჟიმის კოეფიციენტი.

მოწყობილობის ექსტენსიური გამოყენების კოეფიციენტი (K_{ექტ.}) განისაზღვრება მოწყობილობის ფაქტიურად ნამუშევარი საათების შეფარდებით გეგმიური მუშაობის საათებთან,

$$K_{ექტ.} = \frac{t_{ფაქტ.}}{t_{გეგმ.}}$$

სადაც: $t_{ფაქტ.}$ — ფაქტიურად ნამუშევარი დრო, სთ;

$t_{გეგმ.}$ — გეგმიური ნორმის მიხედვით ნამუშევარი საათებია (წესდება მუშაობის რეჟიმისა და გეგმიურ-გამაფრთხილებელი რემონტზე საჭირო დროის გათვალისწინებით).

მაგალითი: თუ ცვლის ხანგრძლივობაა 8 სთ, რემონტზე საჭირო დრო 1 სთ. მოწყობილობის მუშაობის ფაქტიური დრო 5სთ., მაშინ ექსტენსიური დატვირთვის კოეფიციენტი

$$K_{ექტ.} = \frac{8-1}{8} = 0,71$$

რაც იმას ნიშნავს, რომ მოწყობილობის გეგმიური მუშაობის ფონდი

გამოიყენება მხოლოდ 71%-ით.

მოწყობილობის გამოყენების ცვლიანობის კოეფიციენტი განისაზღვრება ნამუშევარი მანქანა-ცვლების შეფარდებით მაქსიმალურ ცვლაში ნამუშევარი ჩარხების რაოდენობასთან. იგი გვიჩვენებს, თუ წელიწადში საშუალოდ რამდენ ცვლაში მუშაობს თითოეული მანქანა. მაგალითად: სააპქროში დადგმულია 100 მანქანა, რომლიდანაც პირველ ცვლაში მუშაობს 80, მეორეში 60. ცვლიანობის კოეფიციენტი იქნება:

$$\frac{60+80}{100} = 1,4.$$

ცვლიანობის კოეფიციენტის გაზრდა შესაძლებელია სამუშაო ადგილების სპეციალიზაციით და სერიულ წარმოებაზე გადასვლით, მუშაობის რიტმიულობის ამაღლებით, მოცდენების შემცირებით, სამუშაო ადგილების მომსახურების გაუმჯობესებით, რემონტის ორგანიზაციის გაუმჯობესებით, დამხმარე სამუშაოების ავტომატიზაციით.

მოწყობილობის დატვირთვის კოეფიციენტი განისაზღვრება როგორც შეფარდება დამზადებული პროდუქციის საერთო რაოდენობის შრომატევადობით მოწყობილობის მუშაობის ნორმატიულ ფონდთან. პრაქტიკაში მოწყობილობის დატვირთვის კოეფიციენტს ღებულობენ ცვლიანობის კოეფიციენტის ტოლად. ორცვლიან მუშაობის რეჟიმის დროს მას ამცირებენ 2-ჯერ, სამცვლიანის დროს 3-ჯერ.

$$K_{\text{დატ.}} = 1,4/2 = 0,7.$$

მოწყობილობის მუშაობის ცვლიანობის მაჩვენებლის მიხედვით ანგარიშობენ მოწყობილობის მუშაობის ცვლის რეჟიმის გამოყენების დროს. იგი იანგარიშება მოცემულ დროში მოწყობილობის ცვლიანობის კოეფიციენტის შეფარდებით დადგენილი ცვლის ხანგრძლივობაზე

$$K_{\text{აღკ.}} = 1,4/8 = 0,18.$$

ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ ექსტენსიური დატვირთვის კოეფიციენტი ჯერ კიდევ არ იძლევა ძირითადი ფონდების გამოყენების სრულ სურათს. შეიძლება მოწყობილობა დროის მიხედვით დატვირთული იყოს მაგრამ პროდუქტი არ იწარმოებოდეს, მუშაობდეს უქმად ან იწარმოებოდეს უსარისხო პროდუქტით. ამიტომ საჭიროა ექსტენსიური დატვირთვის მაჩვენებელთან ერთად გავიანგარიშოთ ინტენსიური დატვირთვის მაჩვენებელი.

მოწყობილობის ინტენსიური დატვირთვის კოეფიციენტი განისაზღვრება მოწყობილობის ფაქტიური მწარმოებლურობის შეფარდებით ნორმატიულ მწარმოებლურობასთან.

ინტენსიური დატვირთვის კოეფიციენტი იანგარიშება ფორმულით:

$$K_{\text{ინტ}} = B / B_{\text{ნ}}^{\text{ნ}}$$

სადაც $B_{\text{ნ}}$ – მოწყობილობის მიერ დროის ერთეულში წარმოებული პროდუქციის რაოდენობა;

$B_{\text{ნ}}$ – ტექნიკურად დასაბუთებული ნორმებით პროდუქციის წარმოების მოცულობა დროის ერთეულში (მოწყობილობის საპასპორტო მონაცემებით).

მაგალითად: მოწყობილობის წარმადობა პასპორტის მიხედვით შეადგენს საათში 100 ერთეულს, ფაქტიურად 8 საათის განმავლობაში გამოშვებულ იქნა 80 ერთეული. ინტენსიური დატვირთვის კოეფიციენტი იქნება:

$K_{\text{ინტ}} = 80/100 = 0,8$ ე.ი. მოწყობილობის სიმძლავრე გამოყენებულია მხოლოდ 80%-ით.

ინტეგრალური დატვირთვის კოეფიციენტი იანგარიშება ინტენსიური და ექსტენსიური დატვირთვის კოეფიციენტების ნამრავლით. $K_{\text{ინტ}} = K_{\text{ექსტ}} \times K_{\text{ინტ}}$. ჩვენ შემთხვევაში $K_{\text{ექსტ}} = 0,7$ ხოლო $K_{\text{ინტ}} = 0,8$, მაშინ $K_{\text{ინტ}} = 0,7 \times 0,8 = 0,56$. ინტეგრალური კოეფიციენტი ყოველთვის ნაკლებია ორ წინა მაჩვენებელზე, ვინაიდან იგი ასახავს, როგორც ინტენსიური ისე ექსტენსიური გამოყენების უარყოფით მხარეებს.

მოწყობილობის გამოყენების საბოლოო ეფექტი გამოიხატება მისი შემეობით დამზადებული პროდუქციის რაოდენობით. ამდენად, ძირითადი ფონდების გამოყენების ეფექტიანობის განმაზოგადებელი მაჩვენებელი უნდა განისაზღვრებოდეს წარმოებული პროდუქციის რაოდენობასთან შეფარდებაში. ასეთ მაჩვენებლად გამოიყენება ფონდუკუგება.

ფონდუკუგების სიდიდის Φ გასაანგარიშებლად გამოიყენება ფორმულა:

$$\Phi = B / \Phi_{\text{ნ}}$$

სადაც B არის სასაქონლო ან მთლიანი პროდუქციის მოცულობა (ლარ);

$\Phi_{\text{ნ}}$ არის ძირითადი ფონდების საშუალო წლიური ღირებულება (ლარ). ძირითადი ფონდების საშუალო წლიური ღირებულება განისაზღვრება ფორმულით:


$$\Phi_{\text{საშუალო}} = \Phi_1 + \frac{\Phi_{\text{შეს}} \times n_1}{12} - \frac{\Phi_{\text{გამ}} \times n_2}{12},$$

სადაც Φ_1 - ძირითადი ფონდების საშუალო წლიური ღირებულება (ლარ);

$\Phi_{\text{შეს}}$ და $\Phi_{\text{გამ}}$ - წლის განმავლობაში ექსპლუატაციაში შესული (გამოსული) საწარმოს ძირითადი ფონდების ღირებულება (ლარ);

n_1 და n_2 - ექსპლუატაციაში შესულიდან ან გამოსვლიდან წლის ბოლომდე დარჩენილ თვეთა რიცხვია.

ფონდუკუგება ძირითადი ფონდების გამოყენების ეფექტიანობის მნიშვნელოვანი ეკონომიკური მაჩვენებელია, განსაკუთრებით საბაზრო ეკონომიკის პირობებში. უნდა აღინიშნოს, რომ სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების პირობებში ფონდუკუგების მაჩვენებლის ამაღლება დაკავშირებულია ტექნიკის განახლებისათვის დამატებითი დაბანდებასთან, რაც ასევე გააღებნას ახდენს ბუნების დაცვაზე და შრომის პირობების გაუმჯობესებაზე. ფონდუკუგება დამოკიდებულია მრავალ ფაქტორზე. ეს ფაქტორები ნაჩვენებია ნ.1 სქემაზე:



სქემა ნ.1.

ფონდტევაადობა ფონდუკუგების შებრუნებული სიდიდეა. იგი გვიჩვენებს ძირითადი ფონდების ღირებულების ნაწილს წარმოებული პროდუქტის თითოეულ ლარზე. თუ ფონდუკუგებას აქვს ზრდის ტენდენცია, ფონდტევაადობა პირიქით უნდა მცირდებოდეს.

ფონდშიეარადება მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს წარმოების ეფექტიანობას იგი განისაზღვრება აქტიური ძირითადი საწარმოო ფონდების ღირებულების შეფარდებით სამრეწველო-საწარმოო პერსონალის რიცხვთან. ეს მაჩვენებელი მუდმივად უნდა იზრდებოდეს, რამდენადაც იგი დამოკიდებულია წარმოების ტექნიკურ შეიარაღებაზე. ფონდშიეარადების ზრდა დადებითი მაჩვენებელია, იმ შემთხვევაში, თუ მას თან სდევს შრომის ნაყოფიერების ამაღლება წინააღმდეგ შემთხვევაში იგი უარყოფით გავლენას ახდენს წარმოების ეფექტიანობაზე.

6.5 საწარმოს სიმძლავრე

საწარმოს ძირითადი ფონდები და მათი გამოყენების ხარისხი განსაზღვრავს საწარმოო სიმძლავრის სიდიდეს.

საწარმოს სიმძლავრე არის დროის ერთეულში წარმოებული პროდუქციის მოცულობა ნატურალურ გამოხატულებაში დადგენილი პროდუქციის ნომენკლატურისა და ასორტიმენტის დაცვით, საწარმოო მოწყობილობების, საწარმოო ფართის სრული გამოყენებით, მოწინავე ტექნოლოგიის გამოყენების, წარმოებისა და შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესებისა და პროდუქციის ხარისხის ამაღლების პირობებში.

საწარმოო სიმძლავრე გულისხმობს ძირითადი ფონდების პოტენციურ შესაძლებლობათა სრულ გამოყენებას.

საწარმოო სიმძლავრე გაიზომება იმავე ერთეულში, რომლებშიდაც იგეგმება მოცემული პროდუქციის წარმოება ნატურალურ გამოხატულებაში (ტონებში, ცალებში, მეტრებში). მაგალითად, მანქანათმშენებელ ქარხნებში მანქანების რაოდენობით ცალებში, შაქრის ქარხნებისა და კვების მრეწველობის საწარმოებში – გადამუშავებული ნედლეულით ტონებში, დამზადებული პროდუქციის რაოდენობით ცალებში, ტონებში, დეკალიტრებში, პირობით ქილებში.

თუ საწარმოო უშვებს ფართო ნომენკლატურისა და ასორტიმენტის პროდუქციას მისი სიმძლავრე განისაზღვრება პირობით ერთეულებში. თუ საწარმო ამზადებს განსხვავებული სახის პროდუქციას სიმძლავრეს განსაზღვრავს ცალცალკე თითოეული სახის პროდუქციის მიხედვით. მაგალ: მლნ. პირობითი ქილა კონსერვი და სხვა. ასევე შეიძლება განისაზღვროს ღირებულებით მაჩვენებლებში.

დარგის საწარმოო სიმძლავრე განისაზღვრება მასში შემავალ საწარმოთა სიმძლავრეების ჯამით, მათი მუშაობის რეჟიმის გარეშე.

საწარმოს სიმძლავრე იანგარიშება წამყვანი საწარმოო საამქროს უბნის ან აგრეგატების მიხედვით. წამყვანი ეწოდება საამქროს, უბანს, აგრეგატს, რომელიც ასრულებს ძირითად პროდუქციის დამზადების შედარებით მასიურ ოპერაციებს და რომლებშიდან განთავსებულია ძირითადი წამყვანი მოწყობილობების უმეტესი ნაწილი. შვედეთალურგაში ეს არის — თუჯისა და ფოლადის, ფოლადსაღნობი საამქროები. მანქანათმშენებელ ქარხნებში — მექანიკური და ამწყობი საამქროები და ა.შ.

საწარმოო პროგრამის შემუშავების დროს, შეიძლება გამოვლინდეს ცალკეული საამქროების სიმძლავრეთა ნაკლებობა. ამ შემთხვევაში იგეგმება ორგანიზაციულ-ტექნიკური ღონისძიებები „ეიწრო ადგილების“ აღმოსაფხვრელად, შემსრულებლებს შორის სამუშაოს გადანაწილება, მუშაობის ცვლიანობის გადიდება, შრომის მეცნიერული ორგანიზაციის ღონისძიებათა დანერგვა, საამქროებს შორის მოწყობილობის გადანაწილება, სპეციალიზაციისა და კოოპერირების გაღრმავება, წარმოების ტექნიკური აღჭურვილობის გაუმჯობესება, მოდერნიზაცია და მანქანების პარკის შევსება.

საწარმოს სიმძლავრის განმსაზღვრელი ძირითადი ელემენტებია:

- მოწყობილობის რაოდენობა და შედარგნობა სახეების მიხედვით;
- მანქანა-მოწყობილობათა გამოყენების ტექნიკურ-ეკონომიკური

მაჩვენებლები;

- მოწყობილობის მუშაობის დროის ფონდი;
- საწარმოო ფართი;
- პროდუქციის ნომენკლატურა, ასორტიმენტი.

წამყვანი წარმოების სიმძლავრე შეიძლება გავიანგარიშოთ ფორმულით:

$$M = \frac{n \times \Phi}{M_T},$$

სადაც M — საამქროს, უბნის საწარმოო სიმძლავრეა დადგენილ ერთეულებში;

n — საამქროში წამყვანი მოწყობილობის რაოდენობა;

Φ — წამყვანი მოწყობილობის მაქსიმალურად შესაძლებელი დროის ფონდი, სთ;

M_T - წამყვან მოწყობილობაზე ნაკეთობის დამუშავების შრომატევადობის პროგრესიული ნორმა, სთ.

სიმძლავრის გაანგარიშებაში არ გაითვალისწინება სარეზერვო მოწყობილობათა სიმძლავრე, ასევე დამხმარე-და-მომსახურე საამქროების მოწყობილობები. სიმძლავრის გაანგარიშების დროს სარგებლობენ თითოეული მოწყობილობის გამოყენების პროგრესული ნორმებით.

სამუშაო დროის ფონდი იანგარიშება იმისდა მიხედვით, თუ როგორი სახის საწარმოსთან გვაქვს საქმე. განუწყვეტელი საწარმოო პროცესით მომუშავე საწარმოებისათვის სამუშაო დროის ფონდი იანგარიშება სრული კალენდარული დრო თ გეგმიური რემონტის გამოკლებით. წყვეტილი სამუშაო რეჟიმით მომუშავე საწარმოებში მოწყობილობის სამუშაო დროის წლიური ფონდი გაიანგარიშება წელიწადში სამუშაო დღეთა რიცხვის გამრავლებით დღელამეში სამუშაო დროის საათებზე (საწარმოსათვის დადგენილი სამუშაო დროის რეჟიმით) რემონტზე საჭირო დროის გამოკლებით. სიმძლავრის გაანგარიშის დროს მხედველობაში არ მიიღება მოწყობილობის არაგეგმიური მოცდენები.

საწარმო სიმძლავრე არ არის მუდმივი სიდიდე იგი წლის განმავლობაში იცვლება. ახალი ტექნიკის, ტექნოლოგიის, მასალების დანერგვის, სპეციალიზაციისა და კოოპერირების, საწარმოს სტრუქტურის, კადრების კვალიფიკაციის, წარმოებისა და შრომის ორგანიზაციის გავლენით. ამიტომ იგი სისტემატურად უნდა გადაისინჯოს.

საწარმო სიმძლავრის განსხვავებული ცნებები გვხვდება ეკონომიკაში:

შესული სიმძლავრე - სიმძლავრე წლის დასაწყისში, რომელიც გააჩნია საწარმოს საგეგმო პერიოდის დასაწყისში;

გამოსული სიმძლავრე - საწარმოს სიმძლავრე წლის ბოლოს, რომელიც განისაზღვრება შესული და წლის განმავლობაში ახლად ამოქმედებული სიმძლავრეთა ჯამს გამოკლებული წლის განმავლობაში ექსპლოატაციიდან გამოსული სიმძლავრე;

საპროექტო სიმძლავრე - განისაზღვრება მშენებლობის, რეკონსტრუქციისა და წარმოების გაფართოების პროექტით.

საწარმო პროგრამის გაანგარიშების დროს განისაზღვრება საშუალო წლიური სიმძლავრე, რომელიც გააჩნია საწარმოს, დარგს საშუალოდ წელიწადში. იგი განისაზღვრება წლის დასაწყისში სიმძლავრის საშუალო წლიური სიმძლავრის ნამატისა და ექსპლუატაციიდან გამოსული საშუალო წლიური სიმძლავრის გამოკლებით

$$M_{\text{საფ.}} = M_{\text{სფ.}} + \frac{M \times n_1}{f_2^1} - \frac{M \times n_2}{f_2^2}$$

სადაც: $M_{\text{საფ.}}$ - საშუალო წლიური სიმძლავრე;

$M_{\text{სფ.}}$ - წლის დასაწყისში სიმძლავრე;

M_2 - წლის განმავლობაში ექსპლუატაციაში შესული სიმძლავრე;

M_1 - წლის განმავლობაში ლიკვიდირებული სიმძლავრე;

n_1, n_2 - შესული და გამოსული სიმძლავრის მომენტიდან წლის ბოლომდე დარჩენილ თვეთა რიცხვი.

საწარმოს სიმძლავრეთა გამოყენების დონე განისაზღვრება სიმძლავრის გამოყენების კოეფიციენტით, რომელიც გაიანგარიშება ფორმულით:

$$K = BM_{\text{საფ.}}$$

B - არის პროდუქციის ფაქტიური წარმოება ნატურალურ ან ლირებულებით მაჩვენებლებში;

$M_{\text{საფ.}}$ - საშუალო წლიური სიმძლავრე ამავე მაჩვენებლებში,

სიმძლავრის გამოყენების რეზერვი გაიანგარიშება გეგმიურ (საპროექტო) და ფაქტიურ სიმძლავრეთა სხვაობით:

$$M_{\text{რეზ.}} = M_{\text{საპ.}} - M_{\text{ფაქ.}}$$

მოწყობილობის დატვირთვის კოეფიციენტი - ფაქტიური ნამუშევარი დრო (მანქ/საათ.) ყველა მოწყობილობისათვის დროის ფონდთან ამავე პერიოდში, იგი გვიჩვენებს მოწყობილობების ნაკლებობას ან ზედმეტობას.

ნ.ნ ძირითადი ფონდების გამოყენების ეფექტიანობის ამაღლების გზები

ძირითადი ფონდების როლის ამაღლება პროდუქციის წარმოების მოცულობის ზრდისა და ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალის აღმაგლობაში ორი გზით შეიძლება წარიმართოს: ძირითადი ფონდების მოცულობის გადიდებით და მათი გამოყენების ეფექტიანობის ამაღლებით.

ძირითადი ფონდების მოცულობის გადიდება დამატებითი კაპიტალ-დაბანდებისა და მატერიალური რესურსების ხარჯზე ზრდის პროდუქციის გამოშვებას, მაგრამ პროდუქციის ერთეულის დანახარჯს არ ამცირებს.

ძირითადი ფონდების ეფექტიანი გამოყენება დამატებითი კაპიტალდაბანდებისა და მატერიალური საშუალებების გარეშე უზრუნველყოფს ბოქმედი ძირითადი ფონდების მაქსიმალური დატვირთვის გზით მეტი პროდუქციის მიღებას, რაც მნიშვნელოვნად ამცირებს პროდუქციის ერთეულის ღირებულებას, ამიტომ უფრო ეფექტიანი გზაა არსებული ძირითადი ფონდების გამოყენების გაუმჯობესება.

ძირითადი ფონდების გამოყენების ეფექტიანობის ამაღლებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ძირითადი ფონდები წარმოადგენენ ეროვნულ სიმდიდრეს, მატერიალური ღირებულების მთავარ ნაწილს, იმ საწარმოო აპარატს, რომლის ეფექტიანობის მცირედი ამაღლებაც კი მთელი საზოგადოების წარმოების ეფექტიანობის მნიშვნელოვან გაღიძერებას იწვევს.

ძირითადი ფონდების გამოყენების ეფექტიანობა, პირველ რიგში, ტექნიკის გამოყენების გაუმჯობესებას ნიშნავს, რაც ამავე დროს, შრომის მწარმოებლურობა პროდუქციის წარმოების ზრდის მთავარი ფაქტორია: ძირითადი ფონდების გამოყენების ეფექტიანობა უზრუნველყოფს პროდუქციის წარმოების გაღიძერებას ახალ საწარმოო სიმძლავრეთა ამოქმედების გარეშე, რაც ხელს უწყობს კაპიტალური დაბანდების ეკონომიას და მისი ეფექტიანობის ამაღლებას. ძირითადი ფონდების უკეთ გამოყენებით მცირდება, როგორც განივთებული, ისე ცოცხალი შრომის დანახარჯები პროდუქციის ერთეულის მწარმოებლურობა, და შესაბამისად, იზრდება საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერება. პროდუქციის ერთეულის წარმოებაზე ცოცხალი და განივთებული შრომის ეკონომია, თავის მხრივ, იწვევს პროდუქციის თვითღირებულების შემცირებას და წარმოების რენტაბელობის ღონის ზრდას. გარდა ამისა, ძირითადი ფონდების გამოყენების გაუმჯობესება აჩქარებს მათ ბრუნვადას, ამცირებს შრომის საშუალებების ფიზიკური და მორალური ცვეთის ხანგრძლივობას და აჩქარებს მათი განახლების პროცესს.

ძირითადი ფონდების გამოყენების გაუმჯობესება უშუალოდ კაპიტალდაბანდების ეკონომიაში იჩენს თავს. კაპიტალდაბანდების ეკონომიის საფუძველზე კი ეროვნულ შემოსავალში მცირდება დაგროვების ფონდი და, შესაბამისად, იზრდება მოხმარების ფონდის ხვედრითი წილი, რითაც მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის უფრო სწრაფი ამაღლების პირობები იქმნება.

ძირითადი ფონდების ეფექტიანობა მეტწილად დამოკიდებულია იმაზე, თუ რა ვადებში ხდება ძირითადი ფონდების ამოქმედება, რა მოცულობის ძირითადი ფონდები გადაეცემა ექსპლოატაციაში და როგორია მათი სიმძლავრეების ათვისების ვადები. იმ შემთხვევაში, თუ შემჭიდროებულ ვადებში მიმდინარეობს ძირითადი ფონდების შვენებლობა, ან თუ მცირე ექსპლოატაციაში გადაცემული ფონდების მოცულობა და სწრაფია მათი სიმძლავრეების ათვისება, ძირითადი ფონდების გამოყენების მაჩვენებელი იზრდება და პირიქით.

ასევე მნიშვნელოვნად მოქმედებს ძირითადი ფონდების გამოყენების ეფექტიანობაზე საწარმოო ფონდების სტრუქტურა. იმ შემთხვევაში, თუ საწარმოს უვარგისი, მოძველებული, ანდა ზედმეტი და უმოქმედო ფონდები აქვს, მაშინ ეფექტიანობის მაჩვენებელი ხელოვნურადაა შემცირებული, რადგან პროდუქციის წარმოებაში ფაქტიურად ფონდების მხოლოდ ერთი ნაწილი იღებს მონაწილეობას, ფონდების გამოყენების მაჩვენებლები კი ფონდების მთელი მოცულობის მიხედვით იანგარიშება.

ძირითადი ფონდების ეფექტიანობის ამაღლების გზები შეიძლება დაეყოს ორ ჯგუფად:

1) შრომის საშუალებების გამოყენების დროის გაზანგძრვების, ანუ მათი ექსტენსიური დატვირთვის გადიდება;

2) დროის ერთეულში მანქანა-დანადგარების დატვირთვის გადიდების, ანუ მათი გამოყენების ინტენსივობის ამაღლების გზები.

ძირითადი ფონდების ექსტენსიური მუშაობის გადიდების გზებია: ცვლიანობის კოეფიციენტის გადიდება და მოცდენების შემცირება, მანქანა-მოწყობილობის კარგი მოვლა, რემონტის ზარისზიანი და დროული ჩატარება და სხვა. აქედან განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ცვლიანობის კოეფიციენტის გადიდებას, რომელიც კაპიტალური დაბანდებების დამატებითი დანახარჯების გარეშე პირდაპირ პროპორციულად აღიდება ძირითადი ფონდების გამოყენების მაჩვენებელს. ასეთივე მიმართულებით მოქმედებს ძირითადი ფონდების მოცდენების შემცირებაც.

ძირითადი ფონდების ინტენსიური მუშაობის გადიდების ფაქტორებია: ახალი ტექნიკის და ტექნოლოგიური პროცესების დანერგვა; საწარმოთა რიტმული მუშაობის უზრუნველყოფა; მანქანების მუშაობის სიჩქარის გადიდება და ამის საფუძველზე ტექნოლოგიური პროცესების დანქარება; შრომის მეცნიერული ორგანიზაციის გაუმჯობესება; წარმოების

ესთეტიკის ამაღლება და სხვა. ყველა ეს ფაქტორი დროის ერთეულში ძირითადი ფონდების გამოყენების გაუმჯობესების მიმართულებით მოქმედებს. მათ შორის მთავარი მაინც ახალი ტექნიკისა და მოწინავე ტექნოლოგიის დანერგვაა. იგი ძირითადი ფონდების მწარმოებლობის ამაღლებით მნიშვნელოვნად ზრდის ძირითადი ფონდების დროში გამოყენების მაჩვენებლებს.

სამრეწველო წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობის გადიდების ერთ-ერთ მიმართულებას წარმოადგენს ძირითადი ფონდების და საწარმოო სიმძლავრეების ზრდის ტემპებს შორის ოპტიმალური თანაფარდობის დამყარება.

საწარმოს ეფექტიანობის ამაღლებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ფონდუკუების ძირითად მიმართულებათა სრულყოფას, რაც გამოვლინდება:

ა) ძირითად საწარმოო ფონდებში ტექნოლოგიური მოწყობილობის ხვედრითი წილის ამაღლებაში; ბ) მანქანა-მოწყობილობის გამოყენების ინტენსიფიკაციაში; გ) ცელიანობის კოეფიციენტის ამაღლებაში; დ) საპროექტო სიმძლავრეთა ათვისების ეადების შემცირებაში.)

ძირითადი ფონდების ეფექტიანობის ამაღლებაზე მნიშვნელოვნად მოქმედებს მართვის ორგანიზაცია, ეკონომიკური ბერკეტების, მატერიალური სტიმულირების სწორი გამოყენება.

საკუთრების ფორმებისა და სახელმწიფო საწარმოთა განსახელმწიფოების შესახებ კანონმდებლობათა შესაბამისად საწარმოთა ძირითადი ფონდები გამოსყიდული და გადაცემული იქნა საწარმოო კოლექტივების საკუთრებაში. ამჟამად მიღებულია ძირითადი ფონდების სახელმწიფო, საიჯარო, კოლექტიური და პირადი საკუთრების ფორმები. საკუთრების აღნიშნულ ფორმებს საფუძველად უდევს მშრომელთა დაინტერესება ძირითადი ფონდების უკეთ გამოყენებისათვის. აქედან გამომდინარე, ძირითადი ფონდების გამოყენების გაუმჯობესება მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის ამაღლების საფუძველია. ამიტომაც მშრომელები სისხლხორცეულად დაინტერესებულნი უნდა იყვნენ ძირითადი ფონდების გამოყენების ეფექტიანობის ამაღლებით. ძირითადი ფონდების გამოყენების ეფექტიანობის ამაღლება მათი წარმოებითი ფუნქციონირების პროცესში მიღწეული ეკონომიკური შედეგია, რაც საზოგადოებრივი შრომის ეკონომიაში გამოიხატება. ძირითადი ფონდების ეფექტიანობის ამაღლებას,

როგორც წესი, თან ახლავს ცოცხალი შრომის მწარმოებლობის ზრდა, რის შედეგადაც პროდუქციის ერთეულზე მცირდება ცოცხალი შრომის წილიც. ამრიგად, ძირითადი ფონდების ეფექტიანობის ამაღლების შედეგია როგორც განივებული, ისე ცოცხალი შრომის მწარმოებლობის გადიდება, რაც კონკრეტულად ამ შრომის სახეების ეკონომიაში აისახება და იწვევს მთელი საზოგადოებრივი შრომის მწარმოებლობის ზრდას.

ძირითადი ფონდების გამოყენების ეფექტიანობის ამაღლებით იზრდება გამოშვებული პროდუქციის, ეროვნული შემოსავლის ფიზიკური მოცულობა, რადგან ძირითადი ფონდების გამოყენებით, საზოგადოებრივი შრომის დანახარჯების ეკონომია იწვევს ერთობლივ საზოგადოებრივ პროდუქტში ფონდების ზრდის ტემპების შემცირებას და მისი ხვედრითი წონის შემცირებას. რის შედეგადაც, პროდუქციის გამოშვების გადიდებასთან ერთად, მცირდება პროდუქციის ერთეულზე განივებული შრომის წილი და მაშასადამე, თვითღირებულებაც.

ძირითადი ფონდების გამოყენების ეფექტიანობის ამაღლების შედეგად მცირდება მზა პროდუქციაზე მათი ღირებულების გადატანის ვადა, რითაც მოკლე დროში ვალწევთ ძირითადი ფონდების სრულ უკუგებას. შრომის დანახარჯების დროულ ამოგებასთან ერთად მცირდება მორალური ცვეთის გავლენა და შესაძლებელი ხდება შრომის გარკვეული დანაკარგების თავიდან აცილება.

პრივატიზების შედეგად მრეწველობის საწარმოო ფონდები გადავიდა კერძო საკუთრებაში. მოხდა სახელმწიფო ქონების გადასვლა კერძო სტრუქტურების ხელში. ჩამოყალიბდა საკუთრების სამი ფორმა: სახელმწიფო, კოლექტიური და კერძო საკუთრება, შესაბამისად. ჩამოყალიბდა მეწარმეობის იურიდიულ-სამართლებრივი ფორმები.

ამჟამად მრეწველობის ქონების უმეტესი ნაწილი გაიყიდა და გადავიდა მესაკუთრეთა ხელში, ხოლო ნაწილი ქონებისა დარჩა ქონების სამინისტროს ხელში მისი შემდგომი პრივატიზებისათვის. იმ მსხვილ საწარმოთა ქონება, რომლის შესყიდვა ვერ შესძლო საწარმოს კოლექტივმა გადავიდა ქონების მართვის სამინისტროს ხელში და იგი თანდათან იყიდება აუქციონზე ტენდერის წესით. სახელმწიფო ქონების ნაწილი შეისყიდა უცხოურმა ინვესტორებმა. შეიქმნა ერთობლივ საწარმოთა დიდი რაოდენობა. სახელმწიფო ქონების გაყიდვა უცხოურ ინვესტორებზე უარყოფითი მოვლენაა, ქვეყნის რესურსების დიდი ნაწილის შედარებით

დაბალ ფასებში შესყიდვის გზით უცხოური ინვესტორები მოგების დიდ ნაწილს ღებულობენ და შემოსავლის მნიშვნელოვანი ნაწილი გაედინება სხვადასხვა ქვეყნებში. ქონების დიდი ნაწილი დღესაც გაუყიდავი დარჩა. საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის და ქვეყნის შიგა არეულობის გამო უკანასკნელი 7 წლის განმავლობაში უპატრონოდ დარჩა, დაინგრა და გაიძარცვა საწარმოთა დიდი ნაწილი. ნაწილი ქონებისა ჩალის ფასად გაიყიდა, დაიკარგა სამომხმარებლო ბაზარი. უცხოურმა უხარისხო საქონელმა ხელში ჩაიგდო ჩვენი ბაზარი. ამას ხელი შეუწყო ჩვენი ქვეყნის არასწორმა საბაჟო და საგადასახადო კანონმდებლობამ, რითაც იმპორტული საქონელი პრივილიგირებულ მდგომარეობაში მოექცა სამამულო საქონელთან შედარებით. სამამულო წარმოების პროდუქცია გამოძევებული იქნა საკუთარი ბაზრიდან, რის გამოც საწარმოთა დიდი ნაწილი, რომლებიც დღემდე მუშაობდნენ იძულებული გახდნენ შეეწყვიტათ ფუნქციონირება და ხელი გაეწოდათ უცხოურ ინვესტორებისათვის. ამრიგად, სამამულო წარმოება ამჟამად მძიმე კრიზისს განიცდის. ძირითადი ფონდების დიდი ნაწილი უპატრონოდაა მიტოვებული.

თავი VII. საწარმოო საბრუნავი საშუალებები

7.1. საბრუნავი საშუალებების ეკონომიკური არსი, კლასიფიკაცია და სტრუქტურა.

წარმოების საშუალებები ორ ნაწილად იყოფა ძირითად და საბრუნავ ფონდებად. საბაზრო ეკონომიკაში უფრო ხშირად ვხვდებით ძირითად და საბრუნავ კაპიტალის ტერმინებს. საბრუნავი საშუალებები თავის მხრივ იყოფა საბრუნავ საწარმოო ფონდებად და მიმოქცევის ფონდებად.

საბრუნავი საშუალებები ფულადი სახსრების ერთობლიობაა, რომლის დანიშნულებაც საბრუნავი საწარმოო ფონდების და მიმოქცევის ფონდების შექმნა, ფულადი სახსრების განუწყვეტელი წრებრუნვის უზრუნველსაყოფად.

საბრუნავი საწარმოო ფონდები ეს არის შრომის საგნები (ნედლეული, ძირითადი მასალები და ნახევარფაბრიკატები, დამხმარე მასალები, სათბობი, ტარა სათადარიგო ნაწილები და სხვა); მომავალი პერიოდის ხარჯები, დაუმთავრებელი წარმოება.

მიმოქცევის ფონდები ეს არის წარმოების საშუალებები: შუა პროდუქციის მარაგებში, გადატვირთული გაუნაღებელი საქონელი, ფულადი სახსრები ურთიერთ ანგარიშზე, ფულადი სახსრები სალაროში და ბანკებში.

საბრუნავი საშუალებები უზრუნველყოფს პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის პროცესის უწყვეტობას.

საბრუნავი საწარმოო ფონდები ხაში ნაწილისაგან შედგება;


საწარმოო მარაგები; დაუმთავრებელი წარმოება და საკუთარი წარმოების ნახევარფაბრიკატები, შუა პროდუქცია და მომავალი პერიოდის ხარჯები.

წარმოების საბრუნავი საშუალებანი წარმოების საშუალებების ნაწილია, რომლებიც მთლიანად ინარჩუნებენ ერთი საწარმოო ციკლის განმავლობაში, მათი ღირებულება მთლიანად გადადის დამზადებული პროდუქციის ღირებულებაზე, შრომის პროცესში იცვლიან თავის ნატურალურ ფორმას, ფიზიკურ-ქიმიურ თვისებებს და სახმარ ღირებულებას. ახალი სახმარი ღირებულება ყალიბდება მოხმარებული საბრუნავი საშუალებების ბაზაზე.

საწარმოო მარაგები ეს არის შრომის საგნები – უზრუნველყოფენ საწარმოო პროცესის რიტმულობას. მათ მიეკუთვნება: ნელლეული, ძირითადი და დამხმარე მასალები, სათბობი, ნაყიდი ნახევარფაბრიკატები, საკომპლექტო ნაწარმი, ტარა და ტარა მასალები, სათადარიგო ნაწილები ძირითადი ფონდების რემონტისათვის.

დაუმთავრებელი წარმოება და საკუთარი წარმოების ნახევარ-ფაბრიკატები ეს არის შრომის საგნები საწარმოო პროცესში: მასალები, დეტალები, კვანძები დამუშავების პროცესში და აწყობაზე, ასევე საკუთარი წარმოების ნახევარფაბრიკატები და დაუმთავრებელი პროდუქცია, პროდუქციის ნაშთი საწყობში.

მომავალი პერიოდის ხარჯები ეს არის დაუმთავრებელი ელემენტები საბრუნავი საშუალებების მოცემულ პერიოდში, მაგრამ მიეკუთვნება მომავალი პერიოდის პროდუქციას (მაგალითად ახალი პროდუქციის დაპროექტებისა და გამოცდის ხარჯები).



ნახ. 17.1. საბრუნავი საშუალებების სტრუქტურა

წარმოების საბრუნავ ფონდებს წამყვანი ადგილი უკავია წარმოების საბრუნავ საშუალებებში. საბაზრო ეკონომიკის პირობებში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა რესურსების ეკონომიას. ვინაიდან მათი ხვედრითი წილი თვითღირებულებაში 60% - იდან 90%-მდე შეადგენს. პირველ რიგში საჭიროა ხელშეწყობის, ძანსალების და სათბობის დანახარჯების შემცირება პროდუქციის ერთეულზე, ხანგამძლეობის და საიმედოობის მაღალი დონის უზრუნველყოფის პირობებში. აღნიშნული შესაძლებელია, მხოლოდ პროგრესული ტექნიკისა და ტექნოლოგიის დანერგვის პირობებში. რესურსდამზოგი ტექნოლოგიის დანერგვა სტიმულს აძლევს წარმოებას ტექნოლოგიური პროცესების სრულყოფისათვის. მატერიალური რესურსების ეკონომია გარდა იმისა, რომ იძლევა საშუალებას მატერიალურ რესურსებზე დამატებითი დანახარჯების გაწვევის გარეშე გაზარდოს წარმოებული პროდუქციის მოცულობა, იგი ასევე იძლევა ცოცხალი შრომის დანახარჯების ეკონომიას.

საბრუნავი საშუალებების სტრუქტურა დამოკიდებულია მრეწველობის დარგობრივ სტრუქტურაზე. მანქანათმშენებლობაში მატერიალური რესურსების ხვედრითი წილი დანახარჯების საერთო რაოდენობაში შეადგენს 55-60%-ს, გადამამუშავებელ მრეწველობის დარგებში იგი შედარებით მეტია და შეადგენს 65-80% - დე.

საშუალოდ მრეწველობაში წარმოების საბრუნავ საშუალებებში საწარმოო საბრუნავ ფონდებს უკავიათ 70%, მიმოქცევის ფონდებს 30% - ნორმირების მიხედვით ნორმირებული საბრუნავი ფონდების ხვედრითი წილი საბრუნავ ფონდებში შეადგენს 80%, ხოლო არანორმირებული ფონდების 20%. საშუალოდ საწარმოო საბრუნავი ფონდების სტრუქტურა შემდეგი ძაჩვენებლებით ხასიათდება: საწარმოო მარაგები 70%, წარმოების პროცესში 25%, მომავალი პერიოდის ხარჯები 5%. მიმოქცევის ფონდებში: მზა პროდუქცია -- 31%, ფულადი სახსრები 26%, დებიტორული დავალიანება 14%, დანარჩენი ფონდები 29%.

ნორმირების თვალსაზრისით საბრუნავი საშუალებები ორ ჯგუფად იყოფა: ნორმირებული და არანორმირებული. ნორმირებულ საბრუნავ საშუალებებს მიეკუთვნება: ნედლეული და ძირითადი მასალები, დამხმარე მასალები, ნაყიდი ნახვეარფაბრიკატები, სათადარიგო ნაწილები, ინსტრუმენტი და სწრაფცვეთადი საგნები, დაუმთავრებელი წარმოება და ნახვეარფაბრიკატები, სათბობი, მომავალი პერიოდის ხარჯები და

შპა პროდუქცია საწყობში ყველა აღნიშნული მიეკუთვნება სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობას, რომლებიც განთავსებულნი არიან წარმოებაში არანორმირებულ საბრუნავ ფონდებს მიეკუთვნება: გადაგზავნილი და მომხმარებლის მიერ აუნაზღაურებელი პროდუქცია, დებიტორული დავლიანებები, ფულადი სახსრები ანგარიშსწორების ანგარიშზე და სალაროში. მაშასადამე მიმოქცევის ფონდები მომავალი პერიოდის ხარჯებთან ერთად მთლიანად მიეკუთვნება არანორმირებულ საბრუნავ საშუალებებს.

საბრუნავი საშუალებები მუდმივ მოძრაობაში არიან. ისინი წარმოებაში ჩაერთვებიან ნატურალური ფორმით, წარმოების პროცესში მთლიანად გადაიტანენ თავის ღირებულებას შექმნილ პროდუქციაზე. მიმოქცევის ფონდები ემსახურებიან საქონლის მიმოქცევის პროცესს. ისინი არ მონაწილეობენ ღირებულების შექმნაში. საწარმო ციკლის დამთავრების შემდეგ, პროდუქციის დამზადებისა და მისი რეალიზაციის შემდეგ წარმოებას უბრუნდება რეალიზაციიდან მიღებული ამონაგების სახით – ფულადი ფორმით. ისინი საშუალებას იძლევიან განხორციელდეს წარმოების საშუალებების განუწყვეტელი წრებრუნვა და სისტემატურად განახლდეს წარმოების პროცესი.


თავის მოძრაობაში საბრუნავი საშუალებები თანამიმდევრულად გაივლიან 3 სტადიას: ფულადს, საწარმოოს და სასაქონლოს.

საბრუნავი საშუალებების წრებრუნვის მიმოქცევის სტადია არის საწარმო სტადიის წინა მოსამზადებელი პროცესი და მიმდინარეობს მიმოქცევის სფეროში, იგი ჯერ გარდაიქმნება სასაქონლო ფორმიდან ფულად ფორმაში, ხოლო შემდეგ ფულადი ფორმიდან საწარმოო მარაგის ფორმაში.

საწარმოო სტადია წარმოადგენს უშუალოდ საწარმოო პროცესს, რომელიც მთავრდება შპა პროდუქციის გამოშვებით, რის შემდეგ იწყება რეალიზაციის სტადია. (ნედლეული – დაუმთავრებელი წარმოება შპა პროდუქცია).

საბრუნავი საშუალებების წრებრუნვის სასაქონლო სტადია ეს არის სასაქონლო პროდუქციის გადაქცევა ფულად ფორმაში რეალიზაციის შემდეგ, მიღებული ამონაგების სახით, რომელიც ორ ნაწილად იყოფა: ერთი მოხმარებული წარმოების საშუალებათა ღირებულება და მეორე დაგროვების ფონდის სახით, რომელიც ხმარდება წარმოების საშუალებების

გაფართოებას, უერთდება საბრუნავ საშუალებებს და მასთან ერთად ასრულებს ბრუნვის შემდგომ ციკლს.



17.2 საბრუნავი საშუალებების წარმოების ციკლი

საბრუნავი საშუალებების წრებრუნვაში ყველაზე ხანგრძლივია საწარმოო პროცესი. იგი დამოკიდებულია პროდუქციის წარმოების ტექნოლოგიურ თავისებურებაზე. მანქანათმშენებლობაში საწარმოო ციკლი საშუალოდ 50-60 დღეს შეადგენს. გადამამუშავებელ ბრეწველობაში ერთიდან 5-6 დღელამდეა. გამონაკლისს ამ დარგში შეადგენს სოფლის მეურნეობის პროდუქტების გადამამუშავებელი პირველადი ქარხნები, სადაც ხდება ნახევარფაბრიკატების წინასწარი მომზადება - დაძველება მეორად ქარხნებში გადასამუშავებლად. ასეთ დარგებს მიეკუთვნება ლეინის, კონიაკის, შამპანურის ქარხნებისათვის, სპირტებისა და ლეინომასალების დაძველება რამოდენიმე წლის განმავლობაში.

საბრუნავი საშუალებებზე მოთხოვნის განსაზღვრა

წარმოებისათვის საჭირო საბრუნავი საშუალებების მოთხოვნა განისაზღვრება: საწარმო მარაგების (ნელლეულის, მასალების და სხვა.) დაუმთავრებელი წარმოების, საღაროში ფულადი სახსრების, საქონელი

კზამი, ფულადი სახსრები ანგარიშზე და სხვა აქტივების საჭირო რაოდენობის მიხედვით.

ნედლეულისა და მასალების მიხედვით საბრუნავი საშუალებების საჭირო რაოდენობა განისაზღვრება მათი დღიური ხარჯის გამრავლებით მარაგის ნორმატივზე დღეებში. მარაგის ნორმატივი დღეებში განისაზღვრება დამოუკიდებლად სამეურნეო სუბიექტის მიერ და იგი დამოკიდებულია მომარაგების ორგანიზაციაზე. ნორმატივმა უნდა უზრუნველყოს წარმოების შეუფერხებელი მუშაობა. ძირითადად იგი განისაზღვრება ნედლეულისა და მასალების მოწოდების სიხშირითა და მოწოდებათა შორის ინტერვალით.

მაგალითი: განვსაზღვროთ ნედლეულისა და მასალებისათვის საჭირო საბრუნავი საშუალებების ოდენობა:

ნედლეულისა და მასალების მოთხოვნა	
კვარტალში (ათ. ლარი)	9900
კვარტალში დღეთა რიცხვი	90
ნედლეულისა და მასალების დღიური ხარჯი (ათ. ლარი)	110
მარაგის ნორმა დღეებში	28
საბრუნავი სახსრების მოთხოვნა ნედლეულისა და მასალებისათვის (საწარმო მარაგი ათ. ლარი) (110×28)	3080.

დაუმთავრებელი წარმოების მარაგი იანგარიშება პროდუქციის დღიური გამოშვების გამრავლებით დაუმთავრებელი წარმოების ნორმაზე დღეებში.

პროდუქციის გამოშვება კვარტალში	
თვითღირებულებით (ათ. ლარი)	12060
პროდუქციის დღიური გამოშვება თვითღირებულებით (ათ. ლარი)	134
დაუმთავრებელი წარმოების ნორმა (დღეებში)	3
საბრუნავი სახსრების მოთხოვნა დაუმთავრებელი წარმოების მიხედვით (ათ. ლარი) (134×3)	402

საბრუნავი სახსრების მოთხოვნა მზა პროდუქციის მიხედვით იანგარიშება პროდუქციის დღიური წარმოების (თვითღირებულებით) გამრავლებით მზა პროდუქციის მარაგის ნორმაზე დღეებში. $134 \times 3 = 268$ ათ. ლარი.

საბრუნავი სახსრების მოთხოვნა სასაქონლო მარაგში განისაზღვრება დღიური ბრუნვა ამ საქონლის შესყიდვის ფასებით გამრავლებული მარაგის ნორმა დღეებში.

საქონლის ბრუნვა შესყიდვის ფასებში,	
კვარტალში (ათ. ლარი)	1854
დღიური ბრუნვა (ათ. ლარი)	20,5
საქონლის მარაგის ნორმა (დღეებში)	2
საბრუნავი სახსრების მოთხოვნა სასაქონლო მარაგებში (ათ. ლარი)	(20,5+2) 41

ფულადი სახსრების მოთხოვნა საღარიბოში და გადარიცხვები გზაში განისაზღვრება დღიური საქონელბრუნვა გასაყიდ ფასებში, გამრავლებული ფულადი სახსრების მარაგის ნორმაზე დღეებში.

საქონელბრუნვა კვარტალში (ათ. ლარი)	2250
საქონელბრუნვა დღეში (ათ. ლარი)	25
ფულადი სახსრების მარაგების ნორმა (დღეებში)	1
ფულადი სახსრების მოთხოვნა (ათ. ლარი) (25X1,0)	25

საბრუნავ საშუალებათა ღირებულება სხვადასხვა მატერიალური ფასეულობების შესაძენად განისაზღვრება პირდაპირი გაანგარიშებით ან საანგარიშო ანალიზური მეთოდით. ჩვენს შემთხვევაში დაუშვათ მისი ღირებულება შეადგენს 1218 ათას ლარს.

საბრუნავი საშუალებების ნორმატივი გეგმიური კვარტლის ბოლოს იქნება:

$$3080+402+41+25+268+1218=5034 \text{ ათ. ლარი}$$

დაუშვათ საგეგმო კვარტლის დასაწყისში საბრუნავი საშუალებების მოთხოვნა შეადგენს 3836 ათას ლარს. (იანვარში იგივე მეთოდით, როგორც საბრუნავი სახსრების მოთხოვნა).

საბრუნავი საშუალებების ნამატი: $5034-3836 = 1198$ ათ. ლარი.

საბრუნავი საშუალებების საჭირო რაოდენობის შესაცვლად წარმოება იყენებს საკუთარ საბრუნავ საშუალებებს, ასევე ნასესხებ და სხვა სახსრებს, რომლებიც დროებით შეიძლება გამოყენებულ იქნას ამ მიზნით.

7.3. საბრუნავი საშუალებების გამოყენების ეფექტიანობის შეფასება.

საწარმოების, გაერთიანებებისა და ფირმების საბრუნავი საშუალებები საკმაოდ დიდი რესურსებია ქვეყნისათვის. სამრეწველო წარმოების განუხრელ ზრდასთან ერთად საბრუნავი საშუალებების სიდიდე უწყვეტად იზრდება. 1990 წელს 1980 წელთან შედარებით მრეწველობაში იგი 2,0-ჯერ გაიზარდა.

საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლება განსაზღვრავს საბრუნავი საშუალებების ეკონომიურად გამოყენების აუცილებლობას მრეწველობის ყველა დარგში.

საბრუნავი საშუალებების გამოყენების ეფექტიანობის ამაღლება ნიშნავს ფულადი რესურსების გამოთავისუფლებას. დიდი მნიშვნელობა ენიჭება მატერიალური საბრუნავი საშუალებების გამოყენების ეფექტიანობის ამაღლებას, რადგანაც ამ დროს ხდება არა მარტო ფულადი, არამედ მატერიალური რესურსების გამოთავისუფლებაც, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს პროდუქციის კვლავწარმოებისათვის.

საბრუნავი საშუალებების ეფექტიანი გამოყენების უმნიშვნელოვანეს მარკენებლებს წარმოადგენენ საბრუნავი საშუალებების ბრუნვის პერიოდი და ბრუნვათა რიცხვი. რაც უფრო ჩქარა ხდება წრებრუნვა, მით უფრო ნაკლები რაოდენობა სასაქონლო-მატერიალური ფასეულობისა და ფულადი რესურსებისა ემსახურება კვლავწარმოების პროცესს.

საბრუნავი საშუალებების გამოყენების ეფექტიანობა ხასიათდება სამი ძირითადი მაჩვენებლით.

ბრუნვადობის კოეფიციენტი, რომელიც განისაზღვრება რეალიზებული პროდუქციის (საბითუმო ფასებში) შეფარდებით საბრუნავი საშუალებების საშუალო ნაშთზე:

$$K_0 = P / C_0$$

სადაც: K_0 - საბრუნავი საშუალებების ბრუნვადობის კოეფიციენტი;

P - რეალიზებული პროდუქციის მოცულობა, ლარ.;

C_0 - საბრუნავი საშუალებების საშუალო ნაშთია, ლარ.

ბრუნვადობის კოეფიციენტი გვიჩვენებს საბრუნავი საშუალებების ბრუნვათა რიცხვს გარკვეული პერიოდის განმავლობაში, ან რეალიზებული პროდუქციის მოცულობას საბრუნავი საშუალებების 1 ლარზე. ფორმულიდან

ჩანს, რომ ბრუნვათა რიცხვის ზრდა იწვევს პროდუქციის წარმოების ზრდას საბრუნავი საშუალებების 1 ლარზე ან სხვაგვარად პროდუქციის იმავე მოცულობის წარმოებისათვის ნაკლები საბრუნავი საშუალებების საჭირო.

საბრუნავი საშუალებების დატვირთვის კოეფიციენტი. K_e იგი ბრუნვადობის კოეფიციენტის შებრუნებული სიდიდეა და გვიჩვენებს 1 ლარის ღირებულების რეალიზებულ პროდუქციაზე დახარჯულ საბრუნავ საშუალებებს.

$$K_e = C/P_n$$

სადაც K_e - საბრუნავი საშუალებების დატვირთვის კოეფიციენტი. ერთი ბრუნვის ხანგრძლივობა დღეებში - ინვარიანტი საანგარიშო პერიოდში კალენდარული დღეთა რიცხვის (360, 90, 30) შეფარდებით ბრუნვადობის კოეფიციენტთან

$$T = D / K$$

სადაც D დღეთა რიცხვია საანგარიშო პერიოდში.

საწარმოს ამოცანაა ბრუნვის ხანგრძლივობის შემცირება, რაც უფრო ნაკლებია ბრუნვის პერიოდი მით მეტია წელიწადში ბრუნვათა რიცხვი და ნაკლებია საბრუნავ საშუალებებისათვის საჭირო სახსრები.

საბრუნავი საშუალებების გამოყენების ეფექტიანობა გამოიხატება ბრუნვიდან მათი გამონთავისუფლებით ან სახსრების იგივე მოცულობით მეტი პროდუქციის წარმოება და რეალიზაცია. არჩევენ საბრუნავი სახსრების აბსოლუტურ და შეფარდებით გამონთავისუფლებას.

აბსოლუტური გამონთავისუფლება ნიშნავს საჭირო საბრუნავი საშუალებების შემცირებას. ამ დროს მხედველობაში არ მიიღება პროდუქციის რეალიზაციის მოცულობა. მაგალითად 1998წ. საბრუნავი საშუალებები საჭირო იყო 1,0 მლნ ლარის, ხოლო 1999 წელს 0,95 მლნ ლარის მაშინ აბსოლუტური გამონთავისუფლება შეადგენს 0,5 მლნ ლარს.

შეფარდებითი გამონთავისუფლება გამოიხატება, როგორც პროდუქციის რეალიზაციის, ისე საბრუნავი სახსრების ცვლილებაში. რომ გავიანგარიშოთ იგი, საჭიროა გავიანგარიშოთ საბრუნავ სახსრებზე მოთხოვნილება საანგარიშო წელში, ამავე პერიოდში პროდუქციის რეალიზაციის ფაქტიური ბრუნვისა და წინა წლის (დღეებში) ბრუნვის მიხედვით.

მაგალითად, საწარმოში რეალიზაციის მოცულობა 1998 წელს შეადგენდა 3,6 მლნ ლარს, 1999 წელს – 4,0 მლნ ლარს. საბრუნავი საშუალებების საშუალო ნაშთი 1998 წ. – 1,0 მლნ ლარს, 1999 წ. – 0,95 მლნ ლარს. ბრუნვადობა დღეებში 1998 წ. შეადგენს $(1.0 \times 360) / 3.6 = 100$ დღე. საბრუნავი საშუალებების მოთხოვნილება 1999 წ., 1998 წლის ბრუნვადობისა და რეალიზაციის პირობებში იქნება $(4.0 \times 100) / 360 = 1.11$ მლნ ლარი. თუ გავითვალისწინებთ, რომ 1998 წ. საბრუნავი საშუალებების საშუალო წლიური ნაშთი შეადგენდა 0.95 მლნ ლარს, შეფარდებითი გამონთავისუფლება შეადგენს 160 ათას ლარს.

n - ნაშთების რიცხვი განსახილველ პერიოდისათვის.

1998 წ. მთლიანად მრეწველობაში საბრუნავი საშუალებების წრე-ბრუნვის სიჩქარე შეადგენდა დაახლოებით 4,1 ბრუნვას, ე.ი. პროდუქციის ღირებულების 25% მოქცეული იყო ბრუნვაში, ხოლო ერთი ბრუნვის ხანგრძლივობა 90 დღეს უდრიდა.

საბრუნავი საშუალებების ბრუნვათა რიცხვის ზრდა, შესაძლებელია შემდეგი გზებით:

1. სასაქონლო – მატერიალურ ფასეულობათა რეზერვების შემცირება;
2. წარმოების და პროდუქციის რეალიზაციის მოცულობის გაზრდით საბრუნავი საშუალებების შეუცვლელად;
3. წარმოების მოცულობის უფრო სწრაფი ზრდით საბრუნავი საშუალებების ზრდასთან შედარებით.

საბრუნავი საშუალებების ბრუნვადობის დაჩქარების უმნიშვნელოვანეს პირობას წარმოადგენს იმ ღონისძიებათა ჩატარება, რომლებიც უზრუნველყოფენ საბრუნავი საშუალებების გამოყენების გაუმჯობესებას მისი წრე-ბრუნვის ყველა სტადიაზე.

საბრუნავი საშუალებების რაოდენობა საწარმოო რეზერვებში შეიძლება შემცირდეს მათი ბრუნვის ხანგრძლივობის, ან წარმოების მიერ მათზე მოთხოვნის შემცირებით, ან პროგრესული ტექნოლოგიის დანერგვით და მატერიალური დანახარჯების შემცირებით.

რეზერვების უფრო სწრაფი განახლება შესაძლებელია მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების სრულყოფით, ტრანსპორტირების დაჩქარებით და მისი ხარჯების შემცირებით, ავტომატიზაციისა და მექანიზაციის გამოყენების საფუძველზე სასაწყობო მუერნეობის ორგანიზაციის გაუმჯობესებით, ელექტრონულ-გამოთვლითი ტექნიკის გამოყენებით.

დაუმთავრებელი წარმოების სტადიაში საბრუნავი საშუალებების ბრუნვადობის დაჩქარება ძირითადად მიიღწევა მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესით, საწარმოო ციკლის ხანგრძლივობის შემცირებით, დიპოქცივის ეტაპზე კი საბრუნავი საშუალებების ბრუნვის სიჩქარის გაზრდა შეიძლება საწყობებში მზა პროდუქციის მარაგის შემცირებით და მომხმარებელთან ანგარიშსწორების დროის შემცირებით.

საბრუნავი საშუალებების გამოყენების ეკონომიკური ეფექტიანობის მაჩვენებლებია:

1. ნორმირებული საბრუნავი საშუალებების შეფარდებითი ეკონომია (ლარ)

$$\Phi_{\text{ს}} = \Phi_{\text{ს}} \times L \times Q_{\text{სსა}} - \Phi_{\text{ს}}$$

სადაც: $\Phi_{\text{ს}}$ და $\Phi_{\text{ს}}$ ნორმირებული საბრუნავი საშუალებების საშუალო წლიური ღირებულებაა საბაზო და საგეგმო პერიოდებში (ლარ);

$L \times Q_{\text{სსა}}$ - სასაქონლო პროდუქციის მოცულობის ზრდის ინდექსი.

2. ნორმირებული საბრუნავი საშუალებების ერთ ლარზე სასაქონლო პროდუქციის წარმოება

$$\Phi_{\text{ს}} = Q_{\text{ს}} / \Phi_{\text{ს}}$$

სადაც $Q_{\text{ს}}$ -სასაქონლო პროდუქციის მოცულობაა (ლარ).

3. ნორმირებული საბრუნავი საშუალებების ნამატის შეფარდება საქონელ-პროდუქციის ნამატზე:

$$L = \Phi / Q$$

სადაც Φ -ნორმირებული საბრუნავი საშუალებების ნაზრდია (%);

$Q_{\text{ს}}$ -სასაქონლო პროდუქციის ნაზრდი (%-ში).

(ეს მაჩვენებელი ახასიათებს წარმოების პროცესში მოხმარებული მატერი-ალური რესურსების ეფექტური გამოყენების დინამიკას.)

7.4. საბრუნავი საშუალებების დაფინანსების წყაროები.

საბრუნავი საშუალებების დაფინანსების წყაროებია მოგება, კრედიტი (ბანკის, კომერციული ანუ განადღების განვადება), სააქციო საწესდებო კაპიტალი, საპაიო შენატანები, ბიუჯეტის სახსრები, რესურსების გადა-ნაწილება, (სადაზღვეო), კრედიტორთა სახსრების დროებით გამოყენება და სხვა.

კრედიტორული დავალიანება ნიშნავს სხვისი სახსრების გამოყენებას, რომელიც არ ეკუთვნის ამ წარმოებას. მაგალითად კონსიგნაციის წესით შესყიდული საქონლის ღირებულება, რომელთა გადახდის ვადა ჯერ არ დამდგარა, გადაუხდელი ანგარიშები, რომელთა გადახდის ვადა დამდგარია, ბიუჯეტის დავალიანება, კომერციული კრედიტი, ხელფასის დავალიანება, მასზე დანარიცხები და სხვა.

კრედიტორული დავალიანება მუდმივად წარმოების განკარგულებაშია. დაეუშვათ წარმოებას აქვს ხელფასისა და მასზე დანარიცხების დავალიანება.

ხელფასის დავალიანების მინიმალური თანხა იანგარიშება:

$$\text{ჰმნ } \Phi \times A / 90$$

სადაც Φ - ხელფასის მინიმალური დავალიანებაა (ლარი);
 Φ - ხელფასის გეგმიური ფონდი კვარტალში (ლარი);
 A - დღეთა რაოდენობა კვარტლის დასაწყისიდან ხელფასის გაცემის დღემდე.

მაგალითად შრომის ანაზღაურების ფონდი გეგმით - 5700 ლარი.

ხელფასი გაიცემა ყოველი თვის 4 რიცხვში. ე.ი. $A = 3$, მაშინ:

$$\text{ჰმნ } 5700 \times 3 / 90 = 190 \text{ ლარს.}$$

ხელფასზე დანარიცხები იანგარიშება ნორმატივებით, რომელიც დადგენილია მთავრობის მიერ. საქართველოში იგი 1998 წლისათვის შეადგენს: სოცდაზღვევის ანარიცხები - 27%. დასაქმების ფონდი - 1%. აუცილებელი სამედიცინო ფონდი - 3%. სულ - 31%.

ხელფასზე დანარიცხები ტოლია $190 \times 31/100 = 58,9$ ლარს

$$\text{სულ: } 190 + 58,9 = 248,9 \text{ ლარს.}$$

კრედიტორული დავალიანების ნაზრდი მუდმივად იმყოფება წარმოების განკარგულებაში და წარმოადგენს საბრუნავი საშუალებების ფინანსირების წყაროს. საბრუნავი სახსრების დანარჩენი თანხა ფინანსირდება მოგების ხარჯზე.

საბრუნავი საშუალებების გამოყენების ეფექტიანობა გავლენას ახდენს წარმოების ფინანსურ შედეგებზე. მისი ანალიზის დროს გამოიყენება შემდეგი მაჩვენებლები: საკუთარი საბრუნავი საშუალებები, საკუთარი და ნასესხები რესურსებს შორის შეფარდება, საწარმოს გადახდის უნარიანობა, ლიკვიდობა და ბრუნვალობა.

საკუთარი საბრუნავი საშუალებების მოცულობა და ასევე საკუთარ და ნასესხებს შორის შეფარდება გვიჩვენებს ფინანსური მდგრადობის დონეს.

საწარმოს გადახდის უნარიანობა არის მისი უნარი დროულად გაანაღდოს წაყენებული ვალები. იგი განისაზღვრება სპეციალური კოეფიციენტებით.

საწარმოს გადახდის უნარიანობა გამოიხატება მის ლიკვილობაში – მის უნარში ნებისმიერ მომენტში გაიღოს დანახარჯები. ლიკვილობა დამოკიდებულია დავალიანებისა და ლიკვიდური თანხების მოცულობაზე, რომელსაც ჩვეულებრივ მიაკუთვნებენ ფულად სახსრებს, (სალაროში და ანგარიშებზე), ფასიან ქაღალდებს და ადვილად რეალიზებად საბრუნავ საშუალებებს.

მიმდინარე ლიკვილობა განისაზღვრება წარმოების საბრუნავი საშუალებების თანხის შეფარდებით მოკლევადიან დავალიანებასთან (1 წლამდე). საშუალოდ მათი შეფარდება უნდა უდრიდეს 2-ს. ე.ი. საბრუნავი საშუალებების თანხა, რომელიც წარმოებას რეალურად გააჩნია 2-ჯერ უნდა აღემატებოდეს მოკლევადიან დავალიანებებს.

7.5. საბრუნავი საშუალებების მართვის გაველენა საწარმოს მუშაობის საბოლოო მაჩვენებლებზე.

საბრუნავი საშუალებების მართვის ეფექტიანობა დიდ გავლენას ახდენს საწარმოს საფინანსო შედეგებზე.

ერთის მხრივ საჭიროა არსებული რესურსების რაციონალური გამოყენება, რაც გულისხმობს რესურსების ოპტიმიზაციას – საწარმოო მარაგების და დაუმთავრებელი წარმოების მარაგების შემცირებას, გაანგარიშების ფორმების სრულყოფას.

მეორეს მხრივ საწარმოს აქვს თავისუფალი არჩევანი თვითღირებულებაში დანახარჯების მიკუთვნებაში და რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლის განსაზღვრაში დაბეგერის მიზნით და სხვა.

მაგალითად, მოთხოვნილებისა და ტყიდვების მოცულობათა მიხედვით საწარმოს შეუძლია აირჩიოს დანახარჯების ინტენსიური ჩამოწერა ან მათი თანაბარი განაწილება გარკვეულ პერიოდში. უნდა შეირჩეს

ისეთი ვარიანტი, რომელიც წარმოებისათვის იქნება ხელსაყრელი თვით-
ღირებულების, მოგებისა და ბეგარის რეგულირების მიზნით.

მკირეფასიანი ინვენტარის და ინსტრუმენტის (რომელთა ღირებულება
ამჟამად მოქმედი ნორმატივებისა არ აღემატება 150 ლარს) ცვეთა მისი
ღირებულების 50% შეიძლება ერთდროულად მიეკუთვნოთ თვითღირე-
ბულებას, სხვა შემთხვევაში შეიძლება ერთჯერადად მისი ღირებულების
100% ჩამოწრა.

წარმოების ყველაზე მნიშვნელოვანი საბრუნავი საშუალებათაგანია
საწარმოო მარაგები. მათი ხვედრითი წილი საბრუნავ საშუალებებში
50%-ზე მეტია, ამიტომ მათი რაციონალური გამოყენება ღიდ გაეღუნას
ახლენს საწარმოს ფინანსური შედეგების ფორმირებაზე. მარაგების ზრდა
შეიძლება გამოწვეული იყოს მზა პროდუქციის ნაშთების ზრდით, რაც
ორმხრივ მოქმედი ფაქტორია. ჯერ ერთი, მზა პროდუქციის ნაშთი ზრდის
მარაგების საერთო მოცულობას და, მეორეს მხრივ, იგი იწვევს წარმოების
შეჩერებას და ნედლეულისა და მასალების მარაგების დაყოვნებას საწ-
ყობებში. მზა პროდუქციის ნაშთების ზრდის მიზეზი შეიძლება იყოს
დაბალი ხარისხი, ტექნოლოგიის დარღვევა, რეალიზაციის არასწორი
მეთოდების შერჩევა, ბაზრისა და კონიუნქტურის შესწავლის დაბალი
ღონე. მარაგების ზრდა ზრდის ზარალს, ვინაიდან იზრდება ხარჯი
მათ შენახვაზე. ბრუნვიდან გამოღის ლიკვიდური საშუალებები; იზრდება
მათზე ფასების დაცემის საფრთხე და მათი სამომხმარებლო თვისებების
გაუარესება იწვევს მომხმარებლის დაკარგვას.

მატერიალურ-საწარმოო მარაგები წარმოებაში შეიძლება აღრიცხულ
იქნას ორი მეთოდით — საბაზრო ფასით და თვითღირებულებით. მარა-
გების ფასები საწარმოში მუდმივი არაა, იგი იცვლება გარკვეული
ღრძაფს განმავლობაში, მეორეს მხრივ შექმნის დროის მიხედვით ერთი
და ოგივე საქონელი სხვადასხვა ფასით აღირიცხება. ამიტომ მარაგების
ღიდი რაოდენობის შემთხვევაში წამოიჭრება მათი ერთიანი ფასით აღ-
რიცხვის პრობლემა, ამასთან დაკავშირებით ძნელდება საქონლის ფაქტიური
თვითღირებულების განსაზღვრა საწყობში და გადაამუშავების პროცესში.
ამ პრობლემის გადასაწყვეტად უნდა მივიღოთ პირობითი დაშვება, რომ
წარმოების პროცესში გადასამუშავებლად გადაეცემა მარაგების არა
ფიზიკური ერთეულები არამედ ღირებულება. თანახმად ამისა მარაგების
აღრიცხვისათვის გამოიყენება შემდეგი მეთოდები: თითოეული შესყიდული

საქონლის თვითღირებულებით (საშუალო შეწონილი) და მცურავი საშუალო. პირველ მეთოდს შესყიდვის დროის თვითღირებულების მიხედვით უწოდებენ „ლიფო“-ს.

თითოეული საქონლის შესყიდული თვითღირებულებით აღრიცხვის მეთოდი ეს არის მათი მოძრაობის აღრიცხვა ფაქტიური თვითღირებულების მიხედვით. ეს მეთოდი საკმაოდ ართულებს აღრიცხვას, ამიტომ მიუხედავად მისი სიზუსტისა იგი გამოიყენება მხოლოდ იმ კომპანიების მიერ რომლებიც აწარმოებენ სპეციალური შეკვეთით ან აწარმოებენ მცირე პარტიებად ძვირადღირებულ საქონელს, მაგალითად საიუველირო ნაწარმი, ავტომობილები და ზოგიერთი ავეჯი.

მარაგების საშუალო თვითღირებულებით აღრიცხვა ხდება საშუალო სიდიდითა განსაზღვრული ფორმულის გამოყენებით, რომელიც ხასიათდება სიმარტივით და გაანგარიშების ობიექტურობით.

მარაგების შეფასება „ფიფო“-ს მეთოდით გამოიყენება იმ დაშვებით, რომ მარაგები გამოიყენება იმ თანმიმდევრობით, როგორც ისინი შეისყიდება, ე.ი. პირველად წარმოებას გადაცემული მარაგები ფასდება დროის მიხედვით პირველი შესყიდვის თვითღირებულებით.

შეფასების წესი დამოკიდებული არ არის მათი ფაქტიური ხარჯვის თანმიმდევრობაზე. გასაანგარიშებლად გამოიყენება ფორმულა:

$$P=H+\Pi-K,$$

- სადაც P- დახარჯული მასალების ღირებულებაა;
- H- მასალების ნაშთი პერიოდის დასაწყისში;
- Π - მიღებული მასალების ღირებულება;
- K მასალების ნაშთი პერიოდის ბოლოს.

მასალების ნაშთები საანგარიშო პერიოდის ბოლოს ფასდება ბოლო შესყიდვის ფასით:

$$K=V \times \Pi,$$

სადაც V - მასალების რაოდენობაა ნატურალურ გამოსახულებაში საანგარიშო პერიოდის ბოლოს;

Π - ბოლო შესყიდვის ფასი.

მაგალითი: საანგარიშო პერიოდის ბოლოს ქსოვილის ნაშთი საწყობში იყო 1000 მეტრი, ბოლო შესყიდვის ფასი 40 ლარი, პერიოდში მიღებული იყო 2000 ლარი პერიოდის დასაწყისში ნაშთი - იყო 50000 პერიოდის ბოლოს ნაშთი იქნება:

$$C = 40 \times 1000 = 40000 \text{ ლარი,}$$

მასალების ხარჯის გაანგარიშება „ფიფო“-ს მეთოდით:

$$P = H + \Pi - K = 50000 + 2000 - 40000 = 12000 \text{ ლარი.}$$

ეს მეთოდი საშუალებას იძლევა ფასების ზრდის შემთხვევაში გაეზარდოს მარაგების ნაშთები, რის შედეგადაც იზრდება აქტივები, ამასთან იზრდება ქონებაზე გადასახადი. თვითღირებულება კი მცირდება ე.ი. იზრდება მოგება და მოგების გადასახადი.

ამ მეთოდის გამოყენების დროს პრაქტიკულად მარაგები ფასდება მათი თვითღირებულებით, ბოლო რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულებაში შედის წინა შესყიდვის ფასები. ამის შედეგად საწარმოს შეუძლია გაზარდოს პროდუქციის რეალიზაციის ფასები მარაგზე ფასების ზრდის საფუძველზე, მიუხედავად იმისა, რომ ამ პროდუქციის წარმოებაზე გამოყენებული იყო ფასების ზრდამდე შებენილი მარაგები. რეალიზებულ პროდუქციაზე ფასების ზრდის გარეშე „ფიფო“-ს მეთოდის გამოყენებით წარმოების მოგება შეფარდებით იზრდება.

„ლიფო“-ს მეთოდის არსი მდგომარეობს იმაში, რომ წარმოებაში მარაგების შემოსვლა ფასდება ბოლო დროს შესყიდვის ღირებულებით, ხოლო პერიოდის ბოლოს მარაგების თვითღირებულება განისაზღვრება ყველაზე ადრე შესყიდული მარაგების ფასებით.

მაგალითი. ქსოვილის ნაშთი პერიოდის ბოლოს – 100 მ. პირველი შესყიდვის ფასი 80 ლარი.

$$A = 100 \times 80 = 8000 \text{ ლარი,}$$

საწყისი ნაშთი 50 000 ლარი,

მიღება 2000 ლარი,

$$P = 50000 + 2000 - 8000 = 44000 \text{ ლარი,}$$

ე.ი. თვითღირებულებაზე ამ შემთხვევაში ჩამოიწერება უფრო მეტი, ვიდრე „ფიფო“-ს მეთოდით.

„ლიფო“-ს მეთოდი საშუალებას იძლევა ზუსტად განსაზღვროს რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება და რეალიზაციიდან მიღებული წმინდა მოგება, მაგრამ არასწორად ფასდება მარაგების ღირებულება პერიოდის ბოლოს. „ფიფო“-ს მეთოდისაგან განსხვავებით „ლიფო“ უზრუნველყოფს მიზდინარე ხარჯებსა და შემოსავლებს შორის ურთიერთკავშირს და საშუალებას იძლევა გავაწონასწოროთ ინფლაციის გავლენა. ამავე დროს ფასების ზრდის დროს მოგება, რომელიც საწარმოთა ანგარიშებშია ასახული რამდენადმე შემცირებულია.

საწარმოს დამოუკიდებლად შეუძლია აირჩიოს ერთერთი ამ მეთოდ-
თაგანი. ზოგიერთი ფირმა სკეპტიკურად უყურებს „ლიფო“-ს მეთოდს,
ვინაიდან იგი მნიშვნელოვნად ამცირებს მოგებას, განსაკუთრებით ფასების
ზრდის დროს. ამიტომ, მიუხედავად იმისა, რომ „ლიფო“-ს მეთოდი
უზრუნველყოფს გადასახადებს კომპანიები ზოგჯერ უარს ამბობენ მის
გამოყენებაზე იმ მიზნით, რათა აჩვენონ უფრო მაღალი მოგება, ვინაიდან
მას შეუძლია მოახდინოს ნეგატიური გავლენა ფირმის საფინანსო
ბაზარზე. კერძოდ, ფირმის ფასიანი ქაღალდების კოტირების მაჩვენებელია
წმინდა მოგება 1 აქციაზე მიმოქცევაში.

საფინანსო ბაზარი ამ მეთოდების გამოყენების შემთხვევაში აიძულებს
ფირმას იქონიოს განსაზღვრული მოგება. ამისათვის შეიძლება შეიქმნას
ისეთი სიტუაცია, როცა ფირმა მოგების მიზნით შეეცდება გაყიდოს
მისი საწარმოო მარაგები. თუ ეს მარაგები ვერ განათავსა დროულად,
მაშინ გაიზრდება მოგება, რაც გაზრდის ფირმის გადასახადებს.

საბრუნავი საშუალებების გამოყენების ამოცანაა მინიმალური
კაპიტალის დანახარჯით მივიღოთ მაქსიმალური მოგება და შევინარჩუნოთ
მაღალი გადახდის უნარიანობა. ფულადი სახსრები განთავსებული უნდა
იქნას სხვადასხვა საბრუნავ და არასაბრუნავ აქტივებში უფრო ნაკლები
ლიკვიდობით, ვიდრე თვით კაპიტალი. ფირმას ანგარიშსწორების
ანგარიშზე უნდა ქონდეს გარკვეული ფულადი სახსრები გადახდის
უნარიანობის შენარჩუნების თვალსაზრისით. ეს არის თანხა, რომელიც
ბრუნვიდან ამოიღო ფირმამ მიმდინარე გადასახდელებისათვის.

თავი VIII სამრეწველო საწარმოს ფინანსური მეურნეობა

8.1. საწარმოს ფინანსების არსი და ფუნქციები.

ფინანსები – ფულადი ურთიერთობის სისტემაა, რომელიც გვიჩვენებს ფულადი ფონდების ფორმირებას და გამოყენებას მისი წრებრუნვის პროცესში.

სახელმწიფო საფინანსო სისტემა სამ კატეგორიად იყოფა: სახელმწიფო ფინანსები, რეგიონული და საწარმოს (ფირმის) ფინანსები.

სახელმწიფო ფონდებს მიეკუთვნება: სახელმწიფოს ბიუჯეტი და არასაბიუჯეტო ფონდები, (მოსახლეობის დასაქმების ფონდი, სამედიცინო დაზღვევის ფონდი და სოცურუნველყოფის სახელმწიფო ფონდი).

რეგიონურ ფონდებს მიეკუთვნება ქალაქებისა და ადმინისტრაციული რეგიონების ფონდები.

საწარმოს ფინანსებს წამყვანი ადგილი უკავია ქვეყნისა და რეგიონების ბიუჯეტების ფორმირებაში. საწარმოს ფინანსების ფუნქციებია ფულადი სახსრების განაწილება და კონტროლი. ფინანსების საშუალებით ხდება საწარმოს ფულადი შემოსავლებისა და ფონდების ფორმირება და გამოყენება. ფინანსები, როგორც ეკონომიკური კატეგორია უშუალო კავშირშია წარმოების სხვა ეკონომიკურ კატეგორიებთან, როგორცაა თვითღირებულება, ხელფასი, მოგება, კრედიტი. მისი საშუალებით ხდება სამეურნეო და ფინანსური საქმიანობის რეგულირება და კონტროლი წარმოების ყველა სტადიაზე. იგი ამავე დროს ასრულებს წარმოებისა და მის მუშაკთა მასტიმულირებულ როლს. ფინანსური კონტროლი საწარმოში ხორციელდება ბუღალტრული, სტატისტიკური და ოპერაციული ანგარიშების მარკენებელთა საფუძველზე. განსხვავებით ეკონომიკის ცენტრალიზებული მართვის სისტემისაგან, საბაზრო ეკონომიკაში ფინანსების მართვა ხორციელდება ეკონომიკური ბერკეტებისა და სტიმულების მეშვეობით (შეღავათები, ბეგარა და სხვა).

საწარმოს ფინანსების ორგანიზაციას საფუძველად უდევს შემდეგი პრინციპები: დამოუკიდებლობა სამეურნეო-ფინანსურ საქმიანობაში, თვითღაფინანსება, დაინტერესება მუშაობის შედეგებში,

- პასუხისმგებლობა საქმიანობის შედეგებზე;
- ფინანსური რეზერვების შექმნა;
- სახსრების დაყოფა საკუთარ და ნასესხებ სახსრებად;

– ბიუჯეტისა და არასაბიუჯეტო ვალდებულებათა პირველ რიგში დაფარვა;

– საწარმოს გადახდისუნარიანობაზე კონტროლი.

საწარმოს ფულადი ურთიერთობა შეიძლება დავყოთ შემდეგ ჯგუფებად:

კონტრაგენტებთან, პროდუქციის მომხმარებლებთან, სადაზღვევო ორგანიზაციებთან, ბანკებთან, სახელმწიფოსთან, ზემდგომი მართვის სტრუქტურულ ორგანოებთან.

კონტრაგენტებთან – პირველადი შემოსავლების ფორმირებაში. წარმოების შიგა მიზნობრივი ფონდების ფორმირებისა და გამოყენებისათვის (საწესდებო კაპიტალი, წარმოების გაფართოების ფონდი, მატერიალური წახალისებისა და სოცკულტურული ღონისძიებათა ფონდი და სხვა);

საწარმოებთან – ფინანსების განაწილებაში, ფინანსების რესურსების მოძრაობა ხდება ფონდების გარეშე ფორმით (ჯარიმების, საურავებისა და სანქციების გადახდა, მოგების განაწილება, საქმიანი ქალაქების შექმნა, დივიდენდების განაწილება და სხვა);

სადაზღვევო ორგანიზაციებთან – აუცილებელი და ნებაყოფლობითი დაზღვევა, საბანკო სისტემასთან – სალაროს მომსახურება, სესხის მიღება – დაფარვა, პროცენტის გადახდა;

სახელმწიფოსთან – ბიუჯეტისა და არასაბიუჯეტო ფონდების შექმნისა და გამოყენების მხრივ. ამ ჯგუფის ურთიერთობა ხდება ბიუჯეტში და ბიუჯეტგარეშე შენატანების, სხვადასხვა გადასახადებისა და საწევროების გზით. მეორეს მხრივ ხდება ბიუჯეტიდან სხვადასხვა მიზნობრივი პროგრამების დაფინანსება;

ზემდგომი ორგანოების მიმართებაში ურთიერთობა მყარდება, როგორც „პორიზონტალურად“ ისე „ვერტიკალურად“, ფინანსური რესურსების შიგა დარგობრივი გადანაწილებით საწარმოთა შორის.

ყველა აღნიშნულ ჯგუფებთან ურთიერთობა შეადგენს საწარმოს ფინანსების წარმოქმნისა და მისი განაწილების სისტემას. როგორც საწარმოს გარე სუბიექტებთან, ისე მის შიგნით წარმოების გაფართოების, საწარმოს მუშაკთა სოციალური და მატერიალური უზრუნველყოფისთვის ფინანსური დანახარჯების დაფარვის მიზნით.

ფინანსური შექანიზმი – ეს არის 5 ურთიერდაკავშირებული ელემენტი, რომლებიც უზრუნველყოფენ ფინანსური რესურსების ორგანიზაციას, დაგეგმვას და სტიმულირებას. მათ მიეკუთვნება დაფინანსების

მეთოდები, ფინანსური ბერკეტები, სამართლებრივი, ნორმატიული და ინფორმაციული უზრუნველყოფა.

ფინანსური მეთოდები – ეს არის საფინანსო ურთიერთობის ზემოქმედება სამეურნეო პროცესებზე, რომელიც ორი მიმართულებით მოქმედებს ერთის მხრივ საბაზრო ურთიერთობაზე დანახარჯებისა და შედეგების შეფასებისა და, მეორეს მხრივ, ფულადი სახსრების ეფექტიანი გამოყენების სტიმულირებისათვის. წარმოების მასშტაბით მისი ფუნქცია არის დანახარჯებისა და საფინანსო სამეურნეო საქმიანობის შეფასება. კომერციული გაანგარიშების ამოცანაა მინიმალური დანახარჯებით მაქსიმალური შედეგის მიღება.

საკანონდებლო უზრუნველყოფა გულისხმობს ფინანსური მექანიზმის ფუნქციონირებისათვის კანონების, დადგენილებების, ბრძანებისა და სხვა დოკუმენტების შემუშავებას.

ნორმატიული უზრუნველყოფა – გულისხმობს ფინანსური მექანიზმის ფუნქციონირების უზრუნველყოფას ნორმატიული აქტებით, ინსტრუქციებით, სატარიფო განაკვეთებით, მეთოდური მითითებებით და სხვა.

ინფორმაციული უზრუნველყოფა – აქ იგულისხმება სხვადასხვა ეკონომიკური, კომერციული, ფინანსური და სხვა ინფორმაცია. ფინანსური ინფორმაცია მოიცავს პარტნიორებისა და კონკურენტების ფინანსურ მდგომარეობას, მათ გადახდისუნარიანობას, ბირჟებზე მდგომარეობას.

ზოგიერთი ინფორმაცია (მაგალითად მომწოდებელზე და მომხმარებელზე) შეიძლება იყოს ინტელექტუალური საკუთრების (ნოუ-ხაუ) სახეობის და შეიძლება შეტანილი იყოს იგი საწესდებო კაპიტალში.

0.2. საწარმოს ფინანსური რესურსები.

ფინანსური რესურსები – ეს არის წარმოების განკარგულებაში არსებული ფულადი სახსრები, მიმდინარე დანახარჯების, წარმოების კვლავწარმოების, ფინანსური ოპერაციებისა და მომუშავეთა მატერიალური სტიმულირებისათვის.


ფინანსური რესურსები წარიმართება ასევე არასაწარმოო სფეროს მოხმარების, დაგროვების, სპეცსარეზერვო ფონდების შესაქმნელად. მისი ფორმირების წყაროებია: საკუთარი, ნასესხები ანუ მასთან გათანაბრებული, საფინანსო ბაზარზე მობილიზებული და გადანაწილებით მიღებული სახსრები.

საფინანსო რესურსების პირველდაწყებითი ფორმირება ხდება საწარმოს დაფუძნებისას საწესდებო კაპიტალის სახით. საწესდებო კაპიტალი – ეს არის საწარმოს ქონება, რომელიც შექმნილია დამფუძნებელთა მიერ. მოქმედი კანონით დადგენილია საწესებო კაპიტალის მინიმალური ოდენობა.

ფინანსური რესურსებს მიეკუთვნება საწესდებო, სარეზერვო და სხვა კაპიტალი; გრძელვადიანი სესხი, კრედიტორული დავალიანება (გადაუხდელი ბიუჯეტისა და არა საბიუჯეტო ორგანიზაციათა დავალიანებები, მყიდველებისა და მომწოდებლების დავალიანება, მომუშავეებზე გაუცემული ხელფასი).

საწარმოს შეუძლია დამატებითი ფინანსური სახსრები მოიპოვოს ფინანსურ ბაზარზე აქციებისა და ობლიგაციების გაყიდვით. ფასიანი ქაღალდების დივიდენდებისა და ფინანსური ოპერაციებიდან, კრედიტებიდან. საწარმოს ასევე შეუძლია მიიღოს ფინანსები ასოციაციებიდან, კონცერნებიდან, რომლებშიც ისინი შედიან; ზემდგომი ორგანიზაციებიდან; ბიუჯეტიდან სუბსიდიების სახით; სადაზღვევო კომპანიებიდან. (იხ. ნახ. 8.1.)

საწარმოს საფინანსო რესურსების სტრუქტურა:



ნახ. 8.1. საწარმოს ფინანსური რესურსების სტრუქტურა

საწარმოს ფინანსური რესურსები გამოყენება შემდეგი დანიშნულებით:

- მიმდინარე დანახარჯები პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციისათვის ;

- სახსრების ინვესტირება კაპიტალურ დანახარჯებზე, წარმოების გაფართოებისა და ტექნიკური გადაიარაღებისათვის;

- სახსრების ინვესტირება ფასიან ქალაქებში;

- ფინანსური გადასახადები, საბანკო სისტემებში, არასაბიუჯეტო ფონდებში შენატანები;

- სხვადასხვა ფულადი ფონდების და რეზერვების შექმნა (ეკსტიმულირებისა და სარეზერვო ფონდებისათვის);

- სკონსორებისა და სხვა თანხები.

საწარმოში ფინანსური რესურსების ძირითადი მასა იქმნება პროდუქციის რეალიზაციის შედეგად. პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებული ამონაგებიდან იწყება ფინანსური რესურსების ფორმირება და მისი განაწილება. ამონაგებიდან პირველ რიგში დაიჯარება ბიუჯეტში გადასახდელი, მეორე რიგში – წარმოების დანახარჯები. რის შედეგადაც დარჩენილი თანხა შეადგენს რეალიზაციიდან მიღებულ მოგებას, საიდანაც მოგების გადასახადის გადახდის შემდეგ მიიღება წმინდა მოგება.

8.3. პროდუქციის რეალიზაციიდან (მომსახურებიდან) მიღებული ამონაგები.

პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებული ამონაგები საწარმოს შემოსავლის ნაწილია და შედგება რეალიზებული პროდუქციის ღირებულებისაგან. მასში არ შედის საწარმოს შიგა ბრუნვა და პროდუქცია, რომელიც გადატვირთული არაა საანგარიშო პერიოდში. საწარმოს შემოსავლის მეორე ნაწილს შეადგენს წარმოების მიერ რეალიზებული ქონებით მიღებული შემოსავალი (ძირითადი ფონდების, ზედმეტი, გამოყენებელი ნედლეულისა და მასალების გაყიდვით მიღებული შემოსავლები, გარეშე ორგანიზაციებისადმი გარეული

მომსახურება და შესრულებული სამუშაოები, არენდით გაცემული ქონების, ერთობლივი საქმიანობიდან და ფასიანი ქაღალდების ოპერაციიდან მიღებული შემოსავლები). ასეთ შემოსავლებს უწოდებენ რეალიზაციის გარეშე შემოსავალს.

საწარმოს შემოსავლებში ძირითადია რეალიზაციიდან მიღებულ შემოსავლები. იგი დამოკიდებულია წარმოებული და რეალიზებული პროდუქციის მოცულობაზე, მის ასორტიმენტზე, ხარისხზე, ფასების დონეზე, გადატვირთვის რიტმულობაზე, ანგარიშსწორების ფორმებზე და სხვა.

რეალიზებული პროდუქციიდან მიღებული ამონაგები შეიძლება განესაზღვროთ ორი მეთოდით. პირველი – უნაღლო ანგარიშსწორების დროს მომხმარებლის მიერ ანგარიშსწორების ანგარიშზე ფულის ჩარიცხვით – ხოლო ნაღდ ანგარიშზე გაყიდვების დროს – ფულადი სახსრების სალაროში შეტანით და მეორე, პროდუქციის გადატვირთვის და ანგარიშსწორების დოკუმენტების წარდგენის ვადების მიხედვით.

პროდუქციის ანაზღაურების მიხედვით შემოსავლების განსაზღვრის დროს მოგება იქნება ნაკლები, ვიდრე გადატვირთვის მიხედვით მოგების განსაზღვრის შემთხვევაში. წინასწარი გადახდის დროს რეალიზაციიდან მიღებული მოგება იგივე იქნება, რაც გადატვირთვის მიხედვით განსაზღვრის დროს, როცა განაღდება ზდება მომდევნო პერიოდში და გამოიწვევს ფინანსურ დეფიციტს, ვინაიდან წარმოება წინასწარ იხდის მოგების, აქციებისა და დღგ–ს გადასახადს იმ პროდუქციაზე, რომლიც ჯერ კიდევ არაა განაღდებული.

საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით დანახარჯები და შემოსავლები განისაზღვრება მათი წარმოქმნის მიხედვით და არა ფულის შემოსვლის ან გადახდის დროით. ანუ გამოიყენება ამონაგების განსაზღვრა გადატვირთული პროდუქციის მეთოდით. რეალიზაციის მიხედვით ამონაგების განსაზღვრის დროს ირღვევა აღრიცხვის ძირითადი პრინციპი – ამონაგების მოცულობისა და პროდუქციის დამზადებაზე დანახარჯების შორის შესაბამისობა.

პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებულ ამონაგებზე მოქმედ ფაქტორთაგან უმნიშვნელოვანესია ფასწარმოქმნის მექანიზმი. საბოლოო ჯამში საქონლის ფასს განსაზღვრავს ბაზარი. მასზე ძირითად

გავლენას ახდენს მოთხოვნასა და მიწოდებას შორის შეფარდება და წარმოადგენს გამყიდველის სურვილსა და მომხმარებლის შესაძლებლობას შორის საშუალო სიდიდეს. მიუხედავად ბაზრის კანონზომიერებისა, ფასის ფორმირების ამოსავალ ბაზას წარმოადგენს პროდუქციის წარმოებაზე გაწეული დანახარჯებისა და მოგების ჯამი. იმ შემთხვევაში, თუ კალკულაციით მიღებული ფასი მეტი აღმოჩნდება, ვიდრე ბაზარზე მოქმედი ფასი, მაშინ წარმოებამ უნდა შეამციროს თვითღირებულება და თუ ამის შესაძლებლობა არაა, მაშინ უარი თქვას ასეთი პროდუქციის წაემოებაზე.

ყოველ საქონელზე წინასწარ გაიანგარიშება 2 ფასი – ერთი ნორმატიული მოგებისა და მეორე მინიმალური მოგების გათვალისწინებით. მინიმალურ მოგებაზე გაანგარიშებულმა ფასმა უნდა უზრუნველყოს წარმოების დანახარჯების დაფარვა.

ახალ-ასათვისებელ პროდუქციის ფასის გაანგარიშებისათვის კალკულაციური მეთოდის გარდა გამოიყენება ასევე: პარამეტრული, რომელიც ეყარება ნაწარმის ძირითად პარამეტრებზე (სიმძლავრეზე, ტვირთამწეობაზე, სიჩქარეზე და სხვა); სტატისტიკური, ანალოგიური და მონათესავე პროდუქციის დინამიკური რიგების ანალიზს. ყველა შემთხვევაში ფასმა უნდა აანაზღაუროს პროდუქციის წარმოებაზე გაწეული დანახარჯები, ამიტომ კალკულაციის გამოყენება აუცილებელია. ზოგჯერ მნიშვნელოვანი სახის პროდუქციის ფასის გასაანგარიშებლად მიმართავენ საქციალიზებულ საკონსულტაციო ფირმებს, რომელსაც ენდობა ორივე მხარე, როგორც დამამზადებელი ისე შემკვეთი.

ჩვეს პირობებში საპროექტო ფასი კალკულირების მეთოდის გამოყენებით იანგარიშება შემდეგნაირად.

თვითღირებულების გაანგარიშება კალკულაციის სტატიების მიხედვით

№	დანახარჯების სტატიები და ფასების ელემენტები	თანხა ლარ-ში	მინიმალური ფასი ლარ-ში
1.	ნედლეული და მასალები (გამოყენებული ნარჩენების გამოკლებით)	14000	
2.	ნაყიდი ნახვეარფაბრიკატები და საკომპლექტო ნაწარმი	640	
3.	სათბობი და ელ. ენერჯია ტექნოლოგიურ მიზნებისათვის	1000	
4.	საწარმოო მუშების ძირითადი ხელფასი	4700	
5.	სოციალურ საქირთობაზე ანარიცხები 27%	1269	
	სულ პირდაპირი დანახარჯები	21609	
6.	საერთო საწარმოო ხარჯები	8000	
7.	საერთო სამეურნეო ხარჯები	3000	
	სულ საწარმოო თვითღირებულება	32609	
8.	კომერციული ხარჯები	700	
	სულ კომერციული თვითღირებულება	33309	33309
9.	მოგება (მაქსიმალური - 25%, მინიმალური - 9%)	8327	2998
10.	საბითუმო ფასი	41636	36307
	დღგ 20%	8327	7261
	გასაცემი ფასი	49963	43568

პროდუქციის მინიმალურ ფასში გათვალისწინებულია მინიმალური მოგება (9%), რომელიც აუცილებელია წარმოების ქმედითუნარიანობის შესანარჩუნებლად. საწარმოში ყოველთვის საკმაოდ არის დანახარჯები, რომლებიც ანაზღაურებული უნდა იქნან არა თვითღირებულების, არამედ მოგების ხარჯზე. იმ შემთხვევაში თუ პროდუქცია გაიყიდება მინიმალური ფასით და მოგება ვერ დაფარავს მოგების ხარჯზე დასაფარავ ხარჯებს, მაშინ წარმოება იძულებული იქნება გაყიდოს პროდუქცია თვითღირებულების ღონეზე ან გააჩეროს წარმოება.

მ.4. ფინანსები და გადასახადები.

ფინანსების ფორმირების პროცესი იწყება რეალიზაციიდან მიღებული ამონაგებიდან (ან საერთო შემოსავლებიდან) და მთავრდება მოგების განაწილებით. ამ პროცესში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია დაბეგერის

სისტემას. საწარმოს შემოსავლის დიდი ნაწილი მისი შემოსავლისთანვე გადადის ბიუჯეტში. ასეთია დამატებული ღირებულების გადასახადი და აქციზი.

საერთოდ გადასახადი ეს არის გადამხდელის მიერ კანონით განსაზღვრული რაოდენობით და ვადებში ბიუჯეტში და ბიუჯეტგარეშე ფონდებში აუცილებელი შენატანები.

საგადასახადო სისტემა – სხვადასხვა გადასახადის ერთობლიობაა, რომელიც ემყარება შემდეგ პრინციპებს:

ერთგვაროვნება – რაც იმას ნიშნავს, რომ ერთი და იგივე შემოსავალი არ უნდა დაიბეგროს ორჯერ. თუმცა იგი პრაქტიკაში ხშირად ირღვევა. მაგალითად, ერთი და იგივე თანხაზე გადაიხდება ჯერ აქციზი, ხოლო შემდეგ აქცისზე – დამატებული ღირებულების გადასახადი, ასევე ჯერ იბეგრება მოგება, შემდეგ კი მოგებაზე დივიდენდი.

თანაბარზომიერება – სახელმწიფო იყენებს ერთიან მიდგომას ბაზარზე განსაზღვრულობა – ე.ი. დაბეგვრის წესი განისაზღვრება წინასწარ (განაკვეთები, ვადები, გაასაანგარიშებელი ბაზა);

უსასყიდლოება – სახელმწიფო არ უხდის გადამხდელს არავითარ ექვივალენტს გადახდილი ბეგარის სანაცვლოდ;

საგადასახადო სისტემა განსხვავებულია ქვეყნების მიხედვით და დამოკიდებულია ქვეყნის ბიუჯეტზე და საერთო ეკონომიკურ მდგომარეობაზე.

მაგალითად, აშშ მოგების გადასახადი გადაიხდება საანგარიშო წლის გასულიდან წელიწადნახევრის შემდეგ. საანგარიშო წლის გასვლის შემდეგ ერთი წლის განმავლობაში მზადდება ანგარიში და შემდეგ მათ ეძლევათ მოგების ბეგარის გადასახდელად ნახევარი წელი. ჩვენს ქვეყანაში კი მოგების გადასახადი გადაიხდება ყოველი კვარტლის მომდევნო თვეში.

წარმოებისათვის მნიშვნელოვანია, თუ რა წყაროებიდან გადაიხდება გადასახადები. ყველა გადასახადი დაფარვის წყაროების მიხედვით იყოფა შემდეგ ჯგუფებად:

1. გადასახადები, რომლებიც გადაიხდება თვითღირებულებიდან: სოციალური დაზღვევის, დასაქმების, სამედიცინო, საავტომობილო გზების, ავტოტრანსპორტის და ტრანსპორტის საშუალებათა მფლობელობის გადასახადები;

2. გადასახადები, რომლებიც გადაიხდება რეალიზაციიდან (სამუშაოს შესრულების, მომსახურების) ამონაგების ხარჯზე: დამატებითი ღირებულების გადასახადი, აქციზი, ექსპორტზე და იმპორტზე გადასახადები;

3. გადასახადები, რომლებიც გადაიხდება საწარმოს საფინანსო შედეგებიდან – საერთო მოგებიდან (რეალიზაციიდან მიღებული მოგებიდან): პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებულ ამონაგებს ემატება რეალიზაციის გარეშე შემოსავლები და ვლებულობთ წარმოების საერთო შემოსავალს. საერთო შემოსავალს აკლდება ბიუჯეტში შენატანები (აქციზი, დ.ღ.) და მიიღება საერთო მოგება. საერთო მოგებიდან გადაიხდება მოგების, ქონების, რეკლამის და სხვა გადასახადები;

4. გადასახადები, რომელთა ხარჯები გადაიხდება წარმოების განკარგულებაში დარჩენილი მოგებიდან, მათ მიეკუთვნება: ავტოტრანსპორტისა და გამოთვლითი ტექნიკის გაყიდვის, სალიცენზიო მოსაკრებლების, ვაჭრობაზე უფლების, ბირჟებზე გარიგების და სხვა მოსაკრებლები.

მ.5. მოგება და მისი განაწილება.

ფინანსური შედეგების ფორმირების შემდეგი ეტაპია მოგების წარმოქმნა და მისი განაწილება.

წარმოება თავის პროდუქციას აწვდის მომხმარებელს, რისთვისაც იგი ღებულობს ფულად სახრებს. რეალიზაციიდან მიღებული ამონაგები ჯერ კიდევ არ ნიშნავს მოგების მიღებას. მოგების გასაანგარიშებლად საჭიროა წარმოების შემოსავალი შეუდაროთ დანახარჯებს, რომელსაც წარმოება გაიღებს რეალიზებული პროდუქციის წარმოებაზე და მის რეალიზაციაზე. წარმოება ღებულობს მოგებას იმ შემთხვევაში, როცა მიღებული შემოსავალი აჭარბებს წარმოებისა და რეალიზაციის ხარჯებს, თუ ამონაგები უტოლდება დანახარჯებს, მაშინ წარმოება ანაზღაურებს გაწეულ დანახარჯებს და ვერ ღებულობს მოგებას; თუ დანახარჯები მეტია ამონაგების თანხაზე წარმოება ღებულობს ზარალს ე.ი. წარმოებას აქვს უარყოფითი ფინანსური შედეგი, რომელმაც იგი შეიძლება მიიყვანოს ბანკროტამდე.

როგორც ზემოთ ავლნიშნეთ მოგების მიღებაც კი სშირად არ ნიშნავს წარმოების მომგებიანობას. საქმე იმაშია, რომ წარმოების

დანახარჯების ნაწილი უნდა დაიფაროს არა თვითღირებულების არამედ მოგების ხარჯზე. ამიტომ საჭირო ხდება გარკვეული მოგების ნაწილი ხარჯების დასაფარავად. წარმოების განკარგულებაში დარჩენილმა მოგებამ უნდა უზრუნველყოს გაწეული დანახარჯების დაფარვა და ამის შემდეგ უნდა დარჩეს მოგების ნაწილი (წმინდა მოგება), რათა შეიქმნას გარკვეული ფონდები, რომლებიც აუცილებელია წარმოების ნორმალური ფუნქციონირებისათვის, ასეთია: სადაზღვევო ფონდი, ეკონომიკური სტიმულირების ფონდები და დივიდენდები.

მოგება – წარმოების ფინანსური რესურსების ფორმირების ძირითადი წყაროა. იგი დაკავშირებულია წარმოების საერთო შემოსავლებთან.

წმინდა პროდუქცია – ეს არის რეალიზაციიდან (მომსახურებიდან, შესრულებული სამუშაოდან) მიღებული შემოსავალი მატერიალური დანახარჯების გამოკლებით; ანუ იგი შეადგენს ხელფასისა და მოგების ჯამს.

რეალიზაციიდან მიღებული ამონაგები = მატერიალური დანახარჯები + შრომის ანაზღაურების ხარჯები + მოგება. უფრო სწორი იქნებოდა, თუ მას განსაზღვრავდით თვითღირებულებისა და მოგების ჯამით ან რეალიზაციიდან მიღებული წარმოების ამონაგები განისაზღვრება წარმოების საბითუმო ფასით.

წარმოების საერთო შემოსავალი – წმინდა ეკონომიკური გაგებით შეადგენს შრომის ანაზღაურებისა და მოგების ჯამს. ეკონომიკურ ლიტერატურაში მას უწოდებენ წმინდა პროდუქციას, ანუ ახლად შექმნილ ღირებულებას.

წარმოების მოგებას შეადგენს არა მარტო პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებული მოგება, არამედ მასში ასევე შედის ძირითადი ფონდებისა და სხვა ქონების რეალიზაციიდან მიღებული მოგება და რეალიზაციის გარეშე ოპერაციებიდან მიღებული მოგება, როგორცაა: ქონების არენდით გადაცემა, ფასიანი ქაღალდები, ერთობლივი საქმიანობა და სხვა.

წარმოების მოგებაზე მრავალი ფაქტორი მოქმედებს. ყველა ისინი შეიძლება ორ ჯგუფად დავყოთ: წარმოების შიგა და წარმოების გარე ფაქტორებად. შიგა ფაქტორები თავის მხრივ იყოფა საწარმოო და საწარმოოს გარე ფაქტორებად. საწარმოო ფაქტორებია შრომის საგნებისა და შრომის პარალების გამოყენება, შრომითი და ფინანსური რესურსები.

ეს ფაქტორები თავის მხრივ შეიძლება დაეჯგუფოდ ექსტენსიური და ინტენსიური ხასიათის ფაქტორებად. ექსტენსიური ფაქტორები მოგების წარმოქმნის პროცესზე ზემოქმედებას ახდენენ რაოდენობრივი ცვლილებების შედეგად: შრომის საგნებისა და იარაღების, ფინანსურ რესურსების, მოწყობილობის მუშაობის დრო, პერსონალის რიცხვი, სამუშაო დროის ფონდი.

ინტენსიურ ფაქტორთა რიცხვს ეკუთვნის ფაქტორები, რომლებიც გაელენას ახდენენ მოგების ფორმირების პროცესზე ხარისხობრივი კატეგორიების შედეგად: შრომის მწარმოებლურობის ზრდა, სამეცნიერო ტექნიკური პროგრესის მიღწევათა გამოყენება, საბრუნავი საშუალებების ბრუნვალობის დაჩქარება, პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლება, პროდუქციის შრომატევადობისა და მასალატევადობის შემცირება, შრომის ორგანიზაციის სრულყოფა და ფინანსური რესურსების ეფექტიანი გამოყენება და სხვ.

არასაწარმოო ფაქტორებს მიეკუთვნება მომარაგება-გასაღების, ბუნების დაცვის, შრომისა და დასვენების სოციალური პირობების სრულყოფა და სხვ.

ყველა ზემოთ აღნიშნულ ფაქტორთა შორის წამყვანი ადგილი მიეკუთვნება თვითღირებულების შემცირებას მატერიალური რესურსების დანახარჯების შემცირების ხარჯზე, ვინაიდან ასეთ დანახარჯების მოდის თვითღირებულების 60-80%.

ამჟამად მოწინავე კაპიტალისტურ ქვეყნებში (აშშ, კანადა, გერმანია, ინგლისი, საფრანგეთი, იტალია, იაპონია) ფართოდ გამოიყენება საბოლოო შედეგების მიხედვით საწარმოს ფინანსური საქმიანობის შეფასებისას „დანახარჯები-პროდუქციის წარმოება“ ან „დანახარჯებზე და შემოსავლების“ მეთოდები.

8.2. წარმოების დანახარჯები

საწარმო თავის სამეურნეო ფინანსურ საქმიანობაში იყენებს მატერიალურ და ფინანსურ რესურსებს, ქირაობს სამუშაო ძალას, აწარმოებს და ახდენს პროდუქციის რეალიზაციას და შემოსავლებით უზრუნველყოფს კოლექტივის ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებას.

წარმოების საერთო დანახარჯებში ყველაზე მეტი ხვედრითი წილი უკავია საწარმოო დანახარჯებს ანუ საწარმოო თვითღირებულებას. წარმოების საერთო დანახარჯებში გარდა საწარმოო თვითღირებულებისა შედის ასევე წარმოების გარეშე დანახარჯები ანუ კომერციული ხარჯები (პროდუქციის ტრანსპორტირება, შეფუთვა, შენახვა, რეკლამა და სხვ).

საწარმოო თვითღირებულება და კომერციული ხარჯები ერთად შეადგენენ სრულ ანუ კომერციულ თვითღირებულებას.

თვითღირებულების სწორად გაანგარიშებას დიდი მნიშვნელობა აქვს ფასების მინიმალური და მაქსიმალური ღონის განსაზღვრისათვის. პროდუქციის რენტაბელობის, ახალი პროდუქციის ფასების დასადგენად, ფინანსური შედეგებისა და დაბეგერის სისტემის სწორად განსაზღვრისათვის.

თავისი ეკონომიკური შინაარსის მიხედვით პროდუქციის თვითღირებულება მოიცავს შემდეგ ელემენტებს:

მატერიალური დანახარჯები (დაბრუნებული ნარჩენების გამოკლებით);

შრომის ანაზღაურების დანახარჯები;

სოციალურ საჭიროებაზე გაწეული დანახარჯები;

ძირითადი ფონდების ამორტიზაცია;

სხვა ხარჯები.

მატერიალური დანახარჯები – ყველაზე დიდი ხვედრითი წილითაა წარმოდგენილი პროდუქციის თვითღირებულებაში (60-90%). მათ მიეკუთვნება ნედლეული და მასალები (ნარჩენების გამოკლებით), სათბობი, ელ.ენერჯია. ნედლეულისა და მასალების ღირებულება თვითღირებულებაში შედის დამატებული ღირებულების გამოკლებით. თუ პროდუქცია განთავისუფლებულია დღგ-გადასახადისაგან, მაშინ დღგ თანხა არ აკლდება თვითღირებულებაში შესატან ნედლეულის და მასალების ღირებულებას (ანუ საბოლოო ჯამში დღგ-ს იხდის არა დამამზადებელი არამედ მომხმარებელი). მატერიალურ დანახარჯებში შედის ასევე შექმნილი ნახევარფაბრიკატები, ტარის შექმნისა და შეფუთვის ხარჯები, მანქანა-მოწყობილობის რემონტისათვის დახარჯული სათადარიგო ნაწილები, მცირე ფასიანი ინვენტარისა და მასალების ცვეთა, ბუნებრივი რესურსების სარგებლობისათვის, ანარიცხები, გადასახადები და მოსაკრებ-

ლები: მინერალური-სანედლეული ბაზის კვლავწარმოების, ნიადაგის, წყლის, მინის კულტივაციის, ხე-ტყის და სხვა გადასახადები.

წუნისაგან დანახარჯები შიგა საწარმოო მიზეზით:

დანახარჯები და დანაკლისი ბუნებრივი დანაკარგების ნორმების ფარგლებში.

შრომის ანაზღაურების ხარჯები – ეს არის საწარმოო პერ-სონალის შრომის ანაზღაურების ხარჯები, პრემიებისა და საკომპენსაციო გაცემების, მათ შორის ფასების ზრდის დანამატების შემოსავლების ინდექსაციის დანამატი და ასევე იმ მუშაკების ხელფასები, რომლებიც არ შედიან საწარმოს შტატში და დაკავებული არ არიან ძირითადი საქმიანობით.

დანახარჯების ამ ელემენტებში შედის:

ხელფასი ფაქტიურად შესრულებულ სამუშაოზე, სატარიფო განაკვეთებით და თანამდებობრივი ხელფასებით და სხვა;

თანამშრომლებზე გაცემული პროდუქცია ნატურალური ანაზღაურებით;

უფასო კომუნალური მომსახურების, კვების, ტანსაცმელის, საცხოვრებელი ბინის და სხვა;

პრემიები და დანამატები ხელფასზე საწარმოო შედეგებისათვის;

მორიგი (ყოველწლიური) და სასწავლო შევებულებები.

სოციალურ ანარიცხებს – მიეკუთვნება არასაბიუჯეტო ფონდები (სოცდაზღვევის 27%, დასაქმების 1%, სველდებულო, სამედიცინო დაზღვევის ფონდები 3%). სჯ. 31%

დანახარჯების შემდეგი ელემენტია ძირითადი ფონდების ცვეთა. ეს არის ამორტიზაციის ანარიცხები, მას ემატება დაჩქარებული ამორტიზაციის თანხა და მისი ინდექსაცია. იგი დაირიცხება თვითღირებულებაზე ყოველთვიურად დადგენილი ნორმატივების მიხედვით. ძირითადი ფონდების საწყისი ღირებულებიდან.

თვითღირებულებაში ასევე შედის მოწყობილობის შენახვისა და ექსპლუატაციის ხარჯები. მისი ამოცანაა ძირითადი ფონდების მუშა მდგომარეობაში შენარჩუნება. ამისათვის საჭიროა ძირითადი ფონდების კაპიტალური, საშუალო და მიმდინარე რემონტი. ამა თუ იმ სახის რემონტი მანქანა-მოწყობილობას უტარდება პერიოდულად წელიწადში ან ორწელიწადში ერთჯერ, რაზედაც იხარჯება დიდი თანხები. ამისათვის

წარმოება ქმნის სარეზერვო ფონდს ამორტიზაციისა და მოწყობილობის შენახვისა და ექსპლუატაციის ხარჯზე.

სხვადასხვა ხარჯები – თვითღირებულებაში ცალკე მუხლად შედის სხვა ხარჯები. გადასახადები, მოსაკრებლები, გადარიცხვები სპეციალურ არასაბიუჯეტო ფონდებში მთავრობის მიერ დადგენილი ნორმატივების მიხედვით, ატმოსფეროში გამონახოლქვის, საწარმოს ქონების სავალდებულო დაზღვევა, რაციონალიზაციისა და გამოგონების ხარჯები, კრედიტებზე გადასახდელები, პროდუქციის სერთიფიკაციის სამუშაოების ღირებულება, მივლინების ხარჯები დადგენილი ნორმების ფარგლებში, საწარმოს საყარაულო დაცვის ხარჯები, კადრების მომზადების და გადამზადების ხარჯები, კავშირგაბმულობის ხარჯები, ბანკის მომსახურება, საწარმოო ფართის არენდა, არამატერიალური აქტივების ცვეთა და სხვ.

ცალკეულის სახეობის პროდუქციის თვითღირებულების გაანგარიშებისათვის გამოიყენება დანახარჯების დაჯგუფების კალკულირების მეთოდი, რაც აუცილებელია ცალკეულ პროდუქტიაზე ფასის დასადგენად.

შერეული ეწოდება ხარჯებს რომელთა ნაწილი დაბეგერის მიზნით დადგენილი ნორმების ფარგლებში შეიძლება შეტანილი იქნან თვითღირებულებაში, ხოლო ნორმების ზევით ანაზღაურდებიან წმინდა მოგების ხარჯზე. საერთო აღრიცხვის მიზნით ყველა ისინი შეიტანებიან თვითღირებულებაში.

საწარმოს ეფექტიანობის ამაღლების მთავარი პირობაა თვითღირებულების შემცირება, რომლის მიღწევის ძირითადი ფაქტორებია: უახლესი ტექნოლოგია და ტექნოლოგიის გამოყენება, მატერიალური რესურსების ეკონომია, შრომის ნაყოფიერების ამაღლება, დანაკარგებისა და მოცდენების ლიკვიდაცია, ძირითადი ფონდების გამოყენების გაუმჯობესება, პროდუქციის გასაღების ხარჯების შემცირება, მართვის აპარატის სრულყოფა, პროდუქციის მოცულობის ზრდის ხარჯზე პირობით-მუდმივი ხარჯების შემცირება.

წარმოების დანახარჯები

თვითღირებულებაში შესატანი ელემენტები	შერეული ხარჯები	ფინანსური შედეგებიდან ასანაზღაურებელი ხარჯები („მოგება-ზარალის ხარჯზე“)	ხარჯები ანაზღაურდება წმინდა მოგებდან
<ol style="list-style-type: none"> 1. მატერიალური დანახარჯები 2. შრომის ანაზღაურების ხარჯები 3. სოციალური საქორების ანარიცხები 4. ძირ. ფონდების ამორტიზაცია 5. სხვა დანახარჯები 	<p>ბანკის სესხის % მიუღიების ხარჯები, წარმომადგენლობითი ხარჯები, კადრების მომზადების ხარჯები, რეკლამის ხარჯები, სადაბოველო ფონდების შექმნის ხარჯები და სხვა</p>	<p>დანახარჯები დაკონსერვებულ ძირითად ფონდებისა და საწარმოო სიმძლავრეზე. აუნაზღაურებელი საწარმოო დანახარჯები. ტარის მოძრაობის ზარალი. სასამართლოსა და არბიტრაჟის ხარჯები. სამეურნეო ხელშეკრულების დახვეწისათვის დაკისრებული, ჯარიმები, სანქციები, ზურვები. საექვო ვალები ორგანიზაციებსა და ფიზიკურ პირებსზე. ზარალი დებიტორულ დავალიანებათა ჩამოწერაზე, რომელთა სანქციის ვადა გასულია და სხვა არარეალური ვალები. გასული წლების ზარალი, გამოვლინებული მომდინარე წლის აუნაზღაურებელი ზარალი განსაკუთრებული სიტუაციების გამო: ხანძარი, ავარიები. ზარალი ქურდობის გამო, სასამართლოს გადაწყვეტილობით დამნაშავეს დაუდგენლობის შემთხვევაში. როგი გადასახადებისა (ქონებაზე, რეკლამაზე და სხვა.</p>	<p>შერეული ხარჯები ნორმის ზევით გადახასული სესხის პროცენტო, დანახარჯები კულტ-საყოფაცხოვრებო ობიექტებზე და ქალაქზე ხასწავლებლების უფასო მომსახურების და შენახვის ხარჯები მატერიალური დახმარება და მატერიალური შედეგებსზე, ქენსივებზე დანამატები და სხვა. საწარმოს ფასიანი ქაღალდებზე შემოსავლები. ადგილობრივი გადასახადები (ვაჭრობის უფლებაზე) საწარმოს ეკონომიკური სტრუქტორების ფონდები</p>

თვითღირებულების დანახარჯების კონტროლისა და მისი შემკირების რეზერვების გამოსავლინებლად საწარმოს უნდა ქონდეს, როგორც ცალკეული სახეობის პროდუქციაზე ნორმატიული კალკულაცია, ასევე წარმოების დანახარჯების ხარჯთაღრიცხვა. უკანასკნელ ხანებში მსხვილ საწარმოებშიც კი მოშლილია ნორმატივების გაანგარიშება და თვითღირ-

რებულების დაგეგმვა, ანალიზი, რომლის გარეშეც შეუძლებელი ხდება დანახარჯების დონისა და დინამიკის დადგენა.

საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პერიოდში შეიმჩნევა პროდუქციის წარმოებაზე და მის რეალიზაციაზე დანახარჯების ზრდის ტენდენცია. განსაკუთრებით სწრაფად იზრდება ფასები ნედლეულზე და მასალებზე, სათბობზე და ენერგიაზე, კრედიტის გამოყენების პროცენტი, რეკლამის ხარჯები. ფასების ინდექსაციის გამო იზრდება ძირითადი ფონდების ღირებულება და ამორტიზაციის ანარიცხები. სოციალურმა დაძაბულობამ და ფასების ლიბერალიზაციამ გამოიწვია თვითღირებულების სტრუქტურაში ხელფასის ხვედრითი წილის ზრდა. განსაკუთრებით გაიზარდა ანარიცხები სოციალურ და სამედიცინო დაზღვევის ფონდებში, ანარიცხები დასაქმების ფონდებში. ყველა აღნიშნული იწვევს პროდუქციაზე ფასების ზრდას და საბოლოო ჯამში კი ინფლიაციას.

8.3. ფინანსების დაგეგმვა

ფინანსური დაგეგმვა დროის მიხედვით სამ სტადიად ხდება: პერსპექტიული, მიმდინარე და ოპერატიული. პერსპექტიული საფინანსო გეგმა დგება 5 წლის პერიოდით. იგი ითვალისწინებს საწარმოს სტრატეგიულ განვითარებას, მისი მიზნების, ამოცანების, ინვესტიციების და სავარაუდო მოგების გათვალისწინებით. პერსპექტიული საფინანსო გეგმა ჩვეულებრივად საწარმოს კომერციული საიდუმლოებაა.

მიმდინარე ფინანსური დაგეგმვა მოიცავს შემოსავლებისა და გასაღების წლიურ ბალანსს, ფულადი სახსრების წარმოქმნისა და ხარჯვის აღრიცხვას: შრომის ანაზღაურების ფონდს; წარმოების განვითარებისა და სრულყოფის (დაგროვების) ფონდს; სოციალური საჭიროების ფონდს; სარეზერვო და სხვა ფონდებს. მიმდინარე გეგმები დგება პერსპექტიული გეგმების საფუძველზე, მისი კონკრეტიზაციისა და დეტალიზაციის საფუძველზე ხდება თითოეული კაპიტალდაბანდების დაკავშირება დაფინანსების წყაროსთან.

ოპერატიული ფინანსური დაგეგმვა ასახავს წარმოების ოპერატიულ-ფულადი სახსრების ბრუნვას, მასში მოცემულია ფულადი სახსრების

მოძრაობა მათი შემოსულისა და ხარჯვის მიხედვით, ფიქსირდება წარმოების გადახდისუნარიანობის ყოველგვარი ცვლილება. ასევე კრედიტისა და სესხის გამოყენება ოპერატიულ ფინანსურ დაგეგმვას პრაქტიკაში უწოდებენ საგადასახადო კალენდარს. კვარტალურ საგადასახადო კალენდარში ვლინდება საწარმოს საქმიანობის ტენდენციები და პრობლემები. ანალიზის შედეგები გამოიყენება მორიგი საფინანსო გეგმის შესადგენად.

საწარმოს საფინანსო გეგმასთან ერთად ღვება შესამოწმებელი შახმატური ცხრილი. ჩვენს მაგალითში მოგების თანხა წელიწადში შეადგენს 51900 ფულად ერთეულს. მთლიანი მოგების თანხაში რეალიზაციიდან (მომსახურების, სამუშაოების) მიღებული მოგება შეადგენს 74,3%. მოგების 15% მიღებული უნდა იქნას ძირითადი ფონდების რეალიზაციიდან. წილობრივი მონაწილეობიდან მოგება შეადგენს 4.6%, არამატერიალურ აქციებიდან 4.4%. დანარჩენი მოგება -1.7% მიიღება აქციებიდან და ობლიგაციებიდან. შემოსავლის მნიშვნელოვანი ნაწილია ამორტიზაციის ანარიცხები, რომელშიც გათვალისწინებულია ძირითადი ფონდების გადასაფასება და მისი აქტიური ნაწილის დაჩქარებული ამორტიზაცია.

საფინანსო გეგმა ასევე ითვალისწინებს შემოსავლებს ქონების იჯარით გაცემიდან. იგი იყენებს სესხს საბრუნავი საშუალებების ზრდისათვის.

საწარმოს საფინანსო გეგმა

№ რაგბე	მაჩვენებელთა დასახელება	თანხა ფულად. ერთ.
	სახსრების შემოსაულები და შემოღინება	
1.	რეალიზაციიდან მიღებული მოგება (მომსახურებიდან, საშუაობიდან)	38600
2.	სხვა აქტივებიდან მიღებული მოგება. მატერიალური აქტივებისა და არამატერიალური აქტივების ჩათვლით	2300
3.	ძირითადი ფონდების რეალიზაციიდან და გამოსვლიდან მოგება	7800
4.	სხვა საწარმოებში წილობრივი მონაწილეობით მიღებული მოგება	2400
5.	აქციებიდან, ობლიგაციებიდან და სხვა ფასიანი ქაღალდებიდან მიღებული შემოსავალი	800
6.	ვალუტის აუქციონზე გაყიდვით მიღებული შემოსავალი	600
7.	ამორტიზაციის ანარიცხები	9420
8.	ბანკის გრძელვადიანი სესხი	2700
9.	ქონების არენდის შემოსავალი	300
10.	საბრუნავი საშუალებებზე სესხი	1480
11.	სხვა შემოსაულები და შემოღინება	5000
	სულ	71400
	დანახარჯები და ანარიცხები	
1.	მოგების გადასახადი	16100
2.	ქონების გადასახადი	4000
3.	აქციონერების დივიდენდები	8600
4.	კაპიტალური დაბანდებები (გრძელვადიანი ინვესტიცია)	10800
5.	გრძელვადიანი ფინანსური დაბანდება	1300
6.	გრძელვადიანი სესხის დაფარვა და მისი პროცენტის გადახდა	870
7.	საბრუნავი სახსრების ზრდა	3900
8.	საბრუნავი სახსრების ზრდის სესხის დაფარვა	200
9.	საქონლის ჩამოფასება	180
10.	უიმელო ვალების ჩამოწერა	150
11.	დაგროვების ფონდში ანარიცხები	8720
12.	სოციალურ და მატერიალურ დახმარების ფონდებში ანარიცხები	7720
13.	სადაზღვევო ფონდი	3860
14.	სხვა ხარჯები და ანარიცხები	5000
	სულ	71400

საფინანსო გეგმის ხარჯვით ნაწილში გათვალისწინებულია მოგების გადასახადი 38,72% საერთო მოგებიდან, რომლის გამოკლებითაც საწარმოს რჩება წმინდა მოგება 31800 ფულადი ერთეული. მოგების ანარიცხები ნაკლებია მოგების გადასახადის ნორმატივით გათვალისწინე-

ბულზე, ვინაიდან საწარმოს აქვს გარკვეული შეღავათები მოგების დაბეგვრაზე. ფასიანი ქაღალდებიდან შემოსავალზე წარმოება იხდის შემოსავლის 15%.

საფინანსო გეგმა ღებება მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადებისა და ანარიცხების ნორმატივების გათვალისწინებით. გეგმის შესრულების მიმდინარეობის პერიოდში შეიძლება შეტანილ იქნას ცვლილებები დადგენილი ნორმატივების შეცვლის შემთხვევაში.

თავი IX ინვესტიციები სამრეწველო საწარმოში

9.1 ინვესტიციები და მათი როლი ძირითადი ფონდების კვლავწარმოებაში

ინვესტიციები – არის ფულადი სახსრების დაბანდება ქვეყნის შიგნით და მის გარეთ მოქმედი საწარმოს მოდერნიზაციის, ახალი საწარმოს შექმნის, უახლესი ტექნიკისა და ტექნოლოგიის ათვისების, წარმოების მოცულობის ზრდისა და მოგების მიღების მიზნით.

ინვესტიორი – კერძო მეწარმე, ორგანიზაცია ან სახელმწიფოა, რომელიც ახდენს კაპიტალის გრძელვადიან დაბანდებას რაიმე საქმეში მოგების მიღების მიზნით.

ამ თავში ჩვენ განვიხილავთ იმ ინვესტიციებს, რომელებიც დაბანდებად არიან სამრეწველო საწარმოებში კაპიტალურ მშენებლობაში ძირითადი ფონდების კვლავწარმოებისათვის. ასეთ ინვესტიციებს უწოდებენ კაპიტალურ დაბანდებას.

ფინანსური ინვესტიციები – არის ფასიანი ქაღალდების, აქციების, ობლიგაციების შექმნა, ბანკში ფულის დეპოზიტზე შეტანა გარკვეული პროცენტით. ყოველი საწარმო ცდილობს თავისი ფინანსური რესურსი გამოიყენოს მაღალი მოგების მისაღებად. ამისათვის იგი მიმართავს სხვადასხვა გზებს. ერთერთი ასეთი გზაა ინვესტიციების დაბანდება წარმოების გაფართოების პროექტის განხორციელებისათვის, თუ ასეთი პროექტი არ არის, მაშინ საჭიროა პერსპექტიულ საწარმოს კონტროლის პაკეტის შექმნა, რის საშუალებითაც მას შეუძლია უშუალო ზემოქმედება მოახდინოს ამ საწარმოს მუშაობაზე და წარმართოს მისი ინვესტიციები თავის სასარგებლოდ და მესამე გზა, ეს არის ფულის ბანკში შეტანა ხელსაყრელ პროცენტში.

სამრეწველო საწარმო მუდმივ განვითარების პროცესში იმყოფება, საწარმოს გარე ფაქტორების ზემოქმედების გამო. ასეთ ფაქტორებს მიეკუთვნებიან მოსახლეობის ზრდა და მისი ზრდადი მოთხოვნილება; მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარება; გაფართოებული კვლავწარმოების ტემპების ზრდა; კონკურენცია.

აღნიშნული ფაქტორების მოქმედების შედეგად იზრდება ხვედრითი დანახარჯები. იზრდება ფასები ნედლეულზე, ენერჯიაზე, შრომაზე, დანახარჯები გარემო ბუნების დაცვაზე და სხვა.

ზემოთ აღნიშნულის გამო, წარმოება იძულებულია სრულყოფის წარმოების საშუალებები, ორგანიზაციის მეთოდები, ათვისოს ახალი პროდუქცია და მოდერნიზაცია ჩატაროს ძველს; წარმოებაში დანერგოს ახალი მანქანები, მოწყობილობები, ინსტრუმენტები და მასალები; გამოიყენოს ახალი ტექნოლოგიები; სრულყოფის და განვითარების წარმოების ორგანიზაციისა და მართვის მეთოდები და ხერხები. აღნიშნული საკითხები წარმოების ინჟინრების, მარკეტოლოგებისა და ეკონომისტების გადასაწყვეტია, რისთვისაც საჭიროა მნიშვნელოვანი კაპიტალური დაბანდები.

კაპიტალური დაბანდები — ძირითადი ფონდების აღდგენისა და მისი ზრდისათვის დაბანდებული მატერიალური, ფულადი და შრომითი რესურსებია. კაპიტალური დაბანდების ძირითადი წყაროა დაგროვების ფონდები და ამორტიზაციის ანარიცხები.

ქვეყნის ეკონომიკის განვითარების ეფექტიანობა დამოკიდებულია ინვესტიციურ პოლიტიკაზე, მისი რესურსების რაციონალურ — ინტენსიურ გამოყენებაზე და შესაბამისად ექსტენსიური დანახარჯების შემცირებაზე. კაპიტალური დაბანდება ეკონომიკური კატეგორიაა, რომელიც ასახავს საზოგადოებრივი შრომის (ცოცხალი და განივთებული) რესურსების ღირებულების ერთობლიობას. ამასთან ცოცხალი შრომის სახით გვევლინება კაპიტალურ მშენებლობაში დასაქმებულ მუშაკთა შრომა, ხოლო განივთებული შრომის სახით საამშენებლო მასალები, კონსტრუქციები, დეტალები, მანქანები, მექანიზმები, მოწყობილობა, ტრანსპორტი, აპარატურა, ხელსაწყოები და სხვა ტექნიკური საშუალებები.

საქართველოს საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლასთან დაკავშირებით არასტაბილური სიტუაციის გამო ქვეყნის საწარმოთა უმეტესი ნაწილი უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში გაპარტახდა, მოძველდა და ნაწილობრივ უეარგისი გახდა. ამის გამო მრეწველობის საწარმოების კრიზისიდან გამოყვანის ერთ-ერთი გზაა ინვესტიციების მოზიდვა ქვეყნის გარედან. ამ პირობებში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება, ასევე საწარმოთა შიგნით კაპიტალდაბანდებისათვის საჭირო რესურსების გამოძებნას და მათ რაციონალურ გამოყენებას. უკანასკნელ წლებში ჩვენს ქვეყანაში ახალი სიმბლავრები თითქმის არ ათვისებულა. სახელმწიფოს მიერ საწარმოთა კაპიტალურ მშენებლობაზე არავითარი სახსრები არ გამოუყვია. ყველა აღნიშნულის გამო საწარმოთა ტექნიკური პოტენ-

ციალი კატასტროფულად დაეცა. ეს ტენდენცია განსაკუთრებით აღსანიშნავია მანქანათმშენებლობისა და მსუბუქი მრეწველობის მსხვილ საწარმოებში, რომელთა უმეტესობა დღესაც უმოქმედოაა.

9.2 კაპიტალური მშენებლობა: სტრუქტურა, ორგანიზაცია

კაპიტალური მშენებლობა არის საწარმოო და არასაწარმოო ძირითადი ფონდების შექმნის საწარმოო პროცესი მოქმედი ობიექტების რეკონსტრუქციის, გაფართოების, ტექნიკური გადაიარაღების, მოდერნიზაციისა და ახლის მშენებლობის გზით.

კაპიტალური მშენებლობის გზით ხდება მორალურად და ფიზიკურად გაცვეთილი ძირითადი ფონდების რენოვაცია. იგი მოიცავს ძირითადი ფონდების შექმნის მთელ პროცესს დაწყებული პროექტირებიდან, მათი ექსპლუატაციაში შეყვანამდე.

კაპიტალური მშენებლობის ძირითადი სტადიაა სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები, რომელიც მოითხოვს მატერიალურ, შრომით და ფულად დანახარჯებს, იგი დაკავშირებულია ტექნიკურ და ორგანიზაციულ სირთულეებთან, მოითხოვს საწარმოო ციკლის დიდ ხანგრძლივობას.

კაპიტალური მშენებლობის საერთო ციკლი ეს არის დრო პროექტირებიდან ექსპლუატაციაში შესვლამდე.

წარმოების ფინანსური რესურსები ინვესტიციისათვის გამოიყენება შემდეგი მიზნებისათვის:

- ახალი პროდუქციის ათვისება და წარმოება;
- ტექნიკური გადაიარაღება;
- წარმოების გაფართოება;
- რეკონსტრუქცია.

ახალ მშენებლობას მიეკუთვნება ახალ საამშენებლო მოვლებზე საწარმოს შენობების, ობიექტების მშენებლობა. მოქმედი საწარმოს გაფართოებას მიეკუთვნება ახალი პროექტით მშენებლობა, ახალი საამქროების ან არსებული საამქროების, ასევე წარმოების დამხმარე და მომსახურე ობიექტების, კომუნიკაციების გაფართოება. გაფართოების დანიშნულებაა საწარმოო სიმძლავრეების, მათი გამტარუნარიანობის ზრდა მოკლე დროის პერიოდში და შედარებით მცირე დანახარჯებით, ვიდრე მსგავსი ობიექტების ახალი მშენებლობისათვისაა საჭირო.

მოქმედ საწარმოთა რეკონსტრუქცია ხორციელდება ერთიანი პროექტის მიხედვით საწარმოს სრული ან ნაწილობრივი გადაიარაღებით, რეკონსტრუქციის დროს, დასაშვებია ახალი საამქროების მშენებლობა წარმოების მომსახურე და დამხმარე ობიექტებისათვის, ასევე ფიზიკურად და მორალურად გაცვეთილი მოწყობილობის, მექანიზმების შეცვლა და წარმოების ავტომატიზაცია.

წარმოების ტექნიკური გადაიარაღება — ხდება წარმოების ტექნიკური განვითარების გეგმის შესაბამისად ერთიანი პროექტით, მაგრამ იგი არ ითვალისწინებს საწარმოს ფართის გადიდებას. ტექნიკურ გადაიარაღებაში შედის ახალი ტექნიკის, ტექნოლოგიის, საწარმოო პროცესების ავტომატიზაციის, მოდერნიზაციის და მოძველებული და ფიზიკურად გაცვეთილი მოწყობილობის შეცვლა, ასევე ვიწრო ადგილების ლიკვიდაცია, წარმოების ორგანიზაციისა და სტრუქტურის სრულყოფა-განვითარება.

კაპიტალური დაბანდების სტრუქტურაში შედის:

1. საამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოებზე დანახარჯები, რომელიც დაკავშირებულია ახალი შენობებისა და ნაგებობების აშენებასთან, საამშენებლო მოედნის მოწყობის და ასევე ტექნოლოგიური, ენერგეტიკული, სატრანსპორტო და სხვა მოწყობილობების აწყობის, მონტაჟისა და დაყენების ხარჯები;

2. მოწყობილობის, და ინსტრუმენტის, საწარმოო ინვენტარის და სხვა ძირითადი ფონდების შეძენის ხარჯები;

3. სხვა კაპიტალური სამუშაოები და დანახარჯები, რომელშიც შედის საპროექტო-საძიებო სამუშაოები, მშენებარე ღირებულებისა და მშენებლობის ზედამხედველობაზე დანახარჯები, კადრების მოშხადებისა და სხვა ხარჯები. კაპიტალური დანახარჯების სტრუქტურა ხასიათდება საშუალოდ შემდეგი მაჩვენებლებით: 48-52%-ს შეადგენს საამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები; 40-42% მოწყობილობის შეძენის ხარჯები, 8-10% ინსტრუმენტისა და ინვენტარის შეძენის ხარჯები.

წარმოების ძირითადი ფონდების გაფართოება, რეკონსტრუქცია, მოდერნიზაცია და მოწყობილობის შეცვლა ითვლება უფრო ეფექტურად, ვიდრე ახალი მშენებლობა. ამ დროს ხდება ძირითადი ფონდების აქტიური ნაწილის განახლება, შენობა-ნაგებობაზე დანახარჯების გაწვევის გარეშე.

წარმოების ძირითადი ფონდების რეკონსტრუქციის და გადაიარაღების დროს ხდება:

– შრომის იარაღების განახლება, საწარმოო პროცესების მექანიზაცია და ავტომატიზაცია;

– ნედლეულისა და მასალების პროგრესული სახეების გამოყენება;

– მეორადი მატერიალური და ენერგეტიკული რესურსების გამოყენება;

– უფრო პროგრესული და მაღალეფექტიანი ტექნოლოგიის გამოყენება;

– წარმოების ორგანიზაციისა და მართვის მეთოდების სრულყოფა;

– წარმოების ტექნოლოგიური პროცესების ეიწრო ადგილების ლიკვიდაცია და საწარმოო პოტენციალის გამოყენების გაუმჯობესება.

საწარმოო სიმძლავრეების ზრდა და ახალი ობიექტების მშენებლობა მოქმედი წარმოების ჩარჩოებში ხდება, როცა საწარმოს წინაშე მდგომ ამოცანათა გადაჭრის სხვა გზა არ არსებობს. ეს შეიძლება გამოწვეული იყოს:

პროდუქციის მოცულობის მკვეთრი ზრდით; წარმოების დივერსიფიკაციით და პრინციპულად ახალი სახეობის პროდუქციის წარმოების აუცილებლობით; როცა აუცილებელია მოქმედი წარმოების გადატანა სხვა ტერიტორიაზე; მოქმედი საწარმოს საწარმო აპარატის სრული მოძველებით.

წარმოების გაფართოებისა და ახლის მშენებლობისათვის კაპიტალური დაბანდების სტრუქტურა ნაკლებად ეფექტიანია, ვიდრე რეკონსტრუქციისა და ტექნიკური გადაიარაღების შემთხვევაში. ამ შემთხვევაში ინვესტიციის დიდი ნაწილი იხარჯება შენობებისა და ნეგებობების ასაგებად. ამასთან ერთად წარმოების დაუსრულებლად რეკონსტრუქცია შეუძლებელია, ამიტომ აუცილებელი ხდება ახალი ობიექტების მშენებლობა.

9.3 ახალი მშენებლობის პროექტირება

წარმოების სფეროში ინვესტიციები იწყება პროექტირებიდან.

პროექტი – ეს არის ჩანაფიქრი, მოსაზრება რაიმე ღონისძიების, მისი აღწერა და მისი გეგმის რეალიზაცია. ჩანაფიქრი მოცემულია პროექტის საპროექტო დავალებაში, მოიცავს საბოლოო მიზანს და შემდეგ შეზღუდვებს:

პროექტის შემუშავებისა და რეალიზაციის ვადები;
პროექტის რეალიზაციის დანახარჯები ეტაპობრივად;
დასაპროექტებელი პროდუქციის მოცულობა, ასორტიმენტი და ხარისხი.

ჩანაფიქრის შინაარსი მოცემულია ტექნიკურ დოკუმენტაციაში და შედგება დასაპროექტებელი პროდუქციის საერთო დახასიათებისაგან.

მუშა პროექტში მოცემულია დასაპროექტებელი პროდუქციის ზუსტი აღწერა და მისი ნახაზები ცალკეული დეტალების მიხედვით, ტექნოლოგიური პროცესების დაწვრილებითი აღწერა და პროდუქციის წარმოების ორგანიზაცია.

პროექტის რეალიზაციაში ნაჩვენებია პროექტის რეალიზაციის ვადები, ეტაპების მიხედვით. პროექტის შემსრულებლები, პროექტის რეალიზაციაზე საჭირო დანახარჯები ცალკეული ეტაპების მიხედვით, შესრულებაზე კონტროლი, ტექნიკური დოკუმენტაციის მომზადების გეგმა, საამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების გეგმა და ბოლოს ტექნიკური და სამეურნეო-ეკონომიკური მომზადების გეგმა.

ახალი პროექტის ათვისება, ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიის დანერგვა ხდება ცალკეული გეგმების მიხედვით. ახალი მშენებლობის, ახალი პროდუქციის პროექტირება და მისი რეალიზაცია შინაარსობრივად სამი ეტაპისაგან შედგება: „მეცნიერება – ტექნიკა – წარმოება და მოხმარება“.

პროექტირების თვალსაზრისით ყოველგვარი სიახლის პროექტირება სამ ძირითად სტადიას მოიცავს: ტექნიკური დავალების შემუშავება, ტექნიკური პროექტის მომზადება და მუშა პროექტი. ორ საფეხურიანი პროექტირების დროს (მარტივი პროდუქციისათვის) დგება ტექნიკური დავალება პროექტირებაზე და მუშა პროექტი. პროექტის შემუშავების გარდა საჭიროა წარმოების ტექნიკური, ორგანიზაციული და ადმინისტრაციულ-სამეურნეო სამუშაოების ჩატარება.

პროექტის ტექნიკური მომზადების ორგანიზაცია.

წარმოების მასშტაბების, დასაპროექტებელი პროდუქციის სირთულის მიხედვით, გამოიყენება ტექნიკური მომზადების სამი ფორმა:

1. ტექნიკურად რთული და მასიური წარმოების პროდუქციისათვის ტექნიკური მომზადების რთული ანუ სრული ფორმა. იგი მოიცავს

სამუშაოს სრულ ციკლს „მეცნიერება-ტექნიკა-წარმოება“. იგი უმეტესადაა გამოიყენება მანქანათმშენებლობისა და მძიმე მრეწველობის სხვადასხვა ფირმებში.

2. მცირე ფორმა - გამოიყენება შედარებით მარტივი კონსტრუქციების და ტექნოლოგიის პროდუქციისათვის და სტანდარტული მოწყობილობისა და სხვა ორტექტექნიკური ღონისძიებების დასანერგავად.

3. ტექნოლოგიური ფორმა - გამოიყენება არა რთული მოწყობილობის, ტექნოლოგიური ხაზებისა და მართვის სისტემების დანერგვისათვის.

ზირველი, რთული ფორმის გამოყენებისას ტექნიკური მომზადების სამუშაოები უფრო მეტად სრულდება სპეციალიზირებულ დარგობრივ სამეცნიერო საპროექტო-საკონსტრუქტორო ორგანიზაციების მიერ ხელშეკრულების საფუძველზე. ტექნიკური მომზადების სამუშაოების ძირითად ნაწილს ასრულებს თვით ფირმა.

ტექნიკური მომზადების მთელი სამუშაო იყოფა შემდეგ ეტაპებად:

ტექნიკური მარკეტინგი, სამეცნიერო კვლევა, საპროექტო-საკონსტრუქტორო და საცდელი ექსპერიმენტული სამუშაოები ახალი პროდუქციის შექმნისა და მისი გამოცდისათვის,

ტექნოლოგიური მომზადება გულისხმობს, ტექნოლოგიის დამუშავებას, მოწყობილობის განლაგების დაპროექტებას, საწარმოო ნაკადების, სპეციალური მოწყობილობებისა და სამარჯვებების, ინსტრუმენტების დაპროექტებას მათ გამოცდას.

ორგანიზაციული საწარმოო-სამეურნეო სამუშაოების კომპლექსი: კადრების მომზადება, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა, დაფინანსება და სხვა.

ტექნიკური მომზადების ყველა აღნიშნული ეტაპები ურთიერთკავშირშია. მაგალითად საკვლევი სამუშაოები იწყება მარკეტინგით და მთავრდება პროდუქციის ახალი ნიმუშების წარმოებისათვის მომზადებით. იგი მოიცავს შემდეგ სამუშაოებს: პროდუქციის მიმდინარე და პოტენციური ფასის ღონის შესწავლა; ახალი პროდუქციის რეკლამის განთავსების ფორმების, მეთოდების შემუშავება საწარმოს ორგანიზაციისა და მართვის გარდაქმნა.

ახალი პროდუქციის დაპროექტება.

წარმოების იმიჯი დამოკიდებულია მის მიერ გამოშვებულ პროდუქციაზე. ამიტომ ახალი პროდუქციის მომზადებაში მონაწილეობას ღებულობენ ყველაზე საუკეთესო სპეციალისტები, მრავალი ორგანიზაცია და ფირმა. თვითოეულს თავის წვლილი შეაქვს ახალი პროდუქციის პროექტირებაში და მის დანერგვაში. თითოეულ ორგანიზაციას განსაზღვრული აქვს თავისი ფუნქციები. ხელშეკრულების საფუძველზე მათი სამუშაოების კოორდინაციას ახდენს სათაო საპროექტო ორგანიზაცია. მაგალითად, სუპერტრაქტორი T-150-ის შექმნაში მონაწილეობას ღებულობდა 33 სამეცნიერო საკვლევი და საკონსტრუქტორო, რამოდენიმე უმაღლეს სასწავლებელი და სხვადასხვა დარგის 100-მდე ფაბრიკა და ქარხანა.

შემსრულებელი ორგანიზაციების სამუშაოები მათი სპეციალიზაციის მიხედვით ნაწილდება დადგენილი სტანდარტული ეტაპებით. პროდუქციის პროექტირების სტანდარტული ეტაპები ითვალისწინებს სამუშაოების ჩატარებას შემდეგი თანმიმდევრობით:

ესკიზური პროექტის შემუშავება;

საცდელი ნიმუშის დამზადება;

საცდელი ნიმუშის გამოცდა;

ტექნიკური პროექტის შემუშავება;

მუშა პროექტის შემუშავება;

საცდელი პარტიის ან ნიმუშის დამზადება;

საცდელი პარტიის გამოცდა;

გამოცდის შედეგების მიხედვით კონსტრუქციის დაზუსტება;

მუშა პროექტის დაზუსტება და მისი გაფორმება;

მუშა პროექტი გადაეცემა წარმოების ტექნიკური მომზადების საფასურებს.

ახალი პროდუქციის პროექტირებისათვის პირველ რიგში ღებვა საპროექტო დავალება, რომელიც მუშავდება პროექტის შემკვეთის მიერ, ან (ხელშეკრულების მიხედვით) სამეცნიერო ან საპროექტო ორგანიზაციის მიერ.

საპროექტო დავალებაში მოცემულია ახალი პროდუქციისადმი მოთხოვნები, კერძოდ: ტექნიკური პარამეტრები, რომელიც განსაზღვრავენ

პროდუქციის სიახლეს და აუცილებელ სამომხმარებლო თვისებებს; თვით-ღირებულება კალკულაციის ელემენტების მიხედვით; ეკონომიკური ეფექტიანობა ძველ ანალოგიურ პროდუქციასთან შედარებით; წარმოების მოცულობა; პროდუქციის ძირითადი მომხმარებლები და ნედლეულისა და მასალების მომწოდებლები; მუშა ხელით, ენერგორესურსებით უზრუნველყოფის საკითხები და მშენებლობის ადგილი.

საპროექტო დაეალებას ამტკიცებს პროექტის შემაჯავებელი, ხოლო, თუ ობიექტი მსხვილმასშტაბიანია უნდა შეთანხმდეს სამთავრობო ორგანოებთან. საპროექტო დაეალების თანახმად სრულდება წარმოების ტექნიკური მომზადების ეტაპები, ზუსტდება, კონკრეტდება და საბოლოოდ განისაზღვრება პროდუქციის ყველა ტექნიკური და ეკონომიკური მახასიათებლები. პროექტის დამუშავების ყველა ეტაპზე გადამწვევები ხმის უფლება ეკუთვნით ეკონომისტებს და მარკეტოლოგებს.

ზემოთ განხილული საპროექტო სამუშაოები გათვალისწინებულია რთული პროფილის პროდუქციის მსხვილსერიულ და მასიური წარმოებისათვის. მცირე საწარმოსათვის მარტივი პროდუქციის წერილსერიულ და ერთეულადი წარმოების შემთხვევაში პროექტირების პროცესი, მისი ეტაპები რამდენადმე შემცირებული და გამარტივებულია. დარგები, რომლებიც აწარმოებენ სხვადასხვა მასალებს, სოფლის მეურნეობის ნედლეულის დამამუშავებისა და ასევე მომპოვებულ დარგებში ნაწარმის პროექტირება უმთავრესად ხდება გამოყენებითი კვლევის პროცესში, ლაბორატორიული კვლევის ან წარმოების ტექნოლოგიური მომზადების ეტაპებზე.

წარმოების ტექნოლოგიის დაპროექტება. ტექნოლოგიური პროექტირება პროდუქციის პროექტირების პროცესის გაგრძელებაა. ამ ეტაპზე მუშავდება პროდუქციის წარმოების ტექნოლოგიური პროცესები, მისი წარმოების პარამეტრები, დამამუშავების მეთოდები, ტექნიკური საშუალებები, რომელთა მეშვეობით უნდა განხორციელდეს ტექნოლოგიური პროცესი. ამ სტადიაზე საბოლოოდ ზუსტდება პროდუქციის თვით-ღირებულება და მისი ეფექტიანობა.

ორგანიზაციისა და სამუშაოს ხასიათით საწარმოს ტექნოლოგიური მომზადება სამ გჯგუფად იყოფა.

პირველი-ჯგუფი ეს არის ძირითადად მსხვილი დივერსიფიკირებული საწარმოები, უპირველეს ყოვლისა მასიური წარმოება, რომლებიც

დამოუკიდებლად ასრულებენ ტექნოლოგიური პროექტირების სამუშაოთა მოცულობას.

მეორე-ჯგუფს მიეკუთვნება საშუალო ზომის საწარმოები, რომელთაც ტექნოლოგიური სამსახური სათანადოდ მომზადებული არ ყავთ სამუშაოთა კომპლექსის დამოუკიდებლად დამუშავებისათვის. სპეციალიზებულ სამეცნიერო-კვლევით და საპროექტო-საკონსტრუქტორო (სკსკ) ორგანიზაციების მიერ შემუშავებულ ტიპური ტექნოლოგიური პროექტების გამოყენებით ამუშავებენ წარმოების ტექნოლოგიური მომზადების სამუშაოებს წარმოების კონკრეტული პირობების შესაბამისად.

მესამე - ჯგუფში შედის საშუალო და მცირე საწარმოები. აგრეთვე მომპოვებელი-მატერიალურ-სათბობ-ენერგომწარმოებელი, მსუბუქი, კვების და მოსახლეობის მომსახურების დარგების საწარმოები. მათთვის ტექნოლოგიურ დოკუმენტაციას ამზადებენ სპეციალიზებული სამეცნიერო და საპროექტო საკონსტრუქტორო ორგანიზაციები.

წარმოების ტექნოლოგიური პროექტების ამოცანაა პროდუქციის წარმოების ტექნოლოგიური პროცესების დაპროექტება და ამ პროექტის რეალიზაცია კონკრეტული წარმოების პირობებში. ტექნოლოგია მუშავდება თითოეული ახალი (მოდერნიზებული) პროდუქციის წარმოებისათვის.

წარმოების ტექნოლოგია - ეს არის პროდუქციის წარმოების მეთოდები, ტექნიკური საშუალებები და მეთოდების სისტემა. ტექნოლოგია გულისხმობს საწყისი ნედლეულისა და მასალის შუა პროდუქციად გარდაქმნის პროცესების თანმიმდევრობის, მოწყობილობის, ინსტრუმენტების, სამარჯვებების ტიპებისა და მათი მუშაობის რეჟიმის დახასიათებას, რომელთა საშუალებით მუშა ასრულებს თითოეულ ოპერაციას. ტექნოლოგია მკაცრად განსაზღვრავს წარმოებისა და მოწყობილობის რეჟიმს, მომუშავეთა კვალიფიკაციას, ადგენს პროდუქციის ერთეულზე წარმოების რესურსების ხარჯვის ნორმებს.

ტექნოლოგიური მომზადების საწყისი ეტაპია ტექნოლოგიის მარშრუტის შემუშავება, რომელიც შედგება ტექნოლოგიური ოპერაციების თანმიმდევრობისაგან, ნაწარმის მოძრაობა საამქროების, უბნების მიხედვით, განისაზღვრება თითოეულ საამქროში ოპერაციული ტექნოლოგია. ტექნოლოგიური მომზადების სამუშაოების ბოლოს მოცემულია ნაწარმის (ნაშადის) პარამეტრების დაწვრილებითი აღწერა, მითითებულია მოწყობილობის ტიპი, ინსტრუმენტის დასახელება, ფიზიკური და ქიმიური

კომპონენტები, რომლებიც მონაწილეობენ ტექნოლოგიურ პროცესში, შენახვის მეთოდები, ტრანსპორტირება, შეფუთვა და სხვა. წერილსერიულ და ერთეულად წარმოებაში მუშადება მხოლოდ საერთო ტექნოლოგიის მარშრუტი. ოპერაციების მიხედვით ტექნოლოგია მუშადება რთული პროდუქციისათვის.

პროდუქციის დამზადების ტექნოლოგია მრავალსახოვანია ერთი და იგივე პროცესისათვის. ტექნოლოგიის ამოცანაა განსაზღვროს ყველაზე რაციონალური მეთოდები, უზრუნველყოს მაღალი შრომის მწარმოებლობა, რესურსებისა და მოწყობილობის რაციონალური გამოყენება, პროდუქციის მაღალი ხარისხი მინიმალური დანახარჯების პირობებში.

წარმოების ფაქტორთა გათვალისწინებით ტექნოლოგიები არჩევენ ყველაზე უკეთეს ვარიანტს, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნას, როგორც ტიპური კონკრეტული ეფექტიანი ვარიანტის შემუშავებამდე.

ტექნოლოგიური მომზადება აგრეთვე გულისხმობს სპეციალური ტექნოლოგიური მოწყობილობის, ინსტრუმენტისა და სამარჯვეების დამზადების და გამართვის პროექტის დამუშავებას. რთული პროდუქციის მასიური წარმოებისათვის, ეს პროცესი საკმაოდ შრომატევადია. მანქანათმშენებლობაში ახალი მანქანის წარმოებისათვის საჭირო ხდება რამოდენიმე ათასი წნეხფორმების, მოდელების, სპეციალური ჩარხებისა და ავტომატური ხაზების გამოყენება, რომელიც მოითხოვს დიდი მოცულობის კაპიტალდაბანდებას. ხშირად საჭირო ხდება წარმოების რეკონსტრუქცია და ტექნიკური გადაიარაღება. თავის მხრივ რეკონსტრუქცია და ტექნიკური გადაიარაღება უზრუნველყოფს ახალი მაღალეფექტიან თანამედროვე მოთხოვნილებების შესაბამისი პროდუქციის წარმოებას და მეორეს, მხრივ წარმოება გააყავს ტექნიკის მოწინავე დონეზე, აუმჯობესებს წარმოების და შრომის ორგანიზაციის დონეს და პირობებს, ბუნების დაცვას და საბოლოო ჯამში მაღლდება საწარმოს პრესტიჟი.

წარმოების ტექნოლოგიური მომზადების შედეგი ფორმდება სპეციალური დოკუმენტაციით. ამ დოკუმენტაციას ზოგჯერ უწოდებენ ტექნოლოგიურ რუქას, რომელშიც მოცემულია ტექნოლოგიური პროცესის სრული აღწერა — ნედლეულისა და მასალების დამზადებიდან მზა პროდუქციის მიღებამდე და მის გასაღების განყოფილებაზე გადაცემამდე.

მრეწველობის მთელ რიგ დარგებში ტექნოლოგიურ დოკუმენტაციამუშედის: საწარმოო ნორმები და ნორმატივები ნედლეულის, მასალების,

ენერჯის, სათბობისა და დროის დანახარჯებზე; წარმოების კონტროლის ორგანიზაცია, წარმოების ნარჩენების დახასიათება და ნორმები, სატრანსპორტო მარშრუტის აღწერა, მუშა ინსტრუმენტების ჩამონათვალი, მოწყობილობისა და ინსტრუმენტების სფეციფიკაცია.

წარმოების ტექნიკური მომზადების პროექტირების სამუშაოების მართვა, დაგეგმვა და კონტროლი ხორციელდება პროექტირების პროცესში, პროექტირების ვადებისა და დანახარჯების შემცირების მიზნით. პროექტირების პროცესის მართვა მოიცავს პროექტის დაბრუნების დაგეგმვას, გეგმის შესრულების კონტროლს, გეგმის კორექტირებას და სამუშაოს ოპერატიულ რეგულირებას.

წარმოების ტექნიკური მომზადების დაგეგმვის სამუშაოებს ასრულებს სპეციალური დაგეგმვის ჯგუფი, რომელიც იქმნება მთავარ ინჟინერთან ან რომელიმე ტექნიკურ განყოფილებასთან. დაგეგმვისათვის ამოსავალია, საპროექტო ნორმები და ნორმატივები.

ტექნიკური მომზადების ვადების შემცირებისათვის გამოიყენება სამუშაოს შესრულების პარალელურ-მიმდევრობითი და პარალელური მეთოდები.


პარალელურ-მიმდევრობითი მეთოდის დროს სამუშაოს მეორე ეტაპი იწყება პირველი ეტაპის დამთავრებამდე, ხოლო მესამე ეტაპი, ვიდრე დამთავრებოდეს მეორე ეტაპი და ა.შ. სამუშაოს პარალელურ მიმდევრობით წარმოება მნიშვნელოვნად ამცირებს წარმოების ტექნიკური მომზადების დროს.

მსხვილი სამშენებლო ობიექტების, რთული პროექტების, ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიის შექმნისა და ათვისების ღონისძიებების დაგეგმვისათვის გამოიყენება ქსელური გრაფიკები.


ქსელური გრაფიკი შედგება ორი ელემენტებისაგან: სამუშაოები და მოვლენები. მოვლენა არის თითოეული სახის სამუშაოს დასაწყისი და დაბრუნება. საწყისი მოვლენა ეწოდება პირველი სამუშაოს დასაწყისს, რომელიც დაკავშირებულია დაგეგმილ ღონისძიების მომზადებასა და რეალიზაციასთან. საბოლოო მოვლენა მთავრდება დასრული მიზნის მიღწევით.

ქსელური დაგეგმვის გრაფიკი მოტანილია ნახ. 9.1. —ზე, სადაც მოვლენა აღნიშნულია წრეებში ჩაწერილი რიცხვებით, ხოლო სამუშაოები

ისრებით: ქსელური გრაფიკის სრული გზა - ეს არის ურთიერთ დაკავშირებულ სამუშაოთა განუწყვეტილი თანმიმდევრობა. კრიტიკული გზა - ყველაზე გრძელი გზა სამუშაოებისა და მოვლენების შესასრულებლად.



9.1. ახალი პროდუქციის შემუშავების ქსელური გრაფიკის ფრაგმენტი



9.3. ქსელური გრაფიკის კრიტიკული გზა

ქსელური გრაფიკი ხასიათდება რიგი უპირატესობით (ლენტური) ზოლური გრაფიკის მეთოდთან შედარებით. უკანასკნელი ვერ იძლევა ცალკეულ ეტაპებს შორის კავშირს, ასევე მისი საშუალებით. შეუძლებელია სამუშაოების პარალელურად სამუშაოების კოეფიციენტის გაზრდა.

ქსელური გრაფიკები ღვება ახალი ნაწარმის მომზადებაზე და მის წარმოებაში ჩაშვებაზე.

9.4. კაპიტალური დაბანდების ეკონომიკური ეფექტიანობა

კაპიტალური დაბანდების საერთო მოცულობაში შედის დანახარჯები უშუალოდ მოცემულ ობიექტზე, პროდუქციის დაპროექტებაზე და წარმოების ათვისებაზე და ასევე მასთან დაკავშირებული თანამდგევი დანახარჯები, რომელიც საჭიროა ძირითადი და საბრუნავი ფონდებით უზრუნველყოფაზე. ახალი საწარმოს მშენებლობაზე გარდა აღნიშნული დანახარჯებისა საჭიროა გათვალისწინებულ იქნას: დაბანდებანი საცხოვრებელი სახლების მშენებლობაზე, კომუნალურ, კულტ-საყოფაცხოვრებო და სხვა ობიექტებზე, რომელიც საჭიროა საშუალო ძალის როციალური უზრუნველყოფისა და კადრების მომზადებისათვის და სატრანსპორტო მშენებლობაზე.

თუ საწარმოს რეკონსტრუქციის ან ტექნიკური გადაიარაღების დროს საჭიროა მოქმედი ფონდების ლიკვიდაცია, მაშინ ამ ფონდების ნარჩენი ღირებულება (მათი რეალიზაციის თანხის გამოკლებით) ემატება კაპიტალურ დაბანდების დაფინანსებას.

პირდაპირი კაპიტალური დაბანდება განისაზღვრება ობიექტის მშენებლობის, ტექნიკური გადაიარაღების, რეკონსტრუქციის ხარჯთაღრიცხვით საბრუნავ ხარჯებზე დანახარჯების გათვალისწინებით.

შეუღლებული კაპიტალური დანახარჯები განისაზღვრება ძირითადი ფონდებისა და საბრუნავი საშუალებების ხვედრითი კაპიტალ დაბანდების დარგობრივი ნორმატივებით ან პირდაპირი გაანგარიშებით.

საერთო (აბსოლუტური) კაპიტალდაბანდების ეფექტიანობა განისაზღვრება შემდეგი წესით: ქვეყნის მასშტაბით კაპიტალდაბანდების საერთო ეფექტიანობა განისაზღვრება ეროვნული შემოსავლის (წმინდა პროდუქციის) წლიური ნამატის შეფარდებით შესაბამის ფასებში ($\Delta\Delta$) კაპიტალურ დაბანდებასთან (K) და გამოიანგარიშება

$$\Xi = \Delta\Delta / K.$$

დარგის მასშტაბით კაპიტალდაბანდების საერთო ეკონომიკური ეფექტი განისაზღვრება, როგორც წმინდა პროდუქციის $\Delta\Upsilon\Pi$ წლიური ნამატის მოცულობის შეფარდებით კაპიტალურ დაბანდებასთან:

$$\Xi = \Delta\Upsilon\Pi / K.$$

ცალკეული ფირმის, წარმოების მიხედვით, საკუთარი სახსრებისა და ბანკის კრედიტის გამოყენებისას ეფექტიანობის მაჩვენებლად

გამოიყენება კაპიტალდაბანდების რენტაბელობა, რომელიც განისაზღვრება მოგების წლიური ნამატის (რომელიც მიღებულია დამატებით კაპიტალდაბანდების ხარჯზე) $\Delta\Pi$, შეფარდებით კაპიტალურ დაბანდებასთან $\Xi = \Delta\Pi/K$.

ახალი მშენებლობის საწარმოების, სამქროებისა და ობიექტებისათვის განისაზღვრება რენტაბელობა, როგორც მოგების შეფარდება კაპიტალდაბანდების მოცულობასთან.

$$\Xi = (Q-C)/K,$$

სადაც Q-არის პროდუქციის წლიური წარმოება საბითუმო ფასებში; C-პროდუქციის წლიური წარმოების თვითღირებულება. K - მშენებარე ობიექტის სახარჯთაღრიცხვო ღირებულება.

თუ წარმოების რეკონსტრუქციით იზრდება წარმოებული პროდუქციის მოცულობა, მაშინ საერთო ეფექტიანობის მაჩვენებელი განისაზღვრება ფორმულით:

$$\Xi = [(C_1 - C_2)Q_1 + (\Pi - C_2)]\Delta Q/K,$$

სადაც C_1, C_2 - არის პროდუქციის თვითღირებულება რეკონსტრუქციაზე და მის შემდეგ. Q-წარმოების მოცულობა რეკონსტრუქციაზე, Π -პროდუქციის ერთეულის ფასი, ΔQ -რეკონსტრუქციის შედეგად პროდუქციის ნამატი.

შეფარდებითი ეკონომიკური ეფექტიანობის მაჩვენებლებია კაპიტალდაბანდების გამოსყიდვის ვადა T ან კაპიტალდაბანდების ეფექტიანობის კოეფიციენტი E. რომლებიც განისაზღვრება შესაბამისი ფორმულებით:

საწარმოებისა და ფირმებისათვის

$$T_{\text{გამსყ}} = \frac{K}{\Pi_1 - \Pi_0}, \text{ ან } E = \frac{\Pi_1 - \Pi_0}{K}$$

სადაც K- კაპიტალდაბანდების მოცულობა ძირითად ფონდებში საგეგმო პერიოდში;

Π_1 - მოგება საგეგმო პერიოდის ბოლო წელს;

Π_0 - მოგება საბაზო პერიოდში.

ცალკეული ობიექტების მშენებლობის, ცალკეული ღონისძიებისა და ტექნიკურ-ეკონომიკური პროდუქტებისათვის

$$T_{\text{გამსყ}} = \frac{K}{\text{Ц-C}}, \text{ ან } E = \frac{\text{Ц-C}}{K}$$

სადაც $T_{\text{გამსყ}}$ - გამოსყიდვის ვადაა წლებში;

K- მშენებარე ობიექტის სახარჯთაღრიცხვო ღირებულება;

Ц- პროდუქციის წლიური წარმოების ღირებულება საბაზრო ფასებში;

C- პროდუქციის წლიური წარმოების საპროექტო თვითღირებულება.

კაპიტალურ დაბანდების ეფექტიანობის ნორმატიული კოეფიციენტი $E_{\text{გ}}$ - მრეწველობაში უდრის $E_{\text{გ}}=0,16$, შესაბამისად გამოსყიდვის ვადა $T_{\text{გამ}}=6,25$ წელს. ღონისძიება ითვლება ეფექტიანად, თუ

$$T_{\text{გამგანგ}} \leq T_{\text{გამწორე}}$$

სადაც $T_{\text{გამწორე}}$ - ნორმატიული გამოსყიდვის დრო წლებში.

კაპიტალდაბანდების ფაქტიური ეფექტი მოგების ნამატის სახით შეიძლება შევადაროთ ძირითადი საწარმოო ფონდების ნამატს.

$$E = \frac{\Pi_1 - \Pi_2}{\Phi_1 - \Phi_0} \text{ ან } T_{\text{გამგანგ}} = \frac{\Phi_1 - \Phi_0}{\Pi_1 - \Pi_2}$$

სადაც Φ_1 - ძირითადი ფონდების ღირებულებაა საანალიზო პერიოდის ბოლოს;

Φ_0 - ძირითადი ფონდების ღირებულებაა საანალიზო პერიოდის დასაწყისში.

კაპიტალური დაბანდების ყოველმხრივი ანალიზისათვის ასევე გამოიყენება შემდეგი მაჩვენებლები: ხვედრითი კაპიტალდაბანდება, კაპიტალუკუება, ფონდტევადობა, ფონდუკუება, შრომის მწარმოებლურობა, პროდუქციის თვითღირებულება და სხვა.

კაპიტალდაბანდების ეფექტიანობის ამოღლების გზები: კაპიტალდაბანდების ეფექტიანობის ფორმირება ხდება: კაპიტალდაბანდების დაგეგმვის, დააროექტების, წარმოების, მშენებლობის, ახალი საპროექტო სიმძლავრების ექსპლუატაციაში შეყვანის სტადიებზე.

დაგეგმვის სტადიაზე - განისაზღვრება დარგის მასშტაბით კაპიტალდაბანდების რესურსების წარმართვა დარგის ყველაზე პროგრესულ ფირმებსა და საწარმოებში, წარმოების ტექნიკურ გადაიარაღებაში

კაპიტალდაბანდების ხვედრი წილის ზრდა, მათი რეკონსტრუქცია და გაფართოება, კაპიტალდაბანდების კონცენტრაცია საგეგმო პერიოდში გასაშვებ ობიექტებზე და სხვა.

სამრეწველო მშენებლობის პროექტირების სტადიაზე ხდება მეცნიერებისა და ტექნიკის უახლესი მიღწევების გამოყენება, ტიპური პროექტების მაქსიმალური გამოყენება, ერთ რაიონში რამოდენიმე სამრეწველო ობიექტის თავმოყრა, საამშენებლო კონსტრუქციების ელემენტების ფართო უნიფიკაცია.

მშენებლობის სტადიაზე – სამშენებლო წარმოების ინდუსტრიალიზაცია, საამშენებლო – სამონტაჟო სამუშაოთა ტექნოლოგიისა და ორგანიზაციის სრულყოფა, მშენებლობის ხარისხის ამაღლება, მართვის, დაგეგმვის და ეკონომიკური სტიმულირების სრულყოფა სამშენებლო წარმოებაში.

მოქმედებაში ახლად შეყვანილ საწარმოსა და ობიექტების ექსპლუატაციის სტადიაზე – ძირითადი და მომიჯნავე ახლად ამოქმედებულ ფონდების ექსპლუატაციაში კომპლექსური შეყვანა, ახალ მშენებარე ობიექტებისათვის კადრებისა და საბრუნავი ფონდების წინასწარი მომზადება, ნაწარმის ტექნოლოგიის დროული ათვისება.

კაპიტალდაბანდების ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლება გამოიხატება: ფონდუკუგების, ფონდტევადობის, ხვედრითი კაპიტალური დაბანდების, კაპიტალური დაბანდების ეფექტიანობის კოეფიციენტის მაჩვენებლებით.

9.5. ინოვაციური ლიზინგი

ახალი საწარმოს მშენებლობის პროცესში ხშირად პროექტის რეალიზაციისთვის არაა საკმარისი საკუთარი კაპიტალი. ასეთ შემთხვევაში შეიძლება გამოყენებული იქნას ინოვაციური ლიზინგი. ლიზინგის მიმღებთან ურთიერთ შეთანხმებით ლიზინგური კომპანია შეისყიდის მომწოდებლისაგან მისდამი შეკვეთილ მოწყობილობას, მანქანებს, ხელსაწყოებს და გასცემს მას არენდით.

საარენდო გადასახადში ამ შემთხვევაში შედის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ნორმატივით დარიცხული ამორტიზაციის თანხა და ლიზინგური კომპანიის მოგება. თუ ხელშეკრულებაში გათვალისწინ-

ბულია კომპანიის მომსახურება, მაშინ ამ თანხას ემატება დანახარჯების თანხა მომსახურებაზე და შესაბამისი მოგება.

ხელშეკრულების ვადის დამთავრების შემდეგ ლიზინგის ამლებს შეუძლია დაუბრუნოს კომპანიას არენდით აღებული ქონება ან გამოისყიდოს მისგან ნარჩენი ღირებულებით. შესაძლებელია ასევე არენდის ვადის გაგრძელება. ლიზინგით ქონების მიღების მიზანშეწონილობის გაანგარიშებისათვის გამოიყენება შემდეგი ფორმულა:

$$\Delta - \Pi / \Phi \geq H_n \text{ როცა } H_n > 0,$$

სადაც Δ - ლიზინგით მიღებული საშუალოწლიური მოგებაა;

Π - ლიზინგური კომპანიის გადასახადი წელიწადში;

Φ - ლიზინგით შეძენილი ქონების საბალანსო ღირებულება;

H_n - კაპიტალის შემოსავლის ნორმა- კოეფიციენტი.

ლიზინგის ხელშეკრულებაში ნაჩვენები უნდა იყოს მხარეთა უფლებები და მოვალეობანი, ობიექტისათვის გადამცემი მოწყობილობის, ტრანსპორტირების, მიღების, მონტაჟის, მომსახურებისა და შენახვის შესახებ გარიგება, ლიზინგის გადასახადის ვადები და თანხა, ხელშეკრულების მოქმედების ვადა, არენდატორის მიერ ლიზინგური ქონების მესამე პირზე გადაცემა, ქონების დაზღვევის პირობები, მხარეთა უფლებები ხელშეკრულების ვადამდე დარღვევის პირობები, ლიზინგური ქონების გამოსყიდვის პირობები, ექსპლუატაციაში ნამყოფი ქონების არენდით მიღება და სხვა.

თავი X. კადრები, შრომის მწარმოებლურობა და შრომის ანაზღაურება

10.1 საწარმოს შრომითი რესურსები

საწარმოს კადრები ანუ შრომითი რესურსები, ეს არის მუშაკთა სხვადასხვა პროფესიულ-კვალიფიციური ჯგუფები, რომლებიც დასაქმებული არიან საწარმოში და შედიან მის სიობრივ რიცხვში.

შრომითი რესურსები საწარმოს ძირითადი და წამყვანი რესურსია, რომლის ეფექტიან გამოყენებაზე დამოკიდებულია საწარმოს საქმიანობის შედეგები და მისი კონკურენტუნარიანობა. შრომით რესურსებს მოძრაობაში მოყავთ წარმოების მატერიალურ-ნივთობრივი ელემენტები, ქმნიან, ღირებულებას და ზედმეტ პროდუქტს, მოგების სახით.

შრომითი რესურსები წარმოების მუდმივი ზრუნვის ობიექტია. შრომითი რესურსების როლი განსაკუთრებით იზრდება საბაზრო ეკონომიკის პირობებში. პროდუქციის კონკურენტულობა ღიდათაა დამოკიდებული კადრების პროფესიულ დონეზე. შრომისადმი მათ შემოქმედებით დამოკიდებულებაზე.

კარგად შერჩეული და დაკომპლექტებული შრომითი კოლექტივი ეს არის მეწარმის ძირითადი დასაყრდენი და წარმატების საწინდარი. შრომითი კოლექტივი ეს არის თანამოაზრეთა და პარტნიორთა კომანდა (ჯგუფი), რომელთაც შეუძლიათ აითვისონ და რეალიზაცია გაუკეთონ საწარმოს ხელმძღვანელთა ჩანაფიქრს. მხოლოდ მათ შეუძლიათ სამეწარმეო საქმიანობაში წარმატების მიღწევა და საწარმოს წინსვლა.

შრომითი ურთიერთობა ყველაზე რთული პროცესია წარმოების მართვაში. გაცილებით ადვილია საწარმოს ტექნიკური და ტექნოლოგიური პრობლემების გადაწყვეტა, ვიდრე კოლექტივში შექმნილი კონფლიქტური სიტუაციების მოგვარება, რომლისათვისაც საჭიროა გათვალისწინებული იქნას თითოეული ინდივიდის მისწრაფება, პირადი მოთხოვნები და სურვილები, ფსიქოლოგიური განწყობა და სხვა.

როგორი ტექნიკური, ორგანიზაციულ-მმართველობითი უპირატესობაც არ უნდა ჰქონდეს საწარმოს, იგი ვერ მიაღწევს სასურველ შედეგს შესაბამისი შრომითი რესურსების გარეშე. ვინაიდან საწარმოს ყველა რესურსის გამოყენების ეფექტიანობა დამოკიდებულია ადამიანებზე, მათ

კვალიფიკაციაზე, მათი შრომის უნარზე და სურვილზე. სწორედ ამის გამო დასავლეთის სპეციალისტები საწარმოს სტრუქტურას განიხილავენ, როგორც ნივთობრივ და ადამიანური კაპიტალის ერთობლიობას.

წარმოებაში მრავლრიცხოვან ადამიანთა მჭიდრო ურთიერთობის საფუძველზე წარმოების ურთულესი ტექნიკური და საწარმოო პრობლემათა გადაწყვეტა შეუძლებელია თითოეულის წარმოების შედეგებისადმი ღრმა დაინტერესებისა და სამუშაოსადმი შეგნებული დამოკიდებულების გარეშე. მხოლოდ ადამიანები და არა ქარხნები, მანქანა-დანადგარები და საწარმოო მარაგები უზრუნველყოფენ საწარმოს კონკურენტუნარიანობას, ეკონომიკურ ზრდასა და ეფექტიანობას.

საწარმოს ეფექტიანობის ამაღლებაზე მოქმედ ფაქტორთა შორის განსაკუთებით აღსანიშნავია, კადრების შერჩევა და მათი დაწინაურება; კადრების მომზადება და მათი სისტემატური სწავლება; მომუშავეთა სტაბილურობა და მოქნილობა; შრომის მატერიალური და მორალური შეფასება.

თუ ჩვენ ადამიანებს ჩავთვლით წარმოების განსაკუთრებულ „კაპიტალად“, მაშინ მათ სამუშაოზე მიღებას განსაკუთრებული ყურადღება უნდა ექცოდეს. სამწუხაროდ, როცა წარმოებისათვის ვყიდულობთ რაიმე დანადგარს, მას ყურადღებით ვირჩევთ და ვაფასებთ, ვცდილობთ სრულად დავტვირთოთ იგი წარმოებაში და გვქონდეს ყოველთვის მზადყოფნის მდგომარეობაში, რისთვისაც მნიშვნელოვან თანხებს ვხარჯავთ მის მიმდინარე და კაპიტალურ რემონტზე, მოდერნიზაციაზე. ახალი მუშაკის სამუშაოზე მიღებისას ასეთ მიდგომას არ ვიყენებთ, უმეტესად ჩვენ ყურადღებას ვაქცევთ მის პროფესიულ ცოდნას, რომელიც ძალიან სწრაფად ძველდება. ჩვენ ყურადღებას ვაქცევთ იმ მუშაკს, რომელსაც შესწევს უნარი ისწავლოს და სისტემატურად აიმალოს კვალიფიკაცია ან აითვისოს ახალი სპეციალობა.

პრაქტიკულად ახალი მუშაკის შერჩევა და მისი დაწინაურება უნდა ხდებოდეს 2 ძირითადი კრიტერიუმით:

მაღალი პროფესიული კვალიფიკაცია სწავლის სურვილი და უნარი; თანამშრომლობისადმი მზადყოფნა და ურთიერთობის გამოცდილება.

პარვარდის უნივერსიტეტის პრეზიდენტი ლ. ბოკი აღნიშნავს, თუ თქვენ თვლით, რომ სწავლება ძალიან ძვირია, სცადეთ შეაფასოთ რა ღირს გაუნათლებლობა. ფასი რომელსაც ჩვენ ვიხდით გაუნათლებლობისა

და ადამიანური კაპიტალის დაბალი ხარისხისათვის, ძლიერ მაღალია. ამიტომ კადრების მომზადება ეს არ არის დანახარჯი, არამედ ეს არის წინაპირობა იმისა, რომ სამუშაო ძალის მუდმივი სრულყოფით, მისი მოქნილი გამოყენებით შევამციროთ უნაყოფო ხარჯები.

მუშაკთა დასაქმება და კადრების დენადობის შემცირება იდი ეფექტს იძლევა, იგი ქმნის პირობებს წარმოების ეფექტიანობის ამაღლებისათვის.

საწარმოს კადრები საბაზრო ეკონომიკის პირობებში არიან ადმინისტრაციის მიერ კონტრაქტის წესით დაქირავებული მუშაკები. კონტრაქტში მოცემულია ადმინისტრაციისა და დაქირავებული მუშაკის ურთიერთობის ყველა ასპექტი. მხარეთა უფლებები და მოვალეობანი. შრომის ანაზღაურების პირობები, მიღების, დათხოვნის კონტრაქტის შეწყვეტისა და განახლების პირობები.

კადრები გაერთიანებული უნდა იყვნენ ორგანიზაციულ პროფკავშირებში, რომელიც იცავს მათ უფლებებს ადმინისტრაციის წინაშე, აწარმოებს მოლაპარაკებას ადმინისტრაციასთან შრომის პირობებისა და მათი ანაზღაურების შესახებ, აფორმებს შესაბამის კოლექტიურ ხელშეკრულებას.

საწარმოს პერსონალი ხასიათდება რაოდენობრივი, ხარისხობრივი და სტრუქტურული მაჩვენებლებით.

კადრების სტრუქტურის რაოდენობრივი მაჩვენებლებია: სიობრივი და გამოცხადებულთა რაოდენობა; საშუალო სიობრივი რიცხოვნობა; ცალკეული კატეგორიის მუშაკთა ხვედრი წილი; რიცხოვნობის ზრდის ტემპი; მუშათა საშუალო თანრიგი; უმაღლესი და საშუალო განათლების მოსამსახურეთა ხვედრი წილი საწარმოს მუშაკთა საერთო რიცხვში; მუშაკთა დენადობა; შრომის ფონდ შეიარაღება (მუშების ან მომუშავეთა).

შრომითი რესურსების რაოდენობრივი მაჩვენებლებია: მომუშავეთა სიობრივი, გამოცხადებულთა და საშუალო სიობრივი რიცხვი.

სიობრივი რიცხვი — არის მუშაკთა რიცხოვნობა განსაზღვრულ თარიღის ან დროისათვის. ამ დროისათვის მიღებულ და განთავისუფლებულ მუშაკთა გათვალისწინებით.

გამოცხადებულთა რიცხვი — არის სამუშაოზე გამოცხადებული სიობრივი მუშაკთა რიცხვი.

სიობრივ და გამოცხადებულთა რიცხვს შორის სხვაობა არის მთელი დღის გაცდენათა რაოდენობა (შეებულება, ავადმყოფობა, მივლინება და სხვა).

მომუშავეთა რაოდენობის განსაზღვრისათვის გარკვეულ პერიოდში გამოიყენება საშუალო სიობრივი რიცხვი. იგი გამოიყენება შრომის მწარმოებლურობის, საშუალო ხელფასის, კადრების დენადობისა და სხვა მაჩვენებლების გასაანგარიშებლად.

საშუალო სიობრივი რიცხოვნობა — თვის განმავლობაში განისაზღვრება მუშაკთა ყოველ კალენდარულ დღეში სამუშაოზე გამოცხადებულთა სიობრივი რიცხვის შეჯამებით (სადღესასწაულო და გამოსასვლელი დღეების ჩათვლით) და მიღებული ჯამის გაყოფით თვეში კალენდარულ დღეთა რაოდენობაზე.

შრომის რესურსების ფონდი განისაზღვრება მუშაკთა საშუალო სიობრივი რიცხვის ($\Phi_{\text{ს.}}$) გამრავლებით სამუშაო დროის საშუალო ხანგრძლივობაზე ($T_{\text{გ.}}$)

$$\Phi_{\text{გ.}} = \Phi_{\text{ს.}} \times T_{\text{გ.}}$$

საწარმოს პერსონალის შრომითი რესურსების ხარისხობრივი მაჩვენებლები განისაზღვრება მომუშავეთა მიერ შესასრულებელი სამუშაოსადმი პროფესიულ და კვალიფიკაციურ შესაბამისობით. შრომითი რესურსების ხარისხობრივი მაჩვენებლის განსაზღვრა საკმაოდ რთულია. ამჟამად ეკონომიკურ მეცნიერებაში არ გაგვაჩნია სამუშაო ძალის შრომითი პოტენციალის შეფასების ერთიანი მაჩვენებელი. დღეისათვის დიდი ხნის დისკუსიის შედეგად შემუშავებულია მხოლოდ შრომის ხარისხის შეფასების ზოგიერთი პარამეტრი: ეკონომიკური (შრომის სირთულე, მუშაკის კვალიფიკაცია, შრომის პირობები, შრომის სტაჟი), პირადული (დისციპლინა, კეთილსინდისიერება, ოპერატიულობა, შემოქმედებითი აქტიუობა), ორგანიზაციულ-ტექნიკური (მიმზიდველობა, მოწყობილობით გაჯერება, ტექნოლოგიურობის დონე, შრომის ორგანიზაციის დონე) და სოციალურ-კულტურული (კოლექტიურობა, სოციალური აქტიუობა, ზოგად კულტურული და სხვა).

შესასრულებელი ფუნქციების მიხედვით საწარმოს მუშაკები იყოფა რამოდენიმე კატეგორიად და ჯგუფებად.

საწარმოს პერსონალი ზოგადად იყოფა ორ ჯგუფად: სამრეწველო და არასამრეწველო.

არასამრეწველო პერსონალს მიეკუთვნება წარმოების სავაჭრო ობიექტების, საზოგადოებრივი კვების, კომუნალური მეურნეობის, ჯანმრთელობის, განათლების, კულტურისა და საწარმოს ბალანსზე მყოფი სხვა ობიექტებზე მოქმადე პერსონალი.

სამრეწველო პერსონალს მიეკუთვნება ძირითადი, დამხმარე და მომსახურე საამქროების; სამეცნიერო-კვლევით; საცდელ-საკონსტრუქტორო, ტექნოლოგიურ სამსახურების და ლაბორატორიების; საწარმოს სამმართველო აპარატის, კაპიტალური მშენებლობის, ტრანსპორტისა და სხვა ობიექტების მუშაკები.

სამრეწველო-საწარმოო პერსონალი თავისმხრივ იყოფა ორ ჯგუფად: მუშები და მოსამსახურეები. მუშებს მიეკუთვნება პიროვნება, რომელიც უშუალოდ დაკავებულია მატერიალურ ფასეულობის შემქნით, ძირითადი საშუალებების რემონტით, ტვირთის ტრანსპორტირებით, მატერიალური მომსახურებით. თავის მხრივ მუშები იყოფა ძირითად და დამხმარე მუშებად. ძირითად მუშებს მიეკუთვნებიან ის მუშაკები, რომლებიც დასაქმებულნი არიან ტექნოლოგიურ პროცესებში. თვითღირებულებაში მათი ხელფასი შედის ძირითადი საწარმოო მუშების ხელფასში. აღნიშნული ხელფასი არის ბაზა წარმოების რიგი დანახარჯების გასაანგარიშებლად. მაგალითად, საამქროს ხარჯები, საერთო საქარხნო ხარჯები და სხვა. ძირითადი მუშების რიცხოვნობის კოეფიციენტი ($K_{ა,ა}$) იანგარიშება ფორმულით

$$K_{ა,ა} = 1 - P_{ა,ა} / P_{ა}$$

სადაც $P_{ა,ა}$ არის დამხმარე მუშების საშუალო სიობრივი რიცხვი მთლიანად წარმოებაში, საამქროებსა და სამსახურებში (კაცი);

$P_{ა}$ არის წარმოებაში დასაქმებულ ყველა მუშის საშუალო სიობრივი რიცხვი.

დამხმარე მუშები დასაქმებული არიან საამქროებსა და განყოფილებებში, ასრულებენ სამუშაოებს, რომლებიც ხელს უწყობენ ძირითადი მუშების საქმიანობას, მასალებით, ნედლეულით, იარაღებით მათ მომარაგებას. ნედლეულის, ნახევარფაბრიკატებისა და შუა პროდუქციის დატვირთვა-გადატვირთვის სამუშაოებს. რაც უფრო მაღალია საწარმოო პროცესების ავტომატიზაციის დონე, მით ნაკლებია დამხმარე ოპერაციების და მათზე დასაქმებული დამხმარე მუშების რაოდენობა.

მოსამსახურეების კატეგორიას მიეკუთვნებიან ხელმძღვანელები, სპეციალისტები და უშუალოდ მოსამსახურეები.

ხელმძღვანელთა ჯგუფში შედიან მუშაკები, რომელთაც დაკავებული აქვთ საწარმოს და მის ქვედანაყოფთა ხელმძღვანელის თანამდებობები ასევე მათი მოადგილეები. მათ მიეკუთვნებიან: დირექტორები, განყოფილებების უფროსები, მმართველები, პრეზიდენტები, მთავარი სპეციალისტები (მთ. ბუღალტერი, მთ. ინჟინერი, მთ. მექანიკოსი, მთ. ტექნოლოგი, მთ. ეკონომისტი) და მენეჯერები.

სპეციალისტებს მიეკუთვნებიან მუშაკები, რომლებიც დაკავებული არიან ინჟინერ-ტექნიკური, ეკონომიკური, ბუღალტრული, იურიდიული და სხვა ანალოგიური სამუშაოებით.

საკუთრაც მოსამსახურეებს მიეკუთვნებიან მუშაკები, რომლებიც ასრულებენ დოკუმენტაციის მომზადებისა და გაფორმების, აღრიცხვისა და კონტროლის, სამეურნეო მომსახურების და საქმის წარმოების (აგენტები, მოლარეები, კონტროლიორები, საქმის მწარმოებლები, აღმრიცხველები, მდივნები, კადრების განყოფილების მუშაკები, მზაზველები და სხვა) სამუშაოს.

კადრების პროფესიონალურ-კვალიფიციური სტრუქტურა იყოფა სხვადასხვა სპეციალობებად ცალკეული პროფესიების მიხედვით. პროფესია იყოფა სპეციალობებად, მაგალითად: ეკონომისტი ეს არის პროფესია, რომელიც იყოფა შემდეგ სპეციალობებად: მგეგმავი, მარკეტოლოგი, ფინანსისტი, შრომის სპეციალისტი და სხვა.

კადრების პროფესიონალურ-კვალიფიციური შემადგენლობა მოცემულია საწარმოს საშტატო განრიგში.

კადრების მდგომარეობა საწარმოში განისაზღვრება შემდეგი კოეფიციენტებით:

კადრების გაღივნების კოეფიციენტი $K_{\text{გ}}$ (%) განისაზღვრება მოცემულ პერიოდში კადრების განთავისუფლების რაოდენობის (ყველა მიზეზით) $P_{\text{გ}}$ შეფარდებით ამავე პერიოდისათვის შეშაკთა საშუალო სიობრივ რიცხვთან P

$$K_{\text{გ}} = P_{\text{გ}} / P \times 100.$$

კადრების მიღების კოეფიციენტი $K_{\text{მ}}$ (%) მოცემულ პერიოდში სამუშაოზე მიღებული კადრების რაოდენობის ($P_{\text{მ}}$) შეფარდებით ამავე პერიოდისათვის კადრების საშუალო სიობრივ რიცხვთან P

$$K_3 = K_{2c}/P \times 100.$$

კადრების სტაბილურობის კოეფიციენტი K_{2c} განსაზღვრავს წარმოების მართვის ორგანიზაციის ღონეს, განისაზღვრება ფორმულით:

$$K_{2c} = 1 - P_{3c}/P + P_{2c}.$$

სადაც P_{3c} - არის წარმოებიდან საკუთარი სურვილით და შრომის დისციპლინის დარღვევის გამო განთავისუფლებულ მუშაკთა რიცხვი, კაც;

P - საანგარიშოს წინა პერიოდში მომუშავეთა საშუალო სიობრივი რიცხვი, კაც;

P_{2c} - საანგარიშო პერიოდში მიღებული მუშაკთა რიცხვი, კაც.

კადრების დენადობის კოეფიციენტი K_{2c} , განისაზღვრება საანგარიშო პერიოდში განთავისუფლებული მუშაკთა რიცხვის P_{3c} შეფარდებით ამავე პერიოდში მუშაკთა საშუალო სიობრივ რიცხვთან P (%-ში)

$$K_{2c} = (P_{2c}/P) \times 100.$$

კადრების დენადობაზე მრავალი ფაქტორი მოქმედებს. ასეთებია: კადრების ასაკი, კონიუნქტურის საერთო მდგომარეობა და სხვა. ქალების დენადობა გაცილებით მეტია, ვიდრე მამაკაცების. საერთოდ კადრების დენადობა მცირდება ეკონომიკის აღმავლობის პროცესში და პირიქით.

კადრების დენადობა უარყოფითად მოქმედებს წარმოების ეფექტიანობაზე, იგი იწვევს წარმოების დანახარჯების გაღობას, კერძოდ, იზრდება კადრების მომზადების ხარჯები, დათხოვნასთან დაკავშირებული ხარჯები, მცირდება წარმოებული პროდუქციის მოცულობა კადრების მომზადებისა და სწავლების პერიოდში, იზრდება პროდუქციის წუნი. ამიტომ კადრების დენადობის შემცირების ღონისძიებათა შემუშავებას და მათ რეალიზაციას დიდი მნიშვნელობა აქვს კადრებთან მუშაობის საკითხში.

აღმინისტრაციის ინიციატივით კადრების დათხოვნის მიზეზია: კვალიფიკაციის შეუსაბამობა, დისციპლინის დარღვევა, წარმოების მოცულობის შემცირება და სხვა.

10.2 შრომის მწარმოებლურობა

საწარმოს შრომითი რესურსების გამოყენების ეფექტიანობის მაჩვენებელია შრომის მწარმოებლურობა, რომელიც განისაზღვრება წარმოებული პროდუქციის რაოდენობით სამუშაო დროის ერთეულში, ან შრომის დანახარჯებით პროდუქციის ან შესრულებული სამუშაოს ერთეულზე.

საწარმოს დონეზე შრომის მწარმოებლურობის მაჩვენებელია: პროდუქციის რაოდენობა (B) და პროდუქციის შრომატევადობა (T), რომლებიც იანგარიშება შემდეგი ფორმულით:

$$B = Q / \mu_{\text{ს}}, \quad T_p = T / Q$$

სადაც Q არის წარმოებული პროდუქციის, შესრულებული სამუშაოს რაოდენობა, ნატურალურ ან პირობით ნატურალურ მაჩვენებლებში;

$\mu_{\text{ს}}$ მომუშავეთა საშუალო სიობრივი რიცხვი;

T მთელ წარმოებულ პროდუქციაზე დახარჯული დრო ნორმა საათებში.

შრომის მწარმოებლურობის ყველაზე გავრცელებული და უნივერსალური მაჩვენებელია პროდუქციის წარმოების მოცულობა. სამრეწველო საწარმოებში პროდუქციის მოცულობის გასაანგარიშებლად ყველაზე გავრცელებული მაჩვენებელია: ნატურალური, ღირებულებითი და ნორმირებული სამუშაო დრო. მათ შორის ყველაზე ზუსტი მაჩვენებელია პროდუქციის ნატურალური ან პირობით ნატურალური მაჩვენებელი. ამ მაჩვენებლის გამოყენება მრეწველობის რიგ დარგებში შეზღუდულია, ვინაიდან მრავალნომენკლატურიან წარმოების პირობებში მათი ერთ საერთო ნატურალურ მაჩვენებელში გამოხატვა შეუძლებელია, ამიტომ ამ შემთხვევაში გამოიყენება ღირებულებითი მაჩვენებელი.

ღირებულებით მაჩვენებლებში შრომის მწარმოებლურობის გასაანგარიშებლად გამოიყენება: საერთო, სასაქონლო, რეალიზებული და წმინდა პროდუქციის მაჩვენებლები.

სამაქროებსა და უბნებზე შრომის მწარმოებლურობის გასაანგარიშებლად შეუძლებელია ნატურალური ან ღირებულებითი მაჩვენებლების გამოყენება. ამ შემთხვევაში გამოიყენება გასაანგარიშებლად გამოიყენება ნორმა-საათები. გამოიყენება შეიძლება განისაზღვროს 1 ნამუშევარ კაც-საათზე, კაცდღეზე, ერთ საშუალო სიობრივ მუშაკზე წელიწადში.

შრომატევადობა არის სამუშაო დროის დანახარჯი პროდუქციის ერთეულზე ნატურალურ განზომილებაში. მრავალნომენკლატურან წარმოების შემთხვევაში შრომატევადობას განსაზღვრავენ ცალკეული პროდუქციის მიხედვით. უმეტესად განსაზღვრავენ წამყვანი პროდუქციის შრომატევადობას, ხოლო დანარჩენი პროდუქციის შრომატევადობას განსაზღვრავენ ძირითადი ნომენკლატურის მიხედვით.

შრომატევადობის მაჩვენებელი ხასიათდება უპირატესობით შედარებითა ნატურალურ და ღირებულებით მაჩვენებლებთან: ჯერ ერთი ეს მაჩვენებელი პირდაპირ აკავშირებს წარმოების მოცულობას შრომით დანახარჯებთან; მეორე – შრომატევადობის მაჩვენებლის გამოყენება საშუალებას იძლევა დაუკავშიროთ შრომის მწარმოებლურობის გაზომვის პრობლემა მისი ზრდის ფაქტორებსა და რეზერვებს. მესამე – იგი საშუალებას გვაძლევს შევედაროთ შრომის დანახარჯები სხვადასხვა საამქროებში და საწარმოებში. მეოთხე – ამ შემთხვევაში გამორიცხულია შრომის მწარმოებლობის გაზომვის ცდომილება ფასების ცვლილებების გამო.

შრომის დანახარჯების შემადგენლობის მიხედვით შეიძლება გამოვყოთ ტექნოლოგიური, საწარმოო, წარმოების მომსახურებისა და მართვის სრული შრომატევადობა.

ტექნოლოგიურ შრომატევადობაში შედის ძირითადი მუშების (დროითი და სანარდო) შრომის ყველა დანახარჯები.

საწარმოო შრომატევადობა მოიცავს, როგორც ძირითად ისე დამხმარე მუშების შრომის დანახარჯებს.

სრული შრომატევადობა მოიცავს საწარმოს ყველა კატეგორიის სამრეწველო-საწარმოო პერსონალის შრომის დანახარჯებს იგი შეადგენს ტექნოლოგიურ, მომსახურეთა და მართვის აპარატის შრომატევადობათა ჯამს.

მართვის შრომატევადობა მოიცავს საწარმოს ყველა კატეგორიის მოსამსახურეთა შრომის დანახარჯებს.

შრომის მწარმოებლობის ცვლილებაზე მოქმედი ფაქტორები შეიძლება დაავჯგუფოთ შემდეგნაირად:

წარმოების ტექნიკური დონის ცვლილება;

წარმოების, მართვის, შრომის ორგანიზაციის სრულყოფა;

წარმოების მოცულობისა და სტრუქტურის ცვლილება;

სხვა ფაქტორები.

შრომის მწარმოებლობის ზრდის რეზერვებს მიეკუთვნება წარმოებაში, როგორც ცოცხალი ისე განივებული შრომის ეკონომიის ჯერ კიდევ გამოუყენებელი რეალური რეზერვები.

შიგა საწარმოო რეზერვებს მიეკუთვნება:

1. წარმოების ტექნიკური დონის ამაღლება: წარმოების მექანიზაცია და ავტომატიზაცია; მოწყობილობის ახალი სახეობის ათვისება; ახალი პროგრესული ტექნოლოგიის დანერგვა; ნედლეულისა და მასალების ხარისხის ამაღლება;

2. წარმოებისა და შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესება: გამომუშავების ნორმებისა და მომსახურების ზონის ამაღლება; მართვის სტრუქტურის გამარტივება; აღრიცხვის და გამოთელის სამუშაოთა მექანიზაცია; წარმოების სპეციალიზაციის ამაღლება;

3. გარე და ბუნებრივი პირობების ცვლილება: სამთო გეოლოგიური პირობების შეცვლა (ნათობის, გზის, ტორფის მოპოვება); საწარმოო პროგრამის შრომატევადობის შეცვლა; ახალი პროდუქციის ხვედრითი წილის შეცვლა. ნაყიდი ნახევარფაბრიკატებისა და საკომპლექტო ნაწარმის ხვედრითი წილის შეცვლა.

შრომის მწარმოებლურობის ზრდა წარმოების მოცულობის ზრდისა და მომუშავეთა რიცხვნობის ცვლილებით განისაზღვრება ფორმულით:

$$\Delta P = 100 * (\Delta B + \Delta P_{\text{კო}}),$$

სადაც ΔB - არის პროდუქციის წარმოების ზრდა მოცემულ პერიოდში;

$\Delta P_{\text{კო}}$ - არის საწარმოს მომუშავეთა რიცხვის შემცირების პროცენტი.

საწარმოს მომუშავეთა შრომის მწარმოებლურობის ზრდა ΔP (%), პროდუქციის კოოპერირების წესით მოწოდების ხვედრითი წილის ზრდის ხარჯზე განისაზღვრება ფორმულით:

$$\Delta P = \frac{d_{\text{კ.ბ.}} - d_{\text{კ.გ.}}}{100 - d_{\text{კ.ბ.}}}$$

სადაც $d_{\text{კ.ბ.}}$, $d_{\text{კ.გ.}}$ - არის კოოპერირებით მოწოდების ხვედრითი წილი მთლიან პროდუქტში შესაბამისად საბაზო და საგეგმო პერიოდში, %-ში.

შრომის მწარმოებლურობის ზრდა სამუშაო დროის უკეთ გამოყენების ხარჯზე იანგარიშება ფორმულით:

$$\Delta P = \frac{\Phi - \Phi}{\Phi} \times 100 ,$$

სადაც $\Phi_{\text{შ.ა.}}$ $\Phi_{\text{შ.ბ.}}$ არის ერთი მუშის ევექტური წლიური სამუშაო დროის ფონდი შესაბამისად საბაზო და საგვემო პერიოდში, კაც/სთ.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში წარმოება რესურსების ოპტიმიზაციიდან გამომდინარე, აღწევს რა ზღვრულ შრომის მწარმოებლურობას, იძულებულია გამოანთავისუფლოს შრომითი რესურსები. ასეთ პირობებში წარმოიქმნება ზედმეტი სამუშაო ძალის პრობლემა – უმუშევრობა, არასრული დასაქმება, ისმება საკითხი სახელმწიფოს მხრიდან ადამიანთა სოციალური დაცვის, დროებით დარჩენილ უმუშევრობისადმი.

მოსახლეობის დასაქმების პრობლემა საბაზრო ეკონომიკის მნიშვნელოვანი საკითხია. საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლასთან დაკავშირებით, საჭირო გახდა საკანონმდებლო ბაზის შეცვლა, ცვლილებების შეტანა სტატისტიკურ მაჩვენებლებში. წარმოიშვა ახალი ტერმინები როგორცაა „უმუშევრობის დონე“, „უმუშევრობის ხარგრძლივობა“, „დაქირავებული მუშაკები“, „სამუშაოს გამცემი“, „ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობა“ და სხვა.

10.3 შრომის მოტივაცია

ეკონომიკურ მეცნიერებაში დიდი ხნის განმავლობაში გაბატონებული იყო აზრი იმის შესახებ, რომ ადამიანის შრომის სტიმულირების მთავარი ფაქტორია მატერიალური დაინტერესება. როგორც პრაქტიკამ გვაჩვენა, შრომისადმი დაინტერესებაში მთავარი ფაქტორებია შესასრულებელი სამუშაოსადმი ადამიანის დაინტერესება, მისი მოთხოვნილება, მისი აღიარება, როგორც პიროვნება და თვითდაამკვიდრების შესაძლებლობა. მუშათა შრომისადმი დამოკიდებულების საკითხის შესასწავლად ჩატარებული მრავალი გამოკითხვის საფუძველზე დადგენილია, რომ მუშათა ყველაზე მთავარი სურვილია მუდმივი დასაქმება, შემდეგ მისი პირადი აღიარება და პატივისცემა, ასევე შრომისადმი დაინტერესება. ხელფასის ოდენობას პირველი რიგის მოთხოვნათა შორის ერთ-ერთი უკანასკნელი ადგილი უკავია მუშაკთა ასეთი განწყობა წარმოების ადმი-

ნისტრაციას აიძულებს მეტი ყურადღება მიაქციოს მართვაში არა ადმინისტრაციულ მეთოდებსა და მატერიალურ სტიმულირებას, არამედ შრომის მოტივაციას.

შრომის მოტივაცია – მენეჯმენტის მთავარი ფუნქციაა, რომელიც სტიმულს აძლევს მუშაკს ან მუშაკთა ჯგუფს საწარმოს მიზნების მისაღწევად, მისი პირადი მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების გზით.

მოტივაციის მთავარი ბერკეტებია – სტიმულები და მოტივები. სტიმულის ქვეშ იგულისხმება მატერიალური ჯილდო ხელფასის სახით. სტიმულისაგან განსხვავებით მოტივი არის შინაგანი მამოძრავებელი ძალა: სურვილი, ორიენტაცია, შინაგანი განწყობა და სხვა. მოტივაცია დამყარებულია ფსიქოლოგიურ გამოკვლევებზე.

საზღვარგარეთის ქვეყნებში ფართოდაა გავრცელებული ა. მასლოუს მოთხოვნილებათა კლასიფიკაცია – მოთხოვნილებათა იერარქია.



ნახ. 10.2 ა. მასლოუს მოთხოვნილებათა იერარქია

თვითგამოხატვის მოთხოვნა – ეს არის მოთხოვნილება სრულად განავითაროს თავისი შემოქმედებითი პოტენციალი სამუშაოს მიმართ, ბაჟშეების აღზრდა, განათლება და სხვა.

პატივისცემის მოთხოვნილება – ეს არის მოთხოვნილება პირადი პატივისცემისა და სხვა ადმინისტრაციისადმი პატივისცემის, პრესტიჟის, დიდებისა და სხვა.

სოციალური მოთხოვნილება – ეს არის მოთხოვნილება გაერთიანდეს რომელიმე ჯგუფში, კოლექტივში, დაამყაროს ამ კოლექტივის წევრებთან მეგობრული ურთიერთობა და სხვა.

უსაფრთხოების მოთხოვნილება – ეს არის მოთხოვნილება მისი პირადი დაცვისა და წესრიგის.

ფიზიოლოგიური მოთხოვნილება – ეს არის მოთხოვნილება საკვებზე, სითბოზე, ბინაზე და სხვა.

მასლოუს აზრით ადამიანის ქცევას განსაზღვრავს ზემოთ მოტანილი 5 მოთხოვნილება. ამასთან ეს მოთხოვნილება განიხილება ერთიანობაში და არა ცალკე. მასლოუს მოთხოვნილების თეორია კონკრეტულ გამოხატულებას ღებულობს საწარმოში.

საწარმოში მოტივაციის ფორმებია:

1. ხელფასი, სხვადასხვა დანამატები და პრემიები, მოგებაში მონაწილეობა აქციების სახით და სხვ., რაც დამოკიდებულია მუშაკის კვალიფიკაციაზე და შრომით აქტივობაზე;

2. ფირმის შიგა შეღავათები: კვებაზე შეღავათები, თავის მუშაეებზე პროდუქციის მიყიდვა შეღავათიან ფასებში (10% და მეტი ფასდაკლებით); ნაწილობრივი და სრული ანაზღაურება სამუშაოზე სამგზავრო ხარჯების, შეღავათიანი სესხის გაცემა, ფირმის ტრანსპორტით მგზავრობის უფლება, საწარმოს ხარჯზე საავადმყოფო ფურცლების ანაზღაურება, დაზღვევა, სტაჟზე ხელფასის დანამატი, გამოსასვლელი ღღეების მიცემა, ფასიანი დამატებითი შვებულების ღღეები, პენსიაზე ღროზე ადრე გაშვება და სხვა;

3. შრომის შინაარსისა შრომის ანაზღაურების ამაღლების ღონისძიებანი, რომელიც სტიმულს აძლევს მომუშავეს კვალიფიკაციის ამაღლებას; მუშაკის მონაწილეობა წარმოების მართვის პროცესში ამაღლებს მის მოტივაციას, რომელიც წყვეტს მუშაკის საწარმოსადმი და მისი ხელმძღვანელობისადმი გაუცხოების პრობლემას. მართვის კორიზონტალური კავშირების განვითარება და მართვის კორიზონტალური სტრუქტურა, ეს არის მუშაკთა მოტივაციის ორგანიზაციული საფუძველი;

4. კეთილგანწყობილი სოციალური ატმოსფეროს შექმნა, ადმინისტრაციული და ფსიქოლოგიური ბარიერების ლიკვიდაცია, კოლექტივის ცალკეულ ჯგუფებსა და ადმინისტრაციას შორის ნდობისა და ურთიერთგაგების განვითარება კოლექტივის შიგნით. არაფორმალური მუშათა გაერთიანებების შექმნა, მათი საწარმოს მართვაში მონაწილეობა (მაგ. ხარისხის მართვის წრეები) და მორალური წახალისება;

5. მუშაკთა სამსახურეობრივი დაწინაურება, მათი კარიერის დაგეგმვა, სწავლებისა და კვალიფიკაციის ამაღლების ხარჯების ანაზღაურება.

შრომის მოტივაციის სრულყოფის აღნიშნული ღონისძიებები ამაღლებს შრომის პოტენციალის გამოყენების ეფექტიანობას და წარმოების კონკურენტუნარიანობას ბაზარზე.

10.4 შრომის ანაზღაურება

შრომის ანაზღაურების პრინციპული საფუძვლები საბაზრო ეკონომიკის პირობებში მნიშვნელოვნად განსხვავდება სოციალისტურ სისტემაში მოქმედ შრომის ანაზღაურებისაგან. სოციალისტურ საზოგადოებაში სახელმწიფოს მიერ ადამიანთა უფლების უზრუნველყოფამ შრომასა და დასვენებაზე უგულველყო ბაზრის მიერ შრომის შედეგების აღიარება.

საბაზრო ეკონომიკაში სამუშაო ძალის ფასი განისაზღვრება დახარჯული შრომის რაოდენობითა და ხარისხით. მასზე გაელენას აზღვრენ ისეთი საბაზრო ფაქტორები, როგორებიცაა შრომაზე მოთხოვნა და მიწოდება, მოქმედი კონკრეტული კონიუნქტურა, ტერიტორიული ასპექტები, საკანონმდებლო ნორმები (მაგ. მინიმალური შრომის ანაზღაურების მინიმუმი, საათობრივი განაკვეთები რიგ კაპიტალისტურ ქვეყნებში რეგულირდება სახელმწიფოს კანონებით). საბაზრო ეკონომიკა ქმნის სამუშაო ძალის გადადგილების პირობებს ჭარბი სამუშაო ძალის რეგიონებიდან იმ რეგიონებში, სადაც მისი დეფიციტია.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში აუცილებელია არა მარტო სამუშაო ძალის მიერ პროდუქტის შექმნა, არამედ მისი რეალიზაცია – ბაზრის მიერ მისი აღიარება, როგორც საზოგადოებრივად აუცილებელი პროდუქტი.

კოლექტივისა და ცალკეული მუშაკის შემოსავალს განაპირობებს ორი ფაქტორი – შრომის შედეგების მომხმარებლის მიერ აღიარება და საბაზრო კონიუნქტურა. ასეთი სიტუაცია ამაღლებს მწარმოებლის დამოკიდებულებას საზოგადოების ფართო ფენებზე. ამავე დროს იზრდება შექმნილი პროდუქტის ეკონომიკური პასუხისმგებლობა, მისი ხარისხის დონე და ფასი.

აქედან გამომდინარე, იცვლება შრომის მიხედვით განაწილებისადმი ძიდგომა. თანაბარი შრომისათვის თანაბარ განაწილებას საფუძვლად

ედება არა სამუშაო დროის დანახარჯები და კვალიფიკაცია, არამედ შრომის შედეგები — ბაზრის მიერ პროდუქტის აღიარება.

საქონლის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი გადაიქცევა საქონელმწარმოებლის შრომის რაოდენობისა და ხარისხის შეფასების უმაღლეს კრიტერიუმად და მათი შემოსავლის მთავარ წყაროდ.

ბაზრის ზემოქმედებით ძლიერდება პროდუქტების წარმოებისა და მოხმარების ცვლილება. იხურება რიგი საწარმოებისა და მის ადგილს იკავებენ ახალი პროფილისა და პროდუქციის მწარმოებელი საწარმოები, იზრდება სამუშაო ძალის მიგრაცია. თავს იჩენს უნდობლობა, უკმაყოფილებისა და უმუშევრობის მოლოდინი.

მეწარმე იძენს რა წარმოების ფაქტორებს (ძირითად და საბრუნავ ფონდებს, ქირაობს სამუშაო ძალას) გაიღებს გარკვეულ დანახარჯებს, რომელიც შემდგომ უნდა იქნას ანაზღაურებული. მეწარმემ უნდა აანაზღაუროს მუშაკის მიერ დახარჯული ფიზიკური და გონებრივი შრომა, ამავე დროს მუშაკი არ უნდა გრძნობდეს თავს დაზარალებულად — არ უნდა ღებულობდეს იმაზე ნაკლებს, ვიდრე ანალოგიურ საწარმოში ამავე კვალიფიკაციის მუშაკი. მეწარმე თავის მხრივ შეზღუდულია მთელი რიგი შიგა ფაქტორებით, როგორებიცაა:

სახელმწიფოს მიერ დაწესებული ხელფასის მინიმალური დონე;

მეწარმესა და მომუშავეთა კოლექტივის შორის დადებული ხელშეკრულების პირობები;

პროფკავშირების კომიტეტის მოთხოვნები;

შრომის ანაზღაურების ორგანიზაციისათვის მეწარმემ უნდა განსაზღვროს შრომის ანაზღაურების ფორმები და სისტემები;

განსაზღვროს თანამდებობრივი ხელფასები მოსამსახურეების, სპეციალისტებისა და მართვის პერსონალისათვის;

მეწარმის განკარგულებაშია შრომის ანაზღაურების ფორმებისა და სისტემების ფართო სპექტრი. მისი ამოცანაა შეარჩიოს შრომის ანაზღაურების ისეთი ფორმები და სისტემები, რომელიც უფრო მეტად შეესაბამება კონკრეტულ საწარმოს და იმ პერსონალს, რომელიც დაქირავებულია ამ საწარმოსათვის.


შრომის ანაზღაურების ფორმები და სისტემები

საკუთრების სხვადასხვა ფორმების საწარმოებში ყველაზე გავრცელებულია შრომის ანაზღაურების დროითი და სანარდო ფორმა.

დროითი ფორმა. შრომის ანაზღაურება წარმოებს ნამუშევარი დროის და კვალიფიკაციის მიხედვით, რომელიც გათვალისწინებულია სატარიფო სისტემით.

სანარდო ფორმის შემთხვევაში შრომის ანაზღაურება წარმოებს თითოეული პროდუქციის ერთეულის ან შესრულებული სამუშაოსათვის დადგენილი ნორმატივების მიხედვით.

სანარდო და დროით ფორმებს აქვს შრომის ანაზღაურების შესაბამისი სისტემები (ნახ. 10.2).



ნახ. 10.3 ხელფასის ფორმები და სისტემები

შრომის ანაზღაურების სანარდო ფორმა გამოიყენება იმ შემთხვევაში, როცა შესაძლებელია შესრულებული სამუშაოს მოცულობის ზუსტი აღრიცხვა; როცა საჭიროა და შესაძლებელია შესრულებული სამუშაოს ტექნიკური ნორმირება. შრომის სანარდო ფორმის გამოყენება რეკომენდირებული არ არის, როცა მისი გამოყენება იწვევს: პროდუქციის ხარისხის გაუარესებას; ტექნოლოგიური რეჟიმის დარღვევას; მოწყობი-

ლობის მომსახურების გაუარესებას; ტექნიკურ-უსაფრთხოების მოთხოვნების დარღვევას; ნედლეულისა და მასალების გადახარჯვას.)

შრომის ანაზღაურების დროითი ფორმა გამოიყენება, როცა პროდუქციის მოცულობის ზრდა შეზღუდულია, შეუძლებელია შესრულებული სამუშაოს რაოდენობის აღრიცხვა. მუშის ფუნქციაა საწარმოო პროცესის მეთვალყურეობა;

წარმოებაში მოქმედებს ნაკადური ხაზები და კონვეიერები, რომლებიც მუშაობენ მკაცრად განსაზღვრული რიტმით. პროდუქციის მოცულობის ზრდამ შეიძლება გამოიწვიოს ხარისხის გაუარესება და წუნის ზრდა. საწარმოში ერთდროულად შეიძლება გამოყენებული იქნას შრომის ანაზღაურების ნებისმიერი ფორმა და სისტემა, რომელიც უფრო მეტად შეესაბამება წარმოების მიზნებს.

პირდაპირი სანარდო სისტემის ანუ მარტივი სანარდოს დროს შრომა ანაზღაურდება წარმოებული პროდუქციის ერთეულზე დადგენილი ფასდებების მიხედვით. პროდუქციის ერთეულზე სანარდო ფასდება განისაზღვრება ფორმულით

$$3 = 3_{\text{ს}} / B_{\text{ს}}$$

სადაც: $3_{\text{ს}}$ - არის საათობრივი სატარიფო განაკვეთი, რომელიც დადგენილია შესრულებული სამუშაოს თანრიგის შესაბამისად, ლარ/სთ;

$B_{\text{ს}}$ - მოცემული პროდუქციის გამოშვების საათობრივი ნორმა;

სანარდო-პრემიალური ანაზღაურების დროს მუშა ღებულობს პირდაპირი სანარდოს წესით ხელფასს წარმოებული პროდუქციის მთელ მოცულობაზე და დამატებით პრემიას. პრემიის გაცემის პირობები და ოდენობა ზუსტად უნდა იქნას განსაზღვრული. პრემიის გაცემის პირობა შეიძლება იყოს შრომის მწარმოებლურობის ზრდა, წარმოების მოცულობის ზრდა, საწარმოო დავალების შესრულება, პროდუქციის ხარისხისა და სორტულობის ამაღლება, უდეფექტო პროდუქციის წარმოება, ნედლეულის, მასალების, ენერჯის, საწვავის და სხვა მატერიალურ ფასეულობათა ეკონომია.

სანარდო-აკორდული ანაზღაურების დროს ფასდება გამოიყენება არა პროდუქციის ერთეულზე, არამედ მთლიანად მთელ სამუშაოს მოცულობაზე. ამ შემთხვევაში მუშები ღებულობენ პრემიას სამუშაოს შესრულების ვადების შემცირებისათვის, რაც სტიმულს იძლევა შრომის მწარმოებლურობის ამაღლებისათვის.

სანარდო-პროგრესული სისტემის გამოყენების შემთხვევაში მუშის შრომა ანაზღაურდება გამომუშაების ნორმების ფარგლებში პირდაპირი სანარდო ფასდებით, ხოლო ნორმების ზევით გამომუშაებაზე გადიდებული ფასდებებით.

შრომის ანაზღაურების სანარდო ფორმა შეიძლება გამოყენებული იქნას თითოეული, კონკრეტული მუშის, მომუშავეთა ჯგუფის ან კოლექტივის შრომის ასანაზღაურებლად.

შრომის ანაზღაურების აკორდული სისტემის დროს ფორმდება ხელშეკრულება შემსრულებელსა და დამქირავეებს შორის. ხელშეკრულებაში მითითებულია სამუშაოს სახე, მოცულობა, შესრულების ვადები და სამუშაოს შესრულების ღირებულება. შემსრულებელი ღებულობს ვალდებულებას შეასრულოს ხელშეკრულებაში ნაჩვენები სამუშაოები გარკვეულ ვადებში, ხოლო დამქირავეელი იღებს ვალდებულებას აუნაზღაუროს შემსრულებელს შესრულებული სამუშაოების ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხა.

შრომის ანაზღაურების დროით ფორმებს გააჩნია შემდეგი სისტემები: პირდაპირი, დროითი და დროითი პრემიალური.

პირდაპირი დროითი სისტემის გამოყენების შემთხვევაში, შრომის ანაზღაურება ხდება ნამუშევარი დროის რაოდენობისა და სატარიფო განაკვეთის მიხედვით. ხოლო დროითი პრემიალურის-დროს, გარდა პირდაპირი დროითი ანაზღაურებისა, გამოიყენება პრემიალური დანამატები.

საწარმოს პერსონალის კატეგორიის მიხედვით მუშებისათვის შრომის ანაზღაურება სწრმოებს სატარიფო სისტემით, ხოლო, ინჟინერ-ტექნიკური პერსონალისათვის და მოსამსახურეებისათვის თანამდებობრივი-განაკვეთებით.

სატარიფო სისტემა შედგება სამი ძირითადი ელემენტისაგან: სატარიფო განაკვეთის, სატარიფო ბადისა და სატარიფო-სადიკვიდაციო ცნობარისაგან.

სატარიფო განაკვეთი განსაზღვრავს შესაბამისი კვალიფიკაციის მუშის შრომის ანაზღაურებას დროის ერთეულში - საათში, დღეში, თვეში.

მუშების პირველ ჯგუფში შედიან განსაკუთრებულ რთულ სამუშაოებზე დასაქმებული მუშები, უნიკალურ მოწყობილობაზე მომუშავეები, ზეინკალ-გამმართველნი, ინსტრუმენტების დამამზადებელნი. მეორე

ჯგუფში შედიან მუშა-მწარხავეები, მტვიფრავები, ტექნოლოგიური სამარჯვეების რემონტის მუშები. მესამე ჯგუფს მიეკუთვნებიან დანარჩენი მუშები. მანქანათმშენებლობაში გამოყენებულია რვა თანრიგიანი სატარიფო ბადე. თითოეული ჯგუფის მუშები მათი კვალიფიკაციისა და შესრულებული სამუშაოს მიხედვით იყოფიან პირველიდან მერვე თანრიგის მქონე მუშებად.

სატარიფო ბადე - ეს არის სატარიფო განაკვეთის დაყოფა კვალიფიკაციის მიხედვით. თითოეულ საკვალიფიკაციო თანრიგისათვის დაწესებულია სატარიფო კოეფიციენტი, რომელიც გვიჩვენებს, თუ მოცემული სატარიფო განაკვეთი რამდენად მეტია I თანრიგის სატარიფო განაკვეთზე. უმაღლეს სატარიფო განაკვეთის შეფარდებას I თანრიგის სატარიფო განაკვეთთან უწოდებენ სატარიფო ბადის დიაპაზონს. მანქანათმშენებლობაში რვა თანრიგიანი ბადის შემთხვევაში იგი 2,01-ის ტოლია.

სატარიფო-საკვალიფიკაციო ცნობარი მოიცავს სამუშაოთა ჩამონათვალს, მათი სირთულისა და შესრულების სიზუსტის მიხედვით. იგი სამუშაოებს იძლევა მოვალდინოთ სამუშაოთა ტარიფიკაცია და განისაზღვროს მუშათა კვალიფიკაციის დონე.

ხელმძღვანელ მუშაკთა, სპეციალისტთა და მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურებისათვის გამოიყენება თანამდებობრივი ხელფასის განაკვეთები, რომელიც დადგენილია დაკავებული თანამდებობის შესაბამისად.

შრომის ანაზღაურების უტარიფო სისტემა

საბაზრო ეკონომიკის პირობებში ფართო გავრცელება ჰპოვა შრომის ანაზღაურების უტარიფო სისტემა. შრომის ანაზღაურების სატარიფო სისტემა საკმაოდ რთულია და არ გამორიცხავს ხელფასში გათანაბრებას, რაც იწვევს მუშაკთა ურთიერთ დაპირისპირებას. აღნიშნული უარყოფითი მომენტების თავიდან აცილების მიზნით უპირატესობა ეძლევა შრომის ანაზღაურების უტარიფო სისტემას. ამ სისტემის მიხედვით წარმოების თითოეული მუშაკის შრომის ანაზღაურების ფაქტიური სიდიდე დამოკიდებულია შემდეგ ფაქტორებზე:

მუშაკის კვალიფიციური დონე;

შრომითი მონაწილეობის კოეფიციენტი (შმკ);

ფაქტიური ნამუშევარი დრო.

მუშაკის საკვალიფიკაციო დონე (ბალებში) წესდება შრომითი კოლექტივის თითოეული წევრისათვის და განისაზღვრება, როგორც გასული პერიოდში ფაქტიური ხელფასისა და ამავე წარმოებაში დადგენილი დამკვიდრებული ხელფასის მინიმალური დონესთან შეფარდებით.

მაგალითად, წარმოების დირექტორის ფაქტიურ ხელფასმა შეადგინა 630 ლარი, არაკვალიფიციური მუშის მინიმალური ხელფასი — 140 ლარი. მაშინ დირექტორის საკვალიფიციო დონე შეადგენს $630/140 = 4,5$

საწარმოს მუშაკები იყოფიან ათ კვალიფიციურ ჯგუფად. თითოეული ჯგუფისათვის განისაზღვრება საკვალიფიკაციო დონე.

ცხრილი 10.1

№	საკვალიფიკაციო ჯგუფი	საკვალიფიკაციო ბალები
1	საწარმოს ხელმძღვანელი	4,5
2	მთ. ინჟინერი	4,0
3	დირექტორის მოადგილე	3,6
4	ქვედანაწილის ხელმძღვანელი	3,25
5	წამყვანი სამსახურისტი	2,65
6	სამსახურისტი და უმაღლესი	2,5
7	კვალიფიკაციის მუშაკი	2,1
8	მომრე კატეგორიის სამსახურისტი და კვალიფიციური მუშაკი	1,7
9	მესამე კატეგორიის სამსახურისტი და კვალიფიციური მუშაკი	1,3
10	სამსახურისტი და მუშაკი	1,0
	არა კვალიფიციური მუშაკი	

კვალიფიციური დონის სისტემა უფრო მეტ შესაძლებლობას იძლევა შრომის მატერიალურ სტიმულირებისათვის, ვიდრე სატარიფო სისტემა, რომლის დროსაც მეზუთე და მეექვსე თანრიგის მუშებს უკვე აღარა აქვს თავისი კვალიფიკაციის ამაღლების ინტერესი. კვალიფიციური დონის სისტემის დროს მუშა დაინტერესებულია მთელი სიცოცხლის მანძილზე ამაღლოს კვალიფიკაცია. კვალიფიკაციას ანიჭებს შრომითი კოლექტივის საბჭო, მუშაკი ინდივიდუალური ხასიათის მიხედვით.

შრომითი მონაწილეობის კოეფიციენტი (შმკ) უდგინდება ყველა მუშაკს დაწყებული მუშიდან დამთავრებული დირექტორით და ამტკიცებს შრომითი კოლექტივის საბჭო. მისი მინიჭების პერიოდულობას (თვე, კვარტალი) და მისი განსაზღვრის მარევენებლებს, ამტკიცებს ასევე შრომითი კოლექტივის საბჭო. შრომის ანაზღაურების უტარიფო სისტემით ხელფასი განისაზღვრება შემდეგი თანმიმდევრობით:

პირველ რიგში განისაზღვრება თითოეული მუშაკის მიერ გამომუშავებული ბალების რაოდენობა (განყოფილება, საამქრო, პრივადა):

$$M = K \times N \text{ (შპკ),}$$

სადაც K- არის მუშაკის კვალიფიკაციური დონე;
N - ნამუშევარი კაც. საათების რაოდენობა.

ქვეგანყოფილების ყველა მუშაკის მიერ გამომუშავებული ბალების საერთო რაოდენობა: $M = \sum M$

ერთ ბალზე ხელფასის ხვედრი წილი (ლარში) იქნება:

$$d = \frac{\text{ხელფანაზღონ.}}{M}$$

ცხრილი 10.2

საამქროს მუშაკის ფაქტიური ხელფასის განსაზღვრის თანმიმდევრობა

კვალიფიკაციის დონე K	ნამუშევარი კაც.საათ. რაოდება M	შ. მ. კ.	ბალების რაოდენობა M	ხელფასის ხე. წილი ფონდში (ათ. ლარ) d	ფაქტიური ხელფასი
1,3	180,5	1,1	258	1,086	280,3
2,1	123,0	0,9	232,5	1,086	252,49
1,7	180,5	1,04	319,1	1,086	346,54

მაგალითად, საამქროს შრომის ანაზღაურების ფონდი თვეში შეადგენს 17700 ათას ლარს. საამქროს მუშაკების მიერ გამომუშავებული ბალების საერთო რაოდენობა $M=16300,43$. შრომის ანაზღაურების ფონდის ხვედრი წილი ერთ ბალზე შეადგენს $d+17700/16300,43=1,086$ ათ. ლარს. ამ სისტემის გამოყენების შემთხვევაში ერთი და იგივე კვალიფიკაციის ორმა მუშამ შეიძლება მიიღოს სხვადასხვა ოდენობის ხელფასი მათი შრომითი აქტივობის ხარისხის მიხედვით, რაც სრულიად სამართლიანია და რის მიღწევაც შრომის ანაზღაურების სატარიფო სისტემას არ შეუძლია.

საბაზრო ეკონომიკის დროს შრომის ანაზღაურების ახალ მარეგულაციას წარმოადგენს პროდუქციის რეალიზაციის და შესრულებული სამუშაოს მოცულობა. რაც უფრო მეტია პროდუქციის რეალიზაციის მოცულობა,

მით მეტია წარმოების ეფექტიანობა და ხელფასის რეგულირებაც შესაძლებელია რეალიზაციის მოცულობის ცვლილების შესაბამისად. ეს მარევენებელი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია წარმოების მართვის პერსონალისა და დამხმარე მუშებისათვის, ვინაიდან ეს ორი კატეგორია პირდაპირ კავშირში არ არის პროდუქციის წარმოების მოცულობასთან.

ცხრილი 10.3

სამმართველი მუშაკთა შრომის ანაზღაურების კორექტირების შკალა (რეალიზაციის მოცულობის 150%-ით ზრდის პირობებში)

ცხრილი 10.3 №	თანამდებობა	ანაზღაურების %	შენიშვნა
1	წარმოების დირექტორი	150	რეალიზაციის მოცულობიდან
2	დირექტორის მოადგილე წარმოების დარგში	80	დირექტორისათვის დარიცხული ხელფასის მიმართ
3	დირექტორის მოადგილე მატერიალურ-ტექნიკურ უზრუნველ.	80	„-----“
4	მთავარი ბუღალტერი	80	„-----“
5	რიგითი ბუღალტერი	80	მთ. ბუღალტერისათვის დარიცხული ხელფასის მიმართ
6	ბუღალტერ-მოღარე	80	„-----“
7	ეკონომისტი	75	დირექტორისათვის დარიცხული ხელფასის მიმართ

განხილული ვარიანტის დროს ადმინისტრაციულ-სამმართველო აპარატის ხელფასი დადგენილი არაა, იგი ყოველთვიურად იცვლება რეალიზაციის მოცულობის შესაბამისად.

შრომის ანაზღაურების უტარიფო სისტემის სახესხვაობაა კონტრაქტის სისტემა - ხელშეკრულების დადება მუშაკსა და ადმინისტრაციის ხელშეკრულებას შორის განსაზღვრული ვადით და პირობებით. ხელშეკრულებაში აღინიშნება შრომის პირობები, მხარეთა უფლებები და მოვალეობანი, მუშაობის რეჟიმი და შრომის ანაზღაურება, ასევე კონტრაქტის მოქმედების ვადა და მისი დარღვევის ან შეწყვეტის პირობები. კონტრაქტის სისტემის უპირატესობაა მხარეთა უფლებამოვალეობების მკაფიო განსაზღვრა. იგი საკმაოდ ეფექტიანია საბაზრო ეკონომიკის პირობებში.

ბანყოვილება III

წარმოების ორგანიზაციის ფორმები თავი XI სპეციალიზაცია და კოოპერირება მრეწველობაში

11.1 წარმოების სპეციალიზაციის არსი და ფორმები

საზოგადოებრივი შრომის დანაწილების საერთო და კერძო ფორმები გასაშუალებულია სასაქონლო-ფულად ურთიერთობებში და თავის გამოხატულებას ღებულობენ სასაქონლო გაცელაში. საზოგადოებრივი შრომის დანაწილების ერთეულ ფორმას საწარმოს შიგნით აქვს ნატურალურ-ნივთობრივი ხასიათი. სასაქონლო და არასასაქონლო ურთიერთობები სახალხო მეურნეობის სისტემაში, დარგებს შორის და დარგებს შიგნით, მჭიდროდ უკავშირდებიან ერთმანეთს და იქმნება რთული წარმოების საზოგადოებრივი ორგანიზაციის სოციალურ-ეკონომიკური ქსოვილი.

შრომის მწარმოებლურობის გადიდებაში თვალსაჩინო როლს თამაშობს წარმოების ორგანიზაცია. მათ შორის ძირითადი ადგილი უჭირავს წარმოების სპეციალიზაციას, კოოპერირებას, კომბინირებას და წარმოების გეოგრაფიულ განლაგებას. წარმოების სპეციალიზაციის და კოოპერირების კონცენტრაციისა და კომბინირების განვითარება მონათესავე საწარმოებში აუცილებელი პირობა ტექნიკური პროგრესისა და საზოგადოებრივი შრომის რაციონალური ორგანიზაციისათვის. წარმოების სპეციალიზაციის საზოგადოებრივი კომბინირების და კოოპერირების გაღრმავება, მათი რაციონალური შეხამება მსხვილ, საშუალო და მცირე წარმოებებთან, სამეურნეო კავშირების საიმედოების გამტკიცება წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლების საიმედო გზაა.

წარმოების სპეციალიზაცია შრომის საზოგადოებრივი დანაწილების ერთ-ერთი კერძო ფორმაა. იგი თავის მხრივ ხასიათდება საწარმოო ქვედანაყოფთა დანაწევრებით, რომლებიც ტექნოლოგიურად ერთგვაროვანნი არიან. სამრეწველო საწარმოს სპეციალიზაცია – წარმოების ორგანიზაციის ისეთი ფორმაა, როცა პროდუქციისა და მისი შემადგენელი ნაწილების დამზადება ან ცალკეული ოპერაციების შესრულება წარმოებს დამოუკიდებელ ცალკეულ დარგებში, საწარმოებსა და საამქროებში.

სპეციალიზებულ საწარმოებს მიაკუთვნებენ ისეთ საწარმოებს, რომლებიც ერთგვაროვან პროდუქციას ამზადებენ ოპტიმალური მოცულობით.

სპეციალიზაცია პროდუქციის წარმოების დანაწევრების, ცალკეულ დამოუკიდებელ დარგებად, საწარმოებად და საამქროებად გამოყოფის განუწყვეტელი პროცესია, რომელსაც საფუძვლად უდევს ტექნიკური პროგრესი და შრომის საზოგადოებრივი დანაწილება.

სპეციალიზაციის პროცესი ვითარდება მანამდე, სანამ არსებობს შესაძლებლობა ეკონომიკურად მიზანშეწონილი მაღალმწარმოებლური ტექნიკის, ტექნოლოგიისა და წარმოების ორგანიზაციის გამოყენების. სპეციალიზაცია საშუალებას იძლევა ფართოდ დაენერგოს პროდუქციის წარმოების ავტომატიზაცია და მოვახდინოთ მისი კონცენტრაცია მოწინავე ტექნიკის ბაზაზე.

სახალხო მეურნეობა და კერძოდ, კი მრეწველობა იყოფა ცალკეულ დარგებად და დარგთა კომპლექსებად. დარგობრივი დიფერენციაციის საფუძველია დარგისა და მასში შემავალ საწარმოთა პროფილი.

საწარმოო პროფილის ქვეშ იგულისხმება დარგის მიმართულება, ამა თუ იმ ნომენკლატურის პროდუქციის წარმოებით, მისი მომხმარებელი დარგის მოთხოვნების დაკმაყოფილებისათვის. მაგალითად, მანქანათმშენებლობაში არსებობს უნივერსალური და სპეციალიზებული წარმოებები და საწარმოები. უნივერსალური და ექსპერიმენტულ-საცდელი საწარმოები უშვებენ ერთეულ ეგზემპლარებს ან მცირე სერიებს, განსხვავებული დანიშნულების მზა მანქანებს ფართო ნომენკლატურით. უნივერსალურ საწარმოებში არის წარმოების სრული ციკლი (მოსამზადებელი, მექანიკური დამუშავება, ამწყობი, მომსახურე, დამხმარე), რომელიც საბოლოო პროდუქციის, მზა მანქანების, საკუთარი ძალებით გამოშვების საშუალებას იძლევა სხვადასხვა საწარმოებთან კოოპერირების გარეშე. უნივერსალურ და სპეციალიზებულ საწარმოებში რთულ საწარმოო სტრუქტურასთან ერთად გვხვდება წარმოების სხვადასხვა ტიპი.

წარმოების ტიპი ხასიათდება წარმოების ნომენკლატურის დიაპაზონით, რეგულირებით, სტაბილურობითა და პროდუქციის გამოშვების რაოდენობით, აგრეთვე ოპერაციის დამაგრების კოეფიციენტით (K_3), რომელიც გვიჩვენებს თვის განმავლობაში საწარმო ქვედანაყოფის მიერ შესრულებულ ყველა ტექნოლოგიური ოპერაციის რაოდენობის შეფარდებას საჭეშაო ადგილების რაოდენობასთან. მსხვილსერიულ ტიპს მიეკუთვნება საწარმოო ქვედანაყოფი, რომლისთვისაც $1 < K_3 \leq 10$, საშუალო სერიულისათვის $10 < K_3 \leq 20$ და წვრილსერიულისათვის

20 < K₃ ≤ 40.

ამა, თუ იმ პროდუქციაზე ბაზრის მოთხოვნილების გაზრდით შესაძლებელი ხდება წარმოების მსხვილსერიულ და მასიურ ტიპზე გადასვლა, საწარმოს უნივერსალურობა კარგავს თავის აუცილებლობას. იგი ხდება სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციისა და საზოგადოებრივი შრომის მწარმოებლურობის ამაღლების მუხრუჭი. პროდუქციის წარმოების ასეთი ზომის მიღწევისათვის ეკონომიკურად გამართლებული ხდება წარმოების სპეციალიზაცია.

წარმოების სპეციალიზაციამ პრაქტიკაში სხვადასხვა მიმართულება მიიღო, გართულდა მათი დარგობრივი და ტერიტორიული სისტემა. აუცილებელი გახდა მრავალი დარგობრივი და დარგთაშორისი სპეციალიზებულ საწარმოთა ჩამოყალიბება. ასეთ პირობებში აუცილებელი ხდება დარგისა და დარგთაშორისი წარმოების სტანდარტული და უნიფიცირებული მასალების, ნახევარფაბრიკატების, დეტალებისა და კვანძების კოოპერირების საფუძველზე მაღალსპეციალიზებულ წარმოებათა ორგანიზაცია, რაც შესაძლებელია სტანდარტიზაციისა და უნიფიკაციის ფართო გამოყენებით.

სტანდარტიზაცია — ეს არის პროგრესული ნორმების, ნორმატივების, წესების, პარამეტრებისა და მოთხოვნათა კომპლექსი. მათ უნდა უზრუნველყონ პროდუქციის საჭირო ნომენკლატურის წარმოება, რომლებიც შეესაბამებიან მსოფლიოსა და სამაშულო წარმოების საუკეთესო ნიმუშებსა და კონკურენტუნარიანობას მსოფლიო ბაზარზე.

მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების რეალიზაცია დაკავშირებულია მანქანათმშენებლობის პროდუქციის ნომენკლატურისა და ნაირსახეობის მკვეთრ ამაღლებასთან. იზრდება მანქანების, მოწყობილობების, ხელსაწყოებისა და სამარჯვეების რიცხვი. შესაბამისად მცირდება პროდუქციის წარმოების სერიულობა, იზრდება წვრილსერიული და ერთეულადი წარმოების პროდუქციის ხვედრითი წილი, რაც ეწინააღმდეგება მასიური წარმოებისა და ავტომატიზაციის დონის ამაღლებას, რითაც მცირდება წარმოების რენტაბელობა. სტანდარტიზაცია ამცირებს სათადარიგო ნაწილებისა და კვანძების გაუმართლებელ მოთხოვნილებასა და მარაგის საჭიროებას წარმოებასა და ექსპლუატაციაში. სტანდარტიზაცია პროდუქციის წარმოების პროცესში სტანდარტული და უნიფიცირებული დეტალების, კვანძების, ნახევარფაბრიკატებისა და ტექნოლოგიური პრო-

ცესების გამოყენებას ნიშნავს, რაც უდიდესი ეკონომიკური ეფექტიანობით ხასიათდება. სტანდარტული კვანძებისა და დეტალების გამოყენება არა მარტო ზრდის წარმოების ეფექტიანობას, არამედ ასევე საგრძნობლად ამცირებს: სამეცნიერო და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოების ღირებულებას, იგი თავიდან გვაცილებს პროდუქციის შემადგენელი ცალკეული კვანძებისა და დეტალების დამზადებისათვის წარმოების ტექნიკური მომზადების რთულ და ძვირადღირებულ პროცესს. გარდა ამისა, სტანდარტული და უნიფიცირებული დეტალებისა და კვანძების, ნახევარფაბრიკატების, ღირებულება გაცილებით მცირეა მათი სპეციალიზებულ საწარმოებში დამზადების გამო.

უნიფიკაციის პროცესი 1,5-3-ჯერ ამცირებს მანქანის წარმოების ღირსს, განსაკუთრებით კი წარმოების ტექნიკური მომზადების ღირსს, საკონსტრუქტორო მომზადების მოცულობა 2-5-ჯერ მცირდება, ხოლო მანქანების დამზადების პროცესში შრომის მწარმოებლურობა იზრდება 25-30%-ით, მანქანის წარმოებისა და რემონტის ღირებულება მცირდება 1,5-2-ჯერ.

უნიფიკაციის შედეგად იზრდება წარმოების მოქნილობა, ახალი მანქანის წარმოებაზე გადასვლა, იზრდება სიმძლავრე საწარმოო ფართისა და მომუშავეთა რიცხვის შეუცვლელად, საგრძნობლად მცირდება მასალების ნომენკლატურა და რეზერვი, იზრდება საბრუნავ საშუალებათა ბრუნვალობა.

მრეწველობაში გამოყენებული ნახევარფაბრიკატების, კვანძების, აგრეგატების, დეტალებისა და მასალების ნაირსახეობათა რიცხვი ასეულ და ათასობითს შეადგენს. უნიფიკაციამ, პირველ რიგში უნდა მოიცვას დეტალები და კვანძები, რომლებიც მაღალმწარმოებლური მოწინავე ტექნიკის გამოყენებით შეიძლება გადაყვანილ იქნეს მსხვილსერიულ წარმოებაზე. აუცილებელი ხდება დარგობრივი და დარგთაშორისი დანიშნულების მანქანებისა და ნახევარფაბრიკატების წარმოების სპეციალიზაცია.

განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს პარამეტრულ რიგებს— საბაზო კონსტრუქციის საფუძველზე, მანქანათა ოჯახის წარმოების თავმოყრას ერთი და იმავე ფუნქციის სპეციალიზებულ წარმოებაში, მათი მრავალსახეობის წარმოებას უნიფიცირებული კვანძებისა და აგრეგატების ბაზაზე.

მრეწველობაში სპეციალიზაცია ხორციელდება სხვადასხვა ფორმით, რომლებიც განპირობებული არიან ტექნოლოგიური და წარმოების ორგანიზაციის ერთგვაროვნებით.

სპეციალიზაციის სამი ფორმაა ცნობილი: საგნობრივი, დეტალობრივი და ტექნოლოგიური.

საგნობრივი სპეციალიზაციის დროს დამოუკიდებლად გამოიყოფა გარკვეული დანიშნულების დამთავრებული-ექსპლუატაციისათვის გამზადებული პროდუქციის წარმოება (ავტომობილები, ჩარსები ტრაქტორები და ა.შ.). ამ დროს მზა პროდუქცია დამზადებულია გარკვეული დარგისათვის ან სამუშაოების შესასრულებლად (სოფლის მეურნეობის, მსუბუქი და კვების მრეწველობის, მანქანათმშენებლობის და სხვა). ამ შემთხვევაში შესაძლებელია საქსპლოატაციო მოთხოვნათა სრული გათვალისწინება. მანქანათა დიდ ნაირსახეობას ვაღწევთ, როცა სპეციალიზებულ საწარმოში მზადდება განსაზღვრული სახის ან ტიპის მანქანა-მოწყობილობა. შედარებით ვიწრო სპეციალიზაციასთან გვაქვს ადგილი გარკვეული მოდელის მანქანის წარმოების დროს.

დეტალობრივი სპეციალიზაციის დროს დამოუკიდებელ წარმოებად ყალიბდება ცალკეული დეტალების, კვანძებისა და აგრეგატების დამზადება, (ავტომობილების დგუშების, სარკველების, რედუქტორების და სხვა). პროდუქციის ნომენკლატურის შეჭვივრობებით იზრდება წარმოების ტექნოლოგიური ერთგვაროვნება და მისი ეფექტიანობა.

ტექნოლოგიური სპეციალიზაციის დროს დამოუკიდებელ წარმოებად გამოიყოფიან ტექნოლოგიური პროცესის ცალკეული სტადიები (აწყობის, ჩამოსხმის, ტვიფურის პროცესები). სპეციალიზაცია შეიძლება იყოს დარგობრივი, დარგთაშორისი, საწარმოო და შიდასაწარმოო (სამქროები, უბნები, სამუშაო ადგილები).

სპეციალიზაციის ერთ-ერთ ძირითად მიმართულებას წარმოადგენს ფუნქციური-სპეციალიზაცია, როცა დამოუკიდებელ საწარმოებად გამოიყოფიან დამხმარე და მომსახურე წარმოებების მოწყობილობის რემონტი, ინსტრუმენტისა და ტექნოლოგიური სამარჯვენის დამზადება და სხვა.

სპეციალიზაციის უმაღლეს და ყველაზე ეფექტიან სახეებად ითვლება დეტალობრივი და ტექნოლოგიური სპეციალიზაცია.

11.2 სპეციალიზაციის ფორმები და მისი ეფექტიანობა

სპეციალიზებული ქვედანაყოფების ბაზირება ხდება ტექნოლოგიური პროცესების მაქსიმალურად შესაძლებელი ერთობლიობით. თუ სპეციალიზებული წარმოების საამქროს ნაწარმი არის ერთი ტიპ-ზომის, მაშინ ასეთი საწარმო ფლობს წარმოების პროცესის უმაღლეს ერთიანობას. მაგრამ უმეტეს შემთხვევაში სპეციალიზებული წარმოება ხშირად უშვებს ერთი ან რამდენიმე ნაწარმის ჯგუფს, რომელთა წარმოებაც განსხვავდება ნაწარმის საექსპლოატაციო-ტექნიკური პარამეტრებით. ამიტომ აუცილებელი ხდება განისაზღვროს საწარმოო პროცესების ერთობლიობის ხარისხი, მოვახდინოთ მათი კლასიფიკაცია გარკვეული ნიშნების მიხედვით.

წარმოებაში ნაწარმის დამზადების პროცესში შეიძლება გამოვყოთ სამი სტადია: ტექნოლოგიური პროცესი, ტექნოლოგიური კონტროლი და შენახვა. ნაწარმის დამზადების პროცესს ორგანიზაციულ-ტექნიკური თავისებურებების განსაზღვრისათვის ყოფენ შემდეგ სტადიებად: დეტალების დამზადების, კვანძების მთლიანად მზა ნაწარმის, მანქანების, და ბოლოს აწყობის სტადიებად. დასამზადებელი ნაწარმის მზადყოფნის მიხედვით წარმოების პროცესებს ყოფენ: მოსამზადებელ, დამამუშავებელ და ამწყობად.

საწარმოო პროცესის ამა, თუ იმ ნიშნების მიხედვით დაყოფის საფუძველია განსაზღვრული მიზანი ან ნამზადის დანიშნულება.

წარმოების სპეციალიზაციისათვის აუცილებელია ერთ საწარმოში იმ ნაწარმის წარმოების კონცენტრაცია, რომლებსაც გააჩნიათ ტექნოლოგიური ერთობლიობა.

წარმოების საწარმოო პროცესების ერთობლიობის გამოვლენისას, ყველა სტადიაზე გამოიყოფა ტექნოლოგიური პროცესისათვის საჭირო ელემენტები. ურთიერთმსგავსად შეიძლება ჩავთვალოთ პროცესები, რომლებთანაც პროცესების სტადიების ელემენტები ერთობლივია.

სხვადასხვა ნაწარმის საწარმოო პროცესების ერთიანობის ხარისხი განსაზღვრავს სპეციალიზაციის საფეხურს. სპეციალიზაციის დონის ზრდა მიგვითითებს დასამზადებელი ნაწარმის ტექნოლოგიურ ნიშანთა მაღალ ერთობლიობაზე. რაც უფრო მეტია მათი ნიშან-თვისებები ტექნო-

ლოგიური პროცესების მხრივ, მით მეტია მათი სპეციალიზაციის დონე. ნაწარმის კონსტრუქციის ნიშნები ან საექსპლოატაციო-ტექნიკური პარამეტრები განსაზღვრავენ სპეციალიზაციის საფეხურს, რომელთა ცვლილებას მივეყვართ საერთო ნიშანთვისებებიდან (მის დაბალ საფეხურზე) კონკრეტულ სპეციფიკურობამდე (მის მაღალ საფეხურზე).

კლასიფიკაციის პირველ საფეხურზე პროდუქციის წარმოების პროცესების უფრო მაღალ საფეხურზე გადასვლისას თანდათან იზრდება საექსპლოატაციო ტექნიკურ, კონსტრუქციულ, ტექნოლოგიურ ნიშანთა მსგავსების დონე. კლასიფიკაციის უკანასკნელ საფეხურზე ერთმანეთს ემსგავსება ტექნოლოგიური მოწყობილობის ტიპ-ზომები, ტექნოლოგიური სამარჯვეები, მოწყობილობის სტრუქტურა და სხვა საექსპლოატაციო-ტექნიკური კონკრეტული მახასიათებლები.

პროდუქციის სპეციალიზაციის განმსაზღვრელ საფეხურებსა და საწარმოო პროცესთა ერთიანობას შორის კავშირი, საშუალებას გვაძლევს, მისი განვითარების დაგეგმვის მიზნით, შევადგინოთ ნაწარმის კლასიფიკაცია სპეციალიზაციის დონის ხარისხობრივი შეფასების მიხედვით.

პროდუქციის გვარეულობა — ეს არის ნაწარმის ქვეჯგუფები, რომლებიც ერთმანეთს ენათესავენ (წააგავენ): ფუნქციებით, დარგის მომსახურებით, ან მოხმარების დანიშნულებით, საწარმოო პროცესის თავისებურებებით. მაგალითად: სოფლის მეურნეობის მანქანები, ტრაქტორები, ლითონდამამუშავებელი ჩრხები, ხელსაწყოები, რადიოელექტრონული აპარატურა, გამომთვლელი მანქანები, სუფრის ღვინოები, ბოსტნეულის კონსერვები და სხვა.)

პროდუქციის კლასი — ეს არის ერთი გვარეულობის მანქანები, რომელთაც ახასიათებთ უფრო ვიწრო საექსპლოატაციო დანიშნულება და ტექნოლოგიური პროცესების მსგავსება.

კლასის მაგალითებია: სოფლის მეურნეობის მანქანებისათვის, მიწის დამამუშავებელი და სათესი; ტრაქტორებისათვის — სახნავი; ლითონდამამუშავებელი ჩარხებისათვის — ლითონსაჭრელი, ლითონსაწნეხი; ხელსაწყოებისათვის — ელექტროსაზომი; რადიოაპარატურისათვის კი — მიწისზედა აპარატურა.

პროდუქციის სახე — ადებული კლასის პროდუქციის ერთობლიობაა, რომელიც ხასიათდება ვიწრო საექსპლოატაციო დანიშნულების ერთიანობით და ისეთი საწარმოო-პროცესების მსგავსებით, როგორცაა:

დეტალების დამზადება და ასაწყობი ერთეულების აწყობა, გამოცდა, რეგულირება და სხვა. მაგალითად: მიწისდამამუშავებელი და სათესი მანქანებისათვის – გუთნები, კულტივატორი, სათესი; სახნავე ტრაქტორებისათვის – მუხლუნა; ლითონდამამუშავებელი ჩარხებისათვის – სახარატო, სახერეტი და სხვა.

პროდუქციის ნაირსახეობა – აღებული სახეობის ნაწარმის ერთიანობა, რომელიც ხასიათდება ნაწარმის კონსტრუქციის თავისებურებებით. მაგალითად: სათესი მანქანის ნაირსახეობაა – ზორბლეულის სათესი მანქანა; სახნავე C-30 სიმძლავრის ტრაქტორი, კბილსაჭრელი ჩარხის – კბილანის კბილის საჭრელი 8 მმ. მაქსიმალური მოდელით; კონსერვებისათვის – კომპოტები, მურაბები და სხვა.

პროდუქციის ტიპი არის მოწყობილობის ჯგუფი, რომელშიც მანქანები განსხვავდებიან ერთმანეთისაგან ზომებით სხვადასხვაობით, გარეგანი გაფორმებით, ზოგიერთი კონსტრუქციული ელემენტებითა და პარამეტრებით, რომელთა დამზადება არ მოითხოვს საწარმოო პროცესის რომელიმე სტადიის გარდაქმნას. ერთი ტიპური მოწყობილობა ხასიათდება ყველა საწარმოო პროცესების მაღალი ერთიანობის დონით. მაგალითად, 8 მმ მოდელის კბილსაჭრელი ჩარხის ტიპის „5332 მარკის ჩარხი.

ჩვეულებრივ აბსოლუტური სპეციალიზებული საწარმოები პრაქტიკაში იშვიათია. უფრო ხშირად ასეთი საწარმოები უშვებენ სპეციალიზებულ პროდუქციასთან ერთად სხვა დანიშნულების პროდუქციასაც. აქედან გამომდინარე, სპეციალიზებულია პროდუქცია, რომელიც ჭარბობს საწარმოო პროგრამის სტრუქტურაში თავისი მსგავსებით, კლასით, სახეობითა და სახესხვაობით, ნაწარმის ტიპით და შეესაბამება წარმოების საწარმოო-ტექნოლოგიურ სტრუქტურას.

რაც უფრო პროგრესულია წარმოების სპეციალიზაციის დონე, მით მეტია მისი ეკონომიკური ეფექტიანობა. სპეციალიზაციის საფეხური შეიძლება განხილულ იქნეს როგორც ეფექტიანობის ზღვარი, რომელსაც შეუძლია მიაღწიოს წარმოებამ. ამრიგად, ყოველ გაერთიანებაში შეიძლება განისაზღვროს სპეციალიზაციის საფეხური ნაწარმის ნათესაობის, კლასის, სახის და სახესხვაობის კლასიფიკაციის საფეხურით (ცხრ. 11.1)

წარმოების ეფექტიანობის მაჩვენებლები სპეციალიზაციის საფეხურების მიხედვით, %-ში დაბალ საფეხურთან.

სპეციალიზაციის საფეხური	შრომითი ელემენტების წარმოების პროდუქტის 100 ლარზე	ერთი მუშის გამოშვება	პროდუქტის წარმოების ერთეულის 100 ლარზე	მგზავი ძირითადი ფუნდების 1 ლარზე	სამუშაოს და სურათის საქონლის ზრდის შესწავლა თვეობრივ ბუღალტრში
პროდუქტის კლასი	100,0	100,0	100,0	100,0	100
პროდუქტის სახეობით	87,0	122,0	140,0	153,5	82,8
პროდუქტის სახესხეობით	79,0	132,0	158,0	180,0	82,9
პროდუქტის ტიპის მიხედვით	83,5	139,0	225,0	383,0	57,5

11.3 წარმოების სპეციალიზაციის დონის მაჩვენებლები

სპეციალიზაციის დონის მაჩვენებლების დიფერენცირება ხდება საანალიზო ობიექტის მიხედვით: დარგის, საწარმოს საამქროს.

შეგადარგობრივი სპეციალიზაციის პერსპექტიული ვარიანტის შერჩევისათვის გამოიყენება მაჩვენებელთა სისტემა:

მოქმედ წარმოებათა სპეციალიზაციის კოეფიციენტი ახასიათებს ურთიერთმსგავსი პროდუქციის წარმოების კონცენტრაციის დონეს, პროგრესული მოწყობილობის კომპლექტის გამოყენების შესაძლებლობას:

$$K_i = N_i / (N_{\min})^{\gamma}$$

სადაც i – ნაწარმის ჯგუფის ნომერია კლასიფიკატორის მიხედვით;

N_i – საწარმოს სიმძლავრე აღნიშნული ნაწარმის გამოშვების მიხედვით, ცალი;

N_{\min} – აღებული ნაწარმის ჯგუფის მიხედვით სპეციალიზებული საწარმოს მინიმალური სიმძლავრე, ცალი, ტონა, ათასი დეტალი და ა.შ.;

γ – N_i / N_{\min} -თან უახლოესი უდიდესი მთელი რიცხვია.

სპეციალიზებულ საწარმოთა პროდუქციის საგარეო მიწოდების კოეფიციენტი გვიჩვენებს წარმოების დარგობრივ სპეციალიზაციას დეტა-

ლების, კვანძების, ნახევარფაბრიკატებისა და დამხმარე წარმოების ნაწარმით:

$$N_{საგა} = N_{საგა} / N_1$$

სადაც $N_{საგა}$ – ჯგუფის ნაწარმის გარე მიწოდებაა, სპეციალიზებული საწარმოებიდან (ცალი, ტონა, ათასი დეტალი).

მიღწეული დარგობრივი სპეციალიზაციის კოეფიციენტი გვიჩვენებს წარმოების ფაქტიურ დონეს კვანძების, ნახევარფაბრიკატების მიხედვით დარგის სპეციალიზებულ საწარმოებში (ან გაერთიანებებში).

$$K_{გა} = \sum N_{გა} / \sum N_{გა}$$

სადაც m სპეციალიზებულ საწარმოთა რიცხვია, რომლებიც უშვებენ მოცემული ჯგუფის ნაწარმს;

$N_{გა}$ – პროდუქციის ფაქტობრივი წარმოება სპეციალიზებულ საწარმოებში (სა), ცალი;

n – საწარმოთა საერთო რიცხვი, რომლებიც ამ ნაწარმს აწარმოებს.

$N_{გ}$ – პროდუქციის ფაქტობრივი წარმოება მოცემული დარგის ნებისმიერ K საწარმოში.

სპეციალიზებულ საწარმოთა შესაძლებელი რაოდენობა;

$$m_i = N_{სა} / N_{\text{მინ}}$$

სადაც $N_{სა}$ – ამ ჯგუფის ნაწარმის მოთხოვნილებაა საგეგმო პერიოდში (ცალი, ტონა, ათასი დეტალი).

წარმოების სპეციალიზაციის პოტენციური კოეფიციენტი გვიჩვენებს მსგავსი პროდუქციის შესაძლებელი კონცენტრაციის დონეს და პროგრესული მოწყობილობის ეფექტურ გამოყენებას პერსპექტივაში:

$$K_{პოტენციური} = N_{გ} / (N_{\text{მინ}})$$

ამ სისტემის საშუალებით ფასდება დარგის პროდუქციის სპეციალიზაციის დონე.

სპეციალიზაციის ეკონომიკური ეფექტიანობა გამოიხატება: პროდუქციის წარმოების მიმდინარე მწარმოებლურობასა და სატრანსპორტო დანახარჯების ეკონომიაში; საერთო და ხვედრითი კაპიტალური დაბანდების ეკონომიაში; შრომისნაყოფიერებასა და ფონდუკუებაში; მოგებასა და რენტაბელობაში.

11.4 წარმოების კოოპერირება, მისი ფორმები და მანიკენებლები

კოოპერირება სპეციალიზაციასა და კომბინირებასთან ერთად წარმოადგენს წარმოების საზოგადოებრივი ორგანიზაციის თანამედროვე პროგრესულ ფორმას, რომელსაც საფუძვლად უდევს შრომის საზოგადოებრივი დანაწილება და კოოპერაცია.

სპეციალიზაცია და კოოპერირება წარმოების და შრომის ორგანიზაციის ორი სხვადასხვა ფორმაა, რომელთაგანაც პირველი იწვევს წარმოების დანაწევრებას, ხოლო მეორე — მათ შორის გონიერი საწარმოო კავშირების დამყარებას. ამავე დროს, რაც უფრო ღრმავდება სპეციალიზაცია, მით უფრო მტკიცდება საწარმოთა შორის კავშირუთიერთობა. ამდენად კოოპერირება წარმოიქმნება როგორც შედეგი, ამავე დროს, იგი წარმოების სპეციალიზაციის ერთ-ერთი აუცილებელი წინა პირობაა.

კოოპერირება — ეს არის ხანგრძლივი საწარმოო კავშირი სპეციალიზებულ საწარმოთა შორის, რომლებიც ერთობლივად ამზადებენ გარკვეულ პროდუქციას და ამავე დროს ინარჩუნებენ თავის სამეურნეო დამოუკიდებლობას.

მრეწველობაში საწარმოთა კავშირში გამოყოფენ საწარმოთა კოოპერირებისა და მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების კავშირს. კოოპერირებული კავშირის შემთხვევაში კოოპერირების ობიექტი (ნაშაადი, დეტალები, კვანძები, საკომპლექტო მანქანები და აგრეგატები) დანიშნულია ერთი განსაზღვრული მომხმარებლისათვის, მხოლოდ გარკვეული მანქანა-მოწყობილობისათვის. მომარაგება გასაღების კავშირის დროს მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების ობიექტს (თუჯის სხმული, სათბობი, საცხები მასალები და სხვა) არა აქვს ერთი რომელიმე ვიწრო, წინასწარ განსაზღვრული მიმართულება. იგი დანიშნულია მომხმარებელთა ფართო წრისათვის. ერთი და იმავე სახის მასალები შეიძლება გამოყენებულ იქნეს სხვადასხვა ნაწარმის დასამზადებლად.

კოოპერირების ფორმები შეიძლება დავაჯგუფოთ შემდეგი ნიშნების მიხედვით: 1) გამოყენებული საწარმოო ბაზის სპეციალიზაციის ხასიათის; 2) სპეციალიზაციის განსაზღვრული სახეობის კავშირის ნიშნით; 3) ტერიტორიული და დარგობრივი ნიშნის და 4) საწარმოს მონაწილეობის მიხედვით კოოპერირების სისტემაში.

კოოპერირების დროს საწარმოო ბაზად შეიძლება გამოყენებულ იქნეს: სპეციალიზებულ საწარმოთა სიმძლავრეები, არასპეციალიზებულ საწარმოთა სიმძლავრეები, რომლებსაც არა აქვთ ტექნიკური საშუალება კოოპერირების წესით შეასრულონ ესა თუ ის შეკვეთა. ამის მიხედვით არჩევენ კოოპერირების ორ ფორმას – 1) სპეციალიზებული საბაზო სააქქოებისა და ქარხნების ერთმანეთთან საწარმო-ტექნიკურ შეთანაწყობას მანქანებისა და მისი ნაწილების ერთობლივი დამზადებისათვის (ქარხნები, რომლებიც ერთობლივად ამზადებენ პროდუქციას, იმყოფებიან პირდაპირ, მუდმივ და ხანგრძლივ საწარმოო კავშირში); 2) კოოპერირება თავისუფალი საწარმოო სიმძლავრისა და საწარმოო ფართის გამოყენებისთვის იმ საწარმოთა მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად, რომლებიც განიცდიან მის დეფიციტს.

პირველი ფორმა უფრო პროგრესულია და ფართოდ გამოიყენება მრეწველობის განვითარების თანამედროვე ეტაპზე. ამ მეთოდის გამოყენებას აფერხებს სპეციალიზებულ და კოოპერირებულ საწარმოთა სიმძლავრეების დაუბალანსებლობა, უწყებრივობა, კოოპერირებულ მიწოდებათა ხშირი დარღვევა, რაც უბიძგებს სათავო საწარმოებს შექმნან საკუთარი საწარმოები და განთავისუფლდნენ მომწოდებლებისაგან.

მეორე ფორმა ყოველთვის არ იძლევა კოოპერირების გაღრმავებისა და წარმოების ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების გაუმჯობესების საშუალებას. არაპროფილირებულ, არასპეციალიზებულ საწარმოო სიმძლავრეთა კოოპერირება ხშირად იწვევს ძირითადი ფუნქციისაგან მათ მოწყვეტას, იზრდება საწარმოო დანაკარგები, რის გამოც ძვირდება პროდუქცია და მცირდება ნაწარმის ხარისხი, ამიტომ იგი, შედარებით პირველ ფორმასთან, დაბალეფექტიანია, რისთვისაც იგი ისედაც დროებითი ხასიათისაა.

სპეციალიზაციის ბაზაზე კოოპერირების თანამედროვე პროგრესული ფორმების განვითარებას წარმოადგენს: ა) აგრეგატების, კვანძებისა და მანქანების დეტალების; ბ) მოსამზადებელ წარმოებათა და წარმოების სხვა ტექნოლოგიური პროცესების სტადიების; გ) დამხმარე და მომსახურე წარმოება.

დარგობრივი პრინციპის მიხედვით არჩევენ დარგთაშორის და შიდადარგობრივ კოოპერირებას. დარგთაშორისი კოოპერირების დროს საწარმოო კავშირი მყარდება მრეწველობის დარგების საწარმოთა შორის,

ზოლო შიდადარგობრივი კოოპერირება – მოცემული დარგის საწარმოთა შორის.

ტერიტორიული ნიშნის მიხედვით განასხვავებენ: საერთაშორისო კოოპერირებას, რაიონებს შორის და ეკონომიკურ შიგარეგონულ კოოპერირებას.

რაიონებს შორისი კოოპერირება გულისხმობს ერთი ეკონომიკური რაიონის ან რესპუბლიკის სხვადასხვა ეკონომიკური რაიონის საწარმოთა შორის კავშირს. შიგარაიონული კოოპერირება საშუალებას იძლევა მკვეთრად შეამციროთ სატრანსპორტო ხარჯები, გაეუმჯობესოთ კოოპერირებულ საწარმოთა კავშირები. რაიონებს შორისი კოოპერირების დროს კი, პირიქით, იზრდება სატრანსპორტო გადაზიდვები, ირღვევა კოოპერირებული მიწოდების რიტმი, იზრდება დანახარჯები.

კოოპერირება ასევე შეიძლება იყოს გარეთ და გარედან ან ორმხრივი. უფრო მეტად გავრცელებულია კოოპერირება გარედან.

მრეწველობაში კოოპერირების ძირითადი მაჩვენებელია ყველა სახის კოოპერირებული მიწოდების ღირებულების ხვედრითი წილი მზა პროდუქციის თვითღირებულებაში. კოოპერირების დონის კრძო მაჩვენებლებად უფრო ხშირად იყენებენ: 1) დარგობრივ და დარგთაშორის მიწოდების ხვედრით წილს მიწოდების საერთო ოდენობაში; 2) რაიონებს შორის და რაიონის შიდა მიწოდებათა ხვედრით წილს, მიწოდების საერთო ღირებულებაში; 3) მოცემულ საწარმოებთან კოოპერირებაში მყოფ საწარმოთა რაოდენობასა და მათ ხვედრით წილს რაიონის შიდა მიწოდებებში; 4) კოოპერირებული მიწოდებით ყველა გადაზიდვების საერთო რაოდენობასა და ღირებულებას, მათ შორის შიდასარაიონო და რაიონებს შორის გადაზიდვებში; 5) გადაზიდვების საშუალო რადიუსს.

საწარმოო კოოპერირების დონე გაიანგარიშება კოოპერირების კოეფიციენტის მეშვეობით ფორმულით:

$$K_j = C_j / C_d,$$

სადაც, K_j – კოოპერირების კოეფიციენტი; C_j – კოოპერირებით მიღებული ნახვეარფაბრკატებისა და საკომპლექტო ნაწარმის ღირებულება ათას. ლარ; C_d – სათაო საწარმოს მიერ გამოშვებული პროდუქციის მთლიანი ღირებულება ლარ.

უფრო დეტალური კოოპერირების შეფასებისათვის ანგარიშობენ ნამზადების, დეტალებისა და კვანძების უმნიშვნელოვანესი პოზიციების

მიხედვით — თუჯი, ფოლადი, ნაბეჭდი, ნატეიფრი, პლასტმასები და სხვათა მიწოდებაში.

კოოპერირების კოეფიციენტი მჭიდროდაა დაკავშირებული სპეციალიზაციის დონესთან, ამიტომ მასიურ და მსხვილსერიულ საწარმოებში იგი ბევრად დიდია, ვიდრე სერიულ და ინდივიდუალურში.

კოოპერირების შედეგად მიღებული პირობითი წლიური ეკონომია ანგ რიშება ფორმულით:

$$\Theta_{\text{კ}} = [(C_1 + C_{\text{გ}_1}) - (C_2 + C_{\text{გ}_2})] \times N$$

სადაც: $C_{\text{გ}_1}$ და $C_{\text{გ}_2}$ ტრანსპორტის ხარჯებია კოოპერირებამდე და კოოპერირების შემდეგ.

C_1 და C_2 პროდუქციის ერთეულის თვითღირებულებაა კოოპერირებამდე და მის შემდეგ; N — პროდუქციის წლიური წარმოება.

კოოპერირების რაციონალური დონე იანგარიშება შიგასარაიონო და რეიონებსშორისი კოოპერირების შეფარდებით ცალკეულ საწარმოებთან, დარეხთან და რაიონებთან. რაიონებსშიდა კოოპერირების კოეფიციენტი იანგარიშება ფორმულით:

$$K_{\text{რ}} = C_{\text{რ}} / (C_{\text{რ}} + C_{\text{გ}}),$$

სადაც $C_{\text{რ}}$ შიგასარაიონო კოოპერირების ნაწარმის თვითღირებულებაა, ათ. ლარ; $C_{\text{გ}}$ — რაიონებსშორისი კოოპერირების ნაწარმის თვითღირებულება, ათ. ლარ. ასეთივე წესით იანგარიშება რაიონებსშორისი კოოპერირების კოეფიციენტიც.

კოოპერირებული საშუალო რადიუსი იანგარიშება ფორმულით:

$$Z = \sum IQ_n / \sum Q_n,$$

სადაც Z — კოოპერირების საშუალო რადიუსია, კმ; I — ცალკეული მიწოდების რადიუსი კმ-ში; Q — პროდუქციის მიწოდების მოცულობა შესაბამის მანძილზე, ათ. ლარ.

კოოპერირებულ საწარმოთა შორის რაციონალური კავშირის დამყარებისათვის საჭიროა, ასევე განისაზღვროს საწარმოო კოოპერირების ორგანიზაციული და ეკონომიკური ოპტიმალობა.

საწარმოთა კოოპერირება წარმოების ეფექტიანობის მაჩვენებელთა გაუმჯობესების მნიშვნელოვანი ღონისძიებაა: კერძოდ ამაღლებს სიმძლავრეთა გამოყენების კოეფიციენტს, ძირითადი ფონდების დატვირთვას და მათ ეფექტიანობას. ამაღლებს საწარმოს მუშაობის რიტმულობას,

რითაც იზრდება დამზადებული პროდუქციის მოცულობა, ეს უკანასკნელი კი უშუალოდ მოქმედებს წარმოების ეფექტიანობაზე.

ვინაიდან კოოპერირება სპეციალიზებულ საწარმოთა ურთიერთ-კავშირია, ამიტომ კოოპერირების წესით მიღებული დეტალები, კვანძები და ნახევარფაბრიკატები უფრო დაბალი ღირებულებით ხასიათდება, რაც ამცირებს საბოლოო პროდუქციის ღირებულებას და ზრდის მის რენტაბელობას

თავი XII წარმოების კონცენტრაცია და კომბინირება

12.1. წარმოების კონცენტრაციის არსი და სახეები

თანამედროვე ტექნიკის, მაღალმწარმოებლური მოწყობილობებისა და მრეწველობის სხვა რესურსების გამოყენება თხოულობს სპეციალიზებული წარმოების მაღალ კონცენტრაციას და საწარმოო სიმძლავრის ზრდას.

წარმოების კონცენტრაცია, ერთი მხრივ, განისაზღვრება მსხვილ საწარმოებში წარმოების სწრაფი ზრდით, მეორეს მხრივ ხვედრითი წილის ზრდით დარგის მიერ გამოშვებულ საერთო პროდუქციაში.

აბსოლუტური კონცენტრაცია ხასიათდება ცალკეულ საწარმოებში პროდუქციის წარმოების მოცულობის ზრდით, ხოლო შეფარდებითი კონცენტრაცია – დარგის სხვადასხვა მოცულობის საწარმოთა შორის პროდუქციის წარმოების საერთო განაწილებით.

წარმოების (ფირმის) მოცულობა ყოველთვის გამოიხატება პროდუქციის რაოდენობით, რაც მეტ პროდუქციას აწარმოებს საწარმო ნატურაში, მით მეტია მისი წარმოების მოცულობა.

საწარმოს მოცულობა – ეს არის მოცემულ საწარმოში თავმოყრილი ცოცხალი და განიუთებული შრომის რაოდენობა, რომელიც აუცილებელია მისი ეფექტიანი გამოყენებისათვის, პროგრესული ტექნიკა და წარმოების ორგანიზაციის პირობებში.

რაც უფრო დიდი რაოდენობითაა წარმოებაში თავმოყრილი მატერიალურ-შრომითი რესურსები, მით უფრო დიდია მისი წარმოების მოცულობა.

წარმოების მოცულობის ზრდა ხორციელდება ერთ საწარმოში ტექნოლოგიურად ერთგვაროვანი პროდუქციის წარმოების კონცენტრაციის საფუძველზე. ეს კი ხელს უწყობს კომპლექსური მექანიზაციის დაჩქარებას, შრომის მოწინავე მეთოდებისა და წარმოების სპეციალიზაციის გამოყენებას.

უნივერსალური წარმოების საფუძველზე ერთ საწარმოში სხვადასხვა წარმოების ტექნოლოგიურად ნაირგვაროვანი პროდუქციის შეერთებას ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად მიყვავართ საწარმოს გამსხვილებამდე. ასეთი გამსხვილება უმეტეს შემთხვევაში არ იძლევა

კონცენტრაციის უპირატესობის გამოყენებას, არამედ აფერხებს ახალი ტექნიკის, პროგრესული ტექნოლოგიური პროცესების, მაღალმწარმოებლური მოწყობილობების დანერგვას და, აქედან გამომდინარე, არ იძლევა შრომისა და მატერიალურ-ნივთობრივი რესურსების ეკონომიკურ სტიმულირებას. კონცენტრაციის ასეთი ფორმა არ ითვლება პროგრესულად და ამიტომ არასასურველია. სხვადასხვა ჩარინისა და აგრეგატის საწარმოო სიმძლავრის ზრდას ეწოდება კონცენტრაციის აგრეგატულ ფორმა. წარმოების აგრეგატული კონცენტრაცია ასახავს ტექნიკის ინტენსიურ განვითარებას და ხასიათდება სწრაფი ზრდის ტემპით.

საწარმოში დადგმული ტექნოლოგიური მოწყობილობების, მანქანების რაოდენობის, მექანიზებული და ავტომატიზებული ნაკადური ხაზების ზრდა მოცემულ საწარმო-სამეურნეო ერთეულში ახასიათებს ე.წ. საწარმოო-ტექნიკურ კონცენტრაციას.

სამრეწველო წარმოების კონცენტრაციის საერთო დონე დამოკიდებულია როგორც აგრეგატულ, ისე საწარმოო-ტექნიკურ კონცენტრაციაზე. წარმოების კონცენტრაციის ჩატარების შემდეგ ნაკადური ხაზის, უბნის, სააშქროს სიმძლავრის ნამატი შეადგენს:

$$\Sigma M_2 - \Sigma M_1 = (M_{წა2} * W_2) - (M_{წა1} * W_1),$$

სადაც ΣM_1 და ΣM_2 შეჯამებული საწარმოო სიმძლავრეა მის ზრდამდე და ზრდის შემდეგ გამოხატული წლიურ პროდუქციის მოცულობაში;

$M_{წა1}$ და $M_{წა2}$ - აგრეგატული ან ტექნოლოგიური მოწყობილობის ერთეული სიმძლავრე მისი ზრდის წინ და ზრდის შემდეგ;

W_1 და W_2 - დაყენებული მანქანების რაოდენობა საწარმოში საწარმოო სიმძლავრის გაზრდამდე და გაზრდის შემდეგ.

წარმოების კონცენტრაციის დონე დარგებში დამოკიდებულია მთელ რიგ ფაქტორებზე: წარმოების კონცენტრაციის ტემპებსა და საერთო დონეზე, მის ეკონომიკურ ეფექტიანობაზე, დარგობრივ სტრუქტურაზე და საწარმოო პროფილზე.

წარმოების სპეციალიზაციის გავლენა კონცენტრაციის პროცესებზე რთული და მრავალმხრივია. კვანძების და დეტალების სპეციალიზაცია ხელს უწყობს უნივერსალურ საწარმოთა მოცულობის შემცირებას, რომლებიც უშვებენ რთულ მანქანებსა და მექანიზმებს. ეს საწარმოები ჩვეულებრივ ძალიან მსხვილია და გააჩნიათ წარმოების

ართული მრავალსაამქროიანი სტრუქტურა, სპეციალიზებულნი არიან ცალკეული კვანძებისა და დეტალების წარმოებაზე.

უნივერსალურ საწარმოთა მოცულობასთან შედარებით წარმოების სპეციალიზაცია მზა მანქანებისა და მექანიზმების გამოშვებ საწარმოებში, როგორც წესი, ხელს უწყობს სპეციალიზებულ საწარმოთა მოცულობის ზრდას. წარმოების სპეციალიზაცია ტექნოლოგიური პროცესების სტადიებში მოქმედების წარმოების კონცენტრაციაზე იგივე მიმართულებით. ერთგვაროვანი წარმოების პროდუქციის კონცენტრაცია სპეციალიზაციის ყველა ფორმის განვითარების საფუძველზე ეფექტურს ხდის არა მარტო მსხვილ, არამედ საშუალო და მცირე საწარმოების მშენებლობას, რომელიც შეიარაღებული იქნება თანამედროვე მაღალმწარმოებლური ტექნიკით. როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, მცირე, ტექნიკურად კარგად შეიარაღებულ საწარმოებს უმეტეს შემთხვევაში აქვთ თავიანთი უპირატესობა; მათ შეუძლიათ სწრაფად და უფრო მოქნილად გაითვალისწინონ ტექნოლოგიური სიახლენი, მოთხოვნილებათა შეცვლა, ოპერატიულად დააკმაყოფილონ საჭიროება წერილსერიულ და ცალობით პროდუქციაზე, უკეთ გამოიყენონ შრომითი რესურსები, განსაკუთრებით პატარა ქალაქებში.

აქედან გამომდინარე, წარმოების კონცენტრაცია, დაფუძნებული მზა მანქანების, ნაშაადების, კვანძებისა და დეტალების, წარმოების სპეციალიზაციაზე, ქმნის ახალ პროპორციებს მსხვილ და სპეციალიზებულ, საშუალო და მცირე მოცულობის საწარმოების შორის.

12.2. კონცენტრაციის გავლენა წარმოების ტექნიკურ-ეკონომიურ მაჩვენებლებზე

წარმოების კონცენტრაცია სტიმულს აძლევს წარმოების მექანიზაციასა და ავტომატიზაციას, გასაქანს აძლევს პროგრესული ტექნიკის ეფექტურ გამოყენებას, ამაღლებს შრომის მწარმოებლურობას, ამცირებს პროდუქციის თვითღირებულებას, აუმჯობესებს ძირითადი და საბრუნავი ფონდების გამოყენებას და მივყავართ წარმოების სხვა ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების გაუმჯობესებისაკენ.

წარმოების კონცენტრაცია და მოცულობის გადიდება გავლენას ახდენს წარმოებაში დასაქმებულთა სტრუქტურაზე. წარმოების მოცუ-

ლობის გადიდებით იზრდება ყველა კატეგორიის მომუშავეთა რიცხოვნება. მაგრამ, ამასთან ერთად, ვცემა ინჟინერ-ტექნიკურ მომუშავეთა, მომსახურეთა და უმცროს პერსონალთა ხვედრითი წილი მათ საერთო რიცხოვნობაში.

წარმოების კონცენტრაცია უცვლელი ტექნიკის პირობებში ამაღლებს შრომის მწარმოებლურობას, ფონდუკუგებას, ამცირებს პროდუქციის თვითღირებულებას, ხვედრით კაპიტალურ დანახარჯებს და მივყავართ წარმოების სხვა ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების გაუმჯობესებისაკენ, მხოლოდ წინასწარ დადგენილ მიზანშეწონილ ზღვრამდე. მსხვილ საწარმოებში შრომის მწარმოებლურობა 2,5 ჯერ მეტია ვიდრე მცირე საწარმოებში.

განსხვავებულად მოქმედებს წარმოების კონცენტრაციის აგრეგატული ფორმა ეკონომიკურ ეფექტიანობაზე. ის იწვევს კაპიტალური დანახარჯების ეკონომიას და ამცირებს მოწყობილობებზე ხვედრით კაპიტალურ დაბანდებებს, ყოველ ერთეულ პროდუქციაზე საწარმოო ფართობსა და მიმდინარე დანახარჯებს.

წარმოების კონცენტრაცია ძირითადი ტექნოლოგიური მოწყობილობების რაოდენობის ზრდის, კომპლექსური ავტომატური ხაზის გამოყენების საშუალებით თითქმის არ ამცირებს ხვედრით კაპიტალურ და ძირითადი პროდუქციის ერთეულზე ხვედრით დანახარჯებს წარმოების ეკონომიკური ეფექტი მოცემული კონცენტრაციის ფორმის დროს მიიღება დამხმარე წარმოებაში და მომსახურე მეურნეობაში, ინჟანტრუქტურის ობიექტებზე და საერთო სარაიონო მეურნეობაში. ამავე დროს, კონცენტრაციის ამ ფორმის ხარჯზე ეკონომიური ეფექტიანობის ამაღლებას თავისი საზღვარი გააჩნია. ისინი განისაზღვრებიან წარმოების ორგანიზაციისა და მართვის მოწინავე მეთოდების დანერგვით. მაშასადამე, წარმოების კონცენტრაცია ამაღლებს წარმოების ეკონომიკურ ეფექტიანობას, მაშინ, როცა თან სდევს არა მარტო პროგრესული ტექნიკის დანერგვა, არამედ წარმოების მართვის მოწინავე ორგანიზაციული ფორმების გამოყენება. წარმოების კონცენტრაციას გააჩნია თავისი ეკონომიკური მინიმუმი და ოპტიმუმი. ოპტიმუმის ზევით საწარმოო სიმძლავრის შემდგომი გადიდებისას ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები უარესდება.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში, ბაზრის ზეგავლენით ხშირად იცვლება პროდუქციაზე მოთხოვნა, რაც ხშირად იწვევს წარმოების პროფილის

შეცვლის აუცილებლობისას მსხვილი წარმოება კი ნაკლებად მობილურია, რთულდება ახალი პროდუქციის ათვისება, საჭიროა დიდი კაპიტალდაბანდება, წარმოების მოცულობის ზრდასთან ერთად იზრდება ნედლეულის დატვირთვაზე, გადმოტვირთვაზე და გადაზიდვაზე, წარმოების ადგილზე მასალისა და მზა ნაკეთობის სატრანსპორტო დანახარჯები. ამიტომ კონცენტრაცია ხშირად უარყოფით გავლენას ახდენს წარმოების ეფექტიანობაზე.

მსხვილ საწარმოებში, რომლებსაც გააჩნიათ მოსამზადებელი და დამხმარე საამქროები, შეიძლება დაინერგოს უფრო პროგრესული ტექნოლოგია და შრომის მოწინავე მეთოდები. ამით შეიძლება შემცირდეს მოწყობილობებისა და ფართობების გარკვეული რაოდენობა, რომელიც აუცილებელია ძირითადად წარმოების ნორმალური პირობების შესაქმნელად და მიღწეულ იქნეს წარმოების მინიმალურად დასაშვები და ოპტიმალური ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები.

წარმოების კონცენტრაციის ზრდასთან ერთად შესაძრევად ეცემა ერთეულ პროდუქციაზე ხვედრითი კაპიტალური დანახარჯები. თუ წარმოების კონცენტრაციას თან არ სდევს სპეციალიზაცია, მაშინ ეკონომიკური ეფექტის საწარმოო ზომის გადიდების მოლოდინში შეიძლება აღმოჩნდეს ნაკლებად შესაძრევი ან უარყოფითიც.

სპეციალიზაციის საფუძველზე წარმოების ზრდა ამარტივებს წარმოების სტრუქტურას და ამალღებს წარმოების ტექნოლოგიურ ერთგვაროვნებას. წარმოების კონცენტრაციის ღონისა და წარმოების შესაბამის ზომამდე მიღწევისას შესაძლებელია წარმოების ორგანიზაციის უზრუნველყოფისა და თანამედროვე, უფრო პროგრესული ტექნიკის ეფექტური გამოყენება, სრული და მსხვილსეროული წარმოებიდან გადასვლა მასობრივ ნაკადურ, ავტომატიზებულ წარმოებაზე.

პროგრესული ტექნიკის ეფექტიანი გამოყენება და წარმოების თანამედროვე ორგანიზაცია შესაძლებელია მსხვილ სპეციალიზებულ წარმოებაში. წარმოების მოცულობის შემდგომ გადიდებასა და მის სწორ ორგანიზაციასთან ერთად იქმნება შესაძლებლობა, მასიური და მასიურ-ნაკადური წარმოებისათვის, კიდევ უფრო დიდი სიმძლავრისა და მწარმოებლური მოწყობილობის გამოყენების, სპეციალიზებული საწარმოების მოცულობის გადიდების შემთხვევაში იზრდება შრომის მწარმოებლურობა, მცირდება მზა პროდუქციის თვითღირებულება, დაყვანილი ხვედრი

დანახარჯები კი მცირდება. პრაქტიკაში წარმოების მოცულობის გადიდება განისაზღვრება რიგი სპეციალური ეკონომიკური და ტექნიკური ფაქტორებით. ამასთან ერთად მრეწველობის სხვადასხვა დარგში წარმოების სიმძლავრის მაქსიმალურად დასაშვები და ოპტიმალური ზომები განსხვავებულია გამოშვებული პროდუქციის ხარისხით, წარმოების სპეციალიზაციის ფორმებით და დონით. დეტალებისა და კვანძების წარმოების სპეციალიზაცია ჩვეულებრივ ხელს უწყობს მაღალი სიმძლავრის სპეციალიზებული წარმოების შექმნას მცირე მასშტაბებში.

დარგის ქარხნებს, რომლებიც უშვებენ ერთსა და იმავე პროდუქციას, მაგრამ ერთმანეთისგან განსხვავდებიან სპეციალიზაციის დონით, გააჩნიათ განსხვავებული დასაშვები და ოპტიმალური საწარმოო სიმძლავრე, სპეციალიზებული საწარმოთა მშენებლობასთან ერთად უნდა იქმნებოდეს საშუალო ზომის სპეციალიზებული საწარმოები.

საშუალო და მცირე ქარხნების მშენებლობა გამოწვეულია დამოუკიდებელ სპეციალიზებულ წარმოებაში დამზადებული ერთგვაროვანი პროდუქციის გამოშვების აუცილებლობით. ამასთან ერთად, სპეციალიზებულ ქარხნებში პროდუქციის წარმოების მოცულობა იქნება რამდენჯერმე მეტი, ვიდრე მოცემული სახის პროდუქციის წარმოება უნივერსალურ მსხვილ საწარმოებში.

სხვადასხვა ზომის სპეციალიზებული საწარმოების მშენებლობა ნაკარნახევაა შემდეგი აუცილებლობით:

1. ქვეყნის ეკონომიკური რაიონების კომპლექსური განვითარებით;
2. წარმოების თანაბარი განაწილებით, დიდი ქალაქების შრომითი რესურსების გამოყენებით;
3. კოოპერირებული ქარხნების სიახლოვისა და მჭიდრო კონტაქტის უზრუნველყოფით;
4. ახალი საწარმოების მშენებლობის, ექსპლუატაციაში გაშვების და სიმძლავრეთა ათვისების ტემპების დაჩქარებით, ქარხანა-ღებულობის შექმნით;
5. წარმოების ნელეულზე, მასალებზე, სათბობსა და ნახევარფაბრიკატებზე, აგრეთვე მზა ნაწარმის მომხმარებელამდე მიწოდების ერთდროული და მიმდინარე სატრანსპორტო დანახარჯების შემცირებით.

საერთოდ საშუალო, შედარებით მცირე და მცირე სპეციალიზებული საწარმოების ზომები არ უნდა იყოს მინიმალურად დასაშვებზე ნაკლები.

სპეციალიზებულ საწარმოთა მინიმალურად დასაშვებმა ზომამ უნდა უზრუნველყოს:

1. თანამედროვე, პროგრესული ტექნიკის მოწინავე ტექნოლოგიისა და წარმოების ორგანიზაციის დანერგვის შესაძლებლობა;

2. ტექნიკის უწყვეტური გამოყენება, ე.ი. სპეციალური და სპეციალიზებული მოწყობილობების, უნიკალური დანადგარებისა და საკმარისად მაღალმწარმოებლური საკონტროლო-საზომ აპარატურების ეკონომიკური გამოყენება;

3. მათზე წარმოების კომპლექსური მექანიზაციისა და ავტომატიზაციის შესაძლებლობა;

4. წარმოების სპეციალიზაციისა და კოოპირების მაღალი დონე. იმისათვის, რომ, განვსაზღვროთ სხვადასხვა დარგის ცალკეული საწარმოებისათვის ახალ საწარმოთა მინიმალურად დასაშვები ზომა, აუცილებელია გამოვლინდეს საწარმოო პროგრამის სტრუქტურა კვანძების ან ცალკეული დეტალებისათვის. შემდეგ საჭიროა ტექნოლოგიური პროცესების დამუშავება, რომელიც უპასუხებს მოწინავე ტექნიკის მოთხოვნილებებს. მანქანა-მოწყობილობათა უმეტესობისათვის უნდა დამუშავდეს სერიული წარმოების ტექნიკა, ხოლო მასიური მოხმარების მანქანებისათვის-ავტომატიზებული წარმოების მასიურ-ნაკადური ტექნიკა. ტექნოლოგიური პროცესის დამუშავების საფუძველზე განისაზღვრება ყველა დეტალის დამუშავებისათვის აუცილებელი ტექნოლოგიური მოწყობილობებისა და ჩარხების ნაკრები, რომელიც ექვემდებარება აღნიშნულ ქარხანაში წარმოების მოწინავე ტექნიკის სპეციალიზაციისა და კოოპირირების თანამედროვე მოთხოვნებს. შემდეგ გაიანგარიშება, თუ ქარხანაში როგორი მანქანებისათვის ან კვანძებისათვის შეიძლება საკმარისად დაიტვირთოს ტექნოლოგიური და სხვა სახის მოწყობილობა.

მოწყობილობების საერთო ჯამური დატვირთვა ღირებულების გათვალისწინებით ორცედიანი მუშაობისას უნდა იყოს არანაკლებ 85%-90%-ისა, ე.ი. ქვეყნის მოწინავე ქარხნებში ფაქტობრივად მიღწეულზე არანაკლები.

საწარმოს მინიმალურად დასაშვები ზომები გაიანგარიშება თითოეული ძირითადი საამქროსა და მთლიანად საწარმოს მიხედვით. გაანგარიშების მეთოდის ძირითადად საერთოა ყველა საამქროსათვის. გაანგარიშების შედეგად შეიძლება აღმოჩნდეს, რომ სხვადასხვა საამქროს მინიმალურად

დასაშვები ზომები განსხვავებულია. ამ შემთხვევაში წამოიჭრება საწარმოს მინიმალურად დასაშვები სიდიდის ძიების აუცილებლობა, რომელიც უზრუნველყოფს მზა პროდუქციის ერთეულზე მოცემული უმცირესი დანახარჯების დროს მთელი წარმოების მოწყობილობების რაციონალურ განოყენებას და განსაკუთრებით კი ისეთ საამქროებში, რომლებსაც აქვთ მნიშვნელოვანი კუთრი წონა ფონდების საერთო ღირებულებაში.

შესაბამისად, ერთგვაროვანი პროდუქციის წარმოების კონცენტრაციის დონის ქვედა ზღვარად გვევლინება წარმოების მინიმალურად დასაშვები მოცულობა.

თუ მანქანებში სტანდარტულ კვანძებზე ან დეტალებზე მოთხოვნილება აღმოჩნდება სპეციალიზებულ საწარმოს ან საამქროს მინიმალურად დასაშვებ სიმძლავრეზე მეტი, როგორც ეს სინამდვილეშია, მაშინ წარმოიქმნება მათი ეკონომიურად მიზანდასახული, ე.ი. ოპტიმალურ სიმძლავრემდე გაზრდის აუცილებლობა.

ოპტიმალურად შეიძლება ჩაითვალოს წარმოების სიმძლავრის ისეთი ზომა, რომლის დროსაც მიიღწევა საუკეთესო ტექნიკურ-ეკონომიური მაჩვენებლები არა მარტო მოცემულ საწარმოში, არამედ სახალხო მეურნეობაშიც.

სხვაგვარად, ოპტიმალურად ითვლება წარმოების ასეთი ზომა, რომელიც ხასიათდება მოცემულ საწარმოში პროდუქციის წარმოებაზე, ტრანსპორტირებასა და რეალიზაციაზე მინიმალური ჯამური დანახარჯებით, ე.ი. წარმოების მთელი დანახარჯების მინიმიზაციით.

პრაქტიკულად ეს შეიძლება გამოიხატოს გამოშვებული პროდუქციის ერთეულზე უმცირესი მოცემული ხვედრი დანახარჯებით.

$$S_{ხვ} = (K_i + T_i C_i) / Q = \min \quad \text{ან} \quad S_{ხვ} = (C_i + E_i K_i) / Q = \min ,$$

სადაც

K_i - კაპიტალური დაბანდება ლარებში;

T - გამოსყიდვის დარგობრივი ნორმატიული ვადა;

C_i - პროდუქციის წლიური თვითღირებულება, ლარებში;

Q - პროდუქციის წლიური გამოშვება;

E_i - ფექტიანობის დარგობრივი ნორმატიული კოეფიციენტი.

საწარმოს გაფართოებას, წარმოების მოცემული ტექნიკის ბაზაზე გააჩნია ცნობილი ზღვარი, რომლის შემდეგადაც მაჩვენებლები რჩებიან პრაქტიკულად უცვლელი, ან შეუძლიათ რამდენადმე გაუარესდეს. ამიტომ

საწარმოს შემდგომი გაფართოება მიზანშეწონილია, თუ ის ქმნის მაღალ ტექნიკაზე, წარმოების ორგანიზაციის უფრო სრულ მეთოდებზე გადასვლის შესაძლებლობას.

წარმოების ყველა ტიპისა და მრეწველობის ყოველი ღარგისათვის უნდა დაბუშაუდეს ტიპური რიგები წარმოების სიმძლავრის მინიმალურიდან მაქსიმალურ ზომამდე. ამავე დროს, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული საწარმოთა მართვის ფაქტორების ზემოქმედება მათ ზომებზე.

სპეციალიზებულ მანქანათმშენებელ საწარმოთა ოპტიმალური სიმძლავრის ზომების დასაბუთების საწყისად გვევლინება ნაკეთობის ნომენკლატურა და დაპროექტებული საწარმოს პროგრამის სრუქტურა. ამასთან დაკავშირებით დიდ მნიშვნელობას იძენს სახალხო მეურნეობისათვის აუცილებელი მანქანებისა და მექანიზმების ყველა ნომენკლატურის კლასიფიკაცია მათი კონსტრუქციულ-ტექნოლოგიური დანიშნულების შესაბამისად, რაც უზრუნველყოფს ქარხნების უფრო ღრმა პროფილიზაციას და დააკმაყოფილებს სახალხო მეურნეობის მზარდ მოთხოვნილებას.

წარმოებას ოპტიმალური ზომები დამოკიდებულია სპეციალიზაციის დონეზე. რაც უფრო მაღალია მოცემული პროდუქციის წარმოების სპეციალიზაციის დონე, მით უფრო მაღალია მისი ორგანიზაციულ-ტექნიკური დონე და, მაშასადამე, მით მეტია მისი წარმოების მინიმალურად დასაშვები და ოპტიმალური ზომები.

მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესს, რომელსაც თან სდევს ახალი, მაღალმწარმოებლური მოწყობილობებისა და უფრო პროგრესული ტექნოლოგიური პროცესების შექმნა მოცემული პროდუქციის მოთხოვნილების ერთდროული ზრდის დროს, მივყავართ წარმოების ოპტიმალური ზომების ზრდამდე.

წარმოების ერთი ტიპიდან მეორეზე, ე.ი. წარმოების სპეციალიზაციის ერთი საფეხურიდან მეორეზე გადასვლასთან ერთად მაღლდება ორგანიზაციულ-ტექნიკური დონე და შესაბამისად, იზრდება წარმოების ოპტიმალური ზომები. ინდივიდუალურ წარმოებაში გამოიყენება თითქმის მხოლოდ უნივერსალური მოწყობილობა, სერიულ წარმოებაში სპეციალური მოწყობილობა აღწევს მთელ ტექნოლოგიურ მოწყობილობათა 15%-ს.

12.3 კომბინირების არსი, ფორმები და მანევრებლები

კომბინირება – წარმოების საზოგადოებრივი ორგანიზაციის ერთ-ერთი ძირითადი ფორმაა, რომლის დროს ერთ საწარმოში ტექნოლოგიურად შერწყმულია მრეწველობის ერთი ან სხვადასხვა დარგის წარმომადგენელი. მაგალითად, კომბინატები აწარმოებენ სხვადასხვა სახის მეტალურგიულ პროდუქციას-მაღანს, თუჯს, ფოლადს, ნაგლინს და სხვ. კეების მრეწველობაში კომბინატები აწარმოებენ პურ-ფუნთუშეულსა და საკონდიტრო ნაწარმს. კომბინატი შეიძლება აწარმოებდეს სხვადასხვა დარგის პროდუქციას – მეტალურგიული, ქიმიური და სხვ. კომბინირებისათვის დამახასიათებელია:

1. სხვადასხვა სახეობის პროდუქციის წარმოების გაერთიანება ერთ საწარმოში;
2. მათ შორის პროპორციულობა;
3. ამ წარმოებათა შორის ტექნიკურ-ეკონომიკური ერთიანობა;
4. საწარმოო ერთიანობა-საერთო ტერიტორია, ერთიანი კომუნიკაციები;
5. ენერგეტიკული, დამხმარე და მომსახურე საწარმოთა ერთიანობა;
6. სამმართველო აპარატის ერთიანობა.

ტექნიკურ-ეკონომიკური ერთიანობა მდგომარეობს იმაში, რომ ერთი წარმოების პროდუქცია, წარმოადგენს მეორე წარმოების ნედლეულს, ნახევაფაბრიკატებსა და სათბობს. კომბინატის ხელმძღვანელობა ხორციელდება ცენტრალიზებული მართვით, თითოეული წარმოების, განყოფილების დამოუკიდებლობისა და პასუხისმგებლობის გაფართოების პირობებში. კომბინირების დროს განსხვავებული ტექნოლოგიური ციკლის მქონე წარმოებები გაერთიანებულია ერთ ტერიტორიაზე განთავსებულ კომბინატში, სადაც საწარმოო ციკლი ემყარება ნედლეულის თანმიმდევრული გადამამუშავების სტადიებს ან დაფუნდებულია წარმოების ნარჩენების კომპლექსურ გამოყენებაზე. ამიტომ ასეთი კომბინატები უნდა განვასხვავოთ ისეთი კომბინატებისაგან, რომლის განსხვავებული ან ერთი სპეციალიზაციის საწარმონი თავმოყრილია ერთ ტერიტორიაზე, მაგრამ ტექნოლოგიურად ისინი ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი არიან. კომბინირების წინაპირობაა წარმოების სპეციალიზაცია და მისი კონცენტრაცია.

მეცნიერებისა და ტექნიკის მაღალი დონე. როგორც წესი, კომბინატის შემადგენლობაში შედიან მსხვილი მაღალსპეციალიზებული საწარმოები. მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების მაღალი დონე შესაძლებელს ხდის მთლიანად იქნას გამოყენებული წარმოების ნარჩენები, მოეწყოს ნარჩენების კომპლექსური გადამუშავება და მიღწეულ იქნას უნარჩუნო წარმოება და სასარგებლო კომპონენტების მიღება.

წარმოების ხასიათის, ტექნოლოგიის, მასალებისა და ნედლეულის გადამუშავების ცალკეული სტადიების ერთ საწარმოო პროცესში გაერთიანების მიხედვით კომბინირება გვევლინება სამ ძირითად ფორმად:

1. ნედლეულის თანმიმდევრობითი გადამუშავება მზა პროდუქციამდე;
2. ნარჩენების გამოყენება სხვა სახის პროდუქციის მისაღებად;
3. ნედლეულის კომპლექსური გადამუშავება (ერთი სახის ნედლეულიდან რამდენიმე სხვადასხვა პროდუქციის მიღება).


წარმოებას კომბინირება ემყარება ნედლეულის თანმიმდევრულ გადამუშავებას. მას ადგილი აქვს შავ მეტალურგიასა და საფეიქრო მრეწველობაში. საწარმოო პროცესში ნედლეულის გადამუშავებისას თანმიმდევრულად მიიღება ნახევარფაბრიკატები ან მზა პროდუქცია. მაგალითად: რკინის მადანი → თუჯი → ფოლადი → ნავლინი.

კომბინირება ნარჩენების გამოყენების ბაზაზე. ყველაზე უფრო გავრცელებულია ხე-ტყის დამუშავების, კვების და სხვა დარგებში. მაგალითად, კვების მრეწველობაში ყურძნის გადამუშავების დროს მიიღება ჭაჭა, რომლის გადამუშავებით შემდგომში მიიღება, საღებავები, დაბალალკოჰოლიანი სასმელები, საკვები ცილები, ამინომჟავები, ჰექტინი და სხვა.

კომბინირების ამ სახით გამოყენება დაკავშირებულია ახალი პროგრესული ტექნოლოგიის გამოყენებაზე, საშუალებას იძლევა პროდუქციის მასალატევადობის შემცირებისათვის, ფართოდება სანედლეულო ბაზა, უმჯობესდება გარემოს ეკოლოგიური მდგომარეობა, ვინაიდან ნარჩენები აბინძურებს გარემოს, მიწას, წყალს, ზარალს აყენებს მცენარეულ და ცხოველურ სამყაროს. ნარჩენების გამოყენებით საჭირო არ არის გამწმენდი ნაგებობების მშენებლობა.

კომბინირება ნედლეულის კომპლექსური გადამუშავების ბაზაზე. გამოიყენება ორგანული ნედლეულის (ნათობი, ნახშირი, ტორფი

და სხვა.) და ასევე კომპლექსური მადნების გადამუშავების შემთხვევაში. ასეთი საწარმოს მაგალითია კოქსოქიმიური კომბინატები, რომლებიც ახდენენ ნახშირისა და თანმდევი გაზების კომპლექსურ ქიმიურ გადამუშავებას. ასეთი კომბინატის სქემა:



პრაქტიკაში ვხვდებით ვერტიკალურ, ჰორიზონტალურ და შერეულ კომბინირების ფორმებს. ვერტიკალურია როცა ნედლეულისა და ნახვეარფაბრიკატების ან მზა პროდუქციის გადამუშავება ხდება თანმიმდევრულად.

(ჰორიზანტულია, როცა ერთიდა იგივე სახის ნედლეულისაგან, მისი თანმიმდევრული გადამუშავებით მიიღება ძირითადი ნახვეარფაბრიკატები ან მზა პროდუქცია, ხოლო წარმოქმნილი ნარჩენებიდან თანამდევი ნახვეარფაბრიკატები ან მზა პროდუქცია.)

კომბინირების დონე განისაზღვრება შემდეგი მაჩვენებლებით:

1. კომბინატების მიერ გამოშვებული პრიდუქციის ხვედრითი წილი დარგის ან მრეწველობის პროდუქციაში;

2. თანმდევი პრიდუქციის ხვედრითი წილი. კომბინატის მიერ გამოშვებული პროდუქციის საერთო მოცულობაში კომბინირებულ წარმოებაში დასაქმებული მუშათა რიცხვი.

3. კომბინირებულ საწარმოთა ძირითადი ფონდების ხვედრითი წილი დარგისა და მრეწველობის ძირითად ფონდებში;

4. კომბინირებულ წარმოებაში გადამუშავებული ნედლეულის ხვედრითი წილი მრეწველობის მიერ გადამუშავებული ნედლეულის საერთო რაოდენობაში.

5. კომბინატში გადამუშავებული ნედლეულისაგან მიღებული მზა პროდუქციის ღირებულება;

6. ნედლეულისაგან მიღებული სასარგებლო კომპონენტების პროცენტი;

12.4 კომბინირების ეკონომიური ეფექტიანობა

კომბინირება შრომის საზოგადოებრივი ორგანიზაციის ეფექტიანი ფორმაა, რაც გამოიხატება შრომის იარაღის, შრომის საგნებსა და საბუთო ძალის რაციონალურ გამოყენებაში.

შრომის იარაღების ინტენსიურ გამოყენებას უზრუნველყოფს საწარმოო პროცესების უწყვეტობის მაღალი დონე (შაქრის ქარხნები, მეტალურგიული ქარხნებში თუჯის დნობა, მოსხმა, ქიმიური მრეწველობა და სხვა.) ამ დარგებში საწარმოო ციკლი განუწყვეტელია დროსა და სივრცეში.

მოწყობილობის ნაწილი კომბინატებში გამოიყენება რამოდენიმე სახის პროდუქციის წარმოებისათვის. მაგალითად, შრობა, დაქუცმაცება, დაბარისხება, შერევა ხორციელდება მისგან რამოდენიმე სასარგებლო კომპონენტის მიღებასთან ერთად.

კომბინირება საშუალებას იძლევა რაციონალურად გამოვიყენოთ შრომის საგნები, ნედლეულის კომპლექსური გადამუშავების გზით, ასევე ნარჩენებისა და მეორადი რესურსების გამოყენებით. ნედლეულის კომპლექსური გადამუშავება საშუალებას იძლევა გავზარდოთ ნედლეულიდან სასარგებლო კომპონენტების მიღების დონე. ამავე დროს მინიმუმამდე შემცირდეს წარმოების ნარჩენები და დანაკარგები. მრეწველობის რიგ დარგებში ჯერ კიდევ დიდია გამოუყენებელი ნარჩენები. მაგალითად, ხე-ტყის გადამუშავებაში იგი შეადგენს 50%-60%, კვების მრეწველობაში - 35-40%.

კომბინირების დროს საგრძნობლად უმჯობესდება ცოცხალი შრომის რაციონალური გამოყენების დონე, იზრდება შრომის მწარმოებლურობა. ეს, ერთიან მხრივ, გამოწვეულია იმით, რომ ერთდროულად მზადდება რამოდენიმე პროდუქტი. მეორადი ნედლეულიდან და ნარჩენების გამოყენება აფართოებს მრეწველობის სანედლეულო ბაზას და ამცირებს მუშახელის დასაქმების რაოდენობას მომპოვებელ დარგებში.

გარდა ამისა, კომბინატებში გამოყენებული მძლავრი მაღალმწარმოებლური მოწყობილობა ამაღლებს შრომის მწარმოებლურობას.

ერთ საერთო ტერიტორიაზე რამოდენიმე სახის პროდუქციის წარმოებით შეცირდება ხვედრითი კაპიტალდაბანდება. კომბინატის საერთო დამზადრე და მომსახურე წარმოებები ამცირებს ძირითადი ფონდების საჭირო მოცულობას.

კოცხალი და განიეთებული შრომის ეკონომიის, მასალატევალობის, კაპიტალტევალობის შეშცირება კომბინირების გზით ამცირებს პროდუქციის თვითღირებულებას.

გარდა ამისა, კომბინირება საშუალებას გვაძლევს მნიშვნელოვნად გაეაუმჯობესოთ გარემოს დაცვის პირობები და შეფარდებით შევამციროთ ამ მიმართულებით გაწეული დანახარჯები.

შესაძლებელი ხდება წარმოების მრავალი ნარჩენები შევაროვოთ და გამოვიყენოთ ადამიანისათვის სასარგებლო პროდუქტების წარმოებისათვის.

ამასთან ერთად, წარმოების კომბინირების პროცესს ვააჩნია თავისი განსაზღვრული საზღვრები. კომბინირების მასშტაბების განუსაზღვრელად ზრდა იწვევს წარმოების ეფექტიანობის შეშცირებასთან. კომბინირებას ვააჩნია სხვა ნაკლოვანი მხარეებიც, რომლებიც კომბინირების მასშტაბების ზრდასთან ერთად აქტიურობას იჩენენ და უარყოფით ზეგავლენას ახდენენ წარმოების ეფექტიანობაზე. კომბინირების ზრდა იწვევს წარმოების მართვის ხარჯების ზრდას, მცირდება ინჟინერტექნიკურ მუშაკთა კვალიფიკაციის დონე, ეცემა პროდუქციის ზარისხი, დაბალია საწარმო ოპროცესების ავტომატიზაციის დონე. ამიტომ კომბინირების ეფექტიანობის შეფასების დროს აუცილებელია კომბინირებულ საწარმოებში პრიდუქციის თვითღირებულება შეუფარდოთ შესაბამისი პროდუქციის თვითღირებულებას წარმოების ორგანიზაციის სხვა ფორმების პირობებში. მაგალითად, სპეციალიზებულ საწარმოებში კომბინირების ოპტიმალურ ვარიანტად შეიძლება შევიჩროთ ის ვარიანტი, რომლის დროს დაყვანილი დანახარჯები იქნება მინიმალური.

ბანჟოშილება IV

სამრეწველო საწარმოს მართვა და დაგეგმვა

თავი XIII. სამრეწველო საწარმოს მართვა

13.1. საწარმოს მართვის არსი და მისი ბუნება

მართვა — მართვის ობიექტზე ადამიანის მიზანდასახული ზემოქმედებაა. სამეურნეო მოქმედების განსაზღვრული მიმართულებით წარმართვის მიზნით, სასურველი შედეგის მისაღებად. წარმოების მასშტაბით მართვა ეს არის წარმოების ფაქტორთა ოპტიმალური გამოყენებით მაქსიმალური მოგების მიღება. ადამიანს შეუძლია ზემოქმედება მოახდინოს და წარმართოს სასურველი მიმართულებით მრავალი პროცესი და ობიექტი თავისი ინსტრუმენტებისა და მიზნების შესაბამისად. ადამიანები ცვლიან მდინარეთა დინებას, ქმნიან წარმოებებს, ხელოვნურ ტბებსა და ზღვებს, სამრეწველო ობიექტებსა და კომპლექსებს, ანაწილებენ რესურსებს. ამ პროცესებში ადამიანი გავლენას ახდენს მოვლენების მსვლელობაზე, რაც ვლინდება მართვაში.

წარმოების მართვა გულისხმობს საწარმოო პროცესის რესურსებისა და ამ პროცესში საწარმოო კოლექტივის მუშაკთა ერთობლივი, ურთიერთშეთანხმებულ მოქმედებას.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში თითოეული საწარმო აწარმოებს პროდუქციას, საქონელს, ეწევა მომსახურებას, ახორციელებს გარკვეულ ძირითად შემოქმედებას. აქედან გამომდინარე წარმოების მართვის საფუძველია საწარმოო პროცესის მართვა იმისგან დამოუკიდებლად, იწარმოება საქონელი, მომსახურება, ცოდნა თუ ინფორმაცია.


იმისთვის, რომ ვაწარმოოთ ნებისმიერი ეკონომიკური პროდუქტი, საჭიროა გამოვიყენოთ წარმოების ფაქტორები, ეკონომიკური რესურსები: სამუშაო ძალა, მოწყობილობა, ნედლეული, მასალები, ინფორმაცია, ფულადი სახსრები. ამრიგად, საწარმოს მართვაში შედის საწარმოს მუშაკების, წარმოების საშუალებების, ფინანსებისა და ტექნოლოგიის მართვა. იგი რთული სისტემაა, რომელიც რამოდენიმე ქვესისტემისაგან შედგება.

საწარმოში მართვის სტრუქტურაში შუდის მართვის სუბიექტი, როგორც საწარმოს მართვის აპარატი და მართვის ობიექტი თვით საწარმოო ობიექტი: საამქროები, განყოფილებები, ობიექტები, ლაბორატორიები, ბრიგადები, მათში მომუშავე სპეციალისტები და მუშები.

საწარმოს კოლექტივს მხოლოდ იმ შენთხვევაში შეუძლია მიაღწიოს საუკეთესო შედეგებს, როცა მისი ყოველი ქვესისტემა ურთიერთ შეთანხმებლად ერთობლივად მოქმედებს. კომპლექსური სისტემა ერთ მილიან სამეურნეო ჯაჭვს წარმოადგენს, საკმარისია მისი რომელიმე რგოლის – ქვესისტემის მოშლა რომ მთლიანად გაუარესდეს საწარმოს სამეურნეო ფინანსური შედეგები.

მართვის კომპლექსური სისტემა (ნახ. 13.1) გამოიყენება ყველა მსხვილ სამრეწველო საწარმოებში, მიუხედავად მისი ქონებრივი საკუთრებისა და ადმინისტრაციული დაქვემდებარებისა. ხაშულო და მცირე საწარმოებში მათი თავისებურებიდან გამომდინარე ქვესისტემათა რიცხვი შეიძლება შემცირებული იქნას შვიდიდან – 3-4-მდე.

საწარმოს მართვის კომპლექსური სისტემის თითოეულ ქვესისტემას ხელმძღვანელობს შესაბამისი ადმინისტრაციული მართვის სამსახური: ტექნიკისა და ტექნოლოგიის ქვესისტემას სათავეში უდგას საწარმოს მთავარი ტექნოლოგი. თუ ასეთი თანამდებობა არ არის მართვის სტრუქტურაში, მაშინ მას ხელმძღვანელობს მთავარი ინჟინერი. ამ ქვესისტემის ამოცანაა – ახალი ტექნიკისა და პროგრესული ტექნოლოგიის შემუშავება და დანერგვა, ახალი პროდუქციის შემუშავება და დანერგვა. იგი ხელმძღვანელობს საწარმოს მარკეტინგული ქვესისტემის კვლევის შედეგებით, რათა საწარმომ დროულად უპასუხოს ბაზრის მოთხოვნებს.



ნახ. 13.1. სამრეწველო საწარმოს მართვის კომპლექსური სისტემა

შრომითი რესურსების მართვის ქვესისტემის ამოცანაა – წარმოების უზრუნველყოფა შრომითი რესურსებით, კვალიფიციური კადრებით, მათი მომზადება და კვალიფიკაციის ამაღლება. აღნიშნული ქვესისტემის სწორი ფუნქციონირება დიდ გავლენას ახდენს წარმოებული პროდუქციის ხარისხზე და შრომის მწარმოებლურობის ზრდაზე, ამიტომ იგი სისტემატურად უნდა ზრუნავდეს შრომის ორგანიზაციისა და შრომის პირობების გაუმჯობესებაზე. ეს ქვესისტემა მჭიდრო კავშირშია სოციალურ ქვესისტემასთან. სოციალური ქვესისტემის ძირითადი ამოცანაა – კადრების შრომისა და დასვენების პირობების გაუმჯობესება, მათი მატერიალური და სოციალური საკითხების მოწისრიგება. ამ ქვესისტემას ხელმძღვანელობს შრომის განყოფილება ან უშუალოდ შრომის ეკონომისტი.

ფინანსური რესურსების მართვის ქვესისტემას ხელმძღვანელობს მთავარი ეკონომისტი ან ფინანსისტი-მენეჯერი. მისი ამოცანაა საწარმოს ფინანსური რესურსების მობილიზაცია და მისი მიზანდასახული გამოყენება. მოგების ფორმირება და მოგების განაწილება. დაბეგერის სისტემის რეგულირება და სხვა.

მატერიალური რესურსების მართვის ქვესისტემა მთლიანად

განაგებს მატერიალურ და სათბობ-ენერგეტიკული რესურსებზე წარმოების უზრუნველყოფას, მათ რაციონალურ გამოყენებას, პროდუქციის მასალატევადობის შემცირებისა და ნარჩენების კომპლექსური გამოყენების გზით.

ტექნიკური პროგრესის მართვის ქვესისტემას ხელმძღვანელობს წარმოების მთავარი ინჟინერი. ამ სისტემის ამოცანაა წარმოების ტექნიკური გადაიარაღება, მეცნიერული კვლევა, ახალი პროდუქციის შექმნა და ათვისება, წარმოების რეკონსტრუქცია და მოდერნიზაცია, ავტომატიზაციისა და მართვის უახლესი სისტემების დანერგვა.

პროდუქციის ხარისხის მართვის ქვესისტემის ამოცანაა, ახალი პროდუქციის ათვისება, ხარისხის ამაღლების ორგანიზაციულ-ტექნიკური ღონისძიებების შემუშავება და დანერგვა. ხარისხის მართვის ქვესისტემა ხელმძღვანელობს მარკეტინგის ქვესისტემის მონაცემებით ბაზრის კონიუნქტურისა და პროდუქციის ხარისხის შესაბამ. ამ ქვესისტემას ხელმძღვანელობს ტექნიკური კონტროლის სამსახური, წარმოების სხვა ქვესისტემებებთან ურთიერთ კავშირში. მისი ფუნქციებია ახალი პროდუქციის ხარისხის დონის დადგენა, მისი უზრუნველყოფა და კონტროლი.

სამრეწველო საწარმოს მარკეტინგული სამსახური ახალი სტრუქტურაა, მისი აუცილებლობა გამოწვეულია საბაზრო ეკონომიკის მოთხოვნებით. ამ სამსახურს ხელმძღვანელობს მარკეტინგის მენეჯერი, რომელიც საწარმოს მომარაგება-გასაღების ფუნქციასთან ერთად ახალ ფუნქციებს იძენს. მისი ფუნქციები დაკავშირებულია ბაზარზე პროდუქციის მოთხოვნილების შესწავლისა და პროდუქციის წარმოებისადმი წაყენებულ მოთხოვნილების განსაზღვრაში. იგი აყალიბებს ახალი პროდუქციის ნომენკლატურისა და მისი ხარისხის მოთხოვნებს, წარუდგენს წარმოებას და უზრუნველყოფს დამზადებული პროდუქციის რეალიზაციას. ეს სამსახური მონაწილეობს როგორც ახალი პროდუქციის შექმნის, ასევე მისი წარმოების პროცესში. ფაქტიურად იგი ქმნის წარმოების შეკეთების პორტფელს და ახდენს მის რეალიზაციას, ამისათვის იყენებს რეკლამას, ინფორმაციას და საკუთარი პროდუქციის რეკლამირების სხვადასხვა მეთოდებს.

13.2. საწარმოს მართვის მეთოდები

საწარმოო კოლექტივის სამეურნეო-ფინანსური საქმიანობის შედეგები ძალიანად დამოკიდებულია მის მართვაზე. ხელმძღვანელის მიერ მართვის მეთოდებისა და ფუნქციების შერჩევასა და გამოყენებაზე მართვის თეორიაში ცნობილია მართვის მრავალი მეთოდი და ფუნქცია, მაგრამ მათი გამოყენება საწარმოო კოლექტივში უნდა ხდებოდეს საწარმოს ტექნოლოგიურ და ორგანიზაციული თავისებურებების გათვალისწინებით. წარმოების მართვა ნიშნავს საწარმოს მრავალეროვან, მრავალრიცხოვან, მრავალტრადიციულ, სხვადასხვა კვალიფიკაციური დონისა და მოთხოვნილებების ადამიანთა ერთსულოვან გაერთიანებას ერთი საერთო საწარმოო ამოცანის შესასრულებლად. რამდენადაც შესძლებს ხელმძღვანელი ამ რთულ ამოცანის შესრულებას, იმდენად მაღალი იქნება მისი კოლექტივის მუშაობის შედეგები. საწარმოო კოლექტივის მართვა განსაკუთრებული ხელოვნებაა და იგი ყველა სპეციალისტს არ შეუძლია. კარგი სპეციალისტი არ ნიშნავს იყოს კარგი ხელმძღვანელი.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში ბაზრის დაუნდობელი კონკურენციის დროს რთულია ხელმძღვანელის ფუნქცია. მან ან უნდა განდევნოს ბაზრიდან ანალოგიური პროდუქციის მწარმოებელი ფირმები და დაიკაოს მათი საბაზრო სექტენტი ან შეურიგდეს მისი წარმოების ლიკვიდაციას. აქედან გამომდინარე, ხელმძღვანელი კარგად უნდა ფლობდეს მართვის ხელოვნებას, მართვის სტილს, მეთოდებსა და ფუნქციებს.

მართვის მეცნიერებაში გამოიყენება საწარმოო კოლექტივის მართვის სამი მეთოდი: ორგანიზაციულ-განკარგულებითი, ეკონომიკური და სოციალურ-ფსიქოლოგიური.

ორგანიზაციულ-განკარგულებითი მეთოდი ეს არის დირექტიული, იძულებითი ბრძანებლურ-ადმინისტრაციული ხასიათის მატარებელი. იგი იყენებს ბრძანებას, განკარგულებას, დირექტიულ გეგმებს, ინსტრუქციებსა და კანონებს. ეს მეთოდი უმთავრესად დამახასიათებელია ცენტრალიზებულ არასაბაზრო ეკონომიკისათვის, როგორც მკაცრი მართვა, რომელიც ნაკლებად მოიცავს დემოკრატიასა და ლიბერალიზაციას.

ორგანიზაციულ-განკარგულებითი მართვის მეთოდი ძირითადად გამოიყენებოდა სოციალისტურ ქვეყნებში, რომელმაც სათანადო შედეგი ვერ მოგვცა.

ეკონომიკური მეთოდები ქმნიან კოლექტივის დაინტერესებას მართვის სუბიექტის მოთხოვნების შესრულებისათვის. ისეთი ეკონომიკური ბერკეტების გამოყენებით როგორებიცაა ხელფასი, პრემია, დაჯილდოების სხვადასხვა ფორმები, შეთავაზება, შეზღუდვების შემსუბუქება. ეკონომიკური თავისუფლების გაფართოება, ქონების საკუთრებაში გადაცემა, გადასახადების, საჯარიმო სანქციების შემცირება და სხვა. ეკონომიკური მეთოდების გამოყენების დროს ხდება ცენტრალიზებული ზემოქმედება „ზევიდან ქვევით“. ეკონომიკის ქვედა რგოლებს საშუალება ეძლევათ თვითონ შეიმუშაონ და განახორციელონ მართვის ზოგიერთი გადაწყვეტილება, თანდათან გადავიდნენ თვითმმართველობის პრინციპზე. ამავე დროს ეკონომიკური რეგულირების კანონები არ გამორიცხავენ შეზღუდვების, სანქციებისა და ჯარიმების გამოყენებას დადგენილი ნორმების და წესების დარღვევისათვის.

ეკონომიკური მეთოდების გამოყენების თავისებურება მდგომარეობს იმაში, რომ „ვერტიკალურ“ მართვასთან ერთად უფრო ფართოდ გამოიყენება „ჰორიზონტალური“ მართვა. ეს იმას ნიშნავს, რომ მართვის ობიექტზე ზემოქმედებას ახდენენ, არა მარტო ზემდგომი ორგანოები, არამედ მომიჯნავეებიც — მომწოდებლები და მომხმარებელნი. ასეთი ზემოქმედება ხდება ხელშეკრულებების, კონტრაქტების, ვალდებულებების, პირობებისა და მოთხოვნების სახით.

მართვის ეკონომიკური მეთოდები უფრო ფართოდ გამოიყენება ფირმებისა და სხვადასხვა საწარმოთა მართვაში. სააქციო საზოგადოების, როგორც მრავალრიცხოვან კოლექტივთა გაერთიანების მართვის უმაღლეს ორგანოს წარმოადგენს აქციონერთა საერთო კრება, იგი წვევებს საზოგადოების ყველა სტრატეგიულ საკითხს. მასში მონაწილეობას ღებულობს სააქციო საზოგადოების ყველა მუშაკი, რომელთაც აქვთ აქციები, რითაც სარგებლობენ გადამწყვეტი ხმის უფლებით.

მართვის მეთოდების მესამე ჯგუფს მიეკუთვნება სოციალურ ფსიქოლოგიური მეთოდი. ეს მეთოდი ითვალისწინებს წარმოების მუშაკზე მორალურ და ფსიქოლოგიურ ზემოქმედებას, აღზრდისა და დარწმუნების მეთოდების გამოყენებას.

ყოველ ადამიანში თანმიმდევრულად ყალიბდება გარკვეული შეხედულობათა სისტემა შრომაზე, ფულზე, სიმდიდრეზე, ეკონომიკურ ურთიერთობაზე და ეკონომიკურ ქცევაზე. თითოეულ ადამიანს აქვს ამ შეხე-

დულებათა სისტემიდან გამორჩეული პრიორიტეტი. ამრიგად ყოველ ადამიანს, გარდა საერთო სახელმწიფო კანონებისა და წესებისა, აქვს თავისი საკუთარი მორალურ-ფსიქოლოგიური კოდექსი. სოციალურ – ფსიქოლოგიური მეთოდის ამოცანაა ადამიანის დარწმუნება, აღზრდა მისი მომავლის, ფსიქოლოგიისა და სინდისის წარმართვა საწარმოს პირითადი ამოცანების შესრულებლად. იგი საკუთარი შეგნებითა და სურვილით უნდა აკეთებდეს ფირმისათვის საჭირო საქმეს და არა ბრძანებით და იძულებით. იგი უნდა დავარწმუნოთ მისი საქმიანობის აუცილებლობასა და სარგებლიანობაში.

სოციალურ – ფსიქოლოგიური მეთოდის ეფექტიანობა დამოკიდებულია ადამიანის თაობათა აღზრდის ტრადიციებზე. იაპონიაში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ფირმის მუშაკთა აღზრდას, მისი შრომისადმი სიყვარულსა და პატივისცემას, ეს აღზრდა მათ ეძლევათ, როგორც იქ იტყვიან „დედის რძიდან“. ხშირად ამის შედეგია ის, რომ იაპონელ მუშას შეუძლია უარი თქვას შვებულებაზე, თუ ფირმის საქმიანობა ცუდად მიდის. იაპონელებს არ ჭირდებათ წარმოებაში კონტროლიორები. ისინი თვლიან, რომ ყველაზე უკეთესი კონტროლიორი ეს არის მუშის სინდისი. იაპონელი ისე არ დაეცემა მორალურად, რომ მან „გააპაროს“ სამუშაოს წუნი.

არა ნაკლებ როლს თამაშობს მართვაში რელიგია. რელიგიური მორალი ადამიანს აძლევს სტიმულს ძალდაუტანებლად შეასრულოს სამოქალაქო და შრომითი საქმიანობის ნორმები, პატივისცემით მოექცეს საერთო სიმდიდრეს, მატერიალურ და სულიერ ფასეულობებს.

ამრიგად, მორალური ზემოქმედება აღზრდისა და დარწმუნების გამოყენებით წარმოების მართვის განუყოფელი ნაწილია.

აღნიშნული მართვის სამივე მეთოდი საწარმოში გამოიყენება ერთდროულად საწარმოს კონკრეტული სიტუაციის მიხედვით.

13.3. საწარმოს მართვის ფუნქციები.

სამრეწველო საწარმოს მართვის პროცესს განაპირობებს მართვის მეთოდები, ფუნქციები, მართვის სტრუქტურა და მართვის რგოლი. მართვის ფუნქციები და სტრუქტურა დამოკიდებულია საწარმოს ტექნოლოგიურ და ორგანიზაციულ თავისებურებებზე. ამიტომ ყოველ საწარმოს

თავისი სტრუქტურა და ამ სტრუქტურათა შესაბამისი ფუნქციები გააჩნია. მიუხედავად მათი სახესხვაობისა მართვის მეცნიერებაში ჩამოყალიბებულია მართვის ერთიანი ზოგადი ფუნქციები. ეს ფუნქციები მართვის პროცესის თანმიმდევრობის მიხედვით შეიძლება შემდეგნაირად დაჯაგუფოთ: ეკონომიკური ანალიზია პროგნოზირება, დაგეგმვა, ორგანიზაცია, რეგულირება, სტიმულირება, აღრიცხვა, კონტროლი. სწორად ამ სქემით ხორციელდება საწარმოს მართვის პროცესი: წარმოების მასშტაბის შესაბამისად ეს სქემა შეიძლება გამარტივებული იქნას.

ეკონომიკური ანალიზი დაფუძნებულია საწარმოს გავლილმა პერიოდის მუშაობის შედეგების ანალიზზე, რომლის შედეგადაც დგინდება განვითარების ტენდენციები და კანონზომიერებანი, ვლინდება პრობლემები, რაც შემდგომში საფუძვლად ედება წარმოების პერსპექტიული განვითარება - პროგნოზირებას.

პროგნოზირება - მოვლენის მეცნიერული ხეღვა, ეკონომიკური პროცესების მოძღვლის შემუშავება და ჰიპოთეზის აგებაა, რომელსაც შეიძლება ადგილი ჰქონდეს მომავალში. პროგნოზირება ჩვეულებრივად გამოიყენება მართვის საწყის მომენტში და გვირგვინებს თუ მას რა სასურველი, ან არა სასურველი შედეგები შეიძლება მოჰყვეს. პროგნოზი დგება რამოდენიმე ვარიანტის სახით, რომელთაგან შემდგომ ირჩევენ ყველაზე ოპტიმალურ ვარიანტს.

პროგნოზი ეხმარება წარმოების მენეჯერს გაითვალისწინოს წარმოების განვითარებაში საჭირო რესურსები, პროდუქციის ნომენკლატურის მოსალოდნელი ცვლილება და ბაზრის მოთხოვნის დაკმაყოფილების შესაძლებლობა.

დაგეგმვა - მართვის ძირითადი შემადგენელი ფუნქციაა. დაგეგმვა საწარმოს მომავალში მუშაობის მეთოდია. იგი მოიცავს წარმოების ეკონომიკურ მაჩვენებელთა სისტემას, რომელიც უნდა შესრულდეს საგეგმო პერიოდში, დაგეგმილი და გაანგარიშებულია საჭირო რესურსები, წარმოების მოცულობა და საბოლოო შედეგები. გეგმა პროგნოზისაგან განსხვავდება იმით, რომ იგი ნაცვლად ჰიპოთეზისა და წინადადებისა მოიცავს საწარმოს კონკრეტულ სამოქმედო პროგრამას. სათანადო გაანგარიშება და დასაბუთება გვირგვინებს, თუ რა ფინანსურ შედეგებს შეუძლია მიაღწიოს საწარმომ საგეგმო პერიოდის ბოლოს, თუ იგი შეასრულებს დასახულ სამოქმედო გეგმის მაჩვენებლებს.

საბაზრო ეკონომიკაში თითოეული ფირმა თვითონ ამუშავებს თავის სამოქმედო გეგმას „ზემოდან“, ცენტრალიზებული მართვის ორგანოთა ჩარევის გარეშე, რასაც ხშირად თვითდაგეგმვას უწოდებენ. ფირმები ამუშავებენ არა მარტო მოკლევადიან, მიმდინარე, არამედ გრძელვადიან გეგმებსაც 5-10-15 წლით. ზოგჯერ საჭირო ხდება მრეწველობის მასშტაბით მიზნობრივი ეკონომიკური პროგრამების შედგენა. ასეთი პროგრამა წააგავს გეგმას, მაგრამ პროგრამის მიზანია კონკრეტული პრობლემის გადაწყვეტა, რომელიც მოწოდებულია ერთი მიზნობრივი ამოცანის შესასრულებლად. პროგრამა მუშავდება უფრო დეტალურად, ვიდრე გეგმა, მასში მოცემულია მიზანი, ამოცანა, შესრულების ვადები, შემსრულებლები, რესურსები და მისი მიღების წყაროები. მიზნობრივი პროგრამები უფრო მეტად გამოიყენება დარგის წინაშე მდგომ სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების გადასაწყვეტად.

ორგანიზაცია საწარმოს კოლექტივის შრომის პროცესში მოქმედების კოორდინაციაა. იგი უზრუნველყოფს შემსრულებელთა ურთიერთ შეთანხმებულ მუშაობას დადგენილი რეგლამენტებისა ნორმების შესაბამისად, წარმოების წინაშე მდგომ ამოცანათა წარმატებით შესასრულებლად. ორგანიზაცია საწარმოო პროცესის ნორმალური მსვლელობის აუცილებელი პირობაა, რამდენადაც იგი არეგულირებს მას და დარღვევებისა და გადახრების შემთხვევაში ღებულობს ზომებს მისი აღდგენისა და სწორად წარმართვისათვის.

წარმოების მართვის ორგანიზაცია უზრუნველყოფს საწარმოო ქვედანაყოფების მიერ მათი ფუნქციების შესრულებას. საწარმოს ორგანიზაცია დამოკიდებულია საწარმოს სამართლებრივ ფორმაზე და მის სტრუქტურაზე. მართვის ორგანიზაცია განუწყვეტილი პროცესია და გულისხმობს წარმოების ოპერატიულ რეგულირებას, რომლის ქვეშ იგულისხმება მმართველობითი გადაწყვეტილება, ინსტრუქციები, ბრძანებები, განკარგულებები, მითითებები, რომლებიც გამოიყენება მართვის სუბიექტის მიერ შექმნილი კონკრეტული სიტუაციის მიხედვით. საქმის მსვლელობის პროცესში ოპერატიული რეგულირება ავსებს გეგმებს და პროგრამებს, რომლებიც წინასწარ არ შეიძლება განისაზღვროს.

სტიმულირება – არის მართვის ფუნქცია და იგი თან სდევს ოპერატიულ რეგულირებასა და ორგანიზაციას. სტიმულირება ორი სახისაა: მორალური და ეკონომიკური, ორივე ერთდროულად გამოიყენება

წარმოების მართვაში. ეკონომიკური სტიმულირებისათვის მართვის აპარატი იყენებს მის განკარგულებაში არსებულ მატერიალური წახალისებისა და სოცუზრუნველყოფის ფონდებს, რომელსაც წარმოება ქმნის ყოველწლიურად წმინდა მოგებიდან.

აღრიცხვა წარმოების მართვის ფუნქციაა და წარმოადგენს საწარმოს მდგომარეობის დოკუმენტურ ფიქსაციას, რესურსების რაოდენობას, მატერიალურ და ფულად სახრებს. ერთის მხრივ, აღრიცხვა ხელს უწყობს წარმოების ფასეულობათა დაცვას და მეორეს მხრივ, იგი ინფორმაციის წყაროა ოპერატიული რეგულირებისათვის მართვის პროცესში.


წარმოების აღრიცხვაში დიდი როლი ეკუთვნის ბუღალტრულ აღრიცხვას. ბუღალტერი გერმანული სიტყვაა, რაც ნიშნავს წიგნის მფლობელს, რომელიც ვალდებულია მოახდინოს წარმოების მატერიალური და ფულადი სახსრების, შემოსავლების და გასაყვების მდგომარეობისა და მოძრაობის აღრიცხვა, ასახოს მათი მაჩვენებლები ბუღალტრულ ანგარიშებში და ბუღალტრულ წიგნებში. ბუღალტერია წარმოების სარკეა. იგი ასახავს საწარმოს სამეურნეო-ფინანსური მუშაობის შედეგებს, წარმოადგენს აღრიცხვის ანალიზისა და კონტროლის წყაროს.

მართვის პროცესის დასკვნით ფუნქციას წარმოადგენს კონტროლი. იგი მართველობითი ზემოქმედების შესრულების შემოწმების პროცესია, რომელიც იძლევა კანონების, წესების, ინსტრუქციების, განკარგულებების შესრულების მიმდინარების შესახებ ინფორმაციას. იგი ამავე დროს უკუკავშირია, რომელიც იძლევა ინფორმაციას მართვის ობიექტის მდგომარეობის შესახებ, რაც მართველობითი გადაწყვეტილების აუცილებელი პირობაა. კონტროლი ყოველთვის მნიშვნელოვანია მართვის პროცესში, განსაკუთრებით, კი იმ შემთხვევაში, როცა მართვის ობიექტი ვერ უზრუნველყოფს მართველობითი გადაწყვეტილების შესრულებას არადაკმაყოფილებელ საშემსრულებლო დისციპლინის გამო.

• მართვაში სშირად იყენებენ მართვის მექანიზმს, რაც გულისხმობს მართვის მეთოდებისა და ფუნქციების ერთობლიობას. იგი ნაკლებად გამოიყენება დასავლეთ ევროპის ქვეყნებში, და უფრო მართვის ტექნიკურ მხარეს შეესაბამება. მართვაში უფრო მიზანშეწონულია მართვის სისტემის ტერმინის გამოყენება, ვინაიდან იგი მოიცავს, როგორც მართვის მეთოდებსა და ფუნქციებს, ასევე მართვის აპარატს. აღმინისტრატორებს, მენეჯერებს, ასევე განყოფილებებს, სამსახურებსა და კომპანიებს.

13.4. საწარმოს მართვის სტრუქტურა და მართვის ორგანოთა ფუნქციები.

სამრეწველო საწარმო რთული დინამიური სისტემაა. იგი აწარმოებს რთულ და შრომატევად პროდუქციას, შედგება რამოდენიმე საამქროს, განყოფილებებისა და ლაბორატორიისაგან. მათი მართვისათვის იქმნება ერთიანი იერარქიული მართვის სტრუქტურა. მართვის სტრუქტურა დამოკიდებულია საწარმოს მასშტაბზე და მის ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმაზე. მაგალითისათვის განვიხილოთ ხაჩქცია საზოგადოების, როგორც ყველაზე გავრცელებულ სამართლებრივი – ფორმის მართვის სტრუქტურა.



13.2. საწარმოს მართვის ორგანოს სტრუქტურა

მართვის ტექნოლოგია მოიცავს ინფორმაციის შეგროვებას, გადამუშავებას, შენახვას და მათი ანალიზის საფუძველზე მართვის პროცესის


რეგულირების შესახებ გადაწყვეტილებების მიღებას, გადაწყვეტილებათა დაყვანას შემსრულებლებამდე და მისი შესრულების კონტროლს.

მართვის ორგანოთა სტრუქტურა დამოკიდებულია საწარმოს ტიპზე და მის მოცულობაზე, ორგანიზაციულ – სამართლებრივ ფორმაზე.

საწარმოს მართვის ორგანიზაციული სტრუქტურა შეიძლება იყოს ხაზური, ხაზურ-შტაბური, ფუნქციური, მატრიცული და შერეული. თითოეული ამ 5 სტრუქტურიდან შეიძლება გამოყენებულ იქნას ერთი იმის და მიხედვით, თუ როგორია წარმოების მასშტაბები.


ხაზური მართვა: ხელმძღვანელი შემსრულებელი, გულისხმობს ერთმმართველობას. ხელმძღვანელი აძლევს განკარგულებას, აკონტროლებს და ხელმძღვანელობს შემსრულებელს. ეს ფორმა არის მარტივი და ოპერატიული. იგი ზრდის ხელმძღვანელის პასუხისმგებლობას და ამცირებს მართვის აპარატის შენახვის ხარჯებს. ხაზური მართვის ნაკლი ის არის, რომ ხელმძღვანელი არ შეიძლება იყოს უნივერსალური სპეციალისტი, რომ გაითვალისწინოს მიმდინარე გადახრები რთული წარმოების ქვედა რგოლებში – ბრიგადისა და უბნის დონეზე. რაც შეეხება ინჟინრულ-ეკონომიკურ და იურიდიულ მომსახურებას, ეს ფუნქციები ხორციელდება ადმინისტრაციის ზედა რგოლების მიერ.

ხაზურ-შტაბური მართვა გამოიყენება უპირატესად საშუალო და მსხვილ საწარმოებში. ამ შემთხვევაში ხაზური მართვა შენარჩუნებულია, მაგრამ ხელმძღვანელი თავის განკარგულებებსა და ბრძანებებს ამზადებს არამარტო თვითონ, არამედ შტაბური სპეციალისტების მეშვეობით. რომლებიც აგროვებენ და ამუშავებენ ინფორმაციებს და ამზადებენ ხელმძღვანელის მითითებით ბრძანების პროექტებს. სპეციალისტები უშუალო პასუხისმგებელი არიან ხელმძღვანელის წინაშე მათ მიერ მომზადებული ბრძანებების პროექტების სისწორისათვის.



ნახ. 13.3. ხაზურ-შტაბური მართვის ფორმა

ფუნქციური მართვის (ნახ. 13.4.) არსი მდგომარეობს იმაში, რომ ხელმძღვანელი თავისი ფუნქციის ნაწილს გადასცემს ფუნქციურ ქვედანაყოფთა ხელმძღვანელების უფლებამოსილებაში. მაგალითად, მთავარი ინჟინერი, როგორც დირექტორის მოადგილე განაგებს წარმოების საინჟინრო-ტექნიკურ საკითხებს, თითონ ამზადებს და გასცემს განკარგულებებს, ახალი ნომენკლატურის პროდუქციის მომზადების, წარმოებისა და წარმოების ტექნიკური გადაიარაღების საკითხებზე. ამ შემთხვევაში შემსრულებლები ღებულობენ მმართველობით გადაწყვეტილებებს არა დირექტორის, არამედ ფუნქციურ ქვედანაყოფთა ან დირექტორის მოადგილეთაგან. მართვის ასეთი ფორმა ნაკლებად ოპერატიულია, საჭიროებს განკარგულებათა მომზადებისას ფუნქციურ ქვედანაყოფთა ხელმძღვანელებთან შეთანხმებას, რაც მოითხოვს დიდ დროს. მიუხედავად ამისა, ეს ფორმა ფართოდაა გავრცელებული გარკვეული საშუალო და მსხვილ საწარმოთა მართვის პრაქტიკაში.



ნახ. 13.4. ფუნქციონალური მართვის სქემა

წარმოების პრაქტიკაში წმინდა სახით გამოიყენება მხოლოდ საზური მართვა. მცირე და კერძო საწარმოებში, უმეტეს შემთხვევაში გამოიყენება მართვის შერეული ფორმა. (ქვედა რგოლში – ბრიგადის დონეზე – მოქმედებს საზური, საშუალო დონეზე – სააპქროს ან განყოფილების დონეზე – საზურ-შტაბური, უმაღლეს დონეზე – საწარმო – ფუნქციური მართვის ფორმა.)

13.5. საწარმოს მართვის ორგანოთა ფუნქციები

საწარმოს მართავს ადმინისტრაცია, რომელსაც ხელმძღვანელობს დირექტორი. დირექტორი ახორციელებს ოპერატიულ მართვას. მას ნიშნავს საწარმოს სააქციო საზოგადოების მეთვალყურეთა საბჭო. იგი უფლებამოსილია მესაკუთრის მიერ და პასუხს აგებს საწარმოს სამეურნეო-ფინანსურ საქმიანობის შედეგებზე. დირექტორი მოქმედებს საწარმოს სახელით, წარადგენს მას ყველა სამეურნეო და სახელმწიფო დაწესებულებებში. კანონმდებლობის შესაბამისად შეიმუშავებს და გამოსცემს ბრძანებებს, იღებს და დაითხოვს სამუშაოზე მუშაკებს, იყენებს მუშაკთა დასჯის ან წახალისების მეთოდებს.

დირექტორი განაგებს წარმოების ქონებას, ფულად და მატერიალურ სახსრებს, ხსნის ანგარიშს ბანკში, გასცემს მინდობილობებს სხვა პირებზე.

დირექტორი უფლებამოსილია თავისი ფუნქციების ნაწილი გადასცეს მოადგილეებს: წარმოების, კომერციულ, ფინანსურ; საინჟინრო-ტექნიკურ, კადრებისა და საყოფაცხოვრებო საკითხებზე. მსხვილ სამრეწველო საწარმოებში დირექტორი ნიშნავს ცალკეული ფუნქციების მიხედვით 2-3 მოადგილეს. მცირე და საშუალო საწარმოებში შეიძლება ყავდეს ერთი მოადგილე. როგორც წესი, არც დირექტორი და არც მისი მოადგილეები მათზე დაკისრებულ მოვალეობებს ასრულებენ არა უშუალოდ, არამედ შესაბამის განყოფილებებში გაერთიანებულ სპეციალისტთა ჯგუფების მეშვეობით.

დირექტორის მოადგილე წარმოების დარგში პასუხისმგებელია საწარმოო-ტექნოლოგიური საამქროების რატეპიულ მუშაობაზე, მზა პროდუქციის ხარისხზე. მასთან ერთად დირექტორის დანარჩენი მოადგილეები ფუნქციონირებენ ხელმძღვანელობას უწევენ წარმოების საამქროებსა და განყოფილებებს, ეკონომიკურ, საკადრო, ტექნიკურ და სხვა საკითხებში.

დირექტორის მოადგილეს წარმოების დარგში ემორჩილებიან საწარმოო-ტექნოლოგიური საამქროს უფროსები. თვით დირექტორის მოადგილე ექვემდებარება დირექტორს. ზოგიერთ საწარმოებში თუ ასეთი თანამდებობა არაა, მას ცვლის წარმოების უფროსი, რომელიც ემორჩილება მთავარ ინჟინერს.

ღირექტორის მოადგილე ტექნიკურ საკითხებში. აღნიშნული თანამდებობა უფრო ხშირად გამოიყენება მსხვილ სამრეწველო საწარმოებში. საშუალო და მცირე საწარმოებში მას ეკისრება მთავარი ინჟინრის ფუნქციები და იგი ამავე დროს ითვლება ღირექტორის პირველ მოადგილედ. ამ (თუ ღირექტორს არ ყავს სხვა მოადგილეები) შემთხვევაში მას შეთავსებული აქვს, როგორც წარმოების დარგში მოადგილის, ასევე კომერციული და საფინანსო საკითხებში ღირექტორის მოადგილეების ფუნქციები.

მთავარ ინჟინერს ემორჩილება საპროექტო-საკონსტრუქტორო, ტექნოლოგიური, ტექნიკური კონტროლის, მთავარი მექანიკოსის, მთავარი ენერგეტიკის სამსახურები და ლაბორატორიები. მთავარი ინჟინრის ძირითადი ფუნქციაა წარმოების ინჟინერ-ტექნიკური უზრუნველყოფა. წარმოების შეუფერხებელი მუშაობის უზრუნველყოფა, მისი მომარაგება ენერგიით, სათბობით, გაზით, წყლით, მოწყობილობის შეუფერხებელი მუშაობა, მათი დროული გეგმიურ-გამაფრთხილებელი და კაპიტალური რემონტი, წარმოების ტექნიკური გადაიარაღება, ახალი პროდუქციის მომზადება, წარმოება და განახლება და სხვა.

საპროექტო-საკონსტრუქტორო განყოფილება ამუშავებს ახალ კონსტრუქციებსა და ახალი მასალების პროექტებს. ღებულობს ინფორმაციას წარმოებული პროდუქციის ხარისხის შესახებ და ამუშავებს წინადადებს ხარისხის ასამაღლებლად. მარკეტინგის სამსახურთან კავშირში შეიმუშავებს ახალი პროდუქციის პროექტებს.

ტექნოლოგიური განყოფილება ამუშავებს ახალი პროდუქციის ტექნოლოგიას. განსაზღვრავს მასზე მატერიალური და ენერგეტიკული დანახარჯების ნორმებსა და ნორმატივებს, სრულყოფს მოქმედ ტექნოლოგიებს; აკონტროლებს საწარმოო პროცესში ტექნოლოგიური რეჟიმის დაცვას; ამუშავებს წინადადებებს პროდუქციის მასალატევალობის და დანაკარგების შემცირების მიზნით. ღებულობს ზომებს პროდუქციის თვითღირებულების შესამცირებლად.

ტექნიკური კონტროლის სამსახური ახორციელებს გამოშვებულ პროდუქციის ხარისხის ერთიან კონტროლს, ახდენს ნედლეულის და მასალების მიმღებ კონტროლს; საპროექტო-საკონსტრუქტორო სამსახურთან ერთად ახდენს წარმოებული პროდუქციის სერტიფიკაციას. საშუალო სიდიდის საწარმოებში ტექნიკური ლაბორატორია, სისტემა-

ტურად ამოწმებს პროდუქციის წარმოების ტექნოლოგიური რეჟიმის დაცვას და იძლევა მზა პროდუქციის საწყობში ჩაბარებისა და მისი შემდგომი რეალიზაციის ნებართვას. იგი უშუალოდ ემორჩილება წარმოების დირექტორს. ზოგიერთ საწარმოებში გარდა ტექნიკური კონტროლის: უფროსისა შემოღებულია ლაბორატორიის გამგის თანამდებობა) ამ შემთხვევაში ტექნოლოგიური კონტროლის უფროსი ამოწმებს მზა პროდუქციას და იძლევა მისი რეალიზაციის ნებართვას, ხოლო ლაბორატორია აწარმოებს ტექნოლოგიური პროცესების ოპერატიულ კონტროლს. ლაბორატორიის უფროსი ემორჩილება მოადგილეს წარმოების დარგში ან მთავარ ინჟინერს. მთავარ ინჟინერს აგრეთვე ემორჩილება მთავარი მექანიკოსი და მთავარი ენერგეტიკი. მთავარი ენერგეტიკოსის ფუნქციაა წარმოების უზრუნველყოფა ორთქლით, ელექტროენერჯით, სიცივით, შეკუმშული ჰაერით, წყლით, გაზით და სხვა ენერჯით. მთავარი მექანიკოსის ფუნქციაა მანქანა-მოწყობილობის რემონტი და ტექნიკური გადაიარაღება. ამ განყოფილებათა განკარგულებაშია მექანიკური საამქროები, ელექტრო საამქრო, ორთქლის საქვაბე, საკომპრესორო და სხვა. ამ განყოფილების საერთო ფუნქციაა წარმოების ენერჯით უზრუნველყოფა და მანქანა-დანადგარების შეუფერხებელი მუშაობა. ეს განყოფილება მსხვილ სამრეწველო საწარმოებში (მანქანათმშენებლობა, ქიმიურა და მძიმემრეწველობა) შედგება მთავარი მექანიკოსისა და მთავარი ენერგეტიკოსის განყოფილებებისაგან, რომლებიც დამოუკიდებლად ფუნქციონირებენ. მთავარი მექანიკოსის განყოფილების დაქვემდებარებაშია მექანიკური და ხარემონტო საამქროები. ისინი აწარმოებენ წარმოების ტექნოლოგიური და ძალოვანი დანადგარების მიმდინარე და კაპიტალურ შეკეთებას, წარმოების ტექნიკურ გადაიარაღებას, ამზადებენ სარემონტო და სათადარიგო დეტალებსა და კვანძებს. უზრუნველყოფენ საწარმოს მანქანა-მოწყობილობის შეუფერხებულ მუშაობას, ღებულობენ პროფილაქტიკურ ზომებს მოცდენების ლიკვიდაციისათვის. მთავარ მექანიკოსს ექვემდებარება მექანიკური სახელოსნოს უფროსი. მთავარი მექანიკოსი უშუალოდ ემორჩილება მთავარ ინჟინერს და მასთან ერთად ამუშავებს ღონისძიებებს წარმოების გადაიარაღების, მოდერნიზაციის, ახალი ტექნიკის დანერგვისათვის.

მთავარი ენერგეტიკის განყოფილება ხელმძღვანელობს საწარმოს ენერგო რესურსებით უზრუნველყოფას: ორთქლით, წყლით, ელექტრო-

ენერგიით და შეკუმშული ჰაერით. მის სტრუქტურაში შედიან მთ. ელექტრიკოსი, საქვაბე და საკომპრესორო საამქროების უფროსები, აწარმოებენ ელექტრო ძრავების, ელექტრო გაყვანილობების, ელექტროძრავების ტრანსფორმატორების, ქვესადგურების რემონტს და ენერჯისა და სათბობის ხარჯვის აღრიცხვას და კონტროლს.

მთავარ მექანიკოსს ევალება უსაფრთხოების ტექნიკის საკითხების ხელმძღვანელობა, თუ საწარმოში ასეთი თანამდებობა არ არის.

დირექტორის მოადგილე კომერციულ და ფინანსურ საკითხებში. მსხვილი საწარმოებში დირექტორს შეიძლება ყავდეს ორი მოადგილე. მოადგილე კომერციულ დარგში და მოადგილე ფინანსურ საკითხებში.

დირექტორის მოადგილეს კომერციულ და ფინანსურ საკითხებში ემორჩილება: მარკეტინგის, მომარაგება-გასაღების, ფინანსური და საგეგმო განყოფილებები.

მარკეტინგული სამსახურს განსაკუთრებული ფუნქცია ეკისრება საბაზრო ეკონომიკის პირობებში. იგი სწავლობს ბაზრის მოთხოვნას წარმოებულ პროდუქციაზე, აყალიბებს და უდგენს წარმოებას პროდუქციის ნომენკლატურის, ხარისხისა და მოცულობის შესახებ მოთხოვნებს. მისი მონაცემების ბაზაზე ყალიბდება პროდუქციაზე მოთხოვნა, იგეგმება წარმოება, განისაზღვრება რესურსებზე მოთხოვნა, შემოსავლები და დგება წარმოების სტრატეგიული გეგმა.

მომარაგება-გასაღების სამსახური უზრუნველყოფს წარმოების მომარაგებას მატერიალური და სათბობ-ენერგეტიკული რესურსებით. უზრუნველყოფს მომწოდებლებთან და მომხმარებლებთან კონტრაქტების გაფორმებას და მის შესრულებაზე კონტროლს. მარკეტინგულ სამსახურთან კავშირში განსაზღვრავს რეალიზაციის მოცულობას, აფორმებს კონტრაქტებს პროდუქციის რეალიზაციის შესახებ მომხმარებლებთან. მსხვილ სამრეწველო საწარმოებში ეს სამსახური შეიძლება ორად გაიყოს. მომარაგების განყოფილება და გასაღების განყოფილება.

საფინანსო და საგეგმო განყოფილება. მსხვილ სამრეწველო საწარმოებში (მანქანათმშენებლობის, მსუბუქი, ქიმიური და სხვა) საფინანსო განყოფილება დამოუკიდებელია და განაგებს ფინანსებს, საწარმოს შემოსავალ-გასავალს, ანაწილებს მოგებას, ადგენს საწარმოს წლიურ და პერსპექტულ საფინანსო გეგმებს, განაგებს საწარმოს ბიუ-

ჯეტს, აკონტროლებს ფულადი სახსრების ანგარიშსწორების ანგარიშზე ჩარიცხვას და მისი ხარჯვის მდგომარეობას, უზენუნველყოფს ფულადი სახსრების მიღებას და გადასახადების შეტანას ბიუჯეტში.

საგეგმო განყოფილება ადგენს კომპლექსურ პერსპექტიულ და მიმდინარე გეგმებს, მათ შორის წარმოების, კადრების, ფინანსების, ტექნიკური განვითარების, კაპიტალური მშენებლობის ბიზნეს გეგმებს, განსაზღვრავს წარმოებისა და კაპიტალური დაბანდების ეკონომიკურ ეფექტიანობას, წარმოების კაპიტალური დაბანდების სამეურნეო-ფინანსური საქმიანობის ანალიზს, ადგენს სტატისტიკურ ანგარიშებს დადგენილი ფორმებისა და წარდგენის წესის შესაბამისად.

საგეგმო-საწარმოო განყოფილება (სსგ) ახორციელებს წარმოების კალენდარულ ოპერატიულ-საწარმოო დაგეგმვას. მომხმარებელთა შეკვეთების საფუძველზე ამუშავებს პროდუქციის წარმოებაში ჩაშვებისა და გამოშვების თვიურ, დეკადურ, დღელამურ, საათობრივ გეგმებს და გრაფიკებს ნატურალურ მაჩვენებლებში. გეგმები და გრაფიკები დგება ცალკეულ საამქროების შიგნით – საწარმოს უბნების, ბრიგადებისა და სამუშაო ადგილების მიხედვით. სსგ აკონტროლებს გეგმების შესრულებას, წარმოებული პროდუქციის აღრიცხვას და ადგენს სტატისტიკურ ანგარიშებს.

სადისპეჩერო განყოფილება ახდენს საწარმოო პროცესების ოპერატიულ რეგულირებას, დებულობს ზომებს წარმოების რიტმის დარღვევის აღსადგენად და მოსალოდნელი შეფერხების თავიდან აცილებისათვის. ინფორმაციას აწვდის საწარმოს ხელმძღვანელობას საამქროების მიერ საწარმოო დავალებების შესრულების მიმდინარეობის შესახებ.

კადრების განყოფილება ჩვეულებრივად ემორჩილება უშუალოდ დირექტორს ან მის ერთ-ერთ მოადგილეს. მას ევალება მუშაკთა დაქირავება და დათხოვნა. მუშაკთა სამუშაოზე გამოცხადების აღრიცხვა; შრომის დისციპლინისა და სამუშაო დღის რეჟიმის დაცვის კონტროლი; კადრების მომზადება და კვალიფიკაციის ამაღლება.

ბუღალტერიას ხელმძღვანელობს მთავარი ბუღალტერი და იგი უშუალოდ ემორჩილება წარმოების (ფირმის) დირექტორს (პრეზიდენტს). იგი ახდენს საწარმოში მატერიალური და ფინანსური რესურსების შემოსვლის ხარჯვისა და გაცემის აღრიცხვა-ანგარიშგებას. ადგენს

საწარმოს სამეურნეო-ფინანსური საქმიანობის ანგარიშებს და წარუდგენს ადმინისტრაციას და ზემდგომ ორგანოებს. ბუღალტერია პასუხისმგებელია მატერიალური და ფინანსური რესურსების ხარჯვაზე, აკონტროლებს წარმოების საამქროებსა და საწყობებს შორის მათ მოძრაობასა და ხარჯვას, ახდენს მომწოდებლებთან და პროდუქციის მომხმარებლებთან ანგარიშსწორებას, ფულადი სახსრების მოძრაობას ბანკში და წარმოების სალაროში. მთ. ბუღალტერი წლიურ ანგარიშებს აუდიტის დასკვნასთან ერთად წარუდგენს განსახილველად წარმოების ადმინისტრაციას და განხილვის შემდეგ დადგენილ ვადებში წარუდგენს საგადასახადო ორგანოებს. მთავარი ბუღალტერი წარმოების ხელმძღვანელთან ერთად პასუხისმგებელია საწარმოს საფინანსო შედეგებზე.

თავი XIV. საწარმოს სამეურნეო საქმიანობის დაგეგმვა

14.1. დაგეგმვის ფუნქციები და ამოცანები

საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლამ და ეკონომიკური კავშირების გართულება- გაფართოებამ აუცილებელი გახადა მართვისა და დაგეგმვის ცენტრალიზებული სისტემის შეცვლა საწარმოს, დარგის, რეგიონის თვითმმართველობით და თვითრეგულირებით.

საწარმოს მასშტაბების ზრდა და სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის დაჩქარება აუცილებელს ხდის დაგეგმვას მიკრო დონეზე. საბაზრო ეკონომიკაში კონკურენციის მკაცრი კანონების პირობებში შეუძლებელია (ფირმის) საწარმოს ეფექტიანი ფუნქციონირება ტექნიკურად დასაბუთებული პერსპექტიული და მიმდინარე გეგმების გარეშე.

იმისათვის, რომ არ ჩამორჩეს თავის კონკურენტებს, ყოველმა მათგანმა უნდა დაგეგმოს თავისი საწარმოს განვითარება და ბაზრის მოთხოვნა 2-3 წლით მაინც, გაითვალისწინოს პერსპექტივა ყოველ წერილმანზე, თითოეულ ეტაპზე, დაწყებული ნაწარმის პროექტიდან, ტექნოლოგიის შემუშავებიდან, საცდელ-ექსპერიმენტული სამუშაოებისა და მისი წარმოებაში ჩაშვებიდან, ბოლოს ძველი პროდუქციის წარმოების შეწყვეტისა და მისი ბაზრიდან გამოსვლამდე. ყველა აღნიშნული დაკავშირებული უნდა იყოს საწარმოს შიგა ეკონომიკასთან, დაბეგერის სისტემასთან, ბაზარზე კონკურენციასთან და წარმოების გარე სიტუაციებთან.

საწარმოს მართვა და დაგეგმვა მჭიდრო კავშირშია ერთმანეთთან, უფრო ზუსტად კი დაგეგმვა მართვის ერთერთი ფუნქციაა. საზღვარგარეთის პრაქტიკაში ორივეს ერთად „მენეჯმენტს“ უწოდებენ.

დაგეგმვა – ეს არის მიზნის მიღწევის მეთოდი, ყველა საწარმოო ოპერაციის თანმიმდევრობითი და დაბალანსირებული შესრულების საფუძველზე. საწარმოს გეგმის ამოცანაა საწარმოს რესურსების გამოყენების ოპტიმალური გზებისა და მეთოდების შერჩევა. მაქსიმალური მოგების მიღების მიზნით. მასში გათვალისწინებული უნდა იქნას საგეგმო პერიოდში საწარმოს ფაქტორებზე მოქმედი ყველა პირობა: მასალების მოთხოვნა, ფასების ცვლილება, ტექნიკური პროგრესი, რესურსების შეზღუდვა და სხვა.

საწარმოს მართვა ეს არის საწარმოს დაგეგმვისა და კონტროლის ერთიანება. საზღვარგარეთის ქვეყნების პრაქტიკაში უმეტესად გამოიყენება პერსპექტიული 5 წლიანი გეგმები. კანადელი ბიზნესმენის დ. დოილის აზრით სამეწარმეო ბიზნესის გეგმა კონტრაქტის საფუძველია, კარგი გეგმა ნებისმიერი ფირმის წარმატების მიღწევის პირობაა. ბაზარზე შენი პროდუქციით შესვლა. წინასწარ მოფიქრებული და გათვლილი მოქმედების გეგმის გარეშე, ფირმის ჩავარდნის გარანტია.

საბაზრო მექანიზმის მოქმედება უფრო მკაცრია, ვიდრე რესურსების განაწილების ცენტრალიზებული სისტემა, სადაც გადაწყვეტია სუბიექტური ფაქტორი. ბაზარი მეწარმისაგან მოითხოვს თავისი მოქმედების ზუსტად განსაზღვრას, რათა არ დაკარგოს ის. დღეისათვის საზღვარგარეთის ყველა ფირმას აქვს საკმაოდ დასაბუთებული, პერსპექტიული (5-წლიანი), მიმდინარე — (2-3-წლიანი) და ოპერატიულ-საწარმოო გეგმები. მაგალითად, იტალიის კონცერნმა „ფიატი“ 1970 წლიდან დაიწყო 3-წლიანი გეგმების დაშუშაება, ხოლო 1988 წლიდან გადავიდა 5-წლიან დაგეგმვაზე, რომელშიც გათვალისწინებულია ყველა მომიჯნე საწარმოების გამჭოლი გეგმები, მათ შორის მასალებისა და მაკომპლექტებელი ნაწილების მომწოდებელთა გეგმებიც.

იაპონიის ფირმებში შიგა საწარმოს დაგეგმვას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. აქ უკვე დიდიხანია, რაც გამოიყენება დაგეგმვის თანამედროვე პროგრესული მეთოდები: „ქსელური დაგეგმვა“, დაგეგმვა, „ზუსტად ვადებში“ და სხვა. დაგეგმვა „ზუსტად ვადებში“ ითვალისწინებს მასალების, ნედლეულის, მაკომპლექტებული ნაწარმის მიწოდებას დადგენილი საათობრივი გრაფიკებით პირდაპირ ტექნოლოგიურ ხაზებზე, საწყობში მარაგების განთავსების გარეშე.

აღნიშნული წესით მუშაობა ჩვენში წარმოებს იშვიათ გამონაკლის შემთხვევებში და იგი ითვლება ავარიულ რეჟიმში მუშაობად, იაპონიაში კი იგი ჩვეულებრივი მოვლენაა და სრულიად არ იწვევს საწარმოო რიტმის შეწყვეტას.

14.2. დაგეგმვის მეთოდოლოგია, სტრუქტურა და დაგეგმვის ტექნოლოგია

თანამედროვე პირობებში საწარმოს განვითარების გეგმების შემუშავებაში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს დაგეგმვის მეთოდებისა და წესების სრულყოფას. დაგეგმვის მეთოდოლოგიის სრულყოფას მიეკუთვნება: გეგმების მეცნიერულ-ტექნიკური და საანგარიშო-ეკონომიკური დასაბუთება; პროგრესული ტექნიკურ-ეკონომიკური ნორმებისა და ნორმატივებისა და ბალანსების განგარიშება; წარმოების ეფექტიანობის მაჩვენებელთა ამაღლების მიზნით - მასალტევადობისა და ფონდტევადობის შემცირება, შრომის მწარმოებლურობის ამაღლება და მაღალხარისხოვანი პროდუქციის წარმოება, გეგმის დამატულობისა და მისი დაბალანსების უზრუნველყოფა.

წარმოების განვითარების გეგმების დასაბუთება ხდება პროგრესული ტექნიკურ-ეკონომიკური ნორმებისა და ნორმატივების საფუძველზე. ნორმის ქვემოთგულისხმება პროდუქციის ერთეულის წარმოებისათვის სედეულის, მასალის, ენერჯის მინიმალურად დასაშვები ხარჯი, დადგენილი ხარისხის შენარჩუნების პირობებში. ნორმატივი შედარებითი სიდედეა და გვიჩვენებს შრომის იარაღების, შრომის საგნების გამოყენების ხარისხს, მათ რაოდენობას ფართის ერთეულზე, წონაზე, მოცულობაზე და სხვა. (მაგ. ფონდტევადობის მაჩვენებელი - ძირითადი ფონდების ერთ ლარზე პროდუქციის გამოშვება).

ტექნიკურ-ეკონომიკური ნორმები და ნორმატივები მუშავდება შემდეგი ჯგუფების მიხედვით:

ცოცხალი შრომის დანახარჯების; მატერიალური დანახარჯების; შრომის იარაღების; წარმოების პროცესის ორგანიზაციის ნორმები; საწარმოო სიმძლავრის ათვისების ნორმები და სხვა.

გეგმის მაჩვენებელთა სისტემას მიაკუთვნებენ: ხარისხობრივ, რაოდენობრივ, მოცულობით, ნატურალურ, პირობით ნატურალურ და ღირებულებით მაჩვენებლებს.

გეგმის რაოდენობრივი მაჩვენებლებია: სასაქონლო, საერთო და რეალიზებული პროდუქციის მოცულობა, მომუშავეთა რიცხოვნება, მუშათა რაოდენობა, ხელფასის ფონდი, მოგების თანხა, სხვადასხვა რესურსების დანახარჯების რაოდენობა და სხვა.

ხარასხობრივი მაჩვენებლები შეუარდებითი მაჩვენებლებია; მათ მიეკუთვნება შრომის მწარმოებლურობა, პროდუქციის თვითღირებულება და სხვა. ხარისხობრივია ასევე ისეთი მაჩვენებლები, რომლებიც გამოიხატებიან ურთიერთშეფარდებითი რაოდენობრივი მაჩვენებლებით, მაგალითად, წარმოების რენტაბელობა, ფონდუკუგება, პროდუქციის ხარისხი და სხვა.

გეგმის მაჩვენებელთა სისტემაში შედის ასევე მოცულობითი და ხვედრითი მაჩვენებლები. მოცულობითი მაჩვენებლებია: წარმოების მოცულობა, შრომითი დანახარჯებისა და მატერიალური რესურსების მოცულობა.

ხვედრითი მაჩვენებლებია მაგალითად, ლითონის ხარჯი პროდუქციის ერთეულზე და სხვა.

საწარმოს გეგმის ნატურალური მაჩვენებლებია წარმოების ნომენკლატურა. რაოდენობრივ მაჩვენებლებია – ცალები, ტონები, დეკალიტრები და სხვა. როცა წარმოება უშვებს სხვადასხვა სახის ნაწარმს, მაშინ მათ გამოხატავენ ერთ განზოგადებულ პირობით ნატურალურ მაჩვენებლებში.

საწარმოს დაგეგმვაში ფართოდ გამოიყენება ღირებულებითი მაჩვენებლები, მისი საშუალებით განისაზღვრება მრეწველობის განვითარება, ტემპები და პროპორციები, სასაქონლო, მთლიანი და რეალიზებული პროდუქცია და სხვა.

საწარმოს გეგმების სტრუქტურა მათი ფუნქციების, მართვის საფეხურებისა და შესრულების ვადების მიხედვით განსხვავდება ერთმანეთისაგან.


შესრულების ვადების მიხედვით გეგმები ჯგუფდება შემდეგნაირად: ოპერატიულ-კალენდარული, მიმდინარე, საშუალო ვადიანი, გრძელვადიანი, სტრატეგიული.

დანიშნულების ფუნქციების მიხედვით: პროდუქციის წარმოების გეგმა; მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების გეგმა; კომერციული (მზა პროდუქციის გასაღება და მატერიალური ტექნიკური უზრუნველყოფა); ინვესტიციური და წარმოების ტექნიკური განვითარების გეგმა; შრომისა და ხელფასისა გეგმა; ფინანსური გეგმა; კოლექტივის სოციალური განვითარების გეგმა; ბუნების დაცვის და ბუნებრივი რესურსების გამოყენების გეგმა.

საწარმოს მართვის დონის მიხედვით: საერთო საწარმოო, საამქროს, ფუნქციონალური განყოფილებებისა და ლაბორატორიების, უბნებისა და ბრიგადების.

ზემოდ აღნიშნული გეგმების დაჯგუფება დამახასიათებელია მსხვილ და საშუალო ზომის საწარმოსათვის, რომლებიც აწარმოებენ რთულ პროდუქციას.

მცირე-საწარმოებში გამოიყენება ოპერატიულ-კალენდარული, მიმდინარე ან საშუალო ვადიანი გეგმები.



14.L საწარმოს გეგმის სტრუქტურული სქემა

სამეწარმეო საქმიანობის დაგეგმვაში ფართოდ გამოიყენება ბიზნეს-გეგმა. იგი ძირითადად გამიზნულია საფინანსო-ეკონომიკურ საქმიანობაში წარმატების მისაღწევად და ასევე ახალი საქმის დაწყებისათვის.

წარმოების დაგეგმვა ეს არის საწარმოო პროცესის მსვლელობისა და მისი შედეგების ზუსტი განსაზღვრა და პროგრამირება პერსპექტივაში. გეგმაში წარმოების სპეციალიზაციისა და კოოპერირების საფუძველზე განისაზღვრება კონკრეტული დავალების შესრულების ვადები და რესურსების დანახარჯები თითოეულ საამქროში, განყოფილებაში, ბრიგადაში და ერთმანეთთან დაკავშირებულ სამუშაოთა შესრულების თანმიმდევრობა. გეგმის მიხედვით ხდება წარმოების რესურსების განაწილება.

დაგეგმვა ეს არის დეტალურ გაანგარიშებზე დაფუძნებული სამეწარმეო წინხედვისა და პროგრამირების მეთოდი. საწარმოს გეგმაში განსაზღვრულია, ერთის მხრივ, თითოეული მუშაკის დავალება პერსპექ-

საქართველოში მეწარმეობას ჯერ კიდევ გასული XIX საუკუნის 70-იან წლებში ჩაეყარა საფუძველი. იმ დროისათვის გამოჩენილი ქართველი მეწარმენი დაეთ სარაჯიშვილი, ძმები ზუბალაშვილები და უფრო გვიან ძმები ლალიძეები აღიარებული იყვნენ არა მარტო საქართველოში, არამედ საზღვარგარეთის ქვეყნებში. ისინი ცნობილი იყვნენ არა მარტო თავისი სამეწარმეო საქმიანობით, არამედ ფართო საქველმოქმედო და საზოგადოებრივი საქმიანობით, რომლებმაც მრავალი სასიკეთო საქმე გააკეთეს ქართველი ხალხისათვის.

✕ მეწარმეობის ფართო განვითარებისათვის აუცილებელია შესაბამისი სამეწარმეო გარემოს შექმნა. პირველ რიგში მეწარმეს უნდა ჰქონდეს მოქმედების თავისუფალი გარემო; აიროჩიოს მოქმედების სფერო და მიიღოს შესაბამისი დაფინანსება; მეწარმეობისათვის საჭირო რესურსების შეძენისა და გამოყენების შესაძლებლობა. მეწარმის უფლება საკუთრებაზე (წარმოების საშუალებებსა და მიღებულ შემოსავალზე) დაცული უნდა იყოს სახელმწიფოს მიერ მოქმედი კანონმდებლობით.

მეწარმეობად ითვლება მოქალაქეთა და მათი გაერთიანებათა დამოუკიდებელი საქმიანობა, რომელიც მიმართულია მოგების მიღების მიზნით. აქედან გამომდინარე მეწარმეობად არ ითვლება იურიდიული პირების, მოქალაქეთა და მათი გაერთიანებათა საქმიანობა, რომელთა მიზანი არაა მოგების მიღება.

მეწარმე შეიძლება იყოს, როგორც ფიზიკური ისე იურიდიული პირი. მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით მეწარმის სტატუსი ენიჭება საწარმოს სახელმწიფო რეგისტრაციის შედეგად, შეიტანება სახელმწიფო რეესტრში, რის შედეგადაც იგი ითვლება გადასახადის გადამხდელად. ჩვენს ქვეყანაში სამეწარმეო საქმიანობა ეკონომიკის ახალი მიმართულებაა, რომლის გამოცდილება ჩვენ ხალხს არ გააჩნია, ამიტომაც გამოუცდელობის მწარე გაკვეთილი უკვე სახეზეა. სახელმწიფო საწარმოთა პრივატიზების შედეგად მეწარმეთა დიდი ნაწილი სიბოლოურ ფასებში დაეუფლა სახელმწიფო ქონებას. მათ ვერ განსაზღვრეს, თუ რას უმზადებდა მათ საბაზრო ეკონომიკის მკაცრი კანონები. კონკურენციის შედეგად ასეთ საწარმოთა უმეტესი ნაწილი დღეს უკვე გაჩერებულია, ნაწილი კი აუქციონის წესით იყიდება. მოუშადებელმა და გამოუცდელმა, ბრძანებლური ეკონომიკის და საწარმოთა ცენტრალიზებული მართვის პირობებში აღზრდილმა ხელმძღვანელებმა თავი ვერ გაართვეს საბაზრო ეკონომიკის მოთხოვნებს და გაკოტრებული აღმოჩნდნენ. :

ბუნებრივია საბაზრო ეკონომიკის გარდამავალ პერიოდში ბევრს გაუჩნდა სურვილი დაეწყო სამეწარმეო საქმიანობა. თავდაპირველად მართლაც ბევრს გაუმართლა, მაგრამ როცა ისინი გაჯერებულ ბაზარზე უცხოეთის საქონელთან კონკურენციაში ჩაებნენ ბევრი დამარცხდა. ბაზარი სასტიკია იმათ მიმართ ვინც ვერ აუღებს ალღოს, ვინც ვერ შესძლებს კარგად დაუფლოს საბაზრო მექანიზმის მთელ საიდუმლოებას. საბაზრო საქმიანობისათვის ბაზრის კარი მუდამ ღიაა, მაგრამ იგი უღმობლად იხურება იმათთვის, ვინც საკონკურენტო ბრძოლას ვერ გაუძლებს.

✗ წარმოების სფეროში სამეწარმეო საქმიანობის მთავარი შინაარსია საქონლის მოთხოვნის მონახვა, მისი დამზადება და მოთხოვნის დაკმაყოფილება. მნიშვნელობა არა აქვს იმას მეწარმე თვითონ მოაწყობს ამ საქონლის წარმოებას, თუ გამოვა შუამავლის როლში მწარმოებელსა და მომხმარებელს შორის. მთავარი რაც განასხვავებს სამეწარმეო საქმიანობას სხვა არაკომერციულ სტრუქტურებისაგან ეს არის მოგება, როგორც სხვაობა წარმოების შემოსავლებსა და დანახარჯებს შორის. მეწარმე შეიძლება არ იყოს საწარმოს მესაკუთრე, ამიტომ უნდა განვასხვაოთ მეწარმის შემოსავალი მესაკუთრის შემოსავლისაგან.

ღივიღენდი აქციებზე, დეპოზიტის პროცენტი, მიწის არენდა ეს არის საკუთრების მფლობელის შემოსავალი, მეწარმე ამ შემოსავალს აძლევს თავისი შემოსავლიდან მესაკუთრეს, მისი კაპიტალის გამოყენებისათვის. მეწარმე თავის განკარგულებაში იღებს ნასესხებ კაპიტალს, აწყობს ახალი პროდუქციის (მომსახურების) წარმოებას, ამყარებს ეფექტიან კომერციულ კავშირებს, ბრუნვაში უშვებს სხვის კაპიტალს და ამით ღებულობს თავის მოგებას.

მესაკუთრე ბაზარში პასიური ფიგურაა, მეწარმე კი პირიქით ბაზრის აქტიური აგენტი, რომელიც აყალიბებს და ანვითარებს წარმოებას, ამყარებს საბაზრო კავშირებს.

ბაზრის ყველა სუბიექტს არ შეიძლება უწოდოთ მეწარმე, მათ შორის ბიზნესმენს ან ფირმის მესაკუთრეს, რომელიც ყოველწლიურად აწარმოებს ერთი და იგივე საქონელს (ან ერთი და იგივე მომსახურებას). ეს სუბიექტები ეწევიან არა მეწარმეობას, არამედ რეპროდუქციულ ფუნქციას, მაგრამ ხშირად მეწარმეს უწოდებენ ყველას, ვინც კი დასაქმებულია ბიზნესში.

ტივში, და მეორეს მხრივ, ხელმძღვანელთა მართვის, გადაწყვეტილებები, რომელიც მათ უნდა მიიღონ, რათა კოლექტივმა მიიღწიოს დასახულ მიზანს.

დაგეგმვის ტექნოლოგია მოიცავს: საწარმოს ძირითადი ამოცანის განსაზღვრას; დასახული ამოცანის მისაღწევად კონკრეტული მაჩვენებლების დადგენას; დავალების დეტალიზაციას; სამუშაოს სახეებისა და მოცულობის, კონკრეტული საწარმოო სტრუქტურებისა და შესრულების ვადების მიხედვით.

14.3. საწარმოო პროგრამა

დანახარჯების დეტალური გაანგარიშებებისათვის გეგმის შესადგენად საჭიროა წინასწარი ინფორმაციები მარკეტინგული განვითარებისა და საწარმოს შემდგომი პერსპექტივების შესახებ. საწარმოო პროგრამის შედგენის ამოსავალი წერტილია მარკეტინგული კვლევის შედეგად მიღებულ ინფორმაცია. (ნახ. 14.1)

მარკეტინგული კვლევა საშუალებას გვაძლევს განსაზღვროთ საწარმოს მიერ პერსპექტივაში გამოსაშვები პროდუქციის მოცულობა და ნომენკლატურა, შევადგინოთ მომხმარებელთა პოტენცილი, რაც აუცილებელია პროდუქციის წარმოების და რეალიზაციის გეგმის შესადგენად.

საწარმო დაგეგმვაში ცენტრალური ადგილი უკავია საწარმოო პროგრამას. იგი ერთის მხრივ ღებულობს ინფორმაციას მარკეტინგული კვლევიდან პროდუქციის წარმოების შესახებ და, მეორეს მხრივ, საწარმოო სიმძლავრის გამოყენების გეგმიდან ღებულობს ინფორმაციას საწარმოს შესაძლებლობის, პროდუქციის საგეგმო მოცულობის წარმოების შესახებ. საჭიროების შემთხვევაში შეიძლება აუცილებელი გახდეს საწარმოო სიმძლავრის გაზრდა, რისთვისაც საჭირო იქნება დამატებითი ინვესტიციები, რაც შესაბამისად გათვალისწინებული უნდა იქნას ახალი ტექნიკისა და ინვესტიციების გეგმაში. საწარმოო პროგრამა საშუალებას გვაძლევს განვსაზღვროთ მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების გეგმა. გვეცოდინება რა საწარმოო პროგრამა (პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის მოცულობა) შესაძლებლობა გვეძლევს შევადგინოთ წარმოების საფინანსო გეგმა. განვსაზღვროთ საწარმოს შემოსავალი და გასავალი, გამოვეყოთ

სახსრები ხელფასისა და ეკონომიკური სტიმულირებისათვის (დევიდენდის რაოდენობა, სარეზერვო და მატერიალური სტიმულირების ფონდები).

საწარმოო პროგრამის მაჩვენებლები ორ ჯგუფად იყოფა: რალდენობრივი და ხარისხობრივი. საწარმოო რაოდენობრივი მაჩვენებლები თავის მხრივ ორ ჯგუფად იყოფა: ნატურალური და ღირებულებითი. იმისათვის, რომ გავიანგარიშოთ წარმოების მოცულობა და მისი მოსალოდნელი ეკონომიკური შედეგი პირველ რიგში უნდა ვიცოდეთ პროდუქციის წარმოების მოცულობა ნატურალურ და ღირებულებით მაჩვენებლებში. სამრეწველო საწარმოთა დაგეგმვაში ძირითადად გამოიყენება საერთო პროდუქცია, სასაქონლო პროდუქცია, რეალიზებული პროდუქციის მოცულობა და წმინდა პროდუქცია.

საერთო პროდუქცია მოიცავს სამუშაოს მთელ მოცულობის ღირებულებას, რომელიც უნდა შესრულდეს მოცემულ საგეგმო პერიოდში. მასში შედის მზა პროდუქციის ღირებულება, რომელიც დამზადებულია საანგარიშო პერიოდში ან შესრულებულ სამუშაოსა და მომსახურების ღირებულება; საკუთარი ძალებით შესრულებული მანქანა-მოწყობილობის კაპიტალური რემონტის ღირებულება; დამზადებული ტარის ღირებულება; წარმოების გარეთ მომსახურების ღირებულება და ასევე დამკვეთის მასალებით ხელშეკრულების საფუძველზე შესრულებული დაკვეთების ღირებულება; გასაყიდად დამზადებული ნახევარფაბრიკატები, დეტალების კვანძების ღირებულება.

სასაქონლო პროდუქცია ეს არის წარმოების მიერ გასაყიდად დამზადებული პროდუქცია, მათ ემატება მზა პროდუქციის, გასაყიდი ნახევარფაბრიკატებისა და ნამზადების ნაშთების სხვაობა საანგარიშო პერიოდის დასაწყისში და მის ბოლოს.

პროდუქციის რეალიზაციის მოცულობა ისე, როგორც სასაქონლო პროდუქცია განისაზღვრება: გეგმაში — მოქმედი საბითუმო ფასებით; ანგარიშებში — ა) შესაბამისი დროისათვის წარმოების შესადარ ფასებში (ეგრედ წოდებულ უცვლელ ფასებში), წარმოების დინამიკის განსაზღვრისათვის, ბ) საანგარიშო პერიოდში მოქმედი წარმოების საბითუმო ფასებში (ანგარიშებში თვითღირებულების გასაანგარიშებლად).

გეგმაში პროდუქციის რეალიზაციის მოცულობა განისაზღვრება ფორმულით:

$$P = T_1 + Q_1 - Q_2$$

სადაც T_1 - არის სასაქონლო პროდუქციის მოცულობა;

Q_1, Q_2 - სარეალიზაციო პროდუქციის ნაშთები შესაბამისად საგეგმო პერიოდის დასაწყისში და ბოლოს.

სასაქონლო და რეალიზებული პროდუქცია ის მაჩვენებლებია, რომლითაც განისაზღვრება სამრეწველო პროდუქციის საერთო მოცულობა, მისი სტრუქტურა, შრომის მწარმოებლობის ზრდის ტემპი, ფონდუკუგება და ეკონომიკური მაჩვენებლები.

წარმოების დინამიკის, შრომის მწარმოებლურობის და სხვა ეკონომიკური მაჩვენებლების შეფასების დროს რეალიზაციის მოცულობის მაჩვენებელთან ერთად გამოიყენება წმინდა პროდუქცია. წმინდა პროდუქციით წარმოების მაჩვენებელთა შეფასება გამოორიცხავს ფასების ცვლილებას წარმოების ფაქტორებზე, გვიჩვენებს საწარმოო კოლექტივის წვლილს წარმოების სამეურნეო-საქმიანობაში, გამოორიცხავს მაჩვენებელთა გაანგარიშებაში იმ ფაქტორებს, რომლებიც დამოკიდებული არ არიან საწარმოს კოლექტივზე და ბოლოს რეალურად ასახავს საწარმოო კოლექტივის მიერ მოცემულ პერიოდში დანახარჯული ცოცხალი შრომის რაოდენობას და მის შედეგად შექმნილ ახალ ღირებულებას.

წმინდა პროდუქციის მოცულობა განისაზღვრება სასაქონლო პროდუქციიდან (საწარმოს საბითუმო ფასებში) მატერიალურ დანახარჯების (იმავე ფასებში), მათ შორის ამორტიზაციის ანარიცხების გამოკლებით.

წმინდა პროდუქციის მოცულობა განისაზღვრება ფორმულით:

$$P_1 = P_{1a} - (M_e - A)$$

სადაც P_1 - წმინდა პროდუქციის მოცულობა საგეგმო ან საანგარიშო პერიოდში საბითუმო ფასებით;

P_{1a} - პროდუქციის საბითუმო ფასი;

M_e - მატერიალური დანახარჯების ღირებულება, რომელიც შედის პროდუქციის საბითუმო ფასის გაანგარიშებაში;

A - ამორტიზაციის ანარიცხები.

გარდა რაოდენობრივისა საწარმოო პროგრამას აქვს ხარისხობრივი მაჩვენებლებიც. ხარისხობრივ მაჩვენებლებს შეეკუთვნებიან პროდუქციის ნომენკლატურა ხარისხის კატეგორიების მიხედვით; პროდუქციის ხარისხის დონე. ამასთან ერთად მუშავედება ხარისხის ამაღლების ორგანიზაციულ-ტექნიკურ ღონისძიებათა გეგმა, რომელშიც მოცემულია ცალკეული

ნომენკლატურის პროდუქციის ხარისხის ტექნიკური და ორგანიზაციული დონის ამალღების ღონისძიებები და სხვა.

საწარმოო პროგრამა განხილვისა და დამტკიცების შემდეგ იქცევა საწარმოო გეგმად, რომლის საფუძველზე მუშავდება ოპერატიულ-კალენდარულ გეგმა.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში, როცა პროდუქციის რეალიზაცია საკმაოდ მწვავე პრობლემებთანაა დაკავშირებული, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს საწარმოო პროგრამის შედგენისა და მისი რეალიზაციის საკითხები. საწარმოო კოლექტივის თითოეული ქვედანაყოფი აქტიურად უნდა იყოს ჩაბმული საწარმოო პროგრამის შემუშავებისა და რეალიზაციის მაჩვენებლების გეგმის შემუშავების საქმეში. საერთოდ კი ამ პროგრამის შესრულებაზე კორდინატორის ფუნქცია საგეგმო-ეკონომიკურ განყოფილებას ან ფინანსურ მენეჯერს უნდა დაეკლოს.

საწარმოო პროგრამის ძირითადი პარამეტრები საფუძველად უდება საწარმოს ტექნიკურ-საწარმოო-საფინანსო გეგმის შემუშავებას და ბოლოს, საწარმოს ოპერატიულ-კალენდარული გეგმის საფუძველია.

საწარმოს დაგეგმვას დროის ასპექტის მიხედვით გარკვეული საფეხურები გააჩნია, დაწყებული პერსპექტიულ-სტრატეგიული დაგეგმვიდან დამთავრებული ოპერატიულ-კალენდარული დაგეგმვით, რაც შეგვიძლია შემდეგი სახით წარმოვადგინოთ:

- სტრატეგიული გეგმა;
- გრძელვადიანი გეგმა;
- საშუალოვადიანი გეგმა;
- საწარმოო პროგრამა;
- საწარმოო-ტექნიკურ-საფინანსო გეგმა;
- ოპერატიულ-კალენდარული გეგმა.

14.4. ტექნიკურ-საწარმოო-საფინანსო გეგმა

ტექნიკურ-საწარმო-საფინანსო გეგმა (ტ.ს.ს.გ.) შიგა საწარმოო დაგეგმვის შემადგენელი ნაწილია. იგი მუშავდება პერსპექტიული და მიმდინარე გეგმების სახით. პერსპექტიული დაგეგმვა დგება 5-7 წლის პერიოდით, ხოლო მიმდინარე — წლიური გეგმის სახით. იგი თავის მხრივ იყოფა ტექნიკურ-ეკონომიკურ და ოპერატიულ საწარმოო დაგეგმვად.

ტექნიკურ-ეკონომიკური დაგეგმვის ამოცანას წარმოადგენს საგეგმო წლისათვის რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების განსაზღვრა საწარმოს ყოველ უბანზე და საწარმოო-ტექნიკური და საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის გეგმის შემუშავება. ტსსგ-ში შედის საწარმოს ცალკეული საამქროებისა და უბნების გეგმები. იგი ამავე დროს აკონტროლებს საწარმოს მთელ საწარმოო-სამეურნეო საქმიანობას. ტექნიკური, საწარმოო-საფინანსო გეგმა (ტსს) დგება პროგრესული ტექნიკურ-ეკონომიკური ნორმების საფუძველზე. ასეთებია: დროის, გამომუშავების, მომსახურების, მოწყობილობათა გამოყენების, ნედლეულის, მასალების, სათბობის და ენერჯის ხარჯვის ნორმები. ეს გეგმა გამომდინარეობს წარმოების სტრატეგიული გეგმიდან და შეესაბამება საწარმოო პროგრამას (მიმდინარე გეგმის სახით).

განსხვავებით ტ.ს.ს.გ.-საგან ოპერატიულ-საწარმოო გეგმა მუშავდება ცალკეული საამქროების, უბნების, აგრეგატების და სამუშაო ადგილების თვიური, დეკადური, დღე-ღამის, ცვლის და საათების მიხედვით. ოპერატიულ-საწარმოო დაგეგმვის მიზანია ტექნიკური-საწარმოო-საფინანსო გეგმის დაყვანა ცალკეულ შემსრულებლამდე და მისი შესრულების უზრუნველყოფა.

ტექნიკური-საწარმოო-საფინანსო გეგმა მუშავდება შემდეგი ძირითადი განყოფილებების მიხედვით:

1. მარკეტინგული კვლევის შედეგები;
2. საწარმოო და სამეურნეო საქმიანობის ძირითადი მაჩვენებლები;
3. პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის გეგმა;
4. ტექნიკური განვითარებისა და ორგანიზაციულ-ტექნიკურ ღონისძიებათა გეგმა;
5. საწარმოო სიმძლავრეები და მათი გამოყენება;
6. საწარმოო პროგრამა;
7. შრომისა და ხელფასის გეგმა;
8. მატერიალური უზრუნველყოფის გეგმა;
9. წარმოების ხარჯთაღრიცხვა და პროდუქციის თვითღირებულება;
10. საფინანსო გეგმა.

პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის გეგმა. ტექნიკურ-საწარმოო-საფინანსო გეგმის ამ ნაწილში მოცემული უნდა იქნას სარეალიზაციო პროდუქციის რაოდენობა ნატურაში, ღირებულება და

რეალიზაციის ვადები. დადგენილი უნდა იქნას წარმოებული პროდუქციის ნომენკლატურა, ხარისხი, მათი რაოდენობა და გამოშვების ვადები. ასევე მზა პროდუქციის შენახვის, ტრანსპორტირებისა და მიწოდების რაოდენობა და ვადები. გეგმის ეს ნაწილი მუშავდება მარკეტინგულ სამსახურის მონაცემების ბაზაზე, სადაც ნაჩვენებია ბაზრის მოთხოვნა პროდუქციის ნომენკლატურისა და რაოდენობის მიხედვით, მომხმარებლებთან დადებული ხელშეკრულებები და მათი პირობები.

საწარმოს ტექნიკური განვითარება და ორგანიზაციულ-ტექნიკური ღონისძიებათა გეგმა. ამ გეგმაში ასახულია საწარმოს ტექნიკური განვითარების ღონისძიებები, ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიის დანერგვა, მათი ეკონომიკური ეფექტიანობა. მოქმედი ტექნიკის მოდერნიზაცია, ტექნიკური გადაიარაღება და სხვა. აღნიშნული გეგმა ითვალისწინებს პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის გეგმის მოთხოვნებს. მან უნდა უზრუნველყოს მის წინამორბედ გეგმაში წარმომობილი პრობლემების გადაჭრა და ხელი შეუწყოს წარმოებისა და რეალიზაციის გეგმის შესრულებას.

საწარმოო სიმძლავრეთა გამოყენების გეგმა. ამ გეგმაში გაანგარიშებული უნდა იქნას არსებული საწარმოო სიმძლავრის სრული დატვირთვით წარმოებული პროდუქციის მაქსიმალური რაოდენობა, წარმოების მუშაობის რეჟიმის, ნომენკლატურისა და ხარისხის უზრუნველყოფის პირობებში. გამოვლინებული უნდა იქნას „ვიწრო“ ადგილები და დაისახოს მისი ლიკვიდაციის ღონისძიებები. ამავე დროს მხედველობაში უნდა იქნას მიღებული საწარმოს ტექნიკური განვითარების გეგმის მონაცემები.

შრომისა და ხელფასის გეგმა. ამ გეგმაში გაიანგარიშება შრომის მწარმოებლურობის დავალება. მომუშავეთა კონტინგენტი კატეგორიების მიხედვით, ხელფასის ფონდი. შრომისა და ხელფასის გეგმის შედგენის საფუძველია პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის გეგმა, მოქმედი ტარიფები და ნორმატივები.

წარმოების მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის გეგმის დანიშნულებაა დაადგინოს საწარმოო პროგრამის შესრულებისათვის საჭირო მატერიალური რესურსების (ნედლეულის, ნახევარფაბრიკატების,

მასალების, ტარის, სათადარიგო ნაწილები) საჭირო რაოდენობა, განსაზღვროს მარაგის ნორმატივები, მიღების წყაროები და ღირებულება.

წარმოების დანახარჯებისა და პროდუქციის თვითღირებულების გეგმა დგება პროდუქციის წარმოების და რეალიზაციის გეგმის საფუძველზე გეგმაში მოქმედი ტარიფებისა და ნორმატივების საფუძველზე განისაზღვრება თითოეული ნომეკლატურის პროდუქციის დანახარჯები კალკულაციის მუხლების მიხედვით. ცალკე იანგარიშება წარმოების მართვისა და მომსახურების ხარჯები, (ადმინისტრაციული სამმართველო ხარჯები), რეალიზაციასთან დაკავშირებული ხარჯები და შემდეგ დგება წარმოების მთლიანი ხარჯთაღირცხვა ეკონომიკური ელემენტების მიხედვით.

საფინანსო გეგმა არის ტსსგ დასკვნითი ნაწილი, მასში აისახება საწარმოს სამეურნეო-საფინანსო საქმიანობის შედეგები, მოცემულია საწარმოს ყველა დანახარჯის ჯამი საგეგმო წლისათვის დაფარვის წყაროების ჩვენებით, აგრეთვე საწარმოს დამოკიდებულება ბიუჯეტთან და არასაბიუჯეტო ორგანიზაციებთან, ბანკთან და სხვა ორგანიზაციებთან. ამავე გეგმაში განისაზღვრება საწარმოს რენტაბელობის და საბრუნავი საშუალებების გამოყენების გაუმჯობესების გზები.

(ტექნიკური-საწარმო-საფინანსო გეგმის მაჩვენებლები. ტსსგ მაჩვენებლები იყოფა ორ ჯგუფად – რაოდენობრივად და ხარისხობრივად.

რაოდენობრივი მაჩვენებლებია: გამოშვებული პროდუქციის რაოდენობა, ასორტიმენტი, საწარმოო მომსახურების მოცულობა (ტონა, ცალი, კვ.მტ., მეტრი, დეკალიტრი). ხშირად გამოიყენება ასევე პირობით ნატურალური ერთეულები, როცა არ ხერხდება ნატურალურ ერთეულებში რაოდენობის ზუსტად გამოსახვა.

ხარისხობრივი მაჩვენებლები თავის მხრივ იყოფა – ტექნიკურ და ეკონომიკურ მაჩვენებლებად. ტექნიკური მაჩვენებლები ახასიათებენ საწარმოს ტექნიკის გამოყენების დონეს. ესენია მოწყობილობის გამოყენების ნორმები, დროის ერთეულში მიღებული პროდუქციის რაოდენობა, ნედლეულიდან, მასალებიდან მზა პროდუქციის გამოსავლიანობის ნორმები, ნედლეულის მასალების, სათბობის, ელექტრო ენერჯიის ხარჯვის ნორმები (ნატურალურ ერთეულებში).

შრომის გეგმის ეკონომიკურ მაჩვენებლებს ახასიათებს: შრომის მწარმოებლურობა და ხელფასის დონე, შრომატევადობა, გამოომუშავების

ნორმები, სატარიფო განაკვეთები და სანარღო შეფასებები. წარმოების ეკონომიკურ მაჩვენებლებს მიეკუთვნება ასევე: პროდუქციის ერთეულისა და წარმოების რენტაბელობა, თვითღირებულება, მოგება, ფონდუკუგება, მასალატევადობა, შრომატევადობა, ენერგოტევადობა, წარმოების ლიკვიდობა, მართვის აპარატის აქტივობა და სხვა.

14.5. ოპერატიულ-საწარმოო დაგეგმვა

საწარმოს ტექნიკურ-საწარმოო-საფინანსო გეგმა, რომელიც მოიცავს ერთ წლამდე პერიოდით საწარმოს სამოქმედო პროგრამას, საჭიროებს მის დაყოფას წლის კვარტალების, თვეების და დღეების მიხედვით. გეგმის ფაქტობრივი შესრულების მიმდინარეობის მიხედვით გეგმა საჭიროებს კორექტირებას ცალკეული კვარტალებისა და თვეების მიხედვით. გარდა ამისა, ტსს გეგმა შედგენილია მოელი საწარმოს მასშტაბით. ამიტომ საჭირო ხდება მისი დაყოფა ცალკეული საამქროების მიხედვით. თითოეულ საამქროს ახასიათებს თავისი სფეციფიკური ტექნიკური და ეკონომიკური მაჩვენებლები (ძირითადი, დამხმარე და მომსახურე საამქროების მიხედვით): ტექნიკურ-საწარმოო-საფინანსო გეგმიდან უნდა გამოიყოს პირველ რიგში საამქროების გეგმები, შემდეგ კი გაკეთდეს ამ გეგმების დანაწილება კვარტალების და თვეების მიხედვით.

ყველა აღნიშნულ სამუშაოს უწოდებენ ოპერატიულ-საწარმოო დაგეგმვას. იგი მოიცავს კალენდარულ დაგეგმვას და დისპერეჩიზაციას. კალენდარული დაგეგმვა ეს არის გეგმების დამუშავება გეგმა-გრაფიკების შედგენა და მათი დაყვანა შემსრულებლამდე. დისპერეჩიზაცია ნიშნავს გეგმა-გრაფიკების შესრულების ოპერატიულ და ცენტრალიზებულ მეთოდურურობისა და კონტროლს. წარმოების ხასიათის მიხედვით გეგმა-გრაფიკები დგება თვის, დეკადის, დღე-ღამის, ცვლისა და საათების მიხედვით.

უწყვეტ საწარმოო ციკლით მომუშავე საწარმოებში (ქიმიური, მეტალურგიული, შაქრის წარმოებები) ოპერატიულ-საწარმოო დავალებები უმჯობესია შედგეს დღე-ღამის მიხედვით. თუ საწარმოო ციკლი სრულდება ერთი ცვლის განმავლობაში, ოპერატიულ-საწარმოო დავალება დგება ცვლისათვის.

თვის გეგმა-გრაფიკებში გათვალისწინებულია ნომეკლატურის მიხედვით პროდუქციის წარმოების კალენდარული გეგმა, მუშაობის რეჟიმი, გეგმის შესრულებისათვის საჭირო ნედლეული და მასალები, სათბობი, ენერჯია და სხვა.

თვის გეგმა-გრაფიკის საფუძველზე დგება დეკადის გეგმა-გრაფიკი, დეკადის გეგმა-გრაფიკის საფუძველზე ადგენენ ღლე-ღამისა და ცვლის დავალებებს.

გეგმის შესრულების კონტროლი წარმოადგენს ოპერატიულ-საწარმოო დაგეგმვის ერთ-ერთ ძირითად პრინციპს. გეგმა-გრაფიკის შესრულების ამოწმებს სადისპეჩერო აპარატი. იგი აწარმოებს წარმოების მსვლელობასა და საამქროების მიერ გეგმა-გრაფიკის შესრულებას, კონტროლს, ასახავს ღონისძიებებს მუშაობის პროცესში შექმნილი ან მოსალოდნელი შეფერხების თავიდან ასაცილებლად.

14.6. ბიზნეს-გეგმა

სამეწარმეო საქმიანობაში ადგილი აქვს წარმოების პროფილის ხშირ ცვლილებას. კონკურენციის შედეგად უქმდება მოქმედი საწარმოები, მომსახურე და სავაჭრო ობიექტები და საჭირო ხდება ახალი საქმიანობის, წარმოების, პროდუქციის შექმნა. ვიდრე მეწარმე ახალ საქმიანობას შეუდგებოდეს საჭიროა კარგად შეფასდეს მის მიერ ჩაფიქრებულ ახალი საწარმოს განვითარების პერსპექტივა, ამისათვის კი საჭიროა ბიზნეს-გეგმის შედგენა. სამეწარმეო საქმიანობის დაგეგმვაში ფართოდ გამოიყენება ბიზნეს-გეგმა.

საწარმო-საფინანსო გეგმისაგან განსხვავების ბიზნეს-გეგმა ორიენტირებულია ახალი საწარმოს, სიახლის დანერგვისა და მისი რეალიზაციის შედეგად მოსალოდნელ მოგების მიღებაზე, ასევე მისი შინაარსი არაა მკაცრად რეგლამენტირებული.

1. ბიზნეს-გეგმა უნდა იყოს შედგენილი მაღალ პროფესიულ ღონეზე. მისი შინაარსისა და ხარისხის მიხედვით აფასებენ მეწარმისა და მისი შემადგენლის კომპეტენციას. დოკუმენტი უნა იყოს მარტივი, გასაგები და ხელმისაწვდომი მომხმარებლისათვის.

2. ბიზნეს-გეგმა იყოფა განყოფილებებად. განყოფილება კი თავებად. იგი ისე უნდა იყოს შედგენილი, რომ ნებისმერ ინვესტორს ადვილად

შეეძლოს მისთვის საინტერესო ნაწილის, თავის, პუნქტის მოძებნა. ამიტომ თითოეული თავი დაყოფილი უნდა იყოს ფუნქციონალურ ქვეთავეებად. გეგმაში მოტანილი ინფორმაციის ადვილად აღთქმის მიზნით უმჯობესია გამოყენებულ იქნას ცხრილები, სქემები, დიაგრამები, გრაფიკები;


3. ბიზნეს-გეგმა უნდა გაეცნოს კოლექტივის თითოეულ წევრს. დარწმუნებული უნდა ვიყოთ მისი შედეგის სიზუსტეში და ობიექტურობაში. მისი გაანგარიშებები შემოწმებული უნდა იქნას აუდიტის მიერ. ნებისმიერმა პოტენციურმა ინვესტორმა არ უნდა აღმოაჩინოს მასში რაიმე შეცდომები;

4. ბიზნეს-გეგმა შეიცავს კონფიდენციალურ ინფორმაციას მეწარმის ბიზნესის შესახებ, ამიტომ საჭიროა დაცული იქნას ბიზნეს გეგმის ინფორმაციის გავრცელება. ამ მიზნით გეგმის თითოეული ეგზემპლარი უნდა იყოს დანომრილი და რეგისტრირებული. პოტენციური ინვესტორის პირველ შეხვედრისას, მას შეიძლება მიეწოდოს ბიზნეს გეგმის ზოგადი მიმოხილვა ან ცალკეული მონაცემები, თუ ინვესტორი გამოიჩინს დანტერესებას, მაშინ ამ შემთხვევაში შეიძლება მას გაეცნოს გეგმის ცალკეული დეტალებიც.

ბიზნეს-გეგმის ოპტიმალურ სტრუქტურად ითვლება შეიდი განყოფილება, მათ შორის ცენტრალური ადგილი უკავია განყოფილებას-სამეწარმეო გარიგების მიზანი და ამოცანები.

განყოფილება 1. სამეწარმეო გარიგების პროექტის მიზანი და ამოცანები.

სამეწარმეო გარიგების მთავარი ამოცანაა – მოგების მიღება. პროექტი თავისი შინაარსით უნდა იძლეოდეს იმის გარანტიას, რომ მისი რეალიზაციის შედეგად მიღებული იქნება სასურველი მოგება. ამავე დროს გათვალისწინებული უნდა იქნას დროის ფაქტორი. მოგების მიღებასთან ერთად უნდა ვიცოდეთ დროის მიხედვით როგორ განაწილდება მოგება, ხომ არ გადააჭარბებს მეწარმის მიერ წლების მიხედვით დახარჯული სახსრები მიღებული მოგების თანხას.



14.2. სამეწარმეო ბიზნეს-გეგმა

სამეწარმეო პროექტის მიზანშეწონილობის შეფასების დროს აუცილებელია გაეითვალისწინოთ, რომ მიღებული მოგება უნდა იყოს იმაზე მნიშვნელოვნად მეტი, რომელსაც მეწარმე მიიღებდა ამავე პერიოდში თავისი ფინანსების შემნახველ ბანკში განთავსებით. წინააღმდეგ შემთხვევაში მეწარმისათვის უფრო ხელსაყრელი იქნებოდა მისი სახსრების ბანკში დაბანდება, მით უმეტეს რომ ეს უკანასკნელი დაკავშირებულია ნაკლებ რისკთან და მეტ გარანტიასთან.

გარდა მოგების მიღებისა ბიზნეს-გეგმა უნდა ითვალისწინებდეს სხვა მიზნებსა და ამოცანებს:

სოციალურ მიზნებს – საქონლისა და მომსახურების დეფიციტის ლიკვიდაცია, ეკოლოგიური მდგომარეობის გაჯანსაღება; ქვეყნის ფსიქოლოგიური კლიმატის გაუმჯობესება; ახალი კულტურული და სულიერი ფასეულობის შექმნა; სამეცნიერო-ტექნიკური და შემოქმედებითი პოტენციალის განვითარება; საქმიანი კონტრაქტების, საერთაშორისო კავშირების გაფართოება; მეწარმის სტატუსის ამაღლება – ეკონომიკური პოტენციალის განვითარება და გამტკიცება (საწარმოო, ფინანსური, ტექნიკურ-ტექნოლოგიური, სასულიერო განათლების). აღნიშნული ამაღლებს

მეწარმის პრესტიჟს შემდგომ გარიგებებში წარმატების მისაღწევად, მას კეთილ რეპუტაციას, საქონლისა და მომსახურების ხარისხს.

სხვა ნიშნები და ამოცანები – კონტრაქტების გაფართოება, საზღვარ გარეთ მგზავრობა, სხვადასხვა ასოციაციებში გაერთიანება და სხვა.

მეწარმის განსაკუთრებულ ამოცანებს მიეკუთვნება – ქველმოქმედება, საქველმოქმედო ორგანიზაციებისათვის მოგების ნაწილის ან დარჩენილ მოგების მთლიანი თანხის გადარიცხვა. ასეთი მოქმედება ორიენტირებულია ფირმის, მეწარმის აღიარებაზე, გადასახადებზე შეღავათის მიღებაზე.

განყოფილება 2. ბიზნეს-გეგმის ზოგადი რეზიუმე, ძირითადი პარამეტრები და მაჩვენებლები.

აღნიშნული განყოფილება წარმოადგენს ბიზნეს-გეგმის ნაერთს, რომელიც მოიცავს გეგმის ძირითად იდეებსა და შინაარს მინიატურაში. იგი უნდა იყოს გასაგები, ლაკონური და დამაჯერებელი, რამდენადაც წამკითხველს უნდა შეექმნას სრული წარმოდგენა ბიზნეს-გეგმის მთლიან შინაარსზე. ეს განყოფილება იქმნება და ზუსტდება გეგმის შედგენის პროცესში და სრულდება მთლიანად ბიზნეს-გეგმის შემუშავების დამთავრებასთან ერთად.

ბიზნეს-გეგმის ნაერთ განყოფილებაში ასახული უნდა იყოს:

პროექტის (გეგმის) გენერალური მიზანი;

სამეწარმეო პროდუქციის მოკლე დახასიათება და მისი განსხვავებული თავისებურება;

დასახული მიზნის მიღწევის გზები და მეთოდები;

პროექტის განხორციელების ვადები;

პროექტის რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯები;

მოსალოდნელი ეფექტიანობა და შედეგი;

შედეგების გამოყენების სფერო.

საერთო, შემაჯამებელი მაჩვენებლები: პროდუქტისა და მომსახურების, წარმოებისა და რეალიზაციის მოცულობა, ამონაგები, საკუთარი და ნასესხები საშუალებები, მოგება, რენტაბელობა.

სპეციალური მაჩვენებლები: რეალიზებულ პროდუქციისა და მომსახურების ხარისხი, განსაკუთრებულ გემოვნებისადმი მომხმარებელთა მოთხოვნისადმი შესაბამისობა, კაპიტალდაბანდების უკუგება, რისკის დონე, დაგეგმილი შედეგის მიღების გარანტია.

განყოფილება 3. მეწარმის მიერ მომხმარებლისადმი შეთავაზებული პროდუქციის, საქონლის მომსახურების დახასიათება.

ბიზნეს-გეგმის ამ განყოფილებაში მოცემული უნდა იყოს: სამეწარმეო პროდუქციის დამახასიათებელი მაჩვენებლები (საცდელი ნიმუში, მისი დახასიათება, აღწერილობა, მოდელი, ფოტოსურათი და სხვა);

ცნობები სამეწარმეო საქონელზე, მოთხოვნა, რომელიც ამ პროდუქტმა უნდა დააკმაყოფილოს (გადახდისუნარიანი მოთხოვნის პროგნოზი საქონელზე, რეგიონის მახასიათებელი მაჩვენებლები, მოსახლეობის ჯგუფებზე, ორგანიზაციებზე, რომლებიც შეიძლება გახდნენ მომხმარებლები, მონაცემები საქონლის მომხმარებელთა მოსალოდნელი დინამიკის შესახებ). ამ პარამეტრების პროგნოზულ-ანალიტიკური შეფასება შეიტანება ბიზნეს-გეგმაში;

ფასების პროგნოზი, რომლითაც უნდა მოხდეს მეწარმის პროდუქტის (პროდუქცია, საქონელი, სამუშაოები და მომსახურება) რეალიზაცია;

ფასების პროგნოზის გათვალისწინება, მოსალოდნელი ინფლაციის გამო ყველაზე ძნელი საკითხია ბიზნეს-გეგმაში.

განყოფილება 4. გახადების ბაზრის მოთხოვნის, გაყიდვის მოცულობის კონიუნქტურის ანალიზი და შეფასება.

აღნიშნული განყოფილება – მოთხოვნილებისა და ფასების პროგნოზირების შესწავლის გაგრძელებაა. იგი განსაზღვრავს წარმოების და საქონლის გაყიდვების მოცულობას პროექტის რეალიზაციის პერიოდში. ბიზნეს-გეგმის მომზადების პროცესში ბაზრის ანალიზი და შესწავლა, ერთის მხრივ უყრდნობა ვარაუდს – პროგნოზს, ხოლო მეორეს მხრივ პოტენციური მომხმარებლების ან სავაჭრო-გამსაღებელ ორგანიზაციებთან წინასწარ შეთანხმებას.

მოკლევადიან წერილმან და გრძელვადიან მსხვილ პროდუქტების შემთხვევაში სიტუაცია განსხვავებულია. პირველ შემთხვევაში მაღალი დონის სარწმუნო შეთანხმებისას შეიძლება განესაზღვროთ მყიდველებისა და მომხმარებლების წრე, რაც საშუალებას გვაძლევს განსაზღვროთ გაყიდვების მოცულობა. მეორე შემთხვევაში სიტუაცია უფრო რთულია.

მოთხოვნის ცვლილება, მისი გაყიდვების მოცულობა ღვინდება ბიზნეს-გეგმის შედგენის პროცესში ვარაუდის, შეფასების, გაანგარიშებისა და პროგნოზების საფუძველზე. აქვე მხედველობაში მიიღება მარკეტინგული და სხვა საქმიანობის მეშვეობით ბაზრის აქტივიზაცია.

ამ განყოფილების დამუშავების დროს საჭიროა გაეითვალისწინოთ კონკურენტები, მათი შესაძლებლობები, უნარი და ფასების პოლიტიკა. ამიტომ საჭიროა ბიზნეს-გეგმის კორექტირება კონკურენტების გათვალისწინებით.

განყოფილება 5. მოქმედებისა და ორგანიზაციული ღონისძიებების პროგრამა.

ამ განყოფილების შინაარსი მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული მეწარმეობის საქმიანობის სახეზე (საწარმოო, კომერციული, ფინანსური). მეწარმეობის საქმიანობის პროგრამა ღებება:

მარკეტინგულ საქმიანობაზე. (რეკლამა, გასაღების ბაზრის განსაზღვრა, მომხმარებლებთან კონტაქტი);

პროდუქციის წარმოების უზრუნველყოფაზე;

საქონლის შეძენის, შენახვის, ტრანსპორტირებასა და რეალიზაციაზე (განსაკუთრებით კომერციულ საქმიანობაში);

მყიდველების მომსახურებაზე;

ორგანიზაციულ ღონისძიებებზე, რომლებიც მოქმედების პროგრამის განუყოფელი ნაწილია. მასში შედის ბიზნეს-გეგმის რეალიზაციის მართვის მეთოდები, პროექტის მართვის ორგანიზაციული სტრუქტურა, შრომის ანაზღაურების სპეციალური ფორმების გამოყენება, სტიმულირება, კადრების შერჩევა, აღრიცხვა-კონტროლი და სხვა.

განყოფილება 6. გარიგების რესურსებით უზრუნველყოფა.

ამ განყოფილებაში მოცემულია ცნობები პროექტის განხორციელებისათვის საჭირო რესურსების სახეებისა და რაოდენობის, რესურსების წყაროებისა და მიღების მეთოდების შესახებ.

რესურსებით უზრუნველყოფის წყაროები მოიცავს:

მატერიალურ რესურსებს (მასალები, ნახევარფაბრიკატები, ნედლეული, ენერჯია, შენობა, მოწყობილობა და სხვა);

შრომით რესურსებს;

ფინანსურ რესურსებს (მიმდინარე ფულადი სახრები, კაპიტალური დაბანდებები, კრედიტები, ფასიანი ქაღალდები);

ინფორმაციულ რესურსებს (სტატისტიკური, სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაცია და სხვა).

განყოფილება 7. პროექტის ეფექტიანობა

ეს განყოფილება არის ბიზნეს-გეგმის დასკვნითი ნაწილი, რომელშიც მოცემულია სამეწარმეო გარიგების ეფექტურობა, კერძოდ კი მოგებისა და რენტაბელობის მაჩვენებლები, გარდა ამისა მასში გათვალისწინებულია სოციალური და სამეცნიერო-ტექნიკური ეფექტიანობა. აქვე სასურველია მოტანილი იყოს სამეწარმეო გარიგების გრძელვადიანი მოსალოდნელი შედეგი.

14.7. პროექტების დასაბუთების საერთაშორისო პრაქტიკა

ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის კრიზისიდან გამოსვლის ძირითადი გზა ეს არის სამრეწველო საწარმოთა ამოქმედება. თუ გავითვალისწინებთ, რომ ჩვენი ქვეყნის სანრეწველო საწარმოთა უმრავლესობა უკანასკნელ წლებში უმოქმედოთ დგას, ხოლო მისი ამოქმედებისა და ტექნიკური-გადაიარაღებისათვის ქვეყნის შიგა რესურსები არ გაგვარჩნია, კრიზისიდან გამოსვლის ერთერთი რეალური გზა არის უცხო ქვეყნის ინვესტორთა მოზიდვა და მათი კაპიტალის მეშვეობით საწარმოთა ამოქმედება.

საზღვარგარეთის ინვესტორთა მოზიდვისათვის პირველ რიგში საჭიროა ყოველ საწარმოს კქონდეს სათანადო დონეზე დამუშავებული ბიზნეს-გეგმა, რომელიც დასაბუთებული იქნება საერთაშორისო მოთხოვნების დაცვით.

პროექტების დასაბუთების საერთაშორისო პრაქტიკა მოითხოვს ინვესტიციის დაბანდების მიზანშეწონილობა დასაბუთებული იქნას შემდეგი მაჩვენებლებით:

წმინდა-მიმდინარე ღირებულება;

რენტაბელობა;

ეფექტიანობის შიგაკოეფიციენტი;

კაპიტალდაბანდების უკუგების პერიოდი;
მაქსიმალური ფულადი ნაშთი;
უზარალთანობის ნორმა.

წმინდა-მიმდინარე ღირებულება (ჩვენი ქვეყნის ეკონომიკურ ლიტერატურის მიხედვით – ინტეგრალური ეკონომიკური ფექტი) ეს არის სხვაობა პროექტის რეალიზაციის პერიოდში პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებული ერთობლივ შემოსავალსა და ამავე პერიოდში გაწეული ყველა სახის დანახარჯების ჯამს შორის დროის ფაქტორის გათვალისწინებით (სხვადასხვა დროის შემოსავლებისა და დანახარჯების დისკონტირებით).

რენტაბელობა გაიანგარიშება მოგების შეფარდებით კაპიტალურ დანახარჯებთან ან მოგების შეფარდებით სააქციო კაპიტალთან. ეს მაჩვენებელი გაიანგარიშება პროექტის რეალიზაციის თითოეული წლისათვის, როგორც საშუალო წლიური სიდიდე. ამავე დროს გაითვალისწინება დაბეგვრაც.

ფექტიანობის შიგა კოეფიციენტი იანგარიშება, როგორც რენტაბელობის ზღვრული მნიშვნელობა, რომელიც უზრუნველყოფს ინტეგრალური ფექტის ნულის ტოლობას, გაანგარიშებულს ინვესტიციის ეკონომიკური სასიცოცხლო დროით. პროექტი ითვლება რენტაბელურად, თუ ფექტიანობის შიგა კოეფიციენტი ამოსავალ ზღვრულ მნიშვნელობაზე მეტია.

კაპიტალური დაბანდების უკუგების პერიოდი – ჩვენი ქვეყნის ეკონომიკურ ლიტერატურაში ცნობილია, როგორც კაპიტალდაბანდების გამოსყიდვის ვადა. ამ შემთხვევაში იგი ტოლია იმ წელთა რიცხვის, რომლის განმავლობაშიც გაყიდვებიდან მიღებული შემოსავალი ფუნქციონალურ-ადმინისტრაციული დანახარჯების გამოკლებით ანაზღაურებს კაპიტალურ დაბანდებას.

მაქსიმალური ფულადი ნაშთი არის ნაზრდი შედეგით გაანგარიშებული პირველი მაჩვენებლის უდიდესი უარყოფითი მნიშვნელობა (წმინდა მიმდინარე ღირებულება). იგი გამოხატავს პროექტის დაფინანსების აუცილებელ ოდენობას, რომელიც დაკავშირებული უნდა იყოს ყველა დანახარჯების დაფარვასთან.

უზარალობის ნორმა – წარმოებული პროდუქციის პარტიის მინიმალური რაოდენობაა, რომლის დროსაც უზრუნველყოფილია „ნულოვანი

მოგება, ე.ი., რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი უდრის წარმოების დანახარჯებს.

მუდმივი დანახარჯები

$$\text{უზარალობის ნორმა} = \frac{\text{ბუღალტრით ფასი} - \text{ცვლადი დანახარჯები}}{\text{...}}$$

დასავლეთის ბანკებში კრედიტის მისაღებად ბიზნეს-გეგმის სტრუქტურა რამდენადმე განსხვავებულია. ამ შემთხვევაში ბიზნეს-გეგმა შედგება შემდეგი განყოფილებებისაგან.

1. შესავალი და ზოგადი ინფორმაცია. განიხილება იურიდიული ფორმა და საქმიანობის მოკლე დახასიათება, საწარმოს აღწერა და ისტორია, უკანასკნელი წლებისა და მიმდინარე პერიოდის მნიშვნელოვანი მოვლენები;

2. წვლილის აღწერა. აღწერილი უნდა იყოს საწარმოს საქმიანობის მნიშვნელოვანი მხარეები, მათ შორის პოზიცია ბაზარზე, რეპუტაცია, გაყიდვების სისტემები და სხვა;

3. პროდუქციისა და გასაღების ბაზრის აღწერილობა;

4. კვლევა და დამუშავება. აღწერილია კვლევის ძირითადი მიმართულებანი, მათ შორის მნიშვნელოვანი პროგრამები და ინიციატივები;

5. წარმოება და საწარმოო სიმძლავრე. მოცემულია წარმოების მდგომარეობის აღწერა, საწარმოო სიმძლავრეები;

6. პერსონალი და შრომისადმი დამოკიდებულება;

7. ორგანიზაცია და მართვა. გარდა ზოგადი ორგანიზაციული სქემისა, მოცემულია მაღალი თანამდებობისა და სხვა ხელმძღვანელ პირთა ბიოგრაფიული მონაცემები;

8. იურიდიული მასალები. მოტანილი უნდა იყოს შედარებით მნიშვნელოვანი სასამართლოსა და საარბიტრაჟო სქემების მოკლე აღწერა;

9. ფინანსური ინფორმაცია. განიხილება უკანასკნელი ხუთი წლის ფინანსური ანგარიშები და ფინანსური მდგომარეობის ხუთწლიანი პროგნოზი.

10. ლიკვიდურობა. ნაჩვენებია დავალიანების ანალიზი, საბრუნავი სახსრების მდგომარეობა, დაბეგვრის სტატიებისა და კომპანიის დავალიანება.

11. ხელშეკრულებები. აღწერილია ყველა ხელშეკრულება და შეთანხმება, რომლებშიც მონაწილეობს წარმოება;

12. ბულალტრული ანგარიშების სხვა საკითხები. მოიტანება მოკლე ცნობები არარეგისტრირებულ ქონებაზე (ბინები, სასტუმროები, საავდემოფოები, პროფილაქტური მომსახურება და სხვა).

14.8. ინდიკატური დაგეგმვა

ინდიკატური გეგმა ქვეყნის სოციალ-ეკონომიკური გეგმის შემადგენილი ნაწილია. ინდიკატურ დაგეგმვას წარმატებით იყენებენ განვითარებული საბაზრო ეკონომიკის ქვეყნები. ინდიკატური დაგეგმვა მაკროეკონომიკის სფეროში შედის. ამიტომ წინამდებარე სახელმძღვანელოს ამოცანებიდან გამომდინარე ინდიკატურ დაგეგმვას შევხებით ზოგადად, სქემატურად, რათა სტუდენტს ზოგადი წარმოდგენა შეექმნას მის შესახებ და განსაზღვროს ამ გეგმის ადგილი საწარმოს დაგეგმვის სისტემაში.

ინდიკატური დაგეგმვის ფუძემდებლები არიან კ. ლაქლაურა და ლ. იოპანსკი. სამოციანი წლებიდან დაგეგმვის სისტემა ფართოდ გამოიყენება: საფრანგეთში. კანადაში, იაპონიაში. აშშ სამოცდაათიანი წლებიდან განხორციელდა ეკონომიკის მართვის გარდაქმნა სახელმწიფო და რეგიონული დონეების მიხედვით. 80-წლებიდან „რეგიანომიკის“ პერიოდში. გაფართოვდა შტატების უფლებები, გაძლიერდა მათი ეკონომიკური დამოუკიდებლობა, შემუშავდა ქვეყნის სოციალური და ეკონომიკური განვითარების ინდიკატური გეგმა. ეს გეგმა განსაზღვრავს სოციალური და ეკონომიკური განვითარების ძირითად მიმართულებებს და მისი განხორციელების გზებსა და საშუალებებს. იგი არაა დირექტიული, არამედ ატარებს სარეკომენდაციო ხასიათს.

ინდიკატური გეგმა საშუალებას იძლევა შემუშავდეს ეკონომიკური პროცესების სახელმწიფო რეგულირების მექანიზმი.

საბაზრო ეკონომიკის პირობებშიც კი აუცილებელია სახელმწიფოს ჩარევა ზოგიერთი უმნიშვნელოვანესი ეკონომიკური და სოციალური საკითხების გადაწყვეტაში. ხელისუფლებას უნდა ქონდეს შემუშავებული ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია და სტრუქტურული პოლიტიკა, იგი უნდა უზრუნველყოფდეს ეკონომიკის სახელმწიფო სექტორის ფუნქციონირებას, მოსახლეობის სოციალურ დაცვას და სახელმწიფო რეზერვების ფორმირებას, ეკონომიკაში მიმდინარე პროცესების ანალიზსა და პროგნოზირებას.

ბელისუფლება უნდა განსაზღვრავდეს ბიუჯეტის შემოსავლებს და ანაწილებდეს ასიგნებებს, უნდა მონაწილეობდეს ფასების ღონის მოწესრიგებაში, ფინანსური რესურსების რეგულირებაში, ამუშავებდეს საგადასახადო, ფულად-საკრედიტო და საბაჟო მექანიზმებს და ასე შემდეგ. ყველა იმ პროცესებს, რომელთა გადაწყვეტაც შეუძლებელია თვითრეგულირებით.

საქართველოში ინდიკატური დაგეგმვა პირველად გამოყენებული იქნა 1994 წლიდან. ეკონომიკის სამინისტრომ შეიმუშავა საქართველოს სოციალ-ეკონომიკურ განვითარების 1996-2000 წლების ინდიკატური გეგმა. იგი მოიცავს ოთხ ნაწილს. პირველ ნაწილში განსაზღვრულია ქვეყნის განვითარების სტრატეგია ხუთწლეულში. იგი ეხება რეფორმასთან დაკავშირებულ საკითხებს, რესურსებს, პოლიტიკას, საგარეო-ეკონომიკურ, ქვეყნის ეკონომიკურ და სოციალურ საკითხებს.

მეორე ნაწილში მოცემულია ეკონომიკის ანალიზი, გაანალიზებულია ეკონომიკის ძირითადი სფეროების მდგომარეობა, პრივატიზაციის, ფასების ლიბერალიზაციის, საფინანსო და ფულად-საკრედიტო საქმიანობა, მეწარმეობას განვითარება, საგარეო-ეკონომიკური საქმიანობა, ბუნების დაცვა და სხვა.

მესამე ნაწილში განხილულია ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პერსპექტივები 1996-2000 წლებში. შემუშავებულია ეკონომიკის მთავარი დარგებისა და სფეროების განვითარების ძირითადი მიმართულებები და გადასაწყვეტი პრობლემები.

მეოთხე ნაწილში განსაზღვრულია ეკონომიკის რეგულირების ძირითადი მიმართულებები და შესაბამისი ღონისძიებები. დასახულა 50-მდე სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამა, რომელთა განხორციელება მნიშვნელოვან როლს შეასრულებს ქვეყნის სასიცოცხლო მნიშვნელობის პრობლემების გადაწყვეტაში. ამ პროგრამების შესრულებისათვის საჭიროა 2 მილიარდამდე ა.შ.შ. დოლარი. ინვესტიციების ხანგრძლივობა განსაზღვრულია 2-5 წლით, 10-15 და 20 წლის ვადითაც კი.

თავი XV. საწარმოს მართვის ინფორმაციული უზრუნველყოფა

15.1 ინფორმაციის როლი წარმოების მართვაში

საწარმოს მართვა შეუძლებელია სრული და სარწმუნო ინფორმაციისა და კომუნიკაციების გარეშე. საბაზრო ეკონომიკა წარმოებისა და ბაზრის მუდმივად ცვლადი შიგა და გარე ფაქტორთა ზემოქმედების გამო საჭიროებს მიმდინარე და სტრატეგიული მიზნების კორექტირებას. საქონლის მოთხოვნის მუდმივი ცვლილება ბაზარზე, შესაბამის ცვლილებებს საჭიროებს წარმოების მართვაში, მის მიერ წარმოებული პროდუქციის ნომენკლატურის, წარმოების მოცულობისა და ხარისხში. უფრო მეტიც, ხშირად საჭირო ხდება წარმოების პროფილის მთლიანად შეცვლა. ამდენად საწარმოს კოლექტივი მუდმივი გამოცდის ქვეშ იმყოფება. მან უნდა იცოდეს, რა ელოდება წარმოებას პერსპექტივაში: წინსვლა, აღმავლობა თუ კრიზისი და გაკოტრება. კონკურენციის შედეგად საწარმოთა ლიკვიდაცია და მათ ბაზარზე ახალ საწარმოთა შექმნა, მუდმივი და გარდუეალი პროცესია. ასეთ სიტუაციაში საწარმოს მდგრადობის შენარჩუნება, მხოლოდ იმ კოლექტივს შეუძლია, რომელიც სრულყოფილად ფლობს ინფორმაციას საწარმოზე მოქმედ შიგა და გარე ფაქტორების მოქმედებისა და მათი მოსალოდნელი ცვლილებების შესახებ.

ინფორმაცია – ეს არის ადამიანთა ურთიერთობის საშუალება, მისი საშუალებით ვლებულობთ გარე სამყაროსა და მასში მიმდინარე პროცესების შესახებ ცნობებს. თავისთავად ინფორმაცია აბსტრაქტული კატეგორიაა, მაგრამ მისთვის დამახასიათებელი რიგი თავისებურებათა გამო (ჩაწერის შესაძლებლობის, წაშლის, გადაცემის) იგი უახლოვდება მატერიალურ ობიექტებს. ინფორმაციას აქვს წარმოსახვის სხვადასხვა ფორმა – ეს არის დაბეჭდილი ტექსტი, ლოკუმენტები, ცხრილები, დიაგრამები და სხვა. კიბერნეტიკული პოზიციით „ინფორმაცია“ ეს არის რაიმე ფაქტის, მოვლენის შესახებ განუსაზღვრელობის მოწესრიგების ღონისძიება, რომელიც გვევლინება როგორც ცნობათა ერთობლიობა, გადაცემის, შენახვისა და დაბუშავების ობიექტის სახით.

ინფორმაციული უზრუნველყოფა — ეს არის ინფორმაციის კონკრეტული მომხმარებლის დამოკიდებულების პროცესი, რომელიც დაფუძნებულია ინფორმაციის მიღების, დამუშავების, დაგროვების და გამოყენების სპეციალური მეთოდებისა და საშუალებების გამოყენებაზე.

წარმოების მართვის პროცესი ემყარება განსაზღვრულ ინფორმაციას. მართვის პროცესი იყენებს რა უკუკავშირს ობექტის მდგომარეობისა და მართვითი გადაწყვეტილების შესრულების შესახებ, ოპერატიულად არეგულირებს საწარმოს სამეურნეო-კომერციულ საქმიანობას. ინფორმაცია სამართავ ობიექტზე ზემოქმედების აუცილებელი პირობაა.

ამდენად ინფორმაცია და საინფორმაციო კომუნიკაციები საწარმოს მართვის საფუძველია. იგი თანაბრად მოქმედებს, როგორც პროდუქციის წარმოებაზე, ისე მის გასაღებაზე.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საწარმოს მართვა ხორციელდება წინასწარ შედგენილი მიმდინარე და პერსპექტიული გეგმების საფუძველზე, რომელიც საწარმოს სტრატეგიული მიზნების განსაზღვრის აუცილებელი პირობაა.

საწარმოს გეგმებისა და მის წინაშე დასახული მიზნების განსაზღვრისათვის აუცილებელია მონაცემთა ბაზა, რომელიც მიიღება ინფორმაციის საშუალებით. რაც უფრო ფართო და სარწმუნოა საწარმოს მიერ შეგროვებული ინფორმაცია, მით უფრო მეტი შესაძლებლობა არსებობს საწარმოს სწორი და რეალური გეგმების შემუშავებისა და მათი რეალიზაციისათვის.

ინფორმაციას დიდი მნიშვნელობა აქვს არა მარტო გეგმების შემუშავებისათვის, არამედ ასევე საწარმოს ოპერატიული მართვის პროცესში. დროული და სწორი ინფორმაცია საშუალებას აძლევს ხელმძღვანელს სწრაფად მოახდინოს საწარმოს მუშაობაზე კორექტირება, შექმნილი სიტუაციის შესაბამისად კორექტები შეიტანოს მიმდინარე პროცესებში და აღმოფხვრას ნაკლოვანებები, გამოასწოროს დაშვებული შეცდომები და სწორი გზით წაიყვანოს საწარმოს კოლექტივის საქმიანობა და, პირიქით არა სწორმა და დაგვიანებულმა ინფორმაციამ შეიძლება საბედისწერო შედეგებამდე მიიყვანოს საწარმო.

მაგალითისათვის შეიძლება მოვიყვანოთ შემთხვევა, როცა მომხმარებელია მოთხოვნების არა სათანადო შესწავლამ შეიძლება გამოიწვიოს ახალი პროდუქციის გასაღების ჩავარდნა, რაც საბოლოოდ გამოიწ-

ვევს წარმოების გაჩერებას, ახალი პროდუქციის ათვისებისა და წარმოებაზე გაწეული დანახარჯების აუნაზღაურებლობას.

სწორ და სათანადოდ დასაბუთებულ ინფორმაციას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ახალი სამეწარმეო საქმიანობის დაწყებისათვის. ხშირია შემთხვევა, როცა დაუფიქრებლად იწყება ახალი საწარმოს შექმნა. წარმოების დაწყებისთანავე თავს იჩენს მისი უპერსპექტივობა და ხდება მისი ლიკვიდაცია, გაწეული დანახარჯების ანაზღაურების გარეშე, საჭირო ხდება ახალი პროფილის საწარმოს შექმნა.

აღნიშნულიდან გამომდინარე ვიდრე მეწარმე ღრმად არ დარწმუნდება სწორი ინფორმაციის, მარკეტინგული კვლევის საფუძველზე მიღებული დასკვნებით ახალი საწარმოს პერსპექტიულობაზე, მანამდე არ უნდა მოჰკიდოს ხელი ახალ საქმიანობას.

15.2 ინფორმაციის სახეები

სამეწარმეო საქმიანობა უნდა იწყებოდეს შესაბამისი ინფორმაციული უზრუნველყოფით. სამეწარმეო ინფორმაცია საკმაოდ ვრცელი და მრავალფეროვანია. იგი შეიძლება დავყოთ დროის ასპექტის მიხედვით. 1. მარკეტინგული¹ (გარე) ინფორმაცია 2. შიგა საწარმოო ინფორმაცია.

მარკეტინგული კვლევით მიღებული ინფორმაცია ეს არის მომხმარებელთა მოთხოვნის, მოთხოვნილების პერსპექტივის, კონკურენტების შესახებ, პროდუქციის ბაზარზე მოთხოვნილების, საქონლის შესაძლო გასაღების მოცულობის, ნომენკლატურისა და ხარისხის შესახებ მიღებული ინფორმაცია. აღნიშნული ინფორმაციით მიღებული შედეგების დამუშავების დროს მხედველობაში უნდა იქნას მიღებული ყველა გარე ფაქტორების ზეგავლენა, როგორც მოცემულ პერიოდში ისე პერსპექტივაში. მარკეტინგული ინფორმაცია მიეკუთვნება გარე ინფორმაციას და მისი მოპოვება დიდ სირთულეებთან და პასუხისმგებლობასთან არის დაკავშირებული.

გარე მაკრო სფეროზე მოქმედებენ შემდეგი ფაქტორები:

¹ Баззел Р. Кокс Д. Браун Р. Информация и риск в маркетинге. пер. с англ. под ред. Б.Р. Ефимовой – Б. Финстатинформ. 1993 – с.7

დემოგრაფიული — მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურა, ქალაქისა და სოფლის მოსახლეობას შორის შეფარდება, მიგრაცია, განათლების დონე და სხვა;

ეკონომიკური — მეურნეობის ორიენტაცია და სტრუქტურა, ფინანსური სისტემის მდგომარეობა, ინფლაციის დონე, მოსახლეობის მყიდველობითი უნარი;

ბუნებრივი — კლიმატი, ნედლეულის რესურსები, ენერჯის წყაროები, გარემოს გაჭუჭყიანება;

მეცხოვერუღ-ტექნიკური — მტკ დონე, რომელიც ხელს უწყობს ახალი პროდუქციის შექმნას, მარკეტინგის ეფექტიანი ღონისძიებების შემუშავებას;

პოლიტიკური — სოციალურ-პოლიტიკური წყობა, პოლიტიკური ძალების განლაგება და საზოგადოებრივი მოძრაობა, საკანონმდებლო სისტემის თავისებურება და მისი შესრულების მდგომარეობა;

საერთაშორისო-პოლიტიკური — საზღვარგარეთის ქვეყნებთან ურთიერთობა.

კულტურული — კულტურული ფასეულობანი, ტრადიციები, წესჩვეულება და სარწმუნოება.

ამრიგად, საწარმოს გარე ინფორმაციის შეგროვებისა და მისი დამუშავების პროცესში მხედველობაში უნდა იქნას მიღებული ყველა ზემოთ აღნიშნული ფაქტორები.

საწარმოს მართვის სისტემის ინფორმაციის ფორმირებისა და გამოყენების ძირითად პრინციპებს მიეკუთვნება: ინფორმაციის აქტუალობა, მონაცემთა სიზუსტე, სისრულე, მიზანდასახულობა, ინფორმაციული ერთიანობა და შესაბამისობა.

შიგა საწარმოო ინფორმაცია — ეყრდნობა რა გარე მარკეტინგული კვლევის ინფორმაციას, განსაზღვრავს წარმოების პროფილს, მის სტრატეგიას, წარმოების მოცულობას, ნომენკლატურას, ხარისხს, გაწეულ დანახარჯებს და დანახარჯების ეფექტიანობას.

შიგა საწარმოო ინფორმაცია წარმოშობის პერიოდულობის, დანიშნულების და მის დამუშავებასთან დამოკიდებულებით შეიძლება იყოს:

პერიოდულობის მიხედვით: მუდმივი, ცვლადი და ეპიზოდური. მუდმივი ინფორმაცია მოქმედებს ხანგრძლივი დროის მანძილზე. ცვლადი ინფორმაცია გვიჩვენებს საწარმოს ფაქტიურ, რაოდენობრივ და ხარის-

ხობრივ მაჩვენებლებს. ეპიზოდური ინფორმაცია დგება საჭიროების შემთხვევაში. მაგალითად, როცა საჭიროა მონაცემები ახალი კონკურენტის შესახებ, გასაყიდი საქონლის ფასის შესაძლებელი ცვლილების შესაფასებლად.

დანიშნულების მიხედვით ინფორმაციას ყოფენ: საცნობარო, სარეკომენდაციო, ნორმატიული, სასიგნალო და მარეგულირებლად.

საცნობარო ინფორმაცია ატარებს გასაცნობ, დამხმარე ხასიათს, იძლევა ობიექტის სტაბილურ მახასიათებლებს, ფირმების შესახებ ცნობარების, პროდუქციის ტექნიკურ, საექსპლუატაციო, ფასებისა და ტარიფების სისტემების სახით.

სარეკომენდაციო ინფორმაცია ფორმირდება მარკეტინგული კვლევის ან მონაცემთა ანალიზის საფუძველზე, რომლებიც ასახულია ბეჭდვით გამოცემებში, კომერციულ მონაცემთა ბაზებში. იგი ასახავს საქონლის გაყიდვების პროგნოზებს მიზნობრივი ბაზრების შერჩევის პრიორიტეტს, აგენტ-შუამავლებისა და ნედლეულის მომწოდებელ ფირმების შესახებ მონაცემებს.

ნორმატიული ინფორმაცია მიიღება საწარმოს სფეროდან და მოიცავს ნორმებსა და ნორმატივებს, კანონმდებლობის აქტებს და სხვა.

სასიგნალო ინფორმაცია წარმოიშობა მუშაობის მსვლელობის პროცესში და მოიცავს ცნობებს ობიექტის ფაქტიური მდგომარეობის გადახრას გეგმიურისაგან.

მარეგულირებელი ინფორმაცია იქმნება გადახრის მიზეზების დადგენის და მისი მოწესრიგების შემდეგ.

შიგა ინფორმაციაში შედის საწარმოს მდგომარეობისა და მისი საქმიანობის სხვადასხვა მხარის შესახებ მონაცემები. იგი ეხმარება ხელმძღვანელს საწარმოო გადაწყვეტილების მიღებაში. ძირითადად შიგა ინფორმაციისათვის გამოიყენება განაცხადები, შეკვეთები, ხელშეკრულებები, ანგარიშები, სტატისტიკური მაჩვენებლები, საწარმოს განვლილი წლების მაჩვენებლები, პერსპექტიული გეგმები, ამოცანები და სტრატეგიული მიზნები.

შიგა საწარმოო ინფორმაციის შეგროვებისა და დამუშავების შემდეგ იწყება საწარმოს სტრატეგიული ამოცანების განსაზღვრა, რომელიც საფუძველად ედება გრძელვადიანი და მიმდინარე გეგმების შემუშავებას და ბოლოს ოპერატიულ-კალენდარული დაგეგმვას.

ინფორმაციის ნაკადი წარმოებაში საფუძველად ედება მარკეტინგული სამსახურის საქმიანობის ორგანიზაციას, როგორც ზემოთ განვიხილეთ საწარმოს მარკეტინგული სამსახურის საქმიანობა საწარმოს სამეურნეო-ფინანსური საქმიანობის საფუძველია და ისინი მთლიანობაში ქმნიან საწარმოს მართვის ერთიან სისტემას.

15.3 ინფორმაციის შეგროვება და დამუშავება

საწარმოს ინფორმაციული ბაზა ფორმირდება სამი შემადგენე-
ლებისაგან:

საქონლის ბაზარი და მომსახურება, საწარმოო სფერო და გარე
გარემო.

თითოეული მათგანი განსხვავდებიან ერთმანეთისაგან ინფორმაცი-
ათა სისტემებით. მათ მიეკუთვნება:

ინფორმაციის ღირებულება და კლავისათვის გამოყოფილი რესურსები;

გამოცდილება და სპეციალისტების შესაბამისი კვალიფიკაცია;

ბაზრის ინფორმაციის განვითარების დონე;

გამოთვლითი ტექნიკისა და სხვა სპეციალური მოწყობილობების
არსებობა;

გამოკვლევების შედეგების კონფიდენციალობის ობიექტურობის უზრუნ-
ველყოფის აუცილებლობა.

განვიხილოთ პირველად მონაცემთა წყაროები ბაზრისა და გარე
სამყაროს შესახებ:

1. საწარმოს ინფორმაციის საერთო წყაროები — პერიოდული საგა-
ზეთო ინფორმაცია, სპეციალური ჟურნალები;

მასობრივი ინფორმაციის საშუალებების ტექნიკური არხები (ტელე-
ვიზია, რადიო);

რეკლამის საქმიანობა;

გამოფენები, თათბირები, კონფერენციები, პრეზენტაციები;

სახელმწიფო მოღვაწეთა გამოსვლები და სხვა.

2. საკომუნიკაციო არხებით მიღებულ ვიწრო პროფილურ ინფორ-
მაციას მიეკუთვნება:

საწარმოს ფინანსური და ბუღალტრული ანგარიშები;
აქციონერების კრებებზე საწარმოს ხელმძღვანელების ანგარიშები;
ვიწრო პროფილიანი საწარმოო ნაბეჭდი გამოცემები;
სპეციალიზებული ფირმების მიერ ეკონომიკური ხასიათის ცნობები,
ბეჭდვითი ინფორმაციის სახით;

მონაცემთა ბანკისა და კომერციული ბაზების ცნობები.

ამავე ჯგუფს მიეკუთვნება პირადი კომუნიკაციების წყაროები, მიღებული ადამიანთა ჯგუფების ურთიერთ შეხვედრებით, ტელეფონის ქსელისა და ტელევიზიით. ამ სახის ინფორმაცია უფექტიანია იმდენად, რამდენადაც იგი ასახავს პირად აზრს უკუკავშირის სახით.

პირადი კომუნიკაციის არხები მონაწილე სუბიექტების კატეგორიის მიხედვით იყოფა: განმარტებითი-პროპაგანდისტული, რომლებშიც მონაწილეობენ დამამზადებელი საწარმოს ხელმძღვანელები, სპეციალისტები მომხმარებელთა მიზნობრივ ჯგუფებთან კონტაქტში.

ექსპერტულ-შეფასებითი, მასში ძირითადი როლი მიეკუთვნება წარმოებული პროდუქციის შემფასებელ დამოუკიდებელ ექსპერტებს. პირად გაელენას ღიდი როლი ენიჭება ტექნიკურად რთული პროდუქციის მომხმარებელთა შორის, რომელთა შებენა დამოკიდებულია ღიდ რისკთან. ხშირ შემთხვევაში გადაწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება საქონლის შესყიდვის დროს ავტორიტეტულ პირთა აზრს.

3. წყაროები, რომლებიც ფორმირდებიან სპეციალური მარკეტინგული კვლევის შედეგად, მათი მიზანია კონკრეტული ამოცანების გადასაწყვეტად დამატებითი ინფორმაციის მიღება. ეს ინფორმაცია შეიძლება მოძიებული იქნას საკუთარი სპეციალისტების მიერ ან სპეციალიზებული ფირმების მოწვევით. გამოკვლევისათვის გამოიყენება დაკვირვება, ექსპერიმენტი და გამოკითხვა. დაკვირვების დროს ჟურნალებში ან რუქებზე შეიტანება ყველა ფაქტი საკვლევი ობიექტის ან მოვლენის შესახებ. დაკვირვების პროცესის შემდეგ მონაცემები სისტემატიზირდება, განზოგადდება და გამოიყენება ამოცანის გადაჭრისას, როგორც დამატებითი ცნობები. გამოკითხვის მეთოდი საშუალებას იძლევა გამოვავლინოთ პრიორიტეტული სისტემა, რომელზედაც ორიენტირდება განსაზღვრული საქონლის შერჩევისას მომხმარებელთა მიზნობრივი ბაზარი. კონკრეტული ფირმის პროდუქციის შესყიდვის დროს. გამოკითხვის მეთოდისათვის უმთავრესად გამოიყენება ანკეტური გამოკითხვა და ინტერვიუ.

ამჟამად საწარმოებში იქ, სადაც ე.გ.მ. არ ფუნქციონირებს ისეთი ფუნქციები, როგორცაა ბარათების, კატალოგების, ცნობარების შედგენა მწარმოებლების, პროდუქტების შესახებ, რომლებიც მოითხოვენ ინფორმაციის უნიფიცირებასა და სტანდარტიზაციას, საწარმოებს გამოთვლითი ტექნიკის უმარტივესი საშუალებებით. ეგმ-ის პროგრამული უზრუნველყოფის განვითარება საშუალებას იძლევა განსაკუთრებული გულისხმიერებისა და დანახარჯების გარეშე მოვახდინოთ ზემოთ ჩამოთვლილი პროცესების ავტომატიზირება.

საწარმოს ინფორმაციის პირველადი მონაცემების ფორმებია: ტექსტები, ცხრილები, მატრიცები, გრაფიკები, ციფრობრივი სტატისტიკური დინამიური რიგები.

ტექსტობრივი ინფორმაციის წარდგენისა და დამუშავებისათვის გამოიყენება სპეციალური პიპერტექსტური პროგრამული სისტემა. იგი ძირითადად ემსახურება ტექსტობრივი დოკუმენტების მონაცემთა ბაზის შექმნას, წარმოებასა და გამოყენებას. ამ მასალების გამოყენება ხდება გარკვეული თანმიმდევრობისა და ინფორმაციის საერთო ნიშნების დაჯგუფებით, გარკვეული თემატიკის მიხედვით.

ცხრილურ-მატრიცული ფორმა გამოიყენება ცხრილური პროცესორების სახით. მისი საშუალებით შესაძლებელია არა მარტო ტრადიციული ცხრილების გაანგარიშება, არამედ შეიძლება ვაწარმოოთ ფინანსური და საბანკო გაანგარიშებები. გრაფიკული გამოსახვა ინფორმაციის გამოსახვის ერთ ერთი საუკეთესო საშუალებაა, მისი საშუალებით ინფორმაციის წარმოდგენა შესაძლებელია კონცენტრირებულად და თვალსაჩინოდ. გრაფიკულ მეთოდში აისახება ფაქტორთა შორის ურთიერთდამოკიდებულება, ელინდება არსებული კანონზომიერება, მოიძებნება ექსტრემალური მდგომარეობა და სხვა. გრაფიკული მეთოდის დადებითი მხარეა ის, რომ ელინდება ახალი ცოდნა, მონაცემთა განზოგადობა და საბაზრო პროცესების დინამიკა მრავალი ფაქტორის ურთიერთმოქმედებისა და ანალიზის საშუალებით.

- გრაფიკული ინფორმაციის უფრო გავრცელებული ფორმებია:
- პარამეტრებს შორის ფუნქციონური დამოკიდებულების გრაფიკი;
- პარამეტრების დინამიური ცვლილების გრაფიკი;
- კალენდარული გრაფიკები;
- ქსელური გრაფიკები და სხვა.

ინფორმაციის მიწოდების მეთოდია ასევე დინამიური რიგები. ამ მეთოდით ინფორმაციის მიწოდება ხდება ქრონოლოგიური თანმიმდევრობით განლაგებული მაჩვენებლებით, რომლებიც თავისი ცვლილებით ასახავენ მოვლენის შესწავლის დინამიკას. თითოეულ დინამიურ რიგს აქვს მისი შექმნის და გამოყენების მეთოდოლოგია. ამიტომ მას ახასიათებს გამოყენების მცირე კომენტარები.


საწარმოს კომერციული საქმიანობის კომუნიკაციის პროცესის განუყოფელი ნაწილია ინფორმაციის შეგროვება, რეგისტრაცია და ორგანიზაცია. მისი რეალიზაცია საკმაოდ შრომატევადი პროცესია, მოითხოვს შესაბამისი მაღალი კვალიფიკაციის კადრებს, ღიდ ფინანსურ დანახარჯებს.

წარმოების დანახარჯების შემცირების ერთერთი გზაა ფირმის ინფორმაციული უზრუნველყოფის საშუალებებზე გაწეული დანახარჯების შემცირება ინფორმაციის ტექნიკური საშუალებების გამოყენებით, როგორცაა მაგნიტურ ლენტის, მოქნილი მაგნიტური და ოპტიკური დისკებისა და ეკონომიკური მონაცემების ბანკის გამოყენება.

ამჟამად საინფორმაციო პროდუქციის გამოყენების ყველაზე პროგრესული ფორმაა ინფორმაციის ტექნიკური მატარებლების გამოყენება. ტექნიკური მატარებლების როლს ასრულებენ მონაცემთა ბაზები, პროგრამები, ინსტრუქციები და სხვა. მათი გამოყენებით საჭირო არ არის მონაცემთა შეგროვება, ორგანიზაცია და გადაცემა. მაქსიმალურად მცირდება მონაცემთა ეგმ. —ში შეტანის პროცედურა. ამასთან ერთად აღნიშნული მეთოდის გამოყენებას გააჩნია რიგი ნაკლოვანებები: მონაცემები თავსდება მოქნილ მაგნიტურ ფირფიტებზე, რაც ამცირებს ინფორმაციის მოცულობას; ოპტიკური დისკების გამოყენება კი ფერხდება, როგორც თვით დისკების, ასევე მათზე საშუალო მოწყობილობის უქონლობის გამო; მორიგე ინფორმაციულ მასივებს არა აქვთ რეგულარული ხასიათი; თემატიკის სპექტრი საკმაოდ ვიწროა.

ინფორმაციული მომსახურების პროგრესული მიმართულებაა ელექტრონული ინფორმაციის გაერცელება, ეგმ-ს ქსელთან შეერთებული კომერციული ავტომატიზებული მონაცემთა ბანკის (ამბ) გამოყენებით. ამ ქსელის გამოყენებით შესაძლებელია საზღვარგარეთის მსხვილ კომერციულ ამბ-ს ქსელში ჩართვა, ისეთში როგორცაა „დილოვი“, „რუეტურსი“, „ნეერნეტი“, „მარფი“, რომლებიც მოიცავენ მსოფლიოს 4000-ზე მეტ მონაცემთა ბანკებს.


კომუნიკაციებისა და ინფორმაციის დამუშავების ძირითადი პროცესების ბლოკ სქემა ეგმ-ს გამოყენებით



შეიძლება თამამად ითქვას, რომ თანამედროვე კომპიუტერული სისტემის გამოყენება განუსაზღვრელ შესაძლებლობებს იძლევა წარმოების მართვის სრულყოფისათვის. ინტერნეტის საშუალებით საწარმოს რამოდენიმე წუთში შეუძლია დაუკავშირდეს მსოფლიოს ნებისმიერი ქვეყნის წარმოებას, მიიღოს და გაცვალოს საჭირო ინფორმაცია, კონსულტაცია. პირადი კონტაქტის გარეშე, ფაქსის საშუალებით გააფორმოს მასთან ხელშეკრულება, ნელგეულისა და პროდუქციის მიწოდების შესახებ.

ინტერნეტი საშუალებას იძლევა გავეცნოთ ჩვენთვის საინტერესო ინფორმაციას მსოფლიოს ყველა ქვეყნის მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების შესახებ, წარმოების მართვის, მარკეტინგის, ფინანსებისა და სხვა მრავალ საკითხებზე, რომელზედაც ადრე საჭირო იყო შესაბამისი ქვეყნის ბიბლიოთეკებში წიგნების მოძიება და ზანგრძლივი დამქანცველი შრომა.

ინფორმაციის საშუალებათა განვითარებამ დღის წასრიგში დააყენა შესაბამისი კადრების მომზადება. ჩვენს ქვეყანაში ახალგაზრდობა უკვე ინტენსიურად ეუფლება კომპიუტერულ ტექნიკას და ინტერნეტის გამოყენებას. შორს არ არის ის დრო, როდესაც ჩვენი ქვეყნის ყველა სპეციალისტს საშუალება ექნება პერსონალური კომპიუტერით ჩაერთოს ინტერნეტში და ყოველდღიურად მიიღოს ინფორმაცია მსოფლიოს უახლესი მიღწევების შესახებ.



15. საწარმოო ინფორმაციის ნაკადები და მათი წარმომდგომის წყაროები

თავი XVI მარკეტინგი სამრეწველო საწარმოში

16.1 დაგეგმვა მარკეტინგის მართვის სისტემაში.

მარკეტინგს, როგორც საქონლის წარმოების, გასაღებისა და მოხმარების პროცესთა ერთიანობას, დიდი მნიშვნელობა აქვს საწარმოს სამეურნეო-ფინანსური საქმიანობის შედეგების ფორმირებაში. მარკეტინგული საქმიანობის შედეგები უშუალოდ კლინდება წარმოების ეფექტიანობის მაჩვენებლებში.

მარკეტინგი არ განისაზღვრება მხოლოდ კომერციული საქმიანობით, როგორც ეს ზოგიერთ მეცნიერ-ეკონომისტს მიაჩნია, არამედ იგი წარმოების მართვისა და დაგეგმვის ძირითადი შემადგენელი ნაწილია.

მარკეტინგი, როგორც მომხმარებელთა მოთხოვნილებაზე ორიენტირებული წარმოებისა და გასაღების მართვის სისტემა მნიშვნელოვან ფუნქციებს ასრულებს საბაზრო ეკონომიკის განვითარებაში. მარკეტინგის ძირითად ფუნქციებს შორის აღსანიშნავია: ბაზრის კვლევა, მომხმარებელთა მოთხოვნილების შესწავლა, წარმოების მოცულობის, ნომენკლატურის, ხარისხის, და ფასწარმოქმნის სტრატეგიის დამუშავება და, ბოლოს, წარმოებული საქონლის გაყიდვის მოცულობის განსაზღვრის ბაზა.

მარკეტინგის კვლევის ობიექტია მატერიალური წარმოებისა და მიმოქცევის სფერო, რომლებიც დაკავშირებული არიან მომხმარებელთა მოთხოვნის შესწავლასთან ეს უკანასკნელი საშუალებას იძლევა შევქმნათ მონაცემთა ბაზა საწარმოო მარკეტინგისათვის. ბაზრის მოთხოვნის შესწავლის საფუძველზე შეგროვილი ინფორმაცია საშუალებას გვაძლევს განსაზღვროთ წარმოების ნომენკლატურა, მოცულობა, ხარისხი და ბოლოს ფასები. ამდენად საწარმოო მარკეტინგი ამოსავალი ბაზა წარმოების დაგეგმვისა და მისი სტაბილური მუშაობის უზრუნველყოფისათვის. უცხოეთის ფირმებში მარკეტინგის დაგეგმვაში ფართოდ გამოიყენება მათემატიკური და ინფორმაციული აპარატი.

მარკეტინგის დაგეგმვაში ძირითადად გამოიყენება სამი ძირითადი პრინციპი:

- გეგმა უნდა შეიმუშაოს მან ვინც შემდეგ მას შეასრულებს;
- დაგეგმვა უნდა შეესაბამებოდეს საწარმოს განკარგულებაში მყოფ რესურსებს;

– დაგეგმვა უზრუნველყოფილი უნდა იყოს მოქნილი და ადაპტირებული შიგა და გარე გარემოს ცვლილებების შესაბამისად.

მარკეტინგის მართვის სისტემაში გეგმა ითვალისწინებს მხოლოდ იმ პროდუქციის გამოშვებას, რომელიც აუცილებლად იქნება რეალიზებული. ამიტომ გეგმის კორექტირება უნდა ხდებოდეს სისტემატურად მოთხოვნის ცვლილების შესაბამისად.

მარკეტინგისა და საწარმოს დაგეგმვის ფუნქციებს შორის კავშირი აქტიური და ორმხრივია. ერთი მხრივ, მარკეტინგის მიზანი გადამწყვეტ როლს ასრულებს დაგეგმვის სისტემაზე და მეორეს მხრივ, მარკეტინგის ღონისძიებათა რეალიზაცია დაკავშირებულია საწარმოს გეგმის შესრულებასთან. (ნახ.16.1).

დაგეგმვა მარკეტინგში წყვეტს შემდეგ ამოცანებს:


– განსაზღვრავს მიზნებს, ძირითად პრინციპებს და თვით დაგეგმვის პროცესის კრიტერიუმს (მაგალითად, ბაზრის შერჩეული სეგმენტის და საქონლის მიხედვით დიფერენცირება, საბაზრო სტრატეგიის კომპლექსური დაგეგმვა, ფინანსირების ვადებისა და მოცულობის განსაზღვრა მარკეტინგის მიზნების შესაბამისად და სხვ.);

– საშუალებას გვაძლევს შევადგინოთ გეგმების სტრუქტურა, მისი რეზერვების მონახაზი და მათი ურთიერთკავშირი (მაგალითად, ბაზრის ცალკეულ სეგმენტებს აკავშირებს საქონლის რეალიზაციის გეგმებთან, განახორციელებს კომპლექსურ საბაზრო სტრატეგიას);

– განსაზღვრავს დაგეგმვისათვის ამოსავალ მონაცემებს (ბაზრის მდგომარეობას და მის პერსპექტიულ განვითარებას, საწარმოს პროდუქციის პერსპექტიულ მომხმარებლებსა და მოთხოვნებს, ბაზრის სასაქონლო სტრუქტურის ცვლილებების პროგნოზს და სხვა);

– განსაზღვრავს დაგეგმვის პროცესის საერთო ორგანიზაციას (კომპეტენციის ღონეს, მმართველთა პასუხისმგებლობას, საწარმოს ორგანიზაციულ-სტრუქტურულ განყოფილებათა უფლება-მოვალეობას და სხვა).

თანამედროვე მარკეტინგის მართვაში უფრო მიზანშეწონილია სტრატეგიული ამოცანების რანჟირებით სტრატეგიული დაგეგმვის სისტემის გამოყენება. ვინაიდან ამ შემთხვევაში კეთდება საწარმოს განვითარების ანალიზი, ე.ი. ხდება არასასურველი ტენდენციების გამოვლენა, მეწარმობის ზონის განსაზღვრა, დგინდება სად იქნება საწარმოს განვითარების



16.1. საწარმოო მარკეტინგის საქმიანობის გეგმა-პროგრამა

პეტი შანსი, განისაზღვრება განსაკუთრებულ სიტუაციის გამოვლენის შესაძლებლობა, რომელსაც შეუძლია ზემოქმედება მოახდინოს საწარმოს მიერ შერჩეულ მიმართულებაზე. პერსპექტივის დასაბუთებული განსაზღვრა საშუალებას იძლევა არ გავიდეს ფირმა მის მიერ წინასწარ დადგენილი მოქმედების დიაპაზონიდან.

სტრატეგიული დაგეგმვის მეორე საფეხური, ეს არის საწარმოს ანალიზი კონკრეტულ სიტუაციაში და უფრო რაციონალური და ეფექტიანი სტრატეგიის შემუშავება. ანალიზმა შეიძლება გვაჩვენოს, რომ ზოგიერთი მიმართულება კონკურენციასთან ბრძოლაში შეიძლება არა ეფექტიანი აღმოჩნდეს, ფირმამ ასეთ მიმართულებებზე უარი უნდა თქვას. ასეთ შემთხვევაში შერჩეული უნდა იქნეს მესამე მიმართულება. კერძოდ, გამოვიყენოთ მოსალოდნელი შედეგების შედარების მეთოდი, დაეადგინოთ პრიორიტეტები და გადავანაწილოთ არსებული რესურსები.


ზოგჯერ არსებული მდგომარეობისა და საწარმოს პოტენციალის მიხედვით შეუძლებელია სტრატეგიული მიზნების განსაზღვრა. ასეთ შემთხვევაში საჭიროა ფირმის საქმიანობის მიმართულების დივერსიფიკაციის შესაძლებელი მიმართულებების დადგენა, რათა განისაზღვროს ახალი უფრო ეფექტიანი საქმიანობის სახეები, რომლებზედაც უნდა გადავიდეს ფირმა.

ოპერატიული დაგეგმვის დროს ფირმის უახლოესი მიზნები, ტრანსფორმირდება მოქმედების პროგრამებად ბიუჯეტის და მოგების სახით, რომლებიც დაიყვანება საწარმოთა თითოეულ ქვედანაყოფამდე თითოეული ქვედანაყოფისათვის დამოუკიდებლად წესდება ოპერატიული კონტროლი მისი შესრულების მიმდინარე პროგრამები და ბიუჯეტები, მოგების გვემასთან ერთად წარმოადგენენ საწარმოს ორიენტირის მიმდინარე ოპერაციებში, რენტაბილობის მისაღწევად.

შედარებით უფრო რთული ამოცანაა სტრატეგიული პროგრამების, ბიუჯეტისა და მოგების გეგმების ფორმირება, რომელიც საფუძვლად უნდა დაედოს საწარმოს მომავალ საქმიანობას. საქმე ის არის, რომ მიმდინარე გეგმები ხშირად არ შეესაბამებიან სტრატეგიულ მიზნებს.

ამიტომ სტრატეგიული გეგმები უნდა შედგეს არატალკეული ქვედანაყოფების მიხედვით, არამედ ცალკეული პრექტების, ახალი საქონლის ჯგუფებისა და მოქმედების მომავალი მიმართულების მიხედვით.

ოპერატიული და სტრატეგიული დაგეგმვის ცალკეული სისტემები თვალსაჩინოებისათვის მოტანილია სქემაზე. (ნახ. 16.2).



16.2 საწარმოს მარკეტინგული სამსახურის ორგანიზაცია და სტრუქტურა

მარკეტინგის სამსახურის ორგანიზაციული სტრუქტურის სახეები.

საწარმოს მიერ დასახული მიზნების მიღწევა ძირითადად დამოკიდებულია სამ ფაქტორზე: არჩეული სტრატეგია, ორგანიზაციული სტრუქტურა და ამ სტრუქტურის ფუნქციონირების მდგომარეობა.

მარკეტინგული საქმიანობის ორგანიზაციული სტრუქტურა, შეიძლება წარმოვიდგინოთ, როგორც ორგანიზაციის კონსტრუქცია,

რომლის საფუძველზედაც წარმოებს მარკეტინგის მართვა. სხვა სიტყვებით, ეს არის სამსახურის, განყოფილებების, ქვეგანყოფილებებისა და მათში მომუშავეთა ერთობლიობა, რომლებიც ასრულებენ მარკეტინგის ამა თუ იმ ფუნქციას.

მარკეტინგის სამსახურის სტრუქტურას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მარკეტინგის კონცეფციის რეალიზაციის საქმეში. მარკეტინგის მართვის სტრუქტურის სქემა არ არის უნივერსალური, იგი დამოკიდებულია სხვადასხვა ფაქტორზე და საწარმოს თავისებურებაზე. მარკეტინგის განყოფილებები შეიძლება შეიქმნას სხვადასხვა საფუძველზე, როგორც წესი ისინი წარმოადგენენ საწარმოს კომერციული საქმიანობის სფეროს. მაგრამ საწარმოებში, რომლებიც აწარმოებენ სპეციფიკურ პროდუქციას, ეს განყოფილებები შედიან საწარმოს ტექნიკური სამსახურის სფეროში. თითოეული საწარმო მარკეტინგული სამსახურის სტრუქტურას ადგენს, იმგვარად, რომ მათ შეეძლოთ მარკეტინგული მიზნების სრულყოფილად შესრულება (მყიდველების დაუკმაყოფილებელი მოთხოვნის გამოვლენა, ბაზრის გეოგრაფიული გაფართოება, ბაზრის ახალი სექტორების ძიება, მოგების ზრდა და სხვა).

ამასთან ერთად საწარმოს მარკეტინგული სამსახურის სტრუქტურა ძირითადად დამოკიდებულია რესურსების მოცულობაზე, წარმოებული პროდუქციის სპეციფიკაზე, ბაზრისა და წარმოების საერთო ორგანიზაციულ სტრუქტურაზე.

მიუხედავად მარკეტინგული სტრუქტურის მრავალსახეობისა ისინი შეიძლება დაეყოს მათი ორიენტაციის მიხედვით:

ფუნქციების;

ფუნქციების და საქონლის;

საქონლის;

ფუნქციების და ბაზრის;


ბაზრისა და მყიდველების;

ფუნქციებისა და რეგიონების.

რეგიონების;

ფუნქციონალური სტრუქტურა. — მიზანშეწონილია მცირე ზომის საწარმოთათვის, რომელთაც ახასიათებთ ბაზრისა და წარმოებული პროდუქციის ერთგვაროვნება, მათთვის იქმნება სპეციალიზებული განყოფილებები. 16,3 ნახაზზე ნაჩვენებია მარკეტინგის სამსახურის ფუნქციონალური ორგანიზაციის სქემა. მარკეტინგის სამსახურის აღნიშნული განყოფილებების გარდა შეიძლება შეიქმნას: მარკეტინგის დაგეგმვის, საქონელმომოქცევის მართვის და ახალი საქონლის განყოფილებები.

მცირე ნომენკლატურის პროდუქციას ახასიათებს მაღალი მანუერირების უნარი, მართვის სიმარტივის გამო. პროდუქციის ნომენკლატურის ზრდის შემთხვევაში მცირდება მანუერირების უნარი, ვინაიდან იზრდება შიგა პირობების ცვლილებაზე რეაქციის პერიოდი. მარკეტინგის ფუნქციონალურ სტრუქტურას ახასიათებს სტრატეგიის სუსტი მოქნილობა, ვინაიდან იგი ორიენტირებულია მიმდინარე ეფექტზე და არა სიახლის დანერგვაზე.




ნახ. 16.3. მარკეტინგის ფუნქციონალური სტრუქტურა

აღნიშნული ტიპის სტრუქტურას არ ახასიათებს დინამიზმი და ნოვატორობა. იგი ეფექტიანია მხოლოდ შეზღუდული ნომენკლატურის პროდუქციისა და მყარი წარმოების პირობებში.

ფართო ნომენკლატურის დიდი მოცულობის საწარმოებისათვის, რომლებსაც ახასიათებს წარმოების და გასაღების სპეციფიკური პირობები მიზანშეწონილია მარკეტინგის ორგანიზაციის სასაქონლო პრინციპი. მარკეტინგის ორგანიზაციის სასაქონლო სტრუქტურას აქვს თავისი უპირატესობა. განსაზღვრული საქონლის მმართველი კოორდინაციას უწევს მარკეტინგის მთელ კომპლექსს ამ საქონლისათვის. მარკეტინგის ასეთი სტრუქტურა უფრო ძვირი, ვიდრე ფუნქციონალური, იმის გამო, რომ საჭირო ხდება შრომის ანაზღაურების ხარჯები, მომუშავეთა რიცხოვნების ზრდასთან დაკავშირებით. ამიტომ აღნიშნული სტრუქტურა გამოიყენება მხოლოდ მსხვილ სამრეწველო საწარმოებში, სადაც თითოეული საქონლის გაყიდვის მოცულობა საკმარისია იმისათვის, რომ გაამართლოს მუშაკთა საჭირო დუბლირება. მსგავსი სტრუქტურა უფრო მეტად გამოიყენება განვითარებულ ქვეყნების მსხვილ

დეცენტრალიზებულ კომპანიებში, სადაც თითოეული ფილიალი სპეციალიზებულია კონკრეტულ საქონლის წარმოებაზე.



ნახ. 16.4. მარკეტინგის მართვის ორგანიზაციული სტრუქტურა საქონლის მიხედვით

კონკრეტული საქონლის მარკეტინგი უკანასკნელ პერიოდში დიდ მნიშვნელობას იძენს, ვინაიდან განვითარებული ბაზრის ქვეყნებში საქონლის დიფერენციაცია მთავარი ფაქტორია კონკურენტულ ბრძოლაში. ამიტომ საქონლის მმართველის საქმიანობას დიდი მნიშვნელობა ენიჭება. მმართველის ფუნქცია განსხვავებულია ფირმებში, მიუხედავად ამისა შეიძლება გამოვყოთ მათი საერთო ფუნქცია:


- ბიუჯეტის გეგმის შედგენა;
- ბაზარზე საქონლის შესაძლო ცვლილების პროგნოზირება;
- კონკურენტის საქმიანობის შესახებ ინფორმაციის შეგროვება და შესწავლა;

- საწარმოს ყველა ქვედანაყოფთა მოქმედების კოორდინირება;
- ფასებსა და ბიუჯეტის სტატისტიკის შორის შეფარდების კონტროლი;
- ახალი საქონლის დანერგვა და ძველის წარმოებიდან მოხსნა.

იმ საწარმოებისათვის, რომლებიც თავის პროდუქციას ყიდნიან სხვადასხვა ბაზარზე, ხოლო ეს საქონელი მოითხოვს სპეციფიკურ მომსახურებას, მიზანშეწონილია გამოყენებული იქნას საბაზრო მარკეტინგი. (ნახ. 16.5). ბაზრის სახით შეიძლება გამოვიდეს მრეწველობის დარგი ან ერთგვაროვან მყიდველთა სეგმენტი.


საბაზრო მარკეტინგის მმართველი თავის ყურადღების ცენტრში აყენებს მყიდველთა მოთხოვნებს, იგი განაგებს ძირითად ბაზრებს, ამავე დროს იგი დაკავშირებულია ფუნქციონალურ ქვედანაყოფთა სპეციალისტებთან.

თითოეული ბაზრისათვის სპეციალისტები შეიმუშავენ შესაბამისი მარკეტინგის სტრატეგიას.



ნახ. 16.5. ბაზრისა და მყიდველის ორიენტაციის მარკეტინგის სამსახურის ორგანიზებული სტრუქტურა.


იმ საწარმოებისათვის რომელთა პროდუქციის გასაღება ხდება რამოდენიმე რეგიონებში, და საჭიროა თითოეულ რეგიონში ამ საქონლის მოხმარების სპეციფიკის გათვალისწინება, მიზანშეწონილია გამოყენებულ იქნას მარკეტინგის რეგიონალური სტრუქტურა. ასეთი სტრუქტურა გამოიყენება მსხვილ დეცენტრალიზებულ ფირმებში (განსაკუთრებით საერთაშორისო) ბაზრების ფართო ქსელით ცალკეულ ზონებსა და რეგიონებში. ამ შემთხვევაში ბაზრის აგენტი ცხოვრობს და მოღვაწეობს მის რეგიონში, რაიონში. მარკეტინგის ორგანიზაციის რეგიონალური სტრუქტურის უარყოფითი მხარეა სამუშაოთა დუბლირება და მათი საკმინარობის კოორდინაცია (ნახ. 16.6.)



ნახ. 16.6. რეგიონალური ორიენტაციის მარკეტინგის სამსახურის ორგანიზაციული სტრუქტურა

საწარმოში მარკეტინგის სამსახურის ორგანიზაციული სტრუქტურის შექმნის დროს საჭიროა შემდეგი პრინციპების დაცვა:

მიზნის ერთიანობა. საბაზო მიზნებია: გაყიდვების მოცულობა, მოგება, მოგების შეფარდება გაყიდვების მოცულობასთან, 1 აქციაზე შემოსავალი, საწარმოს წილი ბაზარზე, კაპიტალის სტრუქტურა (ე.ი. სუბსიდირებული კაპიტალის წილი).



ნახ. 16.7 მარკეტინგის სამსახურის ორგანიზაციული სტრუქტურა საქონლისა და ფუნქციების ორიენტაციით მიხედვით.

მარკეტინგის სამსახურის სიმარტივე:

ქვედანაყოფთა შორის ეფექტური კავშირები, უკუკავშირები; ერთი პირისადმი დაქვემდებარება.

მოსამსახურე უნდა იღებდეს ბრძანებას მხოლოდ ერთი პირისაგან.

შესასრულებელი ფუნქციების ერთობლიობის მიზნით ერთი მიზნის მქონე ფუნქციებს უნდა ხელმძღვანელობდეს ერთი პირი.

მარკეტინგის სტრუქტურის რგოლების სიმცირე, რაც მცირე სტრუქტურაში რგოლების რაოდენობა, მით მცირე ინფორმაციის მიღებისა და გადაცემის დრო, უფრო ადვილი, მარტივი და მოქნილია მართვის სისტემა.

მარკეტინგის სამსახურის კოორდინაციას უნდა ახორციელებდეს მარკეტინგის სამსახურის უმაღლესი ორგანო.

სამომხმარებლო მოთხოვნების სწრაფი ცვლილებების, მტკ მალალი ტემპების და წარმოების გართულების და სხვა ფაქტორების გავლენით იცვლება საწარმოს მიზნები და მისი მიღწევის მეთოდები. შესაბამისად უნდა იცვლებოდეს მარკეტინგის სტრუქტურაც. იგი უნდა იყოს მოქნილი და სიტუაციისადმი შესაბამისი. თუ წარმოების სტრატეგიის შესაბამისად იცვლება მარკეტინგის ორგანიზაციის ფორმები, წარმოების ეფექტიანობის შემცირების გარეშე მაშინ იგი ითვლება მოქნილ სისტემად.

ორგანიზაციული სტრუქტურა შეიძლება იყოს ორი სახის: „მკაცრი“ და „რბილი“. „მკაცრი“ სისტემის დროს მომუშავეთა მოვალეობა მკაცრადაა განსაზღვრული კონტრაქტით; გაძლიერებულია მართვის ცენტრალიზაცია და სპეციალიზაცია; მუშაკი ვალდებულია არაა შეასრულოს სამუშაო, რომელიც გათვალისწინებული არაა თანამდებობით; მოქმედებს მრავალი ფორმალური ინსტრუქცია. ასეთი სტრუქტურა ეფექტიანია, როცა შიგა გარემო სტაბილურია. როცა შიგა გარემო ცვალებადია უფრო ეფექტიანია „რბილი“ სტრუქტურა. მართვისათვის დამახასიათებელია უფლება-მოვალეობის დეცენტრალიზაცია. სამუშაოს შინაარსი მუდმივად იცვლება. ხელმძღვანელი შემსრულებლებისაგან ელოდება წინადადებებს სამუშაოს გაუმჯობესებისათვის. ფორმალური ინსტრუქციები მცირეა, მუშაკთა შორის ურთიერთობა აუმჯობესებს კოლექტივის კლიმატს სიახლის შესაქმნელად და უზრუნველყოფს ახალი იდეების წარმოქმნას.

ამშ და ინგლისის მარკეტინგის სტრუქტურებს ახასიათებს უფრო მეტად „მკაცრი“ (მექანიკური), ხოლო იაპონიასას „რბილი“ (ორგანიზებული) სტრუქტურის ნიშნები.

საწარმოს მარკეტინგის სამსახურში არა ნაკლები მნიშვნელობა აქვს დასახული ამოცანების შესრულებისათვის შიგა ორგანიზაციული სტრუქტურების შექმნას. როგორც წესი საწარმოში იქნება შემდეგი სტრუქტურული ქვედანაყოფები:

1. ბაზრის შემსწავლელი განყოფილება, რომელიც მოიცავს ცალკეულ ჯგუფებსა და ბიუროებს: ინფორმაციულ-კვლევითი, მოთხოვნის შესასწავლად; ბაზრის კვლევის ტექნიკური მომსახურების, კომერციული ინფორმაციის გადამუშავებისათვის, ბიბლიოთეკური ინფორმაციისათვის.

ამ ჯგუფს უნდა ყავდეს მოთხოვნის ანალიზისა და პროგნოზირების სპეციალისტები, ხოლო ტექნიკურ მომსახურების ჯგუფს – ინფორმაციის ავტომატიზებული დამუშავებისა და ეგმ სპეციალისტები;


2. პროდუქციის ასორტიმენტის მართვის განყოფილება; ძველი და ახალი ასორტიმენტის და პროდუქციის ხარისხის მართვის ჯგუფები;

3. მომარაგების განყოფილება. ამ განყოფილების სპეციალისტთა რაოდენობა დამოკიდებულია პროდუქციის ნომენკლატურის რაოდენობასა და მოცულობაზე.


4. მოთხოვნის ფორმირებისა და გასაღების სტიმულირების განყოფილება. მასში შედიან: რეკლამისა და სტიმულირების ჯგუფები.

რეკლამის ჯგუფში შედიან რეკლამის ასიგნების ეკონომისტი, გამოყენების, ვიტრინების, საქონლის დემონსტრირების, საფირმო მაღაზიების, ორგანიზაციის და სავაჭრო ღონისძიებების მოწყობის სპეციალისტები.

5. სერვისის სამსახური ეწყობა იმ ფირმებში, რომლებიც აწარმოებენ რთულ ტექნიკას, მანქანებს. განყოფილებაში უნდა მუშაობდნენ სერვისული მომსახურების მართვის, სარემონტო სახელოსნოების, სათადარიგო ნაწილებით სახელოსნოებისა და მომსახურების ცენტრების მართვის სპეციალისტები.



ნახ. 16 8. ფუნქციონალური და ბაზრისადმი ორიენტიაციის მარკეტინგის სამსახურის სტრუქტურული სქემა



ნახ. 16.9. ფუნქციებისა და რეგიონალური ორიენტაციის მარკეტინგის სამსახურის ორგანიზაციული სტრუქტურა

მარკეტინგის მართვის სისტემა იმდენად მოქნილი უნდა იყოს, რომ საწარმო არა მარტო უნდა მოერგოს ცვალებად სიტუაციას ბაზარზე, არამედ ამას უნდა აკეთებდეს დროულად და თავისი მიზნების შესაბამისად.

მარკეტინგის მართვის სტრუქტურის განვითარების პროცესში კონკურენტული ბრძოლის გავლენით შეიქმნა ვერტიკალური მართვის სისტემა. ვერტიკალური მარკეტინგის სისტემა – ეს არის ტრადიციული საქონლის გასაღების არხის ალტერნატივა. ჩვეულებრივად გასაღების არხი შედგება პროდუქციის მწარმოებლისაგან დამოუკიდებლად; რამოდენიმე საბითუმო და საცალო ვაჭრებისაგან. თითოეული მათგანი დამოუკიდებელია, არ განიცდის არავითარ კონტროლს გასაღების არხის სხვა წევრებისაგან და ცდილობს მიიღოს მაქსიმალური მოგება.

ვერტიკალური მარკეტინგული სისტემა (ვ.მ.ს.) – ეს არის ისეთი საწარმოების ინტეგრაცია, როგორცაა საბითუმო ვაჭრობა, მალაზიები, რომლებზეც შეიძლება იყვნენ დამოუკიდებელი ბიზნესმენი. ეს არის სისტემა, სადაც ძირითადია საწარმო, მას უკავია წამყვანი

როლი. აკონტროლებს დანარჩენ საწარმოებსა და ორგანიზაციებს, რომლებიც აწარმოებენ დამატებით პროდუქციას ან ახორციელებენ გასაღებას. მაგალითად, მანქანათმშენებელი საწარმო შეიძლება გახდეს ავტომობილების კვანძების მწარმოებელ საწარმოთა გამაერთიანებელი ცენტრი. ამგვარად ვერტიკალური ინტეგრაცია ნიშნავს იმას, რომ პროდუქციის წარმოებისა და გასაღების სტადიები გაერთიანებულია ერთ იერარქიულ სისტემაში. ამავე დროს სისტემის შიგნით საბაზრო მექანიზმი შეცვლილია შიგნითადად ოპერაციებით.

ამჟამად ცნობილია ვერტიკალური მარკეტინგული სისტემის შემდეგი ტიპები:

კორპორატიული ვ.მ.ს. ამ დროს პროდუქციის ინტეგრირებული წარმოებისა და გასაღების არხებით მისი განაწილება ერთ მფლობელობაში იმყოფება. მაგალითად, ნავთობის კომპანიებს აქვთ საკუთარი ავტოგასამართი სადგურები, ფეხსაცმლის საწარმოებს – თავიანთი მაღაზიები, ლუდის ქარხნებს – ლუდის ბარები და ა.შ.

ხელშეკრულებითი (კონტრაქტული) ვმს. შეიძლება იყოს სამი ტიპის:

სავაჭრო პრივილეგიის მფლობელი ორგანიზაციები;

საცალო მოვაჭრეთა ნებაყოფლობითი ქსელი;

საცალო ვაჭრობის კოოპერატივები.

პირველი ტიპისათვის დამახასიათებელია ის, რომ პრივილეგიის მფლობელი თავის ხელში აერთიანებს წარმოების თანმიმდევრობის პროცესებსა და საქონელმომძრავის არხებს. პრივილეგიის სამი ფორმაა.

1) პრივილეგიის საცალო მფლობელი მწარმოებლის უფლებამოსილებით. ეს ფორმა გავრცელებულია აშშ საავტომობილო მრეწველობაში, მაგალითად, ფორმა „ფორდი“ ამლევს ლიცენზიას დამოუკიდებელ დილერებს თავისი ავტომობილების ვაჭრობაზე. 2) პრივილეგიის საბითუმო მფლობელი მწარმოებლის უფლებამოსილებით, იგი გამოიყენება უალკოჰოლო სასმელების ვაჭრობის საბითუმო ქსელში. 3) პრივილეგიის საცალო მფლობელი მომსახურების სფეროში ფირმის უფლებამოსილებით. ასეთი ფორმა გვხვდება საზოგადოებრივ კვებაში, ავტომობილების გაქირავებაში.

მაროყადი ვმს. ამ შემთხვევაში წამყვანი საქონლის მწარმოებელი აღწევს თანამშრომლობასა და მხარდაჭერას ამ საქონლის გამყიდველთან, ეს უკანასკნელი გამოყოფს სავაჭრო ფართს, ატარებენ ღონისძიებებს საქონლის გასაღების სტიმულირებისა და ფასების პოლიტიკაში.

კვაზივერტიკალური ინტეგრაცია. ამ დროს პროდუქციის ინტეგრირებული გასაღება და წარმოება ხდება დამოუკიდებელ საწარმოს და გამსაღებელი ორგანიზაციის მიერ წამყვანი ფირმის კონტროლით. მაგალითად, „ტოიოტა“ იყენებს კვაზივერტიკალური ინტეგრაციის გასაღების მოდელს. გამყიდველები რეალიზაციას უკეთებენ, მხოლოდ ამ ფირმის პროდუქციას. მას 320 საბითუმო ფირმა და 2600 სავაჭრო წერტილი აქვს. თურიდიულად ყველა ეს საბითუმო ფირმა დამოუკიდებელი არიან, მაგრამ ფაქტიურად აკონტროლებს „ტოიოტას“ გასაღების განყოფილება. გამსაღებელ ფირმა „ნისანის“ აქვს 2500 მაღაზია, 25 ათასი მოსამსახურე, რომლებიც ყიდიან მხოლოდ „ნისანის“ ავტომობილებს.

მწარმოებელი ფირმები დილერებს ეხმარებიან მმართველი ადმინისტრატორებისა და რიგითი მუშაკების მომზადებაში, გამოფენებისა და, რეკლამების მოწყობაში; აძლევენ განსაკუთრებულ ფასდათმობას თვის განმავლობაში გაყიდვების მოცულობის გადიდებისთვის, უწევენ ფინანსურ დახმარებას. პროდუქციის მწარმოებლისათვის კვაზივერტიკალური ინტეგრაციის რიგი უპირატესობა გააჩნია:

- საჭირო არაინტეგრირებულ საწარმოდან მიღებული დეტალებისა და კვანძების მიმღების კონტროლი;
- შესაძლებელია საწარმოს სამეურნეო საქმიანობის დაგეგმვა, მცირდება დანახარჯები და სათადარიგო დეტალების რაოდენობა;
- დროულად ინერგება მოწინავე ტექნიკა;
- წარმოების გაფართოებაში ერთიანდება საერთო ძალები;
- ჩქარდება ახალი პროდუქციის შემუშავება;
- ფასები საქონელზე რჩება ქვედა დონეზე, ხოლო საქონლის ბაზარზე გატანის ხარჯები კლებულობს;
- ხდება გადახარჯვების მოწესრიგება საქონლის ტრანსპორტირებაზე და რეკლამაზე, სწრაფად ვრცელდება ინფორმაცია ახალ პროდუქციაზე;
- უზრუნველყოფილია გაყიდვის შემდგომი მომსახურება;
- გასაღების ქსელი იყენებს მარკეტინგის მიღწევებს;
- ადვილია ახალი საქონლის ბაზარზე გასვლა და გაყიდვის მოცულობის ზრდა;

იაპონურ საწარმოთა გამოცდილება გვიჩვენებს, რომ კვაზივერტიკალური ინტეგრაცია ეფექტიანია მხოლოდ კონკრეტულ შემთხვევებში, როცა წაპყვანი ფირმა ფლობს მოწინავე ტექნოლოგიებს და კონკურენტუნარიანია, ვერდნობა მსხვილ მასშტაბიან წარმოებას.


გარდა ვერტიკალურისა ასევე ცნობილია ჰორიზონტალური ინტეგრაციაც. ამ დროს რამოდენიმე ფირმა ერთიანდება თავის შესაძლებლობათა გამოყენებისათვის. ჰორიზონტალურ ინტეგრაციაში ერთიანდებიან ის ფირმები, რომლებსაც აქვთ მცირე კაპიტალი, მარკეტინგული რესურსები, ტექნიკური ცოდნა, საწარმოო სიმძლავრეები.

16.3 მარკეტინგის სამსახური და მათი ფუნქციები.


ამუამად, როცა სისტემატურად იცვლება მომხმარებელთა მოთხოვნა საქონლის თვისებასა და ზარისხზე, მეწარმესათვის ძნელია გაუძლოს კონკრეტულ ბრძოლას მარკეტინგული სამსახურის სისტემის გარეშე, რომელიც უზრუნველყოფს მარკეტინგულ კვლევასა და მოთხოვნის პერსპექტივას.

მარკეტინგული სამსახურის საბოლოო მიზანია ბაზრის განვითარების კანონებს დაუმორჩილოს საწარმოს მთელი სამეურნეო და კომერციული საქმიანობა. ამით დაინტერესებულია, როგორც მწარმოებელი, ისე პროდუქციის მომხმარებელი.

მარკეტინგული სამსახურის ოპტიმალური სტრუქტურა მიზანშეწონილია შეეარჩიოს გარდა სხვა ფაქტორებისა და საწარმოს ზომების მიხედვითაც. ქვემოთ მოტანილია მარკეტინგის მართვის ორგანიზაციული სტრუქტურის სქემები (ნახ.16.10; 16.11; 16.12)



ნახ. 16.10 მარკეტინგის სამსახურის მართვის ორგანიზაციული სტრუქტურა მსხვილი სამრეწველო საწარმოში



ნახ. 16.11 მარკეტინგის სამსახურის მართვის ორგანიზაციული სტრუქტურა საშუალო ზომის სამრეწველო საწარმოსათვის

მარკეტინგის სამსახურის ქვედანაყოფთა სამსახურის ძირითადი ამოცანები და ფუნქციები.

მარკეტინგის სამსახურის ქვედანაყოფები ერთმანეთთან მჭიდრო კავშირში არიან. თითოეული მათგანი წყვეტს თავის ამოცანებს მომხმარებელთან დაკვირვის, პროდუქციის გასაღებისა და საკონტროლო მომსახურებისათვის.

განვიხილოთ მარკეტინგის ქვედანაყოფთა ძირითადი ამოცანები და ფუნქციები:

ბაზრის კონიუნქტურის, მოთხოვნილებისა და პროდუქციის რეკლამის განყოფილების ამოცანებია:

– მარკეტინგის მოკლევადიანი და გრძელვადიანი სტრატეგიის შემუშავება;

– ბაზრის კონიუნქტურის, პროდუქციისა და მომხმარებელთა მოთხოვნის დინამიკისა და სტრუქტურის განსაზღვრული ფაქტორების გამოკვლევა;

– წარმოებული პროდუქციის სამომხმარებლო თვისების მომხმარებლის მიერ წაყენებული მოთხოვნების შესწავლა;

– ახალი პროდუქციის შემუშავებაზე დაკავებულ სპეციალისტთა ორიენტაცია პროდუქციისადმი მომხმარებელთა მიერ წაყენებულ მოთხოვნის შესრულებაზე;

– რეკლამისა და პროდუქციის გასაღების წახალისების სტიმულირება;

– ამ ამოცანების შესრულებისათვის უნდა განხორციელდეს შემდეგი ფუნქციები: ეკონომიკური და კომერციულ ფაქტორთა ანალიზი, რეალური გადახდის უნარიანი მოთხოვნა წარმოებულ პროდუქციაზე. მოთხოვნასა და შეთავაზებას შორის შეფარდება პროდუქციის კონკრეტული სახეების მიხედვით;

– კონკურენტ პროდუქციის მოწოდების მოცულობის, ტექნიკური დონის და საწარმოს მიერ გამოშვებულ პროდუქციის ხარისხის უპირატესობის შესწავლა;

– ახალი გასაღების ბაზრებისა და პროდუქციის ახალი მომხმარებლის ძიება;

– წარმოებული პროდუქციის სამომხმარებლო თვისებების შესწავლა და მათ მიერ მომხმარებელთა დაკმაყოფილების შესახებ ინფორმაციის შეგროვება;

- წარმოებულ პროდუქციასა და მყოფელთა მოთხოვნილებას შორის შეფარდების ანალიზი;
- პროდუქციის მსოფლიო წარმოების ტექნოლოგიის გავლენა წარმოებულ პროდუქციის პროფილზე;
- ბაზრის მდგომარეობისა და გაყიდვების მოცულობაზე მოქმედ ფაქტორთა ურთიერთკავშირი;
- პროდუქციის კონკურენტუნარიანობის, მისი სამომხმარებლო თვისებების, ფასებისა და წარმოების დანახარჯების ანალიზი და მისი შედარება კონკურენტ პროდუქციის შესაბამის მაჩვენებელთან;
- ბაზრის კონინექტურისა და მოცულობის პროგნოზირების შესწავლა ახალი და სერიული წარმოების პროდუქციაზე;
- მარკეტინგის სტრატეგიის შემუშავება მოცემულ პროდუქციაზე მოთხოვნის, ბაზრის მოცულობის, ცვალებადი გადახდისუნარიანი მოთხოვნილების კონკურენციის, სამეცნიერო-ტექნიკური პროცესის გათვალისწინებით;
- პროდუქციის ბაზრის მოცულობის გაანგარიშება;
- ყველა განყოფილებათა საქმიანობის კოორდინირება ერთიანი კომერციული მიზნის მიხედვით;
- პროდუქციის პოტენციურ ბაზარზე გასაღების კომერციულ-ეკონომიკური ინფორმაციის შეგროვება, სისტემატიზაცია და ანალიზი;
- ინფორმაციულ-სტატისტიკური ინფორმაციის მონაცემთა ბანკის შექმნა, შეკვეთების, პროდუქციის მოწოდების, მარაგების არსებობის პორტფელთან ერთად;
- პოტენციური მომხმარებლების გეოგრაფიული განლაგების განსაზღვრა;
- მოცემულ ბაზარზე ძირითადი კონკურენტების მოცემულ ბაზარზე გასაღების საერთო მოცულობაში ხვედრითი წილის განსაზღვრა;
- საფირმო მოშახურებისა და რეზონტის ღონის შესწავლა და მისი გავლენა პროდუქციის გასაღებაზე;
- ორგანიზაცია მომხმარებელთან უკუკავშირების შესწავლაზე;
- პრეტენზიების, რეკლამების ანალიზი და მათი შესრულების კონტროლი დადგენილ ვადებში;
- კონკურენტ პროდუქციის სუსტი და ძლიერი მხარეების შესწავლა; ახალი სერიული წარმოებისა და კონკურენტ პროდუქციის გამოცდაზე დასწრება;

– რეკლამის სტრატეგიის შესწავლა თითოეულ კონკრეტულ პროდუქტიაზე;

– რეკლამის ორგანიზაცია მასობრივი ინფორმაციის გამოყენებით;

– გარე, ელექტრო და სხივური განათება; ტრანსპორტზე, საფოსტო მარკების, რეკლამების, პლაკატების, ბუკლეტების, აფიშების ორგანიზაცია;

– რეკლამის საქმიანობის ეფექტიანობის ანალიზი, მისი გაუმჯობესების ღონისძიებათა შემუშავება;

– რეკლამის გამოყენებისა და გასაღების სტიმულირების მოწინავე გამოცდილების შესწავლა ქვეყნის შიგნით და საზღვარგარეთ;

– ცალკეული პროდუქციის მომხმარებლისადმი მიწოდების ეფექტიანი ფორმების ანალიზი და შესწავლა; საბითუმო ვაჭრობის, გასაღების არხების ტექნიკური აღჭურვილობა, გასაღების ქსელის მუშაობის ეფექტიანობის შესწავლა;

– პროდუქციის რეალიზაციის მდგომარეობის ანალიზი, ისეთი პროდუქციის გამოვლენა, რომელსაც არა აქვს გასაღება;

– ტექნიკურ განყოფილებებთან ექსპლუატაციის ინსტრუქციის შემუშავებაში მონაწილეობა, მიმოქცევის დანახარჯების; ეკონომიკურად გაუმართლებელი დანახარჯების გამოვლენა;

– პრინციპიალურად ახალი პროდუქციის წინადადების შემუშავება;

ეკონომიკური, საკონსტრუქტორო, ტექნოლოგიური და სხვა განყოფილებებთან ერთად ახალი პროდუქციის თვითღირებულების გაანგარიშება და მისი შემცირების ღონისძიებების შემუშავება, მომხმარებლის მიერ მიღებული ეკონომიკური ეფექტი და მწარმოებელი საწრმოს მიერ მიღებული მოგება.

პროდუქციის შეფუთვის ესტეტიკური სახისა და ტექნიკური პირობების შესწავლა.

გასაღების განყოფილების ამოცანები.

ხელშეკრულებების დროულად მომზადება და გაფორმება, პროდუქციის ნომენკლატურისა და ვადების დაცვით მიწოდების უზრუნველყოფა; პროდუქციის გადატვირთვის აღრიცხვისა და ანგარიშების უზრუნველყოფა.

გასაღების განყოფილების ფუნქციები:

წარმოების შესაბამის განყოფილებებთან ერთად პროდუქციის

ნომენკლატურის გეგმის შემუშავებაში მონაწილეობა, მიწოდების გეგმის შესრულების უზრუნველყოფა, ნომენკლატურისა და ვადების მიხედვით; დადებული ხალხმკრულებების საფუძველზე პროდუქციის მიწოდების წლის, კვარტლის და თვის გეგმების შედგენა;

პროდუქციის წარმოებისა და მისი მომხმარებლისადმი მიწოდების გეგმების ურთიერთ შეთანხმება;

ყოველთვიური, ყოველკვარტალური მიწოდების გეგმების შესრულების ანალიზი და საამქროების მიერ პროდუქციის მიწოდების დავალიანების ლიკვიდაციისათვის ზომების მიღება;

გამოყენებაში, ბაზრობებსა და რეკლამის სხვა ღონისძიებებში მონაწილეობა;

პროდუქციაზე მოთხოვნის განსაზღვრაში მონაწილეობა;

გასაღების ქსელისა და მიწოდების ფორმების სრულყოფა;

პროდუქციის გასაღებაში დაუსაბუთებელი ხარჯების ლიკვიდაციის ღონისძიებების გატარება;

პროდუქციის საბითუმო ვაჭრობის ორგანიზაცია;

პროდუქციის შენახვის, მისი კომპლექტაციის, კონსერვაციის, შეფუთვისა და გაგზავნის ორგანიზაცია;

მზა პროდუქციის გაგზავნის დაგეგმვა და ორგანიზაცია;

ხელშეკრულების მიხედვით პროდუქციის გადატვირთვის საერთო მოცულობისა და ნომენკლატურის მონაცემთა მომზადება;

მომხმარებელთან ურთიერთობის რეგულირება;

გასაღების ფუნქციის უზრუნველყოფისათვის საჭირო მასალებზე განაცხადების მომზადება;

სხვა ორგანიზაციებისა და ფიზიკური პირებისადმი საჩივრებისა და სარჩელის მომზადება პროდუქციის გასაღებასთან დაკავშირებით;

რეკლამაციის განხილვაში მონაწილეობა;

პროდუქციის გადატვირთვისათვის საჭირო ტრანსპორტზე და კონტეინერებზე განაცხადების შედგენა კვარტალებისა და, თვეების მიხედვით.

სტატისტიკური ანგარიშების შედგენა.

წარმოებული პროდუქციის ტექნიკური მომსახურების განყოფილების ამოცანები.

პროდუქციის საფირმო მომსახურება;

წარმოებული პროდუქციის რემონტისა და ექსპლუატაციისათვის საყრდენი ბაზის ორგანიზაცია;

პროდუქციის დაკომპლექტების, რეგულირების, გამოცდის სამუშაოების ორგანიზაცია პროდუქციის მომხმარებლისათვის სათანადო ღონეზე მიწოდების მიზნით;

პროდუქციის წარმოებაში რემონტის პროგრესიული ტექნოლოგიისა და დეტალებისა და კვანძების აღდგენის სამუშაოების ორგანიზაცია, სათადარიგო ნაწილების მოთხოვნისა და მისი შევსების მოთხოვნის გაანგარიშება;

ახალი ტექნიკის დანერგვისა და გამოყენების შესახებ ინფორმაციის ორგანიზაცია.

ფუნქციები.

პროდუქციის საგარანტიო მომსახურების საყრდენი პუნქტების ორგანიზაცია და ხელმძღვანელობა;

საგარანტიო პერიოდში უწყესრიგობის ლიკვიდაციის მიზნით, ტექნიკური დახმარებისა და საგარანტიო მომსახურების ორგანიზაცია;

ტექნიკის გაუმართაობისა და და მწყობრიდან გამოსვლის შესახებ ინფორმაციის შეგროვება, პრეტენზიების განხილვა და მათი დაკმაყოფილება, პროდუქციის ხარისხის ამაღლების გზით;

საყრდენი ბაზების უზრუნველყოფა სათადარიგო ნაწილებით, საგარანტიო რემონტის უზრუნველყოფა, პროდუქციის ხარისხის, საიმედოობის ამაღლების ღონისძიებათა მომზადება;

გარემონტებული ტექნიკის გამოცდასა და ექსპერტიზაში მონაწილეობა;

ტექნიკის უწყესრიგო, ანგარიშების მომზადება-წარდგენა;

მომხმარებლებისადმი პრეტენზიის წარდგენა მათი მიერ ტექნიკის არასწორი ექსპლუატაციის შემთხვევაში;

მყიდველთა სწავლება შეპენილი პროდუქციის ექსპლუატაციის, მისი შენახვის და ტრანსპორტირების წესების შესასწავლად;

მომხმარებლებისადმი პრეტენზიების შედგენა. პროდუქციის მოხმარების წესების დარღვევის შემთხვევაში;

საგარანტიო მომსახურების პუნქტებში სათადარიგო ნაწილების მარაგების აღრიცხვა და მათი დროული მიწოდება.

მარკეტინგის პროგნოზირება და დაგეგმვის ბიუროს ამოცანები.

ბაზრის კონიუნქტურის, გადახდის უნარიანი მოთხოვნის, წარმოების პერსპექტიული განვითარების, პროდუქციის ნომენკლატურის, ახალი პროდუქციის წარმოებისა და მისი ფასების პროგნოზების შემუშავება.

• მარკეტინგის სტრადეგიის დამუშავება;

პროდუქციის შეკვეთების პორტფელის ფორმირება;

პროდუქციის ქვეყნის შიგა მოხმარების ექსპორტისა და იმპორტის მოთხოვნების ანალიზის საფუძველზე წარმოების განვითარების ძირითადი ტენდენციების გამოვლენა და ტექნიკური ღონის, ტექნოლოგიის, წარმოების ციკლის ხანგრძლივობის, წარმოების დანახარჯების სტრუქტურის შესწავლა;

მოთხოვნა-მოწოდებას შორის შეფარდების, წარმოების დანახარჯების სტრუქტურის შესწავლის საფუძველზე წარმოებულ პროდუქციაზე ფასების პროგნოზირება;

წარმოების პროფელის მიხედვით საზღვარგარეთის ფირმების, შუამავლების, კონკურენტების საქმიანობის მასალების შესწავლა;

მოთხოვნა-შეთავაზების ბალანსების შედგენა პერსპექტივისათვის;

ბაზრის კონიუნქტურის ფაქტორთა ანალიზის საფუძველზე, ბაზრის წარმოების, პროდუქციის ექსპორტ-იმპორტის შესწავლა;

ახალ პროდუქციაზე ბაზრის სეგმენტის განსაზღვრა; მთავარი კონსტრუქტორის, მთავარი ტექნოლოგიის, საგეგმო-ეკონომიკურ განყოფილებებთან ერთად ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების შრომატევადობის თეიტირებულების, ეკონომიკური ეფექტიანობის, მოგების მოსალოდნელ სიდიდეთა განსაზღვრა; კონკურენტუნარიანობის ტექნიკური ღონისა და ხარისხის ამალლების ღონისძიებათა შემუშავება და ანალიზი საზღვარგარეთის ანალიტიკურ საწარმოებსა და ბაზრებზე;

თითოეული პროდუქციისათვის საწარმოო სიმძლავრის ფორმირების წინადადებების შემუშავება და წარდგენა, პროდუქციის წარმოების ტექნოლოგიური მომზადების და ტექნიკური გადაიარაღების გეგმების შედგენაში მონაწილეობა;

საფირმო მომსახურების, გასაღების ორგანიზაციის, რეკლამის ეფექტიანობის ანალიზი და მათი სრულყოფის ღონისძიებათა შემუშავება;

რეკლამის მიზნების, მეთოდებისა და ეფექტიანობის განსაზღვრაში მონაწილეობა.

გასაღების ბაზრის, მოთხოვნის შემსწავლელი ბიუროს ამოცანები.

წარმოებულ პროდუქციაზე სამომხმარებლო მოთხოვნის დინამიკისა და სტრუქტურის ფორმირებზე მოქმედ ფაქტორთა გამოკვლევა (ბაზრის კონიუნქტურის შესწავლა);

პროდუქციაზე მოთხოვნის შესწავლა და პროგნოზების შემუშავება;

წარმოების პროდუქციაზე კონკურენტუნარიანობის განსაზღვრა;

პროდუქციის სამომხმარებლო თვისებები და მის მიმართ მომხმარებელთა მოთხოვნის წაყენება;

ახალი პროდუქციის შემუშავებულთა მიერ მომხმარებელთა მოთხოვნებზე ორიენტაცია.

ფუნქციები:

წარმოებულ პროდუქციაზე ბაზრის კონიუნქტურის კვლევის, გადახდის უნარიანი მოთხოვნისა და მოთხოვნილებით გეგმის შემუშავება;

გასაღების პოტენციური ბაზრის ძირითად კონიუნქტურის წარმოქმნილი ფაქტორების ანალიზი და პროგნოზირება;

წარმოების მიერ გამოშვებულ პროდუქციასთან შედარებით კონკურენტი პროდუქციის დადებითი და უარყოფითი მხარეების, ტექნოლოგიური დონისა და ხარისხის შესახებ ინფორმაციის შეგროვება და დამუშავება;

წარმოებული პროდუქციის ახალი ბაზრებისა და ახალი მომხმარებლების შესწავლა;

მოცემულ ბაზარზე პოტენციურ მოთხოვნაზე მოქმედი ეკონომიკური ფაქტორების დინამიკის შესწავლა;

ბაზრის სეგმენტების შესწავლა კვლევის მეთოდებით (ლიტერატურული წყაროებით, სტატისტიკური მარეწებლებით, ანკეტების გაგზავნით, პირადი ინტერვიუ, სატელეფონო გამოკითხვით);

მთავარი კონსტრუქტორის განყოფილებასთან ერთად სხვა საწარმოების გამოშვებული კონკურენტ პროდუქციის ეკონომიკური მარეწებლების შესწავლა;

საწარმოს მიერ გამოშვებულ პროდუქციაზე შესაძლებელი მოთხოვნის შესწავლა საზღვარგარეთ;

გასაღების ქსელის სტრუქტურისა და სამუშაოს ორგანიზაციის გამოკვლევა;

ტექნიკური მომსახურების და პროდუქციის რეალიზაციაზე გავლენის ანალიზი. მომსახურების ხარისხის ამაღლების რეკომენდაციების შემუშავება;

მომხმარებელთა უკუკავშირის ორგანიზაცია, მასში მომხმარებლის, აგენტებისა და კომერციული შუამავლების ჩართვით. რეკლამაციისა და მისი გავლენის შესწავლა პროდუქციის გასაღებაზე;

წარმოების პროფილის განსაზღვრული პროდუქციის მსოფლიო წარმოების ტექნოლოგიების გავლენა;

ბაზრის კონიუნქტურის შესწავლის შედეგად წინადადებების და რეკომენდაციების მომზადება ნომენკლატურისა და ხარისხის საწარმოო გეგმის შესამუშავებლად;

წარმოების შესაბამის განყოფილებებთან ახალი პროდუქციის თეიტირებულების და მისი შემცირების ღონისძიებათა შემუშავებაში მონაწილეობა;

რეკლამის ეფექტიანობის შეფასებაში მონაწილეობა;

მომხმარებელთა მოთხოვნების გათვალისწინებით ზელშეკრულები-სათვის რეკომენდაციებისა და წინადადების მომზადება;;

ბაზრის კონიუნქტურისა და პროდუქციაზე მოთხოვნის შესახებ ინფორმაციული და ანალიტიკური მასალებისა და ანგარიშების მომზადება;

რეკლამის ბიუროს ამოცანები;

რეკლამის ეფექტიანი მიმართულების განსაზღვრა;

რეკლამის ყველა სახეების ორგანიზაცია, საწარმოსადმი ნდობისა და პატივისცემის ფორმირება.

ფუნქციები:

სპეციალისტთან ერთად ბაზრის იმ სეგმენტების და ობიექტების განსაზღვრა, რომლებიც საჭიროებენ რეკლამას;

რეკლამის ეფექტიანი მეთოდების განსაზღვრა;

ცალკეული სახეობის პროდუქციაზე რეკლამის გეგმის შემუშავება;

სპეციალისტებთან ერთად სარეკლამო პროდუქციის ეკონომიკური მაჩვენებლების განსაზღვრა;

რეკლამის ორგანიზაცია მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით (გაზეთები, ჟურნალები, ტელევიზია, რადიო). სტატიების, ბუკლეტების, საინფორმაციო მასალების, სცენარების, სარეკლამო რგოლების, ვიდეო-ფილმების მომზადება);

პირდაპირი საფოსტო რეკლამები (წერილების გაგზავნა, ბანდეროლები, გზავნილები, ინფორმაციული მასალები); ბაზრობები, გამოფენების მოწყობა;

ღილურების უზრუნველყოფა ინფორმაციის საშუალებით გამოფენაზე გაგზავნის დროს;

სარეკლამო სააგენტოებთან ხელშეკრულებების გაფორმება;

რეკლამის ორგანიზაციის შესწავლა საზღვარგარეთის ქვეყნებში და მათი გამოცდილების მიხედვით წინადადების შემუშავება;

რეკლამის ხარჯთაღრიცხვის შედგენა;

რეკლამის ქმედითობის შეფასება და მისი გავლენა პროდუქციის გასაღებაზე. რეკლამის ეფექტიანობის განსაზღვრა.

კომერციული და მარკეტინგული განყოფილებების მუშაობის კოორდინაცია.

კომერციული და მარკეტინგული საქმიანობის კოორდინაცია აუცილებელია იმისთვის, რომ არ მოხდეს შეკვეთების შეუსრულებლობა ნედლეულის, მაკომპლექტებელი ან სხვა მნიშვნელოვანი კომპონენტის ბოლოდნელი არქონის გამო; ეს შეიძლება მოხდეს, როცა მარკეტინგის განყოფილება დროულად არ აცნობებს კომერციულ განყოფილებას დადებულ ხელშეკრულებისა და პერსპექტიული გეგმების შესახებ და პირიქით, გეგმებისა და შეკვეთების შემცირების დროს წარმოებას აღმოაჩნდება ზედმეტი მატერიალური საშუალებები, რომელზედაც დახარჯული სახსრები შეიძლება გამოყენებულიყო სხვა მიზნით.

მარკეტინგისა და საფინანსო განყოფილებების საქმიანობის კოორდინაცია.

მარკეტინგის განყოფილებას უშუალო კავშირი აქვს საფინანსო განყოფილებებთან. მარკეტინგის სპეციალისტები შეიძლება კარგად არ ფლობდნენ ბუღალტრულ ანგარიშებს, მაგრამ ისინი დაუფლებული უნდა იყვნენ პროდუქციის დანახარჯების კალკულაციას, ხარჯთაღრიცხვას და ბიუჯეტურ კონტროლს. მარკეტინგის საქმიანობის ეფექტიანობა აისახება საწარმოს ფინანსურ შედეგებში. ამიტომ მათ სპეციალისტებს მუდმივად ხელთ უნდა ქონდეთ და აკონტროლებდნენ წარმოების დანახარჯებისა და მოგების მაჩვენებლებს.

მარკეტინგის განყოფილებების ურთიერთობა იურიდიულ სამსახურთან

მარკეტინგის სპეციალისტებს უნდა შეეძლოთ მიიღონ სწრაფი და კვალიფიციური იურიდიული ინფორმაცია, მოქმედი საკანონმდებლო

აქტები ახალი პროდუქციის შემუშავების, წარმოების, ფასების, შეფუთვის, რეკლამის და გასაღების შესახებ. ასევე კანონები და ინსტრუქციები საპატენტო საქმიანობაზე, სასაქონლო ნიშნების რეგისტრაციაზე, ლიცენზიებზე, რეკლამაზე, მყიდველთა პრეტენზიებზე და ასევე იურიდიულ ნორმებზე, მონოპოლურ შეთანხმებაზე, განვადებით, ყიდვა-გაყიდვაზე, ფასებზე შეთანხმებაზე და სხვა.

მარკეტინგის განყოფილებების კორდინაცია კადრების განყოფილებასთან.

ამჟამად მარკეტინგულ კადრებზე საკმაოდ დიდი მოთხოვნაა. ჯერ-ჯერობით ჩვენში ნაკლებად მოიპოება მაღალკვალიფიციური მარკეტინგის სპეციალისტები. არცერთ უმაღლეს სასწავლებელში არ ხდება ამ სპეციალისტთა მომზადება. ამიტომ კადრების სპეციალისტმა მარკეტინგის სპეციალისტის კანდიდატურის შერჩევისა და მისი მოთხოვნის დროს კარგად უნდა იცოდეს მარკეტინგის განყოფილების საქმიანობა, მისი სტატუსი, პროფესიული და საერთო განათლების საჭირო დონე. კანდიდატის პირადი თვისებები, უნარი, სამუშაო გამოცდილება და სხვა.

მარკეტინგის განყოფილებას მჭიდრო კავშირი უნდა ჰქონდეს კადრების განყოფილებასთან, იმისათვის, რომ მოამზადოს ინსტრუქციები თითოეული სპეციალისტის უფლება-მოვალეობის შესახებ. ამ განყოფილებათა ხელმძღვანელებმა ერთობლივად უნდა მოახდინონ კადრების სწავლება, ინსტრუქტაჟი და გადამზადება.

კადრების განყოფილება ახლად მიღებულ სპეციალისტს უტარებს საერთო ინსტრუქტაჟს, ხოლო მარკეტინგის განყოფილების უფროსი მარკეტინგის საკითხებზე სპეციალურ ინსტრუქტაჟს.

მარკეტინგის სამსახურის დირექტორი.

მარკეტინგის სამსახურის დირექტორი ხელმძღვანელობს მარკეტინგის სტრუქტურის ყველა ქვედანაყოფს, წარმოების ხელმძღვანელების, განყოფილებების, უფროსების და ბიუროების მეშვეობით.

დირექტორის ამოცანებია:

მარკეტინგის სტრატეგიის შემუშავება, სტრუქტურების მუშაობის კორდინაცია;

ბაზრის კონიუნქტურის შესწავლა;

რეკლამა და პროდუქციის გასაღება;

ხელშეკრულების გაფორმება და მისი რეალიზაცია;
საყრდენი პუნქტების გაფორმება და რეალიზაცია;
საყრდენი პუნქტების ორგანიზაცია.

მოყალღობა:

1. ახალი ბაზრების ათვისება და კომერციული საქმიანობის ხელმძღვანელობა;
2. ხელშეკრულებების მოთხოვნათა დაცვა პროდუქციის მოწოდებაზე;
3. ფუნქციონარული განყოფილებების მუშაობის კოორდინაცია;
4. წლიური გეგმების შედგენა, წარმოებაზე, ფინანსებზე, მასალებზე და მატერიალურ უზრუნველყოფაზე;
5. ინფორმაციის შეგროვება და მუშაკების ორიენტაცია პოტენციური ბაზრის კონიუნქტურისა და პროდუქციის გასაღებაზე;
6. დანახარჯების ანალიზი და ეკონომიკურად დაუსაბუთებელი დანარჯების ლიკვიდაცია;
7. გასაღების ქსელის სრულყოფა და მათი მუშაობის ორგანიზაცია;
8. ხელმძღვანელობს პროდუქციის შექმნას;
9. მონაწილეობას ღებულობს პროდუქციის თვითღირებულებისა და მოგების გაანგარიშებაში;
10. აკლენს და აანალიზებს პროდუქციის მსოფლიო წარმოების ტენდენციებს;
11. სწავლობს პროდუქციაზე მოთხოვნას, კონკურენტუნარიანობას, ადგენს პროგნოზებს, ხელმძღვანელობს რეკლამის სამუშაოებს, აანალიზებს გასაღების არხების მდგომარეობას;
12. ხელმძღვანელობს მომხმარებელთან ხელშეკრულების გაფორმებას, აანალიზებს პრეტენზიებსა და რეკლამებს.

დირექტორს უფლება აქვს:

თავისი კომპეტენციის ფარგლებში, დადოს ხელშეკრულებები, გასცეს მინდობილობები, წარმართოს და კოორდინაცია გაუკეთოს მარკეტინგის სტრუქტურაში შემავალ ფუნქციონარულ სამსახურებს; შეისწავლოს მოთხოვნა და ბაზრის კონიუნქტურა, მოაწყოს რეკლამა და წაახალისოს პროდუქციის გასაღება.

ამუშავებს მასალებს მარკეტინგის გეგმის შესადგენად;
მუშაობს საკადრო საკითხებზე;
ღირექტორი პასუხს აგებს:

კომპლექსური მიდგომის უზრუნველყოფისათვის წარმოებისა და გასაღების მართვაში მომხმარებელთა მოთხოვნის უზრუნველყოფისათვის;
მაღალხარისხოვან მარკეტინგული კვლევის და მათ მარკეტინგულ საქმიანობაში გამოყენებისათვის;

მარკეტინგის პროგრამის რეალიზაციის კონტროლისა და ხელშეკრულებათა დაცვისათვის;

ინფორმაციის დასაბუთებულობისა და სისწორისათვის;

პროდუქციის რიტმული გადატვირთვისათვის;

პროდუქციის გასაღების ხარჯთაღრიცხვის დაცვისათვის.

16.4. კონტროლი მარკეტინგში

კონტროლის ობიექტი. კონტროლს, როგორც წარმოების მართვის ერთერთ ფუნქციას მნიშვნელოვანი ადგილი უკავია მარკეტინგში. უპირველეს ყოვლისა ეს არის კოლექტივზე მიზანდასახული ზემოქმედება, საწარმოს საქმიანობაზე სისტემატური მეთვალყურება და ფაქტიური შედეგების დაგეგმილთან შედარება. კონტროლის საბოლოო შედეგი ეს არის სამართავ ფაქტორებზე მაკორექტირებელი ზემოქმედების მექანიზმის შემუშავება და წარმოების შეხამება არაკონტროლირებად ფაქტორებისადმი. მარკეტინგის კონტროლი წარმოადგენს ღრმა ანალიტიკურ ანალიზს, რომლის შედეგად ადმინისტრაცია უარს ამბობს მარკეტინგის მართვის არაეფექტიან მეთოდებზე და ეძებს ახალ მეთოდებს და ინსტრუმენტებს, კონტროლირებად ფაქტორებზე და არაკონტროლირებად ფაქტორების ფირმის შიგა და გარე ფაქტორებზე ზემოქმედებისათვის.

კონტროლის ძირითადი ობიექტია გაყიდვების მოცულობა, მოგების ოდენობა და საწარმოს მიერ შეთავაზებული ახალ საქონელსა და მომსახურებაზე მომხმარებლის რეაქცია. სტრატეგიული გეგმის მიხედვით საწარმოსათვის მნიშვნელოვანია იცოდეს სრულად იყენებს თუ არა იგი თავის მარკეტინგულ შესაძლებლობებს.

მარკეტინგის კონტროლის სისტემა უნდა უზრუნველყოს წარმოების მართვის სრულყოფა და განვითარება. ყველაზე პროგრესული მართვის

სისტემა ცი პერსპექტივაში არაადეკვატური ხდება წარმოების სტრატეგიული ამოცანების გადაწყვეტის პროცესში, ამიტომ კონტროლის სისტემა უნდა იყოს მოქნილი და ადაპტური, ხელი უნდა შეუწყოს ახალ მეთოდების ძიებას. საწარმო-კომერციული საქმიანობის სრულყოფა-განვითარებას.

ამიტომ წარმოების სტაბილური განვითარების პირობებში კონტროლის მეტისმეტი გამკაცრება უარყოფითად მოქმედებს წარმოებით სტრუქტურების მუშაობაზე. კონტროლი-კონტროლის მიზნით იწვევს უკუშედეგებს, ამცირებს წარმოების ეფექტიანობას, განსაკუთრებით საშუალო და დაბალ იერარქიული სისტემის დონეზე.

მარკეტინგის მართვის ჩარჩოებში წარმოებისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნისა და კომერციული მიზნების წარმატებით განხორციელების მიზნით კონტროლი უნდა წარიმართოს სამი ძირითადი მიმართულებით.

1. საწარმო-კომერციულ საქმიანობაში საგეგმო მაჩვენებლების ფაქტიურთან შესაბამისობის განსაზღვრის მიზნით, წარმოებისა და მომსახურების მოცულობის, მოგებისა და რენტაბელობის მაჩვენებლების მიხედვით. ამისათვის მარკეტინგის კონტროლი სწავლობს ბაზრის ხვედრითი წილის შესაბამისობას წარმოების კომერციულ შესაძლებლობასთან; ახდენს წარმოებული პროდუქციის რეალიზაციის შესაძლებლობის გამოყენების ანალიზს; ანალიზებს მარკეტინგის ღონისძიებებზე გაწეული დანახარჯების ეფექტიანობას; მყიდველებისა და მომხმარებლების დაკმაყოფილების დონეს მიზნობრივ ბაზრებზე; კონკურენტების ქცევისა და მათი ზემოქმედების კონტროლს. ამ კონტროლის მიზანია საწარმოს საძეურნეო საქმიანობის ფაქტიური გადახრის დადგენა გეგმიურთან შემდგომში მაკორექტირებელი ზემოქმედების შემუშავების მიზნით. კონტროლის ამ სახეზე და მაკორექტირებელი ღონისძიებების შემუშავებზე პასუხისმგებელია უმაღლესი ხელმძღვანელობა და საშუალო რგოლის მმართველები. წარმოების საგეგმო-ეკონომიკური ფუნქციონალური სტრუქტურების მხარდაჭერით.

2. წარმოების საწარმო-კომერციული საქმიანობის მომგებიანობის კონტროლი. კონტროლის ეს სახე განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მსხვილ დივერსიფიცირებულ საწარმოებისა და სავაჭრო კომპანიებისათვის, რომლებიც თავის საქონელს ასაღებენ მრავალი არხებით, მრავალმიზნობრივ

ბაზრებზე. წარმოების დანახარჯების შესახებ ინფორმაციის მიღება (დღეების, დეკადების, თვეების მიხედვით) არ წარმოადგენს სირთულეს რაც შეეხება სატრანსპორტო-ექსპლუატაციის დანახარჯებს, რომელიც დაკავშირებულია საქონლის მოძრაობაზე საწყობიდან ბაზრამდე, მის შესახებ ინფორმაციის მიღება შედარებით რთულია. ამ ინფორმაციის დროულ მიღებაზე დამოკიდებულია წარმოების ხელმძღვანელობის მიერ მიღებული მაკორექტირებელი ზემოქმედება. საქონელმოძრაობის ოპერაციის ეფექტიანობის კონტროლს ჩვეულებრივად ახდენს შიგა საწარმოო სარევიზიო სამსახური, რომელსაც ხშირად უწოდებენ შიგა აუდიტის სამსახურს.

3. მარკეტინგის სტრატეგიული კონტროლი. საწარმო, რომელიც ორიენტირებულია თავის საწარმო-კომერციულ საქმიანობის გრძელვადიან პერიოდში მიღწევებზე, უნდა ახდენდეს გარკვეული დროის მონაკვეთში მთელი მარკეტინგული საქმიანობის ეფექტიანობის კრიტიკულ შეფასებას. დინამიურად განვითარებადი მსოფლიო მრეწველობის დარგების სტრუქტურულ ცვლილებას, საზოგადოებრივი ორიენტირების (მაგალითად ცხოვრების დონის ამაღლებაზე, საქონლის წარმოებისა და მოხმარების ეთიკურ ნორმებს, ეკოლოგიურს იმპერატივებს, ყველა მათგანს და სხვა საწარმოსათვის მნიშვნელოვან ფაქტორებს შეუძლიათ გამოიწვიონ წარმოების მიერ ადრე მიღებული ამოცანების, განვითარების სტრატეგიისა და გეგმების კორექტირება. საწარმო ვალდებულია პერიოდულად აწარმოოს მარკეტინგული საქმიანობისადმი თავისი მიდგომის შეფასება, გარე გარემოს ცვლილებების ზემოქმედების გამო. ამ კონტროლის სახეს უწოდებენ მარკეტინგის რევიზიას. „მარკეტინგის რევიზია“ არის საწარმოს მარკეტინგული საქმიანობის მთელი მისი ამოცანებისა და ოპერაციულ-კომერციული საქმიანობის კომპლექსური, პერიოდული და რეგულირებული კელევა, ფირმის წინაშე წამოჭრილი ამოცანებისა და ახალი შესაძლებლობის წარმოჩენის გამო, მარკეტინგული საქმიანობის სრულყოფისათვის რეკომენდაციების შესამუშავებლად.

მარკეტინგული საქმიანობის შიგა და გარე რევიზია.

მარკეტინგული საქმიანობის რევიზია შეიძლება ჩატარებულ იქნას, როგორც საკუთარი ძალებით ასევე დამოუკიდებელი ექსპერტების მიერ ხელშეკრულებით. ერთსა და მეორესაც გააჩნია თავისი უარყოფითი და დადებითი მხარეები.

საკუთარი ძალებით რევიზიის ჩატარება უფრო იაფი, ოპერაციული და სწრაფია. წარმოების რევიზირებისათვის ინფორმაცია უფრო ხალმისაწვდომი და ნაცნობია, მათ არ სჭირდებათ საწარმოს ყველა ინფორმაციის გაცნობა, მათი უმეტესობა მათთვის უკვე ცნობილია. მისი უარყოფითი მხარეა ის, რომ ეს სამსახური მსხვილ საწარმოებშიც კი მცირერიცხოვანია, ამიტომ მათ არ ძალუძთ ღრმა და გლობალური ანალიზის ჩატარება.

გარდა ამისა, შიგა რევიზორებს ყოველთვის არ შეუძლიათ ჩაატარონ ობიექტური რევიზია, ისინი ადაპტირებული არიან შიგა გარემოზე და შეიძლება ყურადღება არ მიაქციონ მარკეტინგულ საქმიანობაში მნიშვნელოვან ნაკლოვანებებს.

გარე აუდიტის სამსახური უფრო ძვირია, სამაგიეროდ მათი რევიზია ობიექტურია და რეკომენდაციები უფრო რეალურია და ფირმისთვის სასარგებლო, ვინაიდან ისინი უფრო მეტად იყენებენ კომპლექსურ მიდგომას და გარე ფაქტორების მოქმედებას ფირმის საქმიანობაზე. აზღუნად მათი კვლევის შედეგებზე აგებული ფირმის სტრატეგია უფრო რეალური და ეფექტიანია.

მოწვეულ გარე ექსპერტების მიერ ჩატარებული კვლევა იყოფა შემდეგ ეტაპებად:

კონტრაქტის წინა პერიოდი – კონტრაქტის განხილვა და დამტკიცება;

ღიაგნოსტიკური – შემოწმება – ინფორმაციის შეგროვება;

ინფორმაციის დამუშავება და ანალიზი;

ინფორმაციის შედეგების განხილვა და ფირმასთან შეთანხმება;

დანერგვაში მონაწილეობა – კონსულტანტების მიერ შემუშავებული რეკომენდაციების დანერგვაში მონაწილეობა და კორექტივების შეტანა, მარკეტინგული საქმიანობის სრულყოფის მიზნით.

16.5. უკუკავშირები მარკეტინგის საქმიანობაში

საწარმო ახორციელებს, რა საწარმო-კომერციულ საქმიანობას, მუდმივად განიცდის შიგა და გარე კონტროლირებად ფაქტორების ზემოქმედებას. კონტროლირებად ფაქტორებს მიეკუთვნება მაგალითად საქონლის მყიდველთა ქცევა. საწარმოს რეკლამის და სხვა ღონისძიებებით

შეუძლია მყიდველის ქცევის მოდიფიცირება და პოტენციური მოთხოვნის გადაქცევა რეალურ გაყიდვებად.

არაკონტროლირებად გარე ფაქტორებს მიეკუთვნება სამეწარმეო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირება ტექნიკური, სანიტარული, ეკოლოგიური ნორმები და სტანდარტები, საბაჟო ტარიფები. საწარმო კარგად უნდა იყოს ინფორმირებული გარე გარემოს ფაქტორების შესახებ, რათა დროულად მოახდინოს მათზე შესაბამისი ადაპტაცია. ინფორმაციის ამოცანაა მოჭარბებული ინფორმაციიდან, მათი შემდგომი დამუშავება და ხელმძღვანელობისათვის გადაცემა.

საწარმოს მართვის სისტემაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს საკომუნიკაციო სისტემები (განყოფილებები, ბიუროები, სამსახურები), რომელთა ამოცანაა საზოგადოებასთან, ბაზართან, მყიდველებთან, პროდუქციის მომხმარებელთან, პრესასთან, სარეკლამო და სხვა ორგანიზაციებთან მჭიდრო კავშირის დამყარება, რის შედეგადაც საკომუნიკაციო სისტემებმა ზემოქმედება უნდა მოახდინონ გარე ცელად ფაქტორებზე – მყიდველთა ქცევაზე, შუამავალთა მოქმედებაზე, სავაჭრო პერსონალზე, ქვეყნის შიგნით და მის გარეთ, ფილიალების, განყოფილებების, საწარმოს წარმომადგენლებზე. საკომუნიკაციო სისტემები პასუხისმგებლები არიან არა მარტო მართვითი გადაწყვეტილებების დროული და ზუსტი გადაცემისათვის, არამედ იმ სამსახურებისადმი მიწოდებისათვის, ვისთვისაც იგი განკუთვნილია.

საინფორმაციო სისტემამ უნდა მოგვცეს ის უკუსიგნალები, რომლებიც ასახავენ სამართავ ფაქტორებზე საწარმოს ზემოქმედების შედეგს. უკუკავშირები განსაკუთრებით აუცილებელია, როცა საჭიროა გაყიდვების ზრდა ან შემცირება, მოგების ზრდა ან შემცირება, გასაღების ბაზრის გაფართოება. ცოცხალმა უკუკავშირმა საწარმო უნდა უზრუნველყოს ობიექტური მონაცემებით მოთხოვნის ფორმირების, გასაღებისა და სტიმულირების შესახებ, და სხვადასხვა ღონისძიებების დანახარჯების ეფექტიანობა (ნახ.16.12).

კონტროლი-მარკეტინგის დასკვნითი სტადიაა, იგი დამამთავრებელი რგოლია გადაწყვეტილების მიღების და რეალიზაციის პროცესში. რა თქმა უნდა ეს იმას არ ნიშნავს, რომ კონტროლი საჭირო არ იყოს, მარკეტინგის მართვის სხვა სტადიებზე, კონტროლი საშუალებას იძლევა გამოვავლინოთ სხვადასხვა გადახრები, შეცდომები და ნაკლოვანებები გამოვანახოთ რეზერვები და განვითარების შესაძლებლობები.

კონტროლი მართვის სისტემაში მჭიდრო კავშირშია აღრიცხვ ანგარიშგებასთან. მაგალითად საქონლის გაყიდვის აღრიცხვა დინამიკაში გვიჩვენებს, თუ სასიცოცხლო ციკლის რა სტადიაზეა წარმოებული პროდუქცია, რა ზომებია მისაღები ამ ციკლის გახანგრძლივებისათვის ამისი წარმოების მოხსნისა და ახალი პროდუქციის ათვისებისათვის. კონტროლი საჭიროა მართვის ყველა ტიპებისათვის ხაზობრივი, მაკორექტირებელი, განმტოვბადი, სიტუაციური და მიმოხილვითი, ამავე დროს იგი აუცილებელია მართვის სიტუაციური პროცესებისათვის.

მარკეტინგის მართვისა და საწარმოს სამეურნეო საქმიანობის შედეგების კონტროლისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს სიტუაციურ ანალიზს. რომლის მიზანია კონკრეტულ მომენტში საწარმოს "ფოტოპორტრეტი" შექმნა. სიტუაციური ანალიზი მოიცავს საწარმოს საქმიანობის მთელი კომპლექსს, მისი მიზანია ახალი მიზნების წარმოჩენა და შესაბამის სტრატეგიის შემუშავება. იგი განსაკუთრებულად ქმედითი მეთოდია. საწარმოს მდგომარეობისა კონკრეტულ ბაზარზე კონტროლისა. კარგად ჩატარებული სიტუაციური ანალიზი საწარმოს აარიდებს ილუზიისაგან, და საშუალებას მისცემს დასახოს პერსპექტიული განვითარების ძირითად მიმართულებები. თუ საწარმოს აქვს შიგა და გარე გასაღების განვიორებული ქსელი ასეთი ანალიზი, რამდენიმე მოდიფიცირებული პროგრამით შეიძლება ჩატარდეს. ასევე გასაღების ქსელის ხელმძღვანელების მიერ.

სიტუაციური ანალიზის ჩატარების საკითხების სია საკმაოდ ფართოა.

კონკრეტულ ბაზრებზე მომუშავე საწარმოების სიტუაციური ანალიზის საკითხები

ბაზრები.

1. რომელი მიზნობრივი ბაზრებია საწარმოსათვის უფრო მნიშვნელოვანი?

2. როგორია თითოეული მიზნობრივი ბაზრის, სეგმენტებისა და მიზნობრივი ბაზრების სრული ტევადობა?

3. რომელ პერსპექტიურ ბაზრებს სწავლობს წარმოება ბაზრების გაფაროებისათვის?

4. რა ცვლილებებია პროგნოზირებული მიზნობრივ ბაზრებზე და რა გავლენას მოახდენენ საწარმოს საქმიან აქტიურობაზე?

5. შეუძლია თუ არა საწარმოს შეაფასოს დადებითი და უარყოფითი მოვლენა, რომლებიც გავლენას მოახდენენ მიზნობრივ ბაზრებზე?

6. იყენებს თუ არა საწარმო ფირმის კონსტანტებს (ფირმის სტილი) კონკურენტი თავისი საქონლის ბაზარზე?

საქონელი

7. სიცოცხლის რა სტადიაზე იმყოფება საწარმოს პროდუქცია?

8. როგორია მისი კონკურენტუნარობა?

9. როგორ აკმაყოფილებს მომხმარებლის მოთხოვნას საქონლის ასორტიმენტი და ნომენკლატურა?

10. პროდუქციის ხარისხის მართვის სისტემა აკმაყოფილებს, თუ არა პროდუქციის ხარისხის სტაბილურ ამაღლებას?

11. არის თუ არა პროდუქციის უკანდაბრუნება და მისი მიზეზები?

12. შეაფასეთ პროდუქციის ღირებულება;

ახალი საქონლის ანალიზი

13. შეაფასეთ ახალი საქონლის კონკურენტული გარემო მიზნობრივ ბაზრზე და განსაზღვრეთ მისი კონკურენტები;

14. შეუძლია თუ არა საწარმოს ახალი საქონლის გამოშვება პროგნოზირებული სასიცოცხლო ციკლის განმავლობაში

15. განსაზღვრეთ ახალი საქონლის წარმოებასა და რეალიზაციაზე კაპიტალდაბანდება, შეადგინეთ ბიზნეს-გეგმა;

მყიდველები

16. რომელი ფირმები ყიდულობს საქონელს?

17. ვინ შეიძლება იყოს პოტენციური მყიდველი და რომელ მიზნობრივ ბაზარზე?

შიგა გარემო

18. როგორია საწარმოს მუშაობის განთლება და პროფესიული დაოსტატება?

19. აქვს თუ არა თანამშრომლებს ინფორმაციის თავისუფალი გამოყენების შესაძლებლობა ბაზარების, კონკურენტების, პროდუქციის სამომხმარებლო თვისებებზე?

20. რა არის საჭირო, რომ თანამშრომლებმა იმუშაონ მაქსიმალური შესაძლებლობით?

გარე გარემო

21. რა რესურსებია საჭირო საქონლის წარმოებისათვის?

22. არსებობს თუ არა საწარმოს საქონელზე შემოტანის სახელმწიფო პოლიტიკა?

23. რა გავლენას ახდენს საწარმოზე, ს.ტ.პ. ეკონომიკური სიტუაცია. საეკონომიკური საფინანსო რეჟიმი?

კონკურენცია და კონკურენტი

24. ვინ არიან საწარმოს მთავრი კონკურენტები?

25. პასუხობს თუ არა კონკურენტების საქონელი მომხმარებელი მოთხოვნას, რა სტიმულირების სტრატეგია გამოიყენება კონკურენტის მიერ?

26. რა არის ცნობილი კონკურენტის საქმიანობის შესახებ: სტატეკნოლოგია, მოგება, წაგება, რეკლამის მეთოდები, ნედლეულითა და მასალებით მომრავლება, კომერციული საქმიანობის შედეგები?

მარკეტინგის მიზნები

27. როგორია წარმოების გრძელვადიანი, საშუალო და მოკლევადიანი მიზნები და მათი ურთიერთ კავშირი?

28. შეესაბამება თუ არა ეს მიზნები წარმოების იმიჯს?

მარკეტინგის პროგრამა

29. როგორია საწარმოს გლობალური სტრატეგია?

30. აქვს თუ არა საწარმოს მარკეტინგის წლიური გეგმა, ტარდება თუ არა სიტუაციური ანალიზი?

31. როგორ ხდება იფორმაციის შეგროვება ბაზარზე, რომელზედაც მოქმედებს საწარმო?

ვაჭრობის ორგანიზაცია

32. როგორია საეკონომიკური პროფესიონალის რიცხოვნობა და პროფესიული დონე?

33. როგორია სავარაუდო გაყიდვების მოცულობა?

34. დაახასიათეთ საეკონომიკური ორგანიზაციების სტრუქტურა თითოეულ ქვეყანაში, სადაც საწარმო ვაჭრობს;

35. გამოიყენებიან თუ არა შუამედები და როგორია მათი გეგმები?

36. როგორ ხდება საეკონომიკური პერსონალის მომზადება?

37. იყენებს თუ არა საწარმო ლიზინგს, განვადებას და კრედიტის სხვა ფორმებს?

38. როგორია საერთო დანახარჯები პროდუქციის ერთეულზე?

მოთხოვნილების ფორმირება და გასაღების სტიმულირება

39. როგორია მოთხოვნის ფორმირებისა და გასაღების პროგრამა

40. როგორია საწარმოს რეკლამის ორგანიზაცია, როგორია მისი მიზნები, აქტივობის ხარისხი?

41. აქვს თუ არა საწარმოს რეკლამას ფირმის სტილი. შესამჩნევია თუ არა საწარმოს ნიშანი კონკურენტთა შორის?

42. არსებობს თუ არა რეალიზაციის სტიმული და როგორაა მისი მეთოდები?

43. რა არხები გამოიყენება საქონლის რეკლამისათვის?

44. არსებობს თუ არა საზოგადოებრივი აზრის ფორმირების გეგმა?

45. ყავს თუ არა საწარმოს კომერციული აგენტები, რომლებიც აწარმოებენ საქონლის რეკლამას?

46. როგორ გამოიყენება მასობრივი ინფორმაციის საშუალებების აგენტების მიერ?

შეფუთვა

47. შეესაბამება თუ არა შეფუთვა მოთხოვნას, იზიდავს თუ არა მყიდველს, დაიცავს თუ არა საქონელს დაზიანებისაგან?

48. გავარჩევთ თუ არა ჩვენს საქონელს სხვა საქონლის ფონზე?

სერვისი

49. სად არის განთავსებული სერვისის პუნქტები, სათადარიგო ნაწილების საწყობები?

50. როგორია სერვისის მუშაკთა მომზადება?

51. როგორია დეტალების, კვანძების, დეფექტური კვანძებისა და დეტალების შეცვლისა და მოწოდების მინიმალური ვადები, შეესაბამება თუ არა იგი კონკურენტის მაჩვენებლებს?

52. როგორია სერვის-სამსახურის აქტივობა მისი შესაბამისი კრიტერიუმში?

53. არის თუ არა სერვისის სტანდარტები, პერსონალის სანქციები სერვისის შეუსრულებლობის გამო?

54. იგეგმება თუ არა სერვისის ახალი ფორმები?

ბანყოშილება V

მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი და პროდუქციის ხარისხი

თაყი XVII. მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი

17.1. მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის არსი და მისი როლი წარმოების ეფექტიანობის ამაღლებაში

მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი წარმოების ეფექტიანობისა და შრომის მწარმოებლურობის ამაღლების ძირითადი წყაროა. იგი საზოგადოების განვითარების ობიექტური აუცილებლობაა. წარმოების წესი და მისთვის დამახასიათებელი კანონი განუსაზღვრელ შესაძლებლობებს ქმნის ტექნიკური პროგრესის ზრდისათვის მატერიალური წარმოების ყველა სფეროში. მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი გულისხმობს მეცნიერებისა და ტექნიკის განუწყვეტელ განვითარებას, რომლის დროსაც მუდმივად იცვლება და სრულყოფილი ხდება შრომის იარაღები, შრომის საგნები, ტექნოლოგია და წარმოების ორგანიზაცია. მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესს ღრმა ცვლილება შეაქვს წარმოების ორგანიზაციაში, იცვლება საწარმოო ძალთა ყველა ელემენტი, რაც, თავის მხრივ, იწვევს საწარმოო ურთიერთობათა ცვლილებას.

წარმოების მასშტაბებისა და ტემპების ზრდა და წარმოების ეფექტიანობის ამაღლება სულ უფრო დამოკიდებული ხდება მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების, მათი წარმოებაში გამოყენების დონეზე.

ფუნდამენტური კვლევის განვითარებამ ფიზიკის, ქიმიის, მათემატიკისა და მეცნიერების სხვა სფეროებში საშუალება მოგვცა შეგვექმნა ახალი პროგრესული ტექნოლოგია, ახალი მაღალი წარმადობის მანქანა-მოწყობილობები. წარმოების მართვისა და ორგანიზაციის ახალი ფორმები.

მეცნიერული კვლევისა და მათი შედეგების წარმოებაში დანერგვამ საშუალება მოგვცა მიგველო ამჟამად საყოველთაოდ აღიარებული ისეთი ტექნიკური მიღწევები, როგორიცაა: ბირთვული ენერჯის გამოყენება; კოსმოსის ათვისება; ელექტრონული გამოთვლელი ტექნიკისა და მართვის ავტომატიზებული სისტემები; ეკონომიკურ-მათემატიკური მეთოდების შემუშავება და გამოყენება; წინასწარ გაშიზნული თვისებების მქონე

მასალების მაღალმწარმოებელური მანქანათა კომპლექსებისა და ლაზერული ტექნიკის შექმნა; ლითონის ელექტროფიზიკური და ელექტროქიმიური დამუშავება და სხვა.

„მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის“ შინაარსი უფრო ფართოა ვიდრე „ტექნიკური პროგრესი“. მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი მოიცავს ფუნდამენტურ კვლევას, გამოყენებით ძიებას, საკონსტრუქტორო-ტექნოლოგიურ სამუშაოებს, ახალი ტექნიკის ნიმუშების შექმნას, მათ სამრეწველო წარმოებას და დანერგვას.

მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუცია მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის განვითარების უმაღლესი ეტაპია. იგი წარმოადგენს ნახტომს მეცნიერებასა და ტექნიკაში, ახდენს საწარმოო ძალთა ძირეულ გარდაქმნას, იწვევს იმ დარგების სწრაფ განვითარებას, რომლებზედაც დამოკიდებულია მრეწველობის ტექნიკური გადაიარაღება. სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციის მაგალითებია ატომური ენერჯისა და ლაზერის აღმოჩენა, რომელმაც რევოლუცია მოახდინა ეკონომიკის ყველა დარგში. სამეცნიერო-ტექნიკური მიღწევების წარმოებაში დანერგვა, ახალი ტიპის მანქანებისა და ტექნოლოგიის, ახალი მასალების ათვისება მეცნიერებას აქცევს საწარმოო ძალად, იქმნება ერთიანი სისტემა „მეცნიერება-ტექნიკა-წარმოება-გამოყენება“.

მეცნიერების საწარმოო ძალად გადაქცევა ხელს უწყობს წარმოების ეფექტიანობის ამაღლებას, აჩქარებს ინტენსიფიკაციის პროცესს, მტკიცდება კავშირი წარმოებასა და მეცნიერების შორის. მეცნიერება წინ უსწრებს წარმოებას, იქნება წარმოების ტექნიკური გადაიარაღების შესაძლებლობა. თავის მხრივ ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიის ათვისება ხელს უწყობს მეცნიერების მიღწევების წარმოებაში დანერგვის პროცესის დაჩქარებას.

მეცნიერების საწარმოო ძალად გადაქცევას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. იგი ამდიდრებს წარმოების ყველა ელემენტს და ხელს უწყობს შრომის მწარმოებლურობის ამაღლებას, აძლიერებს ეკონომიკის მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას. მეცნიერების უშუალოდ საწარმოო ძალად გადაქცევა გამოხატულებას პოულობს არა მარტო მეცნიერებაში, ტექნიკასა და ეკონომიკაში, არამედ იგი განსაკუთრებულ მოთხოვნებს უყენებს საზოგადოების უმთავრეს მწარმოებლურ ძალას—ადამიანს. იგი აყენებს ადამიანის კვალიფიკაციის, პროფესიული დაოსტატებისა და

შემოქმედებითი უნარის ამაღლების საჭიროებას. ამავე დროს იცვლება ადამიანსა და ტექნიკას შორის ურთიერთ დამოკიდებულება. ადამიანი ასრულებს ტექნიკის მარეგულირებელ, გამმართველ და მაპროგრამებელ ფუნქციას. მკვეთრად იცვლება შრომის შინაარსი და ხასიათი, იზრდება კადრების კვალიფიკაციის ამაღლების მოთხოვნა.

ახალი ადამიანის ფორმირების პროცესი დამოკიდებულია ტექნიკურ პროგრესზე, ხოლო პიროვნების შემოქმედებითი აქტივიზაცია, კულტურა და განათლება ერთ-ერთი ნიშნულოვანი ფაქტორია ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემათა გადაწყვეტისათვის.

ადამიანის პიროვნების აქტივიზაცია – ეს არის მშრომელთა შემოქმედებითი და სოციალური აქტივობის გაღვივება, მათი შეგნებული, ინიციატივიანი და ინტერესიანი მონაწილეობა ეკონომიკურ და პოლიტიკურ საქმიანობაში.

მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მნიშვნელობა და მისი როლი ეკონომიკის აღმავლობაში.

მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი, უპირველეს ყოვლისა, წარმოების ეფექტიანობის და შრომის მწარმოებლურობის განუზრვლელი აღმავლობის საფუძველია. შრომის მწარმოებლურობის ამაღლებაზე მოქმედ ყველა ფაქტორს შორის ორ მესამედზე მეტი მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის წილად მოდის. შრომის ტექნიკური აღჭურვილობის შედეგად მცირდება პროდუქციის ერთეულზე სამუშაო დროის დანახარჯები. ამავე დროს, შრომის საერთო დანახარჯში იზრდება პროდუქციის ერთეულზე განივთებული შრომის ხვედრითი წილი და შესაბამისად მცირდება ცოცხალი შრომის დანახარჯი. შრომის ახალი იარაღის დანერგვას თან სდევს საწარმოო ფონდების აქტიური ნაწილისა და ფონდშივარაღების ზრდა. პროგრესული ტექნიკის განვითარება საშუალებას იძლევა ადამიანის ინტელექტუალური განვითარებისათვის, ამაღლებს მის კვალიფიციურ და კულტურულ დონეს, ათავისუფლებს მას ფიზიკური შრომისაგან. ადამიანი ხდება საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური გარდაქმნის აქტიური მონაწილე. მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი იწვევს წარმოების ავტომატიზაციის დონის ამაღლებას. ქრება ძველი, დრომოჭმული საქმიანობები, მათ დგილს იკაებებს ახალი პროფესიები – პროგრამისტების, გამმართველობის,

ოპერატორების, რომელთა შრომა თავისი შინაარსით უახლოვდება ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა ღონეს, იზრდება მუშაკთა კვალიფიკაცია, გონებრივი შრომის ხვედრითი წილი. ამდენად მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი განსაზღვრავს მუშაკთა კვალიფიკაციისა და კულტურულ-ტექნიკურ ღონეს.

მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს მრეწველობის დარგობრივ სტრუქტურაზე. იქმნება ახალი დარგების ორგანიზაციის აუცილებლობა, ვითარდება დარგთაშორისი და შიგადარგობრივი კავშირები.

ღიღია ტექნიკური პროგრესის გავლენა წარმოების ძირითადი და საბრუნავი ფონდების გამოყენებაში, სამრეწველო პროდუქციის ხარისხის ამაღლებისა და თვითღირებულების ყველა ელემენტის შემცირებაში. ახალი ტექნიკა და ტექნოლოგია (ლითონების ცივად დამუშავება, პლაზმური და ლაზერული ტექნოლოგია და სხვა) საგრძნობლად ამცირებს ნედლეულის, მასალების, ენერჯისა და სათბობის დანახარჯებს, რიგ შემთხვევაში ტრადიციულ და ძვირად ღირებულ მასალებს ცვლის ხელოვნური და სინთეზური იაფი მასალები. შრომის მწარმოებლურობის ზრდის შედეგად პროდუქციის ერთეულზე მცირდება თვითღირებულებაში ხელფასის ხვედრითი წილი. წარმოების მასშტაბების ზრდის შედეგად კი მცირდება წარმოების ზედნაღები დანახარჯები.

მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს პროდუქციის ხარისხზე. პროგრესული ტექნიკა და ტექნოლოგია საშუალებას გვაძლევს გაეზარდოს მანქანამოწყობილობათა საიმედოობა, ხანგამძლეობა, სიმტკიცე, ექსპლუატაციის ვადა. ამასთან ერთად ქმნის შესაძლებლობებს ტექნოლოგიური პროცესებისა და მზა პროდუქციის კონტროლის ავტომატიზაციის საშუალების, კონტროლის პროგრესული მეთოდების გამოყენებისთვის და სხვა.

წარმოების ელექტროფიკაცია, ჰიმიზაცია და ავტომატიზაცია ხელს უწყობს მაღალი პარამეტრების მქონე ტექნიკის წარმოებას, ამაღლებს წარმოების ინტენსიფიკაციას, რის შედეგადაც შესაძლებელი ხდება საწარმოთა სიმძლავრეების გამოყენების გაუმჯობესება. დამხმარე საწარმოო პროცესების მექანიზაცია და ავტომატიზაცია ხელს უწყობს ძირითადი ტექნიკოლოგიური პროცესებში მოცდენების ლიკვიდაციას. მოწყობილობის დატვირთვის კოეფიციენტის ამაღლება შესაძლებელია მთელი საწარმოო პროცესების კომპლექსური მექანიზაციისა და ავტომატიზაციის მეშვეობით.

საწარმოო სიმძლავრის გამოყენებაზე დიდ გავლენას ახდენს წარმოების ავტომატიზაცია, იგი ხელს უწყობს დამხმარე დროის მინიჭებამდე აყვანას, ტექნოლოგიური ციკლის შემცირებას და ძირითადი ტექნოლოგიური მოწყობილობის ინტენსიფიკაციას. განუწყვეტელი ტექნოლოგიური პროცესების დანერგვა შესაძლებელია მხოლოდ მართვისა და კონტროლის ავტომატიზებული სისტემების გამოყენებით. რობოტების, მრავალფუნქციური ჩარხებისა და მოქნილი საწარმოო სისტემების, უცირველ ელექტრონული გამომთვლელი მანქანების, პერსონალური ელექტრონული გამომთვლელი მანქანებისა და რიცხვული-პროგრამული მართვის ჩარხების, „დამმუშავებელი ცენტრისა“ და ურღვევი კონტროლის საშუალებათა გამოყენებას ძირეული გარდატეხა შეუძლია მოახდინოს წარმოებისა და შრომის ორგანიზაციაში.

განუსაზღვრელია მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის როლი წარმოების ინტენსიფიკაციის პროცესში: ინტენსიფიკაციის პროცესის დაჩქარება ჩვენი ეკონომიკის კრიზისული მდგომარეობიდან გამოყვანის აუცილებელი პირობაა. საქმე ის არის, რომ წარმოების მასშტაბები განუზრელად იზრდება, ხოლო მისთვის საჭირო რესურსები თანდათან მცირდება. დადგენილია, რომ ყოველ 20-30 წლის განმავლობაში წარმოების მიერ ზონმარებული რესურსები ორჯერ იზრდება. მეორე მხრივ, სამუშაო ძალისა და კაპიტალდაბანდებისათვის საჭირო რესურსების შეზღუდვის პირობებში აუცილებელი ხდება ქვეყნის ეკონომიკის სწრაფად გადაყვანა საბაზო ეკონომიკაზე, რომელიც დამყარებულია უფრო ეფექტური წარმოების საშუალებების, ტექნოლოგიური პროცესების, შრომის მოწინავე მეთოდების, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის გამოყენებაზე.

წარმოების ყველა სახის რესურსების ეკონომია – მასალატევადობის, შრომატევადობის შემცირება შესაძლებელია მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის საფუძველზე. საწარმოო პროცესების მექანიზაცია და ავტომატიზაცია ამცირებს პროდუქციის შრომატევადობას; ეკონომიური პროდუქციის მასალებისა და ენერჯის შექმნა და წარმოებაში დანერგვა იძლევა მასალატევადობის შემცირებას; უფრო მაღალმწარმოებლური, საიმედო მანქანებისა და მოწყობილობის შექმნა და წარმოებაში გამოყენება ამცირებს პროდუქციის ფონდტევადობას და ზრდის ფონდუკუებას.

ამრიგად, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი ახალი პროგრესული მაღალმწარმოებლური და რესურსდამზოვი ტექნიკისა და ტექნოლოგიის

შექმნითა და მათი წარმოებაში გამოყენებით იძლევა საზოგადოებრივი შრომის ეკონომიას, ქმნის მატერიალურ საფუძველს წარმოების ინტენსიფიკაციის გზით განვითარებისათვის.

მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესზე მოქმედი ფაქტორები

მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებისა და წარმოების უფექტიანობის ამაღლების მძლავრი ფაქტორია მეცნიერების განვითარება. მსოფლიო მეცნიერებას მნიშვნელოვანი მიღწევები გააჩნია მეცნიერულ კლევამი ფუნდამენტური კვლევის საფუძველზე ენერგეტიკის, მყარი სხეულების, ფიზიკის, ოპტიკის, რადიოფიზიკის, გაზების დინამიკისა და თბოფიზიკის სფეროში მიღწეულ იქნა ახალი აღმოჩენები ლაზერული ტექნიკისა და გენური ინჟინერიის დარგში.

საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პროცესში მრეწველობაში საგრძნობლად დაეცა ფუნდამენტური მეცნიერული კვლევის დონე. უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში დაფინანსების შეწყვეტის გამო მეცნიერული კვლევა ჩვენს ქვეყანაში თითქმის შეწყდა. მეცნიერებათა აკადემიის სისტემის კვლევითმა ინსტიტუტებმა და ცენტრებმა მეცნიერთა დიდი რაოდენობა დაკარგა, მათმა ნაწილმა საზღვარგერეთის საკვლელ ინსტიტუტებს მიაშურეს, ხოლო დანარჩენმა ბიზნესის სფეროში გადაინაცვლა. ბევრი ინსტიტუტის ტექნიკური ბაზა განადგურებული და გაძარცულია. ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის გამო მეცნიერული პოტენციალის აღდგენას დიდი დრო და სახსრები დასჭირდება.

დღეისათვის მოქმედ ბიზნეს თითქმის არ სჭირდება ფუნდამენტური კვლევა, რომელიც დიდ კაპიტალდაბანდებას მოითხოვს, ხოლო მისი უკუგება ნაკლებად სარწმუნოა და ზოგჯერ უიმედოც. თანამედროვე ბიზნესმენები თავის ინვესტორებს ისეთ საქმეში აბანდებენ, რომელიც მოკლე ხანში ამოიღება, სათანადო მოგებით. ჯერჯერობით ქვეყნის მცირე ბიუჯეტს კი არ ძალუძს მეცნიერული კვლევის განახლება.

მეცნიერული კვლევის შედეგების გამოყენების დონე დამოკიდებულია მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების წარმოებაში დანერგვის ორგანიზაციაზე, მეცნიერული კვლევის შედეგების დანერგვის ორგანიზაცია კი - მეცნიერებისა და ტექნიკის შედეგების რეალიზაციის ციკლის თავისებურებებზე. მეცნიერებისა და ტექნიკის რეალიზაციის ციკლი

მოიცავს დროის პერიოდს მეცნიერული კვლევიდან წარმოებაში მისი შედეგების გამოყენებამდე (სქემა 17.1). „მეცნიერება-ტექნიკა-წარმოება-ამოყენება“ მოიცავს სამეცნიერო, საწარმოო და მოხმარების სფეროში პროდუქციის სასიცოცხლო ციკლს. სამეცნიერო-საწარმოო ციკლი არის ტექნიკის შექმნის, ათვისებისა და წარმოების პროცესი, მაშინ როდესაც პროდუქციის სასიცოცხლო ციკლი მოიცავს პერიოდს მეცნიერულ-ტექნიკური მომზადებიდან მისი ახალი, უფრო ეფექტური ტექნიკით შეცვლამდე.

განვიხილოთ უფრო დაწვრილებით პროცესი - „მეცნიერება-ტექნიკა-წარმოება-გამოყენება“.

ფუნდამენტური კვლევა - თეორიულ-მეცნიერული კვლევაა. იგი იკვლევს ბუნებისა და საზოგადოების განვითარების ზოგად კანონზომიერებებსა და მათ თავისებურებს. მის საფუძველზე იქმნება ახალი იდეები. ფუნდამენტრი კვლევის თავისებურებაა დანახარჯების დიდი რაოდენობა მიღებულ შედეგებთან შედარებით. კვლევა ყოველთვის არ მთავრდება დადებითი შედეგებით, მაგრამ სამაგიეროდ ერთეული ახალი იდეა მთლიანად ანაზღაურებს მრავალწლიან შრომაზე დანახარჯებს. ფუნდამენტური კვლევის შედეგია ახალი აღმოჩენები, რომელიც ცელის ადამიანის დამოკიდებულებას ბუნების ძალებისადმი და გადატრიალებას ახდენს არსებულ ტექნიკაში. მათ დიდი საერთო სახალხო-ბეურნეობრივი მნიშვნელობა აქვთ. (მაგ.: ორთქლის მანქანა, რადიო, ტელევიზორი, ლაზერის სხივი, ატომის დაშლა და სხვა). მეცნიერულ-ფუნდამენტური კვლევის შედეგია ახალი იდეები და აღმოჩენები, რომლებიც შემდგომ გადაეცემა საძიებო კვლევას.

საძიებო კვლევა არის ფუნდამენტური კვლევის შედეგად მიღებული იდეების შერჩევა, მათი ცხოვრებაში გამოყენების შესაძლებლობისა და პირობების, ასევე მისი გამოყენების სფეროების, მოსალოდნელი შედეგისა და გამოყენების მიზანშეწონილობის დადგენა.


გამოყენებითი მეცნიერული კვლევა გვაძლევს ინფორმაციას მოცემული იდეის საფუძველზე ახალი ტექნიკის, ტექნოლოგიისა და კონკრეტული ნაწარმის ნიმუშის შექმნის შესახებ. ამავე დროს დგება კონსტრუქტორული და ტექნოლოგიური გადაწყვეტილებების ეკონომიკური დასაბუთება.

საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაო. ამ სტადიაზე მუშავდება საცდელი ნიმუში და შესაბამისი დოკუმენტაცია, ხდება კონსტრუქტორულ და ტექნოლოგიურ გადაწყვეტილებათა შემოწმება და რეალიზაცია.

ათვისება ის პროცესია, როდესაც წარმოების სპეციფიკური პირობების მიხედვით ხდება ახალი პროდუქციის ტექნოლოგიის დაზუსტება, კორექტირება, განისაზღვრება ნაწარმის ნომენკლატურა და წარმოების პროგრამა. ათვისების დროს ხდება საცდელი პარტიების გამოშვება, მათი ტექნოლოგიური და კონსტრუქტორული მაჩვენებლების შედარება პროექტთან და კორექტირება, ამავე დროს ხდება მოწყობილობის შერჩევა და მათი მუშაობის რეჟიმების დაზუსტება. ათვისების პერიოდი მით უფრო მცირეა, რაც უფრო მაღალ დონეზეა შესრულებული საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოები. როგორც წესი საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოების ჩასატარებლად სამეცნიერო საკვლევ ინსტიტუტებს უნდა გააჩნდეს თავისი საწარმოო ბაზა საცდელი ნიმუშების დასამზადებლად და გამოსაცდელად. ექსპერიმენტული და საწარმო-ექსპერიმენტული ბაზები და საწარმოები ამჟამად სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების აუცილებელ სტრუქტურულ ქვედანაყოფად გადაიქცა. პროდუქციის ათვისების შემდეგ ხდება ფასების დამტკიცება და რესურსების ხარჯვის ნორმებისა და ნორმატივების დადგენა, რის შედეგადაც იწყება ახალი პროდუქციის სერიული ან მასიური წარმოება. როგორც წესი, ახალი ნიმუშის პროდუქციის ხარისხობრივი მაჩვენებლები არ უნდა იყოს მსოფლიოს სტანდარტების მოთხოვნებზე დაბლა.

ახალი პროდუქციის ათვისების შემდეგ იწყება ამ პროდუქციის სერიული ან მასიური წარმოება-დანერგვა.

დანერგვა გულისხმობს ახალი პროდუქციის წარმოების ორგანიზაციას, დაგეგმილი ნომენკლატურით და მოცულობით (სქემა 17.1). სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების მუშაობის ანალიზი გვიჩვენებს, რომ სამეცნიერო საწარმოო ციკლში, სამეცნიერო კვლევის შედეგების წარმოებაში დანერგვაზე დახარჯული დრო დაახლოებით 60 % შეადგენს. ამ ეტაპის ყველაზე შრომატევადი სამუშაო წარმოების ტექნოლოგიური მომზადებაა. ზოგჯერ მასზე დროის დანახარჯები 3-5-ჯერ აღწარებს საკონსტრუქტორო მომზადების დროს.



სქემა 17.1. ახალი პროდუქციის შექმნის, გამოყენებისა და რეალიზაციის ეტაპები.

17.2. მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ძირითადი მიმართულებები

მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ძირითადი მიმართულებები დამოკიდებულია მეურნეობის მართვის ღონესა და დროის პერიოდზე. საზოგადოების განვითარების სხვადასხვა ეტაპზე მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ძირითადი მიმართულებები შესაბამისად იცვლება, აზრდება წარმოების მექანიზაციისა და ავტომატიზაციის დონე, ჩნდება ახალი მიმართულებები. სახალხო მეურნეობის დონეზე მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ტრადიციულ მიმართულებებად ითვლება: მექანიზაცია, ავტომატიზაცია, ელექტროფიკაცია, ქიმიზაცია და ენერგეტიკის ახალი წყაროების გამოყენება.

მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიმართულებები დარგების მიხედვით განსხვავებულია და დამოკიდებულია დარგის სპეციფიკაზე.

წარმოების კომპლექსური ავტომატიზაცია ნიშნავს ხელით შრომის შეცვლას მანქანებით, ცალკეული ოპერაციების ავტომატიზაციიდან ყველა ძირითადი და დამხმარე ტექნოლოგიური ოპერაციის კომპლექსურ ავტომატიზაციაზე გადასვლას, წარმოებასა და მართვაში ავტომატიზებული სისტემების დანერგვას. წარმოების ავტომატიზაცია ორი მიმართულებით მოქმედებს. ერთი ევლას ხელით შრომას ავტომატებით და ათავისუფლებს ადამიანს შიშვე ფიზიკური შრომისაგან, მეორე, იძლევა შრომის ეკონომიას, ათავისუფლებს სამუშაო ძალას, ამცირებს თვითღირებულებაში შრომის დანახარჯებს.

წარმოების ავტომატიზაციის დონის შეფასებისათვის მეცნიერ-ეკონომისტების დიდი ნაწილის მიერ რეკომენდებულია შრომის ავტომატიზაციის დონის მაჩვენებელი, მაგრამ მისი გაანგარიშების მეთოდის შერჩევაში ერთიანი აზრი არაა. ზოგიერთი ეკონომისტი ასევე გთავაზობს ამ მაჩვენებლის გაანგარიშებისათვის მრავალ მაჩვენებელს. პროფესორი გ.კრაუხინი გთავაზობს წარმოების ავტომატიზაციის დონის გასაანგარიშებლად შემდეგ ფორმულას:

$$Y_{12} = t_1/t_{12}$$

სადაც t_1 ავტომატიზებული შრომის დროა, კაც/სთ; t_{12} ხელით მუშაობის დრო, კაც/სთ.

წარმოების ავტომატიზაციის დონე შეიძლება გაანგარიშებულ იქნეს პროდუქციის მიხედვით:

$$Y_{6a} = B_a / B_b \times 100,$$

სადაც B_a არის პროდუქციის წარმოების მოცულობა ავტომატურ მოწყობილობაზე; B_b - არის პროდუქციის წარმოების საერთო მოცულობა ამავე ნომენკლატურასა და დროში.

წარმოების ავტომატიზაციის დონე ასევე შეიძლება განისაზღვროს მოწყობილობის მიხედვით და მუშახელით:

$$Y_{6a} = Q_a / Q_b \times 100, \text{ ან } Y_{6a} = P_a / P_b \times 100,$$

სადაც Q_a და Q_b არის შესაბამისად ავტომატიზებული მოწყობილობისა და წარმოებაში მოქმედ მოწყობილობის საერთო რაოდენობა; P_a , P_b - ავტომატურ მოწყობილობაზე მომუშავეთა და მთლიანად წარმოებაში მომუშავე მუშაკთა საერთო რიცხვი.

წარმოების ქიმიზაცია. ქიმიზაცია ქიმიური და სინთეზური მასალებისა და ქიმიურ-ტექნოლოგიური პროცესების გამოყენებას გულისხმობს. ქიმიზაციის მატერიალური საფუძველი ქიმიური მრეწველობაა. ქიმიური პროცესები ფართოდ გამოიყენება თანამედროვე მრეწველობაში, მაგალითად: თბოპროცესები (გახურება, გაცხელება და სხვა), ნივთიერებათა ცვლა (დიფუზია), თერმული დამუშავება, ზედაპირის დაფარვა. ქიმიზაციის მნიშვნელობა იმაში გამოიხატება, რომ იგი იძლევა ნედლეულის რესურსების გაფართოების საშუალებას, ამავე დროს მცირდება ნედლეულის შრომატევადობა, ფართოვდება პროდუქციის ნომენკლატურა, ტრადიციული ძვირადღირებული ნედლეული და მასალები იცვლება იაფფასიანი სინთეზური მასალებით. მანქანათმშენებლობაში ფართოდ გამოიყენება ქიმიური მასალები - პლასტმასები.

მრეწველობაში ორგანული სინთეზი მნიშვნელოვნად აღიდეგს ახალი სახის ნედლეულსა და მასალებს: სინთეზური საღებავები, ფისები, სინთეზური ქსოვილები, სინთეზური კაუჩუკი, სინთეზური ამონიუმი და სხვა, რომელთა უმრავლესობა ფართოდ გამოიყენება მანქანათმშენებლობაში. ქიმიური მრეწველობა ამჟამად ღებულობს 50 ათასზე მეტ არაორგანულ და ორგანულ ნაერთებს. თავისი ხარისხითა და ეფექტიანობით ქიმიური პროდუქტები ბევრად აჭარბებს ტრადიციულ ნედლეულსა და მასალებს. ქიმიური პროდუქტები წარმატებით გამოიყენება მანქანებისა და მოწყობილობათა ექსპლუატაციის ვადის გახანგრძლივების

სათვის, მცენართა და ადამიანთა ჯანმრთელობის დაცვისათვის. განსაკუთრებით ფართოდ გამოიყენება ქიმიური პროდუქტები და მასალები ელექტროტექნიკურ მრეწველობაში.

ქიმიური მრეწველობის განვითარების გარეშე შეუძლებელია მრეწველობის განვითარება ტექნიკის ისეთ დარგებში, როგორცაა: ბირთვული, კოსმოსური, ელექტრონული და სხვა. იგი საშუალებას გვაძლევს შევქმნათ წინასწარ გამიზნული თვისებების მქონე ნივთიერებანი. ქიმიური მასალები გვიზოგავს დიდი რაოდენობით ლითონს, ხეტყეს, ნაფთოსა და ა.შ. (1 ტ. პლასტმასა ზოგავს 4-5 ტ. ფოლადს, 3 ტონამდე ფერად ლითონს). ათასი ტონა პლასტმასის გამოყენება გვიზოგავს 500 ათას ლარს, პლასტიკური მასალებისაგან დეტალების დამზადების დროს 8-ჯერ მცირდება შრომატევადობა.

ქიმიური მასალების გამოყენება გარდა იმისა, რომ გვიზოგავს ძვირფას ნედლეულს და მასალებს, იძლევა შრომატევადობის და თვითღირებულების შემცირებას, კაპიტალური დანახარჯები 1 ტონა პოლიმერულ მასალებზე 6-7 ჯერ ნაკლებია, ვიდრე ლითონკონსტრუქციებზე, რომელსაც ცვლის ქიმიური მასალები.

ქიმიზაციის დონე წარმოებაში განისაზღვრება სხვადასხვა მაჩვენებლებით. იგი შეიძლება გამოვხატოთ ქიმიური მასალების (რაოდენობით ან წონით) ხვედრითი წილის, მანქანის საერთო წონის ან დეტალების რაოდენობის მიმართ:

$$Y_3 = Q_3 / Q,$$

სადაც Y_3 ნაწარმის მთლიანი წონაა, Q_3 - ამ ნაწარმში გამოყენებული ქიმიური მასალების წონა. ქიმიზაციის დონე ასევე შეიძლება გამოვხატოთ შრომატევადობის მაჩვენებლებით-ქიმიური მასალების გამოყენებით დამზადებული ნაწარმის შრომატევადობის შეფარდებით მისი გამოყენების გარეშე დამზადებული პროდუქციის შრომატევადობასთან.

ქიმიზაციის დონე ასევე შეიძლება გამოვხატოთ მთლიანი სასაქონლო პროდუქციის ლვითღირებულებაში გამოყენებული ქიმიური პროდუქტებისა და ნახევარფაბრიკატების ხვედრითი წილით.

ელექტროფიკაცია წამყვან როლს თამაშობს ტექნიკური პროგრესის განვითარებაში, მთელ სახალხო მეურნეობაში. ელექტროფიკაცია ნიშნავს ელექტროენერჯიის ფართოდ გამოყენებას სახალხო მეურნეობაში. ელექტროენერჯია ავტომატიზაციის საფუძველია, იგი ფართოდ გამოიყენება როგორც წარმოების, ისე სოციალურ სფეროში. მრეწველობა მოითხოვს

ქვეყნის ელექტროენერჯის 70 %. მრეწველობაში ელექტროენერჯის მოხმარებას სამი ძირითადი მიმართულება აქვს. ძალოვან ენერჯიაზე მთელი ენერჯის ორი მესამედი იხარჯება, ტექნოლოგიურ პროცესებზე 30%, განათებაზე, ვენტილაციაზე და საყოფაცხოვრებო დანიშნულებაზე 5 %.

საქართველოს ელექტროენერჯის წარმოების 80%-მდე მოდის აბოელექტროსადგურებზე. სისტემატურად იზრდება შრომის, ენერჯო და ელექტრო-აღჭურვილობა, რაც შრომის შწარმოებლურობის ზრდის საფუძველია. 1970 წელთან შედარებით 1983 წელს მრეწველობაში შრომის ენერჯოშეიარაღება 154 %-ით გაიზარდა, ხოლო ელექტრო-შეიარაღება-148%-ით.

მრეწველობაში წარმოების ელექტროფიკაციის დონე განისაზღვრება ელექტრო-შეიარაღებისა და ენერჯოშეიარაღების მაჩვენებლებით. შრომის ელექტრო-შეიარაღება განისაზღვრება ერთ მუშაზე (მომუშავეზე) მოხმარებული ელექტროენერჯის რაოდენობით:

$$B = Q_3 / P,$$

სადაც Q_3 წელიწადში მოხმარებული ელექტროენერჯის რაოდენობა კვტ/საათში;

P - მუშათა (მომუშავეთა) რაოდენობა წელიწადში.

შრომის ენერჯოშეიარაღება ერთ (მუშაზე) განიზომება მოხმარებული ყველა სახის ენერჯის (თბო, ელექტრო და სხვა) რაოდენობა შეფარდებული მომუშავეთა რაოდენობასთან:

$$N_{\Sigma} = N_j / P$$

მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მანქანათმშენებლობის მრეწველობაში განსაკუთრებული თავისებურებით ხასიათდება. ზემოთ აღნიშნული მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიმართულებანი საერთოა სახალხო მეურნეობის ყველა დარგისათვის. გარდა ზოგადისა, ყველა დარგის მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესს გააჩნია გარკვეული თავისებური მიმართულებანი.

— სამრეწველო საწარმოო ტექნიკური პროგრესი ორი მიმართულებით ეითარდება: 1. გამოშვებული პროდუქციის განუწყვეტელი სრულყოფით (მანქანების, მოწყობილობების, ხელსაწყოების ხარისხის ამაღლება); 2. თვით წარმოების ორგანიზაციულ-ტექნიკური ბაზის სრულყოფით.

პირველი მიმართულებისათვის დამახასიათებელია: მაღალი სიჩქარის, ერთეული სიმძლავრის, მანქანებისა და აგრეგატების წარმოება, რომლებიც აღჭურვილი არიან თვითმარეგულირებელი ხელსაწყოებითა და ავტო-

მატური მოწყობილობებით; ტექნოლოგიურ მანქანათა სისტემების შექმნა, რომლებიც მოიცავენ ყველა ტექნოლოგიურ ოპერაციას დაწყებული ნედლეულის ჩაშვებიდან მზა პროდუქციის გამოშვებამდე. ამავე დროს ძირითადი ამოცანაა ხვედრითი ენერგოტექვადობისა და ლითონტექვადობის სისტემატური შემცირება. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება პროდუქციის ხარისხის ძირეულ გაუმჯობესებას, რომლის გარეშეც შეუძლებელია საწარმოო და სოციალური ამოცანის გადაწყვეტა.

მეორე მიმართულება – ეს არის ტექნოლოგიის სრულყოფა. ტექნოლოგია განაპირობებს შრომის საშუალებისა და შრომის საგნების გაუმჯობესების აუცილებლობას მეცნიერებისა და ტექნიკის დანერგვის საფუძველზე.

ამჟამად ფართოდ იხერგება შრომის საგნებზე ზემოქმედების ახალი მეთოდები – ელექტროტექნიკური, სხივური, ქიმიური, ელექტროქიმიური, ბიოლოგიური და სხვა. დიდია მასალების შერჩევის შესაძლებლობა – ტრადიციული და ახალი წინასწარ განზრახული თვისებით და სხვა.

17.3. მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ეფექტიანობა

სახალხო მეურნეობის ინტენსიფიკაციის და მისი ეფექტიანობის ამაღლების საფუძველია მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარება.

მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ეფექტის ქვეშ იგულისხმება მისი მთლიანი ციკლის – „მეცნიერება-ტექნიკა-წარმოება-გამოყენება“ – ცალკეულ სტადიაზე მიღებული აბსოლუტური შედეგის ჯამი.

მეცნიერული ეფექტი კი ასახავს მეცნიერული კვლევის შედეგად შრომის საგნებისა და შრომის იარაღების შექმნისა და მათი წარმოებაში დანერგვის სფეროში ახალი მოვლენების აღმოჩენასა და მათი გამოყენების ეკონომიკური შესაძლებლობების განსაზღვრას.

მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის შედეგად მიღებული მეცნიერული ეფექტი საშუალებას გვაძლევს შევქმნათ ახალი გაუმჯობესებული ტექნიკა და ტრადიციული ნედლეულისა და მასალების შემცველები, რაც, თავის მხრივ, გამოიხატება ტექნიკურ ეფექტში.

მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის საბოლოო მიზანია მოსახლეობის სოციალური პირობების გაუმჯობესება – სოციალური ეფექტის მიღება. მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დანიშნულებაა ადამიანის შრომის

ხასიათისა და შინაარსის შეცვლა, შრომის შემსუბუქება, გონებრივ და ფიზიკურ შრომას შორის განსხვავების დაძლევა, მოსახლეობის შრომისა და დასვენების პირობების გაუმჯობესება, ქვეყნის მეცნიერულ-ტექნიკური დამოუკიდებლობისა და თავდაცვისუნარიანობის გამტკიცება.

განსხვავებით ეკონომიკური ეფექტისა – ეკონომიკური ეფექტიანობა შეფარდებითა მაჩვენებელია. იგი იანგარიშება მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის შედეგების დანერგვით მიღებული ეკონომიკური ეფექტის შეფარდებით ამ ღონისძიებაზე გაწეულ დანახარჯებთან და გვიჩვენებს ტექნიკურ პროგრესზე გაწეული დანახარჯების ეფექტიანობას, მათ უკუგებას.

ახალი ტექნიკის ვარიანტთა შერჩევა ემყარება სახალხო-მეურნეობრივ ეკონომიკურ ეფექტიანობას, რომელიც განისაზღვრება ეფექტის შეფარდებით მის გამომწვევ სახალხო-მეურნეობრივ დანახარჯებთან. ეს იმაზე მიგვითითებს, რომ ახალი ტექნიკის გამოყენების მიმართულებათა განსაზღვრის დროს უნდა ვიხელმძღვანელოთ არა ვიწრო უწყებრივი მიდგომით, არამედ უპირატესად სახალხო მეურნეობის ინტერესებიდან გამომდინარე.

სამეურნეო-ანგარიშებრივი ეფექტიანობა განისაზღვრება ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიის მასშტაბით. იგი იანგარიშება საწარმოს ან დარგის მიერ მისი დანერგვით მიღებული ეფექტის შეფარდებით წარმოების მიერ გაწეულ დანახარჯებთან. აქედან გამომდინარე, დარგისა და საწარმოო გაერთიანების ამოცანაა ახალი ტექნიკის, ტექნოლოგიის, შრომისა და წარმოების ორგანიზაციის პროგრესული მეთოდების დანერგვით უზრუნველყოს სამეურნეო-ანგარიშებრივი ეფექტის - „წმინდა“ მოგების ზრდა. ამრიგად სამეურნეო-ანგარიშებრივი ეფექტიანობა განისაზღვრება შემოსავლის შეფარდებით დანახარჯებთან.

17.4. ახალი ტექნიკის შეფარდებითი ეკონომიკური ეფექტიანობის ვარიანტების განსაზღვრა

ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიის შერჩევის დროს გვხვდება მრავალი ვარიანტი, რომლებიც განსხვავდებიან როგორც მეთოდებით, ისე – საშუალებებით. მრავალი შესაძლო ვარიანტიდან ირჩევენ უფრო რაციონალურ-ეფექტურ ვარიანტს. დასაპროექტებელი ახალი ტექნიკა და ტექნოლოგია შემოწმებულ უნდა იქნეს ტექნიკური, ორგანიზაციული,

ეკონომიკური, სოციალური და ეკოლოგიური მიზანშეწონილების თვალსაზრისით. სწორედ ასეთი ყოველმხრივი ანალიზი საშუალებას იძლევა განსაზღვროთ ახალი ტექნიკის დანერგვით მოსალოდნელი ეკონომიკური ეფექტიანობა მთელი ქვეყნის მასშტაბით.

ახალი ტექნიკის ვარიანტების მიზანშეწონილების განსაზღვრის დროს გამოიყენება შემდეგი მაჩვენებლები: ტექნიკური, ორგანიზაციული, სოციალური, ეკოლოგიური და ბოლოს ეკონომიკური. ახალი ტექნიკის შერჩეული ვარიანტის მიზანშეწონილების ანალიზი მიზნად ისახავს დადგინდეს პროდუქციის წარმოების მოცულობის მოთხოვნა განსაზღვრულ ვადებში, მათი უპირატესობა და უარყოფითი მხარეები წარმოების ორგანიზაციულ სტრუქტურაში. ანალიზის დროს გამოიყენება შემდეგი ორგანიზაციული მაჩვენებლები: წარმოების ორგანიზაციული მომზადება (წარმოების მომზადების ციკლის ხანგრძლივობა და სირთულე); საწარმოს საამქროსა და უბნის საწარმოო სტრუქტურა; საწარმოო პროცესის ორგანიზაცია დროის მიხედვით; მუშაობის რეჟიმი და წარმოების საშუალებების გამოყენება დროის მიხედვით (დროის ფონდი, ცვლიანობის კოეფიციენტი, მოწყობილობის ექსტენსიური დატვირთვის კოეფიციენტი და სხვა); საზღვარგარეთის სხვადასხვა საწარმოთა მაჩვენებლებს. როგორც ტექნიკური, ისე ორგანიზაციული მაჩვენებლები საწყის მაჩვენებლად ითვლებიან ვარიანტების ეკონომიკური ანალიზებისათვის.

ახალი დასაპროექტებელი ან დასანერგი ტექნიკის რაციონალურობის განსაზღვრისათვის ასევე საჭიროა განისაზღვროს მისი სოციალური მნიშვნელობა შემდეგი მაჩვენებლების მიხედვით: მუშაკთა პროფესიული და კვალიფიციური სტრუქტურის ცვლილებების (სხვადასხვა პროფესიისა და განათლების, სხვადასხვა დონის ხედრითი წილი, მომუშავეთა საშუალო თანრიგი); შრომის მექანიზაციისა და ავტომატიზაციის დონის ამაღლების; შრომის პირობების გაუმჯობესების. (შრომის ენერგოშეიარაღება, ჰაერის დაჭუჭყიანება, ტემპერატურის მუდმივობა, სამუშაო შენობის განათების დონე, ვიბრაციისა და ხმაურის დონე და სხვა) მიხედვით.

ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიის ვარიანტის შერჩევის დროს დიდი მნიშვნელობა აქვს ასევე ეკოლოგიურ ფაქტორს. ახალი ტექნიკის მოქმედება გარემო პირობებზე შეიძლება იყოს დადებითი და უარყოფითი.

რაც იწვევს ახალი ტექნიკის ვარიანტების შერჩევის დროს დანახარჯების ზრდას.

დასაპროექტებული მანქანებისა და მოწყობილობათა რაციონალური ვარიანტების შერჩევა მთავრდება ეკონომიკური ანალიზით, რომელიც გამოიხატება ახალი ტექნოლოგიის დანერგვით, სახალხო მეურნეობაში მიღებული ეკონომიკური ეფექტით.

შესადარი ბაზის შერჩევა. ეკონომიკური ეფექტიანობის გაანგარიშების დროს დიდი მნიშვნელობა აქვს შესადარი ბაზის სწორად შერჩევას, ვინაიდან ეკონომიკური ეფექტიანობის განსაზღვრა დამოკიდებულია იმ ტექნიკის ეფექტიანობის მაჩვენებლებზე, რომელსაც ეუდარებთ გასაანგარიშებელ ტექნიკასა და ტექნოლოგიას. რამდენადაც შესადარი ანალოგი თავისი ტექნიკური და ტექნოლოგიური მაჩვენებლებით ახლოსაა გასაანგარიშებელ ტექნიკასთან, იმდენად ეფექტიანობის გაანგარიშება ზუსტია ან პირიქით. წლიური ეკონომიკური ეფექტიანობის განსაზღვრისას იმის მიხედვით, თუ ეკონომიკური ანალიზის რა მიზანს ვისახავთ „მეცნიერება-ტექნიკა-წარმოების“ სტადიების გათვალისწინებით, შეიძლება შევიჩინოთ განსხვავებული მაჩვენებლები.

ახალი ტექნიკის დაპროექტების გეგმის შედგენისა და წარმოებაში ჩაშვების გადაწყვეტილების მიღების დროს შესადარ ვარიანტად ვღებულობთ ისეთ საუკეთესო ტექნიკას, რომელიც უკვე დაპროექტებულია ან, რომელიც შეიძლება შესყიდულ იქნეს საზღვარგარეთ და რომლის დაყვანილი დანახარჯები პროდუქციის ერთეულზე უფრო ნაკლებია. იმ შემთხვევაში, თუ ასეთი ტექნიკა დაპროექტებული არაა ჩვენს ქვეყანაში და არ შეგვიძლია ვისარგებლოთ საზღვარგარეთის ტექნიკის მაჩვენებლებით. მაშინ სამრეწველო სერიების წარმოების, პროგრესული ტექნოლოგიისა და შრომის ორგანიზაციის მეთოდების წარმოებაში დანერგვის დროს, შესადარ ვარიანტად გამოიყენება შემცველი ტექნიკის მაჩვენებლები. საბაზო ტექნიკის მაჩვენებლებად ვღებულობთ საანგარიშო წელში მიღწეულ საუკეთესო შედეგებამდე.

ვარიანტების შესადარიისობის პირობები. ეკონომიკური გაანგარიშების საზუსტეს პირობაა შესადარი ვარიანტის შესადარიისობა. გასაანგარიშებელი ვარიანტის მაჩვენებლები, რაც შეიძლება უნდა დაეუახლოვოთ და რიც შემთხვევაში გაეუტოლოთ საბაზისო მაჩვენებლებს. თუ რომელიმე მაჩვენებელი (პროდუქციის მოცულობა, საიმედოობა, ხანგამძ-

ლებოა) არ ემთხვევა საბაზისოს, მაშინ საჭიროა გადავიანგარიშოთ იგი და მოვიყვანოთ შესადარისობაში, ე.ი. დავიყვანოთ თანაბარ საბოლოო შედეგებზე.

ვარიანტთა შესადარისობის დროს ხელეკლობაში უნდა მივიღოთ შემდეგი მაჩვენებლები: 1. პროდუქციის შემადგენლობის ერთიანობა; 2. პროდუქციის წლიური მოცულობა; 3. პროდუქციის ხარისხი; 4. პროდუქციის წარმოების ვადები; 5. შრომის პირობები, უსაფრთხოების ტექნიკა და გარემო პირობებზე ზემოქმედება. გასაანგარიშებელი და საბაზო ტექნიკისათვის უნდა მივიღოთ მუშაობის ერთი და იგივე რეჟიმი (ცვლების ხანგრძლივობა, სამუშაო დღეების რაოდენობა და ა.შ.). იმ შემთხვევაში თუ ახალი ტექნიკა იძლევა მაღალ მწარმოებლურობას, საჭიროა მოვიყვანოთ იგი შესაბამისობაში საბაზო-შესადარ ტექნიკის მწარმოებლურობასთან. გაანგარიშების დროს ასევე უნდა გამოვიყენოთ გაანგარიშების ერთი და იგივე მეთოდები და სიზუსტე. წლიური ეკონომიკური ეფექტის განსაზღვრისას უნდა ავიღოთ იმ პროდუქციის მოცულობა, რომელიც მიიღება ახალი ტექნიკის გამოყენებით მისი ექსპლუატაციის მეორე წელს. ახალი ტექნიკის გამოყენებით წარმოებული პროდუქციის მოცულობა დაპროექტების სტადიაზე ზუსტად შეიძლება ვერ გამოვიანგარიშოთ. ამიტომ ამ შემთხვევაში პროდუქციის მოცულობას ვღებულობთ ახალი ტექნიკის წლიური წარმადობის მიხედვით. ამავე დროს ყურადღება ექცევა ახალი ტექნიკის გამოყენების ოპტიმალურ დონეს, რომლის დროსაც ვღებულობთ პროდუქციის ერთეულზე მინიმალური დანახარჯებს

ახალი ტექნიკის სახალხო-მეურნეობრივი ეკონომიკური ეფექტიანობის კრიტერიუმი. შესადარი ვარიანტის შერჩევის დროს ვიყენებთ ეკონომიკურ კრიტერიუმს. კრიტერიუმი მოთხოვნათა ერთიანობაა, რომელთა დაცვით მიღებული გადაწყვეტილება ყველაზე მეტად შეესაბამება დასახულ მიზნებს. გაანგარიშების დროს შერჩეულ უნდა იქნეს ისეთი კრიტერიუმი, რომელზედაც ორიენტაციით შესაძლებელი იქნება ახალი ტექნიკის ოპტიმალური ვარიანტის მოძებნა.

ახალი ტექნიკის ეკონომიკური ეფექტიანობის განსაზღვრის დროს, როგორც წესი, გაანგარიშება ხდება რამოდენიმე ვარიანტით. ვარიანტები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან საანგარიშო მაჩვენებლებით, მაგალითად პროდუქციის მოცულობით, მშენებლობის ადგილით, წარმადობით, სიჩქარით, დანახარჯებით, გამოსყიდვის ვადით და სხვა. ამ შედეგებიდან საჭიროა შევარჩიოთ ერთი ოპტიმალური ვარიანტი. შრავალვარიანტიანი

განგარიშებიდან ვერჩევთ ისეთ ვარიანტს, რომლის დანახარჯები მინიმალურია.

$$\sum_{i=1}^{Z_i} G_i Q_i \rightarrow \min,$$

სადაც Z_i პროდუქციის ნომენკლატურის რაოდენობა, G_i – განსაზღვრული პროდუქციის ერთეულზე დანახარჯებია; Q_i – განხილულ პერიოდში i – ური სახეობის პროდუქციის წარმოების მოცულობა.

ობტიმალური ვარიანტის შერჩევის კრიტერიუმად, მართალია უპირველესად ვერჩევთ დანახარჯების მინიმუმაციას, მაგრამ რიგ შემთხვევაში ასევე საჭირო ხდება სხვა ფაქტორთა გათვალისწინებაც. ამიტომ ზოგჯერ შეიძლება ოპტიმალურ ვარიანტად მიჩნეული იქნეს შედარებით მაღალი დანახარჯებისა და დაბალი ეფექტიანობის ვარიანტიც.

ახალი ტექნიკის ეკონომიკური ეფექტიანობის გაანგარიშების მეთოდები და მაჩვენებლები.

შესადარი ვარიანტების ეკონომიკური ეფექტიანობის ანალიზის დროს, პირველ რიგში, იანგარიშება მათი კერძო ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები, ხოლო შემდგომ მათ საფუძველზე განისაზღვრება საერთო მაჩვენებლები.

კერძო ეკონომიკურ მაჩვენებლებს მიეკუთვნება შრომატევადობა, შრომის შწარმოებლურობა, მასალატევადობა, ენერგოტევადობა, ფონდტევადობა და ფართტევადობა. კერძო მაჩვენებლები მოიცავენ ერთობლივი პროდუქტის დანახარჯების ცალკეულ ელემენტებს, ამიტომ მხოლოდ მათზე დაყრდნობით შესადარი ვარიანტების ოპტიმალობის დადგენა შეუძლოა იქნებოდეს. ზოგჯერ საჭირო ხდება საერთო ეკონომიკური მაჩვენებლების გაანგარიშება. საერთო ეკონომიკურ მაჩვენებლებს მიეკუთვნება: თვისიღირებულება, კაპიტალური დაბანდება, დაყვანილი საზოგადოებრივი დანახარჯები და სხვა.

საერთო ეკონომიკური მაჩვენებლები მოიცავენ ახალი ტექნიკის ამა თუ იმ ვარიანტის როგორც ცოცხალ, ისე წარსულ შრომას.

ახალი ტექნიკის ვარიანტების ერთი საერთო ეკონომიკური მაჩვენებლებით გაანგარიშებისა და ანალიზის უპირატესობა ისაა, რომ იგი თავს უყრის ცალკეულ ტექნიკურ, ორგანიზაციულ და ეკონომიკურ ღირსებასა

და უარყოფით მხარეებს ერთ საერთო მაჩვენებელში - საზოგადოებრივი შრომის დანახარჯების ეკონომიაში.

ახალი ტექნიკის შეფარდებითი ეკონომიკური ეფექტიანობის \mathfrak{E}_t გაანგარიშებისათვის გამოიყენება დაყვანილი დანახარჯების ეკონომი (წლიური ეკონომიკური ეფექტი).

$$\mathfrak{E}_t = S_1 - S_2,$$

სადაც S_1 და S_2 დაყვანილი დანახარჯებია ძველი და ახალი ტექნიკისათვის.

თითოეული ტექნიკის წლიური ეკონომიკური ეფექტი იანგარიშება ფორმულით:

$$S = C + E_t K,$$

სადაც S ერთეული პროდუქციის დაყვანილი დანახარჯებია;

C - პროდუქციის-სამუშაოს ერთეულის თვითღირებულება;

K - კაპიტალური დაბანდების საერთო თანხა გამოყენებულ ვარიანტისათვის;

E_t - დამატებითი კაპიტალური დაბანდების ეფექტიანობის ნორმა ეფექტიანობის დაყვანილი დანახარჯებით ახალი ტექნიკის წარმოების და ექსპლუატაციის წლიური ეფექტის გაანგარიშება საშუალებას გვაძლევს განსაზღვროთ წლიური ეკონომიკური ეფექტი.

ერთობლივ საზოგადოებრივ პროდუქტზე დანახარჯები შედგება წარმოების საშუალებებში განთავსებული და ახლად დახარჯული შრომისაგან „თავისთვის“ და „საზოგადოებისათვის“. მაშასადამე, სამეურნეო ღონისძიების აბსოლუტური (საერთო) ეკონომიკური ეფექტიანობა \mathfrak{E}_t იანგარიშება ფორმულით:

$$\mathfrak{E}_t = Q / C,$$

სადაც Q - პროდუქციის რაოდენობა, C - პროდუქციის წარმოების დანახარჯები.

აბსოლუტური ეკონომიკური ეფექტიანობა ასევე განისაზღვრება ახლად შექმნილი ღირებულების შეფარდებით (ეროვნული შემოსავლის) დანახარჯებთან.

იმ შემთხვევაში, როცა ახალი ტექნიკის დანერგვით მიიღება მიმდინარე დანახარჯების ეკონომია, მაგრამ მოითხოვს დიდ კაპიტალურ დაბანდებას, მაშინ ეკონომიკურ ვარიანტს ვირჩევთ პირობით $E_{t1} > E_t$.

როცა ახალი ტექნიკის კაპიტალდაბანდების კოეფიციენტი ნაკლებია კაპიტალდაბანდების ნორმატიულ კოეფიციენტზე ან არ აღემატება მას. საანგარიშო ეკონომიკური ეფექტიანობა იანგარიშება ფორმულით:

$$E_s = \Delta C_x \Delta C_s = (C_1 - C_2) / (K_2 - K_1).$$

მისი უკუმაჩვენებელია დამატებითი კაპიტალური დაბანდების უკუგების ვადა:

$$T = \Delta C_s / \Delta C_x = (K_{s2} - K_{s1}) / (C_{x1} - C_{x2}).$$

გამოსყიდვის ვადის გათვალისწინებით, ოპტიმალურ ვარიანტს ვირჩევთ შემდეგი პირობით $T_s \leq T_s$, ე.ი. შერჩეული ვარიანტის (განგარიშებით) კაპიტალდაბანდების გამოსყიდვის ვადა ტოლი ან ნაკლები უნდა იყოს კაპიტალდაბანდების გამოსყიდვის ნორმატიულ ვადაზე.

კაპიტალდაბანდების გამოსყიდვის ვადა კაპიტალდაბანდების ნორმატიული კოეფიციენტის შებრუნებული სიდიდეა

$$T_s = 1/E_s.$$

თანამედროვე პირობებში, როცა ყურადღების ცენტრი გადატანილია წარმოების უფლებების გაფართოებაზე, დამოუკიდებლობასა და სამეურნეო შედეგებზე, დიდი მნიშვნელობა ენიჭება წარმოების დაინტერესებას, რესურსების რაციონალურ გამოყენებას, თვითანაზღაურებას, თვითდაფინანსებას და სამეურნეო ანგარიშს. აქედან გამომდინარე, სამეცნიერო-ტექნიკური ღონისძიებათა დაგეგმვის პროცესში, წარმოების ორგანიზაციულ-ტექნიკური ღონის ამაღლებისათვის საჭიროა შევარჩიოთ ისეთი ოპტიმალური ვარიანტი, რომლის დანერგვის შედეგად წარმოება მიიღებს მაქსიმალურ შედეგს.

აქედან გამომდინარე, წარმოების დამოუკიდებლობის პირობებში ასეთ კრიტერიუმად შეიძლება გამოყენებულ იქნეს პროდუქციის წარმოებით და რეალიზაციით მიღებული წმინდა მოგების მაქსიმალური ოდენობა:

$$\sum_{i=1}^{Zx} Q_i \Pi_i \rightarrow \max,$$

სადაც Zx წარმოების ერთობლივი პროდუქციის ნომეკლატურის რაოდენობაა, Π_i - i სახეობის პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებული წმინდა მოგება.

აღნიშნული მაჩვენებელი საშუალებას იძლევა განსაყისაზღვროთ ახალ სამეურნეო ღონისძიებათა წვლილი საწარმოს შედეგში.

წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობის გაანგარიშების მეთოდები და მაჩვენებლები, ეფექტიანობის კრიტერიუმის შესაბამისად, საწარმოს ეფექტიანობის მაჩვენებლებს მიეკუთვნება: წარმოების მიმდინარე (წმინდა მოგების ნამატი) და კაპიტალური დანახარჯების, წარმოების დაყვანილი ხარჯების ეკონომია და წლიური ეკონომიკური ეფექტი.

საწარმოს წმინდა მოგება შეიძლება გაეინგარიშოს, როგორც სხვაობა პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებულ ამონაგებსა (ბიუჯეტში დადგენილი გადასახადების გამოკლებით) და ამავე პროდუქციაზე წარმოების დანახარჯებს შორის, ლარ/წელ.

$$\Pi_{\text{წ}} = \sum Q_{xi} (U_i - U_x),$$

სადაც Q_{xi} – i სახეობის პროდუქციის მოცულობაა ნატურაში; U_i საბითუმო ფასი j -ური სახეობის პროდუქციაზე; U_x – წარმოების დანახარჯების საერთო თანხა, ლარი/წელ.

პროდუქციის რეალიზაციიდან ამონაგები ინგარიშება რეალიზებული პროდუქციის მოცულობის (ნატურალურ ერთეულებში გამრავლებით პროდუქციის საბითუმო ფასზე. ახალი ტექნიკის დანერგვის მიღებული დამატებითი მოგების რაოდენობა ძირითადად წარმოების მიერ ამ ღონისძიებებზე გაწეული დანახარჯების ეკონომიისა: $\Delta \Pi_{\text{წ}} = \Delta U_x$

რაც მეტია ერთობლივი დანახარჯების ეკონომია, მით მეტია წმინდა მოგება. ეკონომიის თანხა განისაზღვრება საბაზო და ახალ ვარიანტს შორის დანახარჯების სხვაობით:

$$\Delta U_x = U_{x_1} - U_{x_2}.$$

ახალი ტექნიკის დანერგვის დროს წარმოების დანახარჯები მეტია მოქმედ წარმოებაში წარმოებული საბაზისო პროდუქციის წარმოების დანახარჯებზე, ვინაიდან ამჟამად მოქმედი სისტემით წარმოების სამეურნეო საქმიანობა დაკავშირებულია დამატებით დანახარჯებთან (კრედიტის პროცენტის დაფარვა, წარმოების მმართველობითი ხარჯები და სხვა).

წარმოების დანახარჯები საბაზო და ახალი პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციაზე გაინგარიშება ფორმულით:

$$U_x = C_x + f/100 + \delta/100 \cdot K_{\text{ბდ}} + K_{\text{ბდ}} + R_{\text{გ}} + H_{\text{გ}}$$

სადაც C_x – პროდუქციის წლიური მოცულობის სრული თვით-

ღირებულება, ლარი/წლ.; f – წარმოების მმართველებითი ხარჯები; n – ბანკის კრედიტის გადასახადი %; K_b – ბანკის კრედიტის თანხა, ლარი; R_g – ფიქსირებული გადასახადების თანხა, ლარი/წლ.; H_g – სხვა ფულადი გადასახადები, რომლებიც არ აღირიცხება თვითღირებულებაში, ლარი/წლ. დაყვანილი დანახარჯები ვარიანტების მიხედვით იანგარიშება ფორმულით:

$$3x = Ux + E_gx \cdot Kx,$$

სადაც E_gx დამატებითი კაპიტალდაბანდების ეფექტიანობის ნორმაა. Kx – კაპიტალური დაბანდების მოცულობა, რომელიც საჭიროა ამ პროდუქციის წარმოებისათვის. დაყვანილი დანახარჯების გაანგარიშება საშუალებას გვაძლევს ავირჩიოთ ის ვარიანტი, რომლის წარმოების დაყვანილი დანახარჯებიც ნაკლებია. რაც უფრო ნაკლებია ახალი ღონისძიებების დაყვანილი დანახარჯები, მით მეტია ახალი ღონისძიებების ეფექტიანობა და აქედან გამომდინარე წარმოების მოგება.

ახალი ტექნიკის დანერგვით მიღებული წმინდა მოგება დაყვანილი დანახარჯების ეკონომიის მეშვეობით იანგარიშება ფორმულით:

$$\Delta Z = Z_1 - Z_2$$

წმინდა მოგების მაჩვენებლის შემოტანა ტექნიკური პროგრესის ღონისძიებათა ეფექტიანობაში გამოწვეულია იმით, რომ რეალიზაციიდან მიღებული მოგების შედარება ვარიანტების შესადარებლად არ იძლევა ნათელ სურათს, ვინაიდან ზშირად ახალი ტექნიკის ღონისძიებების დანერგვა დაკავშირებულია საწარმოო ფონდების და სხვა გადასახადების ზრდასთან. იზრდება გადასახადები და მცირდება წარმოების რეალური – წმინდა მოგება. ამიტომ წმინდა მოგება იძლევა უფრო რეალურ სურათს ახალი ტექნიკის დანერგვის ეკონომიკურ ეფექტიანობაზე. მოქმედი წარმოების პირობებში ახალი ტექნიკის დანერგვის შედეგად დამატებითი კაპიტალდაბანდების ხარჯზე მიიღება დამატებითი მოგება.

ამ შემთხვევაში დამატებითი კაპიტალდაბანდების ეფექტიანობა იანგარიშება ფორმულით:

$$\frac{C_2 - C_1}{K_2 - K_1} = \frac{\Delta \Pi}{\Delta K},$$

ეკონომიკური ვარიანტის შერჩევას ვახდენთ პირობით $E_g > E_g$. დამატებითი კაპიტალდაბანდების ეფექტიანობის კოეფიციენტი მეტი უნდა

იყოს ეფექტიანობის ნორმატიულ კოეფიციენტზე ამასთან ერთად, საწარმოოს ეფექტიანობის მაჩვენებელი მეტი ან ტოლი უნდა იყოს კაპიტალდაბანდების ნორმატიულ ეფექტიანობის მაჩვენებელზე $E_{\text{ეფ}} > E_{\text{ნ}},$ ხოლო გამოსყიდვის ვადა ნაკლები უნდა იყოს ნორმატივზე $T_{\text{ვ}} \leq T_{\text{ნ}},$ სადაც $T_{\text{ვ}} = 1/E_{\text{ეფ}}$.

ცენტრალიზებული კაპიტალდაბანდების შემთხვევაში იანგარიშება ხასხალსო-მეურნეობრივი კაპიტალდაბანდება. ამ შემთხვევაში კაპიტალდაბანდების სიდიდის განსაზღვრისას უფრო მეტად გამოიყენება პირდაპირი მეთოდი, რაც გულისხმობს მის გაანგარიშება შემადგენელი ელემენტების მიხედვით.

წარმოების კაპიტალდაბანდების $K_{\text{კ}}$ სიდიდის განსაზღვრისათვის იანგარიშება შემდეგი ელემენტები:

1. ერთდროული ხარჯების ჯამი - $K_{\text{კ1}}$ (პირდაპირი დანახარჯები);
2. თანმდევი ხარჯები - $K_{\text{კ2}}$;
3. შეუღლებული ხარჯები - $K_{\text{კ3}}$;
4. ახალი ტექნიკის დამამზადებელი წარმოების ხარჯები - $K_{\text{კ4}}$;
5. სამეცნიერო კვლევითი სამუშაოს ხარჯები - $K_{\text{კ5}}$.

$$K_{\text{კ}} = K_{\text{კ1}} + K_{\text{კ2}} + K_{\text{კ3}} + K_{\text{კ4}} + K_{\text{კ5}}.$$

პირდაპირ დანახარჯებში შეიტანება სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების ხარჯების ნაწილი, რომელიც სრულდება სხვა ორგანიზაციების მიერ, თუ იგი ახალი პროდუქციის თვითღირებულებით ან საბითუმო ფასით არაა გათვალისწინებული. იმ შემთხვევაში, თუ სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები ჩატარებულია მხოლოდ საწარმოს მიერ განხილული ვარიანტის შემუშავებისა და წარმოებაში დანერგვისათვის, მაშინ ამ სამუშაოს მთლიანი ხარჯები შეიტანება პირდაპირ ხარჯებში, ხოლო თუ ეს სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები გათვალისწინებულია მრეწველობის სხვა დარგებისა და სამუშაოებისათვისაც, მაშინ განხილული ვარიანტის პირდაპირ ხარჯებში შეგვაქვს მისი მხოლოდ ნაწილი, ხვედრითი წილის მიხედვით.

სამეცნიერო-კვლევითი ხარჯები, ანუ, როგორც მას უწოდებენ, საწარმოო - $K_{\text{კ}}$ ხარჯები შედგება შემდეგი სამუშაოების ხარჯებისაგან:

1. ინფორმაციული მიმოხილვა და თეორიული კვლევა;
2. ლაბორატორიული კვლევა;
3. მოწყობილობისა და ტექნოლოგიური პროცესებით პროექტირება და კონსტრუირება;

4. საცდელი ნიმუშების დამზადება და გამოცდა;

5. საცდელი სერიების დამზადება და წარმოებაში გამოცდა.

ყველა აღნიშნული ხარჯი მიეკუთვნება წინასწარ დანახარჯებს და შეღის პირდაპირ დანახარჯებში.

სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების შედეგების დანერგვის წლიური ეკონომიკურ-ეფექტიანობის განსაზღვრის დროს წინასწარმოო დანახარჯები წარმოადგენენ ერთდროულ დანახარჯებს, ამიტომ ისინი შეტანილ უნდა იქნან შესადარი ვარიანტების კაპიტალდაბანდებაში.

თანამდევ კაპიტალდაბანდებას K^m -ს მიეკუთვნება ისეთი ხარჯები, რომლებიც აუცილებელია და ხელს უწყობენ განხილული ღონისძიების დანერგვას. მათ მიეკუთვნება: დამხმარე ნაგებობანი და მოწყობილობანი შენობებში, სამარჯვეები და საბრუნავი საშუალებანი. ზოგჯერ ასევე შეიტანება მასთან დაკავშირებულ ინფრასტრუქტურაზე გაწეული ხარჯები.

შეუღლებული ხარჯები K_p ის ხარჯებია, რომლებიც აუცილებელია განხილული ვარიანტის დანერგვისა და მისი შემდგომი ექსპლუატაციისათვის წარმოებაში (დარგში) და დაკავშირებული დარგის ან დარგთაშორის საწარმოებში ძირითადი ფონდებისა (მოწყობილობის, საამუშენებლო კონსტრუქციების) და საბრუნავი საშუალებების (ხელეღული, მასალები, სათბობები, ელექტროენერგია) ცვლილებებთან.

ახალი ტექნიკის დამამზადებელი საწარმოს ხარჯები K_f — შედგება ძირითადი და საბრუნავი სახსრების ხარჯებისაგან — მოწყობილობის, ნაგებობების, შენობის, სამარჯვეები, ინვენტარის, მასალების რეზერვის, შექმნის, ნახევარფაბრიკატებისა და სხვა ხარჯებისაგან.

სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების ხარჯების დანიშნულებაა სამეცნიერო-ტექნიკურ ღონისძიებათა შემუშავება და წარმოებაში დანერგვა წარმოების ორგანიზაციულ-ტექნიკური ღონის ამაღლების მიზნით. იგი შედგება პროექტირებაზე, კონსტრუირებაზე, დამზადებაზე, შეძენაზე, ლაბორატორიულ მოწყობილობებზე, ხელსაწყოებსა და საცდელ ნიმუშებზე ახალი ტექნიკის შექმნისა და წარმოებაში დანერგვასთან დაკავშირებული ლაბორატორიებისა და საცდელ-საკვლევი ინსტიტუტების მშენებლობის დანახარჯებისაგან. აღნიშნული დანახარჯები მთლიანად შეიტანება კაპიტალურ ხარჯებში. თუ ისინი შეიძლება გამოყენებულ იქნეს სხვა სამეცნიერო-საკვლევი სამუშაოებისათვის, მაშინ ეს ხარჯები შეიტანება

მათი მრავალჯერადი გამოყენების გათვალისწინებით, ე.ი. მისი მხოლოდ ნაწილი. იმ წარმოების კაპიტალური დანახარჯების გასაანგარიშებელი ვარიანტების მიხედვით, რომელიც იყენებს ახალ ტექნიკას, განისაზღვრება ფორმულით:

$$K_y = K_{\text{სკ}} - K_{\text{კა}},$$

სადაც K_y ვარიანტების მიხედვით იმ წარმოებისათვის საჭირო კაპიტალური დაბანდებაა, რომელიც ამ ტექნიკას იყენებს, ლარი; $K_{\text{კა}}$ – იმავე წარმოებაში ვარიანტების მიხედვით გამოთავისუფლებული კაპიტალური დაბანდება.

წარმოებისათვის საჭირო ძირითადი ფონდების კაპიტალური დაბანდება შედგება: 1. ახალი შრომის საშუალებების შექმნის, მისი ექსპლუატაციის ადვილამდე ტრანსპორტირების, მონტაჟისა და წარმოების წინაზარჯების გათვალისწინებით; 2. ახალი შრომის საშუალებების საკომპლექტო მოწყობილობებისა და ნაგებობების ხარჯების, (რომლებიც დაკავშირებული არიან ახალი ტექნიკის შექმნიზაციისა და ავტომატიზაციის საშუალებებთან); 3. ახალი ტექნიკის საშუალებათა ექსპლუატაციისათვის საჭირო საწარმოო შენობების ღირებულებისაგან; 4. ძვირად ღირებული სამარჯვების (ხელსაწყოები და ინსტრუმენტები) ღირებულების; 5. კონტროლისა და მართვის საშუალებების ხარჯებისაგან.

საბრუნავი საშუალებების კაპიტალურ დაბანდებაში შედის: ძირითადი და დამხმარე მასალების, ნახევარფაბრიკატებისა და სათბობის რეზერვი, მცირე ფასიანი სამარჯვები (რომელთა საშახურის ვადა ერთ წელზე ნაკლებია, ხოლო ღირებულება 150 ლარზე ნაკლები), დაუმთავრებელი წარმოების ღირებულება.

გამოთავისუფლებულ კაპიტალდაბანდებაში – $K_{\text{კა}}$ – შედის იმ მოწყობილობის ღირებულება, რომელიც ახალი ტექნიკის დანერგვის გამო გამოყენებელი რჩება, მაგრამ იგი შეიძლება გამოყენებულ იქნეს სხვა პროდუქციის წარმოებაზე, ან იქნება რეალიზებული. იმ შემთხვევაში, თუ იგი ნაწილობრივ იქნება გამოყენებული, მაშინ უნდა განისაზღვროს მისი გამოყენებელი ნაწილის ღირებულება. გამოთავისუფლებულ კაპიტალურ დაბანდებაში შედის: შენობების, საწარმოო ფართის, მოწყობილობების, მასალების, სათბობის, ნედლეული და სხვათა ღირებულება.

გამოთავისუფლებული კაპიტალდაბანდება იანგარიშება საბალანსო ღირებულებიდან ცვეთისა და იმ დამატებითი დანახარჯების გამოკლებით,

რომელიც საჭიროა გამოთავისუფლებული მოწყობილობის ახალი ღანიშნულებით მონტაჟისა და გადატანისათვის გამოსაყენებლად.

იმ შემთხვევაში, თუ გამოთავისუფლებული მოწყობილობა წარმოებისათვის საჭირო აღარაა და მისი რეალიზაცია შეუძლებელია, მაშინ იგი ჩამოიწერება ბალანსიდან, დაიშლება და ჩაბარდება, როგორც ჯართი. აქ საჭიროა გავითვალისწინოთ: დემონტაჟის, დაშლისა და ჯართის ჩაბარების ხარჯები, გამოყენებული ნაწილებისა და კვანძების ღირებულება. უფრო ხშირად, ასეთ შემთხვევაში, ჩამოწერილი საშუალებების ღირებულებას აღემატება დემონტაჟისა და ჩაბარების ხარჯები და გამოყენებული ნაწილებისა და ჯართის ღირებულება, რის შედეგადაც, საბოლოო ჯამში, გამოთავისუფლებული მოწყობილობის ლიკვიდაციის შედეგად საჭირო კაპიტალდაბანდება იზრდება.

ახალი ტექნიკის დანერგვის შემდეგ იანგარიშება საერთო კაპიტალური დაბანდება (ერთდროული დანახარჯები), მაგრამ კაპიტალური დაბანდების დაფინანსებისა და აღრიცხვისათვის ძირითად ფონდებში საჭიროა, იგი დაიყოს არსებულ და ახალ კაპიტალურ დაბანდებად, ანუ,

$$K_{\text{H}} = K_{\text{ფ}} + K_{\text{ა.}}$$

წარმოებაში არსებული საშუალებები ($K_{\text{ფ}}$) – ეს არის ის ფონდები, რომლებიც გამოიყენება არა მარტო ახალი, ასევე სხვა პროდუქციის წარმოებისათვის და იგი ეკონომიკური უფექტიანობის გაანგარიშების დროს, აღირიცხება საბალანსო ღირებულებით, ცვეთის გამოკლებით.

ახალი კაპიტალური დაბანდების მოცულობის განსაზღვრა საჭიროა ბანკის კრედიტის მისაღებად გამოსყიდვის ვადის განსაზღვრისა და ძირითად ფონდში მათი აღრიცხვისათვის.

წარმოების ახალ კაპიტალურ დაბანდებაში შეიტანება: 1. ახალი ტექნიკის შეძენის ხარჯები (ტრანსპორტირების, მონტაჟისა და ათვისების ხარჯების გათვალისწინებით); 2. მოქმედი მოწყობილობის მოდერნიზაციისა და მათი ახალი პროდუქციისათვის გამოყენების ხარჯები; 3. შენობა-ნაგებობათა მშენებლობისა და რეკონსტრუქციის ხარჯები; 4. ახალი ტექნოლოგიური სამარჯვეების, მოწყობილობებისა და ხელსაწყოების ხარჯები; 5. ახალი, დამატებითი ძირითადი და დამხმარე მასალების, სათბობის, ნახვეარფაბრიკატებისა და დეტალების მარაგების ხარჯები; 6. გამოთავისუფლებული მოწყობილობის დემონტაჟისა და ტრანსპორ-

ტირების ხარჯები (მათი რეალიზაციის ან ჩამოწერის ღირებულების გათვალისწინებით); 7. წარმოების წინა ხარჯები, სამეცნიერო-საკვლევო და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოებისათვის (ნაწილობრივ ან მთლიანად); 8. გარემო პირობების დაცვის, უსაფრთხოების ტექნიკისა და კადრების მომზადების ხარჯები.

წარმოების მიმდინარე დანახარჯებში იანგარიშება პროდუქციის თვითღირებულება, იგი ყოველწლიურად განმეორებადი ხარჯებია მისი წარმოების მთელ პერიოდში. იმისდა მიხედვით, თუ დანახარჯების რომელი ელემენტების მიხედვით ვახდენთ შესადარი ვარიანტების გაანგარიშებას, საჭიროა გავიანგარიშოთ თვითღირებულების ეს ელემენტები რომელთა მიხედვითაც შესადარი ვარიანტები განსხვავდებიან ერთმანეთისაგან.

დროის ფაქტორის გათვალისწინება აუცილებელია ტექნიკური გადაწყვეტილების მისაღებად, ეკონომიკურად რაციონალური ვარიანტების შერჩევაში. მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მასშტაბები და მაღალი ტემპები, სამეურნეო და ტექნიკური ამოცანების გართულება და მათი გადაწყვეტა დროის ხანგრძლივ პერიოდში აყენებს დროის ფაქტორის გათვალისწინების აუცილებლობას.

როგორც ცნობილია, მეცნიერული კვლევა, კაპიტალური შშენებლობა, და ბოლოს ტექნიკის დანერგვა წლების განმავლობაში ჭიანურდება, ე.ი. დანახარჯები 5-10 წლის განმავლობაში ყოველდღიურად გაიღება, მაგრამ შედეგს - პროდუქციას მხოლოდ რამდენიმე წლის შემდეგ ვღებულობთ, ე.ი. ამ პერიოდში კაპიტალური დაბანდება გაყინულია და შედეგს არ იძლევა. თუ ყოველი კაპიტალური დაბანდება 1 ლარი უნდა იძლეოდეს წელიწადში საშუალოდ 0.15 ლარის მოგებას. ამა თუ იმ ობიექტზე, რომ არ დაგვეხარჯა კაპიტალური დაბანდება, მაშინ ეს თანხა სხვა ობიექტზე მოგვეცემდა იმავე წელს გარკვეულ მოგებას. ამიტომ, რაც მეტია „მეცნიერება-წარმოების“ ციკლის ხანგრძლივობა, მით მეტია ახალი ტექნიკის ექსპლუატაციის შედეგად პოტენციურად შესაძლებელი ეკონომიკური დანაკარგი.

დროის ფაქტორის გათვალისწინება ორი მიმართულებით ხდება: პირველი, კაპიტალდაბანდების დროის მიხედვით განაწილების (ე.ი. როცა დანახარჯები არ ემთხვევა მის შედეგებს) და მეორე, კაპიტალური დაბანდების პერიოდში მწარმოებლურობის ცვლილებების დროს. პირველ

შემთხვევაში კაპიტალურ დაბანდებაზე დროის ფაქტორის მოქმედების გათვალისწინებით, კაპიტალური დანახარჯების თანხა დაიყვანება პირველ წელზე. ამისათვის ვანგარიშობთ კაპიტალური დაბანდების დაყვანის კოეფიციენტს ფორმულით:

$$K_t = (1 + E_e)^t,$$

E_e დაყვანის ნორმატივია და იგი ტოლია 0.15.

კაპიტალდაბანდების პირველ წელს იგი იანგარიშება:

$$K_1 = K_0 + K_0 E_e = K_0 (1 + E_e),$$

მეორე წელს - $K_2 = K_1 + K_1 E_e = K_1 (1 + E_e)^2$ და ა.შ.

t წლისათვის ეფექტიანობა იქნება:

$$K_t = K_0 (1 + E_e)^t,$$

$(1 + E_e)^t$ სიდიდეს უწოდებენ კაპიტალური დანახარჯების დაყვანის კოეფიციენტს დროის ფაქტორის მიხედვით. თუ ზემოთ აღნიშნულ $(1 + E_e)^t$ - სიდიდეს აღვნიშნავთ QK_t , მაშინ მივიღებთ:

$$K_t = K_0 QK_t,$$

კაპიტალური დაბანდების რამოდენიმე წლით გამოყენების შემთხვევაში

$$K_t = \sum_{i=1}^T Q_{ti} K_{0i}$$


სადაც T არის კაპიტალდაბანდების პერიოდი (წლებში), K_{0i} - კაპიტალური დაბანდა i - წლისათვის. ამ ფორმულით იანგარიშება დანახარჯები კაპიტალური დაბანდების ბოლო წელზე დაყვანით.

თუ გვინდა კაპიტალური დანახარჯების პირველ წელზე დაყვანა, მაშინ დანახარჯები უნდა გავყოთ Q_{1i} -ზე და მივიღებთ:

$$K_0 = \sum_{i=1}^T K_{0i} / Q_{1i},$$

ე.ი. კაპიტალური დაბანდების დაყვანა პირველ და ბოლო წელზე ხდება კაპიტალდაბანდების ერთსა და იმავე კოეფიციენტზე (Q_{1i}) გამრავლებით და გაყოფით.

ახალი ტექნიკის ანალიზისა და დაგეგმვის დროს საჭირო ხდება გავითვალისწინოთ დროის სხვაობა კაპიტალური დაბანდების დაწყებისა და ფაქტობრივი ეკონომიის მიღების დასაწყისს შორის.



ნახ. 1 ახალი ტექნიკის ვარიანტის შერჩევის
საანგარიშო დროის პერიოდი

წარმოების პერიოდი $T_{\text{ფ}}$ არის დროის პერიოდი, რომელიც საჭიროა პროდუქციის წარმოების დაწყებიდან მისი გამოშვების დამთავრებამდე, განხილული ვარიანტის ტექნიკისა და მეთოდების გამოყენებით.

ზოგჯერ წარმოება იწყება მშენებლობის პროცესში, ამიტომ უნდა განვასხვაოთ:

ექსპლუატაციის პერიოდი $T_{\text{კ}}$, რომელიც მოიცავს დროს ობიექტის ექსპლუატაციაში სრული ჩაბარებიდან (სახელმწიფო აქტით) განხილული საშუალებებითა და მეთოდებით პროდუქციის წარმოების დამთავრების პერიოდამდე. ექსპლუატაციის პერიოდს წინ უსწრებს მოსამზადებელი პერიოდი $T_{\text{პ}}$, მასში შედის სამეცნიერო კვლევა და ახალი შრომის საშუალების მომზადება, პროდუქციის დამზადებისათვის წარმოების ან საამქროს მშენებლობა ვარიანტების მიხედვით.

მშენებლობის დაწყებიდან პროდუქციის წარმოების დამთავრებამდე დროის პერიოდს ეწოდება საანგარიშო პერიოდი $T_{\text{კ}}$ (ნახ. 1).

პროდუქციის მოცულობა და საანგარიშო პერიოდის შერჩევა ახალი ტექნიკის ეფექტიანობის გაანგარიშების დროს ხდება იმის მიხედვით, თუ რა პროდუქციასთან გვაქვს საქმე. თუ პროდუქცია ნაირსახეობისაა, მაშინ ვირჩევთ ისეთ სახეს, რომელიც უფრო ტიპურია და მაღალი ხვედრითი წილი აქვს. ობიექტის შესარჩევ მაგალითად სპეციალური ჩარხის პროექტირების დროს პროდუქციის მოცულობა გააზომება დეტალებში, ცალებში. უნივერსალური ჩარხის წარმოების დროს პროდუქცია გაიზომება დეტალ-კომპლექტებით.

მოქმედი მეთოდის მიხედვით საანგარიშო პერიოდია ტექნიკის სამ-

სახურის ვადა მორალური ცვეთის გათვალისწინებით, ე.ი. დრო რომლის განმავლობაში მისი გამოყენება იძლევა ეფექტს. იგი მოიცავს დროის პერიოდს შემუშავების დაწყებიდან მისი გამოყენების დამთავრებამდე.

შესადარი ვარიანტის ეკონომიკური ეფექტიანობა შეიძლება გაანგარიშებულ იქნეს საანგარიშო პერიოდის ნებისმიერი წლის მიხედვით. პრაქტიკაში საანგარიშო წლად ღებულობენ ახალი პროდუქციის სერიული წარმოების მეორე ან მესამე წელს.

მოსალოდნელი რეალური ეკონომიკური ეფექტიანობა იანგარიშება საანგარიშო წლისათვის პროდუქციის გეგმური წარმოების მოცულობით. თუ პროდუქციის წარმოების მოცულობა ცნობილი არაა, მაშინ საანგარიშოდ იღებენ დასანერგი ტექნიკის მწარმოებლურობას.

დროის ფაქტორის გათვალისწინების მეორე მიმართულებაა საზოგადოებრივი შრომის მწარმოებლურობის დონის ცვლილებების გავლენა წარმოების საშუალებებსა და მიმდინარე ხარჯებზე. კაპიტალური დაბანდების პერიოდში მცირდება მიმდინარე დანახარჯები და გამოყებული წარმოების საშუალებათა ღირებულება. შრომის მწარმოებლურობის გავლენა შეიძლება გამოვსატოთ დაყვანის კოეფიციენტის შემეგობით $Ct = (1 + E_t)^t$, რომელიც ასახავს შრომის მწარმოებლურობის საშუალო წლიურ ზრდას შთლიანად საანგარიშო პერიოდში.

დანახარჯებისა და კაპიტალური დაბანდების დაყვანისათვის საანგარიშო წლის პერიოდისათვის – თვითღირებულებისა (Cx) და კაპიტალური დანახარჯების (K) ჯამი უნდა გავყოთ Qct – ზე.

წარმოებაში ახალი ან გაუმჯობესებული შრომის საგნების გამოყენების წლიური ეკონომიკური ეფექტიანობა (მასალების, ენერჯიის, სათბობის) იანგარიშება ფორმულით:

$$\Theta = [3_1 \frac{a_2}{a_1} + \frac{(U'_1 - U'_2) - E_6 (K_2 - K_1)}{U_1} - 3_2] A_2$$

სადაც 3_1 და 3_2 საბაზო და ახალი შრომის საგნების ერთეულის დაყვანილი დანახარჯებია, მან.:

a_1, a_2 – საბაზო და ახალი პროდუქციის წარმოების ხვედრითი ხარჯი იმ პროდუქციის ერთეულზე, რომელსაც უშვებს მომხმარებელი ნატურალურ ერთეულზეში;

U_1, U_2 - დანახარჯები მომხმარებლის მიერ გამოშვებული პროდუქციის ერთეულზე საბაზო და ახალი შრომის საგნების გამოყენებით, მისი ღირებულების გამოკლებით, მან;

K_1, K_2 - მომხმარებლის თანამდევი კაპიტალური დაბანდება საბაზო და ახალი შრომის საგნების გამოყენებით პროდუქციის ერთეულზე;

A_2 - ახალი შრომის საგნების წარმოების წლიური მოცულობა საანგარიშო წელში, ნატურალურ ერთეულებში.

ახალი ტექნიკის ეკონომიკური ეფექტიანობა გამოყენების სხვადასხვა სფეროში იანგარიშება ფორმულით:

$$\Theta = \sum_{i=1}^n \Theta_i A_i$$

სადაც Θ წლიური ეკონომიკური ეფექტი მიღებული ახალი ტექნიკის ერთეულის გამოყენებით i , ლარი;

A - ახალი ტექნიკით გამოშვებული პროდუქციის ნაწილი, რომელიც გამოყენებულია i - სფეროში, ნატურალურ ერთეულებში; n - ახალი ტექნიკის მომხმარებლის სფეროთა რიცხვი.

ახალი ან გაუმჯობესებული ხარისხის (უფრო მაღალი ღირებულების), ასევე რაციონალიზაციისა და გამოგონების ბაზაზე მოსახლეობის საჭიროებისათვის შექმნილი მაღალი ხარისხის პროდუქციის დანერგვით მიღებული წლიური ეკონომიკური ეფექტი იანგარიშება ფორმულით:

$$\Theta = (\Pi - E_c K) A_2$$

სადაც Θ არის მოსახლეობის მოთხოვნილების დაკმაყოფილებისათვის შექმნილი ახალი ან მაღალი ხარისხის პროდუქციის წარმოებით მიღებული წლიური ეკონომიკური ეფექტი, ლარი;

Π - ახალი პროდუქციის რეალიზაციით მიღებული მოგება, ან გაუმჯობესებული ხარისხის პროდუქციის რეალიზაციით მიღებული მოგების ნაშატი ($\Pi_2 = \Pi_1$), (სადაც Π_2 - გაუმჯობესებული ხარისხის პროდუქციის მოგებაა, Π_1 - საბაზო პროდუქციის რეალიზაციით მიღებული მოგება), ლარი;

K - ხვედრითი კაპიტალდაბანდება ახალი ან გაუმჯობესებული პროდუქციის წარმოებაზე;

E_c - ეფექტიანობის ნორმატიული კოეფიციენტი (0.15);

A_2 - ახალი ან გაუმჯობესებული ხარისხის პროდუქციის წლიური

მოცულობა ნატურალურ ერთეულებში.

გეგმიური (ფაქტობრივი) მოგების ნამატი ახალი პროდუქციის წარმოებით იანგარიშება:

$$\Delta \Pi t = (Q_2 - C_2) A_2 - (Q_1 - C_1) A_1 ,$$

სადაც $\Delta \Pi t$ - მოგების საგეგმო ნამატი t წელიწადში, ლარი

Q_2, C_2 - ახალი პროდუქციის ერთეულის წარმოების საბითუმო ფასი და თვითღირებულება საგეგმო t წელში,

Q_1, C_1 - საბაზო პროდუქციის საბითუმო ფასი და თვითღირებულება ახალი ტექნიკის დანერგვის წინა წელს, ლარი;

A_2, A_1 - ახალი და შესაცვლელი საბაზისო პროდუქციის წარმოების მოცულობა t - შესაბამისად საგეგმო და საბაზო წელში, ნატურალურ ერთეულებში.

ახალი ტექნოლოგიის, მექანიზაციის, ავტომატიზაციის, შრომის მეცნიერული ორგანიზაციისა და ასევე ახალი პროდუქციის გამოყენებით მომხმარებელთან დანახარჯების შემცირება (მოგების ნამატი) იანგარიშება ფორმულით:

$$\Delta Ct = (C_2 - C_1) A_2$$

ახალი ტექნიკის დანერგვით გამოთავისუფლებულ მუშაკთა რაოდენობა (პირობით გამოთავისუფლებული) იმ უბანზე, სადაც დაიწერა ახალი ტექნიკა, განისაზღვრება ფორმულით:

$$\Delta Y_i = (T_1' - T_2) A_2 \quad \Delta Y_i = \frac{L_1 A_1}{B_{B_2}} + \frac{L_2 A_1}{B_{B_2}}$$

სადაც ΔY_i საგეგმო t წელში პირობითად გამოთავისუფლებული მომუშავეთა რიცხვია;

T_1, T_2 პროდუქციის შრომატევადობა წინა და საგეგმო წელს ნატურალურ ერთეულებში, კაც/საათი;

B_{B_2}, B_{B_1} - შრომის მწარმოებლურობა საგეგმო და საბაზო წელში, ლარი/კაცი;

A_1 - პროდუქციის მოცულობა საგეგმო წელს, ნატურალურ ერთეულებში.

L_1 და L_2 პროდუქციის ერთეულის ღირებულება.

კაპიტალური დაბანდების გეგმიური (ფაქტობრივი) შემცირებით მიღებული ეკონომია გაიანგარიშება ფორმულით:

$$\Delta K_3 = (K_1 \frac{B_2}{B_1} - K_2) A_2$$

სადაც ΔK_3 , ახალი ტექნიკის დანერგვის შედეგად მიღებული კაპიტალური დაბანდების ეკონომია საანგარიშო წელს, ლარი;

K_1, K_2 - საბაზო და ახალი ტექნიკის ხვედრი კაპიტალური დაბანდება, ლარი;

B_1, B_2 პროდუქციის წარმოების მოცულობა საბაზო და ახალი ტექნიკის გამოყენებით, ნატურალურ ერთეულებში;

A_2 - ახალი ტექნიკის გამოყენებით მიღებული ახალი პროდუქციის წლიური მოცულობა საანგარიშო წელში, ნატურალურ ერთეულებში.

ახალი ტექნიკის გამოყენებით მიღებული მატერიალური დანახარჯების ეკონომია $\Delta M = (M_1 - M_2) A_4$

M_1, M_2 - პროდუქციის ერთეულზე მატერიალური დანახარჯება ახალი ტექნიკის დანერგვამდე და მის შემდეგ ლარი;

A_4 - ახალი პროდუქციის წლიური მოცულობა ნატურალურ ერთეულებში.

ახალი ტექნიკის დანერგვით მიღებული საერთო სამეურნეო ანგარიშგებრივი ეფექტი იანგარიშება ფორმულით:

$$\Xi x = \sum \Delta \Pi - E_c \sum \Delta K$$

სადაც, Ξx წარმოებაში მიღებული ეფექტია საგეგმო პერიოდში, ლარი,

ΔK - ახალი ტექნიკის დანერგვის ყველა ღონისძიებებისაგან მიღებული მოგების ნამატი (იკრიბება ახალი პროდუქციის დანერგვით მიღებული მოგება და თვითღირებულების შემცირებით მიღებული ეკონომიის თანხა);

ΔK - დამატებითი კაპიტალური დაბანდების ჯამი,

E_c - ეფექტიანობის ნორმატიული კოეფიციენტი (0.15).

საერთო ეფექტი იანგარიშება თითოეულ ღონისძიებაზე ცალკე, და ბოლოს ზდება მათი შეკრება.

ახალი ტექნიკის დანერგვის შედეგად მიღებული მოგების გაკლება საბალანსო მოგებაზე იანგარიშება ფორმულით:

$$a_t = \frac{\sum \Delta \Pi_t}{\Delta \Pi_g}$$

სადაც a_t არის ახალი ტექნიკის დანერგვით მიღებული მოგების ჩვედრითი წილი წარმოების საერთო საბალანსო მოგებაში;

$\Delta \Pi_t$ - მოგების ნამატი (თვითღირებულების შემცირებით) ყველა ლონისძიების დანერგვის შედეგად, ლარი;

$\Delta \Pi_g$ - საბალანსო მოგების ჯამი საანგარიშო წელში, ლარი;

ახალი ტექნიკის დანერგვით მიღებული შრომის მწარმოებლურობის ამაღლება იანგარიშება ფორმულით:

$$B = \left\{ \left\{ \frac{\Pi_t}{\Pi_{t-1} - \sum \Pi_t} \quad \frac{\Pi}{\Pi_{t-1}} \right\} - 1 \right\} 100,$$

Π_t Π_t სასაქონლო პროდუქციის მოცულობა და სამრეწველო საწარმოო პერსონალის რიცხვია (t-1) საბაზისო წელში, ლარი/კაც.

$\sum \Pi_t$ - სამრეწველო საწარმოო პერსონალის შემცირებაა ახალი ტექნიკის დანერგვის შედეგად საანგარიშო (t) წელში, კაც.

ახალი ტექნიკის ვარიანტის შერჩევის დროს, როცა ეკონომიკურობის ძირითად განმსაზღვრულ ფაქტორად რჩება წარმოების მოცულობა, საჭიროა გამოვიყენოთ კრიტიკული პროგრამის განსაზღვრის მეთოდი, რომელიც ემყარება დანახარჯების დაყოფას მიმდინარე, კაპიტალურ, პროპორციულ (პირობით-ცვლად) და არაპროპორციულ (პირობით-მუდმივ) ხარჯებად.

პირობით-ცვლადად ითვლება მიმდინარე და კაპიტალური ხარჯები, რომლებიც იცვლებიან წარმოების მოცულობის ცვლილების პროპორციულად. ხარჯებს, რომლებიც უმნიშვნელოდ იცვლებიან წარმოების წლიური მოცულობის ცვლილებებით (ან არ იცვლებიან) ეწოდება პირობით-მუდმივი.

**პირობით-ცვლადი და პირობით-მუდმივი
ხარჯების კლასიფიკაცია**

პირობით-ცვლადი ხარჯები ($V = C_v + Ek_v$)	პირობით-მუდმივი ($P = C_a + Ek_a$)
მიმდინარე ხარჯები (შეღიან თეთლირებულებამო)	
<p>ტექნოლოგიური დანიშნულების ძირითადი და დამხმარე მასალები. ძირითადი მუშების ძირითადი ხელფასი დანარიცხებით. უნივერსალური მოწყობილობის ამორტიზაცია, უნივერსალური მოწყობილობის რემონტი და ამორტიზაცია. ტექნოლოგიური ელექტროენერგია, ტექნოლოგიური სათბობი, ძალოვანი ენერგია</p>	<p>სპეციალური მოწყობილობის ამორტიზაცია. სპეციალური მოწყობილობის რემონტი. სპეციალური ინვენტარი და სამარჯეუები, ირიბი ხარჯები გაობობაზე და სხვა. საერთო საქარხნო ხარჯები, წარმოების გარეშე ხარჯები.</p>
კაპიტალური ხარჯები (დაბანდება)	
<p>უნივერსალური მოწყობილობა, უნივერსალური სამარჯეუები და ინსტრუმენტი. შენობები უნივერსალური მოწყობილობებისათვის. ძირითადი და დამხმარე მასალების მარაგები.</p>	<p>სპეციალური მოწყობილობა, სპეციალური ხელსაწყოები და იარაღები. სპეციალური მოწყობილობისათვის შენობები. სამქრო ან საერთო საქარხნო დანიშნულების შენობები.</p>

იმის გამო, რომ წლიური ეკონომიური ეფექტიკნობის თანხა განისაზღვრება, როგორც სხვაობა საბაზო და ახალ გარიანტებს შორის, გაანგარიშების დროს აუცილებელი არაა დანახარჯების საერთო თანხის გაანგარიშება მიმდინარე და კაპიტალური დანახარჯების უკლებლივ ყველა შემადგენელი ელემენტების მიხედვით. გაანგარიშების შედეგი უფრო სწორი იქნება, თუ დანახარჯების ჯამში შეტანილი იქნება მხოლოდ ვარიანტების მიხედვით ცვლადი დანახარჯები.

ქვემოთ მოყვანილია ტექნოლოგიური მოწყობილობის კომპლექსის შემუშავებისა და დანერგვის წლიური ეკონომიური ეფექტიანობის გაანგარიშების მაგალითი.

განგარიშების ამოსავალი მაჩვენებელი მოყვანილია 402 გვერდზე

ტექნოლოგიური მოწყობილობის დანერგვის ეკონომიკური ეფექტიანობის განგარიშების მაგალითი:

№№	მაჩვენებლები	საბაზო ვარიანტი (1)	საანგარიშო ვარიანტი (2)
1	პროდუქციის წლიური მოცულობა, ცალ	1200	1200
2	პროდუქციის თვითღირებულება, ლარ.	520	780
3	ხვედრითი კაპიტალდაბანდება, ლარ.	440	620
4	კომპლექსის წარმადობა, ათ. ლარ.	30	50
5	სამსახურის ვადა, წელიწადი.	5	10
6	ექსპლუატაციის წლიური მიმდინარე ხარჯები, ლარი.	3180	4960
7	თანამდევი კაპიტალური ხარჯები, ლარი	210	270

განგარიშება: მომხმარებლის მიერ კომპლექსზე გაწეული მიმდინარე დანახარჯები U_1 და მისი თანამდევი კაპიტალური დაბანდება K_1 საბაზო ვარიანტში სამუშაოს მოცულობაზე გადაანგარიშებით შეადგენს:

$$U_1 = U'_1 \frac{B_2}{B_1} = \frac{50}{30} \cdot 3180 = 5300 \text{ ლარი}$$

$$K_1 = K_1 \frac{B_2}{B_1} = 210 \cdot \frac{50}{30} = 350 \text{ ლარი}$$

განსაზღვრეთ დაყვანილი ხარჯები საბაზო და ახალი ვარიანტისთვის

$$3_1 = C_1 + E_1 K_1 = 520 + 0.15 \cdot 440 = 586 \text{ ლარი,}$$

$$3_2 = C_2 + E_2 K_2 = 780 + 0.15 \cdot 620 = 873 \text{ ლარი.}$$

მანქანების რენოვაციის კოეფიციენტი:

$$P_1 = \frac{1}{T C_1} = \frac{1}{5} = 0.2; \quad P_2 = \frac{1}{T C_2} = \frac{1}{10} = 0.1$$

წლიური ეკონომიკური ეფექტი საანგარიშო წლისათვის მოწყობილობის წარმოების მოცულობაზე განისაზღვრება ფორმულით:

$$\Xi = \left[3_1 \frac{B_2}{B_1} \frac{P_1 + E_6}{P_2 + E_6} + \frac{(\overline{U}_1 - U_2) - E_6(K_2 - K_1)}{P_2 + E_6} - 3_2 \right]$$

$$\Xi = 1897 \cdot 1200 = 2276400$$

აღნიშნული მაგალითის მიხედვით წლიური ეკონომიკური ეფექტი ითვალისწინებს საბაზო ვარიანტში ახალი ტექნიკის წარმადობის ზრდას, რენოვაციას და მანქანა-მოწყობილობების ექსპლოატაციის ხარჯებს.

წლიური ეფექტიანობის გაანგარიშების აღნიშნული მეთოდი უფრო ზუსტია. მასში ასევე შეიძლება შეტანილი იქნას საბაზო და საანგარიშო ვარიანტში სხვა ცვლადი ელემენტები, როლებიც შეიძლება დაკავშირებული იქნენ ახალი ტექნიკის წარმოებისა და ექსპლოატაციის პირობებში

თავი XVIII. პროდუქციის ხარისხი და მისი ეკონომიკური მნიშვნელობა

18.1 სამრეწველო პროდუქციის ხარისხი და მისი მაჩვენებლები

ჩვენი ქვეყნის საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლასთან დაკავშირებით პროდუქციის ხარისხის ამაღლების პრობლემამ განსაკუთრებული მნიშვნელობა მიიღო. კონკურენციის პირობებში პროდუქციის ხარისხს გადაწყვეტა მნიშვნელობა ენიჭება წარმოების ეკონომიკური მაჩვენებლების ფორმირებაში. პროდუქციის მაღალი ხარისხი უზრუნველყოფს საწარმოს (ფირმის) სიცოცხლის უნარიანობას, პროდუქციის გასაღების მოცულობისა და მოგების ზრდას. თუ სოციალისტურ სისტემაში წარმოების ძირითადი პრობლემა წარმოების მოცულობის გადიდება იყო, დღეს იგი პროდუქციის ხარისხის პრობლემამ შეცვალა. დღეისათვის საწარმოს ამოცანაა აწარმოოს მხოლოდ ისეთი პროდუქცია, რომელიც აკმაყოფილებს მსოფლიო სტანდარტების მოთხოვნებს. საბაზრო ეკონომიკის პირობებში პროდუქციის გასაღება ხდება, როგორც ქვეყნის შიგა, ისე საგარეო ბაზრებზე. პროდუქცია თავისუფლად გადაადგილდება ნებისმიერი ქვეყნის ბაზარზე და შეუძლია შეაღწიოს და დაიპყროს საზღვარგარეთის ნებისმიერი ქვეყნის ბაზარი, განდევნოს თავისი ქვეყნის ბაზრიდან საზღვარგარეთის ნებისმიერი პროდუქცია, თუ იგი თავისი ხარისხით და ფასებით მომხმარებლისათვის უფრო ხელსაყრელია. ამრიგად, პროდუქციის ხარისხი ფირმის წარმატებისა თუ წარუმატებლობის ძირითადი ფაქტორია.

პროდუქციის მაღალი ხარისხი არა მარტო ფირმის, არამედ ქვეყნის ეკონომიკური სიძლიერის, მისი პრესტიჟის ამაღლების გარანტიაა.

პროდუქციის ხარისხის პრობლემის გადაწყვეტა მოითხოვს არა ცალკეულ საკითხთა, არამედ პრობლემათა სისტემის კომპლექსურ განხილვას და გადაწყვეტას. ამდენად პროდუქციის ხარისხი საწარმოს მართვის შემადგენელი ნაწილია. იგი ამავე დროს სახელმწიფოს ზრუნვის სერიოზული საგანია, რომლის სამსახურშიც ჩაყენებული უნდა იქნას მეცნიერების ისეთი დარგები, როგორიცაა მათემატიკა, ქიმია, ეკონომიკა, სოციოლოგია და სხვა.

პროდუქციის ხარისხი მსოფლიო მეცნიერთა კვლევის საგანია.

მიუხედავად ხარისხის ამაღლების დიდი ეკონომიური მნიშვნელობისა ხარისხის თეორიული არსი, მისი ეკონომიური მნიშვნელობა, უკანასკნელ წლებამდე, მეცნიერ მკვლევართა ყურადღების გარეშე იყო დატოვებული. რის გამოც ხარისხის ბევრი თეორიული და პრაქტიკული საკითხი ჯერ კიდევ სათანადოდ არ არის შესწავლილი და მკვლევარ ეკონომისტთა დისკუსიის საგანს წარმოადგენს. ზოგიერთ ეკონომისტს (გ. გრიგორიანი, ე. სოლერტინსკაია და სხვა.) დღესაც მიაჩნიათ, რომ საქონლის სახმარი ღირებულება მხოლოდ საქონელმცოდნეობის საგანია და არა ეკონომიკური გამოკვლევებისა, რაც რა თქმა უნდა, მცდარია.

ყოველი საქონელი, ნივთი, მრავალ თვისებათა ერთობლიობაა, რომლის მიხედვითაც იგი აკმაყოფილებს ადამიანის მოთხოვნილებას.

(საქონლის სახმარი ღირებულება სხვადასხვა ფიზიკური, ქიმიური და ორგანოლექტური ნიშნებით ხასიათდება. ეს ნიშნებია: ფერი, სუნი, გემო, და სხვა. საქონლის სარგებლიანობა სწორედ ამ თვისებათა ხასიათზეა დამოკიდებული, იმაზე, თუ რამდენად შეესაბამება იგი ადამიანის მოთხოვნილებას. ნივთთა სასარგებლო თვისებები ისტორიული ხასიათებისაა. მათი აღმოჩენა და გამოყენება დამოკიდებულია მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარებაზე. „ნივთის სარგებლიანობა ამ ნივთის სახმარ ღირებულებად ხდის“.

ნივთის სახმარი ღირებულება ბუნებრივი თვისებებითაა განპირობებული. მის ფიზიკურ შინაარსს შეადგენს და ყოველთვის დამოკიდებული არ არის ადამიანის მიერ მის დასამზადებლად დახარჯული შრომის რაოდენობაზე; სახმარი ღირებულება ყოველთვის როდი იქმნება მხოლოდ ადამიანის შრომით. ზოგჯერ მის ჩამოყალიბებაში ადამიანს ბუნების ძალები ეხმარება, ზოგჯერ კი იგი მზა სახითაა მოცემული, როგორც მაგალითად, სხვადასხვა ბუნებრივი სიბღიდრენი: სასარგებლო წიაღი სეული, გარეული ხილი და სხვა. ზოგჯერ საქონლის სახმარი ღირებულება ყალიბდება ბუნების მიერ მოცემულ ნივთიერებებთან ადამიანის შრომის შეერთებით. ამ შემთხვევაში ადამიანი სახეს უცვლის ბუნების საგნებს და ანიჭებს მათ მისთვის საჭირო თვისებებს.

საქონლის სახმარი ღირებულება, მისი თვისებათა ხასიათი და ხარისხი, საქონლის საცვლელი ღირებულებისაგან განსხვავებით. რაოდენობითი საზომით განისაზღვრება, მაგალითად: 10 კგ პური, 5

ქსოვილი და სხვა. საქონლის სახმარი ღირებულება, საცვლელი ღირებულებისაგან განსხვავებით მისი მოხმარების, გამოყენების პროცესში გამოვლინდება.

გარკვეული სახეობის საქონლის შექმნაზე დახარჯული კონკრეტული შრომის დამახასიათებელია განსაზღვრული მიზანი, შრომის ოპერაციათა ხასიათი და შრომის საგანი, შრომა უსარგებლოა იმ შემთხვევაში, თუ მის მიერ შექმნილ პროდუქტს არ აქვს სახმარი ღირებულება, ე. ი. ადამიანისათვის გამოუსადეგარია.

პროდუქციის ხარისხი არის საგნის თვისებათა ერთობლიობა, მისი ეაგისიანობა და დანიშნულებრივი გამოყენების დონე. სახმარი ღირებულებისაგან განსხვავებით, იგი გვიჩვენებს, თუ რა დონით აკმაყოფილებს იგი ადამიანის მოთხოვნილებას.

საქონლის სახმარი ღირებულება, მისი სარგებლიანობა საქონლის ხარისხში პოულობს გამოხატულებას. რაც უფრო მაღალია საქონლის ხარისხი, მით უფრო მეტია მისი მნიშვნელობა ადამიანის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებაში, მით უფრო მაღალია მისი სასარგებლო თვისებები.

სახალხო მეურნეობის ცალკეული დარგის განვითარების, საწარმოთა საქმიანობის კონკრეტულ-ეკონომიკური ანალიზისა და შეფასების დროს აუცილებელია ვიცოდეთ გამოშვებული პროდუქციის ხარისხის დონე. პროდუქციის ხარისხი განსაზღვრულ გავლენას ახდენს საზოგადოებრივი წარმოების განვითარების ტემპებსა და პროპორციებზე, კაპიტალური დანახარჯების რაოდენობასა და ეფექტიანობაზე. წარმოების საშუალებათა განსაკუთრებით შრომის იარაღების ტექნიკურ დონეზე უშუალოდ დამოკიდებულია მათი საშუალებით დამზადებული პროდუქციის ხარისხი და რაოდენობა, მოწყობილობის რემონტისა და ექსპლუატაციის დანახარჯების ოდენობა.

ამრიგად, სახმარი ღირებულება, როგორც ფიზიკური, მექანიკური, ქიმიური, ორგანოლექტური, ესტეტიკური და სხვა თვისებათა ერთობლიობა, რომლებიც მას მინიჭებული აქვს როგორც ბუნებრივი, ასევე ადამიანის მიზანშეწონილი ზემოქმედებით, ადამიანის ამა თუ იმ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად, განიხილება საქონელმცოდნეობის მეცნიერების მიერ.

საქონელმცოდნეობა შეისწავლის საქონლის თვისებათა ტექნიკურ მხარეს, ადგენს მის ხარისხს, მისი მოხმარების ოპტიმალურ პირობებს.

პროდუქციის ცალკეული ჯგუფების განხილვისას შეისწავლება ამოსავალი ნედლეულისა და მასალების, ნახევარფაბრიკატების, მზა პროდუქციის ტექნიკური მონაცემები და მათი თვისებები, ამ თვისებათა ცვლილება წარმოების, ტრანსპორტირების, შენახვისა და მოხმარების პროცესებში. იგი მოიცავს იმ ტექნიკურ საკითხთა ფართო წრეს, რომლის საფუძველზეც შესაძლებელი ხდება პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების პრობლემების გადაწყვეტა.

საქონლის ხარისხის შეფასებაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება ხარისხის მაჩვენებლების სისტემისა და მისი გაზომვის მეთოდების შემუშავებას. ამიტომ, საქონელმცოდნეობა დიდ ადგილს უთმობს საქონლის გამოცდისა და მისი ხარისხის დონის დადგენის მეთოდების შემუშავებას.

რაც შეეხება საქონლის სახმარ ღირებულებას, როგორც ეკონომიკურ კატეგორიას, განიხილება მხოლოდ ეკონომიკური თვალსაზრისით. საქონლის თვისებათა ყოველმხრივი შესწავლა გვიჩვენებს, რომ ისინი წარმოადგენენ სახმარი ღირებულების ტექნიკურ და ეკონომიკურ მხარეთა დიალექტიკურ ერთიანობას, რის საფუძველზედაც, შეგვიძლია ამოვხსნათ ხარისხის, როგორც ეკონომიური კატეგორიის თვისებები.

პრაქტიკაში მიღებული განმარტების თანახმად პროდუქციის ხარისხი არის მის თვისებათა ერთობლიობის შესაბამისობა დადგენილ სრანდარტებსა და ტექნიკურ პირობებთან, რომელთა საფუძველზედაც პროდუქცია შეიძლება გამოყენებულ იქნას დანიშნულებისამებრ. აღნიშნული განსახლვრება არ შეიძლება დამაკმაყოფილებლად ჩავთვალოთ ეკონომიკური თვალსაზრისით, ვინაიდან მასში ასახული არ არის მომხმარებელთა მიერ პროდუქციის მოხმარების შედეგი.

პროდუქციის ხარისხის დამახასიათებელ თვისებათა ერთობლიობა ორ ჯგუფად იყოფა, რომელთანაც პირველი რიგის თვისებები გამოვლინდება წარმოების პროცესში და წარმოადგენს სახმარი ღირებულების ტექნიკურ, ანუ საწარმოო მხარეს, მეორე რიგის თვისებები გამოვლინდება პროდუქციის მოხმარების პროცესში და წარმოადგენს სახმარი ღირებულების ეკონომიკურ მხარეს. როგორც „საწარმოო“, ისე „სამომხმარებლო“ ხარისხისათვის დამახასიათებელი თვისებები იქმნება წარმოების პროცესში, მაგრამ ისინი გამოძვლავნდებიან განსხვავებულ დროსა და

სფეროში. ამიტომ, უფრო სრულყოფილი განმარტებით, პროდუქციის ხარისხი არის პროდუქციის განსაზღვრულ თვისებათა შესაბამისობას დონე მომხმარებელთა მიერ მისაღები წაყენებული მოთხოვნისადმი.

პროდუქციას მრავალი თვისება აქვს. ისინი წარმოადგენენ წარმოების, მოხმარების ან ექსპლუატაციის ობიექტურ თვისებურებებს. ყოველ პროდუქციას მასთვის დამახასიათებელი ობიექტური თვისებურებანი ახასიათებს. სწორედ ამ თვისებურებებით განვასხვავებთ ერთ პროდუქტს ყველა სხვა პროდუქტისაგან.

პროდუქციის ხარისხი მოიცავს მხოლოდ იმ თვისებათა ერთობლიობას, რომლებიც განსაზღვრავენ დანიშნულების შესაბამისად მოთხოვნილების დაკმაყოფილების დონეს.

ხარისხი დინამიური კატეგორიაა. იგი გამოვლინდება და იცვლება საზოგადოების განვითარებასთან ერთად. საზოგადოების ისტორიული განვითარების გარკვეულ საფეხურზე იცვლება ადამიანის მოთხოვნილება, ზოგჯერ, აწალ პირობებში, მთლიანად ქრება პროდუქციისადმი წაყენებული ცალკეული მოთხოვნილება და მის ადგილს იკავებს ახალი, უკეთესი თვისებების მქონე პროდუქცია.

ბიუჯეტად იმისა, რომ თითოეულ კონკრეტულ პროდუქციას მისთვის დამახასიათებელი კონკრეტულ თვისებათა სისტემა გააჩნია, ისინი შეიძლება გაჯერთიანოთ ერთ განზოგადებულ მაჩვენებელში, ფართო მოხმარების საგნებისათვის ასეთი მაჩვენებლები შეიძლება დაეყოთ ორ ჯგუფად:

1. ტექნიკური და 2. მხატვრულ-კონსტრუქციული, ესთეტიკური და ორგანიზაციული მაჩვენებლები.

ტექნიკურ მაჩვენებლად ითვლება გამჭვირვალობა, სიმტკიცე, ცვეთისადმი გამძლეობა, ელასტიურობა, სინესტის შემცველობა ან გაუშტარობა და სხვ. მხატვრულ-კონსტრუქციული, ესთეტიკური და ორგანიზაციული მაჩვენებლებს მიეკუთვნებიან: მხატვრული-გაფორმება, ფერი, გემოვნება, კალორიულობა, შეკერვის შოდა და სხვ.

სამრეწველო პროდუქციის (ტექნიკური ნაწარმი-მანქანები, ხელსაწყობები, აპარატები) ხარისხის მაჩვენებლები ასევე შეგვიძლია გაჯერთიანოთ ორ ჯგუფად:

1. საწარმო-ტექნიკური და 2. საექსპლუატაციო მანქანები. საწარმო-ტექნიკურ მანქანებებს მიეკუთვნებიან: შრომატევადობა, მასალატევადობა და სხვადასხვა კონსტრუქციულ-ტექნოლოგიური მანქანებები, რომლებიც დამოკიდებული არიან პროდუქციის დამამზადებელ საწარმოთა ობიექტურ თავისებურებებზე. მეორე ჯგუფის მანქანებები განსაზღვრავენ პროდუქციის საექსპლუატაციო თავისებებს. მათ შორის არჩევენ:

1. ტექნიკური დონის მანქანებებს,
2. საიმედოობას და ხანგაძლეობას,
3. კონსტრუქციულ-ესთეტიკურ და ეკონომიკურ მანქანებებს.

შრომატევადობა და მასალატევადობა საწარმოო მანქანებლებია და მათი დონე პროდუქციაში დიდ გავლენას ახდენს ამ პროდუქციის თვითღირებულებასა და წარმოების რენტაბელობაზე. ეს ისე არ უნდა გაეიგოს, რომ თოთქოს ამ მანქანებელთა შემცირება ყოველთვის დადებითი მონღენა იყოს, პირიქით, საზოგადოებრივი უწყეტიანობის თვალსაზრისით ზოგჯერ უმჯობესია ამ მანქანებელთა გადიდებაც. თუ ისინი გამოიწვევენ პროდუქციის ხანგაძლეობისა და საიმედოობის უპირატეს ზრდას. პროდუქციის შრომატევადობისა და მასალატევადობის შემცირება მიზანშეწონილია მხოლოდ პროდუქციის ხარისხის უცვლელ პირიბებში ან მისი ამაღლებისას.

კონსტრუქციულ-ტექნოლოგიური მანქანებებს მიეკუთვნებიან პროდუქციის წარმოების ტექნიკური და ტექნოლოგიური თავისებურებანი, რომლებიც განსაზღვრავენ წარმოების ობიექტურ პირობებს. ასეთია ტექნოლოგიური პროცესის ხასიათი, მისი სირთულე, ციკლის ხანგრძლივობა, სტანდარტიზაციისა და უნიფიკაციის მანქანებები, შრომის შწარმოებლურობა და ნედლეულის გამოყენების კოეფიციენტი, წარმოების ექსპლუატაციისა და რემონტის დანახარჯების შემცირება.

ტექნიკური პროდუქციის საექსპლუატაციო მანქანებელთა პროდუქციის ტექნიკური დონე. იგი გვიჩვენებს პროდუქციის ძირითად საექსპლუატაციო თვისებათა შესაბამისობას მოთხოვნილებასთან, საუკეთესო საზღვარგარეთის ნიმუშებთან და პერსპექტიულ მონაცემებთან. ამიტომ უნდა განვასხვაოთ ერთმანეთისაგან პროდუქციის აბსოლიტური, შეფარდებითი და პერსპექტიული დონე. აბსოლიტური ტექნიკური დონე ახასიათებს ნაწარმის თანამედროვე საექსპლუატაციო ძირითად მანქანებებს. შეფარ-

დებითი ტექნიკური ღონე გვიჩვენებს მის შესაბამისობას თანამედროვე საუკეთესო ანალოგიური ნაწარმის ტექნიკურ ღონესთან, პესპექტიული ღონე ახასიათებს ნაწარმის ტექნიკური სრულყოფის ძირითად მიმართულებებს და ტენდენციებს, რისთვისაც აუცილებელია ექსპლუატაციის თავისებურებათა მოთხოვნილების სისტემატური შესწავლა და აღრიცხვა.

ამ მოთხოვნათა უგულებელყოფა იწვევს წარმოების ტექნიკური ღონის დაცემას, ფერხდება ახალი პროდუქციის ათვისება და წარმოება, იზრდება მორალურად მოძველებული ექსპლუატაციაში მყოფი ნაწარმის რაოდენობა, რომელიც სახალხო მეურნეობაში გამოიყენება.

პროდუქციის ხანგამძლეობა არის ნაწარმის (მანქანის, მოწყობილობის, აპარატის) თვისება, შეინარჩუნოს მუშაობის უნარიანობა ექსპლუატაციის ნორმალურ პირობებში მწყობრიდან გამოსვლამდე, ან სხვა ზღვრულ მდგომარეობის დადგომამდე. ხანგამძლეობის ძირითადი რაოდენობრივი მაჩვენებელია ტექნიკური რესურსები და სამსახურის ვადა.

ტექნიკური რესურსი მანქანის შეუფერხებელ მუშაობის დროს ექსპლუატაციის პერიოდში. მისი განზომილება შეიძლება იყოს კილომეტრების რაოდენობა მუშაობის დროის ერთეულში, ან მომსახურების დროის ხანგრძლივობა. არჩევენ სრულ, საშუალო და ნარჩენ ტექნიკურ რესურსს. სრული ტექნიკური რესურსი გაიანგარიშება ექსპლუატაციის დასაწყისიდან. დასასრულამდე. საშუალო ტექნიკური რესურსი არის ნაწარმის ერთობლიობის, ან პარტიის სრული ტექნიკური რესურსის საშუალო მნიშვნელობა. ნარჩენი ტექნიკური რესურსია დროის რაოდენობა მოცემული მომენტიდან ექსპლუატაციის პერიოდის დაბთავრებამდე.

სამსახურის ვადა ეს არის ნაწარმის ნორმალური ექსპლუატაციის კალენდარული პერიოდი, მწყობრიდან გამოსვლის ან სხვა ზღვრული მდგომარეობის დადგომამდე (კერძოდ კი, პირველ კაპიტალურ რემონტამდე). ხშირ შემთხვევაში განსაზღვრავენ მანქანის მუშაობის საგარანტიო ვადას, რომლის განმავლობაშიც დამამზადებელი საწარმო ნაწარმის გამართული მუშაობის გარანტიას იძლევა და უწყესიერობის შემთხვევაში კისრულობს მატარიალურ პასუხისმგებლობას ექსპლუატაციის პირობების დაცვის შემთხვევაში.

საიმედოობა იმ თვისებათა ერთობლიობაა, რომელიც უზრუნველყოფს. როგორც თვით ნაწარმის, ისე ყველა მისი შემადგენელი ნაწილის

საექსპლუატაციო თვისებათა შენარჩუნებას ექსპლუატაციის მთელ პერიოდში.

საიმედოების რაოდენობრივი მაჩვენებელია: ნაკეთობა, (სამოშაოს მოცულობა გამოხატული ციკლთა რაოდენობით, გარბენის სიშორით კილომეტრებში) ნაკეთობის მწყობრიდან გამოსვლის, (ნაკეთობის საშუალო მნიშვნელობა თითოეულ ორ თანამიმდევრობით: მწყობრიდან გამოსვლას შორის) და მზადყოფნის კოეფიციენტი (ნაკეთობის შეფარდება დროის ერთეულში ამ ნაკეთობისა და დროის ჯამთან, რომელიც დაიხარჯა უწყესიერობის მიზნის დადგენისა და მოწესრიგებაში ექსპლუატაციის ამავე პერიოდში).

ტექნიკური პროდუქციის ხარისხი ასევე განისაზღვრება საექსპლუატაციო, კონსტრუქციულ-ესთეტიკური და ერგონომიული მაჩვენებლებით.

სამრეწველო პროდუქციის ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებთან ერთად დიდი მნიშვნელობა ენიჭება მათ ესთეტიკურ და ერგონომიკურ მაჩვენებლებს. ესთეტიკურ მაჩვენებლებს მიეკუთვნება ნაწარმის მხატვრულ-კონსტრუქციული ნიშნები, მისი არქიტექტურული, მხატვრული და კონსტრუქციული გაფორმება. ერგონომიკური მაჩვენებლებია მისი მართვისა და მომსახურების მოხერხებულობა, სიადვილე, კიდეგუნრობა, შრომის რაციონალური გამოყენების შესაძლებლობა და სხვა.

აღსანიშნავია, რომ ზოგიერთი ავტორი ხარისხის საერთო მაჩვენებელთა სისტემაში იყენებს წუნის პროცენტს, რეკლამაციის მაჩვენებელს და ნაწარმის საგარანტიო სამსახურის ვადას, რაც, ყოველთვის არ არის სწორი. მართალია პროდუქციის წუნის შემცირებისათვის ბრძოლას დიდი მნიშვნელობა აქვს წარმოების ეკონომიკაში, წუნის შემცირება იწვევს პროდუქციის წარმოების მოცულობის გადიდებას და მატერიალურ-შრომითი რესურსების ეკონომიას, მაგრამ წუნის პროცენტი არ შეიძლება იყოს პროდუქციის ხარისხის მაჩვენებელი, ვინაიდან წუნი არ იძლევა პროდუქციის სამომხმარებლო თვისებათა სწორ შეფასების შესაძლებლობას.

წარმოებაში წუნი ეს არის დანაკარგები, რომლებიც წარმოიქმნება ტექნოლოგიური პროცესისა და შრომის ორგანიზაციის ნორმების დარღვევის შედეგად. ზოგჯერ პროდუქციის ხარისხის ამაღლებას თან სდევს შიდა საწარმოო წუნის ოდენობის გადიდება.

რეკლამაცია, რომელსაც ღებულობს დამამზადებელი საწარმო, მიგვითითებს ნაწარმის დაბალ ხარისხზე. იგი ხშირად გამოიყენება როგორც საშუალება საწარმოო პროცესებში არსებული დარღვევების გამოსაყენად და მათ გამოსასწორებლად. მიუხედავად ამისა, რეკლაცია არ შეიძლება მიჩნეულ იქნას ხარისხის ძირითად მაჩვენებლად, ვინაიდან, ვერ ერთი, მომხმარებელი ყოველთვის არ ადგენს რეკლამაციას, ხშირად იგი თვითონ ასწორებს მცირე დეფექტებს და არ ატყობინებს დამამზადებელ საწარმოს. მეორეც, ზოგჯერ მომხმარებელი ნაწარმზე დეფიციტის გამო იძულებულია თავი შეიკავოს მომწოდებლისადმი სანქციის წაყენებაზე, რის შედეგადაც იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს დამამზადებლის მიერ წარმოებული პროდუქცია მაღალი ხარისხისაა. ხშირია ისეთი შემთხვევებიც; როცა მწარმოებელი თვითონ აწარმოებს მის მიერ წარმოებული მოწყობილობის მონტაჟს, ექსპლუატაციაში გაშვებას და თვითონვე ასწორებს წუნს, ან დეფექტები გამოვლინდება საგარანტიო ვადის გასვლის შემდეგ, რის გამოც რეკლამაცია არ ფიქსირდება.

ამრიგად, რეკლამაციის შემცირება, ან საერთოდ არ არსებობა შეიძლება ჩაითვალოს პროდუქციის მაღალი ხარისხის მაჩვენებლად.

პროდუქციის საგარანტიო ვადა წესდება იმისათვის, რომ ამ პერიოდში, ექსპლუატაციის ნორმალურ პირობებში, დამამზადებელი საწარმო ვალდებულია მომხმარებელს უფასოდ ჩაუტაროს საჭირო რემონტი ან შეიცვალოს ცალკეული დეტალები. აქედან გამომდინარე, თითოეული საწარმო ცდილობს დააწესოს თავის ნაწარმზე მცირე საგარანტიო ვადა. სინამდვილეში ნაწარმის მასობრივი წარმოების პირობებში იცვლება ტექნიკა და ტექნოლოგია, უმჯობესდება ხარისხი, მაგრამ საგარანტიო ვადა იგივე რჩება. საგარანტიო ვადა ხშირად ნაწარმის საექსპლუატაციო პერიოდის 1\10-1\15 ნაწილს მოიცავს, რაც მომხმარებლისათვის უმნიშვნელოა. საჭიროა საგარანტიო ვადა ისე დაწესდეს, რომ დამამზადებელი საწარმო ნამდვილად იძლეოდეს ნაწარმის საიმედო მუშაობის გარანტიას მთელი მისი საგარანტიო ვადის განმავლობაში. ასევე მიზანშეწონილია გაიზარდოს საგარანტიო ვადის პერიოდი, რომ იგი ემთხვეოდეს ან უახლოვდებოდეს პირველ კაპიტალური რემონტის ვადას, მხოლოდ ამ პირობით შეიძლება საგარანტიო ვადა ჩაითვალოს ხარისხის საერთო მაჩვენებლად.

აღნიშნული პროდუქციის ხარისხის შეფასებისათვის საჭიროა ყველა შემთხვევაში მოყვანილი ხარისხის მაჩვენებლის გამოყენება, ვინაიდან ხშირია შემთხვევა, როცა ნაწარმის ტექნიკური დონე მაღალია, მაგრამ არა-დამაკმაყოფილებელია მისი კონსტრუქციულ-ესთეტიკური, ან ერგონომიული მაჩვენებლები, ან კიდევ პირიქით. ამიტომ პროდუქციის ხარისხის სრულყოფის ამოცანა განხილულ უნდა იქნეს კომპლექსურად. იგი უნდა შეესაბამებოდეს პროდუქციის დანიშნულების არა მარტო თანამედროვე, არამედ პერსპექტიულ მოთხოვნებსაც.

18.2 პროდუქციის ხარისხის ამაღლების ეკონომიკური ეფექტიანობა და მისი განსაზღვრის მეთოდები

პროდუქციის ხარისხის ამაღლება საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის განმსაზღვრელი ფაქტორებია. იგი უზრუნველყოფს საზოგადოებრივი შრომის ეკონომიას, შრომის მწარმოებლურობის ზრდასა და წარმოების სტრუქტურის სრულყოფას. ამავე დროს, პროდუქციის ხარისხის ამაღლება ტექნიკური პროგრესის შედეგია. რაც უფრო მაღალია საზოგადოების საწარმოო ძალთა განვითარება, მით უფრო სრულყოფილია შრომის იარაღები, ფართოა მათი საშუალებით დამზადებული პროდუქციის ასორტიმენტი და მაღალია ხარისხი. დადგენილია, რომ პროდუქციის ხარისხის ამაღლებაზე გაწეული კაპიტალდაბანდებიანი არა მარტო გამოიხდება, არამედ იძლევა მნიშვნელოვან ეკონომიკურ ეფექტს. განგარიშებამ გვიჩვენა, რომ ერთ-ერთ საწარმოო ფირმაში 100 ათასი ლარის დამატებითი მოგების მისაღებად საჭირო იყო გაზრდილიყო პროდუქციის რეალიზაცია ერთიდან სამი მილიონამდე, მაგრამ ასეთივე მოგებას მივიღებდით, თუ წუნის თავიდან ასაცილებლად გავიღებდით დანახარჯებს ოცი ათასი ლარის ოდენობით.

პროდუქციის ხარისხის ამაღლება გამოხატულებას პოულობს წარმოების ყველა სფეროსა და საკითხში მან შეიძლება მოგვეცეს პროდუქციის ექსპლუატაციაზე დანახარჯების ეკონომია, მანქანების მოცდენების შემცირება, კაპიტალდაბანდების ეკონომია, საწარმოო სიმძლავრის ზრდა, დანახარჯების შემცირება რემონტზე და სხვა. პროდუქციის ხარისხის ამაღლება, როგორც საზოგადოებრივი შრომის მწარმოებლურობის ამაღლების ფორმა, თავის გამოხატულებას პოულობს იმ პროდუქციის

რაოდენობის წარმოების შემცირებაში, რომელიც აუცილებელია განსაზღვრული მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად. ასე მაგალითად: საკისარების მუშაობის ვადის გადიდება 50%-ით მისი წარმოების მოცულობის 50%-ით ზრდის ტოლფასოვანია. გარდა წარმოების მოცულობის პირობითი ზრდისა, ხარისხის ამაღლება გვაძლევს მნიშვნელოვანი შრომითი და მატერიალური რესურსების ეკონომიას, როგორც წარმოებაში, ისე მის ექსპლუატაციაში. ამიტომ პროდუქციის ხარისხის ამაღლება დაკავშირებულია მატერიალურ-ტექნიკური და შრომითი რესურსების უფრო ეფექტიან გამოყენებასთან.

ნედლეულის, მასალებისა და სათბობის ხარისხის ამაღლება იმაში გამოიხატება, რომ იზრდება სასარგებლო ნივთიერებათა შემადგენლობა ნედლეულსა და მასალებში, მაგალითად: ლითონის შემცველობა მადანში, სათბობში მცირდება ნაცრიანობა, სასოფლო-სამეურნეო კულტურებში იზრდება შაქრიანობა, ცხიმინობა და სხვა., რაც საბოლოოდ იწვევს წარმოების მოცულობის ზრდას. ამასთანავე მცირდება სასარგებლო ნივთიერებათა ერთეულზე შრომის, ტრანსპორტირებისა და გადამუშავების ხარჯები.

მანქანების, მოწყობილობების, სატრანსპორტო საშუალებების და ხელსაწყოების ხარისხის ამაღლება ასევე წარმოების მოცულობის ზრდის ტოლფასოვანია. ლითონის ხარჯი გაუმჯობესებული ხარისხის მანქანების წარმოებაზე ნაკლებია, ვინაიდან სიმძლავრე უფრო მეტად იზრდება, ვიდრე ლითონის ხარჯი. ამდენად მცირდება განივთებული შრომის წილი და იზრდება ცოცხალი შრომის მწარმოებლობა, შესაძლებელი ხდება ერთი და იგივე მოცულობის პროდუქცია გამოუშვათ უფრო ნაკლები მუშახელით.

მოწყობილობებისა და მანქანების ხარისხის სრულყოფა ტექნიკური პროგრესის დაჩქარებისა და ეფექტიანობის ამაღლების აუცილებელი პირობაა. აქედან გამომდინარე, თანამედროვე პირობებში წარმოებისათვის დამახასიათებელია ორგანიზაციის ისეთი მეთოდები, როგორიცაა ავტომატიზაცია, მექანიზაცია, საწარმოო პროცესთა ინტენსიფიკაცია, საწარმოო სიმძლავრეთა კონცენტრაცია, წარმოების პროცესის განუწყვეტელობა და რიტმულობა, რაც შეუძლებელია საიმედო მანქანებისა და აგრეგატების სტაბილური მუშაობის გარეშე. ამდენად, პროდუქციის ხარისხის ამაღლებას თანამედროვე პირობებში უაღრესად დიდი მნიშვნელობა

აქვს. იგი უფრო ფართო შინაარსს იღებს, ე.ი. უნდა დამზადდეს არა მარტო ისეთი ნაკეთობანი, რომლებიც შეესაბამებიან სტანდარტებს და ტექნიკურ პირობებს, არამედ უმთავრესად ისეთი, რომლებიც უზრუნველყოფს ექსპლუატაციის პროცესში მაღალ ეფექტიანობას და საიმედოობას.

პროდუქციის ხარისხის ამაღლება ხშირ შემთხვევაში იწვევს დანახარჯების გადიდებას მის წარმოებაზე, მაგრამ იგი ანაზღაურდება არა მხოლოდ წარმოების სფეროში, არამედ მოხმარების სფეროშიც. ამავე დროს აღსანიშნავია, რომ ხარისხის ამაღლებაზე გაწეული კაპიტალური დანახარჯების ეკონომიური ეფექტიანობა დაახლოებით 20-ჯერ მეტია, ვიდრე სხვა დანახარჯებისა.

მომხმარებლის მიერ წლიური ხარჯების ეკონომია ნაწარმის ხარისხის გაუმჯობესების შედეგად განისაზღვრება შემდეგი ფორმულით:

$$\Theta = \frac{L_1 + 3_{კ1} + M_1 - O_1}{T_1} - \frac{L_2 + 3_{კ2} + M_1 - O_1}{T_2}$$

სადაც L_1 და L_2 არის ნაწარმის ფასი, შესაბამისად ხარისხის გაუმჯობესებამდე და მის შემდეგ;

$3_{კ1}$ და $3_{კ2}$ — დანახარჯები რემონტზე ხარისხის გაუმჯობესებამდე და მის შემდეგ;

M_1 და M_2 — მასალების მიმდინარე ხარჯები (სათბობი, საცხები მასალები, ელექტროენერგია და სხვა.) ხარისხის გაუმჯობესებამდე და მის შემდეგ;

O_1 და O_2 — ნაწარმის ნარჩენები ღირებულება ექსპლუატაციიდან გამოსვლის შემდეგ. ხარისხის გაუმჯობესებამდე და მის შემდეგ: —

T_1 და T_2 — ნაწარმის სამსახურის ვადა, შესაბამისად, ხარისხის გაუმჯობესებამდე და მის შემდეგ.

ხაერთო წლიურ ეკონომიას კი ვანგარიშობთ თითოეული ნაწარმის წლიური ეკონომიისა და მოხმარებული ნაწარმის რაოდენობის ნამრავლით.

მანქანებისა და მოწყობილობების - ხარისხის ამაღლება საშუალებას გვაძლევს შევამციროთ მიმდინარე ხარჯები მათი ექსპლუატაციის დროს, რაც გამოიხატება რემონტის ხარჯების შემცირებით, ნედლეულის

სვედრითი ხარჯის, ელექტროენერჯის, სათბობისა და სხვა მატერიალური რესურსების შემცირებით პროდუქციის ერთეულზე.

ხარისხის ამაღლების ეკონომიკური ეფექტიანობა ყოველთვის განხილული უნდა იქნას კომპლექსურად როგორც დამამზადებელ საწარმოს, ასევე სახალხო მეურნეობის მასშტაბით.

ხარისხის ამაღლების ეკონომიკური ეფექტიანობა განისაზღვრება ხარისხის ამაღლებაზე გაწეული დანახარჯებისა და იმ ეკონომიის შეფარდებით, რომელსაც მოსახლეობა ან სახალხო მეურნეობა ღებულობს.

ხარისხის ამაღლების ეკონომიკური ეფექტიანობის განსაზღვრის მეთოდის განსხვავებულია წარმოების საშუალებებისა და მოხმარების პროდუქტებისათვის.

მაგალითად, ტექნოლოგიური მოწყობილობის ხარისხის ამაღლების წლიური ეფექტიანობა მოხმარების სფეროში შეიძლება განესაზღვროთ შემდეგი ფორმულით:

$$\Theta = [(C_1 - C_2) - E_6 (K_2 - K_1)] \cdot A_2 \text{ ლარი წელიწადში,}$$

სადაც C_1, C_2 წლიური პროდუქციის თვითღირებულებაა, დამზადებული ამ მოწყობილობით ხარისხის გაუმჯობესებამდე და გაუმჯობესების შემდეგ;

K_1, K_2 - მოწყობილობის ერთეულის ფასი, ხარისხის გაუმჯობესებამდე და გაუმჯობესების შემდეგ;

A_2 - გაუმჯობესებული მოწყობილობის რაოდენობა, რომელსაც იყენებენ მომხმარებელი ან მომხმარებელთა ჯგუფი;

E_6 - კაპიტალდაბანდების ეფექტიანობის ნორმატიული კოეფიციენტი, რომელიც მიღებულია მომხმარებელი საწარმოს დარგისათვის (მანქანათმშენებლობაში $E_6 = (0,12-0,2)$).

თუ გაუმჯობესებული ხარისხის მოწყობილობა იძლევა შრომის მწარმოებლურობის ზრდას, მაშინ მიღებული წლიური ეკონომიური ეფექტიანობა იანგარიშება ფორმულით: $\Theta = [(C_1 - C_2) - E_6 (K_1 - K_2)] \cdot P_2 \cdot A_2$ ლარი წელიწადში,

სადაც C_1 და C_2 - პროდუქციის ერთეულის თვითღირებულებაა, რომელიც დამზადებულია ამ მანქანაზე ხარისხის გაუმჯობესებამდე და მის შემდეგ;

K_1 და K_2 - ხვედრითი კაპიტალდაბანდება; P_2 - ახალი მოწყობილობის მწარმოებლურობა, ცალიწელ.

მოწყობილობის ხარისხის გაუმჯობესების ეკონომიური ეფექტიანობა ასევე შეიძლება გაიანგარიშოთ მოხმარების სფეროში კაპიტალდაბანდების გამოსყიდვის ვადის მიხედვით შემდეგი ფორმულით:

$$T_{გამ} = \frac{K_2 - K_1}{S_1 - S_2} \text{ წელ.}$$

ამ გზით მიღებულმა გამოსყიდვის ვადამ არ უნდა გადააჭარბოს გამოსყიდვის ნორმატიულ ვადას, რომელიც მიღებულია მომხმარებელი დარგისათვის.

პროდუქციის ხარისხის ამაღლების ეკონომიკური ეფექტიანობა დამამზადებელ საწარმოში იანგარიშება ორი ვარიანტით. პირველი, როცა ხარისხის გაუმჯობესებისათვის საჭიროა კაპიტალური დაბანდება, ახალი მანქანა-მოწყობილობის დამზადება, ან შექმნა და მეორე, როცა ხარისხის გაუმჯობესება არ მოითხოვს დამატებით კაპიტალდაბანდებას.

პირველ შემთხვევაში მოწყობილობის ხარისხის გაუმჯობესების წლიური ეფექტიანობა იანგარიშება ფორმულით:

$$\mathfrak{E} = (\Delta K - \Delta C)N_2 - E_k \cdot \Delta Q \text{ ლარი/წელ.}$$

სადაც ΔQ მოწყობილობის ხარისხის ამაღლებისათვის საჭირო დამატებითი კაპიტალური დაბანდების თანხაა (ლარით).

მეორე შემთხვევაში, როდესაც მოწყობილობის ხარისხის ამაღლება შესაძლებელია დამატებითი კაპიტალდაბანდების გარეშე, ხარისხის ამაღლების წლიური ეკონომიური ეფექტიანობა იანგარიშება დამამზადებელ საწარმოში შემდეგი ფორმულით:

$$\mathfrak{E} = (\Delta K - \Delta C)N_2 = [(K_2 - K_1) - (C_2 - C_1)]N_2 \text{ ლარი/წელ.}$$

ახალი სახეობის პროდუქციის შექმნისას ყველაზე მისაღებად მიიჩნევენ იმ ვარიანტებს, როდესაც დაყვანილი დანახარჯები მინიმალური მნიშვნელობისაა:

$$P_c = C + E_k \cdot k \rightarrow \min,$$

სადაც P_c არის დაყვანილი დანახარჯები;

C - თეორიკული;

K - კაპიტალური დაბანდებები;

E_k - კაპიტალურ დაბანდებათა შეფარდებითი ეკონომიკური ეფექტიანობის ნორმატიული კოეფიციენტი.

აღნიშნული ხერხით ხარისხის ამაღლების ეკონომიკური ეფექტიანობის შეფასება ზოგადია და არ იძლევა შესადარისობის შესაძლებლობას და მომხმარებლის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების მდგომარეობას, ამიტომ იგი მხოლოდ კონკრეტულ პირობებში გამოიყენება.

პროდუქციის ხარისხის ამაღლების ეფექტიანობა მისი მოხმარების კონკრეტული პირობების განისაზღვრება, რომელზეც მრავალი ცვლადი ფაქტორები მოქმედებენ. ამიტომ ეკონომიკური ეფექტიანობის განსაზღვრისათვის თითოეული კონკრეტული პირობების მიხედვით უნდა გამოვიყენოთ განსხვავებული მეთოდები. განვიხილოთ პროდუქციის ხარისხის ამაღლების ეკონომიკური ეფექტიანობის განსაზღვრის ზოგიერთი შემთხვევა.

პროდუქციის ხარისხის ამაღლებით მიღებული ეკონომიკური ეფექტიანობა იმ შემთხვევაში, როდესაც მცირდება პროდუქციის თვითღირებულება (მაგ. წუნის შემცირებით, წარმოების და შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესებით და სხვა.) მიღებული წლიური ეკონომიკური ეფექტიანობა იანგარიშება ფორმულით:

$$\Theta = (C_1 - C_2) B_2,$$

სადაც C_1 და C_2 ერთი ნაკეთობის თვითღირებულებაა ღონისძიებამდე და მის შემდეგ;

B_2 - პროდუქციის წლიური წარმოება ღონისძიების გატარების შემდეგ.¹

თვითღირებულების შემცირება, ხარისხის გაუმჯობესებასთან ერთად, შეიძლება მივიღოთ მოწყობილობის დამზადების ტექნოლოგიის სრულყოფით, შრომატევადობის შემცირებით, პროდუქციის ერთეულზე პირობით-მუდმივი ხარჯების შემცირებით, სპეციალური მოწყობილობებისა და სამარჯვეების გამოყენებით და ა.შ.

პროდუქციის ხარისხის ან ექსპლუატაციის ვადის გადიდების ეკონომიკური ეფექტიანობა შეიძლება ვიანგარიშოთ ფორმულით:

$$\Theta = B_2 \left[(C_1 + E_n K_1) \frac{T_2}{T_1} - (C_2 + E_n K_2) \right],$$

სადაც B_2 გაუმჯობესებული ხარისხის პროდუქციის რაოდენობაა; C_1 - პროდუქციის თვითღირებულება გაუმჯობესებამდე;

¹ А. Я. Шухгалтер, экономические вопросы, повышения качества надежности и долговечности промышленных изделий, М., 1966 г. стр. 20

E_n - კაპიტალდაბანდების ნორმატიულობის კოეფიციენტი;

K_1 და K_2 - წარმოებული პროდუქციის კაპიტალური დანახარჯები გაუმჯობესებამდე და გაუმჯობესების შემდეგ.

T_1 და T_2 - პროდუქციის საექსპლუატაციო ვადა ხარისხის გაუმჯობესებამდე და გაუმჯობესების შემდეგ.

პროდუქციის საიმედოობის დონეს თავისი ეკონომიური საზღვრები გააჩნია. გარკვეულ დონემდე ხარისხის გაუმჯობესებით საიმედოობის ზრდა ეკონომიკურად მაზანშეწონილია და ეკონომიურია, მაგრამ ამის შემდეგ ხარისხის ზრდამ შეიძლება მოგვცეს უარყოფითი შედეგი, ე.ი. გაწეული კაპიტალური დანახარჯები მეტი აღმოჩნდეს საიმედოობის ზედმეტად გაზრდით მიღებულ ეკონომიკურ ეფექტზე, ამიტომ საჭიროა განესაზღვროთ საიმედოობის ოპტიმალური დონე, რისთვისაც ვანგარიშობთ წლიური ეკონომიკური ეფექტის სხვადასხვა ვარიანტს, საიდანაც ვირჩევთ ოპტიმალურ ვარიანტს.

საიმედოობის ზრდით მიღებული ეკონომიკური ეფექტიანობა ინგარიშება ფორმულით:

$$\Xi = \left(v_1 + \frac{H_1 + E_n K_1}{\Pi \Phi K_{\text{ბა}1}} - v_2 \frac{H_2 + E_n K_2}{\Pi \Phi K_{\text{ბა}2}} \right) \Pi \Phi \cdot K_{\text{ბა}2}$$

სადაც H_1 და H_2 არის პირობით-მუდმივი დანახარჯები წელიწადში, ლარი, შესაბამისად საბაზო და გაუმჯობესებული პროდუქციისათვის;

v_1 და v_2 არის ერთეული პროდუქციის დანახარჯები წარმოების ზრდის პროპორციულად;

Π არის მოწყობილობის ტექნიკური წარმადობა 100%-ით. საიმედოობის პირობებში, 1 საათში;

Φ - დროის წლიური ფონდი საათობით;

$K_{\text{ბა}1}$ და $K_{\text{ბა}2}$ - ტექნიკური გამოყენების კოეფიციენტი საიმედოობის გაზრდამდე და მის შემდეგ;

წუნის შემცირების ეკონომიკური მნიშვნელობა განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს თანამედროვე პირობებში წუნდებული პროდუქციის გამოშვება მრეწველობაში ხშირ შემთხვევაში 15-20%-ს აღემატება.

წუნის შემცირებით მიღებული ეკონომიური ეფექტიანობა შეგვიძლია გავიანგარიშოთ შემდეგი ფორმულით:

$$\Xi_f = \left(\frac{\Phi}{\Phi - B_2 \frac{B}{100} T_{cs}} - 1 \right) \cdot [H + (E_s + \frac{A}{100}) K] + B_2 \frac{B}{100} \cdot T_{cs} \Pi_{\text{ფ}}$$

სადაც Φ - არის მომხმარებლის მომუშავეთა სამუშაო დროის ფონდი ცელაში?საათობით;

B_2 - საწარმოს მიერ დამზადებული პროდუქციის რაოდენობა წელიწადში;

B - წუნი პროდუქციის რაოდენობა %-ით;

T_{cs} - წუნი პროდუქციის ერთეულის გამოცვლაზე დახარჯული დრო სთში;

$\Pi_{\text{ფ}}$ მუშის საათობრივი განაკვეთი ლარი/საათი;

H - პირობით-მუდმივი დანახარჯების წლიური თანხა;

K - მომხმარებლის ძირითადი ფონდები, ლარ-ში;

A - ამორტიზაციის წლიური ნორმა, %-ით.

აღნიშნული ფორმულა გამოიყენება კერძო შემთხვევაში, როცა საჭიროა წუნდებულ-მოწყობილობის, ნამზადის, ან დეტალის შეცვლა და მასთან დაკავშირებული ხარჯების გაწევა მომხმარებლის მიერ. ამ შემთხვევაში ექვეტანობას ეანგარიშობთ იმ თანხით, რომელსაც მივიღებთ მომხმარებელ საწარმოში 100%-იანი ვარგისი ნაწარმის მიღებისას.

რაც შეეხება წუნის შემცირებით მიღებულ ეკონომიკური ექვეტანობის გაანგარიშებას დამამზადებელ საწარმოში, შეგვიძლია გავიანგარიშოთ, როგორც თვითღირებულებით მიღებული ეკონომია.

$$B_2 B (C - Y)$$

$$\Xi = \frac{\quad}{100}$$

სადაც C პროდუქციის ერთეულის თვითღირებულებაა;

სადაც Y - არის წუნი პროდუქციის ერთეულის თვითღირებულება.

წუნი პროდუქციის თვითღირებულება იანგარიშება სხვადასხვა ხერხით. იმ

შემთხვევაში, თუ წუნის გამოყენება, მისი გადაკეთება შეუძლებელია, მაშინ ანგარიშობენ მის თვითღირებულებას წუნის სტადიამდე, როგორც ნარჩენის ღირებულებას. თუ მისი ხელმეორედ გადამუშავება ან გადაკეთება შეიძლება, მაშინ ანგარიშობენ მის თვითღირებულებას დამატებით გაწეული ხარჯების გათვალისწინებით.

პროდუქციის შესაფუთი ტარის ხარისხის გაუმჯობესებით იზრდება ტარის ბრუნვას რიცხვი და მცირდება პროდუქციისათვის წლის

განმაულობაში საჭირო ტარის რაოდენობა შემცირებას, რაც მნიშვნელოვან ეკონომიურ ეფექტს იძლევა სახალხო მეურნეობაში.

ამ შემთხვევაში ტარის ხარისხის გაუმჯობესებით მიღებული წლიური ეკონომიური ეფექტი შეიძლება გავიანგარიშოთ შემდეგი ფორმულით:

$$\Xi = \frac{B}{e(O_2 - O_1)} \cdot \Pi,$$

სადაც B არის პროდუქციის წლიური წარმოება;

e - ტარის ტევადობა პროდუქციის რაოდენობაში;

O₁ და O₂ - ტარის ბრუნვათა რიცხვი სრულ ცვეთამდე, ხარისხის გაუმჯობესებამდე და მის შემდეგ;

Π - ტარის ერთეულის ფასი ლარ-ით.

პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესება სავაჭრო ქსელში იწვევს საქონლის ზენორმატიული მარაგის შემცირებას, რითაც იზრდება საქონლის ბრუნვალობა და ვლებულობთ გარკვეულ ეკონომიურ ეფექტს. ასეთ შემთხვევაში პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებით და ზენორმატიული მარაგის შემცირებით მიღებული ეკონომია სავაჭრო ქსელში იანგარიშება ფორმულით:

$$\Xi = E_f Z_{\Sigma};$$

სადაც E_f არის ნორმატიულობის კოეფიციენტი;

Z_Σ ლიკვიდირებული ზენორმატიული მარაგი ლარ-ში.

წარმოების კულტურის ზრდით, შრომის დაცვისა და შრომის პირობების გაუმჯობესებით მცირდება მუშათა დაავადებისა და ტრავმატიზმის შემცირების შედეგად მიღებულ ეკონომიურ ეფექტიანობას ვანგარიშობთ ფორმულით:

$$\Xi = 0,75 \cdot D \cdot \Phi \cdot \Pi_{\Phi} \frac{BC_1 - BC_2}{100},$$

სადაც D არის მომუშავეთა რივხვი, რომელზეც აღნიშნული ღონისძიება ხორციელდება;

BC₁ და BC₂ - დაავადებათა ტრავმატიზმით გამოწვეული დროის დანაკარგი %-ით, ღონისძიების ჩატარებამდე და მის შემდეგ;

Π_Φ - მუშათა საშუალო საათობრივი სატარიფო განაკვეთი დამატებითი ხელფასისა და სოცდაზღვევის ანარიცხების გათვალისწინებით;

Φ - თითოეული მუშის წლიური დროის ფონდი.

აღნიშნული ეკონომიური ეფექტი მიიღება საავადმყოფო ფურცლების

ანაზღაურების შემცირების ხარჯზე. გარდა ამისა, დამატებითი ეკონომია მიიღება პროდუქციის გამოშვების გადიდებით იმავე პირობით-შუღმივი ზედნადები ხარჯების პირობებში, რომელიც იანგარიშება ფორმულით:

$$\Theta = H \frac{B_2 - B_1}{100}$$

სადაც H არის ზედნადები ხარჯების პირობით-შუღმივი ნაწილის საერთო ოდენობა, ლარ-ით;

B და B₁ -სამუშაო დროის გამოყენება ღონისძიებამდე და ღონისძიების შემდეგ, %-ით.

წარმოებაში გაუმჯობესებული ხარისხის პროდუქციის ფასი იზრდება, რის გამოც მწარმოებელი საწარმო ღებულობს გარკვეულ მოგებას, რომელიც იანგარიშება მოგებისა და კაპიტალდაზღვრების დანახარჯებს შორის სხვაობით:

$$\Theta = (P_2 L_2 - P_1 L_1) - (P_2 C_2 - P_1 C_1) E_{\Phi} (K_2 - K_1)$$

სადაც P₁ და P₂ არის პროდუქციის რაოდენობა ხარისხის გაუმჯობესებამდე და გაუმჯობესების შემდეგ;

L₁ და L₂ - პროდუქციის საბითუმო ფასი ხარისხის გაუმჯობესებამდე და მის შემდეგ;

C₁ და C₂ - თვითღირებულება ხარისხის გაუმჯობესებამდე და გაუმჯობესების შემდეგ.

პროდუქციის ხარისხის ამაღლების გზები

პროდუქციის ხარისხის მართვის ამოცანაა წარმოებული პროდუქციის ხარისხის ამაღლება. ხარისხის მართვის კომპლექსური სისტემა ითვალისწინებს ხარისხის ამაღლების არგანიზაციულ-ტექნიკურ ღონისძიებათა გეგმას. ხარისხის მართვის ერთ-ერთი ამოცანაა ამ გეგმის რეალიზაციაზე ზემოქმედება და ოპერატიული მართვა. საწარმოო გაერთიანების პრაქტიკაში ხშირად ასეთი გეგმები არასრულყოფილია. ისინი არ ითვალისწინებენ ღონისძიებათა კომფლექსს. ეს იმით არის გამოწვეული, რომ დღემდე მეცნიერულად დადგენილი არ იყო ხარისხზე მოქმედი ფაქტორები და აქედან გამომდინარე, ხარისხის ამაღლების ერთიანი კომპლექსური ღონისძიებები. ამ მიზნით ჩვენს მიერ შემუშავებულ იქნა ხარისხის ამაღლების ღონისძიებათა სისტემა. ამ სისტემის მიხედვით პროდუქციის ხარისხის

ამაღლების გზები იყოფა 4 ძირითად მიმართულებად: ტექნიკურ, ეკონომიკურ, ორგანიზაციულ და სოციალურ ღონისძიებებად.

ხარისხზე მოქმედი ფაქტორები თავისი სპეციფიკითა და მოქმედების მასშტაბებით შეიძლება დავეყოს შიდასაწარმოო და წარმოების გარეშე ფაქტორებად. წარმოების შიდა ფაქტორების მოქმედების რეგულირება და მათი გამოყენება მთლიანად საწარმოო კოლექტივზეა დამოკიდებული. მათ მიეკუთვნება ეკონომიკური, ორგანიზაციული და სოციალურ-ფსიქოლოგიური ფაქტორები, აგრეთვე ზოგიერთი ტექნიკური ხასიათის ღონისძიებაც.

გარე საწარმოო ფაქტორები მოიცავენ ტექნიკური ხასიათის ისეთ ღონისძიებებს, როგორცაა მოწმანავე ტექნიკისა და ტექნოლოგიის დანერგვა, ზრუნვა ნედლეულისა და მასალების ხარისხისაღვის, წარმოების ორგანიზაციის სრულყოფა, სპეციალიზაციის, კოოპერირების განვითარება და სხვა.

პროდუქციის ხარისხის ამაღლების გზები

ხარისხის ამაღლების ძირითადი მიმართულებანი	ხარისხის ამაღლების გზები
I ტექნიკური	<ol style="list-style-type: none"> 1. მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი <ul style="list-style-type: none"> • პროგრესული ტექნიკის დანერგვა და მოქმედი ტექნიკის გამოყენების გაუმჯობესება; • პროგრესული ტექნოლოგიის გამოყენება; • ნედლეულისა და მასალების ხარისხის გაუმჯობესება და ახალი პროგრესული მასალების გამოყენება 2. პროდუქციის სამომხმარებლო და სექსპლუატაციო თვისებების შესწავლა; 3. ადგილობრივი წარმოების და იმპორტული პროდუქციის ახალი ნიმუშების შესწავლა და ლაბორატორიულად გამოცდა;
II ეკონომიკური	<ol style="list-style-type: none"> 1. პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების დავალება; 2. ხარისხის განმარტული ოპტიმალურ მაჩვენებელთა დღგება; 3. პროდუქციის სტანდარტიზაციის და ატესტირების სრულყოფა; 4. მატერიალური სტიმულირება;
III ორგანიზაციული	<ol style="list-style-type: none"> 1. წარმოებისა და შრომის ორგანიზაციის სრულყოფა; 2. კადრების მომზადება და ეკონომიკის ამაღლება; 3. ინფორმაცია პროდუქციის ხარისხის მდგრადიზაციის შესახებ როგორც წარმოებაში, ისე მის გარეშე; 4. მომხმარებელთა მოთხოვნების შესწავლა; 5. მორალური სტიმულირება;
IV სოციალურ-ფსიქოლოგიური	<ol style="list-style-type: none"> 1. წარმოების კულტურის ამაღლება და დასვენების ორგანიზაციის გაუმჯობესება; 2. საბინაო-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება; 3. მშრომელთა მორალურ-პოლიტიკური აღზრდა

18.3 ტექნიკური კონტროლის ორგანიზაცია

ტექნიკური კონტროლი ეს არის პროდუქციის ან ტექნოლოგიური პროცესის ხარისხის მარეგულირებლობისა და პარამეტრების შედარება ტექნიკურად დადგენილ შესაბამის ნორმებთან. მანქანათმშენებლობაში ეს არის საკონტროლო ოპერაციათა ერთობლიობა დაწყებული წარმოებაში მიღებული მასალებიდან და ნახევარფაბრიკატებიდან, დამთავრებული მზა პროდუქციამდე. იგი საწარმოო პროცესის განუყოფელი ნაწილია და სრულდება სხვადასხვა სამსახურების მიერ. საკომპლექტო ნამზადების, ნახევარფაბრიკატებისა და მზა პროდუქციის ხარისხის კონტროლს ახორციელებს ტექნიკური კონტროლის სამსახური.

ტექნიკური კონტროლის ამოცანაა საწარმოო პროცესის მსვლელობის შესახებ ზუსტა ინფორმაციის მოპოვება და წარდგენა წარმოების მართვის სამსახურებისადმი, საწარმოო პროცესის ნორმალური რეგლამენტით გათვალისწინებული მსვლელობისათვის. ტექნიკური კონტროლის ინფორმაცია საშუალებას გვაძლევს დროულად დავადგინოთ ტექნოლოგიური პროცესის დარღვევის ადდგენა და საბოლოო ნაწარმის ხარისხის უზრუნველყოფა, წუნისა და რეკლამაციის თავიდან აცილება.

ტექნიკური კონტროლის სწორი ორგანიზაცია ამცირებს წუნს, ზრდის ხარისხიანი პროდუქციის წარმოებასა და წარმოების ეფექტიანობას.

ტექნიკური კონტროლის სამსახური ამოწმებს წარმოებაში შემოსულ მასალებს, მოწყობილობას, ხელსაწყოებს, კოპერირების წესით მიღებულ ნაკეთობებს; მზა პროდუქციას, წარმოების საშუალებებს, ინსტრუმენტებს, ხელსაწყოებს, ტექნოლოგიურ აღჭურვილობას, ტექნოლოგიურ პროცესებს და წარმოების კულტურას.

ტექნიკური კონტროლის ამოცანაა ისეთი პროდუქციის წარმოების თავიდან აცილება, რომლებიც არ შეესაბამებიან დადგენილ სტანდარტებს, ტექნიკურ პირობებს, ეტალონებს, ტექნიკურ დოკუმენტაციას, სახელმეკრულებო პირობებს; წარმოების ყველა რგოლის პასუხისმგებლობის ამაღლება ხარისხიანი პროდუქციის გამოშვებისათვის და საწარმოო დისციპლინის განმტკიცება.

პროდუქციის რეალიზაცია საწარმოში ნებადართულია მხოლოდ ტექნიკური კონტროლის შემოწმებისა და რეალიზაციაზე სათანადო დოკუ-

მენტაციის გაფორმების შემდეგ. თვითკონტროლის შემთხვევაში შემსრულებელს უფლება აქვს გასცეს პროდუქციის რეალიზაციის ნებართვა. ტექნიკური კონტროლის ფუნქციები:

1. ტექნიკური კონტროლის სისტემის სრულყოფა-განვითარება; მასალების, ნედლეულის, საკომპლექტო ნაწარმისა და დეტალების მიმღები კონტროლი; ოპერაციული კონტროლი, მზა პროდუქციის კონტროლი;
2. მზა პროდუქციის მიღება, გაფორმება და შეპაკეოთზე ჩაბარება;
3. მზა პროდუქციის ტექნოლოგიური პროცესების, სამარჯვეების ინსტრუმენტებისა და ხელსაწყოების შერჩევით შემოწმება და ინსპექციური კონტროლი; შენახვის პირობების, შეფუთვისა და ტრანსპორტირების კონტროლი;
4. საზომ ხელსაწყოების შენახვისა და გაზომვის სისწორეზე კონტროლი;

5. წუნისა და რეკლამაციების აღრიცხვა საამქროების, უბნების, მიზნებისა და დამნაშავეთა მიხედვით. მონაწილეობა წუნის ლიკვიდაციის ღონისძიებების შემუშავებაში და ამ ღონისძიებათა შესრულების პიბდი-ნარეობის კონტროლი.

საწარმოში ტექნიკური განყოფილებისადმი წაყენებული მოთხოვნები. 1. პროფილაქტურობა; 2. შემოწმების სიზუსტე და ობიექტურობა; 3. შრომის დანახარჯების ეკონომია; 4. კონტროლის სისტემაში მუშებისა და იტპ ფართოდ ჩაბმა.

პროფილაქტურობა თავიდან გვაცილებს წუნს. რაც შესაძლებელია კონტროლის ობიექტისა და მეთოდების სწორი შერჩევით და მუშაობის სწორი ორგანიზაციით. შემოწმების სიზუსტე დამოკიდებულია პერსონალის კვალიფიკაციაზე, გამოყენებულ საზომ ხელსაწყოზე და კონტროლის სახეზე.

შემოწმების სიზუსტეს შეიძლება მივაღწიოთ საკონტროლო მექანიზაციისა და ავტომატიზაციის საშუალების გამოყენებით.

ტექნიკური კონტროლის სტრუქტურაში შედის წარმოებაში შემოსული მასალების კონტროლის ბიურო, საამქროს კონტროლის ბიურო, ცენტრალური საკონტროლო ლაბორატორია და ინპექტორთა ჯგუფი.

გარედან მიღების ბიურო - ამოწმებს წარმოებაში შემოსულ მასალების, ნახვეარფაბრიკატების, საკომპლექტო დეტალების ხარისხს. ატარებს შედარებით მცირე საკონტროლო ოპერაციებს. საჭიროების

შემთხვევაში იღებს სინჯს და აგზავნის ცენტრალურ ლაბორატორიაში შესამოწმებლად. არასტანდარტულ მასალებზე და მოწყობილობებზე ადგენს რეკლამაციას, მონაწილეობს მასალებზე და ნახევარფაბრიკატებზე ტექნიკური პირობების შემუშავებაში და ხელშეკრულების გაფორმებაში.

საამქროს ტექნიკური კონტროლის ბიურო იქმნება, როგორც პირითად, ისე დამხმარე საამქროებში. იგი ამოწმებს საამქროს მიერ გამოშვებული პროდუქციის ხარისხს, ავლენს წუნს და დეფექტებს, აღრიცხავს მათ, ატარებს უწყვეტ, შერჩევით, ოპერატიულ კონტროლს ტექნოლოგიურ პროცესებზე დაწესებულ პარამეტრების მიხედვით, რეგულირებისა და მათი შენარჩუნების მიზნით.

ცენტრალური საზომ-საკონტროლო ლაბორატორია და მისი საკონტროლო-შემომწმებელი პუნქტები საამქროებში და საწყობებში იქმნება ყველა სახის ინსტრუმენტებისა და სამარჯვების კონტროლისათვის. ეს სამუშაო მოწმდება ლაბორატორიის მიერ საამქროს პერსონალთან ერთად: პროდუქციის მცირე მოცულობის შემთხვევაში ერთ საზომ-საკონტროლო პუნქტს შეუძლია მოემსახუროს რამდენიმე საამქროს. რთული საზომი აპარატურა და ხელსაწყოები მოწმდება სახელმწიფო სტანდარტების კომიტეტის ადგილობრივი ორგანოების მეშვეობით.

ინსპექტანთა ჯგუფი იქმნება ერთჯერადი შემოწმების დროს განსაკუთრებულ შემთხვევაში ტექნიკური კონტროლის უფროსის მიერ. იგი ამოწმებს დამზადებული პროდუქციის ხარისხს ან ტექნოლოგიური და საკონტროლო დისციპლინის დაცვას.

ტექნიკური კონტროლის დანახარჯების შემცირების გზებია: საკონტროლო ოპერაციების მაქსიმიზაციისა და ავტომატიზაციის გამოყენებით, მათი შრომატევადობის შემცირება. კონტროლის მოწინავე მეთოდების დანერგვა, საკონტროლო-ტექნიკური დოკუმენტაციის სრულყოფა; საკონტროლო აპარატის განთავისუფლება მარტივ არართული ოპერაციების შესრულებისაგან.

ტექნიკური კონტროლის ობიექტები და მეთოდები. ტექნიკური კონტროლის ადგილისა და საკონტროლო პროდუქციის მიხედვით საწარმოში იყენებენ კონტროლის სხვადასხვა სახეს. საწარმოო პროცესების ანუ კონტროლის ადგილის მიხედვით იყენებენ სამი სახის კონტროლს: შესასვლელ, ოპერაციულ და მიმღებ კონტროლს.

შესასვლელი კონტროლი ეს არის საწარმოში მომწოდებელი ორგანიზაციებიდან მიღებული ნედლეულის, მასალების ნახევარფაბრიკატების, საკომპლექტო ან გაერთიანებაში შემაჯალი ცალკეულ საწარმოთა მიერ გამოშვებული მზა ნაწარმის კონტროლი. მისი დანიშნულებაა არ დაუშვას საწარმოო პროცესში არაკონდიციური, დეფექტური და წუნი მასალები და ნაწარმი.

ოპერაციული კონტროლი წარმოებს ნაწარმის დამუშავების პროცესში. ამ დროს მოწმდება ტექნოლოგიური პროცესი ან მზა ნაწარმი. იგი შეიძლება ჩატარდეს თითოეული ოპერაციის შემდეგ ან ოპერაციათა ჯგუფის შედეგად. ოპერაციული კონტროლი ხშირად მოითხოვს მოწყობილობის გაჩერებას, ზოგჯერ კი ჩარხიდან დეტალის მოხსნას.

ოპერაციული კონტროლის პროგრესული მეთოდია აქტიური კონტროლი, რომელიც ხდება ჩარხზე დამაგრებული ავტომატური ხელსაწყოს მეშვეობით. მუშაობის პროცესში ხელსაწყო განუწყვეტილად იძლევა მუშაობის ხარისხის შესახებ პარამეტრებს. ავტომატური კონტროლი საგრძნობლად ამძლეებს შრომის მწარმოებლურობას და მოწყობილობის დატვირთვას. ამ დროს გამორიცხულია სამუშაოს ხარისხის შეფასებაში სუბიექტური ფაქტორების მოქმედება.

ოპერაციულ კონტროლს აწარმოებენ თვით მუშები, ოსტატები, ბრიგადები ან ტექნიკური კონტროლის მუშაკები. განსაკუთრებულ შემთხვევაში ოპერაციული კონტროლი შეიძლება ჩაატაროს შემკვეთის წარმომადგენლობამ.

მიმღები კონტროლი ტარდება პროდუქციის დამზადების ყველა ოპერაციების დამთავრების შემდეგ, რის შედეგადაც მიიღება გადაწყვეტილება პროდუქციის ვარგისიანობის და მისი რეალიზაციის შესახებ.

პროდუქციის მოცულობის მიხედვით, მიმღები, შესასვლელი და ოპერაციული კონტროლი შეიძლება იყოს შერჩევითი ან მთლიანი.

შერჩევითი კონტროლის დროს ნაწარმის პარტიის ხარისხი დგინდება პარტიიდან რამდენიმე ნაწარმის შემოწმების შედეგების მიხედვით. შერჩევითი კონტროლის ანალიზისათვის გამოიყენება მათემატიკური სტატისტიკის მეთოდი, რომელიც საშუალებას გვაძლევს განსაზღვრული საკონტროლო შემოწმების შედეგებით ზუსტად დავადგინოთ პარტიის ხარისხი.

მასიურ წარმოებაში უფრო ხშირად გამოიყენება კონტროლის სტატისტიკური მეთოდი. იგი ემყარება ალბათობის თეორიას.

მთლიანი კონტროლის დროს ხარისხის შესახებ გადაწყვეტილება მიიღება პარტიის ყოველი ერთეულის შემოწმების შედეგად. იგი გამოირიცხავს წუნი პროდუქციის მოხვედრას მომხმარებელთან, სამაგიეროდ საკმაოდ შრომატევადია და ზოგჯერ პრაქტიკულად შეუძლებელიც. მთლიანი კონტროლი არის ეკონომიური და საშუალებას გვაძლევს აღმოუფხვრათ წუნის გამომწვევი მიზეზები. უფრო ეფექტიანია ხარისხის მართვის სტატისტიკური მეთოდი, ტექნოლოგიური პროცესების სტატისტიკური ანალიზი და სხვ.

წარმოების პრაქტიკაში უმეტესად გამოიყენება პროდუქციის გამოცდა. გამოცდის დროს დგინდება ხარისხის პარამეტრი ექსპერიმენტური წესით, ექსპლუატაციის პირობების იმიტაციის გზით. ექსპერიმენტული წესით გამოცდის დროს შეიძლება გამოიყენოს პროდუქციის მაკეტი ან თვით პროდუქციის ეტალონი. გამოცდა ხდება ვიბრაციაზე, სიმტკიცეზე, კოროზიის გამძლეობაზე, ხანგამძლეობაზე. მასალები გამოიკვლევა სიმტკიცეზე, სიმაგრეზე, გამძლეობაზე, აგრესიული გარემოს მოქმედებაზე, დარტყმაზე, დაღლაზე და ა.შ.

გამოცდა შეიძლება იყოს საკონტროლო და საკვლევი.

საკონტროლო გამოცდა ტარდება პროდუქციის ხარისხის დასადგენად წარმოების, ექსპლუატაციის, შენახვისა და ტრანსპორტირების პროცესში.

უფრო მნიშვნელოვანია საკვლევი გამოცდა ექსპლუატაციის პირობებში. იგი უფრო მნიშვნელოვან ინფორმაციას იძლევა. ეს არის ნაწარმის ფაქტიური მონაცემები საიმედოობაზე, ყველაზე სუსტ ადგილებზე, ცვეთის ხასიათზე და ინტენსიურობაზე, სიბერეზე და დაღლაზე, რემონტისადმი ვარგისიანობაზე, რემონტის მოცულობაზე და მის ვადებზე, სათადარიგო ნაწილების რაოდენობასა და შემადგენლობაზე.

მფრინავი კონტროლი სრულდება მოულოდნელად უშუალოდ დამზადების, რემონტის ან შენახვის ადგილზე. მისი მიზანია ტექნიკური მოთხოვნების დარღვევისა და დეფექტების დროულად გამოვლენა. მფრინავი კონტროლი გაიზიარება ნაკლებად საპასუხისმგებლო ნაწარმზე ან ტექნოლოგიურ პროცესებზე.

განუწყვეტელ კონტროლს იყენებენ ტექნოლოგიურ პროცესებზე, ისეთ შემთხვევებში, როცა საჭიროა გარკვეული რაოდენობრივი და

ხარისხოვანი მაჩვენებლების უზრუნველყოფა. იგი ტარდება კონტროლის ავტომატურ და ნახევრად ავტომატურ საშუალებების გამოყენებით.

პერიოდული კონტროლი გამოიყენება ტექნოლოგიური პროცესებისა და ნაწარმის ხარისხის დასადგენად. ტექნოლოგიური პროცესების დროს იგი შეიძლება იყოს სტაბილური, ერთიანი და შერჩევით.

კონტროლის საშუალებათა გამოყენების მიხედვით არჩევენ: გაზომვითი, რეგისტრაციული, ორგანოლექტური, ეიზუალური, კონტროლი საკონტროლო ნიმუშის მიხედვით და ტექნიკური დათვალიერება.

გაზომვითი კონტროლის დროს ხდება საზომ ხელსაწყოების მეშვეობით ნაწარმის საკონტროლო პარამეტრის გაზომვა.

ხარეგისტრაციო კონტროლი ტარდება საკონტროლო ობიექტის შეფასებისათვის, შედეგების გაანგარიშების საფუძველზე.

საკონტროლო ნიმუშის მიხედვით კონტროლი ტარდება საკონტროლო ნაწარმის შედარებით საკონტროლო ნიმუშის ნიშნებთან. მას იყენებენ, როცა ნაწარმის პარამეტრების დამუშავება და შეფასება სხვა საშუალებებით შეუძლია ან ეკონომიურად მიზანშეწონილია.

ორგანოლექტური კონტროლი ტარდება ადამიანის შეგონების ორგანოების მეშვეობით. შეხებით, სმენით, თვალით და სხვ.

ეიზუალური კონტროლი ხდება მხოლოდ თვალით.

ტექნიკური დათვალიერება ხდება შეგონების ორგანოებთან უმარტივესი კონტროლის საშუალებების გამოყენებით.

ინსპექციური კონტროლი-ნაწარმის განმეორებითი კონტროლია. ასეთი კონტროლს ატარებს სპეციალური კომისია. იგი შეიძლება ჩატარდეს ყველა სააქროში ქარხნის ტექნიკური კონტროლის სამსახურის უფროსის განკარგულებით. იგი კეთდება ტექნიკური კონტროლის სამსახურის შემოწმებისა და მათი გაფრთხილებისათვის. იგი ამაღლებს პასუხისმგებლობას კონტროლისადმი.

კონტროლს ექვემდებარება არა მარტო პროდუქცია, ნაწარმი ან ტექნოლოგიური პროცესი, არამედ წარმოების საშუალებანიც. ქარხნის მოწყობილობის კონტროლს აწარმოებს მთავარი მექანიკოსის სამსახური. ინსტრუმენტი და სამარჯვეები დამზადების ან რემონტის შემდეგ ისინჯება ტექნიკური კონტროლის ლაბორატორიის მიერ.

ტექნიკური კონტროლის მეთოდებში შედის ეიზუალური დათვალიერება, გაზომვა, ქიმიური და მეტალოგრაფიული ანალიზი, ელექტრიტურ-

მული, მექანიკური ულტრაბგერითი, რადიოაქტიური იზოტოპებით და რედგენოსკოპიით გამოყენებით გაზომვა.

პროდუქციის ხარისხის ამაღლებაში დიდი მნიშვნელობა აქვს თვითკონტროლს. თვითკონტროლი გამორიცხავს წუნდებული პროდუქციის წარდგენას ტექნიკურ კონტროლისადმი. თვითკონტროლი უღეფექტო პროდუქციის წარმოების ეფექტიანი საშუალებაა.

მანქანათმშენებლობის მრეწველობაში იგი ფართოდაა გავრცელებული სარატოფელთა მეთოდის სახელწოდებით. ამ მეთოდის მიხედვით მუშებს ეძლევათ პირადი დამღის უფლება, იმ შემთხვევაში, თუ ისინი 6 თვის განმავლობაში სასტემატურად აბარებენ პროდუქციას პირველ წარდგენით და არა აქვთ წუნდებული პროდუქციის წარმოების შემთხვევა. უღეფექტო შრომა: სისტემა ამცირებს პროდუქციისა და ტექნოლოგიური პროცესების მოცულობას, ტექნიკურ კონტროლ სამსახურის მუშაკთა რაოდენობას და ზრდის პროდუქციის ხარისხს. თვითკონტროლის დროს ის მუშები, რომლებიც პირად დამღას ფლობენ, ღებულობენ 5%-10%-ით პრემიის ნამატს.

10.4 პროდუქციის ხარისხის მართვა

პროდუქციის ხარისხის მართვა წარმოების მართვის შემადგენელი ნაწილია. ხარისხის მართვა საკმაოდ რთული პროცესია, იგი წარმოადგენს ეკონომიკურ, ტექნიკურ, ორგანიზაციულ და სოციალურ ღონისძიებათა ერთობას. რომელთა მიზანია მაღალი ხარისხის პროდუქციის წარმოების უზრუნველყოფა. ხარისხის მართვა მსოფლიოს მრავალი ქვეყნის მეცნიერთა ზრუნვის საგანია. მათი აზრით ხარისხის მართვისათვის აუცილებელია კომპლექსური და სისტემური მიდგომა.

მსოფლიოს მოწინავე ქვეყნებს ერთმანეთისაგან ხარისხის მართვის განსხვავებული სისტემები გააჩნიათ. მათ შორის ყველაზე სრულყოფილ და მეცნიერულად აღიარებულ სისტემას წარმოადგენს პროდუქციის ნაღმის მართვის იაპონური სისტემა. ხარისხის მართვის სისტემა მნიშვნელოვნად განსხვავებულია მოწინავე განვითარებულ კაპიტალურ და განვითარებად ქვეყნებში.

ხარისხის მართვა საზღვარგარეთის ქვეყნებში

დასავლეთ ევროპის ქვეყნებში, ამერიკასა და იაპონიაში განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ ხარისხის დაგეგმვას, რომლის ამოცანაა ბაზრისა და მომხმარებელთა მოთხოვნილების შესწავლა, დანახარჯების აღრიცხვა, ტექნიკური პროგრესის პერსპექტივების შესწავლა. საზღვარგარეთის ნიმუშების, მსოფლიო ბაზრის ტენდენციისა და სხვა ქვეყნებში მოთხოვნილების გულდასმით შესწავლა, რაც შესაძლებლობას იძლევა განისაზღვროს ამა, თუ იმ პროდუქციის ხარისხის დონე, დანახარჯები და მოახდინოს ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთება.

მომხმარებელთან კავშირის საფუძველზე ადგენენ ხარისხის რაოდენობრივ მაჩვენებლებს, რომელიც შემდგომ გამოიყენება ახალი პროდუქციის შემუშავების ტექნიკური დავალებების, საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოების, ნორმატიულ-ტექნიკური, საწარმოო და საექსპლუატაციო დოკუმენტაციის შესადგენად. საქონლის ექსპლუატაციის მონაცემების შესწავლა მომხმარებელთან კავშირის უზრუნველყოფა ხარისხის მართვის მნიშვნელოვანი ფაქტორია.

ხარისხის უზრუნველყოფა დაკავშირებულია წარმოების ორგანიზაციის განუწყვეტელ სრულყოფასთან, მართვის ავტომატური სისტემების დანერგვასთან, კონტროლის მეთოდებისა და საშუალებების გაუმჯობესებასთან. წარმოების პროცესში ხარისხის მართვა ხორციელდება წარმოების, ტექნოლოგიისა და კონტროლის, საკონტროლო ოპერაციების, კონტროლის საშუალებების ავტომატიზაციის ერთიანობის საფუძველზე. უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება კონტროლის სტატისტიკურ მეთოდებს, ეინაიდან სერიული და მასიური წარმოების პირობებში მხოლოდ მათი გამოყენებით შეიძლება სისტემატიურად თვალ-ყური ვადევნოთ ტექნოლოგიური პროცესის მსვლელობასა და მის სტაბილურობას.

სტატისტიკური კონტროლი საშუალებას აძლევს უარი თქვას დეტალების 100%-იან კონტროლზე და მათ ნაკლებად გამოიყენონ შერჩევითი შემოწმების მეთოდები. თუ ადრე ისინჯებოდა თითოეული დამზადებული დეტალი ცალკე, ამჟამად მოწმდება დამზადების მთელი პროცესი.

ხარისხის მართვის პროცესში ყველაზე ეკონომიური მეთოდია სტანდარტიზაცია. მათი აზრით, ნამზადის ერთგვაროვნება უფრო ეკონომიურია, ასეთი დეტალებისა და კვანძების დამზადების დროს საჭიროა

არაა დანახარჯები კონტროლზე, მეორად დამუშავებაზე, იგი ასევე აჩქარებს აწყობის პროცესს. წუნი პროდუქციის წარმოშობის მიზეზებად თვლიან არასრულყოფილ საკონსტრუქტორო დოკუმენტაციას, საწარმოო ტექნოლოგიური მოწყობილობის დაბალ დონეს, მომსახურე პერსონალის დაბალ დონეს, შრომის არადამაკაყოფილებელ პირობებსა და შრომის ორგანიზაციის დაბალ დონეს. აღნიშნული ფაქტორების მოქმედებას პროდუქციის ეფექტიანობაში 85% უკავიათ, რაც მთლიანად დამოკიდებულია ხელმძღვანელ მუშაკთა მთელი შემადგენლობაზე, ოსტატიდან ფირმის ხელმძღვანელამდე.

შრომისადმი კეთილი დამოკიდებულება, თითოეული მუშაკის პირადი პასუხისმგებლობის აღიარება ხარისხისათვის, ასეთია ამჟამად შრეწველობის წინაშე მდგომი მთავარი ამოცანა. ამიტომ კადრების მომზადება, აღზრდა, სტიმულირება და ხარისხის პროპაგანდა მაღალი ხარისხის პროდუქციის წარმოების უზრუნველყოფის მნიშვნელოვან ფაქტორადაა მიჩნეული. ხარისხის სახელმწიფო მართვის ინსტრუმენტად ასევე ითვლება პროდუქციის ატესტაცია.

ხარისხის მართვის საკითხს აშშ უდიდეს ყურადღებას უთმობენ სახელმწიფოს მმართველი წრეები და ფირმების ხელმძღვანელები. ხარისხისადმი განსაკუთრებული ყურადღება გამოიწვეულია შემდეგი მიზეზებით:

1. სამხედრო შეიარაღებისა და კოსმიური კვლევის საქმეში გამოყენებული რთული საავიაციო და სარაკეტო სისტემების მაღალი საიმედოობის უზრუნველყოფის აუცილებლობა;

2. გასაღების ბაზრების გაფართოების მიზნით, პროდუქციის კონკურენტუნარიანობის ამაღლება, პროდუქციის ხარისხის ამაღლებასთან ერთად წარმოების დანახარჯების შემცირება;

3. ქვეყნის ეროვნული პრესტიჟის შენარჩუნებისათვის მისწრაფება.

რთული სარაკეტო ტექნიკის შექმნის საქმეში მუშაობენ აოასობით ფირმები და კორპორაციები. ამიტომ ისინი თვლიან, რომ ასეთ პირობებში პროდუქციის მაღალი საიმედოობა შეიძლება მიღწეულ იქნას მხოლოდ ხარისხის კომპლექსური მართვის მეთოდების დანერგვით. მაღალი მოთხოვნილება აქვს წაყენებული ნედლეულისა და მასალების მიმწოდებელ სამოქალაქო ფირმებს, რისთვისაც აიძულებს ისინი დაენერგათ თავიანთ წარმოებებში, სამხედრო წარმოებების მსგავსად, ხარისხის მართვის პროგრესული მეთოდები. ხარისხის მართვის სისტემის შემუშავებისა

და დანერგვის პირველი ინიციატორებად და ტონის მიმცემად აღიარებული არიან სამხედრო-სამრეწველო კორპორაციები, "ჯენერალმოტორი", "ლიქვიდ", "მარტინ კომპანი" და სხვა, რომლებიც მუშაობდნენ პროდუქციის უღეფექტო წარმოების მეთოდით.

აშშ ხარისხის უზრუნველყოფაზე გაწეული დანახარჯები საერთო ეროვნული პროდუქციის 8% აღწევს, რაც 50 მლრდ დოლარს უდრის. საშუალო და მცირე მოცულობის ფირმებში კი ეს დანახარჯები პროდუქციის ღირებულებაში 5-10%-დე მერყეობს.

ამერიკის სახელმწიფო სამხედრო სტანდარტები mil-1, mil-Q/ ვრცელდება სამოქალაქო დარგების პროდუქციაზეც. ისინი აგრეთვე ფართოდ გამოიყენება სხვა კაპიტალისტურ ქვეყნებშიც.

ამერიკაში სტანდარტები გამოიყენება როგორც საექსპორტო საქონლის ხარისხის მართვის ინსტრუმენტი. ექსპორტიორი ქვეყნები ცდილობენ აამაღლონ თავისი ეროვნული სტანდარტების დონე მსოფლიოს საშუალოდონეზე, გადააქციონ ისინი საერთაშორისოდ, რათა განამტკიცონ თავისი მდგომარეობა მსოფლიო ბაზარზე.

განსაკუთრებით დიდია აშშ მისწრაფება ქვეყნების პრესტიჟის ამაღლებისადმი. 1976 წლიდან. ნიუიორკში ეწყობა ხარისხის კონტროლისადმი მიძღვნილი ყოველწლიური ეროვნული კონფერენცია დევიზით "ხარისხი-ეროვნული სიამაყე საერთაშორისო თანამშრომლობა" აღნიშნული ნათლად მეტყველებს მათ ზრუნვას ხარისხის ამაღლებისა და მსოფლიო ბაზრებზე ბატონობისათვის.

აშშ-ში ხარისხის მართვის სისტემისათვის დამახასიათებელია კომპლექსურობა, სადაც წარმოებისა და მოხმარების ყველა პროცესი ურთიერთკავშირშია. ამერიკელმა სპეციალისტმა ათეიგენ ბაუმმა ხარისხის კომპლექსურ მართვას მიაკუთვნა პროექტებისა და კონსტრუქციების ხარისხი. ხარისხის მართვის სისტემის ძირითად ელემენტად თვლიან ამოსავალი მასალის, ნედლეულის, დეტალისა და მოწყობილობის კონტროლს. ჩვეულებრივ პრაქტიკადაა გადაქცეული მომწოდებელ-საწარმოთა მუშაობის შემოწმება. მოწმდება არა მარტო მათ მიერ გამოშვებული მზა პროდუქცია, არამედ გამოყენებული მოწყობილობები. კონტროლის მეთოდები და საშუალებები, წარმოების ორგანიზაცია და სხვა. დადგენილია, რომ მომწოდებელ საწარმოთა ასეთი კონტროლი

უფრო იაფი ჯდება, ვიდრე მიღებული პროდუქციის სისტემატური კონტროლი და წუნდება. აღნიშნული შეთოდის გამოყენების შედეგად ამორიცხულა წუნის წარმოქმნა მის დამუშავებასა და აწყობაზე. ამერიკელი სპეციალისტები თვლიან, რომ თუ მუშას აქვს დასჯის შიში ადგილი აქვს მის მიერ დაშვებული წუნის მიჩქმალვას. მუშა დაინტერესებული უნდა იყოს არა მარტო იმით, რომ არ დაუშვას წუნი, არამედ წუნის გამოვლინებაში, ოსტატთან ერთად ებიოს წუნის გამომწვევი მიზეზი.

დიდი მნიშვნელობა ენიჭება ასევე ხარისხის მართვის ეკონომიკურ ეფექტიანობას, გულდასმით აღირიცხება პროდუქციის ღირებულება. 1946წ. აშშ-ში შეიქმნა ხარისხის კონტროლის ორგანიზაცია - ერლენული საინჟინერო-ტექნიკური ასოციაცია, რომლის მიზანია მასში შემავალი წევრების ხარისხის მართვის პრობლემების ცოდნის დონის ამაღლება და მუშაობის მეთოდების გაუმჯობესება. იგი არსებობს საწარმოდან შემოსული ანარიცხების ხარჯზე, წარმართავს სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციის მუშაობას, გამოსცემს ლიტერატურას, აწყობს კონფერენციებს, ორგანიზაციას უკეთებს სწავლებას და სხვა. მას აქვს თავისი განყოფილებები კანადასა და ლათინურ ამერიკის ქვეყნებში. მისი წევრთა რიცხვი შეადგენს მრეწველობის 20 ათასამდე სპეციალისტს. ეს ორგანიზაცია იყო ერთ-ერთი ინიციატორი 1969 წლის ხარისხის კონტროლის პირველი საერთაშორისო კონფერენციის მოწვევისა ტოკიოში. 1960 წელს ხარისხის კონტროლის ამერიკის ორგანიზაციამ /AOKK/ ჩამოაყალიბა კადრების მომზადებისა და სწავლების ინსტიტუტი. იგი ამზადებს მისი წევრებისაგან ამზადებს ხარისხის მართვის პროფესიონალურ კადრებს. სწავლების პროგრამაში შედის ხარისხის მართვის თითქმის ყველა ძირითადი საკითხი. ინსტიტუტი ატარებს კადრების კვალიფიკაციის ამაღლებას, ატესტაციას, ანიჭებს ხარისხის კონტროლის ინჟინერ-ტექნიკისა და ხარისხის კონტროლის ხელმძღვანელის წოდებებს. რიგი კოლეჯებისა AOKK-სთან ერთად ამზადებს სპეციალისტებს და შემდგომ მათ ანიჭებს ხარისხის კონტროლის მეცნიერების ბაკალავრის წოდებას. ეს წოდება მიენიჭება ინჟინერ-სპეციალისტს, რომელმაც გაიარა ოთხწლიანი სპეციალური მომზადება ხარისხის კონტროლზე კოლეჯის ან უნივერსიტეტის ფარგლებში (ან უნივერსიტეტის უმცროსი წევრის წოდებას, რომელმაც გაიარა კოლეჯის არასრული კურსი ან ტექნიკური კურსები.)

ამერიკელი სპეციალისტები ხარისხის მართვაში ორ ძირითად საკითხს გამოყოფენ: ტექნიკურსა და მმართველობითს.

პირველი გულისხმობს წარმოების ტექნიკურ აღჭურვილობას-მოწყობილობას, მასალებს, საზომ ხელსაწყოებს და სხვა, ხოლო მეორე ეხება სამრეწველო პოლიტიკის, ამოცანებს, ეკონომიკას, დაგეგმვას, ორგანიზაციის კორდინაციას და სხვა.

მართვის მეორე ანუ მმართველობით ასპექტი თანდათან რთულდება სამეცნიერო ტექნიკური პროგრესის განვითარების შედეგად და მოიცავს წარმოების მართვის ფართო სფეროს. ამ პირობებში ყველაზე მნიშვნელოვანად თელიან ფირმების შიგნით ხარისხის გაუმჯობესების უზრუნველყოფისათვის ფუნქციებისა და ამოცანების სწორად განაწილებას ფირმის თითოეული მუშაკის მიხედვით.

ხარისხის უზრუნველყოფა წარმოდგენილია, როგორც დამოუკიდებელი სფერო და განსაკუთრებული ადგილი უკავია ხარისხის მართვაში (პროდუქციის დამზადება, საწარმოო საქმიანობის ანალიზი და სხვა.:

ყოფილ სსრ კავშირში მოქმედი სარატოვის სისტემის მსგავსად აშშ-ში მოქმედებს უღეფექტო პროდუქციის გამოშვების პროგრამა. რომელიც დაფუძნებულია შრომის ხარისხისადმი პირად პასუხისმგებლობაზე, შრომის შედეგებისადმი სიამაყის შეგრძნებისა და პირველ ცდისთანავე სამუშაოს სწორად შესრულების მისწრაფებაზე. ისინი თელიან, რომ შემსრულებლის შეცდომა გამოწვეულია უცოდინარობით ან უყურადღებობით. პირველი მიზეზის გამოსწორება სწავლებით შეიძლება, ხოლო მეორესი-საქმისადმი პასუხისმგებლობის გრძნობის გაძლიერებით. თუ მომუშავე დარწმუნებულია თავისი შრომის მნიშვნელობით, იგი ეცდება იმუშაოს უკეთ, იგი პირადად აგებს ხარისხზე პასუხს და არა კონტროლიორი ან ოსტატი. ამ პირობებში თითოეული მუშაკი თვით ხდება კონტროლიორი. შეცდომისათვის მუშაკს არ ხჯიან, მაგრამ კარგი მუშაობისათვის მათ აქებენ და წარმოებაში ფართოდ აცნობენ ყველას. ამერიკის ფირმა "მარკინ კომპან"-ში ასეთი მეთოდის დანერგვის შედეგმა მოლოდინს გადააჭარბა; 2 წლის განმავლობაში ფირმაში 54%-ით შემცირდა ღეფექტები, მიღებულ იქნა 165 ათასი დოლარის ეკონომია. არა ნაკლები მნიშვნელობა აქვს აშშ-ში მომხმარებელთა კონტროლს. ამ მიზნით 1956 წელს შეიქმნა აშშ-ის მომხმარებელთა კავშირი. იგი ჩამოყალიბებულია საწვერო ანარიცხების ხარჯზე და

ფუნქციონირებს მრეწველობისაგან დამოუკიდებლად (მისი წევრები 1,5 მლნ კაცს შეადგენს). კავშირი სისტემატურად აწარმოებს სავაჭრო ქსელში პროდუქციის ხარისხის შემოწმებას და აწვდის ინფორმაციას თავის წევრებს. გამოსცემს საკუთარ ჟურნალს, რომლის ტირაჟი 1,5 მლნ. ვეზემპლარს აღწევს. ამოწმებს ფართო მოხმარების ყველა საქონელს და ადგენს საქონლის ხარისხს, ეკონომიურობას და სხვა. გამოცდის შედეგების მიხედვით ადგენენ სიას. ყველაზე მაღალი ხარისხის ნაწარმი რეკომენდებულია როგორც "საუკეთესო", სიის მიხედვით შემდეგ მოდის უფრო ნაკლები ხარისხის საქონელი და, ბოლოს კი "მოუღებელი" პროდუქცია. მომხმარებელთა ჟურნალის ამოცანაა მოთხოვნილების დადგენა და წინასწარ ახალი პროდუქციის დაგეგმვა მომხმარებელთა მოთხოვნილების შესაბამისად. რაც შეეხება სამრეწველო დანიშნულების საქონელს, აქ გამოიყენება ანკეტური გამოკითხვა ექსპლუატაციის პროცესში. სამრეწველო ფირმათა დიდი ნაწილი თვით აწარმოებს მომხმარებელთა ანკეტურ გამოკითხვას მის მიერ გამოშვებული პროდუქციის ხარისხზე. "უკუკავშირის" ფართოდ გამოყენება ხარისხის მართვის პროცესში მნიშვნელოვანი ელემენტია. აშშ მსგავსად მომხმარებელთა კავშირი შექმნილია სოციალურ ქვეყნებშიც, პოლონეთში, უნგრეთში, იუგოსლავიაში და სხვა.

ხარისხის მართვის სისტემა მაღალ დონეზე დგას იაპონიაში. რის შედეგადაც მან პროდუქციის მთელი რიგ სახეობებში ერთ-ერთ პირველი ადგილი დაიკავა მსოფლიოში. იაპონიის მრეწველობისათვის დამახასიათებელია, (განსაკუთრებით მეორე მსოფლიო ომის შემდეგ), განვითარების მაღალი ტემპი, რასაც მან მიაღწია იაფფასიანი მაღალი ხარისხის პროდუქციის ექსპორტის გაფართოებით. ამჟამად იაპონიის ექსპორტი იძლევა ეკონომიკის ზრდის 9-10 % წელიწადში, რითაც მან შესძლო უკანასკნელი 7-8 წელიწადში ეროვნული პროდუქტი გაეზარდა 2-ჯერ. იაპონიის ეროვნული სტანდარტები ითვალისწინებენ მსოფლიოს საუკეთესო ნიმუშების მოთხოვნებს. იაპონიის ფირმების უმეტესობა იყენებს ახალი ნაწარმის ნიმუშების ისეთ სისტემას, რომლის დროსაც საჭიროა მისი ხანგრძლივი საწარმოო და საექსპლუატაციო დამუშავება, რათა პირველი გამოშვებული ნაწარმი ვარგისი იყოს ექსპლუატაციისათვის. ამ მიზნით განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ პროდუქციის კონსტრუქციის წინასწარ გულდასმით დამუშავებას, ფართოდ

იყენებენ სტანდარტულ და უნიფიცირებულ კვანძებს. ატარებენ საკვლევ საპუშაოებს საკომპლექტო ელემენტებისა და ნაწარმის საიმედოობის უზრუნველსაყოფად. (ასეთი სისტემა გამოიყენება ფირმა "კოიტატორ"-ის მიერ მსუბუქი ავტომანქანის "კარონა-2" დააროექტებისა და საცდელი წარმოების დროს).

ამჟამად იაპონიის ხარისხის მართვის სისტემა მსოფლიოშია აღიარებული, როგორც მეცნიერულად დასაბუთებული და სრულყოფილი სისტემა, რომლის წარმოებაში დანერგვა არ მოითხოვს ადმინისტრაციულ ზემოქმედებას, ვინაიდან მის ფუნქციონირებაში თვით შრომითი კოლექტივი დაინტერესებული. ეს სისტემა ერთნაირად მისაღებია, როგორც ფირმის ხელმძღვანელობის, ისე მუშებისათვის.

იაპონელმა მეცნიერებმა დიდი წინასწარი კვლევა ჩაატარეს, ვიდრე ხარისხის მართვის სისტემას შეიმუშაებდნენ. მათ პირველ რიგში შეისწავლეს მსოფლიოს წამყვან კაპიტალურ ქვეყნებში ხარისხის მართვის მდგომარეობა, მათი დადებითი და უარყოფითი მხარეები და მეტად ორიგინალური დასკვნები გააკეთეს, რომელიც შემდგომ საფუძვლად დაედო ხარისხის მართვის სისტემის დამუშავებას. ამ დიდ საპასუხისმგებლო კვლევის პროცესში გარდა ეკონომისტებისა, მონაწილეობდნენ სოციოლოგები, ფსიქოლოგები, ინჟინრები, ტექნოლოგები, ექიმები და მართვის სხვადასხვა სპეციალისტები. ხანგრძლივი მეცნიერული კვლევის შედეგად მათ დაადგინეს, რომ წუნდებული პროდუქციის გამოშვება ნებისმიერ ფირმაში სამი მიზეზის გამო ხდება. 1. როცა ნელეული მასალები, ნამზადები და მოწყობილობები უხარისხია. 2. როცა მუშან არ იცის, როგორ შეასრულოს დაკისრებული მოვალეობა, ე.ი. მისი კვალიფიკაცია დაბალია. 3. როცა მუშას ყველა პირობები აქვს საშუალო: მაღალხარისხოვანად შესრულებისათვის, მაგრამ არაა დაინტერესებული თავისი შრომის მაღალი შედეგებისათვის. ზოგ შემთხვევაში იგი შეიძლება განგებ უშვებდეს წუნს.

პირველ შემთხვევაში, როცა წარმოების საშუალებები (ნელეული მასალები, მანქანა-მოწყობილობები) დაბალი ხარისხისაა, რა თქმა უნდა მაღალი ხარისხის პროდუქციის დამზადება შეუძლებელია. აქედან გამომდინარე ამ შემთხვევაში წუნი პროდუქციის გამოშვებაში დამნაშავეა არა შემსრულებელი-მუშა, არამედ ფირმის ხელმძღვანელობა. იაპონელმა სპეციალისტებმა დაასკვნეს, რომ ამის გამო შემსრულებელი არ უნდა

დასაჯის და წუნი პროდუქციის წარმოებისათვის მთელი პასუხისმგებლობა ეკისრება ღირექციას.

მეორე შემთხვევაში, როცა დაბალი კვალიფიკაციის გამო მიუხედავად მისი მონღობებისა და ღიდი სურვილისა, მუშას არ შეუძლია დაამზადოს მაღალი ხარისხის პროდუქცია, სათანადოდ არაა დაუფლებული სამუშაო იღუთებს, კარგად არ იცნობს სამუშაოს თავისებურებებს, ამიტომ უშეებს წუნს. ამ შემთხვევაში მეცნიერთა დასკვნით წუნის გამოშეებისათვის მუშა დამნაშავე არ არის, ფირმის ხელმძღვანელი ვალდებულია თუ მან სამუშაოზე დაბალი კვალიფიკაციის მუშა მიიღო, მოამზადოს ოგი; აუმაღლოს მას კვალიფიკაცია და შემდეგ დაუშვას სამუშაოზე და მოსთხოვოს ხარისხიანი პროდუქციის დამზადება.

პირველ შემთხვევაში მუშა მაღალკვალიფიციურია, იცის თუ როგორ დაამზადოს მაღალი ხარისხის პროდუქცია, მაგრამ დაბალი ხარისხის შრომის საშუალებები ამის შესაძლებლობას არ აძლევს და იძულებულია დაუშვას წუნი. მეორე შემთხვევაში კი შრომის საშუალებები მაღალი ხარისხისაა, მაგრამ მიუხედავად მისი ღიდი მონღობებისა და სურვილისა მას არ შეუძლია დაბალი კვალიფიკაციის გამო დაამზადოს უღეფექტო პროდუქცია. მესამე შემთხვევაში პირველი ორი ფაქტორი გამოიციხულია. ფირმის ხელმძღვანელობამ მუშა უზრუნველყო ხარისხიანი წარმოების საშუალებებით, მოამზადა და აუმაღლა კვალიფიკაცია, მაგრამ მას არა აქვს სურვილი დაამზადოს მაღალი ხარისხის ზოგჯერ პირიქით განგებ უშეებს წუნს, აქ უკვე მოქმედებს ფირმის ხელმძღვანელობისა და შემსრულებელი შორის ურთიერთდამოკიდებულება, მორალურ, ფსიქოლოგიური და მატერიალური დაინტერესების ფაქტორები. ხშირია შემთხვევა, როცა შემსრულებელი უზრუნველყოფილია, წარმოების საშუალებებით, კვალიფიკაციის სათანადო ღონით, მატერიალურადაც, მაგრამ მისი და უშუალო ხელმძღვანელის ან საწარმოო კოლექტივის ურთიერთობა ფსიქოლოგიურად დაძაბულია, რის გამოც მუშას არ სურს ფირმის პროდუქცია იყოს პრესტიჟული, ამაღლდეს ფირმის ეკონომიური მაჩვენებლები, ზოგჯერ კი ცდილობენ გამოუშვან უხარისხო პროდუქცია, გააუარესონ ფირმის მაჩვენებლები.

ამ შემთხვევაში სპეციალისტებს მიაჩნიათ, რომ დამნაშავეა ფირმის ხელმძღვანელობა, ვინაიდან მათ ვერ მოაწესრიგეს კოლექტივისა და მის ხელმძღვანელთა ურთიერთდამოკიდებულება, ვერ შექმნეს

ხელმძღვანელთა და შემსრულებელთა შორის კეთილი დამოკიდებულება, ამიტომ შემსრულებელი ვერ გახდა ფირმის ხელმძღვანელთა ერთგული, საქმის თანამონაწილე.

ზემოთ თქმულიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ თუ წუნის გამოშვების ყველა შემთხვევა ფირმის ხელმძღვანელის ბრალთა, მაშინ შემსრულებელი წუნის გამოშვებისათვის არ უნდა დაისაჯოს.

გარდა ამისა იაპონელი საექციალისტებს მიაჩნიათ, რომ დასჯის მეთოდი უარყოფითად მოქმედებს სამუშაოს შესრულების ხარისხზე, შიში იმისა, რომ წუნისათვის დაისჯება ფსიქოლოგიურად უარყოფითად მოქმედებს შემსრულებელზე და იგი უნებურად უშვებს წუნს, განსაკუთრებით ისეთ წარმოებაში, სადაც დიდი სიზუსტეა საჭირო. მეორეს მხრივ, დასჯის მეთოდის გამოყენების შემთხვევაში შემსრულებელი ცდილობს დამალოს წუნი, რაც თავს იჩენს საბოლოო პროდუქტში ან ექსპლუატაციის დროს.

იაპონელი საექციალისტების აზრით შემსრულებელი, არ უნდა დაისაჯოს წუნი პროდუქციის გამოშვებისათვის, არამედ პირიქით წახალისდეს. ასეთი მეთოდის გამოყენებით მათ მიაღწიეს წარმოებაში წუნის ლიკვიდაციას. წარმოების მუშაკი დაინტერესებულია წუნის გამოვლენებისა და მის ლიკვიდაციით. იგი ამისათვის ღებულობს დამატებით ანაზღაურებას. გარდა ამისა ფირმის შედეგების მიხედვით მის კუთვნილ აქციებზე ღებულობს დივიდენდებს. ამრიგად, შემსრულებელი ფირმის ხელმძღვანელის ერთგული და წარმოების თანამონაწილე ხდება, რომელიც ისევე, როგორც მეპატრონე დაინტერესებულია ფირმის მოგების ზრდით.

ხარისხის მართვის სტრუქტურის ძირითადი ფორმაა ხარისხის მართვის წრეები, რომლებიც შედგებიან ხარისხის მეშვებისაგან. ამ წრეებს დაკისრებული აქვთ საწარმოო პროცესების მიმდინარეობის კონტროლი აგრეთვე მზა პროდუქციის შეფასება. ისინი თვლიან, რომ ყველაზე საუკეთესო კონტროლიორი შეიძლება თვით შემსრულებელი, თუ იგი დაინტერესებული იქნება ხარისხის ამაღლებით.

პრაქტიკამ დაამტკიცა, რომ ხარისხის მართვის წრეები ერთერთი მაღალეფექტიანი სტრუქტურაა ხარისხის მართვის სისტემაში და მან ფართო აღიარება პოვა მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში.

ხარისხის მართვის წრეების გამოყენებით იაპონური ფირმების ხელმძღვანელებმა ძირეულად შეცვალეს ხარისხის კონტროლის სამსახურის

სტრუქტურა და ფუნქციები. მათი მოვალეობა მთლიანად დაევალა ხარისხის მართვის წრეებს, შემცირდა კონტროლის სამსახური, მათზე გაწეული დანახარჯები და კონტროლიც უფრო ეფექტიანი გახდა.

ასეთი სისტემის დანერგვის შედეგად იაპონური ფირმის ხელმძღვანელია პროდუქციის უდუფექტო წარმოებაში. რასაც დიდი ეკონომიური ეფექტი მოაქვს, მათ შექმნეს ხარისხის მართვის ისეთი სისტემა, რომელიც იძლევა ხარისხიანი პროდუქციის გამოშვების სრულ გარანტიას.

ხარისხის მართვის ეფექტიანი მეცნიერულად დასაბუთებული სისტემის გამოყენების შედეგად იაპონელმა სპეციალისტებმა მიაღწიეს მსოფლიო აღიარებას. მათ მიერ წარმოებული პროდუქცია თავისი ხარისხით მსოფლიოს ბაზრებიდან თანდათან დევნის მოწინავე კაპიტალისტური ქვეყნების პროდუქციას. სწორედ ამიტომაც მსოფლიოს მრავალი ქვეყანა ცდილობს შეისწავლოს და თავის ქვეყანაში დანერგოს იაპონური ხარისხის მართვის სისტემა.

იაპონიაში დიდ ყურადღებას აქცევენ ხარისხის სახელმწიფო კონტროლის დარგში სპეციალისტების მომზადებას. ამ მიზნით შექმნილია რამდენიმე ათეული საზოგადოებრივი და სახელმწიფო ორგანიზაცია, რომელთა შორის წამყვანი ადგილი უკავია იაპონიის მეცნიერ-ინჟინერთა კავშირს და იაპონიის სტანდარტიზაციის ორგანიზაციას. ისინი აწყობენ კურსებს და სემინარებს წარმოების ყველა კატეგორიის მუშაკთა მოსამზადებლად. კურსების პროგრამაში შედის შემდეგი საკითხები: ხარისხის მართვის ისტორია და მისი თანამედროვე მდგომარეობა, ხარისხის მართვის სისტემა, ფირმის ქვედანაყოფთა და მართვის ორგანოთა ფუნქციონალური კავშირი ხარისხის მართვის სისტემაში. სტანდარტიზაციის როლი ხარისხის მართვაში, ხარისხის უზრუნველყოფის როლი, სტატისტიკისა და აღბათობის საფუძვლები, საიძლეობის საფუძვლები, ხარისხის კონტროლის სრულყოფის მეთოდები, ელექტრონული გამომთვლელი მანქანების გამოყენება ხარისხის მართვაში და სხვა. 1949-1969 წწ. 100 ათასმა წარმოების მუშაკმა დაამთავრა აღნიშნული კურსები. დიდი ყურადღება ექცევა ადმინისტრაციულ სამმართველო აპარატის მომზადებას. იაპონიაში თვლიან, რომ შეუძლებელია ხარისხის მართვის სისტემის დანერგვა მანამდე, ვიდრე პრეზიდენტი და ფირმების დირექტორები კარგად არ გაეცნობიან მართვის საფუძვლებს (უპირატესი მნიშვნელობა ენიჭება მათ მომზადებას

ეკონომიკისა და მარკეტინგის საკითხებზე). ისინი თვლიან, რომ ფირმების განყოფილებების ხელმძღვანელების და უფროსების მაქსიმალურმა უშეტესობამ უნდა გაიაროს მოსამზადებელი კურსება, ვინაიდან ამ კატეგორიის მუშაკები უშუალოდ განაგებენ ხარისხის მართვას. ცალკე კურსებს გადიან ასევე ტექნიკური კონტროლის მუშაკები, ოსტატები და ბრიგადირები, ვინაიდან შედგომში ისინი მოვალენი არიან მოამზადონ მუშები.

იაპონიაში 1982 წლამდე ხარისხის მართვაზე გამოცემული იყო 600 დასახელების წიგნი და სახელმძღვანელო, გამოდის 4 პერიოდული ჟურნალი (მათ შორის ერთი ოსტატებისათვის). 1957 წლიდან დაწყებული იაპონიის რადიო-ტელევიზიის კომპანია აწყობს ტელეგადაცემას ორი კურსით. "ხარისხის მართვა" და "ხარისხის მართვა და სტანდარტიზაცია". 23 უმაღლესი სასწავლებელში იკითხება ხარისხის მართვის კურსი და ორ უნივერსიტეტში იკითხება სპეციალური კურსი ასპირანტებისათვის. იაპონის სასწავლებლებში ყოველწლიურად ამზადებენ ხარისხის მართვის 300 ათასზე მეტ სპეციალისტს. ამავე დროს თვლიან, რომ ეს საკმარისი არ არის იაპონიის მრეწველობის მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად.

აღსანიშნავია სამეცნიერო დაწესებულებათა და უმაღლეს სასწავლებელთა მჭიდრო კონტაქტი მრეწველობასთან (უმაღლეს სასწავლებელთა პროფესორები და მასწავლებლები ითვლებიან, როგორც წესი, ფირმების კონსულტანტებად და ხელმძღვანელობენ თანამშრომელთა მომზადებას). რის შედეგადაც მეცნიერული გამოკვლევები სწრაფად ინერგება პრაქტიკაში და სტიმული ეძლევა საბუშაობს. ფირმების ხელმძღვანელები თავის სახსრებსა და ძალებს არ იშურებენ სპეციალისტთა მომზადებისათვის. აღსანიშნავია, რომ ახალი სპეციალისტები და მუშები, რომლებიც ამთავრებენ უმაღლეს და საშუალო სასწავლებლებს, მუშაობის დაწყებამდე გადიან მოსამზადებელ კურსებს (3 თვიდან ერთ წლამდე), რომელთა პროგრამაში შედის ხარისხის მართვის საკითხები.

იაპონიის მრეწველობაში ხარისხის მართვის დამახასიათებელი ნიშნად უნდა ჩაითვალოს მუშათა ფართო მასების მონაწილეობა ხარისხის მართვაში, რომელიც ხორციელდება ხარისხის წრეების სახით. ხარისხის წრე ეს არის ერთი საწარმოო უბნის მუშათა ჯგუფი /5-20 კაცამდე/, რომლებიც გადიან მომზადებას ხარისხის მართვის საკითხებზე ოსტატის ან ბრიგადირის ხელმძღვანელობით /მეცადინეობა

ტარდება კვირაში 1-2-ჯერ, სამუშაოს დაწყებამდე ან მის შემდეგ/.
.ღნიშნული კურსები ჩამოყალიბდა 1962 წელს და მოქმედებენ დღემდე.
კირმების ხელმძღვანელები განსაკუთრებით არიან დაინტერესებული
ამ წრეების მუშაობით. მათთვის დამუშავებულია სასწავლო პროგრამები,
კამოიცემა სახელმძღვანელოები, ეწყობა ლექციები და სემინარები,
რომელსაც ატარებენ ინჟინრები, სპეციალისტები, ხარისხის მართვის
განყოფილება, მმართველები და ფირმის დირექტორები. ფართოდ იყენებენ
წრეების მუშაობის გამოცდილების გაზიარება, როგორც შიგნით ასევე
სხვა ფირმების წრეებს შორისაც. ასეთი წრეები ჩამოყალიბებულია
ბულალტერიაში, საწყობებში და სხვა. 1989 წელს რეგისტრირებული
იყო 26 ათასი ასეთი წრე. გარდა ამისა, 100 ათასი არარეგისტრირებული
წრე. ფირმის ხელმძღვანელები ფართოდ იყენებენ წრეების წევრთა
მატერიალურ სტიმულირებას. ინგლისელმა სპეციალისტებმა ნ. კ. შენონმა
შეისწავლა ამ წრეების მუშაობა და დაასკვნა, რომ 12 წლის შემდეგ
იაპონია გახდება ხარისხის მართვის სფეროში მსოფლიო ლიდერი.

იაპონიის სახელმწიფო ხელმძღვანელები დიდ ყურადღებას აქცევენ
პროდუქციის ხარისხის მართვის სისტემას. მათ დააწესეს ამ საკითხში
წარმატებისათვის განსაკუთრებული პრემია ფირმებისა და ცალკეული
პროფესიონალებისათვის.

უმალეს სახელმწიფო პრემიად ითვლება დემინგის პრემია /ამე-
რიკელი სპეციალისტის ე. დემინგის პატივსაცემად/. ამ პრემიის პირველი
კატეგორია მიენიჭება მეცნიერებს ხარისხის მართვის თეორიაში
მიღწევისათვის, ხოლო მეორე კატეგორია მართვის მეთოდების
პრაქტიკული გამოყენებისათვის. პრემიის მინიჭება ხდება ყოველ-
წლიურად ნოემბერში ხარისხის ყრილობაზე. 1969 წლისათვის იაპონიის
44 ფირმას ჰქონდა მინიჭებული ამ პრემიის ლაურიატობა. განსაზღვრული
დროის შემდეგ კვლავ მოწმდება ამ ფირმების მიერ წარმოებული
პროდუქცია. დარღვევის შემთხვევაში ფირმას ეხსნება ლაურიატობა.
ასევე დიდი პოპულარობით სარგებლობს ფლემინგის პრემიაც, რომელიც
მიენიჭება ყოველწლიურად ოსტატებს, ბრიგადირებსა და უბნის უფროსებს.
1979 წლიდან იაპონიაში ყოველწლიურად ტარდება ხარისხის ერთეული,
იაპონიის ინჟინერთა და მეცნიერთა კავშირის, სტანდარტიზაციის,
ასოციაციისა და სხვა ორგანიზაციათა ინიციატივით. 1981 წლიდან
ყოველწლიურად ტარდება ხარისხის ყრილობა, რომლის მეცნიერული

დონე საქმოდ მაღალია. ყრილობაში მონაწილეობენ საზღვარგარეთის მრავალი გამოჩენილი მეცნიერი და სპეციალისტი.

იაპონიაში ხარისხის მართვის ნაციონალური სისტემის მნიშვნელოვან ელემენტს წარმოადგენს პროდუქციის ატესტაცია /ხარისხის ნიშნის მინიჭება/ და ექსპერტული კონტროლი. თითოეული ფირმა სთხოვს შესაბამის სამინისტროს, ატესტაცია ჩაუტაროს მის პროდუქციას: სამინისტრო აგზავნის თავის წარმომადგენლებს ფირმის შესამოწმებლად. ხარისხის ნიშანზე პროდუქციის წარმოების ნებართვას სამინისტრო იძლევა იმ შემთხვევაში, როდესაც იგი დარწმუნდა, რომ ფირმა გარანტირებულია ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში სტაბილურად აწარმოოს ხარისხის ნიშნის მქონე პროდუქცია. ხარისხის ნიშნის მინიჭების შემდეგ სამინისტრო სისტემატიურად აკონტროლებს ფირმის მუშაობას.

ხარისხის ნიშნის პროდუქციის წარმოებაზე დაწესებულია მკაცრი პასუხისმგებლობა. დარღვევის შემთხვევაში უქმდება ხარისხის ნიშნით პროდუქციის წარმოების ნებართვა, საქონლის გაყიდვა იკრძალება, ხოლო დირექციას ედება სასჯელი I წლამდე თავისუფლების აღკვეთით ან იხდის ჯარიმას 100 ათასი იენის ოდენობით. საექსპერტო საქონლის ხარისხის დარღვევის შემთხვევაში გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა 3 წლამდე ვადით ან 3 მილიონი იენის ჯარიმა. საექსპერტო საქონლისათვის მოწმდება არა მარტო პროდუქციის ხარისხი და შეფუთვა, არამედ მის დასამზადებლად გამოყენებული ნედლეული, მასალები და საწარმოო პროცესი. საექსპორტო საქონლისათვის გამოყენებული კონტროლის სისტემა ხელს უწყობს იაპონიის პროდუქციის ხარისხის ამაღლებას და საშუალებას აძლევს გაზარდონ საქონლის გასაღება საგარეო ბაზარზე.

ინგლისისათვის დამახასიათებელია მაღალი ხარისხის პროდუქციის წარმოების ტრადიციული დანტერესება, რაც გაპირობებულია იმით, რომ ინგლისის ეკონომიკა უმთავრესად დამოკიდებულია საქონლის ექსპორტზე. საექსპორტო ვაჭრობაში წარმატება შეიძლება მიღწეულ იქნას მხოლოდ პროდუქციის ხარისხის მართვის ეფექტიანი სისტემის დანერგვით მსოფლიოს ბაზრის მოთხოვნილების დაკმაყოფილებისათვის, სადაც მუდმივად იზრდება კონკურენცია და მოთხოვნილება მაღალი ხარისხის პროდუქციაზე.

ინგლისის მიერ კოლონიებისა და მსოფლიო ბაზარზე ბატონობისა დაკარგვამ მნიშვნელოვნად გაამწვავა პროდუქციის ხარისხის პრობლემა, კანადან იგი გახდა დამოკიდებული პროდუქციის ექსპორტზე.

კრძო ფირმებისაგან სამხედრო პროდუქციის შესყიდვისათვის სახელმწიფო დაწესებულებათა პასუხისმგებლობამ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ამ ფირმებში ხარისხის უზრუნველყოფის სისტემების დანერგვაში, რაც შემდგომ იძულებით სახელმწიფო მასშტაბით გავრცელდა სამოქალაქო საწარმოებზეც. ხარისხის მართვის უახლესი მეთოდების დანერგვის დასაჩქარებლად ინგლისის ტექნიკის სამინისტრომ თავის შემადგენლობაში დაამტკიცა ხარისხის უზრუნველყოფის განყოფილება გენერალური დირექტორის მეთაურობით. ეს განყოფილება შეიქმნა ორი განყოფილების – ელექტრონიკული და საავიაციო ტექნიკური კონტროლის ბაზაზე. თითოეულ მათგანს ჰყავს თავისი დირექტორი და ორივე ერთად ემორჩილება ტექნიკის სამინისტროს ხარისხის გენერალურ დირექტორს.

დამამზადებელი ფირმების დირექტორთა საბჭოები თავის ერთ-ერთ წევრს ნიშნავენ პასუხისმგებლად ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შემუშავებისა და ატარების დარგში, რომელსაც ემორჩილება დირექტორი ხარისხის დარგში. მათ კანდიდატურას ამტკიცებს ტექნიკის სამინისტრო. სამინისტრო თვალყურს ადევნებს მთავრობის კონტრაქტიკის მოთხოვნების შესრულებას მოიჯარადე-ფირმაში. მათ უფლება აქვთ დარღვევების შემთხვევაში შეწყვიტონ პროდუქციის წარმოება. ხარისხის მართვის სისტემა ფირმებში დამოკიდებულია პროდუქციის ხასიათზე და ფირმის სტრუქტურა და მისი შემუშავება ხდება მთავრობის მიერ დადგენილ "ხარისხის ხელმძღვანელობის ტექნიკური პირობების" მიხედვით.

ხარისხის მართვის დირექტორი მონაწილეობს ხარისხის დაგეგმვის საკითხებში და უშუალოდ პასუხს აგებს ხარისხის მართვის ყველა მოთხოვნების შესრულებაზე. მის წინაშე პასუხისმგებელია ყველა ის პერსონალი, რომელიც ატარებს პროდუქციის საბოლოო გამოცდას და კონტროლს. პროდუქციის დამზადების პროცესში ოპერატიული კონტროლი ეკისრება საწარმოო განყოფილებას, ხოლო კონსტრუქციის შემუშავების დროს შეფასება და გამოცდა მთავარ ინჟინერს. გარდა ამისა ხარისხის დირექტორს ევალება: დაესწროს კონსტრუქციის, ტექნოლოგიის, შესრულებულ სამუშაოთა გამოცდასა და მიღებას, შეიტანოს შეს-

წორებანი, მხარი დაუჭიროს და წახალისოს ფირმის ყველა სამსახურის წინადადებებს ხარისხის გაუმჯობესებაში, მოამზადოს პროდუქციის გამოცდის მეთოდები და მოწყობილობანი, კონტროლი გაუწიოს ხარისხზე დანახარჯებს, კავშირი დაამყაროს საამქროს უფროსებთან და გადაწყვიტონ მათთან ერთად მიმდინარე საკითხები, წარუდგინოს ანგარიშები სამინისტროს, პერიოდულად გადასინჯოს ხარისხის მართვის სისტემა და სხვა. წარმოების პროცესში ოპერატიული კონტროლი ტარდება ყველა სტადიაზე. იმ შემთხვევაში, თუ ოპერატიული კონტროლი ხერხდება, მაშინ ტარდება ირიბი კონტროლი მოწყობილობის ტექნოლოგიური პროცესისა და კადრების კვალიფიკაციის შემოწმების მიზნით. ოპერატიული კონტროლის მეთოდებია: კონტროლო თვით მუშების მიერ (თვითკონტროლი), ავტომატიური კონტროლი, მთლიანი შერჩევითი კონტროლი, პირველი დეტალის შემოწმება, საკონტროლო პუნქტებზე კონტროლი და მცოცავი კონტროლი. შეიძლება ასევე გამოყენებულ იქნას ერთდროულად რამდენიმე კონტროლის მეთოდი.

ინგლისელი სპეციალისტები ხარისხის მართვაში გამოყოფენ 5 ძირითად ეტაპს:

1. ხარისხზე სტანდარტის შემუშავება. 2. ხარისხის გაუმჯობესებას ღონისძიებათა დაგეგმვა. 3. პროდუქციის დამზადების უზრუნველყოფა და მათი ჩაბარება პირველ წარდგენისთანავე. 4. წუნის წარმოქმნილ მიზეზების შესწავლა და ლიკვიდაცია. 5. ხარისხის სისტემატური კონტროლი. ხარისხის გაუმჯობესების ნომერ მეორე ფაქტორად მიჩნეულია მოწყობილობა, მისი სიზუსტე, ტექნიკური მომსახურება და განახლება.

ნომერ მესამე ფაქტორებად თვლიან იმ წვდოეულისა და მანქანების ხარისხს, რომელთაგანაც მზადდება პროდუქცია.

ინგლისელი სპეციალისტები ფართოდ განიხილავენ ხარისხის კავშირს ადამიანის ფაქტორზე, შემსრულებლის დამოკიდებულებას მისი შრომისადმი და წინადადებას იძლევიან გათვალისწინებულ იქნას ადამიანის შრომისადმი დამოკიდებულებაში შემდეგი ფსიქოლოგიური ფაქტორები:

შიში იმისა, რომ იგი ვერ შეასრულებს დაკისრებულ მოვალეობას, შიში კოლექტივისა და კონტროლითრებისადმი, მეტი გამომუშავებისადმი მისწრაფება, როგორც საშიში ფაქტორი, განსაკუთრებით იქ სადაც შრომის სანარდო და პრემიული ანაზღაურებაა, განათლებისა და კვალიფიკაციის დონე, გარემო პირობები.

ემოციური მდგომარეობა, რამაც შეიძლება გამოიწვიოს ოსტატის, კონტროლიორის ან კოლექტივის წევრთა სიძულვილი. მუშას შეუძლია ხალისით შეასრულოს ის სამუშაო, რომელიც მისი შესაძლებლობის ფარგლებს არ აღემატება. მას უნდა შეუქმნათ ისეთი პირობები, რომლის დროსაც მაქსიმალურად შეუძლია გამოამჟღავნოს თავისი უნარი. აღნიშნული გამორიცხავს შიშისა და საკუთარი ძალებისადმი უნდობლობის ელემენტებს.

დაბალი კვალიფიკაციის შედეგი ცუდი შრომაა, როგორც წესი, ამაში ადანაშაულებენ სამუშაოს შემსრულებელს, თუმცა ამ შემთხვევაში საჭიროა კრიტიკულად მივუდგეთ ოსტატისა და საწარმოს ხელმძღვანელთა როლს. ზოგიერთი ფირმა უფრო მეტად იყენებს მატერიალურ სტიმულირების მეთოდს, ფულადი პრემიების გაცემას, უფასოდ თეატრის ბილეთებს, ფასიან შევებულებებს და სხვა.

ინგლისში ფართო გავრცელება ჰქონდა ხარისხის ამაღლების მასიურმა ღონისძიებებმა. განსაკუთრებით კი "საიმედობის და ხარისხის წლის" მოწყობამ. 1967 წელს ინგლისის ხარისხის და საიმედობის ეროვნული საბჭოსა და მწარმოებლურობის ამაღლების ბრიტანეთის საბჭოს მიერ გამოცხადებულ იქნა "საიმედობის, ხარისხის" წელიწადად, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 800-მა ფირმამ, მათი მუშაკთა საერთო რიცხვი შეადგენს მრეწველობაში დასაქმებული მუშაკთა 40%. აღნიშნულ ღონისძიებათა შედეგად ამ ფირმათა უმრავლესობაში მნიშვნელოვნად შემცირდა წუნის გამოშვება და შესაბამისად გაიზარდა პროდუქციის ხარისხი. ხარისხის წლის მოწყობასა და მისი შედეგებისადმი დაინტერესებას მოწმობს ის ფაქტიც, რომ 1968 წლის თებერვალში ხარისხის წლის შემაჯამებელ კონფერენციაზე მონაწილეობა მიიღო 2-ჯერ მეტი ფირმის წარმომადგენელმა, ვიდრე გათვალისწინებული იყო. მონაწილეთა 35%-ზე მეტი იყო ფირმების უმაღლესი ხელმძღვანელობათა შემადგენლობიდან. ამ კომპანიამ ბიძგი მისცა ინგლისის მრეწველობის შემდგომ განვითარებას. სამრეწველო ფირმათა ხელმძღვანელობა ყველა ღონეს ხმარობს იმისათვის, რათა თითოეულმა მუშაკმა კარგად იგრძნოს თავისი როლი წარმოებაში და მომხმარებელთა წინაშე პასუხისმგებლობა. მაგალითად, საავიაციო ძრავების დამამზადებელმა ფირმამ მოაწყო თავიანთი მუშაკების ფრენა, მათ მიერ დამზადებული ძრავებით მომუშავე თვითმფრინავებზე. დაათვალიერეს სამხედრო საჰაერო ძალების აეროდრომები,

აეროვაგზლები და სარემონტო სახელოსნოები. ზოგჯერომა ფირმამ მოაწყო თავიანთი მუშაკების მიერ დამზადებული ნაწარმის გამოფენა, რომელზეც მოიწვიეს მათი ოჯახის წევრები და მეგობრები. მუშებმა დაათვალიერეს სხვადასხვა ობიექტები, რათა შეექმნათ მუშებისათვის სრული წარმოდგენა ფირმის საერთო საქმიანობაზე. წარმოებაში პირადი როლის მასუხისგებლობის ნათელმა წარმოდგენამ ხელი შეუწყო მუშათა შეგნებაში თავისი სამუშაოსათვის სიამაყისა და მასუხისმგებლობის გრძნობის ჩამოყალიბებას. სპეციალისტები თვლიან, რომ პერსონალთა მონაწილეობის როლი ხარისხის უზრუნველყოფაში არ შეიძლება ზუსტი ციფრებით გაიზომოს, მაგრამ უდაოდ ცხადია, რომ მორალურ დაინტერესების სისტემა იძლევა კოლოსალურ შედეგებს.

ინგლისის ტექნიკის სამინისტრომ 1969 წელს ჩამოაყალიბა სპეციალური კომიტეტი, რომელსაც დაევალა ხარისხის მართვის ეროვნული ღონისძიებათა გაფართოებისა და კოორდინაციის წინადადებათა განხილვა და წამოყენება, ტექნიკური კონტროლი, სამრეწველო პროდუქციის გამოცდა და ატესტაცია, უსაფრთხოებისა და საიმედოობის უზრუნველყოფა და სხვა.

თავი XIX. წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობა და მისი გაზომვის მეთოდები

19.1. ეკონომიკური ეფექტიანობის არსი და მისი ფორმები

წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლება ქვეყნის ბუნების განვითარების ერთ-ერთი ძირითადი პრობლემაა. ეს პრობლემა კიდევ უფრო მწვავედება პროდუქციის წარმოებისა და კაპიტალური დანახარჯების მასშტაბებისა და ტემპების სწრაფი ზრდის პირობებში. ხალხის მატერიალური კეთილდღეობის სრული დაკმაყოფილება და ქვეყნის ეკონომიკის განვითარების მაღალი ტემპების უზრუნველყოფა შესაძლებელია მხოლოდ წარმოების ეფექტიანობის ამაღლებით.

ეკონომიური ეფექტიანობის შეფასების მაჩვენებლებისა და მეთოდების შერჩევაში დღემდე არაა მიღწეული მეცნიერ-ეკონომისტთა ერთიანი აზრი. ჯერ კიდევ არაა მკაფიო გამიჯვნა წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობის შეფასების კრიტერიუმსა და მაჩვენებლებს შორის. ეფექტი მოქმედების შედეგია და იგი აბსოლუტური მაჩვენებელია, ხოლო ეფექტიანობა შეფარდებითი მაჩვენებელია. იგი ეკონომიკაში გვიჩვენებს სამეურნეო საქმიანობის მიღებული შედეგის (ეფექტის) შეფარდებას დანახარჯებთან.

საზოგადოებრივი წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობის განმარტავადობელი კრიტერიუმია საზოგადოებრივი. შრომის მწარმოებლურობა და იზომება ეროვნული შემოსავლის (ე.შ.) შეფარდებით მატერიალურ წარმოებაში დასაქმებულ მუშაკთა საშუალო რიცხვთან (მ.რ.)

$$\Pi_{\text{სა}} = \frac{\text{ე.შ.}}{\text{მ.რ.}}$$

ეროვნული შემოსავალი ეს არის მატერიალური წარმოების დარგებში ახლად შექმნილი ღირებულება. იგი არის საერთო პროდუქციის ის ნაწილი, რომელიც რჩება მატერიალური რესურსების ღირებულების გამოკლების შედეგად. ან სხვაგვარად იგი მატერიალური წარმოების სფეროში შექმნილი წმინდა პროდუქციაა.

ეკონომიკური ეფექტიანობა. წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობა გულისხმობს წარმოების მიზნისა და ამოცანების მიღწევას მინიმალური დანახარჯებით. იგი ძირითადად სამეურნეო საქმიანობის

შედეგისა და მასზე გაწეული დანახარჯების ურთიერთშეფარლებაში აისახება.

სოციალური ეფექტიანობა საწარმო კოლექტივისა და მისი ცალკეული წევრების შრომის, დასვენების, საყოფაცხოვრებო და კულტურული ღონის ამღვლეობაში აისახება— იგი გამოხატავს სახელმწიფოს ზრუნვას მშრომელთა კულტურის, განათლების, ჯანმრთელობის, შრომის პირობების გაუმჯობესებისა და გარემო პირობების დაცვაში, ქვეყნის რეგიონისა და ცალკეული რაიონების ეკონომიკური პოტენციალის განვითარებისათვის. სოციალური შედეგები დამოკიდებულია ეკონომიკურ ეფექტიანობაზე და, პირიქით, სოციალური ეფექტიანობის ზრდა ხელს უწყობს მაღალი ეკონომიკური ეფექტის მიღებას. ასე მაგალითად, განათლებასა და ჯანმრთელობაზე გაწეული დანახარჯები ხელს უწყობს ახალი ტექნიკის შექმნას და წარმოებაში დანერგვას, ეს უკანასკნელი კი აუმჯობესებს შრომის პირობებს და აღიძებს შრომის მწარმოებლურობას.

ჯანმრთელობაზე გაწეული დანახარჯები აუმჯობესებს მშრომელთა ჯანმრთელობას, აღიძებს მათი მუშაობის უნარიანობას, ამცირებს საშუაოს მოცდენებს და ზრდის შრომის მწარმოებლურობას.

მომსახურეობის სფეროს — მომარაგების, ვაჭრობის, ტრანსპორტის მუშაობის გაუმჯობესება ამცირებს ღრის არამწარმოებლურ დანაკარგებს.

სოციალური ეფექტის მისაღებად იხარჯება გარკვეული რესურსები, ამიტომ ეკონომიკური ეფექტიანობის შეფასების დროს მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ასევე სოციალური ეფექტი და მასზე დახარჯული რესურსები.

უკანასკნელ წლებში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ეკოლოგიურ ეფექტიანობას. იგი დიდ გავლენას ახდენს საზოგადოების ჯანმრთელობასა და ცხოვრების პირობებზე. ამიტომ წარმოების სამეურნეო საქმიანობის შეფასება აუცილებელია მოვანდინოთ ეკოლოგიური ეფექტის გათვალისწინებით.

საწარმოს სამეურნეო საქმიანობის ეფექტიანობა შეფასებულ უნდა იქნეს კომპლექსური მიდგომით, რაც იმას ნიშნავს, რომ წარმოების ეკონომიკურ ეფექტიანობასთან ერთად საჭიროა ასევე შეფასებულ იქნეს სოციალური და ეკოლოგიური ეფექტი.

გამოყენების სფეროს მიხედვით ეკონომიკური ეფექტიანობა შეიძლება იყოს საერთო, ლოკალური და კერძო; ობიექტების მიხედვით — მოქმედი

წარმოების, კაპიტალური დაბანდების, ახალი ტექნიკის, ცალკეული რესურსების დანახარჯების, ორგანიზაციულ-ტექნიკური ღონისძიებების და სხვა. დანიშნულებისა და გაანგარიშების მეთოდების მიხედვით — ასოლუტური და შეფარდებითი ეფექტიანობა.

ეკონომიკური ეფექტიანობა განისაზღვრება სხვადასხვა სტადიების მიხედვით: წინასწარი, საორიენტაციო, მოსალოდნელი და ფაქტობრივი ეკონომიკური ეფექტი.

ამა თუ იმ ღონისძიების ეფექტიანობის გაანგარიშების დროს მხედველობაში მიიღება დარგობრივი, დარგთაშორისი წარმოების, მოხმარების, ცალკეული რეგიონებისა და მოკავშირე ქვეყნების ინტერესები და ამოცანები.

საერთო ეფექტიანობა ასახავს მთლიანად სოციალური აღწარმოების პროცესს.

ლოკალური ეფექტიანობა გაიანგარიშება აღწარმოების ცალკეული სტადიის მიხედვით (წარმოება, განაწილება, გაცვლა და მოხმარება), ან ქვეყნის ცალკეული რეგონის მიხედვით (რეგიონი, რაიონი, ტერიტორიულ-საწარმოო კომპლექსი, სამინისტრო, გაერთიანება, საწარმო), ლოკალური ეფექტიანობის საშუალებით შეგვიძლია დაეადგინოთ სახალხო მეურნეობის, მრეწველობის, რაიონისა და სხვა რეგონის მართვის მექანიზმის ეფექტიანობა.

კერძო ეფექტიანობა გამოიყენება წარმოების პროცესში მოხმარებული ცალკეული რესურსის გამოყენების შედეგისა და მათი დანახარჯების მდგომარეობის მიხედვით (სამუშაო ძალა, შრომის საგნები და იარაღები, კაპიტალური დანახარჯები).

გაანგარიშების დანიშნულებისა და მეთოდების მიხედვით შრომის დანახარჯების ეფექტიანობის განსაზღვრისას პრაქტიკაში ხშირად საჭიროა საგეგმო-ეკონომიკური გაანგარიშების ორი პირობა: ჯერ ერთი, საჭიროა ცალკეული რესურსებისა და დანახარჯების ეფექტიანობის გაანგარიშება საერთოდ და მატერიალური წარმოების სხვადასხვა დონეზე (სახალხო მეურნეობა, დარგი, სამინისტრო, გაერთიანება, წარმოება), ასევე ცალკეული ორგანიზაციულ-ტექნიკური ღონისძიებების გავლენის შედეგების დადგენა წარმოების საგეგმო მაჩვენებლებზე. მეორეც, საჭირო ხდება საწარმო-სამეურნეო გადაწყვეტილებებიდან შერჩეულ ექნას ოპტიმალური ვარიანტი (ახალი ტექნიკის, ტექნოლოგიის და

წარმოების ორგანიზაციის, წარმოების განვითარება და გადაადგილება, კონცენტრაცია, კოპერირება და სპეციალიზაცია, მიზნობრივი კომპლექსური პროგრამები და სხვა.).

აბსოლუტური ეფექტიანობა გამოხატავს რესურსებისა და დანახარჯების გამოყენების შედეგად მიღებული ეფექტის სიდიდეს. იგი გაიანგარიშება სახალხო მეურნეობის მართვის სხვადასხვა დონეზე და საშუალებას გვაძლევს განვსაზღვროთ აბსოლუტური ეფექტიანობის ამაღლების გეგმიური ღირებულება.

საერთო და შედარებითი ეკონომიური ეფექტიანობა

წარმოების დაგეგმვასა და დაპროექტებაში გამოიყენება საერთო და შეფარდებითი ეფექტიანობის მაჩვენებელი. საერთო ეკონომიური ეფექტიანობა განისაზღვრება, როგორც ეფექტის შეფარდება კაპიტალურ დაბანდებასთან, ხოლო შედარებითი ეფექტიანობა, როგორც ვარიანტების მიხედვით მიმდინარე დანახარჯების სხვაობის შეფარდება კაპიტალურ დაბანდებასთან. ამავე დროს საერთო და შედარებითი ეკონომიური ეფექტიანობა ერთმანეთს ავსებენ. ქვეყნის მასშტაბით საერთო ეკონომიური ეფექტიანობა იანგარიშება ეროვნული შემოსავლის ნამატის შეფარდებით (შესადარ ფასებში) (HA) ამ ნამატის გამოწვევ კაპიტალურ დაბანდებასთან K.

$$\Theta_a = \Delta H_A / K.$$

ცალკეული დარგის ან საწარმოს მასშტაბით საერთო ეკონომიური ეფექტიანობა განისაზღვრება, როგორც მოგების ნამატის შეფარდება კაპიტალურ დაბანდებასთან

$$\Theta_f = \Delta \Pi / K.$$

ახალ მშენებარე ობიექტის ან ახალი ღონისძიების დანერგვის შემთხვევაში საერთო ეფექტიანობა იანგარიშება გეგმიურ მოგების შეფარდება კაპიტალდაბანდებასთან (სახარჯთაღრიცხვო ღირებულებასთან).

$$\Theta = (L - C) / K,$$

სადაც K - მშენებარე ობიექტის სახარჯთაღრიცხვო ღირებულება;

L - პროდუქციის წლიური გამოშვება საწარმოს საბითუმო ფასებში;

C - დანახარჯები წლიური პროდუქციის მოცულობაზე

როგორც წესი, ეფექტი გაიანგარიშება ახალი წარმოების ან ახალი

პროდუქციის დაპროექტების დროს სრულდება მრავალი ვარიანტის მიხედვით ეფექტიანობის გაანგარიშება, რომელთა შორის შეირჩევა ოპტიმალური ვარიანტი. მრავალ ვარიანტთაგან ოპტიმალური ვარიანტის შესარჩევად იყენებენ მინიმალურ დაყვანილი დანახარჯების მაჩვენებელს, რომელიც განისაზღვრება ფორმულით:

$$\sum \Pi_{ij} = C_i + E_r K_i \rightarrow \min,$$

სადაც $\sum \Pi_{ij}$ - არის ამ ვარიანტის დაყვანილი დანახარჯები;

C_i მიმდინარე დანახარჯები (თვითღირებულება);

K_i კაპიტალური დაბანდებები;

E_r - შედარებითი ეკონომიკური ეფექტიანობის ნორმატიული კოეფიციენტი.

შედარებითი ეფექტიანობა გამოიყენება ეფექტიანობის ამა თუ იმ ვარიანტის შეფასების დროს, რესურსებისა და დანახარჯების რაციონალური გამოყენების მიზნით. შედარებითი ეკონომიკური ეფექტიანობის გაანგარიშების დროს საჭიროა ანალოგიის შერჩევა. მაგალითად, ახალი პროდუქციის წარმოების ეფექტიანობის გასაანგარიშებლად ვირჩევთ ისეთ პროდუქციას, რომელიც უკვე იწარმოება და ცნობილია მისი ეფექტიანობა. ამავე დროს, რამდენადაც შესაძლებელია პროდუქცია თავისი ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლებით ახლოა ახალი პროდუქციის მახასიათებლებთან, იმდენად გაანგარიშება უფრო სარწმუნოა და პირიქით. ანალოგი უნდა აკმაყოფილებდეს მეცნიერებისა და ტექნიკის უკანასკნელ მოთხოვნებს და შეესაბამებოდეს მსოფლიოს საუკეთესო ნიმუშებს.

დროის ფაქტორის გათვალისწინებით, პირველ რიგში, იანგარიშება წინასწარი საორიენტაციო ეკონომიკური ეფექტი - ღონისძიებების დანერგვაზე ან მის დაპროექტებაზე. იგი ეყრდნობა ახალი პროდუქციის, ობიექტის, ან ღონისძიებათა დაპროექტებისათვის დამტკიცებულ ტექნიკური დავალების მაჩვენებლებს და ითვლება საორიენტაციოდ. იგი გვიჩვენებს ადებული პროდუქციის ან ღონისძიებების დაპროექტებისა და წარმოების ეკონომიკურ მიზანშეწონილობას. ამიტომ იგი აუცილებელი წინაპირობაა დაპროექტების დაწყების გადაწყვეტილების მისაღებად.

მოსალოდნელი ეკონომიკური ეფექტი იანგარიშება პროექტის შედეგის შემდეგ, როცა უკვე ცნობილია ახალი ღონისძიების საპროექტო ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები, სათანადო გაანგარიშების შედეგად (იგი უფრო ზუსტია, ვიდრე წინასწარი საორიენტაციო ეფექტიანობა).

ფაქტობრივი ეკონომიკური ეფექტი იანგარიშება ახალი პროდუქციის დანერგვისა და მისი სერიული ან მასიური წარმოების ათვისების შემდეგ. იგი ეყრდნობა წარმოებისა და მოხმარების ფაქტობრივ შედეგებს

19.2. წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობის კრიტერიუმი და მაჩვენებელთა სისტემა

თანამედროვე ეკონომიკურ ლიტერატურაში წარმოების ეფექტიანობის კრიტერიუმისა და მაჩვენებელთა სისტემის შერჩევის საკითხში აზრთა მნიშვნელოვანი განსხვავებაა. წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობის კრიტერიუმის საკითხში ჯერ კიდევ სათანადოდ არაა შესწავლილი მასზე განსხვავებული მოსაზრებები გამოწვეულა წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობის კრიტერიუმებისა და მაჩვენებლების გაიგივებით. „ეფექტი“ რაიმე მოვლენის, გარკვეული მოქმედების შედეგია. წარმოების პირობებში იგი გამოხატავს საწარმოო ან სოციალურ შედეგს, რომელიც მიიღება რესურსების ხარჯვის შედეგად გარკვეული დროის მონაკვეთში. იგი სხვადასხვა ნატურალური და ლირებულეზითი მაჩვენებლებით ხასიათდება. ასეთ მაჩვენებლებს ეკუთვნის, მაგალითად, ეროვნული შემოსავლის ან ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტის რაოდენობა, პროდუქციის მოცულობა, მოგების მასა და სხვა. ეფექტიანობის კრიტერიუმი მოვლენის ან რაიმე პროცესის განმასხვავებელი ნიშანი, ან ნიშანთა ერთობლიობაა. რომელიც ყველაზე სრულყოფილად ახასიათებს მის არსს. იგი როგორც რაიმე პროცესის, მოვლენის განვითარების ძირითადი არსის გამოხატვის საშუალება, გვევლინება განმარტადებელ საზომად.

წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობის კრიტერიუმი წარმოების საერთო მიზნის მიღწევის დონის შეფასებას უნდა გვაძლევდეს. იგი უნდა ასახავდეს საზოგადოების განვითარების ეკონომიკური კანონების მოთხოვნებს, რომლებიც მარეგულირებელ გავლენას ახდენენ საზოგადოების ეკონომიკური განვითარების ეფექტიანობის ტემპებსა და პროპორციებზე. იგი უნდა პასუხობდეს ეკონომიკური კანონებისა და კანონზომიერებათა მოქმედების შინაარსსა და ხასიათს.

ეკონომიკური ეფექტიანობის კრიტერიუმი უნდა გვიჩვენებდეს ერთდროული და მიმდინარე დანახარჯების, წარმოებაში მონაწილე ყოველგვარი რესურსების გამოყენების ეფექტიანობის ხარისხობრივ და

რაოდენობრივ მხარეებს სახალხო მეურნეობის ყველა რგოლსა თუ რეგიონში. სწორედ ამით განსხვავდება იგი ეკონომიკური ეფექტიანობის რაოდენობრივ-ხარისხობრივი მაჩვენებლისაგან.

ეკონომიკური ეფექტიანობის კრიტერიუმში უნდა ასახვდეს მეურნეობრიობის ძირითად კანონს - საზოგადოების ინტერესების შესაბამისად მინიმალური დანახარჯებით მაქსიმალური შედეგის მიღწევა.

პრაქტიკაში საზოგადოებრივი წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობის კრიტერიუმად მიღებულია ეროვნული შემოსავლის მაქსიმიზაცია წარმოების დანახარჯებთან შედარებით, ან დანახარჯების შემცირება სასარგებლო ეფექტის ერთეულზე.

წარმოების ღონისა (სახალხო მეურნეობის, დარგის, საწარმოს) და ეფექტიანობის ანალიზის მიზნის მიხედვით საწარმოების შედეგი შეიძლება გამოვსატოთ ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტით, ეროვნული შემოსავლით, მოგებით, მატერიალური და შრომითი რესურსებით.

საზოგადოებრივი წარმოების ეკონომიკურ ეფექტიანობაში გამოხატულებას პოულობს ორი ურთიერთდამაკავშირებელი საზომი. - საზოგადოებრივი შრომის ეფექტი და დანახარჯი.

ეკონომიკური ეფექტიანობის მაჩვენებლები შეიძლება დაიყოს ორ ჯგუფად: პირდაპირ და შებრუნებულად.

პირდაპირი მაჩვენებლები შეიძლება დავალაგოთ სქემით ეფექტი დანახარჯი". ისინი გამოხატავენ შედეგების ზრდას დანახარჯის ერთეულზე. ხოლო შებრუნებული მაჩვენებლები დალაგდება სქემით დანახარჯი - ეფექტი. ისინი გამოხატავენ ეფექტიანობის ზრდის მეორე გზას დანახარჯების შემცირებას მიღებული შედეგის ერთეულზე.

საზოგადოებრივი წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობის ამოღების დაგეგმვისათვის მიღებულია მაჩვენებელთა სისტემა. ამ სისტემაში წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობის მაჩვენებლები ჯგუფდება სხვადასხვა ნიშნებით.

ელემენტების მიხედვით დანახარჯებში გამოყოფილია: განმაზოგადებელი და კერძო მაჩვენებლები (ცხ. 2.1).

განმაზოგადებელი მაჩვენებლები ზოგად წარმოდგენას იძლევა ახასიათებენ საწარმოო საქმიანობის ეფექტიანობაზე მისი შემადგენელი ელემენტების მიხედვით, მაგალითად: პროდუქციის წარმოება და მასზე გაწეული დანახარჯების ეფექტიანობის საერთო დონე, საწარმოო

ფონდების, შრომითი და მატერიალური რესურსების დანახარჯების ეფექტიანობის საერთო დონე. წარმოების ეფექტიანობის უფრო ღრმა ანალიზისა და ცალკეული ელემენტების მიხედვით ეფექტის გადიდების რეზერვების გამოვლენის მიზნით საჭიროა ეფექტიანობის შეფასება კერძო მაჩვენებლების — შრომის საგნების, შრომის იარაღებისა და სამუშაო ძალის გამოყენების — მაჩვენებლების მეშვეობით. ამისათვის განასხვავებენ მაჩვენებლების სამ ჯგუფს: სამუშაო ძალის, საწარმოო ფონდებისა და კაპიტალური დაბანდების, მატერიალური რესურსების მიხედვით. თითოეული ჯგუფის მიხედვით შერჩეულია კერძო მაჩვენებლები. გარდა აღნიშნულისა, დარგისა და საწარმოთა სპეციფიკის მიხედვით შეიძლება გვექნდეს ეფექტიანობის სპეციფიკური მაჩვენებლები. მაგალითად: ლითონტევალობა, ნედლეულიდან მზა პროდუქციის გამოსავლიანობის კოეფიციენტი და სხვა.

ზემოთ აღნიშნული სამივე ჯგუფის კერძო მაჩვენებლების სისტემაში ძირითადი მაჩვენებლებია შრომატევადობა, ფონდტევადობა, მასალატევადობა კაპიტალტევადობა და პროდუქციის წარმოება.

თუ აღვნიშნავთ ძირითად ფონდებს Φ ასოთი, მატერიალურ დანახარჯებს — M , შრომით დანახარჯებს — P და პროდუქციას — B , მაშინ ამ მაჩვენებელთა შორის შეგვიძლია დავადგინოთ ცვლილების გარკვეული კანონზომიერება.

შრომატევადობის მაჩვენებელი ძირითადი ფონდების P_{Φ} , მატერიალური დანახარჯებისა P_M და პროდუქციის P_B მიმართ შეიძლება გამოვხატოთ შემდეგნაირად:

შრომატევადობის მაჩვენებელი:

$$P_P = 1; P_{\Phi} = \frac{P \text{ კაცი}}{\Phi \text{ ათ. ლარი}}; P_M = \frac{P \text{ კაცი}}{M \text{ ათ. ლარი}}; P_B = \frac{P \text{ კაცი}}{B \text{ ათ. ლარი}} \quad (1)$$

ფონდტევადობის მაჩვენებელი:

$$\Phi_P = \frac{\Phi \text{ ლარი}}{P \text{ კაცი}}; \Phi_{\Phi} = 1; \Phi_M = \frac{\Phi \text{ ლარი}}{M \text{ ლარი}}; \Phi_B = \frac{\Phi \text{ ლარი}}{B \text{ ლარი}} \quad (2)$$

მასალატევადობის მაჩვენებელი:

$$M_P = \frac{M \text{ ლარი}}{P \text{ კაცი}}; M_{\Phi} = \frac{M \text{ ლარი}}{\Phi \text{ ლარი}}; M_M = 1; M_B = \frac{M \text{ ლარი}}{B \text{ ლარი}} \quad (3)$$

<p>დანასარგებებს I ღარიზე</p> <p>კონიონიკური უმცირესობის ანამაზოგადებელი მაქონტეული</p> <p>ა) კრილიქიის წარმოების ზრდა (ათ. ლარი)</p> <p>ბ) პრილიქიის წარმოება</p> <p>კონიონიკური უმცირესობის მანქანებზე სისტემა</p> <p>დანასარგებებს I ღარიზე</p> <p>დ) უმცირესობის კონიონიკური მართიად სწავრო ფრენებისა და ხარბი საშუალებების.</p> <p>დანასარგებებს (ამორტიზაციის გარეშე)</p> <p>ზრდის ანაზღაურების ფრენი რეგულაციის</p> <p>დანასარგებები I ღარი სასაქონლო პრილიქიის შიგთხა</p>	<p>საშუალო ძალის გამოყენების</p> <p>ვ) შრიამტეალობა შრომის ფარმაკოლოგიის დანე და მისი ზრდის ტემპი</p> <p>ფ) შრომის ფარმაკოლოგიის ხარჯზე პრილიქიის მატების ხვედრითი წილი</p> <p>ჯ) ცოცხალი შრომის ეკონომია (წლიურ მუშაო საბაზის წელიდან შედარებით)</p>	<p>ძირითადი ფონდების, საბრუნავი საშუალებებისა და კაპიტალური დანასარგებების გამოყენების</p> <p>1. ფრენიკონია 2. ფრენიკონია 3. ფრენიკონია 4. წარმოების საბრუნავი საშუალებების საშუალო წლიური ღირებულების I ღარიზე განვარდებით პრილიქიის წარმოება ხარჯზე</p> <p>5. საშუალებათა პრენების პერიოდის შეფერვა (დეკლარაცია) კაპიტალური დანების ეფექტიანობის კოეფიციენტი ხვედრითი კაპიტალური შიგთხა</p> <p>6. კაპიტალური დანების ეფექტიანობის კოეფიციენტი ხვედრითი კაპიტალური შიგთხა</p> <p>7. ექსპლუატაციაში გადაყვანილი სიმძლავრის ეფექტიანობა პრილიქიის ზრდის I ღარიზე</p>	<p>მატერიალური რესურსების გამოყენების</p> <p>1. მასალაგადობა უმცირესობის სახეობის მასალის ხარჯი სასაქონლო პრილიქიის I ღარიზე</p> <p>2. მატერიალური დანასარგებების ზრდის ტემპის შეფერვა სასაქონლო პრილიქიის ზრდის ტემპთან</p> <p>3.</p>
--	--	--	--

პროდუქციის წარმოების მაჩვენებელი:

$$B_p = \frac{B \text{ ლარი}}{P \text{ კაცი}} ; B_o = \frac{B \text{ ლარი}}{\Phi \text{ ლარი}} ; B_M = \frac{B \text{ ლარი}}{M \text{ ლარი}} ; B_B = 1 \quad (4)$$

შრომატევადობის მაჩვენებელი (1) განხილულია ძირითადი ფონდების მატერიალური რესურსებისა და პროდუქციის მიმართ; მეორე ფორმულაში P_o გვიჩვენებს ძირითადი საწარმოო ფონდების ერთეულზე შრომის რაოდენობის დანახარჯს; მესამე ფორმულაში კი მატერიალური რესურსების ღირებულებას შრომითი დანახარჯების ერთეულზე, ხოლო მეოთხე ფორმულაში - პროდუქციის ერთეულის წარმოებაზე, ანუ პროდუქციის შრომატევადობას. ფონდტევადობის მაჩვენებელი (2) ფორმულაში განხილულია სამუშაო ძალის, მატერიალური რესურსებისა და პროდუქციის მიმართ. Φ_p გვიჩვენებს ფონდ-შეიარაღებას, ხოლო Φ_B პროდუქციის ფონდტევადობას. მასალატევადობის მაჩვენებლის გაანგარიშება მოტანილია (3) ფორმულაში. M_p გვიჩვენებს ერთ მომუშავეზე მატერიალური რესურსების დანახარჯს; M_o მატერიალური რესურსებს დანახარჯს ძირითადი ფონდების ერთეულზე, ხოლო M_B პროდუქციის მასალატევადობას.

პროდუქციის წარმოების მაჩვენებელთა სისტემაში (4) B_p გვიჩვენებს შრომის მწარმოებლურობას, B_o - ფონდტევადობას, ხოლო B_M - მასალების ერთეულზე მიღებული მზა პროდუქციის რაოდენობას. ზოგიერთ დარგში მას უწოდებენ გამოსავლიანობის კოეფიციენტს.

წარმოების ეფექტიანობის განმარტავადებელი მაჩვენებელია პროდუქციის წარმოების ზრდა. იგი განისაზღვრება ფულადი ფორმით. (ინდექსით-საგვეგმო პერიოდში საბაზისოსთან შედარებით).

$$L_{Q_s} = 100(Q_s/Q_a),$$

სადაც L_{Q_s} არის პროდუქციის მოცულობის ზრდის ინდექსი საგვეგმო პერიოდში, % -ში;

Q_s და Q_a სასაქონლო (საერთო), წმინდა პროდუქციის მოცულობა საგვეგმო და საბაზო წლებში, ათას ლარ.

პროდუქციის წარმოება 1 ლარ დანახარჯზე

$$\Xi = Q/C,$$

Ξ - ეფექტიანობის მაჩვენებელი; Q - წმინდა ან სასაქონლო პროდუქციის მოცულობა, ათას ლარ.; C - სასაქონლო პროდუქციის წარმოების დანახარჯები;

რესურსების შეფარდებითი ეკონომია: ა) ძირითადი საწარმოო ფონდების შეფარდებითი ეკონომია.

$$\Delta\Phi_{აგ} = \Phi_{აგ} I_{აგ} - \Phi_{აგა},$$

სადაც $\Phi_{აგ}$ და $\Phi_{აგა}$ ძირითადი ფონდების საშუალო წლიური ღირებულებაა საბაზო და საგეგმო წლებში, ათას ლარ. $I_{აგ}$ - სასაქონლო პროდუქციის გეგმიური ზრდის ინდექსია.

ბ) ნორმირებული საბრუნავი საშუალებების შეფარდებითი ეკონომია, ათას ლარ.

$$\Delta\Phi_{აბა} = \Phi_{აბა} I_{აბ} - \Phi_{აბა},$$

სადაც $\Phi_{აბა}$ და $\Phi_{აბა}$ საბრუნავი საშუალებების საშუალო წლიური ღირებულებაა, ათას ლარ.

გ) მატერიალური დანახარჯების შეფარდებითი ეკონომია, ათას ლარ.

$$\Delta C_{აბ} = C_{აბ} I_{აბ} - C_{აბ},$$

სადაც $C_{აბ}$ და $C_{აბ}$ სასაქონლო პროდუქციის მთლიან მოცულობაზე გაწეული მატერიალური დანახარჯებია საბაზო და საგეგმო წლებში, ათას ლარ. $I_{აბ}$ - სასაქონლო პროდუქციის მოცულობის ზრდის ინდექსი.

დ) შრომის ანაზღაურების ფონდის შეფარდებითი ეკონომია, ათას ლარ.

$$\Delta Z_{ა} = Z_{ა} I_{ა} - Z_{ა},$$

სადაც $Z_{ა}$ და $Z_{ა}$ შრომის ანაზღაურების ფონდია საბაზო და საგეგმო წლებში; $I_{ა}$ - წმინდა პროდუქციის ზრდის ინდექსი, %-ში.

რენტაბელობა გაიანგარიშება საწარმოს სამეურნეო საქმიანობიდან მიღებული მოგების შეფარდებით ძირითადი საწარმოო ფონდების საშუალოწლიური ღირებულებისა და ნორმირებული საბრუნავი საშუალებების ჯამთან, %-ში

$$P = \Pi / 100 / (\Phi_{ა} - \Phi_{ა}),$$

სადაც Π მოგებაა ათას ლარ.-ში; $\Phi_{ა}$ ძირითადი საწარმოო ფონდების საშუალოწლიური ღირებულებაა, ხოლო $\Phi_{ა}$ - ნორმირებული საბრუნავი საშუალებები, ათას ლარებში.

დანახარჯები 1 ლარ სასაქონლო პროდუქციაზე იანგარიშება სასაქონლო პროდუქციის სრული თვითღირებულების შეფარდებით სასაქონლო პროდუქციის იმავე მოცულობასთან საბითუმო ფასებში

$$\Phi_r = \sum_{C_{i14}} N / \sum_{C_{i14}} N,$$

სადაც C და Π პროდუქციის ერთეულის თვითღირებულება და ფასია, ლარ;

N - პროდუქციის რაოდენობა ცალებში.

მოგება - სამრეწველო საწარმოს მუშაობის ეფექტიანობის შეფასების განმაზოგადებელი მაჩვენებელია. მასში ასახულია სამეურნეო საქმიანობის თითქმის ყველა მხარე. ამავე დროს, იგი წარმოების განვითარების და წარმოების მუშაკთა მატერიალურ-კულტურული კეთილდღეობის ამაღლების ძირითადი წყაროა. მოგების გაანგარიშება ხდება წარმოების პროდუქციის რეალიზაციის შედეგად მიღებული შემოსავლიდან წარმოების დანახარჯების გამოკლებით.

$$\Pi = (\Pi - C) Q_n,$$

სადაც Π არის პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებული მოგება. ათას ლარ;

Π - არის ერთეული პროდუქციის საბითუმო ფასი, ლარ;

C - პროდუქციის ერთეულის თვითღირებულება, ლარ;

Q_n - რეალიზებული პროდუქციის რაოდენობა, ნატურალურ ერთეულებში (ცალ. ტონა).

ზემოთ აღნიშნულ ზოგად მაჩვენებლებს წარმოების ეფექტიანობის შეფასებაში სერიოზული ნაკლი გააჩნიათ, კერძოდ, ისინი ახასიათებენ წარმოების სამეურნეო საქმიანობის ცალკეულ მიმართულებებს.

19.3. საწარმოს სამეურნეო-ფინანსური საქმიანობის შეფასების შეფარდებითი მაჩვენებლები.

საწარმოს საქმიანობის შედეგების გაცნობა საჭიროა აქციონერების ინვესტორების, შემკვეთი და მომწოდებელი კომპანიებისათვის. ამიტომ აუცილებელია ამ შედეგების გაანგარიშება შეფარდებითი მაჩვენებლების სახით, რომლებიც ნათლად ასახავენ საწარმოს მუშაობის სურათს ზოგიერთ პარამეტრების მიხედვით.

ამ შემთხვევაში ფაქტიური მაჩვენებლები უნდა შევადაროთ „მისაღებ“, მონათესავე საწარმოების წინა წლების ნორმირების „უსაფრთხო“, მაჩვენებლებთან.

შედარებითი მაჩვენებლები გვეხმარება ფირმის დადებითი ან უარყოფითი მხარეების გამოვლენა. ისინი იძლევიან პასუხს კითხვაზე: მნიშვნელოვანია, თუ არა გაყიდვის მოცულობის გადიდება? როგორია ფირმის ლიკვიდობის დონე? მისი ფინანსური რესურსების სტრუქტურა უზრუნველყოფს, თუ არა რისკის მაღალ ხარისხს?

საწარმოს (ფირმის) შედარებითი მაჩვენებლებია:

1. საბრუნავი კაპიტალის გამოყენების ანუ აქტივობის მაჩვენებელი.

საბრუნავი კაპიტალის გამოყენება შეიძლება შევაფასოთ იმ კრედიტის თანხით, რომელიც საწარმომ მისცა მყიდველებს და მომწოდებლებს. მრეწველობის თითოეული დარგის მიხედვით შემუშავებულია ნორმები, რომელთაც შეიძლება შეუდაროთ ფაქტიური მაჩვენებლები.

2. ლიკვიდობის მაჩვენებელი. ეს არის საწარმოს შესაძლებლობა (უნარი) გადახდის ვადის დადგომისას გადაიხადოს ვალი. გადახდის უნარიანობა ძიუთითებს საწარმოს ფინანსურ მდგრადობაზე. ცნობილია, რომ ფირმა უფრო ხშირად წყვეტს თავის მუშაობას ფულადი სახსრების უქონლობის გამო, ვიდრე დაბალი რენტაბელობისათვის. ლიკვიდობის პრობლემას შეუძლია მნიშვნელოვნად შეზღუდოს გაყიდვების მოცულობა და მოგება.

3. რენტაბელობის მაჩვენებელი. მოგება თავისთავად არ უჩვენებს საწარმოს მომგებიანობის დონეს. საჭირო ხდება ამ მაჩვენებლის შედარება წინა წლებისა და სხვა ანალოგიურ საწარმოთა მაჩვენებლებთან.

მომგებიანობის მაჩვენებელი (მოგება, გამოხატული პროცენტებში რეალიზაციის მოცულობის მიმართ), საშუალებას გვაძლევს არა მარტო დავინახოთ რამდენად ეფექტიანად მუშაობს საწარმო, არამედ იგი გამოხატავს მოგების გარანტიას. მომგებიანობის დაბალი დონე მიგვიითხებს, რომ საწარმოს რომელსაც აქვს მუდმივი დანახარჯების მაღალი დონე, ფასების უმნიშვნელო შემცირებამ შეიძლება გამოიწვიოს მოგების მნიშვნელოვანი შემცირება. მის მთლიან ლიკვიდაციამდე. მოგება ასევე შეიძლება შევაფასოთ საწარმოს მიერ გამოყენებული აქტივების შემოსავლიანობით. პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებული ამონაგების შეფარდებით აქტივების ჯამთან და ძირითად საშუალებებთან განსაზღვრავენ ინვესტიციის დონეს, რომელიც აუცილებელია გაყიდვების დადგენილი დონი-

სათვის. ამ მაჩვენებელს უდარებენ გასული პერიოდებისა და სხვა კომპანიების ანალოგიურ მაჩვენებლებს.

4. ფინანსური რესურსების სტრუქტურის მაჩვენებელი. ფინანსური რისკის მაჩვენებელი ცნობილია, როგორც „დამოკიდებულების კოეფიციენტი” – და იანგარიშება, როგორც ნასესხი კაპიტალის შეფარდებით საკუთარ კაპიტალთან. გრძელვადიანი დავალიანება კომპანიის აქციონერებისათვის ქმნის საშიშროებას. მოგების შემცირების შემთხვევაში აქციონერთა მოგება მცირდება, ხოლო ნასესხები კაპიტალის გადასახადის პროცენტი იზრდება. და პირიქით, მოგების ზრდის შემთხვევაში თუ ნასესხები კაპიტალი ნაკლებია, მოგების ნამატი მთლიანად ნაწილდება აქციონერებზე და იზრდება აქციონერების მოგება.

საწარმოს საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის შეფასებისათვის გამოიყენება სამი ძირითადი მაჩვენებელი:

1. აქტიურობის კოეფიციენტი;
2. ლიკვიდობის კოეფიციენტი;
3. რენტაბელობის კოეფიციენტი;

აქტიურობის კოეფიციენტი

ფირმის სამეურნეო-ფინანსური საქმიანობის შეფასებისათვის გამოიყენება აქტიურობის შემდეგი მაჩვენებლები:

1. სასაქონლო მარაგების ბრუნვადობის კოეფიციენტი;
2. დავალიანების კოეფიციენტი $K_{\text{დავ}}$;
3. საერთო კოეფიციენტი K ;

1) სასაქონლო მარაგების ბრუნვადობის კოეფიციენტი $K_{\text{საქ}}$ უდრის პროდუქციის რეალიზაციის მოცულობა შეფარდებული სასაქონლო მარაგების ღირებულების ჯამთან, წლის დასაწყისში და წლის ბოლოს გაყოფილი ორზე.

$$K_{\text{საქ}} = \frac{P}{(M_1 + M_2) / 2}$$

4

სადაც P - არის საანგარიშო პერიოდში რეალიზებული პროდუქციის ღირებულება;

M_1, M_2 - სასაქონლო მატერიალურ ფასეულობათა ნაშთების ღირებულებაა წლის დასაწყისში და წლის ბოლოს;

თუ კალენდარულ დროს შეუფარდებთ ბრუნვადობის კოეფიციენტს ($K_{კა}$) მივიღებთ ბრუნვის პერიოდს.

$$\text{ბრ. პერიოდი} = \frac{365}{K_{კა.ფ.}}$$

2) დავალიანების კოეფიციენტი ($K_{კა}$) იანგარიშება, როგორც ვალდებულებათა ჯამი გაყოფილი სააქციო (საკუთარ) კაპიტალზე. ეს მაჩვენებელი ფირმის ნორმალურ საფინანსო მდგომარეობაში არ უნდა აღემატებოდეს 1 ერთეულს. თუ იგი ერთზე მეტია, მაშინ არსებობს ფირმის გაკოტრების შესაძლებლობა.

$$K_{კა} = \frac{\text{ყველა ვალდებულება}}{\text{სააქციო (საკუთარი) კაპიტალი}} \leq 1$$

3) აქტიურობის საერთო კოეფიციენტი იანგარიშება ვალდებულების მთლიანი თანხის შეფარდებით აქტივების საერთო ღირებულებასთან. ეს კოეფიციენტი არ უნდა აღემატებოდეს ერთს. ფირმის სტაბილური მუშაობის პირობებში კი კოეფიციენტი უნდა იყოს 0,5 - 0,6-ზე მეტი.

ლიკვიდობის კოეფიციენტი სიტყვა „ლიკვიდი“ ნიშნავს - ფულში ადვილად გადასაქცევს. ფირმის ლიკვიდობა ეს არის მისი შესაძლებლობა გადააქციოს თავისი აქტივი ფულში, ყველა მისი დავალიანების დასაფარავად ვალის დაფარვის დადგენილი ვადისათვის.

ყველაზე ლიკვიდური აქტივია ნაღდი ფული. ლიკვიდობის მიხედვით შემდეგია მოკლევადიანი ინვესტიციები (ფასიანი ქაღალდები), ვინაიდან საჭიროების შემთხვევაში ისინი შეგვიძლია ვაქციოთ ფულად. დებიტორული დავალიანება ასევე საკმაოდ ლიკვიდური აქტივია, დებიტორებს შეუძლიათ მოკლე ვადაში დაფარონ თავისი დავალიანება. შემდეგი ლიკვიდური აქტივია მარაგები. იგი ფირმამ ჯერ უნდა გაყიდოს, რათა დაფაროს კრედიტორის ვალი.

მოკლევადიანი ვალდებულებანი ეს არის ვალები, რომელთა გადახდის ვადა არ აღემატება ერთ წელს. არსებობს ლიკვიდობის ფართოდ გამოყენებული ორი კოეფიციენტი:

- ა) მიმდინარე ლიკვიდობის კოეფიციენტი;
- ბ) ელვისებური ლიკვიდობის კოეფიციენტი;

მიმდინარე ლიკვიდობის კოეფიციენტი არის მიმდინარე (საბრუნავი) აქტივების შეფარდება მოკლევადიან ვალდებულებებთან.

$$K_{\text{ლიკვიდ.}} = \frac{\text{მიმდინარე აქტივები (საბრ. საშ.)}}{\text{მოკლევადიანი ვალდებულებები}}$$

ყველაზე მიზანშეწონილი მნიშვნელობა ამ მაჩვენებლისა არის 2:1 სხვა სიტყვებით მიმდინარე აქტივები ორჯერ უნდა აღემატებოდეს მოკლევადიან ვალდებულებებს.

ელვისებური ლიკვიდობა წარმოების მარაგები არ წარმოადგენენ რეალურ ლიკვიდურ აქტივებს, ვინაიდან მათი მომზადებისა და რეალიზაციისათვის საკმაო დროა საჭირო. ამიტომ ამ შემთხვევაში უფრო ხშირად გამოიყენება ელვისებური ლიკვიდობის მაჩვენებელი. იგი იანგარიშება როგორც შეფარდება მიმდინარე აქტივებისა (მარაგების გამოკლებით) მოკლევადიან ვალდებულებებთან. იგი უნდა უდრიდეს 1:1. პრაქტიკაში იგი ხშირად ნაკლებია და უდრის 0,5/1. ამიტომ ასეთი წარმოებისათვის საჭირო ხდება ამ მაჩვენებლის ცვლილების ტენდენციის დადგენა გარკვეული დროის განმავლობაში.

ზოგჯერ ამ მაჩვენებლებს ანგარიშობენ დებიტორული დავალიანების შეფარდებით მოკლევადიან ვალდებულებებთან. ამ შემთხვევაში არ გაითვალისწინება ფულადი სახსრები როგორც აქტივები.

რენტაბელობა საწარმოს საქმიანობის რენტაბელობის შესაფასებლად გამოიყენება სამი ძირითადი მაჩვენებელი:

1. მომგებიანობის კოეფიციენტი;
2. აქტივების ბრუნვადობის კოეფიციენტი;
3. გამოყენებული კაპიტალის შემოსავლიანობა.

1. მომგებიანობის კოეფიციენტი იანგარიშება წმინდა მოგების შეფარდებით რეალიზაციის მოცულობასთან. მას ზოგჯერ უწოდებენ „მოგების პროცენტს“.

2. აქტივობის კოეფიციენტი იანგარიშება წლიური საქონელბრუნვის შეფარდებით გამოყენებულ კაპიტალთან. მაგ. თუ გაყიდვების მოცულობით კომპანიამ მიიღო 720 000 ლარი, ხოლო აქტივების რაოდენობა 360 000 ლარია, მაშინ აქტივების ბრუნვა შეადგენს $720\ 000/360\ 000=2$. ე.ი. 1 ლარი წელიწადში იძლევა 2 ლარს.

3. გამოყენებული კაპიტალის შემოსავლიანობა.

—საწარმოში გამოყენებული კაპიტალიდან კომერციულმა კრედიტებმა უნდა მიიღონ მათი კუთვნილი თანხა;

— ბანკმა უნდა მიიღოს კუთვნილი პროცენტი;

— ობლიგაციის მფლობელებმა პროცენტები;

— პრივილიგებულ და უბრალო აქტივების მფლობელებმა თავისი დივიდენდი.

ამ გადასახადების გადახდის რიგითობის გარკვეული წესი არსებობს.

უწინარეს ყოვლისა მიღებული მოგებიდან აუცილებელია პროცენტი, შემდეგ მოგებიდან დაიფარება გადასახადები, შემდეგ პრივილეგირებულ აქტივებზე დივიდენდები, თუ მოგებიდან გადასახადის შემდეგ რჩება მოგება მაშინ დირექციას შეუძლია გასცეს დივიდენდები უბრალო აქციაზე. გაუნაწილებელ მოგებას — ანაწილებს დირექცია.

არსებობს მათემატიკური კავშირი გამოყენებული კაპიტალის შემოსავლიანობას (მკშ), მომგებიანობის კოეფიციენტსა და აქტივების ბრუნვალობას შორის.

$$\frac{\text{მოგება}}{\text{გამოყენ. კაპიტალი}} = \frac{\text{მოგება}}{\text{რეალიზაც. მოცულობა}} \times \frac{\text{რეალიზაციის მოცულობა}}{\text{გამოყენებული კაპიტალი}}$$

ან გ.კ.შ. = მომგებიანობის კოეფიციენტი × აქტივების ბრუნვალობაზე.

გამოყენებული კაპიტალის შემოსავლიანობა (გ.კ.შ.) იანგარიშება ორი წესით.

ა) $\frac{\text{მოგება ბეგარის გამოკლებით}}{\text{აქტივები, აქციონერების მიერ დაფინანსებული}} \times 100\%$

ბ) $\frac{\text{მოგება, მდგებმს \% -ის გადახდამდე}}{\text{აქტივებს — მოკლევადიანი ვალდებულება}} \times 100\%$

თავი XX. საწარმოოს საგადასახადო სისტემა

0.1. გადასახადის არსი. და საგადასახადო სისტემა.

ბეგარა ადამიანისათვის ცნობილია უძველესი დროიდან. მისი წარმოშობა დაკავშირებულია სახელმწიფოს შენახვასთან. ჯერ კიდევ 1789 წელს ბენდჟამინ ფრანკლინი, აშშ დამოუკიდებლობის დეკლარაციის ერთერთი ავტორი წერდა: "ამ სამყაროში არაფერში არ შეიძლება იყო მტკიცედ დარწმუნებული, გარდა სიკვდილისა და ბეგარისა

გადასახადი არის ბიუჯეტებსა და სახელმწიფო ფონდებში სავალდებულო შენატანი, რომელიც ამოიღება ცენტრალური და ადგილობრივი სახელმწიფოს მართვის ორგანოების მიერ იურიდიული და ფიზიკური პირებისაგან და შედის სხვადასხვა ღონის ბიუჯეტში. გადასახადი ეს არის სახელმწიფოს აპარატის, არმიისა და არასაწარმოო სფეროს შენახვის ბაზა.

გადასახადის ფუნქციები თანდათან გაფართოვდა. დღეს იგი შემოსავლისა და ფინანსური რესურსების გადანაწილების მთავარი ინსტრუმენტია. შემოსავლის დაბეგვრითი რეგულირება თავის ძირითად ამოცანად ისახავს სახელმწიფოს ხელში ფულადი რესურსების თავმოყრას. ქვეყნის, რეგიონის ეკონომიკური, სოციალური, სამეცნიერო-ტექნიკური განვითარების პრობლემათა გადასაწყვეტად.

ურიდიული თვალსაზრისით გადასახადი სპეციფიური ორმხრივი ვალდებულებათა სისტემაა სახელმწიფოსა და დაბეგვრის სუბიექტს შორის. ეკონომიკური თვალსაზრისით ეკონომიკური პროცესების ირიბი რეგულირების მეთოდია მაკროდონეზე.

საგადასახადო სისტემა — ეს არის სახელმწიფო გადასახადების, მოსაკრებლებისა და საგადასახადო ორგანოების (დაბეგვრის ინსპექციისა და დაბეგვრის პოლიციის) ერთობლიობა.

დაბეგვრის სუბიექტია — გადასახადის გადამხდელი იურიდიული ან ფიზიკური პირი. დაბეგვრის ობიექტია — შემოსავლი, ქონება, საქონლის ფასი ან მომსახურება, რომელზედაც დაირიცხება გადასახადი.

საქართველოში საგადასახადო სისტემის საფუძველია საგადასახადო კოდექსი, რომლის სრულყოფა ამჟამად მიმდინარეობს. მასში სისტემატიურად ხდება ცვლილებებისა და დამატებების შეტანა. ამჟამად მიმდი-

ნარეობს პოლემიკა მისი სრულყოფის შესახებ, ვინაიდან საქართველოს ძეგლები და მათი გაერთიანებები თვლიან რომ ამჟამად მოქმედი საგადასახადო კოდექსი ხელს უშლის მეწარმეობის განვითარებას საქართველოში. 1998 წლის 1 ოქტომბრიდან საქართველოს საგადასახადო და საბაჟო დეპარტამენტი გამოეყო ფინანსთა სამინისტროს და ჩამოყალიბდა დამოუკიდებელ ორგანიზაციად

21. 2. გადასახადის პრინციპები.

საგადასახადო პრინციპები პირველად ჩამოაყალიბა ადამ სმიტმა (1876 წ) იგი დაბეგურის ობიექტად თვლიდა რენტას, მოგებას და ხელფასს. მან დაბეგურის პრინციპების ჩამოყალიბებას საფუძვლად დაუდო შემდეგი დებულებები:

1. გადასახადი უნდა იყოს ზუსტად განსაზღვრული და არა ნებისმიერად. გადახდის ვადა, გადახდის გაანგარიშების მეთოდი და გადახდის თანხა უნდა იყოს ყველა გადამხდელისათვის გასაგები და განსაზღვრული;

2. თითოეული გადასახადი უნდა დაიფაროს იმ ვადასა და იმ წესით, რომელიც მოსახერხებელი იქნება გადამხდელისათვის;

3. თითოეული გადასახადის განაკვეთი ისე უნდა იყოს დადგენილი რომ თითოეული გადამხდელი საგადასახადო ორგანოს უნდა უხდიდეს შესაძლებლობის ფარგლებში ნაკლებს.

აღნიშნული დებულებებიდან გამომდინარე ადამ სმიტმა შეიმუშავა დაბეგურის შემდეგი პრინციპები:

1. თანაბარ სომეფობა. როცა მას ნიშნავს რომ სახელმწიფო თანაბარ მოთხოვნებს უნდა უყენებდეს გადასახადის ყველა გადამხდელს. იგი ყველასათვის ერთი უნდა იყოს;

2. განსაზღვრულობა. ნიშნავს მკაფიოს, გასაგებს, სტაბილურს, მის უცვლელობას ხანგრძლივი დროის განმავლობაში;

3. სიმართლიე და მოხერხებულობა. ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით;

4. შეუზღუდაობა - ესე იგი მძიმე ტვირთად არ უნდა დააწვეს გადამხდელს უნდა იყოს შედარებით დაბალი, რომლის გადახდა შესაძლებელი იქნება მეწარმისათვის. არ უნდა დაუკარგოს მას ბიზნესისადმი ინტერესი

პრაქტიკაში ეს პრინციპები სრულყოფილად არაა ასახული მოქმედ საგადასახადო კოდექსში.

საგადასახადო სისტემა უნდა იყოს ოპერატიული, მოქნილი. იგი უნდა განიცდიდეს სწრაფ კორექტირებას ქვეყნის ეკონომიური მდგომარეობის მიხედვით.

გადასახადების სახეები და განაკვეთები დამოკიდებულია ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობაზე. მათი რაოდენობა, სახეები და განაკვეთები განსხვავებულია ქვეყნების მიხედვით. განასხვავებენ ზღერულ და ხაშუალო გადასახადის განაკვეთებს

თუ გადასახადის ზღერული განაკვეთი იზრდება შემოსავალთან ერთად მაშინ საშუალო განაკვეთიც იზრდება შემოსავალთან ერთად. საგადასახადო განაკვეთს, რომელიც დაწესებულია პროცენტებში შემოსავალიდან ეწოდებენ საგადასახადო ქვოტას.

საგადასახადო შეღავათები ეს არის შემოსავლის მთლიანად ან ნაწილობრივი განთავისუფლება გადასახადისაგან.

საგადასახადო განაკვეთების ერთიანობას ეწოდება საგადასახადო რეჟიმი.

ზემოთ ჩამოთვლილი საგადასახადო პრინციპები ისტორიული ხასიათის მატარებლები არიან, მაგრამ საგადასახადო სფეროში სახელმწიფოს მარეგულირებელი როლის გაძლიერებამ მოითხოვა საგადასახადო სფეროს გაფართოება. ამჟამად ტრადიციულს დაემატა ახალი ფუნქციები

საყოველთაო ხასიათი — გადასახადმა უნდა მოიცავს ყველა ეკონომიკური სუბიექტი, რომელიც შემოსავალს ღებულობს.

სტაბილურობა--გარკვეული დროის პერიოდში გადასახადებისა და მათი განაკვეთების სტაბილურობა.

თანაბარდამაბული (გადახდის უნარიანობა)— სხვადასხვა შემოსავლების მქონე სუბიექტების საგადასახადო განაკვეთი უნდა იყოს თანაბრად დამაბული;

გადახდის სავალდებულება — გადასახადის იძულება, მისი გადახდის აუცილებლობა;

პორიზონტალური სამართლიანობა, ერთნაირი შემოსავლები უნდა იბეგრებოდეს თანაბარი საგადასახადო განაკვეთებით;

ვერტიკალური სამართლიანობა — არათანაბარი შემოსავლები უნდა იბეგრებოდეს არათანაბარი საგადასახადო განაკვეთებით;

გარდა ამისა საგადასახადო პრინციპები უნდა ითვალისწინებდნენ უკიდურეს შემთხვევაში შემდეგ სამ პუნქტს: ჯერ ერთი, გადასახადებმა არ უნდა დაახშოს კოლექტივებისა და მუშაკთა დაინტერესება ექსპლუატებისა და მოგების ზრდაში. მეორეც, საგადასახადო შემოსავლები ბ.უ.ე.კ.ტ.ში სხვა შემოსავლებთან ერთად უნდა უდრიდეს ხარჯებს, წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი უნდა შემცირდნენ და კიდევ — გადასახადებმა არ უნდა გამოიწვიოს მოქალაქეთა შემოსავლების შემცირება მინიმალურ დასაშვებ ზღვარზე დაბლა, რომელიც განსაზღვრულია საარსებო მინიჭუმის სიდიდით.

რა თქმა უნდა ყველა ზემოთ აღნიშნული პრინციპების გათვალისწინება ძნელია, ვინაიდან საგადასახადო პოლიტიკა წარმოადგენს ქვეყნის ეკონომიკური და სოციალურ — პოლიტიკური კურსის ნაწილს. ასე რომ ქვეყნის სოციალურ — ეკონომიკური და პოლიტიკური კურსის ცვლილება იწვევს საგადასახადო სისტემის ცვლილებასაც

20.3. გადასახადის სახეები.

მოქმედი გადასახადები საკმაოდ მრავალრიცხოვანი და მრავალსახეობრივია.. გადასახადების უნიფიცირების ცდა ჯერჯერობით უშედეგოა. ამერიკელი მეცნიერის პენრი ჯორჯის წინადადების ყველა სახის გადასახადები შეგვეცვალა ერთი მიწის გადასახადით და ასევე მის შემდეგ ლეე ტოლსტოის უინსტონ ჩერჩილის, სუნ იატსენის ასეთივე მოთხოვნების მიუხედავად, არა თუ შემცირდა გადასახადების რიცხვი, არამედ პირიქით გაიზარდა კიდევ. აღნიშნული ალბათ გამოწვეულია იმით რომ რამოდენიმე მცირე გადასახადების გადახდა ნაკლებ შესამჩნევია მოსახლეობისათვის.

ყველა გადასახადები შეიძლება დავაჯგუფოთ სხვადასხვა ნიშნების მიხედვით:

- გადასახადების ამოღების ხასიათის (პირდაპირი და ირიბი) მიხედვით;
- მართვის დონეების მიხედვით (ფედერალური, რეგიონული, ადგილობრივი, მუნიციპალური);
- დაბეგვის სუბიექტები (ოურიდული და ფიზიკური პირები) მიხედვით;
- დაბეგვის ობიექტების მიხედვით (გადასახადები საქონელზე და მომსახურებაზე, შემოსავლებზე, მოგებაზე, უძრავ ქონებაზე და სხვა);

— მიზნობრივი დანიშნულების (საერთო და სპეციფიური)


ირიბი გადასახადები. ეს გადასახადები შედარებით მცირეა. წესდება საქონლისა და მომსახურების ფასებზე, ტარიფებზე დანამატების სახით იხდის მყიდველი და შედის სახელმწიფო ბიუჯეტში. მას მიეკუთვნება აქციზის გადასახადები, საბაჟოს, გაყიდვების გადასახადები და დამატებული ღირებულების გადასახადი. ეს გადასახადები ამოიღება გადამხდელის შემოსაულებიდან და დაიფარება საქმიანობის შედეგებიდან მოგების მიღების მიუხედავად.

პირდაპირ გადასახადებს გადამხდელი იხდის შემოსაულებიდან ფიქსირებული თანხის სახით. გადამხდელი მას აღიქვამს როგორც შემოსავლის დანაკლისს. მას მიეკუთვნება ფიზიკურ პირთა შემოსავალი, მოგების გადასახადი, ქონების გადასახადი, ჩუქებაზე გადასახადი, მიწის გადასახადი, ბუნებრივი რესურსების გამოყენების გადასახადი და სხვა.

პირდაპირი გადასახადები ნაწილდება წარმოებისა და რეალიზაციის სტადიებზე. ირიბი გადასახადები უმეტესად ეხება პროდუქციის რეალიზაციისა და მოხმარების სტადიებს. ამდენად, თუ პირდაპირი გადასახადები — ეს არის გადასახადები შემოსაულებზე. ირიბი გადასახადები შეიძლება ჩაითვალოს დანახარჯების გადასახადებად.

გადასახადებს ასევე ყოფენ საგადასახადო განაკვეთების ხასიათის მიხედვით. საგადასახადო განაკვეთი არის გადასახადის ოდენობა გადასახადით დასაბეგრი თანხის (შემოსავლის ერთ ლარზე, ჰექტარზე და სხვა) ერთეულის მიმართ. განაკვეთის ხასიათის მიხედვით გადასახადი შეიძლება იყოს როგორც პროგრესული ან მყარი, როდესაც გადამხდას განაკვეთი არ არის დამოკიდებული შემოსავლის ოდენობაზე და ობოექტის რაოდენობაზე. მაგალითად, თუ მოგების გადასახადის განაკვეთი შეადგენს 35%-ს, იგი უცვლელია დასაბეგრი მოგების ზრდის ან შემცირების შემთხვევაში. პროგრესიული გადასახადის შემთხვევაში გადასახადის განაკვეთი იზრდება დასაბეგრი შემოსავლის პროპორციულად მაგალითად მინიმალური ხელფასი არ იბეგრება საშემოსავლო გადასახადით. მინიმალური ხელფასის ზევით იბეგრება 12% -ის ოდენობით, ხოლო მის ზევით გამოიყენება პროგრესიული შკალა (იხ. ცხრ. 20.1.). ამ შემთხვევისათვის გამოიყენება ლორენცის მრუდი. იგი ახასიათებს მოსახლეობის შემოსავლის არათანაბარ ღონეს. მრუდი (20.3. 1.) გვიჩვენებს, რომ პროგრესიული გადასახადები დაბეგრის შემდეგ მიღებული შემოსავლების

განაწილებას უფრო თანაბარს ზღიან, ვიდრე გადასახადების გადახდამდე მის განაწილებას.



ნახ. 20.3.1. პროგრესული გადასახადების გავლენა მოსახლეობის შემოსავლის განაწილებაზე

რეგრესული გადასახადის დროს საგადასახადო განაკვეთები დასაბეგრი ობიექტების ზრდის შემთხვევაში მცირდება, რაც ზრდის შემოსავლების უთანაბრობას. დაბეგვრის შემდეგ ეს მეთოდი გამოიყენება შემოსავლების სტიმულირების მიზნით. რეგრესიული ხასიათის დაბეგვრა ძირითადად გამოიყენება ირიბი გადასახადებისათვის.

გადასახადებო შეიძლება ამოღებული იქნას, როგორც ფულადი ისე ნატურალური ფორმით. თუ გადასახადი დაწესებულია %-ით ობიექტის ღირებულებიდან, მას უწოდებენ ადფაროლიტორულს..

დაბეგვრის ობიექტის მიხედვით გადამხდელი შეიძლება იყოს ურიდიული და ფიზიკური პირები.

საქართველოში მოქმედი საგადასახადო კოდექსის მიხედვით (1998 წლის 24 დეკემბრის ცვლილებების გათვალისწინებით). გადასახადები იყოფა ორ ძირითად ჯგუფად. 1. საერთო სახელმწიფოებრივი და 2. ადგილობრივი გადასახადები. საერთო სახელმწიფო გადასახადებს შეეკუთვნება:

- ა. საშემოსავლო გადასახადი;
- ბ. მოგების გადასახადი;
- გ. დამატებული ღირებულების გადასახადი;
- დ. აქციზი;

- ე. ქონების გადასახადი;
- ვ. მიწის გადასახადი;
- ზ. აეტოსატრანსპორტო საშუალების შესაკუთრება გადასახადი;
- თ. გადასახადი ქონების გადაცემისათვის;
- ი. სოციალურ გადასახადი;
- კ. გადასახადი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის;
- ლ. გადასახადი მანქანებით გარემოს დაბინძურებისათვის;
- მ. გადასახადი აეტოსატრანსპორტო საშუალებების საქართველოს ტერიტორიაზე შემოსულისა და ზენორმატიული დატვირთვისათვის;

2. ადგილობრივ გადასახადებს შიეკუთვნება:

- ა. გადასახადი სამეწარმეო საქმიანობისათვის;
- ბ. სათამაშო ბიზნესის გადასახადი;
- გ. საკურორტო გადასახადი;
- დ. სასტუმროს გადასახადი;
- ე. რეკლამის გადასახადი;
- ვ. გადასახადი ადგილობრივი სიმბოლიკის გამოყენებისათვის;
- ზ. სამეწარმეო გადასახადი;

საშემოსავლი გადასახადი. გადასახადის გადამზრელები არიან რეზიდენტი და არა რეზიდენტი ფიზიკური პირები.

დაბეგერის ობიექტია კალენდარული წლის ერთობლივი შემოსავლისა და საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული გამოქეითეების თანხას შორის სხვაობა. ერთობლივი შემოსავალი რეზიდენტისათვის მოიცავს მის მიერ საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ მიღებულა შემოსავალი, არა რეზიდენტისათვის ერთობლივ შემოსავალს მიეკუთვნება საქართველოში მიღებული შემოსავლები. ერთობლივ შემოსავალს განეკუთვნება ეკონომიკური საქმიანობით მიღებული ყველა შემოსავალი, მათ შორის: ხელფასის სახით მიღებულ შემოსავალი და ეკონომიკური საქმიანობით მიღებული შემოსავლები, რომლებიც არ არიან დაკავშირებული დაქირავებით მუშაობასთან. ერთობლივ შემოსავალში არ შედის სამიველინებო და წარმომადგენლობითი ხარჯების ანაზღაურება იმ ოდენობის ფარგლებში, რაც დადგენილია ფინანსთა სამინისტროს მიერ განსაზღვრული ნორმატიეებით.

ერთობლივ შემოსავლებში არ შედის ფიზიკური პირების მიერ მიღებული დივიდენდები და პროცენტები, რომლებიც ადრე დაიბეგრა საქართველოში არსებული შემოსავლების წყაროს მიხედვით.

ხელფასის სახით მიღებულ შემოსავალში შედის ფიზიკური პირის მიერ დაქირავებით მუშაობის შედეგად მიღებული ნებისმიერი საზღაური ან სარგებელი.

ცხრილი 20.1. საშემოსავლო გადასახადის განაკვეთები

დასაბეგრი შემოსავლის ოდენობა წლის განმავლობაში	გადასახადის განაკვეთი
1. 200 ლარამდე	დასაბეგრი შემოსავალი 12%
2. 201-350 ლარამდე	24 ლარი + 200 ლარს ზევით შემოსავლის 15%
3. 351-600 ლარამდე	46,5 ლარი + 350 ლარს ზევით შემოსავლის 17%
4. 601 და მეტი ლარი	89 ლარი + 600 ლარს ზემოთ შემოსავლის 20%

წლიური დეკლარაციის მიხედვით გაანგარიშებული საშემოსავლო გადასახადი მცირდება ფიზიკური პირის მიერ წელიწადში 300 ლარამდე მიღებული დივიდენდებსა და პროცენტებზე გადასახადის თანხით, თუ გადასახადის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი არსებობს საშემოსავლო გადასახადით არ იბეგრება ფიზიკურ პირთა შემოსავლის შემდეგი სახეები;

- ფიზიკური პირისაგან ნაწუქარი ან მემკვიდრეობით მიღებული ქონების ღირებულება, გრანტი, სახელმწიფო პენსია, სახელმწიფო სტიპენდია და სახელმწიფო დახმარება. მ.შ. დახმარება ორსულობისა და მშობიარობის გამო ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანის, შრომისუნარიანობის ან მარჩენალის დაკარგვის გამო; ალიმენტი, ბიუჯეტის ხარჯზე გაწეული მატერიალური დახმარება; სასოფლო სამეურნეო პროდუქციის რეალიზაციით მიღებული შემოსავალი, რომელიც წარმოებულია მის მეურნეობაში. ფიზიკური პირის მიერ მატერიალური აქტივების რეალიზაციით მიღებული ნამეტი.

ასევე არ იბეგრება 3000 ლარამდე შემოსავალი: ბავშვობიდან ინვალიდების, აგრეთვე I და II ჯგუფის ინვალიდების, მხედველობის გამო;

II მსოფლიო ომისა და სააქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში მონაწილე საქართველოს მოქალაქეების

შემოსავლები: პირებისა რომლებსაც მინიჭებული აქვთ "ქართლის დედის" საპატიო წოდება; მარტოხელა დედების - პირებისა რომელთაც იშვილეს ბავშვი შეიღად აყვანიდან 1 წლის განმავლობაში

მოგების გადასახადი. მოგების დაბეგერის ობიექტია მოგება, როგორც სხვაობა ერთობლივ შემოსავალსა და შემოსავლის მიღებასთან დამოკიდებულ დანახარჯებს შორის. მოგების დასაბეგრა: თანხის დასაანგარიშებლად ერთობლივი შემოსავლებიდან გამოიქვითება ყველა დანახარჯები, გარდა: ძირითადი ფონდების შექმნის, დადგმისა და სხვა კაპიტალური ხარჯებისა. გართობის ხასიათის სამეწარმეო საქმიანობა, პირადი მოხმარებისა და ხელფასის სახით შემოსავლის მიღებასთან დაკავშირებული ხარჯები.

გამოკვითვას ექვემდებარება სარეზერვო ფონდებში გადარიცხვები დადგენილი ნორმების ფარგლებში. ერთობლივი შემოსავლების მიღებასთან დაკავშირებული სამეცნიერო-კვლევითი, საპროექტო და საკონსტრუქტორო სამუშაოთა ხარჯები, გარდა ძირითადი საშუალებათა შექმნასა და დადგმაზე გაწეული და სხვა კაპიტალური ხარჯებისა. მოგების გადასახადით იბეგრება საწარმოოს მიერ გადახდილი დივიდენდები გადახდის წყაროდან 10% განაკვეთით. ფიზიკური პირების მიხედვით მიღებული დივიდენდები ამ შემთხვევაში არ იბეგრება.

მოგების გადასახადის განაკვეთი სამრეწველო საწარმოში შეადგენს გამოკვითვების შემდეგ მიღებულ თანხის 20%-ს.

დამატებითი ღირებულების გადასახადი (დღგ) არაპირდაპირი გადასახადია. იგი საქართველოს ტერიტორიაზე საქონლის, სამუშაოს, მომსახურების, წარმოებისა და მიმოქცევის პროცესში ღირებულების ნაწილი. აგრეთვე საქართველოს ტერიტორიაზე შემოტანილი ყველა დასაბეგრი საქონლის ღირებულების ნაწილის ბიუჯეტში სავალდებულო შენატანია. დღგ-ს თანხა განისაზღვრება როგორც სხვაობა ამ ბრენჯაზე დარიცხული გადასახადის თანხასა და ამ თანხაზე ანგარიშ ფაქტურებში ნაჩვენებ თანხას შორის.

პირი, რომელიც ახორციელებს დღგ-თი დასაბეგრ ოპერაციებს, რომელთა საერთო თანხა წელიწადში აღემატება 3000 ლარს, ვალდებულია ამ მომენტის დადგომიდან მომდევნო თვის არა უგვიანეს 10 რიცხვისათვის გატარდეს რეგისტრაციაში, როგორც დღგ-ს გადამხდელი. ხოლო თუ მისი წლიური ბრუნვა ნაკლებია აღნიშნულ თანხაზე. მაშინ მას შეუძლია ნებაყოფილობით გატარდეს რეგისტრაციაში და მიიღოს

შესაბამისი საიდენტოფიკაციო ნომერი. დღგ-ს გადამხდელი ვალდებულია წარადგინოს დეკლარაცია საგადასახადო ორგანოში არა უგვიანეს რომდევნო თვის 15 რიცხვისა, ამავე დროს დადგენილ ვადაში დაფაროს გადასახადი.

იმპორტის შემთხვევაში დღგ-ს დარიცხვა და გადახდა ხდება საბაჟო ორგანოების მიერ.

თუ გადასახადის თანხა არ არის გადახდილი დადგენილი ვადისათვის, გადასახადის გადამხდელი ვალდებულია გადაიხადოს ვადაზე გადაუხდილი თანხის 0.2% ყოველ გადაცილებულ დღეზე, გადახდის ვადის დადგენილი თარიღიდან გადასახადის გადახდის თარიღამდე.

გადამხდელი, რომელიც დადგენილ ვალებში არ წარადგენს დეკლარაციას კანონით გათვალისწინებული ფორმების მიხედვით, მას ეკისრება ფინანსურა ჰინქციის სახით ჯარიმა იმ თანხის 5 პროცენტის ოდენობით, რომელიც ნაჩვენები უნდა იყოს ყოველი დაგვიანებული სრული საგადასახადო თვის დეკლარაციაში, მაგრამ არა უმეტეს აღნიშნული თანხის 25%-ისა. აღნიშნული ჯარიმის თანხა არ შეიძლება იყოს 200 ლარზე ან გადასახადის ვადაში გადაუსდელიობის შემთხვევაში 1000 ლარზე მეტი დეკლარაციის წარუდგენლობის ყოველი სრული (არასრული) თვისათვის;

დეკლარაციაში გადასახადის ოდენობის შემცირებისათვის გადასახადის შემცირებული თანხის 25%-ის ოდენობით. თუ ეს თანხა დიდი ოდენობითაა, მაშინ გადასახადის გადამხდელი ჯარიმდება შემცირებული თანხის 50%-ის ოდენობით.

გადასახადის დიდი ოდენობით შემცირებად ითვლება, თუ იგი აღემატება 2000 ლარს.

აქციზი არაპირდაპირი გადასახადია, რომელიც გადაიხდება აქციზური საქონლის მიწოდებისას მის ფასთან ერთად. აქციზის თანხა იანგარიშება საქონლის წარმოების საბითუმო ფასის მიმართ. საქონლის რეალიზაციის შემთხვევაში აქციზის თანხა იანგარიშება თავისუფალ საბაზრო ფასს გამოკლებული დღგ. მაგალითად: საქონლის რეალიზაციიდან მიღებულ შემოსავალი თავისუფალი საბაზრო ფასით შეადგენს 1000 ლარს დღგ-ის (20%) თანხა იქნება 10001.20x0,20166,67. თუ აქციზის განაკვეთი 50%-ია, მაშინ აქციზის თანხა იქნება 277.78 ლარი.

1000- 166,67

1,5

0,5 = 277,78

წარმოების საბითუმო ფასი იქნება $1000-166,67-277,78=555,55$ ლარი
555,55 - ამ შემთხვევაში არის აქციზით დასაბეგრი თანხა.

აქციზური საქონლის ჩამონათვალი და მათი განაკვეთები მოცემულია სუგადასახადო კოდექსში. მათ შიგუთენება: ყურძნის ღვინოები, სპირტიანი სასმელები, ლუდი, ეთილის სპირტი, თამბაქოს ნაწარმი, საიუველირო ნაწარმი, მსუბუქი ავტომობილები და მათი, საბურავები, ძვირფასი სახეობის თევზეული, ზიზილალა, ნათობპროდუქტები და სხვა. ამ პროდუქტების დაბეგვრა ხდება განსხვავებული განაკვეთებით.

აქციზის გადასადის გადახდა უნდა მოხდეს დასაბეგრი ოპერაციის განხორციელებიდან მომდევნო თვის 10 რიცხვისათვის. თუ საქონლის ღირებულების ანაზღაურება არ მოხდა დასაბეგრი ოპერაციის განხორციელების მომენტისათვის, მაშინ გადასახადი გადახდილი უნდა იქნეს დასაბეგრი ოპერაციის განხორციელებიდან 35. დღის განმავლობაში, ხოლო თუ გადახდა მოხდა 25 დღის განმავლობაში, მაშინ გადასახადი გადახდილი უნდა იქნეს ანაზღაურებიდან 10 დღის განმავლობაში.

თუ გადასახადის გადამხდელს აქვს აქციზის ვადაგადაცილებული დავალიანება, მაშინ მას ეკრძალება საქონლის მიწოდება მასზე აქციზის გადაუხდელად. აქციზი გადახდილი უნდა იქნეს ოპერაციის განხორციელების მომენტში.

აქციზური მარკების გამოყენების შემთხვევაში, აქციზური მარკების შექმნის მომენტში გადაიხდება აქციზი სრული ოდენობით.

აქციზის, შესახებ დეკლარაცია წარედგინება საანგარიშო თვის მომდევნო თვის 10 რიცხვისათვის.

ქონების გადასახადი. ქონების გადასახადის გადამხდელები არიან სამრეწველო საწარმოები და ორგანიზაციები, რომელთა ქონება გამოიყენება ეკონომიკური საქმიანობისათვის. დაბეგვრის ობიექტია მოცემული საწარმოს ბალანსზე რიცხული ძირითადი საშუალებები, დაუმონტაჟებული მოწყობილობები, დაუმთავრებელი კაპიტალური დაბანდებანი და არამატერიალური აქტივები. გადასახადით დასაბეგრი ქონებად ითვლება საწარმოს ბალანსზე რიცხული ქონების საშუალო წლიური ნარჩენი ღირებულება. რომელიც გამოიანგარიშება წლის დასაწყისსა და წლის ბოლოსათვის.

ამაქტივების საშუალო ღირებულების მიხედვით ქონების გადასახადი არ იბეგრება:

- ბუნების დაცვისა და სახანძრო უსაფრთხოებისათვის გამოყენებულ; ი ქონება;

- მიწა;

- მიმოსვლის გზები, საკომუნიკაციო გზები და ელექტროგადამცემი ხაზები;

- სტანდარტიზაციის, მეტროლოგიისა და სერთიფიკაციის ტერიტორიული სპეციალური და სასტენდო მოწყობილობები;

- ქონება, რომელიც დადგენილი წესით გადაყვანილია კონსერვაციის რეჟიმზე;

- ორგანიზაციის ქონება, გარდა სამეწარმეო სქმიანობისათვის გამოყენებული ქონებისა;

- ინვალიდების საზოგადოებრივ გაერთიანებებისა და საწარმოების ქონება.

ქონების გადასახადის განაკვეთია 1%—წელიწადში, რომელიც გადაიხდება მომდევნო კვარტალის პირველი თვის 15 რიცხვისათვის. გადამხდელი ვალდებულია საანგარიშო წლის 1 თებერვლამდე საგადასახადო ორგანოებს წარუდგინოს. გაანგარიშებები მიმდინარე გადასახადების შესახებ. გაანგარიშება გასული წლის მიხედვით ქონების გადასახადების შესახებ საგადასახადო ორგანოებს წარედგინება საანგარიშო წლის 1 აპრილამდე.

მიწის გადასახადის გადამხდელნი არიან როგორც იურიდიული, ისე ფიზიკური პირები, რომელთა სარგებლობაშია, როგორც სასოფლო-სამეურნეო, ისე არა სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთი. დასაბეგრ მიწის ნაკვეთში შედის ასევე შენობა-ნაგებობების მიერ დაკავებული მიწა. მიწის გადასახადი დგინდება ფიქსირებული წლიური გადასახადის სახით. მიწის ფართობის ერთეულზე იგი დიფერენცირებულია მიწის ხარისხისა და ადგილმდებარეობის მიხედვით, რომელიც მოცემულია საგადასახადო კოდექსში.

არასასოფლო-სამეურნეო მიწის გადასახადის ტარიფია ერთ კვ.მეტრ ფართობზე 0,24 ლარი წელიწადში. ახალი მიწის ნაკვეთის გამოყოფისას ერთჯერადი გადასახადი შეადგენს გადასახადის განაკვეთის ოცმაგს.

გადასახადის გადახდა წარმოებს ყოველწლიურად 1 მარტის მდგომარეობით.

მიწის გადასახადით არ იბეგრება სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწა, რომელიც გადაცემული აქვს საბიუჯეტო ორგანიზაციებს, გარდა სამეწარმეო საქმიანობისათვის გამოყენებული მიწისა.

მიწის გადასახადით არ იბეგრება სამეცნიერო-კვლევითი, სასწავლო, უსინათლოთა, ყრუ-მუნჯების, ომის ვეტერანთა, ისტორიული ძეგლების, პარკების, წყალსაცავების, სახელმწიფო საკუთრების საძოვრები, სათიბები, ნასოფლარების ახლად ათვისებული (პირველი 5 წლის მანძილზე), მეორე მსოფლიო ომის ინვალიდების, აეროდრომების, აეროპორტებისა და სხვა პირებისა და ორგანიზაციების საკუთრებაში არსებული მიწები.

სოციალური გადასახადი – სოციალურ გადასახადებს მიეკუთვნება სოცუზრუნველყოფისა და სამედიცინო დახმარების ერთიანი სახელმწიფო ფონდი და დასაქმების ერთიანი სახელმწიფო ფონდი. ეს ფონდები დაირიცხება საწარმოს მიერ გაცემული ხელფასისა და მასთან გათანაბრებული განაცემების მიმართ დადგენილი პროცენტული ოდენობით. სოცდაზღვევის ანარიცხები დაირიცხება დარიცხული ხელფასისა და მასთან გათანაბრებულ განაცემებზე 27%-ის ოდენობით. საწარმოები და ორგანიზაციები ვალდებული არიან დააკაონ ასევე მათ მომუშაებებზე გაცემული ხელფასიდან 1%-ის ოდენობით და გადარიცხონ შესაბამის ფონდში.

სოციალური ფონდების გადასახადების დარიცხვა სწარმოებს ხელფასის დარიცხვისას და გადაიხდება ამ ფონდებში ხელფასის გაცემასთან ერთად.

სოციალური გადასახადების გაანგრიშება წლის დასაწყისიდან ნაზარდი ჯამით საგადასახადო ორგანოებს წარედგინება საანგარიშოს მომდევნო თვის 15 რიცხვისათვის, ხოლო სოცდაზღვევის ანარიცხების დეკლარაცია კვარტალის შემდეგი თვის 15 რიცხვამდე.

სამედიცინო დახმარების ერთიანი ფონდი – დაირიცხება საწარმოს ორგანიზაციის მიერ გაცემული ხელფასის 3%-ის ოდენობით, ხოლო 1% უკავდებათ ფიზიკურ პირებს. აღნიშნული გადასახადები გადაირიცხება ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო ფონდში ხელფასის გაცემისთანავე, ხოლო დეკლარაცია ამ ფონდის დარიცხვის და გაცემის შესახებ ყოველი კვარტალის მომდევნო თვის 15 რიცხვამდე წარედგინება

საგადასახადო ინსპექციებს.

გადასახადები ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის სახელმწიფოს განკარგულებაში არსებული რესურსების სარგებლობისათვის დაწესებულია გადასახადები. ასეთ რესურსებს მიეკუთვნება: წიაღისეული, ტყის რესურსები, მკენარეული (სოჭის გირჩები და სხვა), წყალი, გარეული ცხოველები.

გადასახადის გადამხდელები არიან ფიზიკური და იურიდიული პირები. ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის აუცილებელია ნებართვის—ლიცენზიის მიღება. აღნიშნული რესურსების გადასახადის განაკვეთები დადგენილია მოქმედი საგადასახადო კოდექსით.

ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის გადასახადი უნდა დაიფაროს საანგარიშო პერიოდის მომდევნო თვის 15 რიცხვამდე, წყლის გადასახადი სოფლის მეურნეობაში — წლის I დეკემბრამდე.

მაყენ ნივთიერებებით გარემოს დაბინძურებისათვის გადასახადს იხდიან ფიზიკური და იურიდიული პირები, რომლებიც თავისი საქმიანობით აბინძურებენ გარემოს, ახორციელებენ ბენზინის, მაზუთის, დიზელის და სხვა თხევადი აირის წარმოებას და იმპორტს, აწარმოებენ ან შემოაქვთ პლასტმასის ბოთლები ან მათი გამოყენებით პროდუქციას.

გადასახადი გადაიხდება ატმოსფეროში გამოფრქვეულ (წყალში ჩაშვებულ) ყოველ ტონა მაყენ ნივთიერებაზე. მათი ტარიფები დადგენილია თითოეულ ნივთიერებაზე. საგადასახადო კოდექსით, დეკლარაცია აღნიშნულ გადასახადებზე უნდა წარედგინოს საგადასახადო ორგანოებს ყოველი კვარტლის მომდევნო თვის 15 რიცხვისათვის.

გადასახადი ავტოსატრანსპორტო საშუალებების საქართველოში შემოსვლისა და ზენორმატული დატვირთვისათვის.

გადასახადის გადამხდელია უცხო ქვეყანაში რეგისტრირებული ავტოსატრანსპორტო საშუალების მფლობელი ან მძღოლი, ან პირი რომელიც საქართველოში რეგისტრირებული ავტოსატრანსპორტო საშუალების მფლობელი ან მძღოლი, თუ იგი საქართველოს ტერიტორიაზე ტრანზიტით გაივლის.

გადასახადის ოდენობა დამოკიდებულია ავტოსატრანსპორტის სახეობაზე და დატვირთვაზე. გადასახადი გადაიხდება სახელმწიფო საგზაო ფონდში ავტოსატრანსპორტო საშუალების მიერ საქართველოს საზღვრის გადაკვეთისას.

ადგილობრივი გადასახადები.

სამეწარმეო საქმიანობისათვის გადასახადს იხდიან ფიზიკური და იურიდიული პირები, რომლებიც შესაბამისი რაიონის, ქალაქის ტერიტორიაზე ეწევიან სამეწარმეო საქმიანობას. ამ გადასახადის ზღვრული ოდენობა განისაზღვრება დღგ-ის გარეშე პროდუქციის მიწოდებით მიღებული შემოსავლების (მატერიალური დანახარჯების გარეშე) არა უმეტეს 1%-ისა.

სათამაშო ბიზნესის გადასახადს იხდიან ის პირები, რომლებიც ეწევიან სამეწარმეო საქმიანობას ლატარიით, კაზინოებით და სხვა სახის სათამაშო ბიზნესით. აღნიშნული საქმიანობა არ იბეგრება დღგ-ის გადასახადით. დაბეგერის ობიექტებია: ლატარიის ბილეთების რეალიზაციიდან, აზარტული თამაშების გამოყენებით მიღებული შემოსავლები, ავტომატების გამოყენებით მიღებული შემოსავლები, ტოტალიზატორების გამოყენებით მიღებული შემოსავლები და სხვა.

გადასახადის დაბეგერის ობიექტებია, სათამაშო ავტომატების. სათამაშო მაგიდების რაოდენობა გადასახადების განაკვეთებია, ავტომატზე თვეში არა უმეტეს 200 ლარისა. ტოტალიზატორების მოწყობაზე არა უმეტეს 10%-ისა. სიმარჯვის თამაშების მოწყობაზე არა უმეტეს 35%-ისა, ლატარიების მოწყობაზე შემოსავლების არა უმეტეს 20% -ისა.

საკურორტო გადასახადი. საკურორტო გახდასახადებს იხდიან ფიზიკური პირები საკურორტო ადგილებში დასვენებისა და საკურორტო მომსახურების მიღებისათვის. თვეში ერთ დამსვენებელზე 10 ლარის ოდენობით.

სასტუმროს გადასახადს იხდიან ის იურიდიული პირები და მეწარმე ფიზიკური პირები, რომლებიც ფიზიკურ პირებს სათანადო ანაზღაურების ფასად გადასცემენ დროებით საცხოვრებელ ფართს სათანადო ანაზღაურებით, პანსიონატებში, სასტუმროებში, მოტელებში, კემპინგებში და სხვა.

სასტუმროს გადასახადის განაკვეთის ზღვრული ოდენობა განისაზღვრება დროებითი საცხოვრებელი ფართით სარგებლობის ფასის არა უმეტეს 2 პროცენტისა.

რეკლამის გადასახადი. რეკლამის გადასახადს იხდიან ფიზიკური და იურიდიული პირები, რომლებიც ახდენენ საქონლის.

სამუშაოს, მიმსახურების რეკლამირებას ან იძენენ სარეკლამო მომსახურებას. რეკლამის გადასახადის განაკვეთი განისაზღვრება რეკლამის დამზადებასა და გავრცელებაზე გაწეული დანახარჯების 10%-ის ოდენობით დღგ-ის გარეშე.

ადგილობრივი სიმბოლიკის გადასახადები წესდება ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ სიმბოლიკის-გერბის, ისტორიული ან არქიტექტორული ძეგლების, ხელების ან სხვა ანალოგიური სიმბოლოების გამოყენებისათვის, გადასახადის განაკვეთითა სიმბოლიკის გამოყენებით საქონლის მიწოდების ღირებულების 2 პროცენტის ოდენობით.

20.4. გადასახადის რეგულირების თავისებურებანი.

გადასახადები მოქმედებენ, როგორც ცენტრალიზებულ, ისე საბაზრო ეკონომიკის პირობებში. 1980-იან წლებში განვითარებად ქვეყნების უმრავლესობაში გატარებული იქნა საგადასახადო რეფორმა.

საგადასახადო პოლიტიკის ფორმირება და მისი ცხოვრებაში გატარება ყოველთვის იყო სახელმწიფოს მიერ სოციალურ-ეკონომიკური სფეროს რეგულირების ერთერთი ძირითადი მეთოდი.

საგადასახადო სისტემის ფორმირებისა და რეგულირების გამოცდილება საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში საშუალებას გვაძლევს გამოვყოთ ორი გასხვავებული მიდგომა, საგადასახადო სისტემის ადგილისა და როლის განსაზღვრისათვის სახელმწიფო რეგულირების არსენალში: პირველი მიდგომა, დაფუძნებულია სახელმწიფოს რეგულირების ჯონ კეინის კონცეფციაზე, ხოლო მეორე მიდგომა დაფუძნებულია ნოეკლასიკურ თეორიაზე.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ 80-იანი წლების დასაწყისამდე ეკონომიკაში ბატონობდა კეინსური მიდგომა, რომელიც გამოიხატება საგადასახადო ღონისძიებით ეკონომიკის რეგულირებაში საწარმოო ფაქტორებისა და სტიმულების გამოყენებაში ეკონომიკის ზრდისათვის.

სახელმწიფო ახდენს ზემოქმედებას მოსახლეობის ერთობლივ მოთხოვნილებაზე სახელმწიფო ბიუჯეტის, როგორც ზემოქმედების ინსტრუმენტის გამოყენებით. კეინსის თანახმად ეკონომიკის აღმავლობის დროს საჭიროა გადასახადების გადიდება, ხოლო დაცემის დროს შემცირება — დაბეგრის შეღავათების გაფართოვებით წარმოების იმ სფეროებში, რომლებიც წარმოადგენენ ეკონომიკის შემდგომი აღმავლობის მოქმედი საგადასახადო

განაკვეთები და ცვლილება, საგადასახადო ბაზას. საშემოსავლო გადასახადი ენიჭება ავტომატური რეგულირების როლი, რამდენადაც იგი ეკონომიკური აღმავლობის დროს იზრდება მისი ბიუჯეტში შედინება, დაცემის დროს პირიქით კლებულობს. ავტომატური საგადასახადო სტაბილიზატორის მოქმედებას ემატება შეღავათების გაფართოება ან შეკვეცა.

1970-80-იანი წლების მიჯნაზე იმის გამო, რომ დასავლეთის რიგ ქვეყნებში წარმოების ტემპმა იწყო დაცემა, შემცირდა სახელმწიფო სექტორის ხვედრი წილი და განვითარდა ინფლაციის პროცესი, შეიმჩნეოდა კენსისის კონცეფციაზე უარის თქმა, მიმდინარეობდა რეორიენტაცია მოთხოვნების ანტიციკლური რეგულირებიდან გრძელვადიანი ინვესტიციური აქტივობის ზრდაზე, დისპროპორციის ლიკვიდაციაზე და ეკონომიკის სტრუქტურულ გარდაქმნაზე.

ამჟამად საგადასახადო პოლიტიკის თეორიულ ბაზად ითვლება “ნეოკონსერვატიზმი”. რომლის ძირითადი პოსტულატია “ყველაფერს წყვეტს ბაზარი და არა სახელმწიფო”. “ნეოკონსერვატიზმის” ყველაზე დიდი მიმდინარეობაა მონეტარიზმი და შეთავაზების ეკონომიკური თეორია. ისინი დღეისათვის საგადასახადო პოლიტიკის მეთოდოლოგიურ საფუძვლებად ითვლებიან უმრავლეს საბაზრო ეკონომიკის ქვეყანაში.

შეთავაზების თეორიის თანახმად საჭიროა წარმოებაზე შემოქმედება ფართომასშტაბიანი და მიზანდასახული გადასახადების შემცირების გზით.

საგადასახადო რეგულირებამ უნდა უზრუნველყოს დაგროვებისა და ინვესტირების სტიმულირება. ამავე დროს აუცილებელია სახელმწიფო ხარჯების, სახელმწიფო სოციალური პროგრამების შემცირება.

დღემდე თვლიდნენ, რომ მაღალი საგადასახადო განაკვეთები შეესაბამება, როგორც წესი, ეკონომიკისა და სოციალური ინფრასტრუქტურის განვითარების მაღალი დონეს.


მაღალი საგადასახადო განაკვეთების მქონე ქვეყნები ითვლებოდნენ ლიდერებად არა მარტო შრომის მწარმოებლურობისა და ეკონომიკური ზრდის ტემპებით, არამედ ასევე მოსახლეობის სოციალური დაცვით. 90-იან წლებში წარმოების მოგებაზე და მოსახლეობის შემოსავლებზე, მსოფლიოს წამყვან ქვეყნებში გადასახადების შემცირებასთან ერთად (აშშ, იაპონია, დიდი ბრიტანეთი) ფაროვდება გადასახადების დაბეგერის მასშტაბები და მცირდება საგადასახადო შეღავათები.

სახელმწიფო ბიუჯეტსა და საგადასახადო განაკვეთების დინამიკას შორის ურთიერთდამოკიდებულების გრაფიკული გამოსახულება ცნობილია "ლაფერის მრუდის" (ამერიკელი ეკონომისტის ა. ლაფერის) სახელწოდებით.

დაეუშვათ პირობა, რომლის მიხედვითაც საწარმოს, ფირმის მიერ გადახდილი გადასახადები შეადგენს ერთ უნივერსალურ გადასახადს X ტარიფით. საჭიროა ვიპოვოთ X_0 ტარიფის მაქსიმალური მნიშვნელობა, რომლის დროსაც (ბიუჯეტში შესატანები) სახელმწიფოს შემოსავლები იქნება მაქსიმალური, რომ ვიპოვოთ X_0 -ს საძიებელი მნიშვნელობა უნდა დავადგინოთ შემოსავლების Y დამოკიდებულება საგადასახადო ტარიფზე X სხვა თანაბარი პირობების შემთხვევაში, ანუ სხვა ფაქტორები ან არ იცვლებიან ან არ მოქმედებენ სახელმწიფო შემოსავლებზე.

ცხადია, რომ $X=0$ განაკვეთის შემთხვევაში, შემოსავალი Y ასევე ნულის ტოლი იქნება, სხვაგვარად სახელმწიფო არ მიიღებს გადასახადებს ე.ი. შემოსავლებსაც, ასევე ცხადია, რომ იმ შემთხვევაში თუ $Y=100\%$ სახელმწიფო მეწარმისაგან ამოიღებს მის შემოსავლებს ბიუჯეტში, ამ შემთხვევაში მეწარმე დაკარგავს მუშაობის ინტერესს, შეწყვეტს წარმოებას, ეკონომიკურ საქმიანობას, რის შედეგად არ შეიქმნის შემოსავალი.

ასე, რომ ამ შემთხვევაში გადასახადის ამოსაღები ბაზა ნულის ტოლი იქნება. (ნახ. 20.3.2.)



ნახ. 20. 3. 2. ბიუჯეტის შემოსავლების დამოკიდებულება საგადასახადო განაკვეთთან

გადასახადის დაბალი განაკვეთის დროს საწარმო მიიღებს მაღალ დასახვერ შემოსავალს და გადასახადის X განაკვეთის გადიდებით, გაიზრდება გადასახადები და სახელმწიფოს შემოსავლები, მაგრამ გადასახადის განაკვეთის ზრდასთან ერთად დაეცემა საწარმოს ინტარესი — შეინარჩუნოს წარმოების მაღალი მოცულობა. როცა წარმოების მოცულობა იწყება შემცირებას, შემცირდება საწარმოს შემოსავლები და მასთან ერთად სახელმწიფოს საგადასახადო შემოსავლებიც, რომელიც ტოლია საგადასახადო განაკვეთის ნამრავლისა საწარმოს შემოსავალზე.

შეიძლება დავასკვნათ, რომ არსებობს გადასახადის განაკვეთის X_0 -ის ისეთი მნიშვნელობა, რომლის დროსაც გადასახადებისაგან შემოსავლები სახელმწიფო ბიუჯეტში მიაღწევს მაქსიმალურ სიდიდეს Y_{max} , ასე, რომ სახელმწიფოსათვის მიზანშეწონილია დააწესოს გადასახადის განაკვეთი X_0 -ის დონეზე, არც მეტი და არც ნაკლები.

თეორიულად საგადასახადო განაკვეთის ოპტიმალური მნიშვნელობა დადგენა არ ხერხდება, მაგრამ პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ საწარმოო საერთო შემოსავლებიდან გადასახადის ჯამობრივი ამოღება 35-40%-ზე მეტი ოდენობით, მიზანშეწონილია საწარმოს წარმოების მოცულობის ზრდის ინტერესის უზრუნველყოფის მიზნით.

ეროვნულ შემოსავალსა და საგადასახადო განაკვეთებს შორის ოპტიმალური დამოკიდებულების დადგენა საკმაოდ რთულია და იგი დამოკიდებულია მრავალ ფაქტორზე. მაგ. თუ აშშ-ში და იაპონიაში შეადგენს 30-35%-ს ნაციონალურ შიდა პროდუქტი მიმართ იგი ინგლისში 40%-მდე, გერმანიაში 45%-მდე მიაღწია, შვეიცარიაში კი 50%-ს აღემატებოდა.

ხშირად საჭირო ხდება არჩევანის გაკეთება ან ფისკალური ამოცანის გადაწყვეტა და ბიუჯეტის შემოსავლის მაქსიმალიზაცია ადებულ მომენტში ან საგადასახადო განაკვეთების შემცირება ეკონომიკური ზრდის სტიმულირების მიზნით, საგადასახადო ბაზის შემდგომი გაფართოებისათვის. მაგრამ სახელმწიფო ბიუჯეტს სჭირდება ფული დღეს და არა მომავალში, ვინაიდან ბიუჯეტი მწვავე დეფიციტს განიცდის, ამიტომ ხელისუფლება ეწინააღმდეგება გადასახადების შემცირებას, წარმოება კი ცდილობს დამალოს შემოსავლები, საბოლოო ჯამში კი საგადასახადო განაკვეთები იღებს ლაფერის მრუდის სახეს.

მხედველობაშია მისაღები ისიც, რომ სადასახადო განაკვეთის ზრდით მცირდება წარმოების მუშაკთა შემოსავალი ნაღდი ფულის სახით. გადასახადის განაკვეთის ზრდის გამო წარმოება იძულებულია გაზარდოს მუშაკთა ნომინალური ხელფასი, შეამციროს საშუალო დრო ან მომუშავეთა რიცხვი. მეწარმე ცდილობს რა გადასახადის ტარიფების ზრდის შემთხვევაში გაზარდოს ან შეინარჩუნოს ხელფასი და მომუშავეთა რიცხვი, საბოლოო ჯამში გადასახადების ზრდა იწვევს მისი პროდუქციის მყიდველზე საქონლის ფასების ზრდას.

ცნობილი, რომ გადასახადის ზრდის გამო მეწარმე ცდილობს გადასახადის ნამატი დაფაროს ფასების გაღივების ხარჯზე მიღებული შემოსავლებით, მაგრამ ბაზრის გაჯერების შემთხვევაში ფასების ზრდაც შეუძლებელი ხდება, გადასახადების ზრდის გამო იზრდება ფასები, მაგრამ ამავე დროს მცირდება საქონელზე მოთხოვნილება. საბოლოო ჯამში მაღალი გადასახადების განაკვეთების გამო შემცირებული საქონლის მოთხოვნილებების პირობებში ბიუჯეტის შემოსავალი მცირდება.

მეორე მხრივ, როცა გადასახადის განაკვეთი მცირდება და საგადასახადო შეღავათები ფართოვდება, მცირდება საქონელზე ფასები, იზრდება მოთხოვნილება. რეალიზებული საქონლის მოცუობის ზრდა შედარებით მცირე ფასების პირობებში უფრო მეტად ზრდის ბიუჯეტის შემოსავალს, ვიდრე მაღალი საგადასახადო განაკვეთების და შემცირებული საქონლის სარეალიზაციო მოცულობა. ამიტომ სახელმწიფო უნდა ცდილობდეს საწარმოს სტაბილური აღმავლობის პერიოდში გაზარდოს გადასახადის განაკვეთი. ზოლო მისი დაცემის დროს შეამციროს გადასახადების განაკვეთები.

20.5. ინვესტიციის პროცესის სტიმულირების საგადასახადო მექანიზმი

საგადასახადო სისტემა ხელს უნდა უწყობდეს კაპიტალური დაბანდებისა და ეკონომიკის განვითარების სტიმულირებას.

მსოფლიო პრაქტიკაში ცნობილია ინვესტიციის სტიმულირების ძირითადი მექანიზმები.

1. მოგების ნაწილის გადასახადებისაგან განთავისუფლება;

2. საინვესტიციო საგადასახადო კრედიტი;

3. ამორტიზაციის დაჩქარება.

სამეცნიერო კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორი სამუშაოების ღირებულება – გამოირიცხება მოგების დასაბეგრი თანხიდან.

მოგების განთავისუფლება გადასახადისაგან ხელს უწყობს ინვესტიციის ღირებულებას ეკონომიკის აღმავლობისაკენ.

საინვესტიციო-საგადასახადო კრედიტი. რიგ ქვეყნებში მიღებულია საგადასახადო შეღავათი არა მოგების თანხიდან, არამედ მოგების გადასახადით დასაბეგრი თანხიდან. ეს კრედიტი გამიზნულია ახალი ტექნიკის დანერგვისა და მოძველებული მოწყობილობის განახლებისათვის. ისინი ინაგარიშებიან პროცენტობით მოწყობილობის ღირებულების მიმართ. დათმობის პროცენტი დიფერენცირებულია მოწყობილობის სახეებისა და სამსახურის ვადის მიხედვით ან გათვალისწინებით.

აშშ-ში დაწესებულია შეღავათები ენერჯის ალტერნატიულ სახეებზე, ენერგოდამზოვ ღონისძიებებზე. იაპონიაში საინვესტიციო-საგადასახადო დათმობები მოგების გადასახადზე დაწესებულია სამეცნიერო ბაზის განვითარებისა და ახალი ტექნოლოგიების შექმნის მიზნით. კონპანიებზე უფლება აქვთ გამოიყენონ 7%-იანი დათმობა მოწყობილობის ღირებულებიდან, რომლებიც გამოიყენებიან ბიოტექნოლოგიური რობოტეტიკისა და ახალი კონსტრუქციული მასალების გამიყენების საქმეში.

დაჩქარებული ამორტიზაციის მიზნია შემცირდეს ამორტიზაციის ჩამოწერების ვადა, რაც ქმნის შესაძლებლობას ძირითადი კაპიტალის განახლებასა და მრეწველობის მოდერნიზაციისათვის. მისი აზრით მდგომარეობს ამორტიზაციის დარიცხვაში გადიდებული ნორმების. ამით ძირითადი ფონდების ღირებულება გადაიტანება წარმოების დანახარგებზე გადიდებული ნორმებით უფრო შემჭიდროებულ ვადებში. დაჩქარებული ამორტიზაციის ნორმები ვრცელდება ძირითადი ფონდების აქტიურ ნაწილზე – მანქანებზე, მოწყობილობებზე სატრანსპორტო საშუალებებზე, რომელთა სამსახურის ნორმატიული ვადა 3 წელზე მეტია.

ამორტიზაციის ანარიცხების გადიდება ამცირებს დასაბეგრი მოგების თანხას, აჩქარებს ძირითადი კაპიტალის ბრუნვას, ქმნის სტიმულს და უზრუნველყოფს ახალი ინვესტიციების დაფინანსებას.

ჩენი საგადასახადო კოდექსი თითქმის არ ითვალისწინებს საგადასახადო შეღავათებს სამეცნიერო კვლევითი სამუშაოების სტიმულირებისათვის საზღვარგარეთის ქვეყნებში კი მას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა. მაგალითად, აშშ-ში, იტალიაში, ღიდ ბრიტანეთში, კანადაში, ბელგიასა და შვეციაში მთლიანად გამორიცხავენ სამეცნიერო-კვლევით სამუშაოებზე გაწეულ დანახარჯებს დასაბეგრი შემოსავლიდან.

თავი XXI. საწარმოს გაკოტრება

21.1. საწარმოს გაკოტრება და მასი მიზეზები

სამრეწველო საწარმოს ნორმალური ფუნქციონირება და მისი განვითარების პერსპექტივა დამოკიდებულია საბაზრო მოთხოვნის ხასიათსა და სტრუქტურაზე, საწარმოს უნარზე და შესაძლებლობაზე დროულად განსაზღვროს და რეაგირება მოახდინოს ბაზრის მოთხოვნის მოსალოდნელ ცვლილებაზე. ეკონომიკის არათანაბარი განვითარება, წარმოების მოცულობისა და პროდუქციის გასაღების მერყეობა, წარმოების დაცემა, ქმნის წარმოების კრიზისულ სიტუაციას, რაც განიხილება, როგორც საბაზრო ეკონომიკისათვის დამახასიათებელი საერთო კანონზომიერება.

როდესაც საწარმოს ფინანსური უზრუნველყოფისათვის დროულად არ ტარდება გამჯანსაღებელი ღონისძიებები, იქმნება გაკოტრების შესაძლებლობა. ამ შემთხვევაში საწარმომ ან უნდა მიიღოს სპეციალური ღონისძიებები ან შეწყვიტოს თავისი საქმიანობა, აზღუნად, როგორც მსოფლიო პრაქტიკა გვიჩვენებს, გაკოტრება არ უნდა ჩაითვალოს შემთხვევით მოვლენად. მაგალითად, ინგლისელი მკვლევარები აღნიშნავენ, რომ ახალი ფირმების 70-80% თავის მუშაობას წყვეტენ დაარსებიდან მეორე წელს და მათ ნიადაგზე აღმოცენდება ახალი ფირმები.

(საწარმოს კრიზისული სიტუაციის შექმნისა და გაკოტრების პროცესი გარკვეულ კავშირშია საწარმოს სასიცოცხლო ციკლთან.

თითოეული საწარმოსათვის დამახასიათებელია წარმოების მოცულობის ზრდის ზღვარი, ამასთან, ერთი და იგივე პროცესი შეიძლება იყოს განვითარების სტიმულატორიც და განვითარების დამამუხრუჭებელი ფაქტორიც.

ამერიკელმა მკვლევარებმა დაადგინეს, წარმოების განვითარებისა და დაცემის პერიოდულობის კანონზომიერება. საწარმოს სასიცოცხლო ციკლის ყველა სტადიაზე ახასიათებს კრიზისული სიტუაცია და გაკოტრება. ეს პროცესი უპირატესად დამახასიათებელია მცირე და საშუალო ბიზნესისათვის. ამერიკელი ფირმებისათვის აღმაშობის ფაზა გრძელდება საშუალოდ სამ წლამდე, ხოლო დაცემის

ფაზა 2.8 წლამდე (1 წლიდან 4 წლამდე). დასავლეთ ევროპის ქვეყნებისათვის, ათეული და ასეული წლების განმავლობაში საბაზრო ეკონომიკა ითვლება განვითარების საფუძველად, რომელმაც უკვე გამოიმუშავეს კონტროლის, დიაგნოსტიკისა და შესაძლებლობისგვარად საწარმოს გაკოტრებისაგან დაცვის მექანიზმი.

გაკოტრების პროფილაქტიკის სისტემა შედგება რიგი ღონისძიებებისაგან, რომელსაც ატარებს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები. ამ სისტემის ძირითადი რგოლია — წარმოების სტრუქტურის დაახლოება ბაზრის მიერ ფორმირებულ რეალურ გადახდისუნარიან მოთხოვნასთან. ამ მიზნის მიღწევა შესაძლებელია შემდეგი ძირითადი პრინციპების დაცვით:

ყველა სამეურნეო სუბიექტისათვის საიმედო და სტაბილური ურთიერთობის დამყარება;

ბიზნესის აღორძინების ღონისძიებათა სისტემის შექმნა;

მეკალე-ფირმების ფინანსური საქმიანობის რეგულირების მექანიზმის შექმნა, ბიზნესის შეუკვეცავად მათი აღორძინების მიზნით;

კომერციული და სამართლებრივი სისტემის შექმნა კერძო და საიმედო პარტნიორობის წახალისების მიზნით;


საწარმოს დაცვა სამართლებრივ-ადმინისტრაციული სტრუქტურებისაგან წარმოშობილი საჩივრებისა და დავისაგან.

საწარმოში კრიზისული სიტუაციის შექმნის ძირითადი მიზეზია შესაბამისი პროფილაქტიკური ღონისძიებების არგატარება, რამაც შეიძლება გამოიწვიოს ფინანსური დაბალანსების მოშლა და საწარმოო პროცესის ფინანსური უზრუნველყოფის უნარობა, რაც კვალი-ფიცირდება, როგორც გაკოტრება.

ამ მდგომარეობის თავიდან აცილება მოითხოვს სპეციალური ღონისძიებების შემუშავებას და გამოყენებას, ან საწარმოს მუშაობის შეწყვეტას და მის ლიკვიდაციას. მსოფლიო პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ საწარმოს ფუნქციონირების შეწყვეტა და გაკოტრება არ შეიძლება განხილულ იქნას, როგორც შემთხვევითი ან აუცილებელი მოვლენა. კონკურენციის მკაცრი კანონების მოთხოვნის საპასუხოდ ფირმას უნდა გააჩნდეს შესაბამისი დამცავი ღონისძიებები, სისტემატურად აფასებდეს ფირმის შიგა და გარე გარემოს წონასწორობას და ეცადეს თავს მათი უარყოფითი მოქმედებისაგან.

საბაზრო ეკონომიკამ, რომელიც მრავალი წლის განმავლობაში ითვლება დასავლეთის ქვეყნების განვითარების საფუძვლად, შეიმუშავა კონტროლის, დიაგნოსტიკისა და საწარმოს შესაძლებელი კრაზისაგან დაცვის სისტემა, საწარმოს სიცოცხლისუნარიანობისა და გაკოტრებისაგან დაცვის სისტემა. ამ სისტემის უნივერსალობა საშუალებას იძლევა გამოვიყენოთ იგი თითოეული ფირმის გაკოტრებისაგან დაცვისათვის.

სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს საწარმოს გაკოტრებისაგან დაცვა, შეიმუშაოს ნორმატიული დოკუმენტები და უზრუნველყოს მათი შესრულება; დაიცავს საწარმოს ქონება და დაამყაროს მასთან ფინანსური ურთიერთობა.



ნახ. 21.1 საწარმოს გაკოტრების სისტემა

როგორც ჩანს, გაკოტრების სისტემა მოიცავს მთელ რიგ მიზეზ-შედეგობრივ ლოგიკურ, ორგანიზაციულ და მეთოდურ სტრუქტურებს, რომელთა უზრუნველყოფა უნდა მოხდეს სახელმწიფოს მიერ.

სისტემის ამოსავალი პუნქტია პრინციპებისა და მიზნების შემუშავება, რომელთა მიღწევა შესაძლებელია მათი მექანიზმების მეშვეობით.

ამ სისტემაში მთავარია ისეთი საწარმოო სტრუქტურების შექმნა, რომელიც უპასუხებს ბაზრის მიერ ფორმირებულ, რეალურ გადახდისუნარიან მოთხოვნას.

ასეთი სტრუქტურების ფორმირება პირველ რიგში საჭიროა სახელმწიფოს მიერ მთელი ქვეყნის მასშტაბით, რაც იმაში მდგომარეობს, რომ სახელმწიფოს თითოეული სტრუქტურა უნდა შეესაბამებოდეს საბაზრო ეკონომიკის მოთხოვნებს, კონკრეტულად ასრულებდეს მის შესაბამის ფუნქციას.

ამ მიზნის მიღწევა შესაძლებელია შემდეგი პრინციპების დაცვით: სამეურნეო სისტემის ყველა ობიექტისათვის გაკოტრების სიტუაციაში საიმედო, სტაბილური კომერციული ურთიერთობის უფლებებისა და მოვალეობის დამყარება;

მევალებებისათვის თავისი მოვალეობის შესრულების შესაძლებლობის მიცემა;

ეკონომიკური დაქვეითებისა და გაკოტრების დროს უსაფრთხოების ღონისძიებების ხისტემის შემოღება;

ბიზნესის აღორძინების ღონისძიებათა სისტემის შექმნა;


მევალე-ფირმებისათვის ფინანსური საქმეების რეგულირების მექანიზმის შემუშავება, მათი საქმიანობის გაჯანსაღებისა და ბიზნესის აღორძინების მიზნით. კერძო და საიმედო პარტნიორობის მუშაობის წახალისებისათვის კომერციული და სამართლებრივი სისტემის შექმნა; ფინანსური დავის გადასაწყვეტად მისაღები პროცედურის ფორმირება;

სამართლებრივი და ადმინისტრაციული სტრუქტურების დაცვა საწარმოს ნგრევისა და დავის წარმოშობის თავიდან აცილებისათვის;

ისეთი პერსპექტიული საწარმოების შენარჩუნება, რომელთაც აქვთ დროებითი ფინანსური გაჭირვება;

გაკოტრების სისტემის ყველა მონაწილის ინტერესების საიმედოდ დამცავი მექანიზმის შექმნა (კრედიტორები, პერსონალი და ა.შ.). გაკოტრებული საწარმოს ლიკვიდაციის შემთხვევაში სამართლიანად გაანაწილოს მოვალეთა აქტივები.

გაკოტრების სისტემის ფუნქციონირების იმ პრინციპების მოკლე ჩამოთვლა, რომელიც მიმართულია იმ საწარმოთა შენარჩუნებაზე, რომელთაც აქვთ გადარჩენის შანსი და ბაზრის მოთხოვნისადმი ადაპტაციის პერსპექტივა.



ნახ. 21.2 გაკოტრების მიზნები და პრინციპები

გაკოტრება. ჩვენი ქვეყნის საწარმოთა დიდი ნაწილი უკანასკნელი წლების განმავლობაში იმყოფება მალულ გაკოტრების მდგომარეობაში, რის შედეგადაც მცირდება წარმოების მოცულობა, პეიჯასი, სამუშაო ღღის ხანგრძლივობა ან სამუშაო კვირათა რაოდენობა. რიგი საწარმოებისა არ ღებულობს გაკოტრების სტატუსს, მაგრამ სინამდვილეში გაკოტრებულია, წყვეტს მუშაობას ან საერთოდ არ დაუწყია მუშაობა.

ამ პირობებში გაკოტრების კანონის ამოქმედება აუცილებელია (გაკოტრების კანონი ძალაში უნდა შესულიყო 1998 წლის 1 იანვრიდან. მაგრამ იგი ფაქტიურად დღემდე არ ამოქმედებულა). რამდენადმე იგი შეიძლება გახდეს საწარმოსათვის გამაჯანსაღებელ ღონისძიებად, რომლისაგან თუ ყველა არა, მოგებული დარჩებიან მისი მონაწილეთა უმრავლესობა: მეწარმე მიიღებს შესაძლებლობას განავითაროს თავისი საქმე ხელმძღვანელობის შეცვლით, რომლებიც ვერ უძღვებიან თავის საქმეს, შეუძლიათ გაატარონ ჯანსაღი ტექნიკური, მარკეტინგული და საკადრო პოლიტიკა, განახორციელონ საინვესტიციო პოლიტიკა. კრედიტორებს ეძლევათ შანსი გადაარჩინო თავისი ფული, საზოგადოება მიიღებს ბაზრის შესაბამის

ეკონომიკურ სტრუქტურას, მოსახლეობა – საჭირო საქონელს, ფირმის პერსონალი შეასრულებს საჭირო საქმეს. სოციალურმა დაცვამ უნდა გაითვალისწინოს სამუშაოდან დათხოვნილი მუშა ხელის დასაქმება, გასცეს უმუშევრობისათვის დახმარების სოლიდური თანხა, შესძლოს მათი კვალიფიკაციის გადამზადება.


გაკოტრების მნიშვნელოვანი შემადგენელი ელემენტებია: საწარმოს ფინანსური საქმიანობის დიაგნოსტიკა, კონტროლი და მოახლოებული კრიზისული სიტუაციის თავიდან აცილება, რაც წარმოების მართვის მთავარი ამოცანაა. კრიზისული დიაგნოსტიკა რამდენიმე ეტაპისაგან შედგება: ფინანსური მდგომარეობის ანალიზი, საბაზრო სიტუაციის განვითარების პროგნოზირება; კრიზისული სიტუაციის გამომწვევი ძირითადი მიზეზებისა და ფაქტორების დროული გამოვლენა, არასაეციალისტებისათვის შეუმჩნეველი საწარმოს დამლუპველი ნიშნების დადგენა.

კრიზისული სიტუაციის გამომწვევი მიზეზები იმალება თვით საბაზრო ეკონომიკაში. თუმცა მას არ აქვს თითოეული საწარმოსათვის ფატალური ხასიათი, მით უმეტეს მთლიანად ქვეყნის ეკონომიკისათვის. ისტორიაში ცნობილია ისეთი ეკონომიკური კრიზისები, რომელთაც გამოუწვევიათ მთელი ეკონომიკის გაკოტრება.

საწარმოს გაკოტრებაზე მოქმედი ფაქტორები ორ ჯგუფად იყოფა: შიგა და გარე ფაქტორებად.

გარე ფაქტორებს ეკუთვნის:

- მოსახლეობის მთხზონის მოცულობა და სტრუქტურა;
- მოსახლეობის შემოსავლებისა და დაგროვების დონე ანუ მისი მსყიდველობითი უნარი;
- პოლიტიკური სტაბილურობა და შიგა პოლიტიკური მიმართულება;
- ტექნიკისა და მეცნიერების განვითარება, რომელიც განსაზღვრავს პროდუქციის კონკურენტუნარიანობას;
- მოსახლეობის კულტურული განვითარების დონე, ე.ი. ჩვეულება და მოხმარების ნორმები;
- საერთაშორისო კონკურენცია



ნახ. 21.3. კრიზისული სიტუაციისა და
გაერთიანების წარმოშობის ძირითადი ფაქტორები

აღნიშნული ფაქტორების გათვალისწინება და მათი დამკაევი ღონისძიებების გატარებით შესაძლებელია ქვეყანაში ეკონომიკის საერთო დაცემის მნიშვნელოვანი შემსუბუქება. საწარმოს განვითარების განმსაზღვრელ შიგა ფაქტორებს მიეკუთვნებიან:

მარკეტინგისა და გასაღების ორგანიზაცია;

დანახარჯების ღონე;

სამმართველო პოტენციალი;

შრომის სტიმულირება;

განვითარების დისპროპორციები.

თითოეული ამ ფაქტორთაგანი მოიცავს მრავალ კონკრეტულ საზღვრებს. განვიხილოთ ისინი ზოგადად.

ამერიკელი ფირმების წარუმატებლობის 20% გამოწვეულია მექანიკური გამოუცდევლობით, ხელმძღვანელობის არაკომპეტენტურობით, მათი შეუსაბამობით ობიექტურ პირობებთან.

სხვა შიგა ფაქტორთა რიცხვს მიეკუთვნება ისეთები, როგორცაა: ბაზარზე ფირმის არაადამაკმაყოფილებელი მუშაობა, საქონლის არაკონკურენტუნარიანობა, სასაქონლო პროდუქციის ასორტიმენტის არადროული განახლება;

წარმოებისა და გასაღების ხარჯების მკვეთრი ზრდა, მართვის არაოპტიმალური სტრუქტურა, მართვის აპარატის დიდი კონტიგენტი, ძვირადღირებული ტექნოლოგიის, შრომის საშუალებებისა და შრომის საგნების გამოყენება;

წარმოებით კულტურის დონის შემცირება, მათ შორის პერსონალის კვალიფიკაციის, წარმოების ტექნიკური დონის, კოლექტივში ჯანსაღი ურთიერთდამოკიდებულების, შრომის ეფექტიანობის დაბალი დონე;

საწარმოს პერსონალის შრომის სტიმულირების დაბალი დონე.

როგორც დასავლეთის სპეციალისტები აღნიშნავენ, გაკოტრების 1/3 მოდის გარე ფაქტორებზე, ხოლო 2/3 შიგა ფაქტორებზე საქართველოში კრიზისული სიტუაცია ძირითადად გამოწვეულია პოლიტიკური და ეკონომიური არასტაბილურობით, ფინანსური მექანიზმის არაეფექტიანი გამოყენებით და კადრების დაბალი კვალიფიკაციით.

21.2. როგორ ავიცილოთ თავიდან გაკოტრება?

კონტროლის სისტემას და მოსალოდნელი კრიზისული სიტუაციის დროულად აღმოჩენას საკმაოდ დიდი მნიშვნელობა აქვს. გაკოტრების პროფილაქტიკისა და მისი თავიდან აცილების საქმეში. აღვნიშნოთ ძირითადი მომენტები:

საწარმოს მოსალოდნელ კრიზისულ სიტუაციაზე მიგეანიშნებს საწარმოს მიერ გატარებული ღონისძიებები — ხშირი რეორგანიზაცია, მომწოდებელთა ხშირი და დაუსაბუთებელი შეცვლა, ახალ

ბაზრებზე გასელა, ნელეულისა და მასალების სარისკო შესყიდვა და საწარმოს სტრატეგიაში სხვა ცვლილებები — პარტნიორების, მომწოდებლების, კრედიტორების, ბანკებისა და პროდუქციის მომხმარებელთა უარყოფითი რეაქცია.

სხვა მნიშვნელოვან ფაქტორებს მიეკუთვნება: მართვის სტრუქტურაში გაუმართლებელი ცვლილებები და ხელმძღვანელთა შორის არაჯანსაღი ურთიერთდამოკიდებულება, რომელიც გამეფებულია მართვის უმაღლეს რგოლებში, ვინაიდან წარმოების კრიზისი იწყება მისი უმაღლეს ხელმძღვანელობასთან და ხელმძღვანელობის შიგნით კონფლიქტით.

გაკოტრების სხვა ადრეული ნიშნები დაკავშირებულია საწარმოს ფინანსური მდგომარეობის შეცვლასთან, ფინანსური ანგარიშების არადროულად და უხარისხო წარდგენასა და აუდიტის ჩატარებასთან; ბუღალტრული ანგარიშების დაგვიანებით წარდგენა და მისი დაბალი ხარისხი მიგვანიშნებს შეგნებულ მოქმედებაზე ან პერსონალის დაბალ დონეზე. ერთიც და მეორეც ითვლება ფინანსური მართვის არაეფექტიანობის ნიშნებად; ბუღალტრულ ანგარიშებში პასივებისა და აქტივების სტატიებში პროპორციულობის დარღვევა, მატერიალურ მარაგებში დაუსაბუთებელი შემცირება ან ზრდა;


საწარმოს კრედიტორული დავალიანების ზრდა; წარმოების შემოსავლების შემცირება და ფირმის მოგების შემცირება, საწარმოს აქციების კურსის დაცემა, პროდუქციაზე არარეალური (მაღალი ან დაბალი) ფასის დაწესება და სხვა.

საეჭვო ნიშანს მიეკუთვნება ასევე არა გეგმიური შემოწმებები, საწარმოს კომერციული საქმიანობის შეზღუდვა, ლიცენზიის ჩამორთმევა, გაუქმება და სხვა.

საწარმოს ფინანსური მდგომარეობის გაჯანსაღება, როგორც კრიზისული სიტუაციისა და გაკოტრების მართვის შემადგენელი ნაწილი, გთავაზობს საწარმოს სტრატეგიისა და ტაქტიკის ყველაზე ეფექტიან ფორმებს, რომელიც შეესაბამებინან კონკრეტულ სიტუაციას.

გამოცდილება გვიჩვენებს, რომ თითოეული საწარმოსათვის აუცილებელია ის საერთო პროცედურა, რომელთაგანაც შეიძლება ავირჩიოთ ორი ძირითადი ტაქტიკა: დამცავი ტაქტიკა (ნახ.4), რომელიც ეყრდნობა ხარჯების შემცირებას, როგორც წარშობებაში, ისე გასაღებაში, ძირითადი ფონდებისა და პერსონალის შემცირება,

რასაც მიეყვება მთლიანად წარმოების შემცირებასთან. ასეთი ღონისძიებები არაუფექტიანია ქვეყნის ეკონომიკის კრიზისიდან გამოწყვანად, ვინაიდან ეროვნული ეკონომიკის კრიზისი დამოკიდებულია სხვა ფაქტორებზეც. საწარმოს დამცავი ტაქტიკა შემოიფარკლება მხოლოდ ოპერატიული ღონისძიებებით: ზარალის ლიკვიდაცია, ხარჯების შემცირება, შიგა რეზერვის გამოვლენა, საკადრო ცვლილებები, დისციპლინის გამტკიცება, კრედიტორებთან და მომწოდებლებთან დამოკიდებულების რეგულირება (ვალების განვადება), დებიტორული დავალიანების ამრღება და სხვა.



ნახ. 21.4. საწარმოს კრიზისული სიტუაციის მართვა

უფრო ეფექტიანია შემტევი ტაქტიკა, ე.ი. ოპერატიულ ღონისძიებებთან ერთად უფრო მეტად სტრატეგიული ღონისძიებების გატარება. ამ შემთხვევაში რესურსდამზოგ ღონისძიებებთან ერთად ტარდება აქტიური მარკეტინგი, ახალი გასაღების ბაზრების შეს-

წავლა და დაპყრობა, პროდუქციაზე უფრო მაღალი ფასების დაწესება, წარმოების მოდერნიზაციის, ძირითადი ფონდების სრულყოფისა და პერსპექტიული ტექნოლოგიის დანერგვისათვის დანახარჯების ზრდა.

ამავე დროს ხდება საწარმოს ხელმძღვანელობის შეცვლა, საწარმოს ხელმძღვანელობის განმტკიცება, კომპლექსური ანალიზი და შექმნილი სიტუაციის შეფასება, აუცილებლობის შემთხვევაში ხდება საწარმოს ფილოსოფიის კორექტირება, ე.ი. იცვლება სტრატეგია, შესაბამისად გადაისინჯება ბაზარზე საწარმოო პროგრამა, ხდება საწარმოს პოზიციის განმტკიცება ბაზრის ახალი სეგმენტების დაუფლება, წარმოებული პროდუქციის ნომენკლატურის განახლება. ყველა აღნიშნული თავის გამოხატულებას პოულობს ფინანსურ საწარმოო და საკადრო კონცეფციის გაჯანსაღებაში, შესაბამისად კორექტირდება ფინანსური, მარკეტინგული, ტექნიკური და ინვესტიციური პროგრამები, რომლებიც საშუალებას მისცემს წარმოებას გამოაჯანსაღოს მისი ფინანსური მდგომარეობა.

გაკოტრების ცივილიზებულ სისტემაში შედიან არა მარტო საწარმოები და მათთან დაკავშირებული პარტნიორები (კრედიტორები, მომწოდებლები), არამედ სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებიც. სახელმწიფოს მართვის ორგანოებმა უნდა უზრუნველყონ გაკოტრების სისტემის ორგანიზაციული სასამართლო და სოციალური სისტემის ფუნქციონირება. მათ უნდა უზრუნველყონ მთელი რიგი მეთოდები, რომლებიც გაუადვილებენ საწარმოს ფინანსური, საწარმოო-ტექნიკური. მართვის სტრუქტურის, ინვესტიციების გეგმების შედგენის, საგარეო მართვის, სანაციის და სხვა საკითხებზე გაჯანსაღების პროგრამების შედგენას.

21.3. ვაკოტრების დასაწყისი და მისი კონტროლი

ვაკოტრების აღრეული საწყისი ნიშნებია:

ა) საანაგიშგებო ანგარიშების წარდგენის დაყოვნება, რაც მიუთითებს საფინანსო სამსახურის ცუდ მუშაობაზე;

ბ) ბალანსის და ფინანსური შედეგების სტრუქტურაში მკვეთრი ცვლილება, განსაკუთრებით ანგარიშსწორების ანგარიშზე ფულის მასის შემცირება;

გ) დებიტორული და კრედიტორული დავალიანების ბალანსის დარღვევა; გაყიდვების მოცულობის შემცირება;

დ) კონფლიქტები, რომელიმე ხელმძღვანელის განთავისუფლება, მიღებულ გადაწყვეტილებათა შეუსრულებლობის მკვეთრი ზრდა;

ცნობილია ვაკოტრების შემდეგი სტადიები:

ფარული სტადია, რომლის დროსაც, საწარმოს ფასის შემცირება ნიშნავს საწარმოს მოგების შემცირებას.

$$V = \frac{K}{\Pi}$$

ნიშნავს საწარმოს მოგების შემცირებას,

სადაც Π — მოსალოდნელი მოგება, ბეგარის გადასახადისა და სესხის პროცენტისა და დივიდენდის გადახდამდე.

K — ფირმის პასივების საშუალო შეწონილი ღირებულება;

V — მოსალოდნელი საწარმოს ფასი.

ფინანსური მერყეობის მეორე სტადიაა ნაღდი ფულის უკმარისობა. ზოგჯერ ამ შემთხვევაში ფირმები მიმართავენ კონსერვატიურ ღონისძიებებს: აღიძებენ აქციონირებულ კაპიტალს, რათა გააქარწყლონ ბანკისა და კაპიტალის მფლობელთა ეჭვი;

ზოგჯერ ფირმის ხელმძღვანელების ფინანსური სიტუაციის გაუარესების დროს მიმართავენ ავანტურასა და მაქინაციებს.

მესამე სტადიაა — ნათელი, იურიდიული ვაკოტრება, ე.ი. საწარმოს არ შეუძლია დროულად გადაიხადოს დავალიანება.

საწარმოს (ფირმის) სამეურნეო-ფინანსური საქმიანობის შეფასება, როგორც წესი, ხდება ყოველწლიურად აუდიტის მიერ. აუდიტის დასკვნაში ნაჩვენებია უნდა იყოს საწარმოს ფინანსური მდგომარეობა.

რობა, მასში ასახული უნდა იყოს ფირმის მიდრეკილება აღმავლობის, მდგრადობის ან გაკოტრებისადმი.

ფაქტობრივად აუდიტის დასკვნებში ფირმის საქმიანობის შესახებ ასახული არ არის ფირმის ფინანსური მდგომარეობა. ხშირია ისეთი შემთხვევებიც, როცა გაკოტრებული ფირმის აუდიტის დასკვნაში არაფერია ნათქვამი ფირმის ფინანსურ მდგომარეობაზე. აღნიშნული მდგომარეობა გამოწვეულია აუდიტთა დაბალი კვალიფიკაციით. აუდიტები ხშირ შემთხვევებში არ ფლობენ საწარმოს სამეურნეო-ფინანსური მდგომარეობის ანალიზის მეთოდებს, რის გამოც მათ მიერ გაკეთებულ დასკვნებში, ასახული არ არის ფირმის ფინანსური მდგომარეობის ნამდვილი სურათი.

საწარმოს სამეურნეო-ფინანსური მდგომარეობის შეფასებისათვის შეიძლება გამოყენებულ იქნას სამი მაჩვენებელი:

I. აქტიურობის კოეფიციენტი, II ლიკვიდობის კოეფიციენტი და III რენტაბელობის კოეფიციენტი.

I. საწარმოს აქტიურობის კოეფიციენტი შეიძლება განგარიშებულ იქნას სამი სხვადასხვა სახის მაჩვენებელში:

1. სასაქონლო მარაგების ბრუნვაობის კოეფიციენტი, 2. დავალიანების კოეფიციენტი, 3. აქტივობის საერთო კოეფიციენტი.

1. სასაქონლო მარაგების ბრუნვაობის კოეფიციენტი ($K_{\text{ს}}$) იანგარიშება პროდუქციის რეალიზაციის მოცულობის შეფარდებით სასაქონლო მარაგების საშუალო წლიურ ღირებულებასთან.

$$K_{\text{ს}} = P / \frac{M_1 + M_2}{2}$$

სადაც P — არის საანგარიშო პერიოდში რეალიზებული პროდუქციის ღირებულება;

M_1, M_2 — სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ნაშთების ღირებულება წლის დასაწყისში და წლის ბოლოს.

2. დავალიანების კოეფიციენტი იანგარიშება ვალდებულებათა ჯამის შეფარდებით სააქციო კაპიტალთან. ეს მაჩვენებელი ფირმის ნორმალურ საფინანსო მდგომარეობაში არ უნდა აღემატებოდეს 1-ს.

თუ იგი მეტია 1-ზე, მაშინ არსებობს ფირმის გაკოტრების შესაძლებლობა.

3. აქტიურობის საერთო კოეფიციენტი იანგარიშება ვალდებულებების მთლიანი თანხის შეფარდებით აქტივების საერთო ღირებულებასთან. ეს მაჩვენებელი არ უნდა აღემატებოდეს ერთს. ფირმის სტაბილური მუშაობის პირობებში კი იგი უნდა უდრიდეს 0.5-0.6.

II. ლიკვიდობის კოეფიციენტი. სიტყვა „ლიკვიდი“ ნიშნავს — ფულში ადვილად გადასაქცევს. ფირმის ლიკვიდობა ეს არის მისი შესაძლებლობა გადააქციოს თავისი აქტივი ფულად ყველა მისი დავალიანების დასაფარავად. ვალის დადგენილი ვალისათვის.

საბრუნავ საშუალებებში ყველაზე ლიკვიდურია ნაღდი ფული, შემდეგ მოკლევადიანი ინვესტიციები (ფასიანი ქაღალდები), დებიტორული დავალისება და ბოლოს მარაგები.

მოკლევადიანი ვალდებულებანი ეს არის ვალები, რომელთა გადახდის ვადა არ აღემატება ერთ წელს. პრაქტიკაში გამოიყენება ლიკვიდობის ორი კოეფიციენტი: ა) მიმდინარე ლიკვიდობის კოეფიციენტი და ბ) ელვისებური შეფასების კოეფიციენტი.

ა. მიმდინარე ლიკვიდობის კოეფიციენტი არის მიმდინარე (საბრუნავი) აქტივების შეფარდება მოკლევადიან ვალდებულებებთან. მათი შეფარდება საწარმოს კარგი მუშაობის პირობებში უნდა იყოს 2 : 1, ე.ი. მიმდინარე აქტივები ორჯერ უნდა აღემატებოდეს მოკლევადიანი ვალდებულებებს.

ელვისებური ლიკვიდობა. წარმოების მარაგები არ წარმოადგენენ რეალურ ლიკვიდურ აქტივებს, ვინაიდან მათი მომზადება და რეალიზაცია საკმაო დროს მოითხოვს. ელვისებური ლიკვიდობა იანგარიშება მიმდინარე აქტივების (მარაგების გამოკლებით) შეფარდებით მოკლევადიან ვალდებულებებთან. იგი უნდა უდრიდეს 1:1. პრაქტიკაში უფრო ხშირად ნაკლებია ერთზე და უდრის 0.5:1, ზოგჯერ ამ მაჩვენებელს ანგარიშობენ დებიტორული დავალიანების შეფარდებით მოკლევადიან ვალდებულებებთან, ამ შემთხვევაში ეს მაჩვენებელი არ ითვალისწინებს ფულად სახსრებს, როგორც აქტივებს.

III. რენტაბელობა. საწარმოს საქმიანობის რენტაბელობის მაჩვენებლებია: 1. მომგებიანობის კოეფიციენტი; 2. აქტივების ბრუნვაობა და 3. გამოყენებული კაპიტალის შემოსავლიანობა;

$$1. \text{ მომგებიანობის კოეფიციენტი} = \frac{\text{წმინდა მოგება}}{\text{რეალიზაციის მოცულობა}}$$

$$2. \text{ აქტივების ბრუნვაობის კოეფიციენტი} = \frac{\text{წმინდა მოგება}}{\text{რეალიზაციის მოცულობა}}$$

მაგალითად, საწარმოს წლიური გაყიდვები შეადგენს 720.0 ათას ლარს, ხოლო აქტივების მოცულობა 360.0 ათას ლარს, მაშინ აქტივების ბრუნვის კოეფიციენტი იქნება $720/360 = 2$, ე.ი. ერთი ლარის ღირებულების გამოყენებული კაპიტალი იძლევა 2 ლარის ღირებულების პროდუქციას.

3. გამოყენებული კაპიტალის შემოსავლიანობა:

- საწარმოში გამოყენებული კაპიტალიდან კომერციულმა კრედიტორებმა უნდა მიიღონ მათი კუთვნილი თანხა;
- ბანკმა უნდა მიიღოს კუთვნილი პროცენტი;
- ობლიგაციის მფლობელებმა პროცენტები;
- პრივილეგირებული უბრალო აქციების მფლობელებმა თავისი პროცენტები.

ამ გადასახადების გადახდის რიგითობა შემდეგია: უწინარესად გადაიხდება ბანკის პროცენტი, შემდეგ პრივილეგირებულ აქციებზე დივიდენდი, თუ მოგებიდან გადასახადების გადახდის შემდეგ დარჩა მოგება, მაშინ საწარმოს შეუძლია გასცეს დივიდენდები უბრალო აქციაზე, რის შედეგადაც რჩება გაუნაწილებელი მოგება (წმინდა მოგება), რომელიც ნაწილდება წარმოების ეკონომიკურ სტიმულირების ფონდებზე.

არსებობს მათემატიკური კავშირი გამოყენებული კაპიტალის შემოსავლიანობას, მომგებიანობის კოეფიციენტსა და აქტივების ბრუნვაობას შორის:

$$\frac{\text{მოგება}}{\text{გამოყენებული კაპიტალი}} = \frac{\text{მოგება}}{\text{რეალიზ. მოცულობა}} \times \frac{\text{რეალიზ. მოცულობა}}{\text{გამოყ. კაპიტალი}}$$

გამოყენებული კაპიტალის შემოსავლიანობა იანგარიშება ორი წესით.

$$ა) \frac{\text{მოგება (გადასახადების გამოკლებით)}}{\text{აქციონერთა მიერ დაფინანსებული აქტივები}} \times 100$$

$$ბ) \frac{\text{მოგება. (მოგების \% -ის გადახდამდე)}}{\text{აქტივები - მოკლევადიანი ვალდებულება}} \times 100$$

საწარმოს სამეურნეო-ფინანსური მდგომარეობის ანალიზის შედეგად შეიძლება დავადგინოთ საწარმოს მდგრადი განვითარების ტენდენცია ან პირიქით გაკოტრებისაკენ მისწრაფება.

საზღვარგარეთის ქვეყნებში უფრო ხშირად იყენებენ ამერიკელი მეცნიერის ე. ალტმანის ხუთ ფაქტორიან მოდელს, რომლის მიხედვითაც ~~დგინდება~~ გაკოტრების ალბათობის კოეფიციენტი.

$$Z = 0.012 X_1 + 0.014 X_2 + 0.033 X_3 + 0.006 X_4 + 0.999 X_5$$

სადაც, X_1 , X_2 , X_3 , X_4 , X_5 იანგარიშება შესაბამისად წმინდა საბრუნავი კაპიტალის, გაუნაწილებელი მოგების, საბალანსო მოგებისა და პროდუქციის რეალიზაციიდან წმინდა მონაგების შეფარდებით აქტივების მოცულობასთან, ხოლო X_4 აქციების საბაზრო ღირებულების შეფარდება ნასესხებ-ფულადსახსრებთან.

საწარმოს წონასწორობის შემთხვევაში ამ მოდელით გამოთვლილი საერთო კოეფიციენტი (Z) არ უნდა იყოს 3-ზე ნაკლები. თუ იგი 1,8-ზე ნაკლებია, იგი გაკოტრების ზღვარზეა.

გაკოტრების საკითხს იხილავს სასამართლო, კრედიტორების მოთხოვნით (როცა შეეალე დროულად ვერ იხდის დავალიანებას).

სასამართლოს გადაწყვეტილებით გაკოტრების ცნობის შესახებ, საწარმოს ქონება გადის აუქციონზე გასაყიდად. აუქციონზე საწარმოს ყიდულობს ახალი მესაკუთრე, ხოლო შემოსული თანხა ნაწილდება შემდეგი თანმიმდევრობის წესით: პირველ რიგში გადაიხდება ბიუჯეტისა და არა საბიუჯეტო ფონდების დავალიანებები; შემდეგ ხელშეულისა და მასალების მომწოდებელთა დავალიანებები; დარჩენილი თანხით გადაიხდება ვერ-ხელშეასის დავალიანებები საწარმოს თანამშრომლებზე, შემდეგ კი დივიდენდები აქციებ-

ზე. დარჩენილი თანხა ნაწილდება მესაკუთრეთა შორის საწესდებო კაპიტალის ასანაზღაურებლად. უფრო ხშირად ამ უკანასკნელისათვის თანხები არა საკმარისი აღმოჩნდება ხოლმე.

კრედიტორების საჩივარს სასამართლოს მიერ შეიძლება უარი თქვას, თუ ხაწარმო აღმოჩნდება გადახდისუნარიანი.

სასამართლოს შეუძლია: გააჩეროს საწარმო, თუ იგი გადაეცასხვა გარე მესაკუთრეს ან სანაციას; დაეთანხმოს მევალისა და კრედიტორების ურთიერთშეთანხმებას ვალის განვადების შესახებ. ამ უკანასკნელის დროს გაკოტრებიდან გამოსვლისათვის მიიღება საწარმოს გაჯანსაღების სასწრაფო ღონისძიებები:

საწარმოს ხელმძღვანელობის შეცვლა;

საწარმოს ორგანიზაციული სტრუქტურის შეცვლა, მართვის აპარატის შემცირება, საკონტროლო-საგეგმო ფუნქციების ცენტრალიზაცია;

დანახარჯებზე მკაცრი კონტროლის დაწესება;

პერსონალის გადაშხადება, ფსიქოლოგიური პერეორიენტაცია;

პროდუქციის ნომენკლატურის შეკვეცა;

მარკეტინგის გაძლიერება.

ამავე დროს საჭიროა სტრატეგიული ღონისძიებების გატარება. წარმოების თანდათანობით პროფილის შეცვლა.

საწარმოს „გაკოტრების“ საკითხი საბაზრო ეკონომიკის პირობებში ჩვეულებრივ მოვლენად ითვლება და იგი აღარ იწვევს გაკვირვებას, თუ აღრე „გადახდისუნარო მევალის“ ტერმინი იწვევდა ნეგატიურ რეაქციას, დღეს იგი აღიქმება ნორმალურ მოვლენად.

გაკოტრების პერიოდში ეკონომიკური გარდაქმნა შესაძლებელია საწარმოს აღმინისტრაციულ, ორგანიზაციულ და ქონებრივ რეორგანიზაციის ღონისძიებათა გატარების გზით.

21.4. გარდაქმნა, სანაცია და ლიკვიდაცია


საწარმოს მდგომარეობის თანდათანობით გაუმჯობესება ხშირ შემთხვევაში შესაძლებელია სპეციალური ფირმების მეთოდური დახმარების შედეგად. ამავე დროს ხელშეუხებელი ხდება საწარმოს ორგანიზაციული სტრუქტურა, მისი საქმიანობის საგანი და წარმო-

ებული პროდუქციის მოცულობა, ძირითადად იცვლება მართვა, მუშაობის სტილი და კონტროლის მეთოდები, ტარდება ეკონომიკური ღონისძიებები, შესტდება კალკულაციები და სხვა. რამდენადაც ეს პროცესები საზოგადოებისათვის ფარულია და საწარმოსადმი ნდობა შენარჩუნებულია, ეს მეთოდი უფრო მისაღები და ეფექტიანია, განსაკუთრებით საბანკო საქმეში.

გარდაქმნა (დაყოფა, შეერთება, სხვა ფორმაში გადასვლა და სხვა) ხდება იმ შემთხვევაში, როცა ანალიზი გვიჩვენებს საწარმოს არსებული ფორმით მისი შემდგომი არსებობის შეუძლებლობას, სამართლებრივი ფორმისა და ფორმალური ორგანიზაციის შეცვლით საწარმო ცდილობს კრიზისიდან გამოსვლას. ხშირად ასევე მიმართავენ საწარმოს დაყოფას ქვედანაყოფებად, მათი ცალკეული ნაწილების შენარჩუნების მიზნით.

ამის საწინააღმდეგოა საწარმოთა გაერთიანება იმის იმედით, რომ საწარმოს იმედი აქვს მისი პერსპექტიულობის, მაგრამ გარკვეული დროის შემდეგ მას დასჭირდება ფინანსური ან სხვა ორგანიზაციული დახმარება, რომელიც არ შეიძლება მიიღოს ინვესტორებისაგან, ვინაიდან მან უკვე დაკარგა მათი ნდობა. ამის გამო მას სჭირდება ძლიერი პარტნიორის მოძებნა, რომელიც თავის თავზე აიღებს გარანტიას და მისცემს მას საჭირო ფინანსირებას წარმოების გაჯანსაღებისათვის.

სანაცნაო შედარებით შრომატევადი ოპერაციაა, ხშირ შემთხვევაში დაკავშირებულია საწარმოს სრულ რეკონსტრუქციასთან. საწარმოს შენარჩუნება დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად სწრაფად და ეფექტიანად შეუძლია მას თავი დააღწიოს არასასურველ მოვლენებს. კონსოლიდაციისაგან განსხვავებით, სანაციის შედეგად „ქვა ქვაზე აღარ რჩება“. ამავე დროს ამ ღონისძიებებს პრაქტიკაში არა აქვთ მკაფიოდ გამოხატული საზღვრები. მაგალითად, „ჯენერალ მოტორს“-ში განხორციელებულ ღონისძიებებში ერთმანეთთან შერწყმული იყო კონსოლიდაციის, სანაციისა და გარდაქმნის ელემენტები.



ნახ. 21.5. გაკოტრების სისტემის მონაწილენი

საწარმოს შენარჩუნების შეუძლებლობის შემთხვევაში გამოიყენება მისი ფუნქციონირების შეწყვეტის ისეთი მეთოდი, რომელიც მოცემულ სიტუაციაში ყველაზე ეფექტიანია: ლიკვიდაცია ან გაკოტრება.

ლიკვიდაცია გამოიყენება იმ შემთხვევაში, თუ საწარმოს საქმიანობის დროული შეწყვეტა თავიდან აიცილებს გაკოტრებას. ლიკვიდაცია შეიძლება გამოწვეული იყოს შიგან ან გარე მიზეზებით. ასევე ადმინისტრაციის სურვილით, როცა სხვა ღონისძიებები აღმოჩნდებიან არაეფექტურნი.

საწარმოს გარდაქმნაში იგულისხმება მისი რესტრუქტურაზაცია. გარდაქმნა და რესტრუქტურაზაცია ფართო ცნებებია, რომლებიც გულისხმობენ საწარმოს სტრუქტურის, პროფილის, იურიდიულ-სამართლებრივი ფორმის შეცვლას და სხვა. მსხვილი სანარჩევლო საწარმოები ამ დროს დანაწევრდება დამოუკიდებელ მცირე ზომის საწარმოებად. ხშირად იცვლება მათი პროფილი და წარმოების მასშტაბები, გამოიკვეთება პერსპექტიული საწარმოები ისეთი ნომენკლატურის პროდუქციის წარმოებით, რომლებიც ბაზარზე მოთხოვნილებით სარგებლობენ.

რეკონსტრუქციის ძირითადი ორიენტირია ბაზრის მოთხოვნა, ამიტომ რესტრუქტურაზაციის პროცესს წინ უძღვის ბაზრის მოთხოვნის შესწავლა. რესტრუქტურაზაციის პროცესს ხელი უნდა შეუწყოს სახელმწიფომ, მისი მარეგულირებელი როლი წარმოების

აღორძინებაში დიდი, ვინაიდან წარმოების ამოქმედებით იზრდება სახელმწიფოს შემოსავალი, იზრდება დასაქმება, უმჯობესდება მოსახლეობის სოციალური პირობები. რესტრუქტურის პროცესის ეფექტიანობის ამაღლების მიზნით სახელმწიფო იძლევა გარანტირებულ სესხს. სახელმწიფო სესხის დახმარებით ამუშავებული საწარმო უკან აბრუნებს სესხებს, რომელსაც სახელმწიფო კვლავ აძლევს სხვა საწარმოს და ა.შ. დაუსრულებლად გრძელდება სესხის გაცემისა და მისი დაბრუნების პროცესი, ეს პროცესი მოიცავს ზოგჯერ მთელი დარგის საწარმოებს. ამრიგად, ერთ საწარმოზე გაცემული სესხის საშუალებით ხდება მთელი დარგის საწარმოთა ამოქმედება. რესტრუქტურის აღნიშნული მეთოდი გამოყენებულ იქნა „ტასისის“ ფონდის მიერ.

ამ ამაღლ საქართველოში მოქმედებს მსოფლიო ბანკის რესტრუქტურის ცენტრი „სერმა“, რომელიც უცხოელ და ქართველ სპეციალისტთა ერთობლივი მოქმედებით კონკრეტულ დახმარებას უწევს სამრეწველო საწარმოებს კრიზისიდან გამოსვლისათვის, მრეწველობის სხვადასხვა დარგში ადგენს საწარმოთა რესტრუქტურის გეგმებს.

შერწყმა. საწარმოთა გარდაქმნის ფორმებია შერწყმა და დაყოფა. შერწყმა ხდება ორი ერთგვაროვანი ან სხვადასხვა იურიდიულ-სამართლებრივი ფორმის საწარმოს თანხმობით. მათ შორის ერთ-ერთს ემუქრება ლიკვიდაცია. შერწყმის დროს მათი ქონება ერთიანდება, ერთიანდება ასევე მომუშავეთა კონტიგენტი. შერწყმის დროს გადაწყვეტილებას ლებულობს სახალხო სასამართლო, რისთვისაც საჭიროა საწარმოთა კრების ოქმები შერწყმის გადაწყვეტილების შესახებ, საწარმოთა წესდებები, საბუღალტრო ბალანსები და ბალანსებზე აუდიტთა-დასკვნები, ბიუჯეტში გადასახდელი სასამართლოს ხარჯებისათვის და განცხადება.

შერწყმის აცუილებელი პირობაა, რომ იგი უნდა მოხდეს აუცილებლად წლიური საბუღალტრო ბალანსების საფუძველზე და მისი უკუქმედების პერიოდი არ უნდა აღემატებოდეს 6 თვეს.

რიგ შემთხვევაში შეიძლება მსხვილი საწარმოო ერთეულების დაყოფა დამოუკიდებელ სტრუქტურულ ერთეულებად. მათ შორის ზოგიერთი საწარმო ერთეული — საამქრო, უბანი შეიძლება გაუქმებული იქნას.

საწარმოს გარდაქმნის დროს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ღონისძიებაა საწარმოს მართვის სრულყოფა, მისი გარდაქმნა. ვინაიდან საწარმოს გარდაქმნის მთავარი მიზანი მისი სიცოცხლისუნარიანობის აღდგენაა დანახარჯების მინიმიზაციის საფუძველზე, ამიტომ მინიმუმამდე უნდა იქნას დაყვანილი ზედნაღები ხარჯები, რომელშიც დიდი ხედრი წილი მართვის აპარატის ხარჯებს ეკუთვნის საწარმოს რეკონსტრუქციის პროცესში ხდება საწარმოს სტრუქტურული ქვედანაყოფების შემცირება, მათი ფუნქციების გაერთიანება. როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის შემდეგ ძველი საბჭოური საწარმოს მართვის აპარატის რიცხოვნობის შემცირება უმტკივნეულოდ შეიძლება 30-40%-ით. რაც სამრეწველო საწარმოებში ერთიანდება საგემო, საფინანსო განყოფილებები და ბუღალტერია. ერთი ფინანსურ განყოფილებად, რომელსაც ხელმძღვანელობს ერთი პირი — ფინანსების მენეჯერი მომარაგება-გასაღების განყოფილება ერთიანდება ერთ განყოფილებად, რომელსაც მარკეტინგის მენეჯერი ხელმძღვანელობს, ამავე განყოფილებას ევალება ბაზრის კონიუნქტურის შესწავლა და მომხმარებლებთან ურთიერთობის რეგულირება. ერთიანდება კადრების იურიდიული და კანცელარიის სამსახურების და ა.შ.

რესტრუქტურისაციის ღონისძიებათა ეფექტიანობამ უნდა უზრუნველყოს საწარმოს მომგებიანობა. იგი ორგანიზაციული ღონისძიებების გარდა, ითვალისწინებს ტექნიკურ და ტექნოლოგიურ ღონისძიებებს: პროგრესული ტექნიკისა და ტექნოლოგიის დანერგვას, პროდუქციის ხარისხის ამაღლებას, პროდუქციის ნომენკლატურის შეცვლას, ახალი სახეობის პროდუქციის ათვისებას და სხვა.

21.5. საწარმოთა გაკოტრების სოციალურ-ეკონომიკური შედეგი

საწარმოს გაკოტრება, როგორც სახელმწიფოს, ისე საწარმოს, ხელმძღვანელთა ცუდი ხელმძღვანელობის შედეგია. ორთავე მხარეს გარკვეული ზომით ბრალი მიუძღვის, რის შედეგადაც ზარალიდება როგორც სახელმწიფო, ისე საწარმოს შრომითი კოლექტივი. ქვეყანა კარგავს შემოსავალს საწარმოდან ქვეყნის ბიუჯეტში გადა-

სახადის შენატანების სახით, მოსახლეობა პროდუქციას, ბაზარი კი პროდუქციის შექცევით ხელს უწყობს მონოპოლიის გაბატონებას და კონკურენციის დაცემას, რაც იწვევს ამ პროდუქციაზე ფასების ზრდას. ეს პროცესი ქვეყნისათვის ტრაგედიაა, იზრდება უმუშევართა რიცხვი. იგი განსაკუთრებით მტკივნეულია მსხვილ საწარმოთა გაკოტრების დროს, როცა სამუშაოს კარგავს ერთდროულად ათასობით ადამიანი.

სამართლიანი იქნებოდა, თუ, საწარმოს გაკოტრების ნიშნების გამოვლინების შემთხვევაში, ვიდრე საწარმო სრულ გაკოტრებამდე მივიდოდეს, საწარმოს კოლექტივი შეცვლიდა მის ხელმძღვანელობას, რადგანაც საწარმოს გაკოტრებაში მნიშვნელოვანი წვლილი სახელმწიფოსთან ერთად საწარმოს ხელმძღვანელობასაც მიუძღვის. საწარმოს ხელმძღვანელობა კი არ უნდა ითხოვდეს (ანთავისუფლებდეს) საწარმოს კოლექტივს, არამედ პირიქით, საწარმოს კოლექტივმა უნდა გადააყენოს ხელმძღვანელობა და აირჩიოს ისეთი ხელმძღვანელობა, რომელთაც შესწევთ უნარი კრიზისიდან გამოიყვანონ საწარმო. მაგრამ უბედურება ისაა, რომ საბაზრო ეკონომიკის პირობებში საწარმოს ხელმძღვანელი ამავე დროს არის მესაკუთრე, რომელსაც ეკუთვნის მართვის უფლება, ხოლო საწარმოს კოლექტივის წევრები არიან დაქირავებულები, რომელთაც ჩამორთმეული აქვთ საწარმოს მართვაში მონაწილეობის უფლება.

ამ შემთხვევაში საწარმოს კოლექტივის ბელზე უნდა ზრუნავდეს მისი ხელმძღვანელი, სახელმწიფო და პროფესიული კავშირები.

პირველ რიგში საწარმოს ხელმძღვანელს უნდა აწუხებდეს მისი კოლექტივის ბედი. გულისხმიერად ეკიდებოდეს და განიცდიდეს მათ მდგომარეობას. აი, რას ამბობს ამის შესახებ ცნობილი ამერიკელი მენეჯერი ლი იაკოკა, როცა ის იძულებული შეიქნა გაკოტრების გამო სამუშაოდ გაენთავისუფლებინა ფირმა „კრაისლერის“ თანამშრომლები: „1980 წლის აპრილში ჩვენ შევამცირეთ ინჟინერ-ტექნიკური პერსონალი 7 ათასი კაცით, მანამდე კი 3.5 ათასი მოსამსახურე მე ყოველმხრივ ვცდილობდი, ამეხსნა მათთვის განთავისუფლების მიზეზი და ვუნიშნავდი მაქსიმალურად დასაშვებ პენსიას. რიგ შემთხვევაში მე კიდევაც ვარღვევდი წესს და რამდე-

ნადმე ვუმატებდი მას. განსაკუთრებით მძიმედ განიცდის ადამიანი. როცა მას არავითარი დანაშაული არ მიუძღვის, როცა იგი საწარმოს არადამაკმაყოფილებელი მართვის მსხვერპლი ხდება ან როცა ხელმძღვანელები აელენენ სრულ გულგრილობას მისი ბედისადმი“.¹

უნარიანი, გამოცდილი ხელმძღვანელი არასდროს არ მიიყვანს საწარმოს სრულ გაკოტრებამდე. ხელმძღვანელი სისტემატურად უნდა აანალიზებდეს ფირმის ეკონომიკურ მდგომარეობას, დროულად აელენდეს გაკოტრების სიმპტომებს, იყენებდეს დამცავ და პროფილაქტიკურ ღონისძიებებს, უნდა ქონდეს ფირმის განვითარების დასაბუთებული პერსპექტიული გეგმა. იგი სისტემატურად უნდა აფასებდეს ფირმაზე მოქმედ როგორც შიგა, ისე გარე ფაქტორებს და არეგულირებდეს ფირმის საქმიანობას.

გაკოტრების კლასიკურ მაგალითს წარმოადგენს 1980-იან წლებში. ავტომობილმშენებელი გიგანტის „კრაისლერის“ გაკოტრება. მისი გაკოტრების მიზეზი გახდა ამერიკის გარეთ თავისი მოქმედების სფეროების მეტისმეტი გაფართოება, მსოფლიოს ბაზარზე მოძველებული მოდელების მანქანებით შეჭრა, მას მეტი ყურადღება უნდა დაეთმო თავისი პროდუქციის ხარისხისადმი, „გიგანტური კომპანიის მართვა ხდებოდა ისე, როგორც ბაკალეის ჯიხურის.“ (ლი იაკოკა).

გაკოტრების შედეგი საკმაოდ მძიმე იყო, როგორც აშშ-სთვის. ისე კომპანიის კოლექტივისათვის. სახელმწიფო ყოველწლიურად კარგავდა გადასახადების სახით მილიონობით დოლარს. უმუშევართა არმიას დაემატებოდა 600 ათასი მუშა-მოსამსახურე, რომელთათვის სახელმწიფოს უნდა მიეცა წელიწადში 2.7 მილიარდი დოლარი დახმარების სახით.

აშშ კონგრესი იძულებული გახდა კომპანია „კრაისლერისათვის“ მიეცა სესხი, თავის მხრივ კომპანია „კრაისლერმა“ გაატარა ფინანსური მდგომარეობის გამაჯანსაღებელი რადიკალური ღონისძიებანი: გააუქმა რამდენიმე მსხვილი ქარხანა, გაყიდა ქარხნები ვენესუელაში, ევროპაში კომპანია „პეუო“, არგენტინაში ფირმა „ფოლკსვაგენი“, ტანკების მწარმოებელი ქარხანა „ჯენერალ დაინემიკ-

¹ ლი იაკოკა. „შენჯემენტის კარიერა“. მოსკოვი, „პროგრესი“ 1991 (რუსულად). გვ. 219

სი“ 348 მლნ. დოლარად, რომელიც წლიურად იძლეოდა 50 მლნ დოლარის მოგებას, მინიმუმამდე დაიყვანა მომუშავეთა რაოდენობა. 1983 წლისათვის კომპანია უკვე გამოვიდა კრიზისიდან და დაიწყო აღმავლობა, რაც აშშ-ში მოულოდნელ და შეუძლებელ შემთხვევად აღიქვეს.

იმ შემთხვევაში, თუ საწარმოს გაყიდვით მიღებული შემოსავალი ვერ ფარავს აღნიშნულ დავალიანებებს, მაშინ სალიკვიდაციო კომისია პირველ რიგში ფარავს ბიუჯეტისა და მომწოდებელთა დავალიანებას, დანარჩენი ხარჯების დაფარვა ხდება შემოსული თანხების გადანაწილებით ზემოთ მოყვანილი თანმიმდევრობით.

თავი XXII. სამეურნეო ანგარიში, არენდა, ლიზინგი, წარმოების რესტრუქტურისზაცია

22.1. სამეურნეო ანგარიში

სამეურნეო ანგარიში მეურნეობრიობის ეკონომიკური მექანიზმია. იგი ხასიათდება მაღალეკონომიკური მაჩვენებლებით, მისი საფუძველია მატერიალური დაინტერესება და პასუხისმგებლობა, რესურსების ეკონომიური გამოყენება და ეფექტიანობის ამაღლება. უფრო ლაკონური განმარტებით, სამეურნეო ანგარიში — ეს არის მატერიალური სტიმულირების გამოყენებით, წარმოების ინტენსიფიკაციის გზით ეფექტიანობის უზრუნველყოფა.

სამეურნეო ანგარიშის პრინციპებია: წარმოების დანახარჯებისა და შედეგების შედარება ფულად ფორმაში, სამეურნეო-ფინანსური დამოუკიდებლობა; კოლექტივისა და თითოეული მუშაკის მატერიალური დაინტერესება შრომის მაღალი შედეგებისათვის; მატერიალური პასუხისმგებლობა და დანახარჯებისადმი მკაცრი კონტროლი, თვითდაფინანსება და თვითანაზღაურება.

სამეურნეო ანგარიში სხვადასხვა სახისაა. პრაქტიკაში არჩევენ სამეურნეო ანგარიშის ორ სახეს: 1. სრული სამეურნეო ანგარიში და 2. შიგა სამეურნეო ანგარიში.

1. სრული სამეურნეო ანგარიშის მეთოდით მოქმედებს საწარმოები, ფირმები, რომლებიც გაერთიანებული არიან მცირე, საშუალო და მსხვილ ბიზნესში. გამონაკლისს შეადგენენ სხვადასხვა დარგის სახელმწიფო საწარმოები, რომლებიც ძირითადად ბიუჯეტის ხარჯზე ფინანსდებიან.

სრულ სამეურნეო ანგარიშზე მყოფი საწარმოების ძირითადი კაპიტალი შეიძლება ნაწილობრივ სახელმწიფო საკუთრების იყოს. ეს საწარმოები მხოლოდ ნაწილობრივ არიან პრივატიზებული, მაგრამ ისინი მთლიანად აკმაყოფილებენ სამეურნეო ანგარიშის მოთხოვნებს: აქვთ იურიდიული დამოუკიდებლობა, იმყოფებიან თვითდაფინანსებასა და თვითანაზღაურებაზე. სახელმწიფო პასუხს არ აგებს მათ სამეურნეო-ფინანსურ შედეგებზე.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში სრულ სამეურნეო ანგარიშზე შეუძლებელია საბიუჯეტო ორგანიზაციების გადაყვანა, ვინაიდან მათ შემოსავლებს არ შეუძლიათ დაფარონ მათ მიერ გაწეული ხარჯები,

მიტომ მათი დანახარჯები ანაზღაურდება ბიუჯეტის ხარჯზე. მათ მიეკუთვნებიან მომსახურების სფეროს დაწესებულებები, განათლების, ჯანდაცვის, კულტურის, სპორტის, სახელმწიფო და მუნიციპალური მართვის, თავდაცვისა და სხვა დარგების დაწესებულებები და ორგანიზაციები.

საბაზრო ეკონომიკის შემდგომი განვითარების კვალობაზე მომსახურების სფეროს რიგი საბიუჯეტო ორგანიზაციები ქმნიან შეზღუდული შესაძლებლობის, ინდივიდუალურ, სააქციო საზოგადოებებს, ცენტრებსა და კავშირებს. სახელმწიფო თავის ფუნქციებს ნაწილობრივ გადასცემს არა საბიუჯეტო ორგანიზაციებს და დაწესებულებებს. უკანასკნელ წლებში ასეთი ორგანიზაციები, კავშირები და ცენტრები შეიქმნა ჯანმრთელობის დაცვის, სპორტის, კულტურის და სხვა დარგებში. ფართოვდება ზონების მოქმედების სფეროები, ისინი სულ უფრო მეტ სეგმენტებს ეკავებიან მომსახურების სფეროებში. შესაბამისად ფართოვდება სამეურნეო ანგარიშის გამოყენების მასშტაბები.

სრულ სამეურნეო ანგარიშზე მყოფი საწარმოები და ორგანიზაციები სახელმწიფოს მიერ დაცულნი არიან მოქმედი საკანონმდებლო ბაზით. სახელმწიფო იკავებს მათ მონოპოლიური შემოქმედებისაგან, საზღვარგარეთის ვირშების კონკურენციისაგან. თავის მხრივ, სამეურნეო სუბიექტებს რეგულარულად შეაქვთ ბიუჯეტში გადასახდელები.

ბიზნესში გაერთიანებული ყველა საწარმოები და ორგანიზაციები იმყოფებიან სრულ სამეურნეო ანგარიშზე. ყველა ისინი ეწევიან ძირითადად სამეწარმეო საქმიანობას. პრაქტიკაში ასევე გვხვდება ეგრეთწოდებული შერეული საწარმოები და ორგანიზაციები, რომლებიც თავის დასაფინანსებლად გარკვეულ სახსრებს ღებულობენ სახელმწიფოს ბიუჯეტიდან, ხოლო მცირე ნაწილს სამეწარმეო საქმიანობიდან მიღებული შემოსავლებიდან, ფასიანი მომსახურებიდან. ეს ორგანიზაციები ერთდროულად ითვლებიან საბიუჯეტო და სამეწარმეო სუბიექტებად.

2. შიგა საწარმო სამეურნეო ანგარიში, მეურნეობრიობის ისეთი ფორმაა, როდესაც სამეურნეო დამოუკიდებლობა ეძლევა ფირმის, საწარმოს, კონცერნის ან სხვა სამეურნეო სუბიექტის მიერ შისდამი დაქვემდებარებულ სტრუქტურულ ერთეულს, უკეთესი სამეურნეო-ფინანსური მოდელების მიზნით. ამ შემთხვევაში დაქვემდებარებული შიგა სტრუქტურული ერთეული (განყოფილება, საწარმო, საამქრო, სამ-

სახური) სამეურნეო ანგარიშის პრინციპების გამოყენებით სახავეს ღონისძიებებს რესურსების ეკონომიისა და დანახარჯების შემცირების ხარჯზე მოგების ზრდისა და კოლექტივის წვერთა შემოსავლის გადიდებისათვის. შრომითი კოლექტივი იყენებს რა სამეურნეო ანგარიშის მატერიალური დაინტერესების პრინციპს, ცდილობს გაზარდოს პროდუქციის წარმოება და რეალიზაცია, მიღწიოს წარმოების ეფექტიანობის ამაღლებას. მეორეს მხრივ, ეს უკანასკნელი ზრდის საწარმოს, ფირმის შემოსავალს, ვის სტრუქტურაშიდაც შედის აღნიშნული სამსახური. ამდენად, შიგასამეურნეო ანგარიში ერთნაირად აინტერესებს, როგორც საწარმოს ხელმძღვანელობას, ისე მის სტრუქტურულ ერთეულს.

შიგა სამეურნეო ანგარიშს გააჩნია რიგი უპირატესობანი სრულ სამეურნეო ანგარიშზე მყოფ საწარმოთა სტრუქტურულ ერთეულთან შედარებით. კერძოდ: შიგა სამეურნეო ანგარიშიანი სტრუქტურული ერთეული სრულად იყენებს მატერიალური სტიმულირების პრინციპს. იგი თვითონ განაგებს მის შემოსავალს, ანაწილებს მას თავისი შეხედულებით, სტიმულს აძლევს მაღალკვალიფიციურ ინიციატივიან მუშაკებს უკეთესი შრომის შედეგების მისაღწევად, ირჩევს შრომის ანაზღაურებისა და სტიმულირების მეთოდებს, ქმნის ისეთ ეკონომიკურ გარემოს, რომელშიდაც შრომითი კოლექტივის თითოეული წევრი დაინტერესებულია მაღალი ეკონომიური მაჩვენებლების მიღწევისათვის, ვინაიდან საწარმოს მიერ მიღებულ მოგებაზე უშუალოდ არის დამოკიდებული მისი და მისი ოჯახის კეთილდღეობა.

შიგასამეურნეო ანგარიშიანი სტრუქტურული ერთეულის კოლექტივის თითოეულ წევრს საშუალება ეძლევა სრულიად გამოავლინოს საკუთარი სამეწარმეო უნარი, მისი შესაძლებლობა და ინიციატივა მაღალი შრომითი შედეგებისათვის. მეორეს მხრივ, მისი შემოქმედებით სამეურნეო საქმიანობა სათანადოდ ფასდება კოლექტივის ხელმძღვანელობის მიერ, არა მარტო მატერიალური, არამედ მორალური ასპექტით. ეს უკანასკნელი ხშირად უფრო ძვირადფასეულია, ვიდრე მატერიალური სტიმული. შრომითი მოტივაცია სრულად მუდავნდება და კმაყოფილდება მცირერიცხოვან კოლექტივებში.

შიგასამეურნეო ანგარიშიანი კოლექტივები ხასიათდება მცირერიცხოვნობით. როგორც ეკონომიკაში ცნობილია, მცირერიცხოვან კოლექტივებს რიგი უპირატესობა გააჩნიათ დიდ კოლექტივებთან შედარებით. მცირე-

ზიცხოვან შრომითი კოლექტივებისათვის დამახასიათებელია მაღალი ოკონომიკური ეფექტიანობა. მართვის აპარატი აქ მცირერიცხოვანი, მეტად დატვირთული, უფრო მობილური და საქმიანია. გამოკვლევები ადასტურებენ, რომ მცირერიცხოვან კოლექტივების მართვის აპარატის მუშაკები 2-ჯერ მეტად არიან დატვირთული, ვიდრე მრავალრიცხოვან კოლექტივებში. აქ ერთი მუშაკი ხშირად ორ და სამ მომიჯნავე ფუნქციას ასრულებს, მართვის პროცესი საკმაოდ გამარტივებულია, ადვილად კონტროლირებადი და ეფექტური.

მცირერიცხოვან კოლექტივებში ადამიანის სოციალური უფლებები უფრო დაცულია. მისი მაღალეფექტიანობის გამო კოლექტივს მეტი შესაძლებლობა ეძლევა საკმაო თანხები გამოიყოს კოლექტივის სოციალურ-კულტურული პირობების გასაუმჯობესებლად; როგორც ადმინისტრაციასა და შრომით კოლექტივს შორის, ასევე თვით კოლექტივის წევრებს შორის ურთიერთობა მოწესრიგებულია, ადვილად რეგულირდება კომუნიკატური სიტუაციები, კოლექტივის წევრებს შორის ჭარბობს თბილი, კეთილმეგობრული და ურთიერთნათესაური დამოკიდებულება, რაც მაღალი შრომის მწარმოებლობისა და მომგებიანობის საწინდარია.

შიგა სამეურნეო ანგარიში თავისი უფლება-მოვალეობათა მიხედვით არასრული სამეურნეო ანგარიშია. მისი უფლებები რამდენადმე შეკეცილია. მას არ გააჩნია იურიდიული დამოუკიდებლობა, რაც იმას ნიშნავს, რომ მას არა აქვს ანგარიშსწორების ანგარიში ბანკში, არ შეუძლია დამოუკიდებლად აწარმოოს ფინანსური გარიგებანი წარმოების გარეშე იურიდიულ პირებთან. ადმინისტრაციასა და შიგასტრუქტურულ ერთეულებს შორის ურთიერთობა და მხარეთა უფლებები რეგულირდება მათ შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე. ამდენად, სამეურნეო ანგარიშიანი ქვედანაყოფები დამოუკიდებელი ოპერატიულ-სამეურნეო ერთეულები არ არიან, არა აქვთ იურიდიული პირის უფლება და თავის საქმიანობას წარმართავენ შიგასაწარმოო სამეურნეო ანგარიშის პრინციპებზე.

საწარმოსა და მისი შემადგენელი სტრუქტურების შიგასაწარმოს სამეურნეო ანგარიშებრივი ურთიერთობა წარმოადგენს ერთიან ურთიერთ-დამაკავშირებელი მარჯვენალების სისტემას, რომელიც საწარმოს საქმიანობის ყველა მხარეს ასახავს, ქმნის მუშაკთა დაინტერესებას როგორც საწარმოს ცალკეული, ასევე მთლიანად საწარმოს სამეურნეო შედეგების გაუმჯობესებისათვის.

მსხვილი სამრეწველო საწარმოები შედგებიან მრავალსაფეხურიან სტრუქტურული ერთეულებისაგან, რომლებიც განსხვავდებიან თავის ფუნქციებით ადმინისტრაციული სამსახურის ფუნქციონალური მართვის სამმართველოებისა და განყოფილებებისაგან; სამქროების, უბნებისა და ბრიგადებისაგან. ყველა აღიშნული სტრუქტურები წარმოადგენენ ერთ მთლიან იურიდიულად დამოუკიდებელ ერთეულს. საწარმოს საფინანსო-სამეურნეო შედეგები მოიცავენ ყველა მათი მუშაობის შედეგებით განზოგადოებულ მაჩვენებლებს.

საერთო შედეგებში თითოეულ სტრუქტურულ ერთეულს თავისი წვლილი შეაქვს. ამასთან, მათი სამეურნეო-ფინანსური შედეგები მნიშვნელოვნად განსხვავებულია, იმ შემთხვევაშიდაც კი, როცა საწარმოს საერთო ფინანსური შედეგები მაღალია, მოგების ნორმა საშუალოზე მაღალია, საწარმოს შიგნით ზოგიერთ სამეურნეო ერთეული (განყოფილებას, სამსახურს, სამქროს, ბრიგადას) შეიძლება მუშაობდეს არარენტაბელურად, ზარალით. საწარმოს საერთო მაჩვენებლებში წამგებანა, არარენტაბელური სამსახურები შენიღბულნი არიან და მათი შრომის შედეგების მიუხედავად ეს სამსახურები წახალისდებიან საწარმოს საერთო შედეგების მიხედვით. იმ შემთხვევაში კი, თუ ყველა სტრუქტურული ერთეული მომგებიანად იმუშავებდა, მაშინ საწარმოს მოგება გაცილებით მეტი იქნებოდა. ჩვეულებრივად საწარმოს სტრუქტურული ერთეულების შედეგების სათანადო შეფასება შეუძლებელი ხდება, ადგილი აქვს საბოლოო შედეგების შეფასებაში გათანაბრებას, რაც იწვევს შრომითი კოლექტივის ინიციატივის, დაინტერესების დაქვეითებას. საყოველთაოდ აღიარებულია, რომ მაღალი შრომითი შედეგების მიღწევა შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა კოლექტივის თითოეული წევრის შრომითი შედეგი სათანადოდ ფასდება.

შრომის შედეგების შეფასება საწარმოს შიგა სტრუქტურებისა და სამსახურების მიხედვით შესაძლებელია, მხოლოდ შიგასამეურნეო ანგარიშის გამოყენებით. შიგა სამეურნეო ანგარიში საწარმოს მართვაში დემოკრატიის შემდგომი განვითარებაა. საწარმოს ადმინისტრაცია თავის ფუნქციას გადასცემს მისივე სტრუქტურული ქვედანაყოფის შრომით კოლექტივს, უცხადებს ნდობას და ხელს უწყობს მის ნორმალურ ფუნქციონირებას. შრომითი კოლექტივი თავის მხრივ ვალდებულია

აქებს მის განკარგულებაში გადაცემული ძირითადი და საბრუნავი კაპიტალი გამოიყენოს ეკონომიურად და მიიღოს მაღალი შედეგები.

მიგასამურნეო ანგარიშობრივი ქვედანაყოფი ცდილობს ზვედრითი ხარჯების მინიმუმით უზრუნველყოს შემოსავლების მაქსიმუმი, საწარმოო ფონდების მიზანშეწონილი მინიმუმით უზრუნველყოს წარმოების უწყვეტხებელი ფუნქციონირება და ამ გზით მიაღწიოს საწარმოს მაღალ რენტაბელობას.

მიზანშეწონილი მინიმუმი იმას ნიშნავს, რომ არ უნდა გვეკონდეს არც ძირითადი საწარმოო ფონდების და არც საბრუნავი სახსრების იმაზე მეტი მოცულობა, რაც აუცილებელია საწარმოო პროცესის ნორმალური მსვლელობისათვის. მას მიზანშეწონილი მინიმუმი ეწოდება იმიტომ, რომ უფრო ნაკლები მოცულობა გამოიწვევს პროცესის ნორმალური მსვლელობის დარღვევას, მეტი კი შეამცირებს წარმოების ეფექტურობას. საკითხი მარტო იმას კი არ ეხება, თუ როგორ გაუძღვეთ მეურნეობას მუშაობის პროცესში, არამედ იმასაც, თუ როგორ განესაზღვროთ საწარმოს სტრატეგია, შეცდომების გარეშე შევისწავლოთ ბაზარი, სწორად წავრ-
მართოთ მარკეტინგული საქმიანობა და ბოლოს, სწორად განესაზღვროთ ხარჯები და შეუუდაროთ იგი შემოსავლებს, განსაზღვროთ, თუ რამდენად აღემატება შემოსავლები დანახარჯებს და რა გზით შეიძლება გავზარდოთ შემოსავლები. ასევე, საჭიროა გაირკვეს, თუ ძირითადი ფონდებისა და საბრუნავი საშუალებების რა მოცულობებია ის მინიმუმი, რომელზედაც ნაკლები გამოიწვევს წარმოების ნორმალური მსვლელობის დარღვევას. ყოველივე ზემოთ აღნიშნული საფუძვლად უნდა დაედოს, როგორც წლიური გეგმების შედგენას, ასევე მათი შესრულების ორგანიზაციას. ახალ პირობებში სამეურნეო ანგარიში უფრო საჭირო და რეალური ხდება, ვიდრე მბრძანებლური ეკონომიკის პირობებში, როცა იგი ფორმალურ ხასიათს ატარებდა.

მიგასაწარმოო სამეურნეო ანგარიშის პირობებში კოლექტივი უფრო გონივრულად წარმართავს თავის მოგებას წარმოებისა და კოლექტივის სოციალური საჭიროებისათვის. მას შეუძლია არეგულიროს შემოსავალი იმისდამიხედვით, თუ მიმდინარე პერიოდში რა უფრო მეტად სჭირდება საწარმოო კოლექტივს, მარკეტინგული კვლევა, რეკლამა, ახალი ტექნოლოგიები, თუ მუშაკთა სტიმულირება მიღებული მოგებიდან. ერთ შემთხვევაში გაყიდვების ზრდის მიზნით მას შეუძლია მოგება

მთლიანად წარმართოს ამ მიზნების დასაფინანსებლად, ხოლო მეორე შემთხვევაში, ეს სახსრები მთლიანად მოახმაროს კოლექტივის წევრთა დახმარებას და პრემირებას.

შიგასაწარმო სამეურნეო ანგარიშზე მომუშავე სტრუქტურული ერთეული სრულიად დამოუკიდებელია საწარმოს საგეგმო მაჩვენებლების განსაზღვრაში. არენდის გამცემი მას აძლევს სრულ თავისუფლებას წარმოების მოცულობის, ნომენკლატურის, გაყიდვებისა და შემოსავლების განაწილების საქმეში. იგი დაინტერესებულია მხოლოდ იმაში, რომ რაც შეიძლება მეტი შემოსავალი მიიღოს არენდატორისაგან.

ამის გამო საწარმოო კოლექტივს შეუძლია ალტერნატიული საგეგმო მაჩვენებლებიდან აირჩიოს ოპტიმალური ვარიანტი. გამარტივოს დაგეგმვისა და აღრიცხვის პროცესი, არეგულიროს იგი შესრულების პროცესში ბაზარზე შექმნილი სიტუაციის შესაბამისად.

საწარმოო ქვედანაყოფთა გეგმის მაჩვენებლები სრულიად არ არის დამოკიდებული არენდის გამცემ საწარმოს საგეგმო მაჩვენებლებზე. დაგეგმვის დირექტიული ხასიათი აქ გამორიცხულია. სხვაგვარად რომ ვთქვათ, საწარმოსათვის სულერთია, თუ მას, რამდენს და რა დანახარჯებს აწარმოებს მისი სამეურნეოანგარიშიანი ქვედანაყოფი. მისთვის მნიშვნელოვანია მხოლოდ ის, რომ რაც შეიძლება მეტი შემოსავალი მიიღოს მისგან.

შიგასაწარმოო სამეურნეო ანგარიშის პირობებში ცენტრალური ადგილი უკავია კადრების საკითხს. მარტივად რომ ვთქვათ, სამეურნეო ანგარიშის პირობებში კადრები წყვეტენ ყველაფერს. კადრების პროფესიულ დონეზე, მათ უნარზე და შრომით აქტივობაზე დამოკიდებულია საწარმოს შედეგები. შიგასაწარმო სამეურნეო ანგარიშიანი კოლექტივი ყალიბდება ორი მიმართულებით. ერთია, როცა მოქმედი საწარმოს სტრუქტურის ქვედანაყოფი გადადის შიგასაწარმო სამეურნეო ანგარიშზე და მეორე შემთხვევაში, როცა უმოქმედო საამქროს ან სხვა ქვედანაყოფის ბაზაზე ყალიბდება ახალი სამეურნეო ანგარიშიანი კოლექტივი.

პირველ შემთხვევაში ქვედანაყოფის შრომითი კოლექტივი უკვე დაკომპლექტებულია ძველი კადრებით. საჭირო ხდება ამ კადრების გადახალისება, მათი გაცხრილვა-დახვეწა და ზოგჯერ ახალი კადრებით შევსება. კადრების საკითხი ამ შემთხვევაში ყველაზე მტკივნეულია, ვინაიდან იგი ხშირად დაკავშირებულია სტაჟიანი, ხანდაზმული კადრების

დათხოვნასთან. ეს საკითხი უფრო მწვავეა, როცა საჭირო ხდება წარმოების პროფილის შეცვლა. ამ დროს კადრების უმეტესი ნაწილი თავისი პროფესიით გამოუსადეგარია. ამ შემთხვევაში, უკეთესი კომოსავალი მათი გადამზადება, კვალიფიკაციის შეცვლა, ხოლო თუ ეს პროცესი შეუძლებელია ან არ ისურვა მუშაკმა, მაშინ მოქმედი კანონმდებლობის დაცვით საჭირო იქნება მისი განთავისუფლება. ახალი კადრებით კოლექტივის დაკომპლექტებისათვის უმჯობესია გამოყენებულ იქნას კონკურენტის წესი. ხელმძღვანელობას მეტი გარანტია აქვს უკეთესი კადრების შერჩევაში და რისკიც ნაკლებია.

კადრებით საწარმოს დაკომპლექტება უფრო ადვილია, როცა საწარმოს სტრუქტურა არ მუშაობს. ამ შემთხვევაში საჭირო ხდება მთლიანად ახალი კადრების დაკომპლექტება. ეს პროცესი იოლია, ვინაიდან ქვედანაყოფის ხელმძღვანელობას თავისუფალი არჩევის უფლება აქვს, მაგრამ აქ მეორე უფრო მნიშვნელოვანი პრობლემა იჩენს თავს. ეს პრობლემა დაკავშირებულია იმასთან, რომ ამ დროს საჭირო ხდება კადრების მომზადება, ახალი პროცესების ათვისება, რაც ერთის მხრივ დიდ ხარჯებთან არის დაკავშირებული და მეორეს მხრივ, ახალი კადრების მომზადება ყოველთვის არ იძლევა შედეგს. ვინაიდან პროფესიის შესწავლა, დაუფლება და მისი პრაქტიკაში გამოყენება ყოველთვის არ ამართლებს, ხშირად იგი დამოკიდებულია ადამიანის ბუნებაზე, მის ინტუიციაზე, უნარზე, დაუფლოს სიახლეს შრომით პროცესში. ამიტომ საჭირო ხდება კადრების მომზადება და მათი ცვლა, რაც ზრდის ხარჯებს და იწვევს პროდუქციის წარმოებაში შეფერხებას.

მიგასამეურნეო ანგარიშიანი საწარმოს — შსსა (ფირმა, ორგანიზაცია, საამქრო, ბრიგადა, სამსახური) საქმიანობაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება კადრებთან მუშაობას და კადრებისადმი დამოკიდებულებას, ვინაიდან ისინი წარმოადგენენ შსსა მთავარ მამოძრავებელ ძალას. ძირითადად მათზე დამოკიდებულია საწარმოს შედეგი. საწარმომ გულდასმით უნდა შეარჩიოს შრომის ანაზღაურების სისტემა ისე, რომ იგი ხელსაყრელი იყოს, როგორც მთლიანად საწარმოსათვის, ისე წარმოების მუშაკათვის. უნდა შეიქმნას მუშაკთა მატერიალური დაინტერესების ოპტიმალური ვარიანტი, მისი სოციალური და შრომის პირობების გათვალისწინებით. აღნიშნული საკითხები ხელმძღვანელთა ყოველდღიური ზრუნვის საგანი უნდა იყოს და წარმოების მუშაკთა გაჭირვება მთელი

კოლექტივისა და ხელმძღვანელობის სატკივარი უნდა გახდეს. წარმოების მუშაკი თავს არ უნდა გრძნობდეს დაქირავებულად (თუმცა კონტრაქტით იგი ასეა დაფიქსირებული), არამედ საწარმოს მესაკუთრედ — მოწილედ. იგი უნდა განიცდიდეს საწარმოს ჩაეარდნას და წარმატებას, ზრუნავდეს მისი წარმატებისათვის. თუ ხელმძღვანელმა მიაღწია იმას, რომ მის მეგობრად და თანამონაწილედ გაიხადა კოლექტივის წევრი, მას შეუძლია ჩათვალოს, რომ მან უკვე მიაღწია მიზანს, მისი წარმოების წინსვლა უზრუნველყოფილია.

თავის მხრივ, მუშაკი თავს უნდა გრძნობდეს საწარმოს კოლექტივში. როგორც საკუთარ ოჯახში, მას იმედი უნდა ქონდეს, რომ გასაჭირის დროს საწარმოს ხელმძღვანელობა გვერდში ამოუდგება, გაიზიარებს მის გასაჭირს და სათანადოდ დაეხმარება. მუშაკი არ უნდა განიცდიდეს ხელმძღვანელისადმი შიშს, უნდა ენდობოდეს მას, თავს თვლიდეს მის მეგობრად, ახლობლად, იგი არ უნდა განიცდიდეს საბუშოროდან დათხოვნის შიშს.

საწარმოს რესურსებს შორის ყველაზე მნიშვნელოვანია საბუშორო ძალა, იგი იყენებს რა წარმოების დანარჩენ რესურსებს, ქმნის საწარმოს საბოლოო შედეგს — პროდუქციას, მომსახურებას. ადამიანთა შრომის შედეგი დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ ვიყენებთ საბუშორო ძალას წარმოების პროცესში, რამდენად ფულობთ საწარმოს ამ ყველაზე შემოქმედ და აქტიური კაპიტალის ეფექტიანად გამოყენების ხელოვნებას. საბუშორო ძალისადმი მიდგომაში მეტად საყურადღებოა იაპონელ მეცნიერთა გამოკვლევები. მრავალწლიან დაკვირვებათა შედეგად ისინი იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ წარმოების ცუდი შედეგების მიზეზი შეიძლება იყოს სამი რამ:

1. ცუდი ნედლეული და მასალა;
2. მოძველებული ტექნიკა და ტექნოლოგია;
3. წარმოებისა და შრომის ცუდი ორგანიზაცია.

ყველა აღნიშნულ ფაქტორთა მიზეზად ასახელებენ წარმოების — ფირმის ხელმძღვანელობას და მთლიანად გამორიცხავენ სამუშაო ძალის ფაქტორს. ამ დასკვნამდე ისინი მივიდნენ სრულიად მარტივი, ყველასათვის გასაგები მსჯელობით: თუ საწარმო უზრუნველყოფილი არ არის სათანადო ხარისხის ნედლეულით, მასალებით, ტექნიკით, ტექნოლოგიით და კვალიფიციურ კადრით, რა თქმა უნდა, შეუძლებელია კარგი და ეფექტიანი პროდუქციის დამზადება. წარმოების რესურსებით უზრუნველყოფა კი

მთლიანად დამოკიდებულია საწარმოს ხელმძღვანელზე. აქ საწარმოს რუმაკი, რა თქმა უნდა, დამნაშავე არაა. მაგრამ ხომ შეიძლება აღნიშნული ექსპორტორებით უზრუნველყოფის პირობებშიდაც კი მუშაკმა ვერ უზრუნველყოს მაღალი ხარისხის პროდუქციის დამზადება, ამ შემთხვევაშიდაც კი იაპონელები კვლავ ხელმძღვანელს ადანაშაულებენ. ისინი იტყვიან, რომ მუშა ცუდი ხარისხის პროდუქციას მაშინ ამზადებს, როცა არ იცის, თუ როგორ დაამზადოს ან იცის და იგი შეგნებულად უშვებს წუნს, უყაირათოდ იყენებს რესურსებს. პირველ შემთხვევაში დამნაშავეა ხელმძღვანელი, ვინაიდან იგი ვალდებულია ასწავლოს მუშას პროდუქციის დამზადების ტექნოლოგია, რესურსების ეკონომიური გამოყენება. მეორე შემთხვევაშიც კვლავ ხელმძღვანელია დამნაშავე, ვინაიდან მან, როგორც ხელმძღვანელმა, ვერ მიაღწია მუშასთან კეთილშეგობრულ დამოკიდებულებას, ვერ გაიხადა იგი თავის თანამოაზრედ, თანამოსაქმედ, თანამონაწილედ, პარტნიორად.

ყველა შემთხვევაში აღნიშნული მსჯელობით ისინი მიდიან იმ დასკვნამდე, რომ წარმოების ცუდი შედეგების მიზეზი ყველა შემთხვევაში ხელმძღვანელია და არა მუშა. აქედან გამომდინარე, არც ერთ შემთხვევაში მუშა არ უნდა დაისაჯოს, არამედ პირიქით, წუნისა და დანაკარგების გამოვლინების შემთხვევაში ისინი უნდა წახალისდნენ.

იაპონური ფირმის ხელმძღვანელს მიაჩნია, რომ მან უნდა შექმნას პირობები, რომლის დროსაც წარმოება გარანტირებული იქნება ყველა შემთხვევაში მაღალი ხარისხის პროდუქციის გამოშვებაში. ამით ისინი უარს ამბობენ კონტროლის არსებულ სისტემაზე, ვინაიდან მიაჩნიათ, რომ ყველაზე უკეთესი კონტროლიორი თვით სამუშაოს შემსრულებელია. პროდუქციის ხარისხის შეფასება და მისი უზრუნველყოფა მთლიანად ე. წ. „მუშა წრეებს“ დაეკისრება.

კონტროლის სისტემაზე უარის თქმას ორი დადებითი მხარე აქვს: ჯერ ერთი, კონტროლის სამსახურის გაუქმება იძლევა ეკონომიას და მეორეს მხრივ, მისი უარყოფა დადებითად მოქმედებს შრომის ხარისხზე, ვინაიდან, თუ მუშა განიცდის შიშს კონტროლიორის მიერ წუნის გამოვლინების შემთხვევაში დასჯის გამო, მაშინ იგი უფრო ხშირად უშვებს წუნს, იგი ფსიქოლოგიურად დაძაბულია და შიშის ქვეშ შესრულებული სამუშაო ხშირად დეფექტიანია. გარდა აღნიშნულისა, კონტროლის ფუნქციის მუშისადმი დაკისრება ზრდის მუშის ავტორიტეტსა და პასუხის-

მგებლობას, რაც დადებითად მოქმედებს მუშისა და საერთოდ შრომით კოლექტივზე.

აღნიშნული ფაქტორები გასათვალისწინებელია განსაკუთრებით ისეთ საწარმოებში, რომლებიც მუშაობენ შსსა-ზე.

შიგასაწარმო სამეურნეო ანგარიშზე გადასვლა განსაკუთრებით შედეგიანია მსხვილ სააქციო საზოგადოებებში, რომელთა სტრუქტურაში გარდა ცალკეული საწარმოებისა, გაერთიანებული არიან საამქროები, სამსახურები, უბნები და ბრიგადები. შიგასამეურნეო ანგარიშის დანერგვა უფრო მიზანშეწონილია ისეთ საწარმოებსა და საამქროებში, სადაც საწარმოთ ციკლი დახშულია. ე. ი. მოიცავს პროდუქციის წარმოების ბოლიან ციკლს, დაწყებული ნედლეულისა და მასალების დამუშავებიდან, დამთავრებული შუა პროდუქციის გაფორმებით. ის საწარმოები, რომელთა სტრუქტურული ერთეულები გადასული არიან შსსა-ზე, გაცილებით მაღალრენტაბელურია, ვიდრე სრულ სამეურნეო ანგარიშზე მომუშავე საწარმოები.

რაც შეეხება შსსა მოქმედების სფეროებს, იგი წარმატებით შეიძლება გამოყენებული იქნას მრეწველობისა და მომსახურების ყველა სფეროში: მედიცინის, განათლების, ტრანსპორტის, კავშირგაბმულობის, და სხვ.

ისინი კარგ შედეგს მოგვცემენ ისეთი სამსახურებშიც კი, როგორცაა უმაღლესი სასწავლებლების კათედრებზე და ფაკულტეტებზე, კავშირგაბმულობის სატელეფონო სადგურებში, სამედიცინო ლაბორატორიებსა და განყოფილებებში და ა. შ.

შიგასაწარმო სამეურნეო ანგარიში, როგორც წარმოების მართვის მაღალეფექტიანი მეთოდი, ეჭვს არ იწვევს. მას აღიარებენ, როგორც მეცნიერ-ეკონომისტები, ასევე პრაქტიკოსი მუშაკები, მაგრამ მან ჯერ კიდევ ვერ პოვა სათანადო განვითარება იმის გამო, რომ ტრადიციულად საწარმოთა ხელმძღვანელობას არ სურს ხელიდან გაუშვას მისი გავლენის სფეროები. ისინი თავს გრძობენ სრულ ბატონ-პატრონად, ვერ იტანენ, როცა მისადმი დაქვემდებარებული სტრუქტურები დამოუკიდებლად მოქმედებდნენ და დამოუკიდებლად წვევტდნენ საწარმოს საკითხებს, მიუხედავად იმისა, რომ ასეთ პირობებში, ზოგჯერ წამგებიანიც კი არიან.

ხშირია შემთხვევები, როცა არამომგებიანი საწარმოს შიგა სტრუქტურის მუშა კოლექტივები ითხოვენ შიგა საწარმო სამეურნეო ანგარიშზე გადასვლას იმ პირობით, რომ ისინი ამ სტრუქტურას მომგებიანად აქცევენ

და შემოსავლის ნაწილს გადაურიცხავენ საწარმოს, მაგრამ ხელმძღვანელობა მასზე უარს აცხადებს.

შიგასაწარმო სამეურნეო ანგარიშზე გადაყვანილი იქნენ 1969 წლიდან ფიქსაცემლების ფაბრიკა „ნარიყალას“ საამქროები, რამაც კარგი შედეგი 'ისცა ფაბრიკას. ამ მეთოდმა საამქროს მუშათა კოლექტივების მოწონება დაიმსახურა. ეს მეთოდი ასევე წარმატებით იქნა გამოყენებული ჩვენს მიერ თბილისის ტყავსაგალანტერიო ფაბრიკის ყველა საამქროებსა და სამსახურებში, რისთვისაც დამუშავებულ იქნა ნორმატიულ-მეთოდური დებულებები და ინსტრუქციები, მომზადებული იქნა კადრები და სხვა.

იმისათვის, რომ დაინერგოს წარმოებაში შსსა, საჭიროა, რომ ამ მეთოდის არსი და მისი დადებითი მხარეები კარგად ესმოდეს საწარმოთა ხელმძღვანელებს, აუცილებელია მათი ინიციატივა და მხარდაჭერა. უფრო ხშირად ამ მეთოდს მხარს უჭერს და წარმოებაში ნერგავს პროგრესულად განწყობილი ეკონომიკის საკითხებში ჩახედული ხელმძღვანელი.

შიგასაწარმო სამეურნეო ანგარიშის წარმატება დამოკიდებულია იმ ნორმატიულ-იურიდიულ დოკუმენტაციაზე, რომელიც საფუძველად დაედება ამ მეთოდით მომუშავე საწარმოს გამოყოფასა და მის ფუნქციონირებას. ამ დოკუმენტთა რიცხვს ეკუთვნის:

1. დებულება შიგასაწარმო სამეურნეო საწარმოს შექმნისა და ფუნქციონირების შესახებ;
2. ხელშეკრულება შსსა საწარმოსა და ადმინისტრაციას შორის;
3. მიღება-ჩაბარების აქტი საწარმოს მიერ სტრუქტურულ ქვედანაყოფისადმი ქონების გადაცემის შესახებ;
4. ბრძანება სტრუქტურული ერთეულის შსსა-ზე გადასვლის შესახებ.

დებულება შსსა-ს შესახებ წარმოადგენს საწარმოს იურიდიულ დამფუძნებელ დოკუმენტს, სადაც აისახება ამ ქვესტრუქტურის სამეურნეო ანგარიშზე გადაყვანის, ფუნქციონირებისა და ლიკვიდაციის ან შერწყმის პირობები. მისი დამუშავება ხდება საწარმოს ადმინისტრაციისა და სტრუქტურული ერთეულის ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულების საფუძველზე ამ ორი მხარის შეთანხმებით. მასში განისაზღვრება ქონების ღირებულება, სამეურნეო ანგარიშზე სტრუქტურული ერთეულის მუშაობის პერიოდი და საწარმოს ადმინისტრაციისათვის ყოველწლიური შენატანები და სხვ.

დებულება (ტიპიური)

„ვამტკიცებ“:
საწარმოს ღირეპტორი
(პრეზიდენტი)

.....შიგასაწარმო სამეურნეო
(სტრუქტურული ერთეულის დასახელება) „—“—— 2000 წ.
ანგარიშზე მუშაობის შესახებ

ზოგადი დებულება

შიგასაწარმო სამეურნეო ანგარიში წარმოადგენს საწარმოს:
(დასახელება) სტრუქტურის შიგნით ეკონომიკურ და ფინანსურ
დამოუკიდებელ სამეურნეო ერთეულს. მისი მოქმედების ეკონომიკური
საფუძველია (საწარმოს დასახელება) საწარმოს მიერ
განსაზღვრული ვადით გადმოცემული ძირითადი და საბრუნაეი კაპიტალი
და (დასახელება) კადრები.შიგასაწარმოო
სტრუქტურული ერთეულის სამეურნეო ანგარიშზე გადასავლის მიზანია
რესურსების რაციონალური გამოყენებით ეკონომიკური მაჩვენებლების
გაუმჯობესება და მოგების გადიდება, შრომითი კოლექტივის სოციალური
და ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება.
შსსა მოქმედებს არასრული სამეურნეო ანგარიშის პრინციპზე. მისი
ეკონომიკური გარემო ნაწილობრივ შეზღუდულია, საწარმოს შიგა
გარემოში იგი დამოუკიდებელია და მოქმედებს თვითნაზღაურების
პრინციპით.

1. ძირითადი დებულებები

1.მოქმედებს შიგასაწარმო სამეურნეო ანგარიშის
პრინციპებზე, რაც გამოიხატება იმაში, რომ თავისი
შემოსავლებით ფარავს საკუთარ დანახარჯებსა და დებულობს გარკვეულ
მოგებას;

2. იძენს ნედლეულს, მასალებსა და აწარმოებს პროდუქ-
ციას, რეალიზაციას უკეთებს მას საბაზრო ფასებში, დამოუკიდებლად;

3. სათაო საწარმო (რომლის შემადგენლობაშიც შედის სამეურნეო
ანგარიშობრივი სტრუქტურა) აკუმულაციას უკეთებს შსსა-ს საწარმოთა
მიერ რეალიზებულ პროდუქციიდან მიღებულ შემოსავალს და უკან

აძლევს მას, ან გადაურიცხავს მის მომწოდებლებს უნაღლო ანგარიშსწორებით ბანკში მიმდინარე ანგარიშიდან ნედლეულისა და მასალების ღირებულებას;

4. შსსა საწარმო დამოუკიდებლად ადგენს თავის ოპერატიულ-კალენდარულ და პერსპექტიულ გეგმებს, განსაზღვრავს წარმოებული პროდუქციის მოცულობას და ნომენკლატურას, ანაწილებს შემოსავლებს, იხდის სათაო საწარმოს შემკვობით ბიუჯეტში კუთვნილ შენატანებს და სხვა გადასახადებს — დადებული ხელშეკრულების შესაბამისად;

5. შსსა საწარმოს ადმინისტრაციულ და ნორმატიულ მომსახურებას უწევს სათაო საწარმო, ამზადებს ნორმებით და ნორმატივებით, წარადგენს, წყვეტს და იცავს მის სამეურნეო საქმიანობასთან დაკავშირებულ საკითხებს სახელმწიფო ორგანოების წინაშე;

6. დამოუკიდებლად ადგენს შრომის ანაზღაურების ფორმებსა და სისტემებს, გასცემს ხელფასებს, პრემიებსა და დახმარებებს;

7. დამოუკიდებლად ანაწილებს შემოსავლებს, იხდის გადასახადებს, განსაზღვრავს წმინდა მოგებას და ანაწილებს მას ეკონომიკური სტიმულირების ფონდებზე;

8. წმინდა მოგების გაუნაწილებელი და მიმდინარე წელს გამოუყენებელი ნაწილი სათაო საწარმოს მიერ ამოღებას არ ემორჩილება და გადადის მომავალ წელში ნაშთის სახით;

9. პასუხისმგებელია ნედლეულის, მასალების მომწოდებლებისა და ბიუჯეტის დევალიანებათა დროულად ანაზღაურებისათვის სათაო საწარმოს წინაშე;

10. პასუხისმგებელია მასზე გაპიროვნებული ქონების შენახვაზე, რემონტზე და ექსპლუატაციის წესების დაცვაზე;

11. სახელშეკრულებო ვადის დამთავრების შემდეგ ქონება უბრუნდება სათაო საწარმოს, თუ ხელშეკრულებით სხვა პირობები არ არის გათვალისწინებული;

14. დებულება განხილული და მიღებულია შსსა შრომითი კოლექტივის საერთო კრების მიერ. „——“—————200 წ.....
ოქმი

შსსა.....
ხელმძღვანელი
(რეკვიზიტები)

სათაო საწარმოს
დირექტორი (პრეზიდენტი)

„——“————— 2000 წ.

„——“————— 2000 წ.

ხელშეკრულება

(საწარმოს დასახელება) სტრუქტურული ქვედანაყოფის
(სამქრო, უბანი, ბრიგადა)
შიგასაწარმო სამეურნეო ანგარიშზე გადაყვანის შესახებ

ჩვენ ქვემოთ ხელისმომწერნი ერთის მხრივ (სათაო
საწარმოს დასახელება) დირექტორის (დირექტორის
გვარი, სახელი), შემდგომში „სათაო საწარმოს“ სახით და მეორეს
მხრივ-ის (სტრუქტურული ქვედანაყოფის დასახელება)
უფროსი (გვარი, სახელი), შემდგომში „შსსა-საწარმო“

— დავდეთ აღნიშნული ხელშეკრულება შემდგომზე:

1. „სათაო საწარმო“ იღებს ვალდებულებას გადასცეს „შსსა-საწარმო“-
ს კოლექტივს ამ სტრუქტურულ ქვედანაყოფზე რიცხული ქონება
წლის ვადით შიგასაწარმო სამეურნეო ანგარიშზე. მათ შორის:
ლარის ღირებულების ძირითადი საწარმო ფონდები, ლარის
ღირებულების საბრუნავი ფონდები და ლარის ღირებულები:
არასაწარმო ძირითადი ფონდები;

2. „სათაო საწარმო“ ვალდებულებას იღებს გაუწიოს ადმინისტრაციული
მმართველობითი მომსახურება „შსსა-საწარმოს“ ნორმატიულ-ტექნიკური
და იურიდიული დოკუმენტაციით;

3. „სათაო საწარმო“ ვალდებულებას იღებს დაიცვას „შსსა-საწარმოს“
უფლებები და მოთხოვნები მომწოდებლებისა და გამსალბელი ორგანიზა-
ციების, ასევე სახელმწიფო ორგანიზაციების წინაშე;

4. „სათაო საწარმო“ ვალდებულია „შსსა-ს“ შიგასაწარმო ანგარიშ-
ბიდან გასცეს და მიიღოს მისი სახსრები და უზრუნველყოს შეუფერხებ-
ლად ფინანსური რესურსებით;

5. სისტემატიურად აწარმოოს მისი შემოსავლებისა და გასაქვების
აღრიცხვა შსსა-სთან შეთანხმებით;

6. „შსსა-საწარმო“ იღებს ვალდებულებას ეკონომიურად გამოიყენოს
მის განკარგულებაში „სათაო-საწარმოს“ მიერ გადაცემული ძირითადი
და საბრუნავი კაპიტალი, რესურსების ეკონომიისა და წარმოების ინტენსი-
ფიკაციის გზით მიაღწიოს რენტაბელობის ამაღლებას და მოგების ზრდას;

7. სისტემატიურად აწარმოოს ბიუჯეტში გადასახადებისა და მომწო-
დებლების დავალიანების ანაზღაურება „სათაო-საწარმოს“ მეშვეობით;

აუცილებელი გადასახადი, დასაქმების ფონდში გადასახადები, საავტომობილო გზების გადასახადები, სამეწარმეო გადასახადები, ბუნებითსარგებლობის, ეკოლოგიის და სხვ. გადასახადები. გადახდის წყარო სამ ნაწილად იყოფა:

1. დამატებული ღირებულების და აქციზის გადასახადი გადაიხდება პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლებიდან;

2. ქონებისა და მოგების გადასახადი და წარმომადგენლობითი ხარჯები გადაიხდება მოგებიდან;

3. სოციალური უზრუნველყოფის, დასაქმების, სამედიცინო, ბუნებითსარგებლობის, ეკოლოგიის, სამეწარმეო და საავტომობილო გზების გადასახადები გადაიხდება პროდუქციის თვითღირებულების ხარჯზე.

საშემოსავლო გადასახადი გადაიხდება ფიზიკური პირის შემოსავლებიდან (ხელფასის და სხვა სარგოებიდან დადგენილი ტარიფების მიხედვით).

გადახდის რიგითობის მიხედვით საწარმოს გადასახადები და ხარჯები წარმოგეიდგება შემდეგი სქემით:

პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლები
(საბაზრო ფასებით)



დამატებული ღირებულების გადასახადი



აქციზის გადასახადი



წარმოების საბითუმო ფასი



პროდუქციაზე გაწეული დანახარჯები
(თვითღირებულება)




პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებული მოგება



რეალიზაციის გარეშე საქმიანობიდან მიღებული
მოგება ან ზარალი ()



საბალანსო მოგება



ხელშეკრულების თანახმად შსსა-საწარმო სათაო საწარმოსაგან მიღებული ქონების გამოყენებისა და ადმინისტრაციულ სამმართველო მომსახურებისათვის იხდის გარკვეულ თანხას. უნდა გავითვალისწინოთ, რომ ამ თანხაში უნდა შედიოდეს ასევე ქონების გადასახადი (ქონების ნარჩენი ღირებულების 1% წელიწადში). თუ ეს გადასახადი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ გადასახადში არ შედის, მაშინ მას იხდის დამატებით, ისე როგორც სქემა 1-ში არის გათვალისწინებული.

შიგასაწარმო სამეურნეო ანგარიში სრული სამეურნეო ანგარიშის შემადგენელი ნაწილია, ამიტომ იგი მისი შემდგომი სრულყოფისა და განვითარების ფორმაა. სრულ სამეურნეო ანგარიშზე მყოფი საწარმოები (ფირმები, სააქციო და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებები) თავის სტრუქტურაში მოიცავენ შიგასაწარმო სამეურნეო ანგარიშობრივ საამქროებს, ორგანიზაციებს, განყოფილებებსა და ბრიგადებს. რთულ

საწარმო სტრუქტურის მქონე საწარმოები შეიძლება აერთიანებდნენ ერთ ან რამდენიმე შსსა ერთეულს.

შიგასაწარმო სამეურნეო ანგარიში შეიძლება დაინერგოს, როგორც საბაზრო, ისე საბიუჯეტო სტრუქტურებში: განათლების, კულტურის, მედიცინის და სხვ. მცირე, მობილური, დამოუკიდებელი სტრუქტურული ერთეულების შექმნა სტიმულს აძლევს ამ სტრუქტურების კოლექტივებს მათზე გამოყოფილი სახსრების ეკონომიის ხარჯზე, შექმნან კოლექტივის სტიმულირებისათვის გარკვეული სახსრები. ასეთი სამეურნეო ერთეულები სათვის წესდება გარკვეული სამეურნეო ანგარიშობრივი მაჩვენებლები. შემოსავლის ერთეულზე ხელფასის ფონდი, ნედლეულისა და მასალების დანახარჯების ლიმიტები, სათბობის, ელექტროენერჯიისა და საერთო სამეურნეო ხარჯების ლიმიტები და სხვა.

მცირე დამოუკიდებელი საწარმო ერთეულები (უბანი, ცვლა, ბრიგადა. განყოფილება) ცდილობენ დამატებითი შემოსავლის მიღებას, ეძებენ დამატებით შეკვეთებს გამოყოფილი ლიმიტების ფარგლებში. ცდილობენ შექმნან ეკონომია, შეამცირონ შრომის დანახარჯები და გაზარდონ თითოეულ მუშაკზე ხელფასისა და პრემიის თანხა.

მიუხედავად უკანასკნელ წლებში ჯანმრთელობის დაცვისა და განათლების სისტემაში გატარებული რეფორმებისა, დღემდე მათ შუღვენი ვერ მოგვეცეს იმის გამო, რომ არცერთ რეფორმაში გათვალისწინებული არ იყო ეკონომიკური გარდაქმნები. უფრო მეტიც, ამ დარგებში შემუშავებული ეკონომიკური სიახლეები უგულვებელყოფილი იქნა და მათ სათანადო მხარდაჭერა ვერ პოვეს. ასეთივე ბედი ეწვია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში შემუშავებულ პროექტს — სასწავლო კათედრების კოლექტივების შიგასაწარმოო ანგარიშზე გადაყვანის შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ წინასწარ განხილვაზე ამ პროექტს მხარი დაუჭირა კათედრების გამგეთა უმრავლესობამ, იგი მაინც უარყოფილი იქნა რექტორატის მიერ.

როგორც მრეწველობის, ისე მომსახურების სფეროში შიგასამეურნეო ანგარიში მხარდაჭერას ვერ ღებულობს ადმინისტრაციისაგან, მიუხედავად იმისა, რომ ქვესტრუქტურების კოლექტივები ერთსულოვნად უჭერენ მას მხარს და აღიარებენ მის მაღალეფექტიანობას.

22.2. არენდა და ლიზინგი, როგორც საბაზრო ეკონომიკის ელემენტები

როგორც ცნობილია, საბჭოთა სინამდვილეში სამეურნეო ანგარიშს დიდი პოპულარობა ქონდა. საბჭოთა მეცნიერ ეკონომისტებმა არაერთი ნაშრომი მიუძღვნეს ამ პრობლემას. ასეთი დიდი ინტერესი სამეურნეო ანგარიშისადმი გამოწვეული იყო იმით, რომ სამეურნეო ანგარიში აღიარებული იყო, როგორც მაღალეფექტიანი, ინტენსიური ფაქტორი წარმოების რესურსების რაციონალური გამოყენებისა და მოგების ზრდისათვის.

მიუხედავად დიდი მონდომებისა, წარმოების ინტენსიფიკაციით აღნიშნულმა მეთოდმა პრაქტიკული გამოყენება ვერ პოვა, იმის გამო, რომ არ არსებობდა მისი განვითარებისათვის შესაფერისი გარემო. საქმე ის არის, რომ სამეურნეო ანგარიშის განვითარება შესაძლებელია მხოლოდ თავისუფალ ღია გარემოში, იგი ვერ იტანს შეზღუდულობას და გარედან ჩარევას, იგი თავისუფალი უნდა იყოს, როგორც წარმოების, ისე საბაზრო სფეროში, დატული უნდა იყოს სახელმწიფოსაგან და ხელს უწყობდეს მის განვითარებას.

გარდა იმისა, რომ სრული სამეურნეო ანგარიში განვითარებინათ ისეთ გარემოში, სადაც წარმოება, რეგლამენტირებული იყო რესურსების გამოყენების ნორმატივებით, ფასებით, ცენტრალიზებული დაგეგმვით და აღრიცხვით, კრახით დამთავრდა. სხვანაირად შეუძლებელიც იყო დემოკრატიული ცენტრალიზმის პირობებში საწარმოო კოლექტივის თავისუფლება. განა შესაძლებელია დემოკრატია ცენტრალიზებული იყოს? დემოკრატია, რომელიც ცენტრალიზებულად იმართება, არ შეიძლება თავისუფალი იყოს, საერთოდ, ცენტრალიზებული თავისუფლება წარმოუდგენელია, სწორედ ამიტომ საბჭოთა პირობებში დემოკრატია იყო ფორმალური და შედეგით მისი მსგავსი მივიღეთ.

მხოლოდ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლამ უზრუნველყო დემოკრატიის განვითარება წარმოებისა და მომსახურების სფეროში. ცენტრალური მართვისა და ცენტრალიზაციის ლიკვიდაციამ გზა გაუხსნა საწარმოთა დემოკრატიზაციას.

სახელმწიფოს მიერ საწარმოთა თავისუფლების მინიჭებით პირველი ეკონომიკური ლონისძიება იყო კანონი არენდის შესახებ. არენდა აუცილებელი პირობაა წარმოების საბაზრო ეკონომიკაზე გადასაყვანად. იგი

გულისხმობს სახელმწიფო ქონების საწარმოო კოლექტივზე გადაცემას გარკვეული ვადითა და არენდის ქირის გადახდით.

სახელმწიფო ქონების კერძო სექტორზე გადაცემა სხვადასხვა მეთოდით მოხდა: წერილი — მცირე საწარმოები პირდაპირ მიყიდა ფიზიკურ და იურიდიულ პირებს, უფრო მსხვილი საწარმოები აუქციონის წესით გაიყიდა, ხოლო საშუალო და მსხვილი საწარმოების ქონება დღესაც სახელმწიფოს ხელშია და შესაკუთრეს ვერ პოულობს, რის გამოც იგი ინგრევა და იძარცვება. საჭირო ხდება სამრეწველო საწარმოთა სასწრაფო რესტრუქტურისაცია.

მხოლოდ რესტრუქტურისაციას ძალუმს მოახდინოს მრეწველობის კრიზისიდან გამოყვანა, ცენტრალური გეგმიანი მართვის სისტემიდან საბაზრო სისტემაზე გადაყვანა. საწარმოთა საბაზრო სტრუქტურებზე გადასვლის პარალელურად საჭიროა საწარმოს მართვის სტრუქტურის შეცვლა, ახალი და უახლესი ტექნოლოგიების შექმნა და დანერგვა. რისთვისაც საჭიროა მნიშვნელოვანი კაპიტალდაბანდება. ეს კი მოითხოვს სათანადო დაფინანსების წყაროს. საქართველოს სამრეწველო საწარმოთა უმრავლესობა განიცდის ფინანსურ შიმშილს, ფიზიკურად და მორალურად გაცვეთილი საწარმოები ჩალის ფასად გაიყიდა და უფულო შესაკუთრეთა ხელში ჩაგარდა. მათ არ შეუძლიათ ამ საწარმოთა ამუშავება, მათ გადაიარაღებაზე ხომ ზედმეტია ლაპარაკი. შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე საგალი მხოლოდ ერთია, მოვახდინოთ ამ საწარმოთა რესტრუქტურისაცია და ამისათვის გამოვიყენოთ არენდისა და ლიზინგის სხვადასხვა ფორმები. გადავკეთო ისინი უნარჩან, ინიციატივიან და საქმიან მეწარმეებს, რომლებიც ამუშავებენ მათ, გამოაცოცხლებენ და შემოსავალს მისცემენ ქონების მფლობელს, სახელმწიფოსა და ბაზრს კი — პროდუქციას, დაასაქმებენ უმუშევრებს და გააუმჯობესებენ მათ სოციალურ პირობებს.

რესტრუქტურისაციის პროცესის დაჩქარების რეალური გზაა გამოსყიდვითი არენდა. საერთოდ, არენდა ორი სახისაა: 1. არენდა გამოსყიდვითი და 2. არენდა გამოსყიდვის გარეშე. არენდა გამოსყიდვით ისეთი ფორმაა, რომელსაც კოლექტივი სახელმწიფოსაგან ან შესაკუთრისაგან ხელშეკრულებით, გარკვეული ვადით იღებს ქონებას, განაგებას ან

ქონებას და იყენებს მას თავისი დანიშნულების მიხედვით; აწარმოებს პროდუქციას, იღებს შემოსავლებს, საიდანაც უხდის სახელმწიფოს დადგენილი ნორმატივების გადასახადებს, ხოლო ქონების მესაკუთრეს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ გადასახადებს.

არენდის გადასახადი არ უნდა იყოს იმ თანხაზე ნაკლები, რომელსაც მესაკუთრე მიიღებდა პროცენტის სახით, თუ იგი ქონების ღირებულებას შეიტანდა ბანკში. საარენდო გარიგების დროს ქონების ღირებულება განისაზღვრება ბალანსში ნაჩვენებ ნარჩენი ღირებულებით. არენდის დროს ქონების გამოსყიდვის ვადა არ უნდა აღემატებოდეს ქონების ამორტიზაციის ვადას.

არენდატორს უფლება აქვს დროზე ადრე გამოისყიდოს არენდით აღებული ქონება. ამ შემთხვევაში არენდატორი იხდის არა მარტო ამ დროისათვის ქონების ნარჩენ ღირებულებას, არამედ აუნაზღაურებულ ამორტიზაციის თანხასაც.

არენდა გამოსყიდვით უმთავრესად გამოიყენებოდა პრივატიზების I სტადიაზე, სახელმწიფო საწარმოების განსახელმწიფოებრიობის პერიოდში, როცა დაშვებული იყო სახელმწიფო საწარმოთა ქონების არენდით გადაცემა. არენდით აღებული ქონების გამოსყიდვა ხდება წარმოების შოგებიდან, ამიტომ გამოსყიდული ქონება ითვლებოდა კოლექტიურ საკუთრებად, იგი ნაწილდებოდა კოლექტივის ყველა წევრზე.

გამოსყიდული ქონების განაწილება კოლექტივის წევრთა შორის ხდება შემდეგი წესით: განისაზღვრება გამოსყიდული ქონების მთლიანი ღირებულება (Q), რომელიც შემდეგ მრავლდებოდა ხელფასისა და სტაჟის კოეფიციენტის ნამრავლზე. თუ კოლექტივის თითოეული წევრის ქონების წილს ავლნიშნავთ q-თი, მაშინ იგი იანგარიშება შემდეგი ფორმულით:

$$q = (K_{\text{ხელფ.}} \times K_{\text{სტაჟ.}}) Q$$

სადაც $K_{\text{ხელფ.}}$ არის ხელფასის კოეფიციენტი, რომელიც იანგარიშება კოლექტივის თითოეული წევრის ორი უკანასკნელი წლის ხელფასის ცვაძი შეფარდებული კოლექტივის ყველა წევრის ორი წლის ხელფასის ცვაძიდან. აღნიშნული კოეფიციენტი ასახავს კოლექტივის თითოეული წევრის შრომით წვლილს საწარმოს მთლიან შედეგებში, თუ გაითვალისწინებთ, რომ ხელფასი არის კოლექტივის თითოეული წევრის მიერ დახარჯული შრომის საფასური.

K_{სტა} ითვალისწინებს ქონების განაწილების დროს არა მარტო დახარჯული შრომის რაოდენობას, არამედ, ასევე თითოეულის ნამსახურებ წელთა ჯამს ამ საწარმოში. ამ ორი მაჩვენებლის ნამრავლი ფაქტიურად ასახავს თითოეული მუშაკის მიერ ამ საწარმოში დახარჯული შრომის რაოდენობას, რაც ჩვენი აზრით, სრულიად სამართლიანად შეიძლება გამოყენებულ იქნას ქონების განაწილების დროს.

K_{სტა} — იანგარიშება თითოეული მუშაკის წელთა ნამსახურების რაოდენობა (მუშაობის სტაჟი ამ საწარმოში) შეფარდებული კოლექტივის წევრთა რიცხვისა და მათ საერთო სტაჟის ნამრავლთან.

არენდის მეორე, უფრო მარტივი ფორმაა არენდა გამოსყიდვის გარეშე. ამ შემთხვევაში არენდატორი ქონებას იღებს დროებით სარგებლობაში, რისთვისაც წინასწარ დადებული ხელშეკრულებითანახმად, იგი არენდის ქირას უხდის ქონების მესაკუთრეს. ამ შემთხვევაში ქონების ამორტიზაციის თანხას იხდის მესაკუთრე. ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ ქონება უბრუნდება მესაკუთრეს.

სახელშეკრულებო ვადის პერიოდში ქონების ექსპლუატაციის და შენახვის ხარჯებს იხდის არენდატორი, ხოლო საჭიროების შემთხვევაში ქონების (მოწყობილობა ან შენობა-ნაგებობის) კაპიტალური რემონტის დანახარჯებს ანაზღაურებს ქონების მესაკუთრე. თუ არენდატორს სურს ჩაატაროს დამატებითი სამუშაოები ან გააფართოს არენდით აღებული ობიექტი, მაშინ აღნიშნული სამუშაოს და დამატებითი კაპიტალდაზრდების შესახებ წინასწარ უნდა შეუთანხმოს მესაკუთრეს. წინასწარ ურთიერთშეთანხმებით აღნიშნული სამუშაოები შეიძლება ჩატევილი იქნას არენდის გადასახადში. სხვა შემთხვევაში (როდესაც მაგალითად, ხდება რაიმე ახალი ტექნიკის შეძენა, რომლის დემონტაჟი და წაღება შესაძლებელია) იგი ითვლება არენდატორის საკუთრებად და არენდის ხელშეკრულების გასვლის შემდეგ მას შეუძლია თან წაიღოს იგი.

მცირე ბიზნესში არენდის აღნიშნული ფორმების გარდა, გამოიყენეს წილობრივი მონაწილეობის ფორმა. ამ შემთხვევაში ქონების მესაკუთრე და არენდატორი ერთობლივად ქმნიან ბიზნესს, რომლის კაპიტალში გაერთიანებულია მესაკუთრის და არენდატორის კაპიტალი. თითოეულის წილი შექმნილ ბიზნესში განისაზღვრება მათ მიერ შეტანილი კაპიტალით. აღნიშნული წარმოადგენს ერთობლივ მენარშეობის ფორმას, რომელიც განისაზღვრება ურთიერთ ხელშეკრულებით.

ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ ან ვადაძლე შეიძლება შეწყდეს ისეთი საწარმოს ფუნქციონირება. ამ შემთხვევაში, საწყისი ქონების მესაკუთრე შეისყიდის ხელშეკრულების პერიოდში დაბატებითი კაპიტალის ხარჯზე ჩატარებულ სამუშაოს, ხოლო თუ შესაძლებელია, არენდატორი შიშ მიერ შეძენილ ტექნიკას უკეთებს დემონტაჟს, თუ მას მესაკუთრე არ შეისყიდის და ყიდის ან თვით იყენებს სხვა საწარმოში.

ასეთ საწარმოში შემოსავლების განაწილება ხდება მათ მიერ შეტანილი კაპიტალის შესაბამისად. ამ შემთხვევაში არენდის ქირის გადახდას არა აქვს ადგილი.

საბაზრო სტრუქტურაში საკმაოდ გავრცელებულია საიჯარო ურთი-
კრთობა. „იჯარა“ არაბული სიტყვაა და ნიშნავს გასამრჯელოს შესრუ-
ლებული სამუშაოსათვის. საიჯარო ურთიერთობა გულისხმობს ქონების
მესაკუთრესა და მეწარმეს, ანუ მესაკუთრესა და მეიჯარეს შორის
გარიგებას. მესაკუთრეს აქვს ქონება, საწარმო, მანქანა-მოწყობილობები,
მიწა, ხოლო მეიჯარეს — სამუშაო ძალა. იმისათვის, რომ მესაკუთრემ
უზრუნველყოს წარმოების პროცესი, დაამზადოს პროდუქცია, მოიყვანოს
მოსავალი და სხვ., ამისათვის იგი ქირაობს მეიჯარეს, გადასცემს მას
თავის ქონებას უფასო სარგებლობაში გარკვეული სამუშაოს შესასრულებლად.

ამ შემთხვევაში მეიჯარე მესაკუთრისაგან ღებულობს შრომის საფა-
სურს, ხოლო შესასრულებელი სამუშაოს შედეგი, პროდუქცია, მიწა,
აშენებული შენობა გადადის მოიჯარის საკუთრებაში. სინამდვილეში
იჯარის დროს ხდება დაქირავებული მუშახელის შრომის ანაზღაურება.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში, იმ შემთხვევაში, როცა მესაკუთრეს
არ გააჩნია მეწარმეობის უნარი და ფიზიკური შესაძლებლობა თვითონ
გაუძღვეს ბიზნესს, მაშინ იგი იძულებულია მონახოს საქმიანი და
უნარიანი მეწარმე და უფასოდ გადასცეს მას წარმოების საშუალებები,
შეუძინოს რესურსები; წარმოების პროცესის განხორციელების შედეგად
მიღებულ შხა პროდუქციას თვითონ გაუკეთოს რეალიზაცია და მიიღოს
შემოსავალი. მეიჯარე ვალდებულია განახორციელოს საწარმოო პროცესი,
შეასრულოს მოიჯარის დაკვეთა და მისგან მიიღოს შესრულებული სამუ-
შაოს გასამრჯელო. წარმოებისა და რეალიზაციის პროცესი ორ ნაწილადაა
გაყოფილი. წარმოების პროცესს განაგებს მეიჯარე, ხოლო მარკეტინგს —
მესაკუთრე ანუ იჯარის გამცემი.

როდესაც მეიჯარე იღებს შესასრულებლად დიდი მოცულობის კომპლექსურ სამუშაოს გარკვეულ დროში, მაშინ ხდება სანარდო იჯარის გარიგება. მეიჯარე ამ დროს ნარდად, დანაწევრების გარეშე, მთლიანი მოცულობით იღებს სხვადასხვა სახის სამუშაოს შესასრულებლად.

სანარდო იჯარას, რომელსაც ზოგიერთი ეკონომისტი უწოდებს არენდულ იჯარას, რაც არასწორად მიგვაჩნია, ადგილი აქვს სამშენებლო ობიექტების მშენებლობაში. აქ შემკვეთი — „მოიჯარე“ საამშენებლო ბრიგადას სანარდო იჯარის სახით აძლევს მიწას და ასაშენებელი შენობის პროექტს. საამშენებლო ბრიგადა თავისი ძალებით და რესურსებით აშენებს მას წინასწარ დადებული ხელშეკრულების საფუძველზე და აბარებს შემკვეთს, რისთვისაც იგი ღებულობს შესრულებული სამუშაოს საფასურს — სანარდო იჯარის თანხას.

ზოგიერთ ეკონომისტს შემოაქვს ახალი ეკონომიკური ტერმინები, როგორცაა არენდული იჯარა ან გამოსყიდვითი იჯარა. ამჟამად დროს, ისინი აკრიტიკებენ ავტორებს, რომლებიც არენდას იჯარასთან აიგივებენ და ამ ტერმინებს ერთმანეთისაგან არ გამოიჯანავენ.

როცა ქონების არენდით გადაცემასთან გვაქვს საქმე, მაშინ არენდატორი იხდის არენდის მხოლოდ ქირას, ხოლო თუ არენდატორი იღებს ქონებას გამოსყიდვით, მაშინ იგი იხდის როგორც არენდის ქირას, ისე ქონების გამოსასყიდ თანხას. ამ შემთხვევაში ქონება მისი ძვლებიდან თანდათან, ნაწილ-ნაწილ გადადის არენდატორის ხელში და საბოლოოდ იგი ხდება ქონების მესაკუთრე, ე. ი. ქონება მესაკუთრის ხელიდან გადადის არენდატორის ხელში.

იმ შემთხვევაში, როცა ქონება გამოიყენება მეიჯარის მიერ, აქ საქმე გვაქვს არა ქონების გამოსყიდვასთან, არამედ ამ ქონების გამოყენებასთან დაქირავებული მეწარმის მიერ პროდუქციის ან სამუშაოს წარმოებისათვის. იჯარა, როგორც მესაკუთრის მიერ უფასოდ ქონების გაცემა მისივე შეკვეთის შესასრულებლად, არ შეიძლება იყოს გამოსყიდვის საფუძველი. სწორედ მაშინ, საქმე გვაქვს ამ ეკონომიკური ტერმინების აღრევასთან, როცა ვიყენებთ ტერმინებს „არენდულ იჯარას“ და „გამოსყიდვით იჯარას“. ჩვენი აზრით, ამ ტერმინების გამოყენებას ეკონომიკური შინაარსი არა აქვს.

საბაზრო ეკონომიკაზე მოქმედ სტრუქტურებს შორის მნიშვნელოვან როლს თამაშობს ლიზინგი. არენდულ ურთიერთობაში მოქმედებს ორი ეკონომიკური სუბიექტი: არენდის გამცემი და არენდის ამღები

(არენდატორი). არენდული ურთიერთობის განვითარება მოითხოვს მისი მოქმედების მასშტაბების განვითარებას, კერძოდ, არენდის ორ სუბიექტს შორის ირთვება მესამე შუალედი სუბიექტი — ლიზინგური საწარმო. ჩვეულებრივ, არენდის გამცემი თავისი კაპიტალის ნაწილს გამოყოფს არენდატორისათვის წარმოების საშუალებების გაფართოებისათვის, აძლევს მისთვის მანქანა-იარაღებს, დანადგარებს და ა. შ.

საბაზრო ეკონომიკაში წარმოებას ხშირად სჭირდება ტექნიკური გადაიარაღება, რათა განაახლონ წარმოება, აწარმოოს ახალი სახეობის პროდუქცია, რისთვისაც ესაჭიროება დამატებითი კაპიტალი, რომელიც მას ამ დროისათვის არ გააჩნია. ამ შემთხვევაში იგი მიმართავს ლიზინგურ ორგანიზაციას, რომელსაც გააჩნია შესაბამისი მანქანა-დანადგარები და მოწყობილობები. ლიზინგური ორგანიზაცია მას აძლევს არენდით საჭირო ტექნოლოგიურ მოწყობილობას. ამრიგად, იქმნება არენდატორთა სამკუთხედი — ერთის მხრივ, არენდის გამცემი ქონების მესაკუთრენი და მეორეს მხრივ, არენდის აძლეები.

არენდაგამცემი ეწევა მარკეტინგულ საქმიანობას, რითაც ხელს უწყობს არენდატორის მოქმედების სფეროების გაფართოებას. ლიზინგორის ქმედება თავისი შინაარსით ბანკების ფუნქციების მსგავსია. თუ ბანკი გასცემს კრედიტებს ბიზნესის ხელისშეწყობისა და საკუთარი მოგების გადიდებისათვის, ლიზინგორი გასცემს ქონებრივ კრედიტს. ლიზინგი, ეს არენდული ხელშეკრულების იმგვარი სახეობაა, რომელიც ეხება ქარხნებს, რათა ისინი არენდატორმა გამოიყენოს საწარმოო დანიშნულებით. ლიზინგი მოიცავს მწარმოებელს, არენდაგამცემს, არენდმიმღებს. არენდაგამცემი არენდამღების მიხედვით აძლევს შეკვეთას მწარმოებელს.

ჩვეულებრივი არენდისას არენდის გამცემი არ ზრუნავს წარმოების გადაიარაღებაზე, ახალი ტექნოლოგიების ათვისებაზე. იგი ფლობს რა თავის ქონებას, საჭიროების შემთხვევაში მას გასცემს არენდით და არა ლიზინგური პირობით. ლიზინგი ისეთი არენდული ვარიანტია, რომელიც იღება საქმიანობის პროფილით არენდაგამცემ ქონების მესაკუთრესა და მეწარმე არენდატორს შორის. ზოგჯერ, არენდის გამცემი ლიზინგორი აშენებს ან ყიდულობს უძრავ ქონებას არენდატორის დავალებით, რათა ამ უკანასკნელმა გამოიყენოს კომერციული საქმიანობისათვის. თუ საქმე ეხება მოძრავ ქონებას (ტექნოლოგიურ მოწყობილობას, სატრანსპორტო

საშუალებებს და სხვ.), რომელიც გააჩნია ლიზინგურ ორგანიზაციას, მაშინ ხდება ამ ქონების ლიზინგური გაფორმება ე. ი. არენდის გაცემა წარმოების მიზნით გამოყენებისათვის.

ლიზინგის დროს წარმოების ტექნიკური გადაიარაღებისა და ახალი ტექნოლოგიის ხარჯებს გაიღებს არენდატორი, ხოლო ფიზიკური ცვეთის (ამორტიზაცია) ანაზღაურება ეკისრება არენდატორს. ამდენად, ეს უკანასკნელი ვალდებულია დროულად ჩაატაროს მოწყობილობისა და ქონების გეგმიურ გამაფრთხილებელი და კაპიტალური რემონტის სამუშაოები, უზრუნველყოს აღებული ქონების ნორმალური ფუნქციონირება საწარმოო პროცესში.

არენდის გამცემისათვის ლიზინგის პროცესს უფრო მეტი შემოსავალი მოაქვს, ვიდრე თავისუფალი სახსრების ბანკში დაბანდებას, ეინაიდან ლიზინგურ შემოსავალზე დაწესებულია დაბალი გადასახადები. აღნიშნული შეღავათები დაწესებულია ლიზინგური საქმიანობის წახალისების მიზნით. სახელმწიფო ამ დათმობას ბაზრის კონიუნქტურის შესაბამისად უწილადებს არენდატორს.

ლიზინგური ორგანიზაციები სისტემატურად სწავლობენ არენდატორების ბაზარს. იძენენ მათთვის საჭირო მანქანებს, დანადგარებს, ტექნოლოგიურ მოწყობილობებსა და აპარატურას და ლიზინგური გარიგებით აძლევენ არენდატორებს, რითაც ხელს უწყობენ მის კომერციულ საქმიანობას. ისინი ხშირად ყიდულობენ რესტრუქტურისებულ საწარმოებს და არენდით გასცემენ მათ.

ამრიგად, ლიზინგური ორგანიზაციები ასრულებენ საშუალო ოპერაციებს არენდულ საწარმოებსა და არენდატორებს შორის და ხელს უწყობენ საბაზრო სტრუქტურების განვითარებას.

საქართველოს სინამდვილეში არენდას და გამოსყიდვით არენდას თავის დროზე შეეძლოთ მნიშვნელოვანი როლი შეესრულებინათ საწარმოთა პრივატიზების პროცესში, რომ მთავრობას თავისი დადგენილებით დასაწყისშივე არ აეკრძალა იგი. მთავრობის გარკვეულა წრეებმა, იმ ადამიანთა მოთხოვნით, ვისაც ხელში უნდა ჩაეგდოთ საწარმოთა ქონება, წამოაყენეს წინადადება, თითქოს გამოსყიდვით არენდას შეეძლო არენდის პროცესის გაჭიანურება.

მათი აზრით, საჭირო იყო გარკვეული „შოკური თერაპიის“ პროცესის ჩატარება და მიაღებინეს ხელისუფლებას დადგენილება საწარმოთა

დაყიდვა კონკურენციის წესით. ეს მეთოდი ხელს უწყობდა კაპიტალის ჭკონე საქმოსნებს ხელში ჩაეგდოთ საწარმოთა ქონება. მეორეს მხრივ, მათ კარგად იცოდნენ, რომ გამოსყიდვითი არენდის დროს, გამოსყიდული ქონება საწარმოს შრომით კოლექტივზე ნაწილდებოდა და აქ ადმინისტრაციას პრიორიტეტი არ ეკუთვნოდა. პირადად პრაქტიკამ დაგვანახა, რომ საწარმოთა ადმინისტრაციის, ძირითადად ორი ან სამი ხელმძღვანელი უმეტეს იგდებდა ქონებას. იმ შემთხვევაში, თუ მათ არ გააჩნდათ საკუთარი კაპიტალი, ისინი ზურგს უკან მალულად იყენებდნენ მათთან დაახლოებულ მდიდარ ადამიანებს, რომელთაც გააჩნდათ საბჭოთა პერიოდის დროს არაკანონიერი გზით მოხვეჭილი კაპიტალი და ვერ ახდენდნენ ამ კაპიტალის ლეგალიზაციას.

იმ დროს, როდესაც ძალაში შევიდა პრეზიდენტის ბრძანება საწარმოთა ქონების უპირატესად კოლექტივის წევრებზე მიყიდვის შესახებ, ზოგიერთი საწარმოს დირექტორმა თვალთმაქცურად, მის მიერ მოსყიდული კოლექტივის ზოგიერთი წევრის აქტიური მოქმედებით, დაშინებით და სხვა ზემოქმედებით, უარი ათქმევინეს კოლექტივებს საწარმოთა შესყიდვაზე და თვითონ შეისყიდეს მინიმალურ ფასებში. ყოველივე ამას ხელი შეუწყო მთავრობის მიერ შემუშავებულმა ქონების შესყიდვის წესდებამ, რომლის მიზნდევითაც ქონების გასაყიდი ღირებულების შეფასება ეკისრებოდა თვით საწარმოს: სწორედ ამან გამოიწვია საწარმოთა შესყიდვა ხელოვნურად შემცირებულ ფასებში.

ზემოთქმულიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ არენდა გამოსყიდვით ყველაზე სამართლიანი ფორმა იყო პრივატიზაციისა, რომლის შემსწობითაც საწარმოთა ქონება გადავიდოდა კოლექტივის ხელში და უზრუნველყოფილი იქნებოდა მათი შეუფერხებელი მუშაობა. ვინაიდან, ამას კარგად ხედავდა საწარმოთა ხელმძღვანელობა, მათ, ხელისუფლების მხარდაჭერით ყველაფერი გააკეთეს იმისათვის, რომ გაეუქმებინათ პრივატიზების ეს პროცესი, ხელიდან გამოეგლიჯათ საწარმოს შრომითი კოლექტივებისათვის ქონება და ხელში ჩაეგდოთ იგი. ამას კარგად ადასტურებს ისეთი ფაქტები, როდესაც არენდის წესით უკვე გამოსყიდული ქონება საწარმოთა ხელმძღვანელებმა ხელიდან გამოგლიჯეს კოლექტივებს და გახდნენ ერთპიროვნული მესაკუთრენი.

საწარმოთა ხელმძღვანელებმა სხვა ფარულ და ყოველად დაუშვებელ მეთოდებსაც მიმართეს. დარწმუნდნენ რა იმაში, რომ გამოსყიდვითი არენდის შემთხვევაში საწარმოს ქონება საწარმოს მთელ შრომით კოლექტივის ხელში მოექცეოდა და საწარმოს მართვაც უკლებლივ მათ გადაეცემოდათ.

ისინი თვით აირჩევნენ და საჭიროების შემთხვევაში გადაირჩევენ ღირეპტორს, მათ (ადმინისტრაციამ) გადაწყვიტეს ჩამოეშორებინათ შრომითი კოლექტივი პრივატიზების პროცესისაგან.

სამეურნეო რეფორმაზე გადასვლასთან დაკავშირებულ გართულებების საბაზის გამოყენებით გაჩერეს წარმოებები რამოდენიმე წლით, რის შედეგადაც საწარმოს მუშახელი იძულებული გახდა წასულიყო საწარმოდან ახალი სამუშაოს საძებნელად. საწარმოს შემორჩა რა მუშათა მცირე ჯგუფი, მოახდინეს საწარმოს ქონების შესყიდვა. შექმნეს შპს ან ჰააქციო საზოგადოებები და ამრიგად გახდნენ ქონების მესაკუთრენი.

ამ ფაქტს ადასტურებს ის, რომ 1996 წელს ღირეპტორატი ფლობდა საკუთარ საწარმოთა აქციების 18%-ს, ხოლო მუშები 40%-ს, მაშინ, როცა 1997 წლისათვის ღირეპტორატი უკვე ფლობდა აქციათა 58%-ს. ამრიგად, საქართველოს პრივატიზებული საწარმოების უმეტესობაში საკუთრების უფლება ღირეპტორატის ხელში აღმოჩნდა.¹

ამ საწარმოთა უმრავლესობა განურჩევლად დარგობრივი უწყებებისა, დღეისათვის გაჩერებულია, მათი უმეტესი ნაწილი გაძარცვულია, ისევე საწარმოთა ხელმძღვანელების ხელისშეწყობითა და ნებართვით.

დღეს უკვე საწარმოთა ამ ხელმძღვანელებს არა აქვთ სურვილი აამუშაონ საწარმოები. საწარმოს მუშაობა ხომ ბევრ თავსატეხთანაა დაკავშირებული, რა საჭიროა იგი, როცა გამოკეტილ საამქროებშიც ადვილად შეიძლება საკუთარი შემოსავლის გადაღება. საწარმოო შენობის ყოველი კვადრატული მეტრი გადაკეპული აქვს სხვადასხვა კოოპერატივებს, შპს და ინდივიდუალურ მეწარმეებს, რომელთა ბიზნესის მონაწილეა საკმაოდ მალალ-უპირატეს წილში საწარმოს ღირეპტორი. საწარმოთა უმეტესობაში უკვე გაყიდულია მანქანა-დანადგარები და სხვადასხვა მოწყობილობები საბაზრო ფასებში, რაც ხშირად 10-20-ჯერ აღემატება მათ მიერ შესყიდულ ფასებს.

1995-1996 წლებში ჩატარებული სოციალური გამოკითხვები ადასტურებენ, რომ ღირეპტორატის 2/3 გარეშე ინვესტორებისადმი აქციების მიყიდვის წინააღმდეგ გამოდიოდა მოუხედავად იმისა, რომ იგი კაპიტალდაბანდებათა მოდერნიზაციის მხრივ გარანტიებს იძლეოდა.

1 იხ. Blasi J., Kruse D., "Kremlin Capitalism", 9 thaca 1997, p. 193

როდესაც პრივატიზების პროცესს გადავხედავთ, არ შეიძლება იმ დასკვნაზე არ მივიდეთ, რომ პრივატიზების პოლიტიკის იურიდიულ საფუძველზე შექმნიდა სახელმწიფო მომავალი ქონების მესაკუთრეთა კარნახით. საგულისხმოა ის ფაქტი, რომ პრივატიზებით ამოღებულ შემოსავალს საქართველოს ბიუჯეტისათვის არავითარი სიკეთე არ მოუტანია. ვფიქრობთ, პრივატიზების პროცესის ეკონომიკური კვლევა ფრიალ საინტერესოა და იგი ალბათ მოულოდნელ შედეგებსაც გვიჩვენებს.

როგორც საზღვარგარეთის ქვეყნების გამოცდილებამ გვაჩვენა, ეკონომიკური კრიზისიდან გამოსავალი მრეწველობის რესტრუქტურისაა. საქართველოში ეს პროცესი ნული ტემპით მიმდინარეობს. ამის მიზეზი ერთი მხრივ, სამრეწველო საწარმოთა მესაკუთრენი, ხოლო მეორეს მხრივ, სახელმწიფო სტრუქტურებია.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში 1996 წლიდან ფინანსური სტაბილიზაციაა და ამავე დროს შექმნილია პრივატიზებულ საწარმოთა რესტრუქტურისა და მენეჯმენტის დახმარების ცენტრი, რომლის მაკროეკონომიკური ექსპერტები საწარმოთა ხელმძღვანელებს სთავაზობენ უფასო დახმარებას წარმოების ასამუშავებლად, საწარმოთა ხელმძღვანელები ასეთ მნიშვნელოვან დახმარებაზე ინტერესს არ იჩენენ, მიუხედავად იმისა, რომ ამ ცენტრის მიერ ჩატარებული სამუშაოები მრეწველობის სხვადასხვა დარგში მოპოვებული წარმატებები საკმაოდ თვალსაჩინო და სარწმუნოა. რა არის ამის მიზეზი?

მიზეზი საწარმოთა მენეჯერების დაბალი პროფესიონალიზმი და მათი სიახლისაკენ სწრაფვის უქონლობაა.

საწარმოს რესტრუქტურისაკენ საკმაოდ რთული პროცესია და იგი არა მარტო საწარმოს მართვის ორგანიზაციული სტრუქტურის შეცვლას და მის სრულყოფას ნიშნავს, არამედ იგი მოიცავს ორგანიზაციულ-ტექნიკურ ღონისძიებათა ფართო სპექტრს, რომელიც მისი საბაზრო ეკონომიკის ცვალებადი მოთხოვნილების მიმართ ადაპტირებაზეა ორიენტირებული.

საწარმოს რესტრუქტურისაკენ ეხება მის ყველა რგოლს, ყველა ელემენტს, მის მიკრო და მაკრო გარემოს. მიკროგარემოს ღონისძიებებია – საბუღალტრო და საფინანსო საქმიანობის მართვა, აღრიცხვა და მათი კომპიუტერიზაცია; მარკეტინგული და სადისტრიბუტორო ქსელის ჩამოყალიბება; პროდუქციის ნომენკლატურის, ტექნოლოგიური ციკლის შესწავლა და ანალიზი, მისი სუსტი ადგილების ლიკვიდაცია.

მაკროლონისძიებებს მიეკუთვნება: საწარმოს ბაზრების შესწავლა და ახალი ბაზრების ძიება; ნედლეულისა და მასალების ალტერნატიული მომწოდებლებისა და ინვესტორების ძიება; საწარმოს კონკურენტული გარემოს ანალიზი, უცხო კომპანიების შესახებ ინფორმაციების მოძიება.

საქმე იმაშია, რომ, რესტრუქტურისაცია მოითხოვს საწარმოს ღრმა, მაღალპროფესიული ანალიზის ჩატარებას, რომელიც ავლენს საწარმოს მუშაობაში ხარვეზებსა და ნაკლოვანებებს, არამწარმოებლურ დანახარჯებს და მის მიზეზებს; დღის სინათლეზე გამოაქვს ადმინისტრაციის სამეურნეო-ფინანსური საქმიანობის ჩრდილოვანი მხარეები, რის საფუძველზედაც იძლევა საკმაოდ „შეკარ“ რეკომენდაციებს და ზოგჯერ მის დაშლადანაწევრებასაც: გამოუყენებელი სტრუქტურების იზოლაცია-კონსერვაციას, გამოუყენებელი აქტივების გაყიდვას და ზოგჯერ საწარმოს ლიკვიდაციასაც კი. აი, იმ მიზეზთა მოკლე სია, რომლის გამომქვანებებს, აღიარებასა და შესრულებას უფრო მეტად გაურბიან საწარმოთა ხელმძღვანელები.

რესტრუქტურისაციის პროცესი ითვალისწინებს მენეჯერთა ძველი აზროვნებისა და სტილის შეცვლასა და რესტრუქტურისაციის პროცესების ეფექტიანობაში ხელმძღვანელთა დარწმუნებას. ამ მიზნით რესტრუქტურისაციის ცენტრი „CERMA“-ს განზრახული აქვს განასორციელოს „მარშალის გეგმა“, რომლის მიხედვითაც ქართველი მენეჯერები გაეცნობიან და აითვისებენ არასტანდარტული, არაადეკვატური გადაწყვეტილებების მიღების წესს. ხშირ შემთხვევაში „ძველი“ მენეჯერები შიშით უყურებენ ექსპერტების მიერ შემოთავაზებულ წინადადებებს, რადგანაც ზოგიერთი მათგანი გულისხმობს ორგანიზაციული ღონისძიებების შეცვლას, კადრების შემცირებას და ზოგჯერ მთლიანად მენეჯმენტის შეცვლას.¹

რესტრუქტურისაციამ თავისი შედეგი გამოიღო – შედარებით მცირე დროში საქართველოს საწარმოებს შეუმუშავეს კრიზისიდან თავის დაღწევის ღონისძიებათა კომპლექსი, მოძებნეს ინვესტორები, შოუძებნეს გასაღების ბაზრები და განაახლეს პროდუქციის წარმოება. მაგალითად, გორის წისქვილკომბინატში დაისახა ტექნიკური გადაიარაღების გეგმა, განისაზღვრა პროდუქციის ასორტიმენტის განვითარების სტრატეგია, დაიღო კონტრაქტი ბერძენ პარტნიორებთან, რომლებიც მზად არიან გარკვეული ფინანსები დააბანდონ წისქვილკომბინატის გადაიარაღების პროცესში.

¹ კ. ჩაველიშვილი, საწარმოთა რესტრუქტურისაცია – მიღწევები და პროცესები, ჟურნ. „მენეჯერება და ტექნიკა“, 1998, №10-12, გვ. 15

თბილისის ფარმაცევტულმა ფაბრიკამ მნიშვნელოვან შედეგს მიაღწია: შეიმუშავა ახალი პროდუქცია, ჩამოაყალიბა მარკეტინგის სამსახური, შექმნიეს და დანერგულ იქნა სადისტრიბუციო ქსელი, რის შედეგადაც საწარმოს რეალიზაციის მოცულობა 20%-ით გაიზარდა.

ასეთივე ღონისძიებები გატარდა სააქციო საზოგადოება „ლილო“-ში, მოიძებნა გერმანელი პარტნიორი, რის შედეგადაც პროდუქციის რეალიზაცია გაიზარდა 15%-ით; მიმდინარეობს მუშაობა საგადასახადო დაეალიანებების რესტრუქტურისაციისათვის. ასეთივე მუშაობა ტარდება სააქციო საზოგადოება „ბამბის ნართში“ და ა.შ.

ლიტერატურა:

1. გარუჩავა პ., შრეწველობის ეკონომიკა, თბ., 1998.
2. გოგოხია რ., საბაზრო ეკონომიკა, თბ., 1996.
3. ზურაბაშვილი ვ. საწარმოს სამეურნეო საქმიანობის ეკონომიკური ანალიზი, თბილისი. 1999 წ.
4. 6. პაიჭაძე. შრომის ეკონომიკა. თბილისი, 2000 წ.
5. პაპავა გ. პაპავა გ. სამრეწველო საწარმოს ორგანიზაცია, დაგეგმვა და მართვა. თბ., 1985.
6. პაპავა გ., საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის საფუძვლები. თბ., 1991.
7. სამუელსონი პ., ნოდარაძე ვ., ეკონომიკის, თბ., 1993.
8. სანთელაძე ნ., საბაზრო ეკონომიკის ჩამოყალიბების პრობლემები საქართველოში. თბ., 1992.
9. ჩაგელიშვილი პ., შრეწველობის ეკონომიკა, თბ., 1995
10. ჩაგელიშვილი პ., პროდუქციის ხარისხის მართვა. ლექ. კურსი. ნაწ. I, II-თბ., 1986
11. ჩაგელიშვილი პ., მანქანათმშენებლობის საწარმოთა ორგანიზაცია და მართვა. თბ., 1986.
12. ჩაგელიშვილი პ., პროდუქციის ხარისხი და მატერიალური სტიმულირება, თბ., 1978.
13. ჩაგელიშვილი პ. მეორადი მატერიალური რესურსების გამოყენების ეკონომიკის საკითხები. 1986.
14. ძნელაძე დ., სამრეწველო წარმოების ორგანიზაცია და დაგეგმვა, თბ., 1986.
15. ძნელაძე დ., მეწარმეობა საბაზრო ეკონომიკის პირობებში, თბ., 1992.
16. ძნელაძე დ., ეკონომიკა, მეწარმეობა და ბიზნესი თბ., 1995
17. ძნელაძე დ., მსოფლიო ეკონომიკა, თბ., 1997.
18. Боувин А. и др., Современный Бизнес I, II., б. 1995.
19. Борман Ф., Воротина Г. и др., Менеджмент, Гамбург. 1992.
20. Бистров Г. Рыночное управление малым предприятиям, М., 1991.
21. Ворст И., Ревентлоу П., Экономика фирмы. Уч. пос. М., 1994.
22. Гелбрет Д.Ж., Новое Индустриальное общество. – М. 19677.
23. Гинс Г. Предпринимательство. – М., 1992.
24. Грузинов В., Экономика предприятия и предпринимательство. М., 1994.

25. Дениелс Д., Родебах. Международный бизнес – М., 1994.
26. Зайден Х., Теммель Р., Основы учения об экономике – М., 1994.
27. Иванов Г., Антикризисное управление: от банкротства – к финансовому оздоровлению, –М., 1994.
28. Куприяков Е., Стандартизация и качество промышленной продукции., М., 1993.
29. Курс экономики, под ред. Раизберга Б., М., 1997.
30. Курс экономической теории, уч. пос., М., 1993.
31. Как работает Японские предприятия, М., 1989.
32. Клос Эклунд., Эффективная экономика, Шведская модель, М., 1991.
33. Клементиева А. Рынок и бизнес., М., 1991.
34. Котлер Ф. Основа маркетинга, М., 1970.
35. Лебедев И. Экономика современной Японии, М., 1990.
36. Международное коммерческое дело, уч. пос., М., 1996.
37. Макроэкономика для всех. Дадаян В. 1996.
38. Малыц Бизнес. Перспектива развития, М., 1991.
39. Мельман А., Прибыль без производства, М., 1987.
40. Мелкий бизнес в западной Европе, М., 1991.
41. Мексон и др. Основа менеджмента, М., 1995.
42. Мировая экономика, под ред. В. Ломакина, М., 1995.
43. Настольная книга бухгалтера в 3х том. сост. В. Прудиков. М., 1995.
44. Овсячук М., и дру., Финансовый менеджмент. Методы инвестирования капитала, М., 1996.
45. Рузовин Г., Мартинов В., Курс рыночной экономики, М., 1995.
46. Самуельсон П., Экономика, т. 1., М., 1992.
47. Самуельсон П., Экономика, т. 2., М., 1994.
48. Стенлейк Дж., Экономика для начинающих, М., 1994.
49. Фишер С. и др., Экономика, М., 1993.
50. Финансы предприятий, уч. пос. Б. Бородинов, М., 1995.
51. Финансы предприятий, под ред. В. Радионовой, М., 1992.
52. Чурмантиева В., США, подготовка руководящего персонала пром. пред., М., 1975.

53. Шерли М., Реформа и приватизация гос. предпр., М., 1992.
54. Шепель В., Настольная книга бизнесмена и менеджера, 1992.
55. Экономика машиностроительной промышленности., Г Краюхин М., 1987.
56. Экономика. Учебник, под ред. Булатовой, М., 1994.
57. Экономика и бизнес, под. ред. В. Кашева, М., 1991.
58. Якокка Ли, Карьера в впрдвериях XXI века, М., 1991.
59. Японская экономика в впрдвериях XXI века, М., 1991.
60. Экономика фирмы. Уч. пос., А.С. Бляхмен, Санкт-Петербург: 1999
61. Предпринимательство. Под. ред. В.Я. Горфикеля, М., "Банки и биржи", изд. Юнити, 1999.
62. Экономика предприятия и отрасли промышленности. А.С. Пелис -изд. "Феликс", Ростов-на Дону. 1999.
63. Войтов А.Г. Экономика общий курс, учебник, М., 1999:
64. Экономика предприятия. Под. общ. ред. В.Я. Горфикеля и проф. Е.М. Купрянова, М., "Банки и биржи", изд. Юнити, 1996.

**პაველე ჩაგელიშვილი
სამრეწველო წარმოების
ეკონომიკა და მეწარმეობა**

ტირაჟი: 400

ფასი სახელშეკრულებო

**გამომცემლობა "დედაენა"
თბილისი, რუსთაველის გამზ. 42
ტელ. 92 29 92**